საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

შოთა ძიძიგური

# ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ

სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი 1956

რედაქტორი — პროფ. გ. ახვლედიანი

# წინასიტყვაობა

ქართული დიალექტოლოგიის კურსის კითხვას უმაღლეს სკოლაში საგრძნობლად აფერხებს დიალექტების ქრესტომათიის უქონლობა. სანიმუშო ტექსტების გარეშე კი სტუდენტს არა აქვს შესაძლებლობა ცოცხალი მეტყველების შერჩეულ მასალაზე, მთლიან ტექსტებზე გაიაზროს გრამატიკული მოვლენები, რომლებსაც ის ითვისებს თეორიული კურსის საშუალებით. გარდა ამისა, ტექსტების გამოყენება სტუდენტს უვითარებს დიალექტოლოგიურ ფაქტებზე დაკვირვების უნარს და ხელს უწყობს ამა თუ იმ დიალექტის სტრუქტურაში საერთო ორიენტირების გამომუშავებას.

წინამდებარე წიგნი ქრესტომათიის წესით დალაგებული მეცნიერულად დადგენილი ტექსტების გამოქვეყნების პირველი ცდაა ქართულ დიალექტოლოგიაში.

ამგვარი წიგნის გამოცემას, უწინარეს ყოვლისა, აძნელებს ის გარემოება, რომ დღესდღეობით ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში არ მოიპოვება ყველა დიალექტის ამსახველი მასალა; გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე დიალექტოლოგიური ტექსტი, რომლებიც ფიქსირებულია სპეციალისტების მიერ და ყოველმხრივ სანდოდ ითვლებიან. დიდი უმრავლესობა კილოებისა ამ თვალსაზრისით სპეციალურ ლიტერატურაში უცნობია.

ამ ქრესტომათიაში კი მოცემულია მთელი რიგი დიალექტების გამომხატველი ახალი მასალა. შეკრებილი ჩვენ მიერ საქართველოს სხვადასხვა დიალექტურ რაიონში. ესენია: რაჭული, შუაიმერული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური, აჭარული (ქობულეთური მეტყველება), მთიულური, ფშაური და მესხური დიალექტების მონაცემები. გარდა ამისა, წიგნში შესულია ნიმუშები დაბეჭდილი ტექსტებიდან და სხვადასხვა სპეციალისტის მიერ შეკრებილი გამოუქვეყნებელი მასალებიც. ამრიგად, ქრესტომათიაში მოქცეულია ყველა ქართული დიალექტის სანდო და მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, მოცემულია თანამედროვე ქართული ცოცხალი მეტყველების მთლიანი სურათი.

ჩვენ შევეცადეთ, რომ წიგნში გამოხატულება ეპოვა ამა თუ იმ დიალექტის შინასხვაობების მაჩვენებელ მასალასაც, ე. ი. გავითვალისწი-

ნეთ დიალექტების კილოკაური დიფერენციაცია. იმ დიალექტებისა, რომლებიც ქართული ენის მსხვილ დიალექტოლოგიურ ერთეულებს წარმოადგენენ და დიდ ტერიტორიაზე გავრცელების გამო შინაგან სხვაობას ამჟღავნებენ. ასეთებია, მაგალითად, **რაჭული**, რომელიც იშლება მთარაჭულად, ზემორაჭულად და ქვემორაჭულად, **კახური**, რომელშიც გამოიყოფა შიდაკახური და გარეკახური, **იმერული**, რომელიც საკმაოდ დიფერენცირებული ერთეულია ზემოიმერულის, შუაიმერულისა და ქვემოიმერულის სახით, და სხვ. დიალექტების ქრესტომათიაში ამ კილოკაურ კლასიფიკაციას თავისი გამოხატულება უნდა ეპოვა.

ტექსტებს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც აღნუსხულია ყველა დიალექტური სიტყვა-გამოთქმა, რომლებიც გვხვდება ქრესტომათიაში და წარმოგვიდგენენ ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ თავისებურებებს.

# ქ ა რ თ ლ უ რ ი

## 1

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ძალიან საწყალი კაცი. ერთი შვილი ჰყვანდა, სახელათ შავლაი. ამ ბიჭმა უთხრა დედ-მამას:

— ესე ღარიბები როდემდინა უნდა ვიყვეთ, წავალ სადმე, იქნებ რამე ვიშოვნო და ჩვენც გავმდიდრდეთო.—ეს შავლაი ძალიან ღონიერი იყო, განთქმული ვაშკაცი.

წავიდა შავლაი. გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და ერთი მონადირე შამოხვდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— საიდან მოდიხარ, ვინა ხარო? — შაეკითხეს ერთი მეორეს.

— მე შავლაი მქვიანო, — ამ ბიჭმა უთხრა. მონადირეს გაგებული ჰქონდა შავლაის სახელი, მთელ ქვეყანაზე განთქმული იყო.

— მოდი, დავძმობილდეთო, — მონადირემ უთხრა. დაძმობილდნენ. მიდიან ორნი. ცოტა რო გაიარეს, შამოხვდათ კიდე ერთი მონადირე.

— გამარჯობათ! — გაგიმარჯოთ!

— ვინა ხართ, საიდან მოდიხართო? — ამ მონადირემ ჰკითხა.

— მე შავლაი მქვიანო, ესეც ჩემი ამხანაგი არისო. ძაან ღარიბები ვიყაით, ჩვენ დედ-მამას გამოერიდენით, იქნებ რამე ვიშოვნოთო.

— წორეთ მეც ეგრეთი ვარო, — ამ მონადირემ უთხრა, — მოდი, მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო.—დაძმობილდნენ სამთავენი და წავიდნენ. მიდიან სამი ძმობილები და ერთ ტყი პირში დაუღამდათ.

— ამაღამ აქ უნდა გავათენოთო. — დადგნენ ტყი პირში. შავლამ უთხრა:

— თქვენ წამოყრით ნადირ ტყიდან, თუ მე წამოვყარო და თქვენ დახოცამთო. — ეს ორი მონადირეები მშიშრები იყვნენ.

— მოდი, შენ წამოყარე და ჩვენ დავხოცამთო.—წამოყარა შავლამა და გამორეკა ირმები, თანაც დაუჭირა ისარი და მოკლა ერთი ირემი. ეს ორი მონადირე შიშით ხეზე აცვივდნენ. იქიდან ისრებს უშენენ, მაგრა აბა რას მოკლამდნენ. შავლამ დაუძახა:

— აი, გენაცვალეთ, მაგრე უნაო.

გაატყავეს შავლაჲ მოკლული ირემი, დაანთეჲ დიდი ცეცხლი, შაწვეს ირმი ხორცი და ჭამეს.

შავლამ უთხრა ამხანაგებს:

— მე დავწვე დასაძინებლათ და თქვენ მიყარაულებთ, თუ თქვენ დაწვებით და მე გიყარაულოთო?

— ჩვენ დავიძინებთ, შენ გვიყარაულეო. — ორმა მონადირემ რო დაიძინეს, შავლა ავიდა ერთ მაღალ ხეზე და გაიხედ-გამოიხედა. დაინახა, ერთ ალაგას შუქი გამოდის. „რაღა ჩემი ბიჭობაა, თუ არ გავიგე, საიდან გამოდის ის შუქიო“.

ჩამოიდა ხიდან, მონადირეები მძინარები დატოვა და წავიდა. მივიდა იმ შუქთან. ნახა, სახლია ერთი. შაალო კარები და შავიდა. სახში მზეთუნახავი ქალი იჯდა.

— გამარჯობაო! — შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — ქალმაც უთხრა, — მაგიჲთანაი კარგი ვაჟკაცი ხარ და მენანება, საცაა ჩემი ქმარი, სამთავიანი მდევი, მოვა და მოგკლავსო. — შავლამ უთხრა:

— მაიცა, ჯერ საჭმელი გექნება და მაჭამეო. — გადმოიღო ამ ქალმა პური, არაყი და აჭამა. მერე შავლამა ჲკითხა:

— რო მოსვლაი იყოს, შენი ქმარი საიდან უნდა მოიდესო.

— რომელ მთაშიაც იყოს სანადიროთ, ე მაგ ბოგირზე უნდა გამაიაროსო, — უთხრა ქალმა. წამოიდა შავლაი და იმ ბოგირთან ჩაიმალა. სად იყო, სად არა, გამოჩნდა სამთავიანი მდევი, მააფრენს თავი რაშსა. ბოგირთან რო მოიდა, გაჩერდა იმ სააჩი. მდევმა უთხრა თავი რაშსა:

— გადი, შე ოხერო, რა მოგივიდა, აქაც ხო შავლაი არ დაგიხვთაო. — გამოიდა შავლაი და მდევს უთხრა:

— აქა ვარ ბიჭი შავლაი და ჩამოდიო. — გადმოხტა მდევი რაშიდან. ეძგერნენ შავლაი და მდევი. აიღო შავლამ მდევი და შიგ ხევში გადააგდო. მიკურწა-მოკურწა ხმლითა და შავიდა იმ ქალთან.

— მე შენი ქმარი მოვკალი, აი ბეჭედი, დანიშნული ხარო. — გამეემშვიდობა და წამოიდა.

მოიდა მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა, — ადექით, როდემდი უნდა გეძინოთო. მე წაველი, ერთი მდევი მოვჭკალი და ერთი ქალიცა ვნახეიო. ბიჭებმა შიშით კანკალი დაიწყეს: — რო მოსულიყო რამეი და შავეჭამენითო! ცოტა შანაყრდნენ და წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთი ტყი პირში კიდე დაუღამდათ. წამოუარა შავლამ იქაც და გამორეკა ტყიდან ირმები. ჰკრა ისარი და მოჲკლა ერთი ირემი. ეს მონადირეები კიდე ხეზე აცვივდნენ შიშით და იქიდან ისვროდნენ ისარ. შავლა კიდე აქეზებს: — აი, ყოჩაღ, ბიჭებო, ეგრე უნაო. გაატ-

ყავეს ეს ირემიც, დაანთეს დიდი ცეცხლი და ერთი კაი პური ჰამეს. შავლამ უთხრა:

— მე დავიძინო, თუ თქვენ დაიძინებთ და მე გიყარაულოო?

— მოდი, ჩვენ დავიძინებთ და შენ გვიყარაულეო.—დაწვნენ ამ ბიჰებმა და დაიძინეს. შავლაი ავიდა ერთ მაღალ ხეზე კიდე, გაიხედ-გამოიხედა და ერთ ალაგას კიდე დაინახა შუქი. „რა ჩემი ბიჰობა იქნება, თუ არა ვნახე, ე შუქი რა არიო“, თქვა შავლამ. ჩამოიდა ხიდანა და წავიდა. მივიდა შუქთანა, ნახა, სახლია, შააღო კარები და შავიდა, ერთი მზეთუნახავი ქალი ზის იქაც.

— გამარჯობაო! — შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — ამ ქალმაც უპასუხა, — მაგრა გირჩევნია წახვიდე, თორე საცაა ჩემი პირცეცხლიანი ქმარი, ექვსთავიანი მდევი, მოვა და მოგკლამსო. — შავლამ უთხრა:

— ჯერ გექნება რამე. მაჰამეო. — გადმოუღო ამ ქალმა პური, ცოტა არაყიც და აჰამა. უთხრა ქალსა:

— რო მოსვლაი იყოს, შენი ქმარი საიდან უნდა მოიდესო.

— საცა არ უნდა იყოს სანადიროთ, მაინც ემ ბოგირზე უნდა გამაიაროსო. — გავიდა შავლაი და ბოგირთან დაიმალა. მიაფრენს ეს მდევი რაშსა და სუ ზანზარებს ტყეი და მთაი. მოიდა თუ არა ამ ბოგირთან, გაჩერდა რაში. სცემს მათრახსა მდევი, მაგრა აღარ მიდის.

— გადი, შე ოხერო, მანდაც ხო შავლაი არ დაგხვთაო.

— აქა ვარ ბიჰი შავლაიო,— და გამოიდა, — აბა, ჩამოდი ძირსაო. გადმოხტა ეს ექვსთავიანი მდევი, ეძგერნენ, შავლამ აიღო და გადააგდო ხევში ისიც, მიჩეხ-მოჩეხა, შავიდა და ქალს უთხრა:

— მოვჰკალი შენი ქმარიო. — აიღო და ერთი ბეჰედი ამ ქალსაც გაუკეთა, დანიშნული იქნებიო. გამეემშვიდობა და წამოიდა. მივიდა ამ მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა ორთავენი. — ადექით, როდემდი უნდა გეძინოთო. მე წაველი, ერთი ექვს თავიანი მდევი მოვკალი და ერთი მზეთუნახავი ქალი ვნახეიო. მონადირეებმა ერთი მეორეს შახედეს: — რო მოსულიყო რამე და შევეჰამენითო!

ცოტა კიდე შანაყრდნენ და წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი ტყი პირში კიდე დაუღამდათ. შავლამ თქვა:

— აი, ამაღამ აქ უნდა ვიყვეთო. მოდი, ახლა თქვენ წამოყარეთ ნადირი და მე ვესვრიო.

— არა, შენ ჩამოუარეო, — მონადირეებმა უთხრეს. შავარდა შავლაი ტყეშია და წამოურბინა ხელათ. გამააფრთხო მშველი, ირემი, ჰკრა ისარი და ერთი მშველი გადააბრუნა. ეს ბიჰები კიდე ხეებზე აცვივდნენ და იქიდან ესვრიან ისრებ შიშით.

— აი, გენაცვალეთ, ბიჰებო, ეგრე უნაო, — შავლამ უთხრა მონადირეებსა.

გაატყავეს ეს მშველი, დაანთეს დიდი ცეცხლი და ერთი კაი გემრიელი პური ჭამეს. შავლამ უთხრა:

— ორი ღამეა არ მძინებია, მოდი, ახლა მე დავიძინებ და თქვენ მიყარაულეთო.

— არა, შენ შეიყარაულეო.—დაწვნენ მონადირეებმა და დაიძინეს. შავლაი ავიდა, ერთ მაღალ ხეზე და გაიხედა. კიდე დაინახა, შორ ადგილას შუქი ჩანს ისევ-ისეა: „ერთი უნდა წავიდე და ის შუქი ვნახოო“. ჩამოიდა ხიდან, მძინარე მონადირეებს თავი გაანება და წავიდა შავლაი. მივიდა ამ შუქთან, ნახა, სახლია, შაალო კარები და შავიდა. აქაც ერთი მზეთუნახავი ქალი ზის ტახტზედა.

— გამარჯობაო! — შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — ქალმაც უთხრა, — მაგრა' აფსუსი ხარ, საცაა მოვა ჩემი პირცეცხლიანი ქმარი, ცხრათავიანი მდევი და გაგაფუჭებსო.

— ჯერ გექნება რამე და მაჭამეო.—გადმოუღო ამ ქალმა პური, არაყი და აჭამა.

— რო მოსვლაი იყვეს, საიდან უნა მოიდეს შენი ქმარიო.

— რომელ მხარესაც არ უნდა იყვეს სანადიროდ წასული, ე მაგ გზაზე უნდა გამოიაროსო.

გავიდა შავლამა და დაიმალა გზიპირში. მაათრენს რაშსა ეს ცხრათავიანი მდევი და მისი ქარით სუ ტყეი იგლიჯება. მოიდა თუ არა იმ ადგილას, საცა შავლაა დამალული, რაში გაჩერდა, სცემს მდევი რაშსა, მაგრა აღარ მიდის.

— შე ოხერო, აქაც ხო შავლაი არ დაგიხვდა; რა მოგივიდაო!

— აქა ვარ ბიჭი შავლაი, ჩამობრძანდი ძირაო. — გადმოხტა ცხრათავიანი მდევი და ეძგერნენ. დიდხანს იჭიდავეს. მაინც ბოლოს შავლამ აიღო ეს მდევი და დედამიწაზე დაახეთქა. მოშჭრა ცხრანივე თავები. შავიდა ამ ქალთან და უთხრა:

— მოვკალი შენი ქმარიო. — ერთი ბეჭედი ჰქონდა და იმ ქალ მისცა.

— შენ იქნები ჩემი დანიშნულიო.—გამეემშვიდობა და წამოიდა. მოიდა მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა: — ადექით, როდემდი უნდა გეძინოთ. აი, მე წუხელი ცხრათავიანი მდევი მოვკალი და ერთი მზეთუნახავი ქალი ვნახეი კიდევაო. — შანაყრდნენ ცოტაი კიდე და შავლამ უთხრა მონადირეებსა: — ახლა უნა წავიდეთ, ის მდევები რო დავხოცეთ, მათი ქალები უნდა შაგრთოთ ცოლებათო.

წამოიყვანა და პირველათ რო მონადირეი ნახა, ის პირველათ რო ქალი იპოვა, იმაჲთან მიიყვანა.

— ეს ქალიცა და მთელი ქონებაც შენთვის დამილოციაო. ჭერში ორი შამფური ჩამაუკიდა. — თუ ჩვენ გაგვიჭირდებაო, ეგ შამფურები ქანაობას დაიწყებსო. წამაიყვანა მეორე მონადირეიც, მეორე ქალი რო

ნახა, ის მონადირეი იქ დაასახლა. იმასაც ორი შამფური ჩამოუკიდა. — თუ მე გამიჰირდება, ეგ შამფურები ქანაობას დაიწყებსო. — თვითონ წამოიდა, ბოლოს რო ქალი ნახა, იმასთან. თავი სახშიაც ორი შამფური ჩამოჲკიდა, თუ ორ ძმებს გაუჭირდება, შამფურები ქანაობას დაიწყებენო.

ცხოვრობენ სამთავენი კარგათ და ბედნიერათ. შავლას მააგონდა დედ-მამაი, რო ღარიბათ დავტუე, იმათ პატრონობა უნდათო. თავი ცოლ უთხრა:

— მე დედ-მამაი მყამ და ისინი უნა მოვიყვანო აქაო. — ცოლსაც გაუხარდა:

— წადი, მაიყვანეო. — წამოიდა შავლამ და გამაუარა მონადირეებს.

— ესე ესე დედ-მამაჲთან მივდივარო. — მონადირეებსაც გაუხარდათ, კაი პური ჭამეს და გზაი დაულოცეს შავლასა.

მოიდა შავლაი თავი ქვეყანაშია. ნახა, თავი დედ-მამაი ხიდი ყურზე მათხოვრებათ სხედან. იცნო ხელათ. გაივლის და გამაივლის ამ ხიდზე. ეს მოხუცებულები იძახიან:

— რა კაი ბიჭია, სუ ჩვენ შვილსა არა ჰგამო? — ამ დროს ერთი მდიდარი კაცი მოჲდის. მათხოვრებმა ხელი წაუშვირეს. მდიდარმა აიღო და ორთავეს მათრახები გადაჲკრა.

— რას დამსხდარხართ აქა და ხალხს აწუხებთო. — ეს დაინახა შავლამ და მივიდა მასთან.

— რა დაგიშავეს მაგ გლახებმა, რო მათრახი გადაარტყიო.

— რაო და აქ ხალხს აწუხებენო. — დაავლო ხელი შავლამ ამ მდიდარ კაცსა და შიგ წყალში გადააგდო.

მივიდა ამ გლახებთან და უთხრა:

— მე თქვენი შვილი შავლაი ვარო. — დედ-მამას ძალიან გაუხარდათ. ააყენა ორთავენი და წამაიყვანა თავი სახში. დაბანა, ჩააცვა ახალი ტანისამოსი, შესხა ცხენებზე და წაიყვანა თავისთან. გაუარა ამ მონადირეებს, დედ-მამა გააცნო და მივიდა თავი ცოლთან. ემ სააჩიაც ბედნიერათ ცხოვრობენ.

## 2

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყვანდა ცოლი და პატარა ქალიშვილი, სახელათ ეთერი, ძალიან ლამაზი. ეთერი როცა ცოტა წამაიჩრიხვა, მოუკვდა დედაი. მამამ ოჯახი მოვლიტვინ შაირთო მეორე ცოლი. დიდი დრო არ წასულა, რო ეს გლეხიც მოკვდა.

დედინაცვალი ამ ეთერს ტანჯვით რდის. რო გაგზავნის ტყეში ძროხი საძოვრათ, თან გაატანს ერთ კუტსა, თითიტარსა და მატყლსა. საღამოთი მოვა და უწყალოთ სცემს და ცრემლებს აღვრეინებს.

ერთ დილასაც ერთი კუტი და მატყლი გაატანა ეთერსა და გაუშვა ძროხი საძოვრათ ტყეში. ამ ტყეში ეთერი წამოჯდა ერთ ხეზე, ძროხა საძოვრათ გაუშვა და მატყლს ართავს. ტყეში ხემწიფი შვილი აბესალომი ნადირობს. რო დაინახა ეთერი. ძალიან მეეწონა. მივიდა ხეჲთან აბესალომი და ეთერს უთხრა:

ეთერ, ჩამოდი ძირსაო,
მანდ რას იღერებ ყელსაო,
ჩამოდი, ცოლად შაგირთო,
ჯობია ჩვენთვის ესაო.

— შენ მე ცოლათ არ შამირთავო, — უთხრა ეთერმა, — მამატყუებო::

შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედ-მამითაგან ქებული;
წახვიდე, არ წამიყვანო,
გამიშვა წყალწაღებული.

აბესალომმა ხვთისა და დედამიწის ფიცი მიჲცა.

— ჩვენი მოწმე ძირს დედამიწა და მაღლა ღმერთი იყვესო, — დაუფიცა აბესალომმა.

ეთერ, შენს მოღალატესა,
წყალსაცა მოწყურებულსა,
ზღვა იყვეს ამამიშრება,
პურსაცა მოშივებულსა
სეფიკვერი გამიწყრება.
ომში ხმალამოღებულსა
აბჯარა ჩამომიწყდება.

ეთერი დაეთანხმა. ჩამოიდა ხიდან და აბესალომ უთხრა:

— წავიდეთო. — აბესალომმა ნიშნათ მიჲცა ერთი შავტარა დანა.

აბესალომ თან ახლამ თავი ვეზირი, სახელათ მურმანი. აბესალომა გაგზავნა მურმანი და თან:

— წადი, ჩემ დას, მარეხასა, უთხარი, ქალი შამყამ-თქო და საქორწილო ტანისამოსი გამამიგზავნოსო. — წავიდა მურმანი მარეხაჲთან და წამოიღო ტანისამოსი. ჩაიცვა აბესალომმა და ეთერმაც და მივიდნენ სასახლეში. დაატარა მურმანი და ქორწილში დაიპატიჟა მთელი სახელმწიფო.

მურმან ეთერი სიყვარული გულში ჩაუვარდა. რო მიდის გზაში, ფიქრობს: „ნეტავი კაცი მაჩვენა, ეთერი აბესალომ შააძულოს და ხელში ჩამაგდებინოსო“. ამ დროს მურმანს ეშმაკი გამეეცხადა.

— ეთერ მე ჩაგაგდებინებ ხელში, აბესალომი თავი ხელით მოგცემს ეთერს, ოღონ შენი სული მამეციო.

— სულ როგორ დაგიჭერ, ოღონ ეთერი კი ხელში ჩამიგდეო, — უთხრა მურმანმა. ეშმაკმა მიჲცა ერთი მუჭა ფეტვი და აჲწავლა:

— როცა საყდარში ჯვარი დაიწერონ, ეს ფეტვი ხელუკუღმა გადააყარე ეთერსა, შაეხვევა კბენარი, უვლიდნენ, უვლიდნენ, მაგრამ მანამ შენი ხელი არ მახვდება, კბენარი არ მაშორდებაო.

გამობრუნდა სულგაყიდული მურმანი და მოიდა სახლში, მართლა ჯვრისწერი დროს. როცა გამოდიან საყდრიდან, მურმანმა ეს ერთი მუჭა ფეტვი გადააყარა ეთერს. ეს ფეტვი კბენარათ იქცა, შაეხვა ეთერს.

ველარ მააშორეს. შაჲწუხდა აბესალომი. გამაიყვანა ეთერი თავი ხელით და საჯაროთ დაიძახა:

შაფათს შაყრილნი მიჯნურნი   გავყრილვართ, გაიხარენით.
ორშაფათ გავიყარენით,   ვის გინდათ ქალი ეთერი,
ვისაც რო შაყრა გეწყინათ,   თავ გვირგვინ, ოქროს მგოსანი.

მაშინ წადგა მურმანი მუხლი ჩოქით და სთხოვა აბესალომ:

— მე მსურს ქალი ეთერი, შენი უფროსი ვეზირი და ერთგული ყმაო. — აბესალომა გადაულოცა. მურმანი ხელი რომ მოხვდა ეთერს, კბენარი იმ საახი მოშორდა. წამაიყვანა სახში და დაქორწინდა. აბესალომი ნაწყენი დაბრუნდა. აბესალომს ეთერი სიყვარული გულიდან არ შორდებოდა. ერთ დღეს შამოხვთა მურმანი გზაში. აბესალომა უთხრა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა   შენი ცოლი რა რიგია!

მურმანმა უთხრა:

რას კითხულოფ ჩემსა ცოლსა,   ცხრანი მული თავს ადგანან
ქალი ქება გაგიგია?!   დალალ-კავის დამწვნელია,
შენ გინახამ ბროლი ციხე,   დედამთილი გვერდით უზის
როგორ ცამდინ ამიგია,   თავი პირი ფარეშია.
შიგა ზის ქალი ეთერი,   მამათილი ეზოსა წემ.
ყელიც მოუღერებია.   გველეშაპი მყლაპავია.

ამის გაგებაზე აბესალომი ძალიან შეჲწუხდა და წამოიდა სახლში. ჩავარდა ლოგინათ. წამალმა არაფერი უშველა. ერთ დღეს დაიბარა მურმანი და უთხრა:

— უნა წახვიდე და უკვდავების წყალი მამიტანოო. — მურმანი უარ აბა ხო ვერ ეტყოდა. წამოიდა სახში და თავი ძმებსა და დედას უთხრა:

— ეთერ გაუფრთხილდით, არავინ ხელი ახლოსო.

ამაღამდელო ღამეო,   ალგეთსა ჭალისასაო.
ნუ გათენდები მალეო,   ვაი თუ ველარ დავბრუნდე.
ვეხვევი ბროლი ღაბაბსა   ველარა გნახო მალეო.
ველარა ენახამ ხვალეო.   ნურცა მიხვალ ძმისასა და
ქალო, ალგეთსა მგზავნიან,   ნურცა მეზობლისასაო;

ეხლა ეთერმა უთხრა:

გავიხდი ფარჩა-ფურჩასა   როგორც და იყოს ძმისასა.
ჩავიცმევ ბამბა-ბუმბასა,   ავიღებ კოკა-კუტალსა,
თუ წავალ მეზობლისასა,   მოვიტან წყალსა მდინარსა.

გამეემშვიდობა მურმანი და წავიდა. აბესალომი დხი, მარეხი, დადის ქალაქში და ხალხ ეკითხება:

— ძმა მიკვდება, თუ იცით რამე, მიშველეთო. — ხალხმა უთხრა:

— იქნებ ეთერი სურვილითა კვდებაო. — წამოიდა მაშივე მარეხი,

აიღო ერთი მტრედი ფრთა, ყორნი ბოლო, ერთი ჰიქა წითელი ღვინო, ერთიც გამტკიცული პური, მიუტანა აბესალომ და დაუწყო წინა.

— აბა რასა ნიშნავ ესაო?!

აბესალომა აიღო მტრედი ფრთა და თქვა:

— მტრედი ფრთა, თეთრი ხარ, მაგრა ეთერიჲთანა კი არა ხარო. — აიღო წითელი ღვინო და თქვა: — წითელო ღვინო, წითელი ხარ, მაგრა ეთერიჲთანა კი არა ხარო. — აიღო ყორნი ბოლოი და თქვა: — ყორნი ბოლო, შავი ხარ, მაგრა ეთერი თვალ-წარბიჲთანა კი არა ხარო. — აიღო გამტკიცული პურიც და თქვა: — გამტკიცულო პურო, გამტკიცული ხარ, მაგრა ეთერიჲთანა კი არა ხარო. — აბესალომა უთხრა მარეხსა:

ადექ, მარეხო, მასკვლავო,
ეთერსა კარი უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
სუ დაწვრილებით უამბე.

წამოიდა მარეხი და შამაუარა ეთერის სასახლეს. დაინახა ეთერი და უთხრა:

— ძმა მიკვდება და წამოდიო. — ეთერი არ გამოჲყვა. დაბრუნდა სახში მარეხი. აბესალომ მეორე დაი ყამ, მარიაი, ისიც წამოიდა. ამ დროს ეთერი დედამთილი გარეთ გამოიდა და ეთერიც გამეეპარა. შავიდა აბესალომი ბაღში დაღონებული, იტირა, ივაგლახა და დეეძინა. მარი ქალი რო მოიდა, იარა, მაგრა ეთერი ვერსად ნახა. შამაიარა თავი ბაღშია და ნახა, რო ბოლოში სძინამ. მძინარეს უთხრა:

მე ბანი-ბანათ გეძებდი,
შენ ბაღჩი ბოლოს გეძინა;
გაგხსნოდა გული საკინძე,
ბროლი გულ-მკერდი გეჩინა.
სუ მარმარილოს გაგიშლი,
ფეხი არ დაჲკრა ქვიშასა,
ალვი ხეებსა დაგირგამ
საჩრდილობელსა მზისასა.
ადექ, ეთერო, წამომყე
იმ ჩემ ერთგული ძმისასა.

ეთერმა უთხრა:

მარი ქალო, იქით წადი,
ნუ დამფერფლე ენითაო.
თავ გვირგვინი აიხადა,
სხვას დაადგა ხელითაო.

— წადი და წამოვალო, — უთხრა ბოლოს. მივიდა მარი ქალი და აბესალომს უთხრა:

— ეთერ ქალი მოვა და ცხენი მომეცითო. — აბესალომა თქვა:

ეთერსა ცხენი არ უნდა,
არა აქ შორი სავალი,
თუ მოვა, აქაც შამოვა,
არსად აქ წამოსავალი.

მოიდა ეთერი. ბანზე რო შამოდგა, აბესალომა ხელათ გაიგო და თქვა:

ეთერი ბანზე შამოდგა.
ბანი და კარი სკდებაო.
ეთერსა კარი გაუღეთ,
მარეხი კარსა ხვთებაო.

გაუღეს კარები და შამოიდა ეთერი. ეთერი რო დაინახა, აბესალომ შარცხვა და კედლიჯკენ გადაბრუნდა. ეთერმა უთხრა:

აბესალომ ნისლიაო,
პირი კედლათ გიქნიაო,
აბა აქეთ შამამხედე,
მე რა ავი მიქნიაო.

გადმობრუნდა აბესალომი და სული დალია. ეთერმა ეს რო დაინახა, ამოიღო უბიდან აბესალომის დანა და თქვა:

აბესალომი დანაო,
უბეს მიდეხარ თანაო,
ამაგიღებ და დაგიკრამ
მარჯვენა ძუძუჲთანაო.
პირი ჩემკენ, ტარი შენკენ
მეც უნა მაგყვე თანაო.
ერთათაც დავიხოცებით,
ერთათაც დაგვმარხიანო.
თავით ყვავილი ამოვა,
ბოლოში წყაროვნიაო.
რო მოდიოდნენ მუშები,
შანდობას შამოთვლიანო.

დაიცა ეთერმა დანა გულში და აბესალომ დააკვდა. აბესალომი და ეთერი ერთათ დამარხეს. მართალაც, ამოუვიდათ თავით ია და ვარდი და ფეხთით ცივი წყარო.

მურმანი ამ ხანში დაბრუნდა, როცა გაიგო ეთერისა და აბესალომის სიკვდილი და ერთათ დამარხვა, მოიკლა თავი და შუაში ჩაიმარხა. ზეთ ამოიდა ნარი და ეკალი, ფეხთით კი — ძაღლი ლეკვი. ია და ვარდსა რო უნა მეეხვივნონ ერთმანეთს, ეს ნარი და ეკალი უშლის.

მეცხვარეები მოიდნენ წყაროზე, ნახეს, აქამდინ ია და ვარდი იყო, ეხლა ნარ-ეკალი და ძაღლი ლეკვი გაჩენილა, დაუგდეს ჩომბახები, ამააგდეს მურმანი, გადაუგდეს ძაღლებს და შააჭამეს. ისევ ისე ია და ვარდი ერთმანეთს ეხვევიან და ვინც წყალ სვამს, შანდობას უთვლის აბესალომსა და ეთერს.

## 3

ერთი მონადირე იყო და ერთი შვილი ჰყვანდა. შვილ უთხრა:

— მე რო მოვკვდები, სანადიროთ წახვალ, ერთი მთა ინადირე, მეორეზეც გადადი, მესამეზეცა, მაგრა მეოთხეზე არ წახვიდეო.

მამა მოკვდა. ბიჭმა აისხა იარაღი და წავიდა სანადიროთ. ერთი მთა ინადირა, მეორე, მესამე, მეოთხეზე გადავიდა. მიდის ირემი, ბიჭმა ესროლა, თურმე ეს ქალი ყოფილა, ტყავი მოიხსნა, თვითონ გაფრინდა, ზღვაში ლერწამი იყო და იქ შავიდა.

მონადირემ ეს ტყავი აიღო და წამოიღო. მააქ შინა. ხემწიფი ნაზირ-ვეზირი შახვთა.

— ოღონდ ეს ტყავი ჩვენ მოგვეცი და, რასაცა გვთხოვ, მოგცემთო.

ბიჭმა არ მიჲცა, ხემწიფეჲთან დააბეზღა. ხემწიფემ დაიბარა მონადირე.

— ირმი ტყავი მამიტანე, რაცა ღირ, მოგცემო. — მიუტანა ტყავი. ნაზირ უთხრა ხემწიფემ:

— წადი, რამდენიც გთხოვოს ფული, იმდენი მიეციო. — ნაზირმა წაიყვანა: ორი შაური მიჲცა და ორიც სილა გაარტყა. მონადირე წამოვიდა სახლში.

— ამ შენ ტყავსა კაი ოთახი ეკუთვნისო. — ნაზირ-ვეზირმა უთხრა ხემწიფესა:

— ვინ გააკეთებსო?

— ვინც ეგ ტყავი მოგიტანაო! — დაიბარა ხემწიფემ მონადირეი და დაავალა ოთახი გაკეთება.

— კალატოზი არა ვარ, დურგლობა არ ვიცი და რით გავაკეთოო! — ბიჭი ტირის. დედამ ჲკითხა. რათაჲ ტირიო? — ასე მითხრა ხემწიფემაო. ღამით სიზმარში ნახა მამაი.

— აკი გითხარ, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო. წადი ხემწიფეჲ საცა უნა ოთახი, ოთხი კუთხე გაუკეთე, შიგ დაჯექი და ოთახი გაიმართებაო. — დილით მივიდა ხემწიფეჲთან, იმ ღამეჲ დადგა ბიჭი იქა და ისეთი ოთახი გაიმართა, თვალი უკეთეს ვერ იპოვიდა.

ხემწიფეჲ ოთახი მეეწონა. ნაზირ უთხრა:

— ფული ბლომათ მიეცი ბიჭსაო. — ნაზირმა წაიყვანა, აბაზი მიჲცა და ოთხი სილა გაარტყა. ხემწიფეჲ უთხრეს:

— ამ ოთახთან ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რო იადონი და ბულბული შიგ გალობდეს, ათასნაირათ ყვაოდესო.

— ვინ გააშენებს მასეთ ბაღსაო?

— ვინც ოთახი ააშენაო. — ხემწიფემ ისევ დაიბარა ბიჭი და ბაღი გაშენება დაავალა.

ბიჭმა თავში იცა ხელი, მაგრა რას იზამ. იმ ღამეჲ სიზმარში ნახა მამაი.

— აკი გითხარი, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო, ახლა ხო ხედამ, რა დღეში ჩავარდიო. — მაგრამ მაინც აჲწავლა: — საცა უნდა ბაღის გაკეთება ხემწიფეჲ, ოთხივ კუთხივ ბოძები დაურჭე, ხემწიფეჲ ათასი ფერადი გამაართვი, ის ფერადი გარეშემო შამაარტყი, ღამით შიგ დადექი და ისეთი ბაღი გაიმართება, რო თვალ ვერ მააშორებო.

ბიჭი ასეც მაიქცა და ისეთი ბაღი გაიმართა, რო იადონი და ბულბული სუ შიგ გალობდა.

ხემწიფეჲ გეეხარდა ესაა. ნაზირ უთხრა:

— რასაც მეერიოს, იმდენი ფული მიეცი ბიჭსაო. — ნაზირი წავიდა, ექვსი შაური მიჲცა და ექვსი სილა გაარტყა.

ნაზირ-ვეზირმა კიდე უთხრა ხემწიფეს:

— ამ ტყავის პატრონიც აქ უნდა გყავდესო.

— ვინ მაიყვანსო?

— ვინც ეს ტყავი მაიტანაო.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიჭი და იმ ტყავი პატრონი მოყვანა დაავალა.

იმ ღამეჲ სიზმარში მოვიდა მამაი და უთხრა:

— აკი გითხარი, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო, რაკი ხემწიფე არ გეშვებაო, ხემწიფეჲ ოქროჲ ნავი გააკეთებინე, ზღვაში ერთი ლერწამია, იქ ხი ის ქალი და შაიძლება წამაიყვანოო. ნავი იმ ნაზირ გააკეთებინოს, ვინც სილა გაგარტყაო.

მივიდა ბიჭი ხემწიფეჲთან და ესე უთხრა. ნაზირი სუ დაგირავდა ცოლ-შვილითა და გააკეთა ოქროჲ ნავი. ბიჭი ჩაჯდა, გაჲწია და შავიდა ზღვაში. ეს ნავი ისეთია, რო სუ ბდღვრიალებს.

ამ ქალ ორაგული ყამ მოსამსახურეთ და ეს ნავი რო დაინახა, ქალ უთხრა:

— აქ მოიპატიჟეო. — მოვიდა ბიჭი ლერწამთან.

— არ შეიძლება ნავში ჩამსვა და გამატაროო? — უთხრა ქალმა ბიჭსა.

— მეტი აბა რა ხელობა მაქო.

მიუტანა ეს ნავი და ქალი ჩაჯდა შიგა. ბიჭმა წამოიყვანა ქალი ხემწიფეჲთან.

— მიმაბრუნე უკანაო.

— არა, ხემწიფეჲთან უნდა წაგიყვანოო. — ქალმა წაიძრო ხელიდან ბეჭედი და ჩააგდო ზღვაში, ნავი დადგა, ბეჭედი კი თევზმა ჩაყლაპა. მაშინ უამბო ყველაფერი. ქალი დეეთანხმა. ოღონდ ბეჭედი უნდა იპუონ, თორე ნავი არ მიდის. ქალმა ორაგულ უთხრა: — მოძებნე ბეჭედიო. ორაგული დაჲყვა მეთევზეებ და იპუა ბეჭედი. მიუტანა ქალსა. რამწამ გაიკეთა ბეჭედი, დაიძრა ნავი.

ხემწიფეჲ მომზადებულა: ქალზე ჯვარ დავიწეროო. ქალმა უთხრა:

— შენ იარაღი შამომარტყი სამ დღესაო და მერე შაიძლება ჩემზე ჯვარი დაიწეროო. — ეხლა ქალმა ჰკითხა: — ამ ბიჭმა რო ეს ტყავი მოგცა, რა მიეციო?

— ნაზიო უთხარი, ფული მიეციო.

— ბიჭო, რა მოგცესო?

— ორი შაური და ორი სილაო!

— ოთახში რაღა მიეციო?

— ოთხი შაური მომცეს, ოთხი სილაი გამარტყესო.

— ბაღშიო?

— ექვსი შაური მამცეს და ექვსი სილა გამარტყესო.

ქალმა გაუსვა ხელი, ჯერ ხელმწიფეი მოკლა, მერე ნაზირ-ვეზირი, ამ ბიჭზე დაიწერა ჯვარი და სახემწიფო მაჲ დარჩა. მათ ქორწილში მეც ვიყავი, ერთი-ორი ჯამი ღვინოი დავლიე.

4

ერთ ქვეყანაში ერთი სოვდაგარი იყო. მთელი ქვეყანა შააჯერა და წამალი ვერ იშოვნა, რო შვილი გაშჩენოდა. ერთხელ გზაში მოდის და დაინახა, დურგალი ყანასა მკის. დურგალი ამ დროს პურსა შჭამდა. სოვდაგარმა დაუძახა:

— წყალი ხომ არა გაქვსო?

— მობრძანდი, წყალიცა მაქვ და ღვინოცაო!

მივიდა სოვდაგარი, დასხდნენ და პური ჭამეს. ერთიმეორეს თავაანთი თავგადასავალი უამბეს. სოვდაგარმა უთხრა:

— ჩემი საქმე ასეა, ამოტელა ქონება მაქვ და შვილი არა მყაო. — დურგალმა უთხრა:

— მე შვილი გაჩენი წამალ გაჲწავლი, წლი თავზე ვაჟიშვილი გაგიჩნდება, თუ მე მამანათვლინებო.

— ოღონ შვილი გამიჩინე და თუ გინდა ასჯერ მოგანათვლინებო.— დურგალმა მიჲცა ერთი ვაშლი და უთხრა:

— გაშჭერი ეს ვაშლი, ნახევარი შენ შეშჭამე, ნახევარი ცოლმა და წლი თავზე ვაჟიშვილი გაგიჩნდებაო.

წამოიდა ეს სოვდაგარი. გაშჭრა ვაშლი, ნახევარი მან შეშჭამა, ნახევარიც ცოლმა და წლი თავზე, მართლაც, ვაჟიშვილი გაუჩნდა. დაიბარა დურგალი და მაანათვლინა. კაი დრო გაატარეს. დურგალმა უთხრა:

— ამას მე უნა დავანათლო ისეთი რამე. ეხლა რო წავალ—თვრამეტ წლამდინ ის უნა ვიმუშაოო; რო გახთეს თვრამეტი წლისა, ჩემთან გამოგზავნეო, — თქვა ეს დურგალმა და წამოიდა სახში.

დაიწყო დურგალმა ერთი ხი ცხენის გაკეთება. ეს ბიჭიც რო წამეიჩრიხვა და თვრამეტი წლისა გახთა, მამამ უთხრა:

— უნა წახვიდე შენ ნათლიაჲთანაო. — ბიჭი რო თვრამეტი წლისა შასრულდა, დურგალმაც დაამთავრა ხი ცხენი გაკეთებაი. სოვდაგარმა გაგზავნა ბიჭი. მივიდა დურგალთან. ჯერ კაი პური ჭამეს და ბოლოს დურგალმა უთხრა:

— მე შენ რო მოგნათლე, მა შემდექ ამ ცხენ ვაკეთებ, რო შენ დაგანათლოო, ეს ცხენი მფრინავია, მაღლა აუწევ აღვირს, მაღლა გაფრინდება, დაბლა დაჲწიევ, დაბლა წამოვა, გვერდზე მოჲწევ, გვერდით წავაო.

გამოიტანა ბიჭმა ეს ცხენი, გამეემშვიდობა თავი ნათლიასა და ნათლიდედას, აუშვა ეს ცხენი და წამოიდა.

ერთ ქვეყანაში ჩამოფრინდა. ერთ ბებერ ეჲტუმრა. ბებერმა უთხრა:

— შვილო, შენი საკადრისი მე არა მაქვს რაო.

— არ გინდა, ბებო, მე ყველაფერი მაქვ ჩემთვისო. — მიჲცა ფული ბებერს ბიჭმა და დაუბარა:

— რაც გინდა, იყიდეო. — ბებერმა იყიდა ყველაფერი და სახში დაბრუნდა. როცა კაი პური ჭამეს, ბიჭმა ჰკითხა ბებერსა:

— ბაბო, ამ ქალაქში რა ამბავიაო?

— ამ ქალაქში, შვილო, ერთი კაი საინტერესო სანახავია, მეტი არაფერიო. ჩვენ ხემწიფეს ერთი ქალი ჰყამს, წონით ერთი ჩეთვერიაო. ყველა ასო ქალისა აქვ, რამტელი ხანია ოქროს სინაზე დევს და არც ირდება და არაფერი, მაგრამ დილით ხემწიფეი წონისო.

ბიჭმა თქვა: „რაც მამივა, მამივა, ის ქალი უნდა ვნახოო“. შაჯდა თავი ხი ცხენზე და წავიდა. შავიდა ხემწიფი სახში, ცხენი კარებში მიაყუდა. დახედა ამ ქალ, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, ქალია, მაგრა ერთი ჩეთვრი წონაი აქვს. დატოვა ეს ქალი და წამოიდა. მოიდა ბებერთან და უთხრა:

— მართალი ყოფილა, ბაბო, რაც შენა თქვიო. — გათენდა დილა და ეს ქალი აჲწონა ხემწიფემ, ნახა, ქალი ნახევარი ფუთია წონით. — ჩემ შვილ ვიღაც უცხო თვალი მახვეჲრია წუხელი და რაც გარეთ ყარაულები ჰყვანდა, სუ დახოცა. ბიჭმაც გაიგო, რო ეს ქალი წუხელ გაიზარდა, უკვე ნახევარი ფუთია. ბიჭი დაინტერესდა: კიდე უნა ვნახოო. დაღამდა თუ არა, ბიჭი შაჯდა თავი ხი ცხენზე და წავიდა. ჩაფრინდა ხემწიფი სასახლეში, ჩუმათ შაიპარა სახში. ნახა, ეს ქალი უკვე ბავშვია, ნახევარი ფუთი. აიღო ხელში, უსურვილა, ბოლოს დასვა ისევ ისე ოქროს სინაზე და წამოვიდა. ბებერს უთხრა:

— მართლა ნახევარი ფუთია, ისეთი ყმაწვილი გამხთარა, როგორც ბადრიო.

— შვილო, უცხო თვალი მოხვედრია, თორე რამტელი წელიწადია, ეს ბავშვი ისე არის და არისო.

მეორე დილით ხემწიფემ აწონა ქალი, ნახა, ფუთნახევარია. ხემწიფემ იმ ღამეს რო ყარაულები ჰყამდა, ისინიც დახოცა: ვიღაც შამოდის და ვერ იგებთო და ახალი გუშაგები დააყენა.

ბიჭმაც გაიგო, რო ეს ქალი უკვე ფუთნახევარია. დაღამდა თუ არა. შაჯდა თავი ცხენზე და ჩაფრინდა ხემწიფი სასახლეში. ნახა, ბავშვი მართლა ფუთნახევარია. ელაპარაკა ამ ბავშვ და ისევ ისე წამოიდა.

ბებერს უთხრა:

— მართლაც ფუთნახევარი გამხთარაო. — გათენდა დილა. ნახა ხემწიფემ ქალი, აჲწონა და სამი ფუთია. მესამე ყარაულებიც გააჲწყვიტა ხემწიფემ.

გავარდა ხმა: ქალი უკვე სამი ფუთი გახთაო. ეს ბიჭიც კვირობს. ერთი კიდე უნა ვნახოო, ბიჭმა იფიქრა, როცა დაღამდა, შაჯდა თავი

ხი ცხენზე და ჩავიდა ისევ ისე ხემწიფი ქალთან. ნახა, მართლა სამი ფუთია. მოუჯდა გვერდში, იარშიყეს, ისურვილეს, ბოლოს ერთი აკოცა. გამოიწია და წამოიდა. სადაც აკოცა, იქ ქალ ხალი დააჩნდა. მოიდა ბებერთან და უთხრა:

— მართლა სამი ფუთი გამხთარაო.

დილაზე აწონა ხემწიფემ თავი ქალი, ნახა, სამი ფუთი კი არა, ოთხ ფუთსა აღარა აკლია რა. შამოუარა ხემწიფემ სახლსა, ბანიდან არის ნავალი. თავში იცა ხელი, რო ტყუილა დახოცა ყარაულები, ვეზირებმა უთხრეს ხემწიფეს:

— სახლ ირგვლივ კუპრი შემოვავლოთ, ბანზეც კუპრი დავღვაროთ, თუ მოვა ვინმე, შიგ ჩარჩება და დავიჭეროთ. — შემაასხეს კუპრი მართლაც.

ბიჭმა გაიგო, რო ის ქალი ოთხი ფუთია. წამოიდა ღამით სანახავათ. ბინიდან რო წამოიდა, თავი ცხენი ჩეეფლო კუპრში. იფორთხა, იწვალა და, როგორც იყო, ამოიდა და გაფრინდა თავი ცხენით. დილით ხემწიფემ ნახა, რომ ცხენი ნავალია. გაძცა განკარგულებაი:

— საცა კუპრიანი ცხენი და კაცი ნახოთ, დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო. — დაუარეს, მთელი ქვეყანა გაშინჯეს და ვერსად იპოვეს ასეთი კაცი. ხემწიფემ იკითხა:

— აღარავინ დარჩა, რო არ გენახოთო?

— ბებერთან ამ წინეებზე ერთი ტუმარი იყო და არ გვინახამო.

— ისიც მამიყვანეთო. — წაიყვანეს ბიჭი, უპოვეს კუპრიანი ტანისამოსი და გადაუწყვიტეს დახრჩობა. ვეზირებს უთხრა ხემწიფემ:

— წაიყვანეთ და ქალაქგარეთ დაახრჩეთო. — ბიჭი რო მოძყამთ, ბებრი კარებზე გამაატარეს. ბიჭმა უთხრა:

— ერთი კვირაა, იმ ბებერთან მაქვ ბინაი და შავალ, ერთ მაინც დავკოცნი და მერმე გინდა დამახრჩეთ და გინდა დამწვითო. — შავიდა ეს ბიჭი, აისხა თავი ხი ცხენი, შაჯდა, აძყარა ჭერი და გაფრინდა. მივარდა ხემწიფი სასახლეძთან, გამოიტაცა ეს ქალი, შამაისვა ცხენზე და გაფრინდა. ხემწიფემ დაინახა ეს ყველაფერი: ვეზირებმა კიდე ვეღარ ნახეს ეს ბიჭი.

ერთ უდაბურ ტყეში მოიდნენ. ამ ქალ მუცელი აძტკივდა. ბიჭ უთხრა:

— ძირს უნდა ჩავიდეთო. — ბიჭმა გახედა წყალგაღმა და დაინახა, რო დიდი ცეცხლი ანთია. ჩამოიდნენ ძირსა და ქალ უთხრა:

— მე წავალ ამა და ამ ალაგას, ცეცხლი ანთია და ცეცხლ მოვიტან, თუ ცოცხალი მოვედი ხო, თუ ვერ მოვედი, თუ ბიჭი გაგიჩნდეს, აბრამი დაარქვი, თუ ქალი, რაც შენი ნება იყოს — ისაო. — დატოვა ეს ქალი ამ უსიარ ტყეში და თვითან წავიდა. მივიდა ეს ბიჭი, საცა წყალგაღმა ცეცხლი ანთია, დახედა ზევიდან ამ ცეცხლსა, გარშემო

ათი-თორმეტი მდევი უწემ, ძირს რო ჩავიდეს, ალაგი არაა, რო ცეცხლი აილოს, მაღლიდან რო დაჲწვდეს, ეშინია, ეს კუპრიანი ხი ცხენი არ დაეწვას. დაწვდა ისევ ისე ზევიდან ამ ცეცხლსა, მაგრა წეეკიდა კუპრიან ხი ცხენს ცეცხლი და დეეწვა. ამ ბიჭმა იფიქრა: წავიდე ფეხითა, იმ წყალში მაინც ვერ გავალ, ისევ ისე დავრჩები, ეგებ მდევებმა შამიცოდონო. მივიდა და რომელიც დიდი მდევები იყვნენ, იმათ შუაში ჩაწვა. რო გათენდა დილა, მდევებმა ნახეს ადამიანი. — კარგი საუზმე მოგვსვლიაო. — თქვეს. ზოგი დანას ამზადებს, ზოგი წყალ, დიდმა მდევმა უთხრა:

— ჯერ დაიცათ, გამოვკითხოთ, ვინ არი და მერე შავჭამოთო. — გამოჲკითხეს ამ ბიჭ.

— მე ამა და ამ უდაბურ ტყეში მუცლი მტკივანი ქალი დავტოვე მარტოკანაო და ცეცხლიტვინ წამოველი აქაო. ხი ცხენი მქონდა და რო დავწვდი, დამეწვაო. ავდექი და ვთქვი: აბა, სად უნდა გავეპაროო და ისევ ისე თქვენ შუა დავწექი და, რაც გინდათ, ის მიყავითო. — მდევებმა თქვეს:

— იყვეს. სახში დავტოვოთ, კერძ გაგვიკეთებს, ცეცხლ დაგვინთებს, მაგი შეჭმა რა არისო. — დაიყენეს ეს ბიჭი მოსამსახურეთ.

იმ ქალ მართლა ვაჟიშვილი დეებადა, დაარქვა აბრამი. იხეტიალა, იწვალა, ხან ბალახი ჭამა, ხან რა და გამოიდა ამ უსიარ ტყეს. მაადგა ერთ ქვეყანას, სწორეთ იმ დროს ხემწიფეს ირჩევენ. ააფრინეს მტრედი და ამ ქალ დააჯდა მხარზე. კიდევ ააფრინეს და ისევ ისე ამ ქალ დააჯდა. წაიყვანეს ეს ქალი და დაამწყვდიეს ერთ ალაგს, მტრედი მაინც ამ დამწყვდეულ ქალ დააჯდება. გამაიყვანეს და თქვეს:

— რაც არი, არი, ეს ყოფილა ჩვენი ხემწიფეო.

ქალი სახემწიფოს კარგათ განაგებს. მან იცის, რო თავი ქმარი იმ წყალ გადაღმაა წასული. ერთ დღეს მაიწვია ხალხი და უთხრა:

— ხო იცით, რო წყალგაღმა მინდორი ჩვენთვის ძალიან საჭიროაო. იმაზე ისეთი ხიდი უნდა გავაკეთოთ, რო გასვლა-გამოსვლა შაიძლებოდესო, თავსა, შუაზე და ბოლოს ჩემი სურათი გავაკრათო. ვინც ამ სურათს შეხედავს, დაიჭირეთ და მამიყვანეთ აქაო.

მართლაც, გამართეს ისეთი ხიდი, როგორც ხემწიფე ქალმა ბრძანა. ბიჭმა იჲწავლა დეური ენა. გაიგო, რო დევები ლაპარაკობდნენ: ამ წყალზე ხიდი გაუკეთებიათ და აქედან უნდა გადვიკარგოთო. ბიჭმა იფიქრა: დღე გავიპარო, ვაითუ გზაში შემოვხვდე ამ მდევებსა და შამჭამეს, მოდი, ისევ ღამით გავიპარები და, სანამ მამძებნიან, გავასწრებო. ერთ ღამეს გამაიპარა ეს ბიჭი და მაადგა ამ ხიდს. შახედა ქალი სურათსა და იქვე ფერ-ფური წაუვიდა, წვდნენ და დაიჭირეს. შუაზე რო მოიდა, სურა შახედა ისევ ისე და უკვე მუხლთ მოჲკვეთა, ნაპირში რო გამოიდა, შახედა სურათსა და გულიც წაუვიდა. მოუყვანეს ეს ბიჭი ხემწიფე ქალსა.

ქალს ვაჟკაცური ტანისამოსი ეცვა. შახედა და იცნო თავი ქმარი-დაუტყაპუნა ფეხები:

— რა უფლება გქონდა, რო შენ იმ სურათ შახედეო?

— რა ვქნა, შავხედეო, გინდ თავი მომჭერით და გინდ რაც გსურთ, ის მიყავითო!

— მაინც რა იყო მიზეზიო?

— თუ სიმართლეს მათქმევინებ, ვიტყვი, თუ არა და არაო! — დართო ხემწიფემ ნებაი. ბიჭმაც დაიწყო:

— ერთი ჩეთვრიანი ქალი გამოვზარდე წვითა და დაგვითაო, ბოლოს მოვიტაცე, ცოლათ შავირთე, მე ცეცხლიძთვინ წაველი, მდევებ ჩაუვარდი ხელში, ეხლა ის სურათი ჩემ ქალ ვამზგავსე და იმიტვინ შავხედეო.

— როგორ თუ შენი ცოლი, ის ჩემი ცოლიაო! — დაუტყაპუნა კიდე ხემწიფემ ფეხები.

— ვაჟი შვილი რო უნა გაგჩენოდა, რა უნა ერქვასო? — ჰკითხა ხემწიფემ.

— ჩემ შვილ აბრამი უნა ერქვასო!

— აბრამო! — ერთი დაიძახა ხემწიფემ და იმ საათი იქ გაჩნდა ეს წამოჩრიხული ბიჭი.

— ეს შენი შვილიაო? — ჰკითხა ხემწიფემ.

— არ ვიცი, კი არ მინახამ ჩემი შვილიო!

— ეგ შენი შვილია და მე შენი ცოლი ვარო, — თქვა ხემწიფემ. გადაიძრო ქურქი და მეეხვია თავი ქმარს.

გადიხადეს ერთი დიდი მეჯლისი. ქალმა ხალხ უთხრა:

— სახემწიფო თქვენთვინა დამითმია, მე კი უნა წავიდე ჩემ ქვეყანაშიო.

წამოიდნენ ჯერ თავი ნათლიასთან. იქ ერთი კაი პური ჭამეს და ნათლია წამოიყვანეს. მოვიდნენ თავი მამა სოვდაგართან. იგიც ძალიან გაახარა. შასხდნენ სუ ყველა ცხენებზე და წავიდნენ ქალი მამის ქვეყანაში. დრო, ჟამი, ხანი იარეს და მაადგნენ ქალი მამის ქვეყანას. ხემწიფემ ერთი დიდი ქორწილი გადაიხადა. ხემწიფობაც ამ სიძეს დაულოცა და სახემწიფოც.

ალი ართალი, ბალი ართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი!

## 5

ერთი გლეხი ცხოვრობდა. ერთი ძროხაი ჰყვანდა, მუდამ დღე ამ ძროხი რძეს ყიდდა და ცოლ-შვილ ინახამდა. ერთხელაც გაიარა და გველის სორო ნახა. გლეხმა თქვა: გამიგონია, რომა გველ ძალიან უყვარ სითეთრეო, მოდი ამ ერთ დღეს, თუ გინდა ჩემი ცოლ-შვილი მშივ-

რები იყვნენ, ამ რძეს გველ ვაჭმეო. დადო სოროს პირზე ეს რძეი და თითონ შორი-ახლო დადგა.

ამოიდა ამ გველმა, დალია ეს რძეი და ერთი ოქროს თუმნიანი ჩააგდო სარძევეში. გველი ისევ ისე ჩავიდა სოროში. აიღო კაცმა ეს სარძევე და წამოიდა. თუ უნა ეყიდა ცოტა რამე, ეხლა ამ ოქროს თუმნიანით ყველაფერი იყიდა და ცოლ-შვილიტვინ წამაიღო.

მოიდა სახში. ცოლ-შვილმა უთხრა:

— საიდან იშოვნე ამოდენა ფულიო?

— ჭამეთ, სვით, ეგ რა თქვენი საქმეაო!

ისევე მეორე დილით წამოიღო რძეი, იქვე სოროჲთან დადგა სარძევე. კიდე გამოიდა გველი. დალია რძეი, ჩააგდო ოქროს თუმნიანი და წავიდა. ასე შაეჩვია ამ გველსა, რო აღარ ერიდებიან ერთმანეთსა. პირდაპირ მივა, დაუდგამს რძეს, დაჲლევს გველი, ჩააგდებს ოქროს თუმნიანს და გლეხიც მოდის.

ეს კაცი ძალიან გამდიდრდა. ერთხელაც დაჲპატიჟა ერთმა მეგობარმა ერთი კვირით. გლეხი დარდობს: ერთი კვირით რო წავიდე, იმ გველ ვინ მიუტანს რძეს, არ დავჭკარგო ის გველიო.

უფროსი შვილი კაი მოზრდილია. გლეხმა იფიქრა: მოდი, ვეტყვი ჩემ საიდუმლოებას, შვილია და გამიტანსო. წამოიყვანა თავი შვილი, წამოიღო რძეი და აჩვენა ეს გველი სორო. შვილ უთხრა:

— აი, სორო, ეს გველი და რძეი, მაიტანე რძეი, გველი დაჲლევს, სარძევეში ოქროს თუმან ჩააგდებს, წამაიღე და მოდი შინო. ერთ კვირამდინა, მერე მე მოუვლიო. მე ამ გველმა გამაკეთა, თორე პური ფულიც არ მქონდაო. — წავიდა ეს კაცი ერთი კვირით სხვაგან. ბიჭიც უზიდამს რძეს ამ გველსა და ასმევს, გველიც აგდებს სარძევეში ოქროს თუმანს.

ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ რო მოიტანა ამ ბიჭმა რძეი და ოქროს ფული ნახა, თქვა: ნეტა ამ გველ ამტონი ოქროს ფული სადა აქვსო, ალბათ ნატვრი თვალი აქვო, მოდი ამ გველ მოვკლამ და ნატვრი თვალი მე დამრჩებაო.

ერთხელაც მოუტანა რძეი, გველი რო დეეწაფა და სვამს, თან კეტი ჰქონდა, მოუქნია და თავში უნა დაერტყა, მაგრა გველი დაყირავდა, და ბოლო წააწყვეტა. ამოიდა ეს გველი სოროდან და დაგლიჯა ეს ბიჭი. სახლამდინ კი მიაღწია და იმ სააჩი სული დალია.

სად არი, სად არა, ეს კაციც მოიდა, ნახა, სახში მკვდარი შვილი გველისაგან. მაშინვე მიხვდა ეს კაცი, რო ის გველი დაგლიჯამდა. კაცი ფიქრობს: შვილი ვიდარდო, თუ მუდამდღე ოქროს თუმნი დაკარქვაო?! დაასაფლავა შვილი და თქვა: უნა წავიდე გველთან, ან უნა დამგლიჯოს და ან უნა შაურიგდეო.

აიღო თავი რძეი და მივიდა გველი სოროჲთან. დადგა რძეი და თითონ შორ დადგა. ამოიდა გველმა და უთხრა:

— არ დავლევ, შენი რძეი უკან წაიღე, მე შენ არ შაგირიგდებიო. როგორ უნდა შაგირიგდე, მივიხედავ, ბოლო აღარ მექნება, მამივა ჯავრი, შენ კიდევ ჩემი საიდუმლოება არ შაინახე და შვილ უთხარი, შენმა შვილმა ჩემი სიკვდილი მაინდომა, მე შვილი მოგიკალი, ერთხელაც იქნება და ამიტეხამ რასმეო, ჯობია, შენ შენთვინ იყო და მე ჩემთვინო!

კაცმა უთხრა:

— არა, არაფერ გერჩი, რაც მოგვივიდა, შავრიგდეთო.

— შავრიგდეთ, ხოლო იმ პირობით, რო შორ იყავი, დავლემ რძეს, ჩავაგდებ თუმან და წაიღეო.

ეს კაციც ასე იქცევა. მააქვს რძეი, შორი-ახლო დადგება, გველი დაჲლევს, ჩააგდებს თუმანს და მიდის. ასე შარიგდნენ გველი და გლეხი....

6

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთი ძალიან ღარიბი კაცი იყო. ჰყვანდა ოთხი შვილი. ამ კაცმა ცოლ უთხრა:

— მოდი, წავალ, რამეს წავაწყდე შაიძლება და ოჯახს უშველიო.— გაჲწია და წავიდა. გაიარა ერთ სოფელში.

— მოჯამაგირე ხო არავის გინდათო? — იკითხა. ერთმა კაცმა უთხრა:

— მე მინდა მოჯამაგირეიო. მაგრა რა მოქცე წელიწადშიო, წორეთ უნდა მითხრა, რაცა ღირხარო. — ღარიბმა იფიქრა: ნეტა წორე რა იქნებაო, და უთხრა:

— ხუთი მეენთი მამეცი წელიწადშიო!

— არ არი წორე, არ მინდიხარ, წადიო, — უთხრა ამ კაცმა ღარიბს.

წავიდა ღარიბი. ცოტა იარა, შამოხვდა სოლომან ბრძენი. ღარიბმა კაცმა სოლომან ბრძენსაჲ კითხა:

— მოჯამაგირე ხო არ გინდაო?

— მინდაო, — სოლომანმა უპასუხა, — მაგრა რა მოგცე წელიწადშიო?

— რავი, რაც გინდა, ის მამეციო!

— თუმან მოგცემ, წლის ბოლოს, გინდა ერთ სიტყვას გაჲწავლიო.

დაუდგა ეს ღარიბი მოჯამაგირეთ სოლომან ბრძენსა. წელიწადი რო გავიდა, დაიბარა სოლომანმა და უთხრა:

— აი, თუმანი, გინდა ეს აიღე, გინდა ერთ სიტყვას გაჲწავლიო.— ღარიბმა უთხრა:

— მოდი, აბა ერთი სიტყვა მაჲწავლე, ვნახო, რა იქნებაო!

— რაც უნა ფინთი რამე იყოს და შაგეკითხონ: როგორიაო? შენ მაინც თქვა, კარგიაო. საწყალმა ღარიბმა თქვა: ვაი, რა ტყვილა დავჰკარგე ეს თუმანიო. ბოლოს თხოვა სოლომანს:

— მოდი, კიდე დაგიდგები მოჯამაგირეთო! — დაიყენა ეხლა ოც მეენთათ. წელიწადი რო გავიდა, მიიტანა სოლომანმა და ოც მეენთს აძლევს ამ ღარიბსა.

— გინდა ეს ოცი მეენთი წაიღე, გინდა ერთ სიტყვას გაჲწავლი კიდევაო!

— არ მინდა ოცი მეენთი, კიდე მაჲწავლე ერთი სიტყვაიო! — უთხრა ღარიბმა.

— რასაც ვერ შაჲწვდე, არ შაეტოტინოო! — აჲწავლა სოლომან ბრძენმა, — შენ არავის დეენაძლაო, თუ სხვამ გითხრას, დეენაძლიეო. —

ამ ღარიბმა უთხრა:

— მოდი, ერთ წელიწადს კიდე დაგიდგები მოჯამაგირეთო! — დაიყენა ისევ ისე და ეხლა სამ თუმან აძლევს წელიწადში.

წელიწადი რო გავიდა, სოლომანმა მიუტანა სამი თუმანი და უთხრა:

— გინდ სამი თუმანი წაიღე, გინდ ერთ სიტყვას კიდე გაჲწავლიო! — საწყალმა კაცმა უთხრა:

— მაინც ღარიბი ვარ, სამი თუმანი რას მიშველის, მაჲწავლე ეს ერთი სიტყვაცაო!

— რაც შენი თვალით არ ნახო და შენი ყურით არ გაიგონო, არ დაიჯეროო!

სამი წელიწადი ემსახურა ეს მოჯამაგირე სოლომან ბრძენს და ისევისე უკაპეიკოთ წამოიდა სახში. გამაიარა ერთი ხემწიფი კარებზე. ძალიაჲნა შია პური. ითხოვა: ცოტა პური მამეცითო. დაუძახეს ამ ღარიბ კაცს და შაიყვანეს სახში. ერთი კაი სუფრაა გაშლილი, ყველაფერი ზედ არის, სასმელი, საჭმელი. დაუდგეს სკამი და დასვეს. ჯამით კერძი მაართვეს. ჯერ კოვზი არ ჩაუყვია ჯაჲშია და ერთი ბაყაყი ჩაუხტა შიგა.

— როგო მოგწონს? — ხემწიფემაჲ კითხა. ჩაყო ამ ღარიბმა კაცმა ხელი ჯამშია, მააგონდა სოლომან ბრძენის ნაჲწავლი სიტყვა და თქვა:

— რა მშვენიერია, რა კარგიაო! — გამოუცვალეს საჭმელი და სხვა მოუტანეს. იმ ღამე ეს ღარიბი არ გამოუშვეს. მეორე დღეს კიდე გაშალეს კაი სუფრა. ხემწიფემ სხვა ხალხიც დაჲპატიჟა. მიართვეს საჭმე-

ლები ხალხს. ამ ღარიბ კაცსაც დაუდგეს ერთი ჯამი. გაქანდა ბაყაყი და ისევ ისე ჩაუხტა ჯამში.

— როგორ მოგწონთ? — კიდევაჲ კითხა ხემწიფემ ღარიბსა.

— ძალიან მშვენიერია,§ ძალიან კარგიაო! — გაიმეორა ამ ღარიბმა. ბაყაყმა გაიძრო ტყავი და იმ სააჩი მზეთუნახავი ქალი გამოიდა, ეს იყო ხემწიფი ცოლი. — ამტელი ხანია ბაყაყის ტყავით ამ საქმეს ჩავდივარ და ამ კაცის მეტ არავი მოვწონებივაროო, — თქვა მზეთუნახავმა ქალმა.

რო ისადილა, ღარიბმა თქვა:

— გამიშვით, სამი წელიწადია, ცოლ-შვილი არ მინახამ და მშივრები დამეხოცებიანო. — მზეთუნახავმა ქალმა უთხრა:

— შენ ჯერ ვერსად ვერ წახვალო. — ააყენა ღარიბი კაცი სუფრიდან, უბძანა თავი მოსამსახურეებს: წაიყვანეს, აბანავეს და ჩააცვეს სოვდაგრის ტანისამოსი. ექვსი დღე ეს ღარიბი არ გაუშვა მზეთუნახავმა ქალმა. მეექვსე დღეს დაუსაპალნა ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით ექვსი ჯორ-აქლემი, მიჲცა ექვსი მოსამსახურე, ერთიც კაი კრიალოსანი, ერთი კარგი ხალიჩა და ერთიც მუთაქა, გაისტუმრა და გაუშვა სახში.

ღარიბი რო მიდის ამ ქონებით, ერთ ალაგას წყაროი ნახა, იქ ერთი მშვენიერი ხეც იდგა. თავი მოსამსახურეებ უთხრა:

— დავისვენოთ აქაო. — ჩამოხადეს ჯორ-აქლემი, გაშალა ღარიბმა ხალიჩაი და წამოწვა ზედა და ათამაშებს ამ თავი კრიალოსანს...

გაიხედა, რო ერთი სოვდაგარი მოდის, მოიდა ეს სოვდაგარიც ამ წყაროჲთან, ჩამოხადა ჯორ-აქლემი და დაისვენა იმანაც. ლაპარაკობენ ერთი მეორეში. ამ ლაპარაკში რო არიან, წყაროჲთან ერთი ჩიტი მოფრინდა ასნაირი ფერისა, რამდენი ბუმბულიც აქს, იმდენფერიანი და ხი დაბლა ტოტზე დაჯდა.

სოვდაგარმა უთხრა ღარიბსა:

— დამენაძლიე, მაგ ჩიტ თუ დაიჰერ შენაო. — ღარიბ კაც მააგონდა სოლომან ბრძენის სიტყვაი და უთხრა:

— არა, მე არ შამიძლია, ვერ დავიჰერ მაგ ჩიტსაო.

— მაშ, მე დაგენაძლიები, რო დავიჰიროო! — უთხრა სოვდაგარმა.

— კარგი დამენაძლიეო, თუ დაიჰირე ეგ ჩიტი, ჩემ ჯორ-აქლემ მოგცემ, თუ ვერ დაიჰირე, შენი ჯორ-აქლემი ქონება მამეციო, — უთხრა ღარიბმა. დანაძლევდნენ. წამოდგა ეს სოვდაგარი და წაჲწვდა ამ ჩიტსა, მაგრა ჩიტი მეორე ტოტზე შაფრინდა, რო წაჲწვდა კიდე, იქიდან მესამეზე შაფრინდა, მესამედან მეოთხეზე, შაჲყვა ეს სოვდაგარიც, მაგრა გაფრინდა ჩიტი და წავიდა. მაიგო ამ ღარიბმა ეს სანაძლეოი.

წამოიყვანა თავი ექვსი ჯორ-აქლემი, ექვსიც სანაძლეოში მოგებული და წამოიდა სახლიზკენ.

თავი სოფელ რო მაატანა, ერთი მეზობელი გლეხი შამოხთა.

— გამარჯობა, შენიო! — უთხრა ამ გასოვდაგრებულმა ღარიბმა. — გაგიმარჯოსო! — უთხრა გლეხმაც.

— ვერა მცნობო?

— ვერაო!

— მე შენი მეზობელი ღარიბი რო ვიყავი, ისა ვარო, მითხარი, ჩემი ცოლ-შვილი როგორ არიანო?

— შენი ცოლ-შვილი რამტელი ხანია დაიხოცნენო, შენი სახლი ადგილზე ტპა დგა, ნანგრევიც აღარ ეტყობაო. — ამ გასოვდაგრებულმა ღარიბმა იფიქრა: რაღა მინდა სოფელში, თუ ჩემი ცოლ-შვილი აღარ არიანო; გამობრუნდა და წამოიდა. ამ წყაროზთან რო მოიდა, მაშინ მააგონდა სოლომან ბძენის ნაზწავლები: „სანამ შენი თვალით არ ნახო, არაფერი დაიჯეროო“. გამობრუნდა უკან და ისევ ისე წავიდა თავი სოფელში.

რო მივიდა, თავი სახლი დაინახა, ცოლ-შვილი დადიან ტიტვლები და მშივრები. მივიდა და თავი ცოლს გადაეხვია. ქალმა კივილი დაიწყო, ვეღარაზ ცნობს ქმარსა: — შენი ქმარი ვარო. ქალ არა ზჯეროდა, მაგრა გასოვდაგრებულმა ღარიბმა გადაიხსნა საყელო და გულზე ნიშანი აჩვენა. მაშინ დაიჯერა ქალმა და ისიც გადეეხვია. გამდიდრდა ეს ღარიბი, მთელი ოჯახი გაამდიდრა.

ააშენა სახლები და დღესაც კარგათ სცხოვრობს.

7

ერთ კაცხა გუთანი უბია და მიწასა ხნამს. ერთი პურის კაკალი ამააყოლა. კარქი მარცვალი, როგორც თხილი გული, აუგდო გუთანი და წამოიდა სახში. მოიდა სახში და ცოლმა უთხრა:

— ჰო, რათ მოხვედიო?

— რათ მოვედი და იმ დრომდინ არ ვიმუშავებ, მანამ იმ დროინდელ ხალხ ვერ ვიპოვი, ვინც ამ პურ ჭამდაო.

გაზწია და დიდხანს იარა. ერთ ადგილას უთხრეს, რომ ამა და ამ ალაგას ერთი ბებერი ცხოვრობს და იმას ეცოდინებაო. მივიდა ამ ბებრი კარებზე.

— ოჯახი პატრონო, ოჯახი პატრონო! — გამოიდა ძალიან მოხუცებული ქალი. — სახშია თქვენი ქმარიო?

— დიახ, სახშიაო.

— ერთი ცოტახან დაუძახე, თუ შაიძლებაო. — გამოიდა ეს ძალიან ჭაღარაშართული კაცი.

— რა გინდა, შვილოო!

— აი, იმ დროის მომწრე ხარ თუ არა, როცა ხალხი იმ პურსა სჭამდაო.

— მე არა, შვილო, მაგრა ჩემი უფროსის ძმაი ცხოვრობს ეგერ იქით და შაიძლება ის იყოსო.—ეგრე უთხრა წუათანამაც.

გაჲწია, წავიდა და მივიდა მესამე, უფროს ძმათან.

— ოჯახი პატრონო, ოჯახი პატრონოო!

გამოიდა იმითანა ფაშფაშა ქალი, რო თვალ მოგტაცებს (ეს ქალი იმ ბებრი ცოლია!).

— რა გინდა, ვინა ხარ შენაო.

— მე ამ ოჯახის უფროსი მინდაო.

— ამ ოჯახის უფროსსა სძინამ და მეც ამ ოჯახის უფროსი ვარ, რაც გინდა, თქვიო.

— არა, მე თქვენ მამაკაცთანა მაქ საქმეო.

— აბა, მოუცადე ცოტა ხანიო, — და მიიყვანა სახში.

უცადა კაცმა, დიდი ხანია უცდის, მარა არ ეღვიძება ამ კაცსა თავი დროთი. ქალ უფლება არა აქ, უდროოთ გააღვიძოს. ეს კაცი ხოშიმანშია და ქალმა იფიქრა: ზოდი, გავაღვიძებ ჩემ ქმარსაო. გააღვიძა, წამოდგა ეს კაცი. პირი დაიბანა, სარკეში ჩაიხედა. ერთი ჭალარა გამეერია.

— აბა, რა გინდა, რაზე მოსულხარო? — ჯერ პური ჭამა დაიწყეს,— ახლა თქვი, რა გინდაო.—ამოიღო და ის პური მარცვალი აჩვენა.

— მე მინდა გავიგო, ამ პური მომწრე ხარ, თუ არა შენაო?

— ვარო, — უთხრა, — დაიცა, ჯერ პური ვაჭამოთ და მერე გეტყვიო.

— პური რო ჭამეს (ცოლ უთხრა, ორსულათა ჰყამ, დღე დღეზე უნდა შვას ბავშვი!), — წადი ახლა მესამე სართულშია და ერთი საზამთრო ჩამოგვიტანეო.

გაიქცა ამ ქალმა ხელათ და ერთი საზამთრო ჩამოუტანა.

— ეს არა; სხვა აარჩიე და ის ჩამოიტანეო, — ქმარმა უთხრა. გაიქცა ამ ქალმა, აიტანა ეს საზამთრო ისევ ისეა და სხვა ჩამოიტანა.

— დე, ამაზე კარქი აარჩიეო, — და მესამედ გაგზავნა. წავიდა ქალმა და ისე ისე ეს საზამთრო ჩამოიტანა, სხვა არა აქვთ. დაჭრეს ეს საზამთრო, ჭამეს.

— აბა, უნდა წავიდე, ბარემ მითხარი, კაცო, ამ პურის ამბავიო, — უთხრა კაცმა.

— ეგ პური იმ დროინდელიაო, როდესაც ორი ძმა-კაცი იყრებოდაო. ერთი ცოლ-შვილიანი იყო, ერთი უცოლოო, კალოზე რო ხვავსა ჰყოფდენო, უცოლოი ეუბნებოდა, რო წაიღე, კაცო, შენ ოჯახიანი კაცი ხარო; ცოლშვილიანი კიდე ეუბნებოდა: წაიღე, კაცო, შენ უცოლო ხარ და მეტი ხარჯი გაქო. ეგ ერთი მარცვალი მაშინ დაკარგულა და შენ გიპოვიავო.

— კი მაგრამა, შენ თუ ასე უფროსი ხარ, ი შენი ძმები რათ არიან ეგრე ბებრები და შენ ასე ჯიელიო?

— ეე, ნეტაი შენო! — გაიცინა ამ კაცმა, — იმ ჩემ ძმებსაო, პირველათ რო ნახეო, იმასა ჰყამ ცოლათ ვირის გვერდიო, მეორეს კი — ძაღლი პირიო და მე მყავ ადამიანი შვილიო. ჩემმა ცოლმაო, მე რო ძილი არ დავამთავრე და გამაღვიძა, სარკეში რო ჩავიხედე, ერთი ჰაღარა გამომერიაო, ჩემი ცოლი, ხო უყურებ, ეგრე მყოფი ქალია, დღე-დღეზე დასაწოლიაო, სამჯერ ავიდა მესამე სართულში და ჩამოიდა, მე განა ბევრი რამე მაქ აქ, ეს ერთი საზამთრო მქონდაო. ხათრი რო არ გამიტეხა, ავიდა და ჩამოიდა, იმიტვინ არ არი ბებერიო. ისინი იმიტვინ არიან ბებრები, რო, ხო გაიგე, როგორი ცოლებიცა ჰყვანანო. წადი ეხლა და როგორც გიშრომია, ისევ ისე იშრომეო.

გამოემშვიდობა, წამოიდა და, როგორც შრომობდა, ისევ ისე დაადგა თავი შრომასა.

## 8

ერთი ხემწიფე იყო ერთ ქვეყანაში. ერთი ქალიშვილიც ჰყვანდა. ვინც სამ ტყუილს ეტყოდა, ეს ქალიშვილი იმას უნდა გაჰყოლოდა ცოლათ. თუ არა და, ვინც სამ ტყუილს არ ეტყოდა, თავი უნდა მეეჭრა.

ოთხმოზდაცხრამეტ მააჭრა თავი, რადგან ტყვილები ვერ უთხრეს. იმ სახემწიფოში ერთი მენახირე ბიჭი იყო, საქონელი დაუდიოდა სოფელში. მენახირე ბიჭმა თქვა: მოდი და ასათ მე შავასრულებ იმ ოთხმოზდაცხრამეტსაო და მაინც ვეტყვი სამ ტყუილსაო. თავი დედას უთხრა:

— წავალ, დედაჩემო, სამ ტყუილს რამე მოვახერხებ, ეგება ხემწიფი ქალი ვითხოვო ცოლათაო.

— არა, შვილო, დედა გენაცვალოს, ის თავ მოგჭრის, შენ სად იცი ტყვილები, რო უთხრაო. — ადგა ეს ბიჭი და წავიდა, — ტყვილები ვიცი და არ შეიძლება, არა ვთქვაო. მივიდა ამ ხემწიფი კარებზე. კარისკაცებს უთხრა:

— მე მინდა მივიდე ხემწიფესთანაო. კარიკაცები შავიდნენ და მაახსენეს ხემწიფეს, რომა ერთი კაცი მოიდა შენთანა ტყვილები სათქმელათაო. — ხემწიფემ ბძანა:

— შამოუშვით, მაიყვანეთ ჩემთანაო.

მიიყვანეს ეს მენახირე ბიჭი ხემწიფეთანა.

— რისთვის მოსულხარ, ბიჭიკოო? — უთხრა ხემწიფემ.

— მე მოვსულვარ სამი ტყუილი სათქმელათაო.

— მერე შენ საიდან იცი სამი ტყუილი, რატო გინდა, თავი მაიჭრა ტყუილათაო.

— ოთხმოზდაცხრამეტი გყოლია თავმოჭრილი და ასათ მინდა შავასრულოო, — თანაც კამისია სხედან იქა, რო დაამტკიცოს, მართლა ტყუილს იტყვიან, თუ არა.

— აბა, ადექი და თქვიო.

— გუშინ ნახირიდან რო მოვედი ჩემ სახშიაო, — დაიწყო ამ ბიჭმა ტყუილი, — დედაჩემსაო საჭამანდი არაჲ ქონდა გაკეთებულიო, მე კი პური მშიოდა ძალიანაო. ჩვენ ბახში ერთი გოგრა მეგულებოდაო, ავდექი და გოგრის მოსატანათ წაველი, რო საჭამანდი გაგვეკეთებიაო იმითიო. მიველ, ვნახე, საცა გოგრაი მეგულებოდა, იქ აღარ იყოო. გავყე ამ გოგრის კავსა და ოკეანის გაღმა გასულიყო და გაღმიდან იყო გოგრაიო, გაველი, გავიარე ამ კავზედაო, მოვგლიჯე ეს გოგრაი, საჭამანდი გავაკეთეთ და კაი ვახშამი გიახელით მე და დედაჩემმაო.

— ეგ ხო ტყუილიაო, — ხემწიფემ უთხრა.

— მეც იმიტვინ არა ვარ მოსული, რო ტყუილი ვთქვაო!

ეხლა ხემწიფემ უთხრა:

— წადი და ორი დღის შემდეგ მოდიო. — გავიდა ორი დღე და მივიდა ეს ბიჭი კიდევა.

— აბა, დაიწყეო, — ამ ბიჭს უთხრეს.

— გუშინ საღამოს რო ნახირიდან მოველიო, დედაჩემ საჭამანდი შეენელებინა და მარილი ვერ ეშოვნაო. მეზობლებშიც გავიკითხეთ, მაგრა ვერსად ვერ ვიშოვნეთო; მე უთხარი დედაჩემ, ემ სააჩი მოიტან მარილსაო. ავდექი და გავიქეცი გუმბრშიაო, საიდანაც მარილი მოდის. წაველ: მიველ ამ გუმბრში, არაფელი ჩარილი არ არი, სიპი კლდეა მარტოო. მე არც ჩაქუჩი მქონდა, არც რამე, რო მამეტეხა კლდეი და მარილი წამომეღო. ხან აქეთ მივარტყი თავი, ხან იქით და ერთი კაი მორდილი ქვაი მავაგდებინეო. დავიგდე მხარზე და გამოვიქეცი შინისკენაო. მოვიტანე და შავანელეთ საჭამანდი და იმ ღამეს კაი ვახშამი გიახელითო.

— ეგ ხო ტყუილიაო? — უთხრეს.

— მეც ტყუილი მინდოდა მეთქვაო!

— წადი, ზეგ მოდიო, — კიდე უთხრეს ბიჭსა.

ამ ბიჭმა თქვა: მესამე ტყუილი რო აღარ ვიცი, რაღა უნდა ვთქვაო. იფიქრა, იფიქრა. მარა ერთი ასკოკიანი ქვევრი ჰქონდათ, ამააღებინა მუშებს. ეს დიდი ქვევრი მიწიდან აგორავა, აგორავა და ეს უზარმაზარი ქვევრი მააგორა ხემწიფეჲთანა.

— მოხველიო? — უთხრა ხემწიფემ.

— მაშ, მოველიო.

— აბა, თქვი ტყუილიო.

— მამაშენსაო მამაჩემისა ეს ერთი დიდი ქვევრი ოქროი მართებიაო.

— ეგ ხო ტყუილიაო? — ხემწიფემ დაიძახა.

— მეც ეგ მინდოდა. სამი ტყუილი ხო შასრულდა და ეგ არიო.

დაამტკიცეს, რო სამი ტყუილი მართლა თქვა ამ ბიჭმა. დარჩა მენახირეს ხემწიფი ქალი ცოლათ. შერთეს და იმ ქვეყანაში დღესაც ეს მენახირეა ხემწიფეთა.

9

იყო და არა იყო რა. იყო ერთი სოდაგარი კაცი, ჰყამდა ერთი ვაჟიშვილი. როცა კვდებოდა, დაუბარა ცოლსა. ეს ბიჭი ხელობაზე გაზარდე, ისე ნუ გაუშვებო. მოკვდა ეს კაცი. დედამ შვილს ჰკითხა:

— რა გინდა, რა ხელობა გაჰწავლო, განა მამიშენი ანდერძი ხო უნდა შავასრულო!

— მე ხენწიფობა უნდა ვიჰწავლო, სხვა არაფერი, — ეუბნება ბიჭი.

რამტელიმე დრო რო გავიდა, დედამ კიდე წაიყვანა ბიჭი ბაზარშია. აი, ჭედელი, აი, ხარაზი, აი, ნალბანდი... დედა უჩვენეფს ყველას, მაგრამ არა და არა, ბიჭი არ შვება.

ამაობაში ეს ბიჭი გაიზარდა. უთხრა დედასა:

— ერთი ხურჯინის თვალი ნუშ-ქიშმიშით გამიმსეო, მეორე კიდე სხვა რამე კაი საჭმელებითო, საცა გამომელევა, იქაურ ხელობის ვიჰწავლიო. — დედამ თქვა: ჯანდაბასო, გაუმსო ხურჯინი, თან გამეედევნა და მიდიან.

იარეს, იარეს და საჭმელი ისეთ ალაგას გამეელიათ, რო ნახეს: ხენწიფი ეზოა, წყალი მოდის და ისეთი ოქროს თასი უდგა, თვალ მოგჭრის, თანაც ყალაური უყენია.

ამ ბიჭს წყალი ჰწყუროდა. გადვიდა ამ ბახშია, წყალიც დალია, თასიც მოგლიჯა და დედას გამოატანა. ხენწიფეს კაცი მოუვიდა, თასი მოგლიჯეს და შენ ყალაურს არ შაეპუენო. ხენწიფემ თავის მოსამსახურეეფს უთხრა: ის ბიჭი აქ მომგვარეთო. დაიჭირეს ბიჭი და მიიყვანეს ხენწიფეჰთანა. ხენწიფემ უთხრა:

მოჯამაგირე მჭირდება, არ დადგებიო?

— როგორ არა, დავდგებიო!

— ას ცხენ ჩაგაბარეფ, აჭამე და მოუარე, სხვა არაფერი საქმე არ გექნებაო.

ჩააბარეს ასი ცხენი. ღამე მოდიან ასი კაცი, შუაღამისას წაიყვანებენ და მიუყვანებენ მერე. ბიჭმა თქვა: ნეტავ, გამაგებინა, ამ ღამე ეს ასი ცხენი სად მიყამთ და საიდან მოყამთო.

ხენწიფეს ჰყამდა ერთი გულთმისანი რაში მიგდებული. რაშმა უთხრა ოჯამაგირეს:

— მე ვიცი, საცა დადიან ისინი, ოღონდ ქერი მომიმატეო.

ბიჭმა მიუმატა ქერი. როცა მოჯობინდა რაში, უთხრა: როცა ის ასი კაცი წავა, ჩვენც წავიდეთო. წავიდნენ. მივიდნენ ერთ ალაგასა. იქ დიდარი სოდაგარია და იმის გასაცარცვათ არიან. დეერია ამ ას კაცს ბიჭი და რაში. ზოგი დახოცეს და ზოგიც გაიქცა. წამოიყვანეს ცხენები. ცხენი ცხენს მიუმატეს, კაცს კაცი და კიდენ ასათ გახადეს. წავიდნენ მეორე ღამესაც. თურმე ის ასი კაცი ხენწიფის კაცები იყვნენ. ბიჭმა და რაშმა კიდენ ბევრი დახოცეს და დაბრუნდნენ სახში ღამითვე. ცხენს ცხენი მიუმატეს, კაცს კაცი და ასათ შეასრულეს. მიუტანეს ხენწიფეს ამბავი, რო ეს ბიჭი გვხოცომსო. ხენწიფემ თქვა:

— ამა და ამ ალაგას ერთი აბანო ბრის, ვინც იქ მიდის, უკან ვეღარ ბრუნდება და, მოდი, ეს ბიჭიც იქ გავგზავნოთო.—დაიბარა ხენწიფემ ბიჭი და უთხრა:

— ამა და ამ ალაგას აბანო არის და ორი დოქი აბანო უნდა მოიტანოო!—წავიდა ეს ბიჭი. აამსო ორი დოქი და მიუტანა, მაგრამ ხენწიფემ უთხრა:

— ბარემ შიგნიდან რო აუზებია, იქ აგემსო, თორემ გარედან ამსებული არ ვარგაო. — ბიჭმა აიღო დოქები და წავიდა. მივიდა და შიგნით აუზეფში შევიდა. იქ ქალი დეეკიდა თმებითა და ბიჭს დაუძახა: მიშველეო! ბიჭმა წაუშვირა ზურგი, მაგრამ თქვა: რაღა ზურგი შეუშვიროო. ქალი ჩამოვარდა და მიწაზე დეეცა, წელამდი მიწაში ჩეეფლო. მივარდა ბიჭი, უნდოდა მეეკლა. ქალმა უთხრა:

— ნუ მამკლამო და აბანოსაც თავს დავანებეფ და კიდეც გამოგადგები.

ადგა და ამ ქალმა საჩუქრათ მიჰცა ერთი ძვირფასი თასი. ბიჭმა ის აბანო აღარ წაუღო ხენწიფეს, დოქები დაანტვრია და წავიდა სხვათა სახენწიფოში. მივიდა ერთი ბებრისას და დადგა. ბებერს ჰკითხა:

— რა ამბავია თქვენს სახენწიფოში?

ბებერმა უთხრა:

— რაღა რა ამბავია, ამ ჩვენ ხენწიფეს ერთი შვილი ჰყავს ავათყოფი, ეკლესიაში ასვენია და ყოველ ღამით ყალაურები უდგა თავს. ვინც უყალაურეფს, იღუპებაო. ჩემი შვილებიც იქ დაიღუპნეთო. ახლა ჩემ ბერიკაცს შახვედრია ყალაურებაო.—ბიჭმა უთხრა:

— მე წავალ იმის მაგიერათაო.

დედაბერმა დაინანა, მაგრამ ბიჭი მაინც წავიდა.

იმ ღამეს ბიჭი იქვე ეკლესიაში დაიმალა. ვნახოთ, ღამით აკოშკიდან ჩამოხტა ერთი ლამაზი ქალი, ხემწიფის შვილს გადაჰკრა წკეპლები, გააცოცხლა, იქეიფეს, როგორც უნდოდათ. რო გაათავეს ქეიფობა, ქალმა ბიჭს უთხრა:

— ხო გაგიწყვიტე მთელი ხალხი, ახლა სახენწიფოში კაცი აღარ გყამს ყალაურიო, ამეღამ აღარავინ მოსულაო!

ამ დროს გამოარდა ბიჭმა და სტაცა ამ ქალ ხელი, უნდა მოგკლაო! ქალმა უთხრა:

— ოღონდ ნუ მომკლამ და აჰა, ეს წკეპლები, დილაზე თუ გადაჲკრამ ბიჭსა, გააცოცხლებო!

ბიჭმა ქალი გაუშვა და წკეპლები დაიტოვა. დილაზე მოვიდნენ, წუხანდელი ყალაური მკვდარი იქნებაო, — იფიქრეს, — მაგრამ ბიჭი ცოცხალი ნახეს. მიუტანეს ხენწიფეს ამბავი, ყალაური გადარჩენილაო. ხენწიფემ გამოიძია: ვინ იყო, ვინ იყო მკვდართან ყალაურათ? ნახა, ეს ბერიკაცი იყო. დაიბარა ბერიკაცი და ყველაფერი გამოჲკითხა.

— არა, მე არ ვყოფილვარ ყალაურათ, ჩემთან ერთი ბიჭია და ჩემ მაგივრათ ის იყოო!

ხენწიფემ ახლა ის ბიჭი დაიბარა. ყველაფერი გამოჲკითხა. ბიჭმაც უამბო თავგადასავალი და ისიც უთხრა, შენ შვილ ახლავე გავაცოცხლეფო.

ხენწიფემ უთხრა:

— თუ შენ ჩემ შვილ გააცოცხლეფ, ნახევარ სახენწიფოს მოქცემ და გინდა შენ იყავი ხენწიფეთ, გინდა ჩემი შვილიო.

ბიჭმა უპასუხა:

— შენი არაფერი მინდა რა, შენი შვილი იყოს ხენწიფეთ, ოღონდ ცოტა სახარჯო ფული მამეციო.

ამ ხენწიფემ გაატანა სახარჯო ფული და ეს ბიჭი წავიდა სხვა სახენწიფოში. ისე გამეელია ეს ფული, რო ინ ერთი თასის მეტი არა დარჩა რა. ბოლოს მიდგა ინ თასის გაყიდვაზე საქმე. თასის ღირებულება თითონაც არ იცის. საცა მიიტანა სოდაგრეფში დასახურდავებლათ, უთხრეს: ხურდა არა გვაქვს, ნარდათ მოგვეციო. ეს ბიჭი ჩავარდა გუნებაში, ალბათ, ძვირი ღირებულა ეგ თასიო. სოდაგრებმა უთხრეს:

— ამ თასის ყიდვა აქაური ხენწიფის მეტს არა შაუძლიაო.

წაიღო და მიიტანა ხენწიფეჲთან. იმასაც ერთი იმისთანა თასი ჲქონია. რო აჩვენა ბიჭმა თასი, ხენწიფემ უთხრა: ეს თასი ჩემია, ჩემთვის მოგიპარნია, აი, მაგის ცალიო. თუ მომიტან მაგის ცალს, მომიტან, თორემ ციხეში უნდა ჩაგსვაო. დააბრალა ქურდობა ამ ბიჭს ტყვილა.

დაუდგა სამი ქართველი კაცი თავდებათა. გამოჲთხოვა სამი წელიწადი ვადათ. წავიდა ეს ბიჭი და დაიწყო დღე და ღამე სიარული. ნახა, ერთ ხევს აქეთ წიფელა დგას, მივიდა იქ და თქვა: მოდი ამაღამ ამ წიფელას ქვეშ გავათენეფ ღამეს და შემდეგ ვივლიო. ეს წიფელაი გადატყდა, გადაიდო მეორე წიფელაზე ხევ გაღმა ხიდათ. ბიჭმა ხიდზე გასულა განიძრახა. რო მიდის, ჩაიკეცა ეს წიფელაი და ჩავიდა ვაკეზე. ნახა, სინათლე ამოდიოდა. მივიდა ამ ბიჭმა, დაინახა სახლი. შიგ სამი

საწოლი იდგა, სამი რაში ება, ხალხი კი არ ჩანდა. თქვა: ამას პატრონი ეყოლებაო და იქვე დაიმალა.

სად იყო, სად არა, მოვიდნენ სამი დანი, ჩამოსხდნენ საწოლებზე, გაშალეს სუფრაი, დაიწყეს სადღეგრძელოები. უმფროსმა დამა თქვა სადღეგრძელო:

— ღმერთმა ადღეგრძელოს ის ბიჭი, აბანოში ̓რო ხალხს ვაფუჭებდი და-ძმათ მომეკიდაო! მერმე არსად შემხვედრია, ოღონდ ერთი თასი ვაჩუქეო. ნეტავი მაჩვენა, მე იმას არაფერს ვერჩიო.

საშუალომაც თქვა სადღეგრძელო:

— ერთ ხენწიფის შვილსა ვყვარობდი, ერთმა ბიჭმა დამიჭირა, წკეპლები ვაჩუქე და გამიშვაო. მოდი, ინ ბიჭს გაუმარჯოსო.

უნცროსმაც თქვა სადღეგრძელო:

— ღმერთმა ადღეგრძელოს ის ბიჭი, ჩემ კლავებზე, რო გამოვიდა ამაღამ და ახლა აქ არიო (თურმე ის წიფელა ეს ქალი ყოფილა!).

გამოვიდა ეს ბიჭი და უთხრა მათ:

— აბა, დებო, თუ არაფელს მერჩით, ის ბიჭი მე ვარო!

ძალიან დიდი პატივი ჲცეს. ბიჭმა უამბო მათ თავისი თავგადასავალი.

— თუ ისეთ თასს მიშოვნით, დამიხსნით, ხვალ საღამომდინ მაქვს ვადაიო, თუ არა, არაფერი მეშველებაო!

ბინდამდინ იქეიფეს. მერე ერთი ხურჯინის თვალი თასები მიჲცეს. აუხვიეს თვალები და ერთ წუჩი მიიყვანეს იმ სახენწიფოში. ხენწიფეს გაუკეთებია სამი სახრჩობელაი. რახან ეს არ მოვიდა, თავდებები უნდა ჩამოახრჩოს.

ბიჭმა მიუტანა თასები. ხალხი გაბრაზდა. გამოიყვანეს ეს ხენწიფეი და გაკეთებულ სახრჩობელაზე თითონ ჩამოახჩეს. დარჩა ამ ბიჭს მთელი სახენწიფო.

## 10

იყო და არა იყო რა. იყო ერთი დიდარი კაცი. ისეთი დიდარი, რო ნათესავეფსაც აღარ კადრულობდა. ჲყამდა სამი ქალიშვილები დასათხოვრები, მაგრამ დროთი არ გათხოვა ისინი. ადგა უნცროსმა ქალიშვილმა და ვიღაც შეიყვარა მამის ჩუმათ. ფეხმძიმეთ გახთა. გაიგო მამამ, ისაძრახისა და უთხრა თავის მოჯამაგირეეფს:

— ჩემ ეზოში ეგ აღარ დავინახო, წაიყვანეთ და მოკალით შვილდისრებითო.

მოჯამაგირეებმა წაიღეს შვილდისრები და წაიყვანეს მოსაკლავათ. ქალმა უთხრა მოჯამაგირეეფს:

— შეხედეთ ღმერთსა და ნუ მამკლამთ, გამიშვით ცოცხალი! — მოჯამაგირეეფს შეეცოდვათ, ადგენ და გაუშვეს. ქალმა მათ ჲთხოვა: რა-

ხან მადლი ჰქენით, მომეცით, სადაც იყოს, ერთი მამალი და მამაჩემს რო ჰყამს, ის ორი პატარა ფინიებიო. მოჯამაგირეებმა თქვეს: რაღაი მადლი ვქენით, ბარემ ესეც შაუსრულოთო. უშოვეს მამალიც და ერთი რწყვილი ლეკვიც და მიჰცეს. გამეემშვიდობა ამ მოჯამაგირეეფს, დაკოცნა და-ძმურათ და წავიდა ეს ქალი.

ქალმა მამალი ხელში დაიჭირა, ლეკვები უკან მიდევენ და მიდის უდაბნო თაში. დიდი იარა, პატარა იარა ამ ქალმა, მივიდა თაში ერთ სასახლესთან. არავინ ამ სახში არ ცხოვროფს. დარჩა ერთი კვირა ამ სახში. მიეცა ვაჟიშვილი. დაარქვა სახელათ გიორგი ხვთიშვილი. დედას კი ანა ერქვა. ეს გიორგი იმითანა რამე იზდება, სამი დღისა—სამი თვისას გამს, სამი თვისა—სამი წლისას. კარქი იზდება ეს ბღარი. გახთა წლისა გიორგი ღვთიშვილი, შეიძლო ნადირობა. ეს მამალი ყივა, ძაღლები ყეფენ, გარეული ცხოველი შიშით ვეღარ ეკარება, სოფელი . ჰგონია.

გიორგი ხვთიშვილი ყოველდღე ნადიროფს, კლამს შველს, კურდღელს და ნანადირევით ცხოვრობენ დედა-შვილი. წლის თავზე გამოჩნდა სახლის პატრონი. ეს სასახლე თურმე დევ-კაჟის ყოფილა. შეხედა დევ-კაჟმა თავის სასახლეს და თქვა: ვინ გაბედა მოსვლა, აქ ჩემი შიშით ცოცხალ არსებას ვერ მოუბედამს და ესენი ვინ არიანო! მოდი, მივალ, გავიგეფ, რა სულიერი არისო.

მივიდა, ნახა, ქალია ანა, ზეთუნახამი. კითხა:

— ვინ ხარ, რამ მოგიყვანა ამ ჩემ სახშიო?

ქალმა თავისი თავგადასავალი უამბო და უთხრა: თუ არ მომკლამ, კარქია, თუ არა, შენი ნება არიო. დევ-კაჟმა ქალი არ მოკლა, დაიმორჩილა. ქალიც დანებდა, მეტი რაღა შაეძლო, მაგრამ უთხრა:

— მე შვილი მყამს სანადიროთ წასული, თუ მოგვისწრო, არც შენ გაგიშვეფს ცოცხალს და არც მეო.

დევ-კაჟმა უპასუხა:

— მე შენი შვილი რას დამაკლეფს, აბა, ერთი ვნახო, რა კაცია და თავიდან მოვიშორეფო.

ვნახოთ, ეს ბიჭი საღამოზე მოვიდა ნანადირევით. — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — ვინა ხარ, რათ მოსულხარ აქ? — ჰკითხა გიორგი ღვთიშვილმა ამ დევ-კაჟს.

— მე ვარ ამ სახლის პატრონი. ჩემი შიშით აქ ჩიტი ვერ მოფრენილა და შენ ვინ მოგცა ნება, აქ რო დაბინავებულხარო!

— დედამ მამიყვანა, აქ დავიბადე და გავიზარდე, შენ სულაც არ გიცნოფო.

მაშინ დევ-კაჟმა დაავლო ხელი გიორგის, ეიყვანა, დაქრა მიწაზე და ჩაიყვანა მუხლებამდი მიწაში. ახლა ამ ბიჭმა დაავლო ხელი ამ დევ-

კაჲსა და ჩაიყვანა წელამდი მიწაში. დაუძახა თავის ფინეფს, აბა, მიშველეთო! მიცვივდნენ ფინები და სუ დააჭამეს ფეხები დევ-კაჲსა. ახლა გიორგიმ იდროვა, აჩეხ-დაჩეხა ეს დევ-კაჲი და გადაყარა იქით-აქეთ. დედას უთხრა:

— რათ შამოუშვი სახში, რო მომრეოდა, ხო მომკლავდაო.

— შენ გერეოდა, შვილო, და მე რას გაუძალდებოდიო.

ქალმა ამ უდაბნო თაში ველარ გაისაძლისა და წევიდა თავის მამის ქვეყანაში. ბიჭიც თან წაიყვანა. მამამ მისი გამოჩენა გეიგო და შაუთვალა. მკვდარი მეგონე, რახან ცოცხალი ყოფილხარ, მოდი, მაინც მეჩვენეო.

— თუ ჩემ შვილს არ გეიცნოფ, მე შენთან ვერ მოვალ, — შაუთვალა ქალმა.

ერთ დღეს წავიდა ბიჭი პაპაჲთან, მე ანას შვილი ვარო, — უთხრა

— მე ანა მოსაკლავათ გავატანე, ცოცხალია, საიდან, როგორ, აბა, მიამბე ყველაფერი? — უთხრა პაპამ.

— შენ თუ დედაჩემი მოსაკლავათ გინდოდა, არც შენ ყოფილხარ კაი კაციო. — მოჲკიდა ხელი თავის პაპას და უნდა, რო მოკლას.

— ოღონდ ნუ მომკლამ და ჩემი ცხოვრება სუ შენი იყოსო. მიიყვანა შინ ეს ბიჭიც, ანაც და დაიწყეს ერთათ ცხოვრება.

დიდარმა თქვა: ჩემი ცხოვრება ამ ბიჭს ჩაუვარდა ხელი, მე რაღა კაცი ვარ, მოდი, ეს ბიჭი მოვწამლო და თავიდან მოვიშოროო!

იშოვნა საწამლავი და ჯერ თავისთავზე გაშინჯა. უზომოთ მოუვიდა და ფეხები გაფშიკა თითვანა. ამ ბიჭს დარჩა მდიდრის ქონება და ახლაც ბედნიერათ ცხოვროფს.

რასაც მოინდომეფ სხვისთვინაო, შენ თავზე მოგივაო!

11

იყო და არა იყო რა. ხთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთ ხენწიფეს სამი შვილი ჲყამდა. ორი წაიყვანა სასწავლებელში, ერთი სახში ჲყამს, პატარაა ჯერ. იმათ გაათავეს სწავლაი და სახში მოვიდნენ. მამას უთხრეს, რომა დასავლეთის სახენწიფოში ერთი ზეთუნახავი ყოფილა, უნდა წავიდეთ იქა და ას-ასი თუმანი მოგვეციო. ის ზეთუნახავი აკოშკაში გადმოყოფს ნიდაყვას და ას თუმანს აძლევენო. მამამ მისცა ას-ასი თუმანი.

ახლა მესამე შვილმა უთხრა:

— მამა, მეც მამეცი ასი თუმანი, მეც უნდა წავიდე იმ ზეთუნახავთანო.

მამამ თავში ჩაუბასტუნა:

— მამა გიცხონდება, კიდევაც არ შაირთო ის ქალიო!

ბიჭმა უთხრა:

— კიდეც რო მამცე, შენი ფული არ მინდა, ჩემით ვიშოვნიო.

დაკრა ამ პატარამ ხელი და წავიდა იმ ზეთუნახავთან. დაუდგა ერთ დიდარ მეყასპეს მოჯამაგირეთ. დილით ეს მეყასპე გაატანს ურმით ქალაქში ხორცსა და საღამოს ისევ შინ ბრუნდება. საღამოთიც გაატანს ხოლმე ხორცსა.

ბიჭმა მიიკვალათა ზეთუნახავის ბინა. წავიდა ღამე და იმ კოშკის ქვეშ დაწვა. ერთ შვენიერ დღეს კოშთან გამოიარა კაი ჩაცმულმა ვაშკაცმა, ზეთუნახავმა გადმოიხედა და დაუძახა:

— ყმაწვილო, შეიძლება ამაღამ მობძანდე ჩემთან და ერთათ დრო გავატაროთო! კიბეს ჩამოვდგამ და ამოგიყვანო.

ბიჭმა ეს გაიგონა. იმ ღამით ისევ კოშკიქვეშ დაწვა. საღამოთი ჩამოშალა მოახლემ კიბე, ეს ბიჭი აცოცდა ზეთა. აიკრიფა კიბე თითვანა და დადო ბალკონზე. მივიდა კუთხეში და დაჯდა. ზეთუნახავმა უთხრა მოახლეს:

— აბა, კიბე ნახე, ხო არ მოვიდა ის ყმაწვილიო?

გამოვიდა მოახლე, ნახა, კიბე აღარ არის, არც ბალკომზეა ვინმე. შევიდა და ზეთუნახავს მოახსენა. მან მეორე ბალკომზე გაგზავნა. ნახა და, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ბიჭი აგერა ჯის. შეიყვანა ყმაწვილი სახში. სალამი, ქალამი, მშვიდობა... დასხდნენ მეგობრულათა. ბიჭი გალაქული ტყავითაა, სუ სისხლშია გასვრილი ზეთუნახავმა თქვა: ეს ბიჭი ჩემზე დიდარი ყოფილა, სუ გალაქული ტანსაცმელი აცვიაო.

წაიყვანა მოახლემ ბიჭი, აბანავა და სახენწიფო ტანისამოსი ჩააცვა. ეხლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ზეთუნახავმა კაი სუფრა გამართა. დასხდნენ, დაიწყეს ქეიფობა. უთხრა ზეთუნახავმა:

— ძალიან ბევრი ვაჟები მთხოულობენ, მაგრამ მე შენ უნდა შეგირთო, სხვას არ წავყვებიო.

— თუკი მიკადრეფ, ძალიან კარგიო, — უთხრა ბიჭმა.

დაქორწინდნენ. ინ ღამეს არაფერი. მეორე დღეს უთხრა ბიჭსა:

— წადი, წაიღე ფულები, მამაჩემს ლოთობა უყვარს, გაიცანი ძმაკაცურათ, სუ შენი ხარჯით აქეიფე. ფულები კი ზეთუნახავმა მიჲცა.

წავიდა ეს ბიჭი. გაიცნო ხენწიფე. დაუამხანაკდა. ჩაისვა ფაიტონშია და აქეიფეს სამიკიტნოეფში. ყველას ხეირს აძლევენ. ნარჩენს მიკიტნეფს უტოვებენ. კაი დრო რო გავიდა, ზეთუნახავმა უთხრა ბიჭსა:

— ხვალ მამაჩემს ჲთხოვე, მისი მაღაზიების გვერძე ადგილი მოგყოდოს, ფულს მე მოგცემო.

მეორე დღეს ბიჭმა ხენწიფეს ჲთხოვა მისი მაღაზიების გვერძე ადგილი.

— წაიღე, შვილო, ფული რას მიქვიან, არ გამოგართმეო.

ბიჭმა მისა ფული, მაგრამ ხენწიფემ მესამედიც არ აიღო. ამ ბიჭმა ააგო ხენწიფის მაღაზიების გვერძე დიდი სავაჭროები. დაიწყო დიდი

ვაჭრობა. მაგრამ ხენწიფესთან ქეიფობას მაინც არ იშლის, სულ ერთათ არიან. ხენწიფეს ძალიან მოჲწონს ბიჭი. ერთ დღეს ხენწიფემ ცოლს უთხრა:

— ჩვენი ზეთუნახავი ამ ბიჭს უნდა გავატანოთ, ემისანას ვერსად შეხვდებითო.

ცოლმაც მოუწონა. ხელმწიფემ წაიყვანა ეს ბიჭი და თავისი ცოლით ეწვია კოშკში ზეთუნახავს. ქალიშვილს ეს გეეხარდა. დასხდნენ, დანიშნეს ეს ზეთუნახავი და კარგ დროს ატარებენ. მეორე დღეს ზეთუნახავმა უთხრა ბიჭსა:

— მამაჩემს შვიდი წლის წინათ გემები დაეკარგა, არ დაბრუნებულან, წადი, შეევაჭრე, ვნახოთ, ჩემ იღბალზე რა იქნებაო.

ხენწიფემ იაფად მიყიდა დაკარგული გემები. სამ დღეზე უკან გამოჩთა ის გემები, დიდი რამე ნიქვთით დატვირთული. ბიჭმა დაახვია თელი მუშები. მოზიდა ეს ქონება, დაავსო თელი მაღაზიები, რაც მორჩა, სიმამრის სახში დააწყო, ზეთუნახავი ყოველ სალამოთი ჩამოუვლიდა ხოლმე თავისა და მამის მაღაზიეფს, აკრიფამდა მონაგეფსა და წამოიღებდა სახში.

ამ სახენწიფოში მოვიდნენ ერთი თორმეტანდის სხვათა სახენწიფოს ვაჟები, კარგი დიდრები. დასხდნენ, დაიწყეს ქეიფობა. თქვეს: აქ თითო ისეთი არავინა ვართ, რო იმ ქალისათვის ას-ასი თუმანი არ მიგვეცეს, ის ქალი გათხოვილა, მოდი, ბიჭი დავპატიჟოთო.

გაუგზავნეს ქახალდი, დაპატიჟეს ეს ბიჭი. იმ წუთში უთხრა ზეთუნახავმა:

— წადი, წაიღე ფული, ისინი თუ ასეფს დახარჯამენ, შენ სამასები დახარჯეო.

ბიჭი ეწვია მათ. ამ ვაჟეფში ერთი კინტო ერია. ამან სადღეგრძელო მოითხოვა, როცა ქეიფი დაიწყეს. აიღო ტაქნები ხელში და თქვა: ეს ღმერთმა გაუმარჯოს ამ სახენწიფოს ზეთუნახავს, ის ჩემი საყვარელი იყო და ახლა კი მიღალატაო.

ბიჭს ეს ძალიან ეწყინა. უთხრა:

— იმან შენ თუ გიკადრა, მე ის ცოლათ აღარ გამომადგებაო!

სუ ყველა ვაჟები გაუჯავრდნენ ამ კინტოს. ბოლოს გადაწყვიტეს: თუ ეს კინტო ზეთუნახავის რაიმე ნიქვთებს მოიტანს, მაშინ ქალიც მას უნდა დარჩეს და ცხოვრებაც, თუ არა, უნდა დაიხჩოს.

გაკრა კინტომ ხელი და წავიდა სალამოთი. აიარა მაღაზიეფში. ხედამს, ჩამოსულა ზეთუნახავი და მონაგეფს კრეფამს. ეს ბიჭი წეეტანა, ვითომ ნივთები უნდა მოიტაცოს. ზეთუნახავმა უბძანა დარაჯეფს და დააჭერინა. დაიჭირეს კინტო, ჲცემეს, ჲცემეს და, საცა დიდი ჩეჩმა იყო, იქ ჩააგდეს. ჲტირის კინტო მოთქმით. მიაწყდა ჩეჩმას ერთი კუდიანი ბებერი.

— ბიჭო, რა გაგჭირვებია, რა მოგივიდაო?

ბიჭმა უთხრა:

— შენ დედა იქნები, თუ რამეს მიშველი, აქედან ამომიყვან და ზეთუნახავის ოთახში დამაჯენო.

შენდეგ ამოიყვანა ბებერმა ბიჭი, წაიყვანა, დაბანა, ჩააცვა სხვა ტანისამოსი, გამოართვა სამი მანეთი, გააკეთა ყუთი, ჩასვა შიგ ეს ბიჭი, შეიდგა ხარზე და წავიდა. გაიარა გაჭირვებით ზეთუნახავის კარებზე, კვნესის, თითქო დაკიდულია. გადმოდგა ზეთუნახავი და ჰკითხა:

— დიდედა, რა გაგჭირვებიაო!

— ვიხარბე, შვილო, გადასაცვლელი რამე მქონდა, გადავცვალე, ბევრი ნიქვთი ავიღე და წაღება მიჭირსო,—უთხრა ბებერმა.

— მოიტანე და ჩემ პადვლეფში შეინახეო!—უთხრა ზეთუნახავმა.

— არა, იქ ვერ დავტოვეფ, შენს ოთახში თუ დავტოვეფ, მოვიტანო!

— ამოიტანე, ამოიტანე, ჩემს ოთახში შევინახამო!

აიტანა ბებერმა და ჰთხოვა: დილით ადრე უნდა წავიდო და მამლი ყივილს გამატანონ შენმა დარაჯებმაო.

მოახლემ და ზეთუნახავმა დასხდნენ და ვახშამი ჭამეს. ზეთუნახავმა გაიძრო თავისი ნიქვთები, ბეჭდები, სამაჯურები, რამე და დააწყო სტოლზე, დაწვა და დაიძინა. ამოძვრა ჩუმათ ყუთიდან კინტო, წაიღო ეს ნიქვთები და ისევ ჩაძვრა ყუთში.

მამლი ყივილისას მოვიდა ბებერმა და იგდო ზურგზე ეს ყუთი, გასწია და წავიდა. ბიჭი შარაგზაზე გამოძვრა ყუთიდან და გაიქცა იმ ვაჯების ქეიფში. მიუტანა ბიჭს ეს ნიქვთები და წინ დაუწყო. ბიჭმა უთხრა:

— ალალი იყოს, მართალი ყოფილხარ, ცხენსაც თუ არ წამართმევ, კარგი იქნებაო.

კინტომ ცხენი არ წაართვა. ბიჭი გამეესალმა ვაჟეფს. გადაჯდა ცხენზე და წავიდა ცოლთან. აიარა თავის მაღაზიეფში. ამოსულა ზეთუნახავი და მონაგეფს კრეფამს. ქალმა დაინახა ბიჭი და უთხრა:

— კაცო, სადა ხარ, შენი ლოდინით დავილიეო.

ბიჭმა ადგა და სამჯერ ჩააფურთხა თვალეფში.

— თუ მაგისთანა გლახა ქალი იყავი, რას მატყუებდი, სხვას გაყვებოდიო!—გააჭენა ცხენი და წავიდა, სად მიდის, თითონაც არ იცის. ქალმა თქვა: ახლა კი დავილუპე, ნამდვილათ გამყიდესო და მოაგონდა დაკარქული ნიქვთები. გამოქონდა შინ, შეიჭრა თავისი ნაწნავები, ჩაიცვა კაცის ტანისამოსი, დაიხურა სახენწიფურათ ქუდი, შეიარაღდა, დატენა ხურჯინები სასმელ-საჭმელით, ოქრო-ვერცხლით, გადაკიდა ცხენზე და გამოუდგა ბიჭს. დეეწია ერთ მინდორში. უთხრა:

— გამარჯობა, ამხანაგო, შენი!

ამ ბიჭმა უთხრა:

— გაგიმარჯოს!

იარეს, იარეს ერთათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ქალმა უთხრა ამ ვაჟს:

— შეიძლება, ვიძმოთ ერთმანეთი?

— ძალიან კარგი იქნებაო! დაძმობილდნენ. ქალმა კითხა:

— ძმობილო, არ მოქმივდა?

— მომშივდა, მაგრამ არაფერიც არა მაქვს, არც ფული გამაჩნია, ისე ვარ გადმოვარდნილი!

— სად მიხვალ? — ჰკითხა ქალმა

— არ ვიცი, მივდივარ კია!

ახლა ვაჟმა უთხრა:

— შენ სადაური ხარ, ან სად მიდიხარ?

— არც მე ვიცი, სად მივდივარ, მეც მივდივარ კია!

გავიდნენ ერთ კარქ ქალაში და ჩამოხტნენ. ცხენები ბალახზე გაუშვეს, ქალმა ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი ამოიღო, დასხდნენ და კაი დრო გაატარეს. ქალმა უთხრა:

— რახან ძმობილები ვართ, წავიდეთ ერთ დიდარ ხენწიფესთან და იქ ვიმსახუროთო.

მივიდნენ ერთ ხენწიფესთან და სამსახური ჰთხოვეს, ხენწიფემ დაიყენა ისინი, ქალს მისა აფიცრობაი, ხოლო მან ბიჭი დენჩიკათ დაიყენა. ქალი ინ ბიჭს მაინც ენსახურება. გაიარა ხანმა და მიჰცეს მას პოლკოვნიკობაი, ეს ბიჭი კი აფიცრათ დააყენეს. მაინც ერთათ არიან, მაინც ენსახურება ეს ქალი, ბიჭმა არ იცის, ვინ არის იგი. შენდექში კიდევ უნფროსათ დააყენეს, ბიჭი კი—ქალის ადგილას. გავიდა ბარე შვიდი წელიწადი ამაობაში. ქალმა უთხრა:

— მოდი, ყმაწვილო, წავიდეთ ჩვენ სამშობლოშიდა.— ჰთხოვეს ხენწიფეს. ხენწიფეს საწყენათ მიაჩთა, მაგრამ მაინც დაითხოვა, დიდი პატივი სა, თავისი მუზიკა, თავისი ჯარი-ჯარამათი სუ გამაატანა საზღვრამდი. გადმოვიდნენ თავიანთ სახენწიფოში და ჩამოიარეს თავის კოშკის წინა. ბიჭი უყურეფს კოშკს, იქნეფ ჩემა ქალმა გადმოიხედესო. ქალი კი გვერძე ჰყამს და ვერ გაიგო ვერაფერი.

ვაჟმა დაიძახა:

— ვინ არის აქ უფროსი?

მიეგებნენ. ჯარეფს ძალიან დიდი პატივი სეს. ბიჭმა დაიჭირა კაი ბინა. მისეს კინტოს სახლები (თურმე ის კინტო იქ დასახლებულა!). ბიჭს ეს გეეხარდა. კინტომ ვერ იცნო. ბებერიც იქვე ჰყამს. ვაჟმა უთხრა:

— გამარჯობა, კინტოო!

— ღმერთმა გიცოცხლოს, ბატონოო!

— ბიჭო, კინტოს რათ გეძახიან შენაო? — ჰკითხა ქალმა.

— ეშმაკათ, ჩემი თავის ეშმაკათაო. ამ სახენწიფოში მოვიდნენ ხენწიფის შვილები, მათ ქეიფს მეც დავესწარი, დავიდე ცოდო, ზეთუნახავის ქმარს შარი უთხარი, ეს ქალი საყვარლათ მყავდა-მეთქი, ხენწიფის შვილეფს ეჯავრათ, რათ თქვიო. ბიჭმა კი თქვა: თუ მან შენ გიკადრა, მე ცოლათ აღარ გამომადგებაო. გააკეთეს სანაძლეო. მოვიგე ნიძლევი, ქალის ნიქვთები მოვიტაცე და... — სუ უამბო თავისი თავგადასავალი, ნიქვთები რო ვაჩვენე ვაჯსა, ის გადავარდა და დაიკარქო, ქალიც სადღაც გაქრაო.

ახლა ქალმა უთხრა ბიჭსა:

— ყმაწვილო, ვინ ტყუის, ინ კაი კაცს ეკითხნა ცოლითვინა და მერე გადავარდნილიყოო!

— კაცი ტყუისო! — უთხრა ვაჯმა.

ქალმა დაიძახა:

— აბა, გაქაჩეთ ბებერიცა და კინტოცაო.

დაიჭირეს ორთავენი. მოაბეს ცხენის ძუაზე და დაწიწკნეს.

ქალმა ახლა ბიჭს უთხრა:

— მე ვარ შენი ცოლი, ამ შვიდ წელიწადს სუ შენთან ვიყავიო. — გადიძრო კაცის ტანისამოსი, აჩვენა მოჭრილი ნაწნავები.

ახლა კი იცნო ბიჭმა და დაუწყეს ერთმანეთს კოცნაი. ხენწიფეს ძალიან გეეხარდა შვილისა და სიძის დაბრუნება და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

# კ ა ხ უ რ ი

**(გარეკახური)**

12

იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რა იქნებოდა? იყვნენ ერთი ობოლი და ქოსა. შაიყარნენ წისქვილში ერთად. მაილაპარაკეს: პური ჰშიოდათ ძრიან და მოდი ერთი ხმიანდი გამოაცხოთო. ქოსამ უთხრა. რომაო ცომი ჩემი იყოსო და საფანელი შენიო. ქოსამ თავიდამ (?) ამოიღო ერთი პატარა გუნდა, ზილა, ზილა ობლისა და გამოიყვანა ობლისა დიდი ხმიანდი. გამოაცხეს ხმიანდი და ამოიღეს ცეცხლიდამ: გაბღერტეს და მიაყუდეს კედელზე. მიაყუდეს და უთხრეს ერთმანეთს: „თითო ტყუილი ვთქოთო და ვინც კაი ტყუილი თქოსო, ხმიანდ იმას დარჩესო". ობოლმა უთხრა ქოსას: „აბა ახლა შენა თქვი ტყუილიო".

ქოსამ უთხრა, — ქოსამ დაიწყო ტყუილი რა! — მამაჩემს შვიდი ბატი ჰყვანდა და აღზევანში წავიდა მარილზეო და შვიდი ბატიჲთვინ აეკიდნა მარილიო. წამოსულიყო; ერთი ალაგას ბატები საძუარზე გაეშვაო, და პური საჭმელად დაესვენებიაო. ერთი ბატი მგელს დეეჭირნა და გვერდები გემეეჭამნაო. დარჩა მამაჩემი დაღონებული, რო ერთი ბატის საპალნე ვის ავკიდო, ვის წავაღებინოო... დაჯდა, იფიქრა მამაჩემმა... მემრე გამოჭრა ერთი წნელი და ბატს გამოუხლართა გვერდებიო და აჰკიდა იმ ბატს თავის საპალნე, სახში მიატანინა იმ ბატს თავის საპანე... მოიდა სახლშიო... და ეხლა ქოსამ უთხრა ობოლს: „შენა თქვიო!"

ეხლა დაიწყო ობოლმა: „მამაჩემსაო ბევრი ფუტკარი ჰყვანდაო; დილითაო მიდიოდა ის ფუტკარიო. ჲთვლიდაო და საღამოთი მოდიოდაო, ჲთვლიდაო: ხო არაფერი დააკლდაო. ერთ დროსაო, რო მოიდა ფუტკარი, დათვალა, ერთი ფუტკარი დააკლდა... წავიდა მამაჩემი, ეძება, ეძება... ის ფუტკარი დეეჭირნათ და გუთანში შეებათო. გემეეშო ის ფუტკარი (მამაჩემს): დასიებოდა კისერიო ძალიან უდიურათ; მამაჩემმა გაუჭრა იმ ფუტკარს კისერიო; ამ ფუტკრის კისერზე ამოიდა ერთი დიდი კაკალიო, იმაზე შამოჯდა ფრინველიო და იმ კაკალსა სჭამდაო. მამაჩემა ერთი ბელტი წამოუსვაო და იმ კაკლი კენწერზე სამი დესეტინა მიწა გაიმართაო... ვხნამდით, ვთესამდით იმ კაკლი კენწერზედაო... ყანა გვედგაო... ერთ დროს მუშა წავასხითო და ყანას ვმკიდითო კაკლის კენწერზედ(ა)ო. ზაკუშკობამდი ყანა მკეს მუშებმაო და მერე მამაჩემმა უთხრა მუშებსაო: „თქვენ პური ჭამეთო და ერთი ყანას

შამოუვლიო“. მამაჩემმა ნამგალი თან გაიყოლა ხელშიო. ყანას რომ შემოუარა, ყანიდამ ერთი კურდღელი გამუარდაო... წამოუსო მამაჩემმა იმ კურდღელს ნამგალი და ნამგალი (ფეხში) შეერჭო. დარბის ის კურდღელი ყანაშია; სანამ მუშები ჭამენ, იმ კურდღელმა ყანა სულ მომკაო მუშებმა პური ჭამეს, ადგენ, ააკრეს ძნაო და წამოიდნენ შინაო. მემრე დაწერა ობოლმა ერთი ქაღალდი და დააგდო ძირს. ქოსამ აიღო და მიაწოდა ობოლს: „აბა, ობოლო, ეს ქაღალდი წაიკითხეო! რა ჲწერია შიგო?“ წაიკითხა ობოლმა და უთხრა, რო: „ქოსას ნეხვი და ობოლს კვერიო“... და დაინარჩომა ობოლმა კვერი.

13

იყო და არა იყო რა! იყო ერთი ნაცარქექია. ჰყავ იმას ცოლი ლამაზი; სუ ერთავად ნაცარს ქექავს, ცოლს თავს ვერ ანებებს. ამ ცოლს რო შეეწყინა, ბურთი კარში გაუკრა და გაგზავნა კარში: აღარ შაუშო შინ. მემრე რო მეეწყინა (ნაცარქექიას) და უთხრა ცოლსა: „მაინც შინ აღარ მიშობო; ერთი კვერცხი მამაწოდეო და ერთი გუდა ნაცარიო!“ მააწოდა... წავიდა...

ერთ ალაგას ერთი წყალი პირას ცხრა ძმანი დევებია; იმათ გაუამხანაგდათ, ძმათ შევიდა იმათთან. მემრე უთხრა, რო: აბაო, ვინცაო ქვას წყალს ვერ გაადენსო, იმან აიკიდოს კაცი და გაიყვანოს წყალში(ო). იმ ამხანაგ ქვაჲ მისცა, თითონ კვერცხი უჭირამ და ქვათ ატყუებს იმას! იმან ქვას წყალი ვერ გაადინა, ნაცარქექიამ კვერცხს წყალი გაადინა... იმათ ეუბნებათ, ძმებს ეუბნებათ, ის დევი: „ეს ისეთი ღონიერი მოიყვანეო (მე), რომ ქვას წყალი გაადინაო!“

ერთი ღორი ჰყავ გარეული, გადაკიდებული იმ ცხრა ძმათ და ვერ მოკლეს, ძრიან ეშინიათ იმათ! წავიდნენ ცხრანი ერთ მხარეს, და ის ნაცარქექია მარტოკა ცალ ხარეზე წავიდა, საითაჲ ღორია!.. წავიდა ის ღორი ჭყივილით, რო უნდა ემვის ქნევით მოკლას ნაცარქექია და შაჭამოს. იმის ჭყივილმა ნაცარქექია ერთ წიფელზე შეაგდო. ყემ კაცს ეცვალა ფერი, რო ი ღორი შეახტა და კბილით დეეკიდა. ჩამოიდა ნაცარქექია მემრე და ხანჯლით მოკლა ღორი.

ჩამააგდო ძირსა და დაუძახათ იმათ. რო მოიდნენ, მემრე უთხრა: „ემის კაცები ხართო, ეს ვერ მოკალითო?! ერთი სილა ვკარიო და სადა სწყვიტაო. მემრე მივაშველე ხანჯალიო და მოვკალიო!“ — იმათ ატყუებთ ამხანაგებთ!.. ატყუებთ იმათ და მემრე უთხრა: „ე ღორიო ცხრათ გავჭრათო თუ ათათაო, რო წავიღოთ ბინაშიო? — აიკიდეთ და წაიღეთ! მე დაღლილი ვარო. თორე მე წავიღებდიო! თუ არ შეგრცხვებათ, მე წავიღებო!“ აჰკიდა ერთის და წაალებინა.

მიიტანეს შინ; ლამაზათ პური აჭამეს ნაცარქექიას... მემრე უთხრათ იმათ: „შინ უნდა წავიდეო!“.. მემრე წავიდა და ხემწიფეს უთხრა: „დევები ჯავრი გჭირო, რას მომცემო, რომ ისინი გადავაბა და მოგილალ(ო), რას მომცემ საჩუქრათაო“. ხემწიფემ უთხრა: „თუ იმათ

მომილალამო, იმოდენა ფულ მოგცემ, რომ სიკვდილამდი გეყოსო!“ — უთხრა ხელმწიფესა: „შენ ისეთი თოკი მომეციო, რომ ცხრანივე ერთ თოკში გადავაბაო!“ მემრე მივიდა დევებთან და უთხრა: „დადექითო და ერთი თოკით ხელები უკან შაიკარითო, უნდა წაგასხაყეო ხელმწიფეჲთან(ა)ო!“ შააკრევინა ხელები, მაატყუა და მუულალა ხელმწიფეს. აჩუქა ხელმწიფემ ბევრი ფული, წამოიდა ნაცარქექია, მოიდა შინ და იცხოვრა თავითვინ! იშოვნა თავი ტყუილებით სარდო!.

გათავდა!

14

იყო და არა იყო რა! ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ხემწიფე. იმათ შვილი არა ჲყვანდათ. გაგზავნეს აქეთ-იქით ეზირ-ვეზირი — ესე რო სალდაჲთები, რა! დაჲხვდათ ერთი საწყალი კაცი. მემრე იმ კაცმა ჰკითხა იმ ეზირ-ვეზირებს: „საით მიხვალთ, როგორ არი თქვენი საქმე?“ იმათ სიტყვა არ გამოუჩინეს, იმ ეზირ-ვეზირებმა. მაინც გაიგო იმ საწყალმა კაცმა, რიჲთვინაც იყვნენ გაგზავნილები: „თქვენაო შვილოსნობი წამლიჲთვინა ხართ წამოსულიო. ერთი ვაშლი დგა არხი პირზე; ერთი წითელი ვაშლი აბიაო, ერთი თეთრი; თეთრს შეჭამს, თეთრი შვილი გაუჩნდებაო, წითელს შეჭამს, წითელი შვილი გაუჩნდებაო“.

მემრე გაქანდა ერთი ცეტი ვეზირი. მოწყვიტა, თეთრი ხელში დაიჭირა, წითელი წყალმა წაიღო, მოუტანა ხელმწიფეს ეს თეთრი ვაშლი; გასჭრეს (!) შუაზე; შაჭამეს ცოლ-ქმართ. მერე გაუჩდათ თეთრი შვილი; დაუძახეს სახელი დოჲტოღლი. მერე ის წითელი ვაშლი ერთმა მეწისქვილი ცოლმა შაჭამა. ისინიც უშვილოები იყვნენ. გაჲჭრეს (!) შუაზე, შეჭამეს; ეყოლათ წითელი შვილი; დაუძახეს სახელი ქოროღლი.

ვისაც წლით ემატებოდა, იმათ დღით ემატებოდათ, იმ ბიჭებს. ხემწიფე წავიდა სანადიროდ; დაინახა ის წითელი შვილი; იმ მეწისქვილეს უთხრა: „შენ ვინ მოგცა ეგ წითელი შვილი, შენ უშვილო იყავო“. წაართო და წამოიყვანა შინ, სახლში.

იმ ბიჭებმა გავიდნენ კალოზე; ნარდი-კოჭობას თამაშობენ, — აი, ბურთაობა რო იციან ბავშვებმა! — ერთი ბებერმა ამოიარა, წყალზე მიდიოდა; უთხრა დოჲტოღლიმ, რომა, „ქოროღლიო, კენჭ ვესვრი, კოკაჲ გაუტეხამო...“ იმ ძმამ უთხრა, ქოროღლიმ, „არაო, დაგვწყევლისო, ცოდვანი ვართო!“ არ დაიშალა, ესროლა კენჭი და კოკა გაუტეხა; იმ ბებერმა უთხრა: „დაგწყევლო, როგორ არ დაგწყევლო, შენამც ჩაგვარდნია ცხრა მთას უკან ცხრა დევი რო არის, იმათი დის სიყვარული“.

ის ბიჭი იქვე გახდა ავათ და ნასლინკით მაიტანეს შინ. მოღალეს დოხტურები და ვერ მაარჩინეს ის ბიჭი, ისევ იმ ბებერმა იკისრა მორჩენა იმ ბიჭისა. უთხრა იმ ბებერმა, რომაო „ერთი ქილა ერბო მომიტანეთო, ერთი თეთრი პურიო! ერთი ხელადა ღვინოო“. პური გატეხა: „პურო, თეთრი ხარ, თეთრი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან რომ ცხრა დევის და არიო, იმითანა არა ხარო“. მემრე ამააწო ერბოს პური და

თქო: „ერბო! ყვითელი ხარ, ყვითელი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან ცხრა დევის და რომ არის, იმითანა ვერა ხარო!“ ახლა ღვინო დაასხა: „ღვინო! წითელი ხარ, წითელი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან ცხრა დევი და (რომ) არის, იმითანა მაინც ვერა ხარო!“ მემრე ის ბიჭი გახდა კარგათ, წინეთ რო იყო, ისე გახდა საღლამათი,—კარგათ, რა! ქოროღლიმ უთხრა მამას: „მამიო! ისეთი შვილდისარი უნდა გამიკეთოო, მე ვერ გავტეხოო, ვერ მოვხაროო!“ მემრე წავიდა, გააკეთებინა მამამ ორმოცდაათფუთიანი შვილდისარი, მოიტანა, მოჲწია და ცოტათ მოჰხარა. უთხრა, რომა: „ეს გატყდება მალეო!“ წავიდა მამა და გააკეთებინა ოთხმოცდაათფუთიანი შვილდისარი...—„ამას არა უშავ რაო!“ ჩემეემშვიდობნენ დედ-მამას, გზას გაუდგნენ, თავის ძმები, რა: ქოროღლი და დოჲტოღლი.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, იპო(ვ)ნეს იმ დევის სახლი, ქალმა დაუძახა: „სამტროთ მოჲდიხართ თუ სამოყვროთო?“—„სამტრო რა გვაქ, სამოყვროთ მოვდივართო!“ მივიდნენ და იმ ქალმა დაარიგა (ერთი თმა ამაიძრო და ხელში მიჲცა ქოროღლის): „ჩემი ძმები მოვლენო. სანთლი ცულ მოგცემენ, რკინი კუნძ მოგიგდებენო: პური წყლი ქვაბს მოგცემენ, ხეზე აგაგზავნიანო! ეს თმა დაადე იმ რკინი კუნძსაო და უთხარო: „გასკდი, თორო დაგკრამო! ოთხად გასკდებაო!..“ ერთი პური წყლი ქვაბს (დაგადგმენ) თავზე (წყლით სავსეს) და ხეზე აგგზავნიან: თუ ერთი წვეთი ჩამოგვარდა, შეგჭამენ ჩემი ძმებიო!“ მოიდნენ დევები. სანთლი ცული მისცეს და რკინის კუნძი მიუგდეს; დაუდო თმა. დაუქნია ცული და უთხრა: „გასკდი, თორემ დაგკრამო!“—ის რკინა ოთხათ გასკდა. მერე აგზავნეს ხეზე: დაადგეს პური წყლის ქვაბი წყლით სამსე. ავიდა ხეზე: დაინახა დედ-მამის საბძანებელი, შავი აქ ჩამოფარებული; ცრემლი ჩამოჲვარდა, რო დაინახა თავი დედ-მამის საბძანებელი. დევებმა უთხრეს, რომა წვეთი ჩამოვარდაო და უნდა შავჭამოთო. მაიყვანეს მეცრემლე და გაშინჯეს, ცრემლი იყო. ჩამოიდა ის ბიჭი. დანიშნა ის ქალი—დოჲტოღლიმ. გათენდა მეორე დილა: სანადიროთ წავიდნენ და ქალს უთხრეს: „ყველა ოთახებში შაახედე ის შენი ქმარიო და იმ ოთახში არ შაახედოო, საცა ის დევიაო დამბული ჯაჭვითა“.—დევი იყო, რა, გადაკიდებული იმ ქალზე: უნდა მეეტაცნა!—ყველა ოთახებში შაიხედეს; —„ამ ოთახში არ იქნება შახედვაო!“ ბიჭმა არ დაუჯერა. შაიხედეს იმ ოჯახში, რომელშიაც დევები ება. უთხრა იმ დევმა: „წყალი შამამიტანეო!“ შაუტანა წყალი, და დალია და დაისუნთქა, და ის ბიჭი კოჭებში გაიჭედა. აწყვიტა ჯაჭვი და წაიყვანა ი ქალი იმ დევმა.

ძმამ, ქოროღლიმ, გაიგო ტყეშია, სანადიროდ რომ იყვნენ, რომ რაცლა ამბავი მოჲხდა ჩვენს სახლშიო. მოიდა ის ბიჭი, დაიარა სახლი და თავისი ძმა დაინახა, რო მაღლა კოჭებშია გაჭედილი! ჩამაიყვანა თავი

ძმა, და მერე მოიდენ ის დევები, არიან დაღონებულები! გათენდა მეორე დილა და უთხრა ქოროღლიმ რომო, „ეს ჩემი ძმა შამინახეთო! ცხრა თვე, ცხრა კვირა, ცხრა დღე, ცხრა ნიმუთი და ცხრა საათი მამიცადეთო! თუ არ მოიდე ამ ხანშია, ჩემი ძმა შაჭამეთო!“

გაჲწია, გამაემშვიდობა და წავიდა ის ბიჭი, გაჲწია, იარა, იარა და ნახა, რომ ერთი კაცი ხნამს და რამდენი ბელტიც გადაბრუნდება, სულ ყლაპამს. „ბიჭო, ე რასა შვრებიო?“—„ქოროღლიმო სანთლი ცულით რკინი კუნძი დახეთქაო!“ უთხრა, რომო „მეც შენი ძმა უნდა ვიყო!“ გზაზე წავიდნენ ისევ ისე თავი რძლი მოსანახათ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთი კაცი წყალს დაჲწაფებია, არხს: „ყლაპი ხარ, ყლუპი არა ხარო და ყლუპი ხარ, ყლაპი არა ხარო!“ მემრე ქოროღლიმ უთხრა: „რას შვრებიო, კაცო? მაგოდენა წყალი როგორ უნდა დაჲლიოო?!“ იმან უთხრა: „ეს რა არიო?! ქოროღლიმო სანთლი ცულით რკინის კუნძი დახეთქაო!“—„მე ვარ ის ქოროღლიო!“ —„მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“—სამნი გახდნენ.

წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ კაცს წისქვილი ქვები შაუბამ და კურდღლებსა იჭერდა, ქოროღლიმ უთხრა: „ეს რას შვრებიო?“ იმათ უთხრა: „ეს რა არიო, ქოროღლიმო სანთლი ცულითო რკინი კუნძი დახეთქაო!—„მე ვარ ის ქოროღლიო!“—„მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“—ადგნენ და წავიდნენ,—ოთხნი გახდნენ,—გზაზე ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ ტერტერას საყდარი წამოუკიდნია, საცა გორა მაეწონება, გაიტანს და ლოცულობს. ქოროღლიმ უთხრა: „ყე, რას შვრებიო?“—„ეს რა არიო! ქოროღლიმო სანთლი ცულითო რკინი კუნძი დახეთქაო“!—„მე ვარ ის ქოროღლიო!“—„მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“—გაჲწიეს და წავიდნენ გზაზე.—„სად იწავლე, ბიჭო?“

მერე ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ კოშკში ბოლი ამოდის; ძალიან მშივრები არიან, ერთი ირემი მოკლეს, ჩაყარეს ქვაბში, ხარშამენ... ბელტიყლაპია დაუყენეს, თვითონ სანადიროდ წავიდნენ. ქოროღლიმ დაარიგა ბელტიყლაპია, რო აქედანო დევი ამოაო; რამდენიც გითხრას, ჩამოყარეო (ხორცი), იმდენი ქაფი ჩაასხიო. ამოიდა დევი, უთხრა: „ჩამოყარეო, თორე ამოალ და შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“—აიღო და ჩაასხა ხორცი წვნიანათ. ცარიელი ქვაბი დადგა. მოიდნენ ქოროღლი თავის ამხანაგებით, მოიტანეს ირემი, ჩაყარეს ქვაბში; ყლაპი ხარ, ყლუპი არა ხარ დაუყენეს: მზარეულათ დააყენა ქოროღლიმ! წავიდნენ ისევ ისე სანადიროდ; ის ბელტიყლაპია გაიყოლიეს თან... მერე იმასაც უთხრა, რომო, რომ ამოიდეს დევიო, ქაფი ჩაასხი პირშიო! ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარე თორემ, ამოვალ, შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ ადგა, აიღო და ჩაუსხა ხორციანათ. მოიდნენ

სალამოთი, ქვაბი ცარიელი დაჱხვდათ. ჩაყარეს ახალი ირემი და დაუყენა, ქვებ რომ დაარბეინებდა და კურდღლებ რო იჭერდა, ის! იმანაც შადგა ქვაბი და ხარშამს. ისინიც სანადიროდ წავიდნენ. ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარეო. თორე შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ აიღო და ჩაასხა იმანაც... მაიტანეს ახალი ირემი, ტერტერა დაუყენა და უთხრა, რომე, რო ამოიდესო, ქაფი ჩაასხი ხოლმეო! ისინი სანადიროდ წავიდნენ ისევ ისე, ტერტერა უდგა ქვაბს. ამოიდა დევი და უთხრა, რო: „ჩამოყარეო, თორო შენც შეგჭამო და იმასაცაო“. აიღო და ჩაასხა იმანაც.

მოიდნენ, ჩაკუწეს ირემი, დაუდგა ქოროღლი და გაგზავნა სანადიროთ. მოსაქაფი რო გახდა და ამოიდა დევი, უთხრა, რომო „აიღე, პატარა ბიჭო, და ჩამასხიო! თორე ამოალო, შენც შეგჭამო და მაგასაცო!“ კიდევ მოქაფა და ჩაასხა. წამოიდა ი დევი მაღლა და რო უნა ის ბიჭიცა და ის ხორციც შაჭამოს!.. ამოიდა; რო განახევრდა სასარტყლემდი, ესროლა შვილდისარი, აკუწა და ჩაყარა ისევ კოშკში.

მემრე ქალ გაუხარდა, რომ ჩემი მაზლი მოსულაო... მოიდნენ ცარიელები და ჭამეს ირემი ყველაყამ! გათენდა მეორე დილა და ჩაჰკიდა ქოროღლიმ ბელტიყლაპია კოშკში: ცეცხლის ალი ამოიოდა! ბელტიყლაპიამ დაიყვირა, დავიწვიო და ამოიყვანა ისევ ისე. ახლა ჩაჰკიდა ყლაპი ხარ ყლუპი არა ხარ... უთხრა იმანაც, დავიწვიო და ამოიყვანა ისევ ისე. მემრე წისქვილი ქვეჩს რო დაარბეინებდა, ახლა ის ჩაჰკიდა, იმანაც უთხრა, დავიწვიო; ამაიყვანა ისევ ისე. ახლა ტერტერა ჩაჰკიდა. იმანაც უთხრა, დავიწვიო, ამაიყვანა ისევ ისე, თითონ ჩაეკიდა. იმათ უთხრა, რომე: „რამთენი დავიძახო, დავიწვი, იმთენი ძირ ჩამიშვითო!“... ჩავიდა მემრე რძალთანა. მერე ქალს უთხრა, რომ „შენ წინ მეებიო, მე უკან მევემბებიო!“ იმ ქალმა უთხრა: „არაო, გიღალატებენო, შენ წინ მეემბი, მე უკან მევემბებიო!“ ბიჭმა დაძალა და უკან მეება. მემრე აიყვანეს ქალი, ჩააჭრეს თოკი და ჩავარდა ბიჭი ისევ ისე; იმ ქალმა უთხრა: „ერთი-ორი სიტყვა მათქმევინეთო და მერე საცა გინდა, წამიყვანეთო!“ — მიბრუნდა და უთხრა ქოროღლის: „ხომ გითხარ, რომა გიღალატებენო! ჯერ ერთი ესო და მერე ისო, რომ სამი თხა გამაირბენსო: ერთი შავიო, ერთი თეთრიო და ერთი წითელიო. წითელ გადაალაჯებ, მაღლა დედამიწის ზურგზე ამაგიყვანსო, შავზე გადაალაჯებ. გვერდ-გვერდ წაგიყვანსო მიწაში. თეთრ გადააჯდებიო, კიდევ ქვეშკნელს გაგიყვანსო!“ იარა იარა, ვერ დაიჭირა ის წითელი თხა, გადააგლიჯა თეთრ თხას და ქვეშკნელს გაიყვანა.

წყლი ძვირობა იყო. ერთი ბებერი ვარცლში ჩაფსმას აპირებდა და პურის მოზელას. ბებერს უთხრა, რომო საწყლე არა გაქო? ერთი ნიტრა მისცა. „სხვა არა გაქ რაო?“ „არაო, მიწაშიო, ქვევრის პურპლები მიყრიაო!“ ამააძრო ორი ქვევრი და წაიღო წყალზე. მიიტანა; მაიტანა პური, მოარეცხინა ვარცლი, გამააცხეს პური და ჭამეს. იმ

ბებერსა ჰკითხა, რომა აქ ისეთი არავინ არიო, რომ დედამიწის ზურგზე ამომიყვანოსო? იმან უთხრა, რომაო, ეგეთი არვინ არიო. ხვალ ხელმწიფემ ქალი უნდა მაიყვანოსო, გველეშაპმა უნდა შაჭამოსო და ყველაყამ თითო კოკა წყალი უნდა ავამსოთო! თუ გიშოვნის, ის გიშოვნის ვისმე, სხვა ვერავინ ვერ აგიყვანსო.

წავიდა, დაინახა, რო ლინეიკით მოჲყავთ ხელმწიფის ქალი; მივიდა, უთხრა: „შენ კალთაზე დავიძინებო, რო წამოიდესო ზევიდან გველეშაპიო, სამი სიტყვა მითხარიო; თუ გავიგონე, გავიღვიძებ, თუ არა და სამი ისეთი სილა გამარტყი, სამი პირი ტყავი გამძვრესო!“.

სამი სიტყვა უთხრა, ვერ გაიგონა; მერე ერთი სილა გაარტყა, გაიღვიძა ქოროღლიმ! ესროლა ისარი, მოკლა გველეშაპი, შაჲნები დააყენე ლეშისა! წავიდა ის ბიჭი, გაიხადა ტანისამოსი, ძველი ტანისამოსი ჩაიცვა, ჩაჯდა თონეში და ნაცარსა ჲქექამს. იმ ქალმა უთხრა მამას...—მამამ უთხრა: „შვილო! ხალხი უნა შევყაროო, რომელმაც მაკლა, ის, ხელი დაადევიო!“—შაყარეს ხალხი, არავინ არ იყო, ვერ იპოვნა... აუარ-ჩაუარა იმ ქალმა, ვერავინ ვერ ნახა... ბოლოს უთხრა: „აღარავინ არიო, ერთი ბიჭი არიო, ნაცარსა ჲქექამსო“.

„მოიყვანეო!“ უთხრა მამამ. იმ ბიჭსა კურდღელი ჰყავ. მივა ი ქალი, უნა ჩაუჯდეს კალთაშია, გამააჭყიტამს კურდღელი, გაქანდება ი ქალი... ქალმა უთხრა მამას: „ეს არიო, მაგრამ რაღაცა ჰყავ და მაშინებსო!“ უთხრა მამამ: „დახუჭე თვალებიო და ჩაუჯექ კალთაშიო!“ „არაო,“ — უთხრა ქოროღლიმ, — „შენ დაო და მე ძმაო! ცოლ-ქმრობა არ იქნებაო!“ — „აბა რა გინდაო“, ჰკითხა ხელმწიფემ. „მე არაფერი არ მინდა, დედამიწაზე ამიყვანეო!“ უთხრა იმ ხემწიფემ: „მე ვერ აგიყვანო, აი ერთი ფასკუნძი არის, იმასა არწივი უჭამს შვილებსაო; იმას თუ მოუკლამ, აგიყვანს დედამიწის ზურგზედაო, თუ არადა, არაო! მაღლიდამ არწივი მოდის, ფაშკუნძი საჭმელზეა წასული: უნდა შვილები დაუყლაპოს. დაუჭირა შვილდისარი და მოკლა არწივი. ფაშკუნძი მოიდა და... ბუდეჲ ქვეშა სძინამ იმ ბიჭს. მერე უნდა შეეყლაპნა ი ბიჭი ფაშკუნძს, მაგრამ შვილებმა უთხრეს: „არა, არაო, არწივისაგან მაგან გადაგვარჩომაო!“ დაუქნია ფრთები და ჩირდილო დააყენა იმ ფაშკუნძმა. მერე გემეეღვიძა იმ ბიჭსა. „რა გინდაო?“ — ჰკითხა ბიჭსა. „შენი არაფერი მინდაო, მაღლა დედამიწის ზურგზე ამიყვანეო!“ — „წადიო, ხემწიფესაო ცხრა საპანე ღვინო გამაართვიო, ცხრა კამეჩიო, ცხრა საცალო პურიო, მაიტანე, დამაწყე ზურგზედა და ზედ დაჯექო; რამთენიც ფთა დავიქნიოო, იმთენი კამეჩი ჩამიგდეო, იმთენი საცალო პური ჩამაყარეო, იმთენი საპანე ღვინო ჩამასხიო“.

დედამიწი ზურგ რო მიატანა, ხორცი დააკლდა, ხორცი გამაიჭრა და ჩაუგდო. აიყვანა მაღლა დედამიწი ზურგზე და უთხრა: „გაიარეო!“ გაიარა და ჩაიკოჭლა. ამაიძრო ერთი ბუმბული და უთხრა: „მიისვ-

შოისვიო და მოგირჩებაო!“ მემრე უთხრა: „წადიო და ხეს მეეჭიდეო, მოეხვიე ხელებიო, რომ ჩემმა ქმარმა ისევ უკან არ გადაგიტანოსო: მე უნა წავიდეო!“ წავიდა ისა, და ქოროღლი წამოიდა აქეთ. პატარა ბიჭები მღერიან გზაზე, გაიგონა:

„ჰალალ მე, დალალ მე!
ჩვენ ტერტერა ქორწილი აქო!“

ტერტერამ უნდა ჯვარი დაიწეროს. იმან უთხრა: „რას ამბობთ, ქაჯანო!“ „რა ვი ძიაო, ერთმა ტერტერამ ჯვარი უნა დაიწეროსო“.

წავიდა ქოროღლი, მივიდა იქ, საცა ჯვარს იწერამდენ. პური ჭამაზე სხედან. მივიდა და უთხრა: „ცოტა პური მამეცითო, ღვინო მამეცითო, რო დავლოცო ნეფე-დედოფალიო!“

რო ჭამა პური, დაიძახა: „ფურსაო თუ ხარსაო?“ ქალმა დაიძახა: „ფურის რა ბრალია, ხარსაო!“—დაუჭირა შვილდ-ისარი და მოკლა ტერტერა, გამოიყვანა ქალი.

ცხრა თვეც გავიდა, ცხრა დღეც, ცხრა საათიც. ცხრა ნიმუტი-დაა! დანებსა ლესამენ დევები: უნა დაკლან ის ბიჭი, დოჲტოღლი და შეჭამონ. გაისროლა ქოროღლიმ შვილდისარი, და ზედ იმათ რკინის კალოზე დაჯდა ისარი. მაიცადეს იმათ, არ დაკლეს, ის ბიჭი არ შაჭამეს.

მიიყვანა ქოროღლიმ ქალი, გადაიხადეს ქორწილი და ქალი დოჲტოღლის დარჩა. გათავდა.

## (შიდაკახური)

### 15

არსენა ოძელაშვილი ჩემი ხნისა იყო, ცოტა უმცროსი.

ეს იყო მთაში ცივიჲ გზაზე. ჯერილი რო ვიყავით, ოდიკაანთ სახლში მოდიოდა, ჩამოხდა და ხალხსა ჲკითხა:

— ალალბაში რომელიაო! — ესე იგი ქარვნის წინამძღოლიო. ჩემზეჲ მიუთითეს. ბურვაკისათვინ გამგზანა მელორეჲთან. მე კიდე არ მამცეჲ ბურვაკი. შამაახტა ლურჯაზე და მივიდა თითონ მელორეთან.

— რათ არ გამოგზანეო? — ჲკითხა, გადმოიღო თოფი, დაჲცა ერთ ჰედილ და გადმააგდო. ადგა მემრე და მაიტანა. ძალიან ვიქეიფეთ.

მეორე კვირაჲ კიდენ მოიდა და, ცხვრი მწვადები მქონდა, ის მივართვი.

არსენამ წვერი არ იცოდა. კარგი გადაგრეხილი წითური ულვაში ჲქონდა. ორთაშუა კაცი იყო არსენა, წითური, ცოტა შავგვრემანათ, სრული, წარმოსადეგი, ბეჰებიანი. წმინდა ხმა ჲქონდა.

კოპიტაშვილიც აგეთი იყო ჩვენში ჯერილობაში.

### 16

არსენა მარაბდელი ჩემი მეგობარი იყო. იმის გუნება ის იყო, მდიდარს ნახავდა, ფულ წაართმევდა და ჩემიჲთანა ღარიბ-ღატაკ ასმევაჰმევდა.

მუხრან-ბატონიჲ ტყე იყო, იქ ავიღე მე ტყე ღორები საჰმელზედ. იქაჲ ვხვდებოდი არსენასა. მეტყოდა ხოლმე: თუ სადმე გაგიჭირდეს, მარტო ჩემი სახელი ახსენეო! საშუალოზე ცოტა მაღალი იყო. მხარ-ბეჭი ძაან განიერი ჲქონდა და წელი არა ჲქონდა. მართლა ვაშკაცი იყო. ცხრა კაცის ილაჯი ჲქონდა. ცხრა მემცხვარე დააწვა მაჲ კისერზე და ცხრავე იგრე გადაყარა, როგორ ბუზები. მორიჟავო იყო და ლოყები წითური ჲქონდა. იმერულათ უქცევდა ლაპარაკზედ. კუჰანტელმა უღალატა.

ჩვენა, ძველმა ხალხმა, ეგრე ვიცოდით: რო რაიმეჲ დავინახამდით, უნდა დაგვეძლია.

## მ თ ვ ა რ ი ჲ  დ ა ძ ლ ე ვ ა:

ახალ მთვარეჲ რო დავინახამდით, ეგრე ვიცოდით:

მთვარე ვნახე ნებაზე,
ჩემსა საგონებაზე.
საფუარი-ფუარი,
საქმე ბარაქიანი—
მწყუ! (კოცნა).

## ქ უ ხ ი ლ ი ჲ  დ ა ძ ლ ე ვ ა:

ქუხილს ახლად რო გავიგებდით, ქვაჲ შამოვიდობდით ზურგზედ და ვიტყოდით:

ზურგი-ზურგი მაგარა,
ჩვენი ყანა გამძლარა,
ლეკებისა გამხმარა,
თათრებისა დამწვარა!

## ჰ ო ტ ი ჲ  დ ა ძ ლ ე ვ ა:

ჰოტი და ნიკიოტი იგივეა. ქვაზედ უნდა შეჲდგე:

ქვაზე ვდგევარ, ფეხთ მაცვია,
ოლოლოლო ჰოტ!

## ე ლ ვ ი ჲ  დ ა ძ ლ ე ვ ა:

რკინა უნა დაიდო კბილებზედ, უჩუმრათ.

## კ უ ჲ  დ ა ძ ლ ე ვ ა:

შეჯდებიან კუზე:

კუო, ქალაქ წამიღე,
ფარჩა მამატანინე!

## მ ე რ ც ხ ა ლ ზ ე:

მერცხალი რო მოფრინდება, თავიდღეში არ უნა უთხრა, „დაგძლიეო“. უნა მაიკითხო მერცხალი:

მერცხალო, როგორ შენ, როგორ შენი ინდოეთი,
ფაშკუნძ-ქალი რას გიზააამს? (აგრე გაგრძელებით ვიტყოდით).

ფაშკუნძ-ქალი ხენწიფეა მერცხლებისა. იმაჲ ცალი ლოყა აფუებული აქ მთვარესავით, ცალი კიდენ დამჭკნარი. მერცხლები რო მოფრინდებიან, ეტყვიან: რო მივედით იქით ქვეყნეფში, „დაგძლიე—დაგძლიე“ დაგვიძახესო. მაშინა ფაშკუნძ-ქალი გამხმარ ლოყაზედ ხელ დაიდეფს: „აი, ამ ლოყასავით გამკმარან, ვინცა შენ გეტყვიჲ „დაგძლიეო“! „ახლა: მავან ალაგაჲ-მოგიკითხეს, „ფაშკუნძ-ქალი რას გიზამსო“, ეტყვიან ხოლმე

მერცხლები. და ი მეორე ლოყაზე დაიდეფ ხელსა: „ამასავითაც გაფუებულა და ამასავითაც გალამაზებულა, ჩემ ლოყასავითაო, ვინც მე მამიკითხაო!“

17

ავიღეფთ ჭიის თესლსა და შავინახამთ, რა თქმა უნდა. გაზაფხულზედ გამოიტანთ თბილათ მზეზედ, თუ რაზე იქნება; და გადაიშლება თითონ თესლიდან ჭია, — როგორ შავი გუნდივით გამუა. მერე ამოიღეფთ ჭიასა, ჯერ ფურცლი ფოთოლ დუუფენთ და გადავიღეფთ კოკალზე. სამ დღეს უკან ის გადაიღეჯს ფერსა და გათეთრდება. მემრე იმას ვეტყვით: „მურისა გადაიწმინდაო“. ერთ კვირას უკან ორიისა ამუა. ახლა ამუა სამისაო — სამ კვირამდინ მაინც. ფურცელი უნა სამჯერ, მანამ ორისა ამუა. მემრე, როცა ორისა ამუა, ოთხჯერაც ვაჭმევთ დღეში. მემრე, როცა სამისა ამუა და ქერქითვინ იცდენს, მაშინ ხუთჯერ ვაჭმევთ. მემრე, ქერქისა რო ამუა, ცხრა დღეჲ ჭამსა და მემრე გააკეთეფს პარკს.

ჭიაჲ უნა მოვლა, ნაძირი უნა გამუუცვალო ოთხ დღეში ერთხელ. რამთვენი გაიჲდება, იმთვენი უნა გათხელდეს, რო ჭია გათამამდეს. თხელი ჭია თამამათ იჲდება, ხშირი — წლიოკდება.

პარკი ზოგი პირისფერი გამოდის. ზოგი კი თეთრი, თესლზე. ჯიშზეა დამოკიდებული.

ორმოყვანიანი თესლი სხვა არი, — აქ ის არ გაუმცელებიათ.

ეხლა ჩემი ბულბულივით ენა უნა ჩაჲწეროთ?!...

ნიშან რო ვნახამთ ჭიაში, გარსაცავ შემოუდეფთ, მემრე შავკრამთ კოლოლეფსა და შავცახამთ. მემრე, ჭია როცა წავა, გამუამანანავეფთ: ჭიას იქით გადავსხამთ დარჩომილს, და ცახები კიდენა დარჩება აქ.

ორ დღეს მემრე ნაძირ გადავყრით და ცახებ აქეთ დავაწყოფთ, — გამოსუფთავდება.

ორ დღეს მემრე კიდენა პარკი გამაგრდება და მესამე დღეს დავარჩევთ.

ეხლა ხო იქ აბარებენ პარკსა და ძველათ მომანჯანიკეჲ თან წავიღეფთ და ამუახვეინეფთ აბრაშუმსა. ის აგრე იყო მოწყობილი: ერთ ბარი პირზედ ამოჭრილია მიწა; ცეცხლ დაანთებენ შიგა და ზეთ ტაჲტი დგა. რო ადუღდება წყალი, ერთ ნიტრა პარკ ჩაჲყრიან შიგა და ერთი ქალი უჲწორეფს ტრით და მეორე აბრუნეფს ტარაბუაჲ, და აბრეშუმი ეხვევა ზედა.

მოქვქონდა სახლში, ძაფათა ვხმარობდით, ვაჭარ მიჲყიდიდენ ფარჩაზე და რავი, ყველაფერზე.

18

არიან კოდიანი წისქვილები. იდგმება, საცა პატარა წყლებია. თელავში მინახამ, პარკიჲ ზავოდ დაბლა. იქ ორი წისქვილია ეგეთი. იმათა აქ პატარა ქვები. იმ პატარა წისქვილეფს ეძახიან ბუჭულეფს.

წისქვილი აგრე უნა გაკეთდეს. სათავეში უნა გაუკეთო არხი. არხზე უნა წამაიყვანო წყალი. რაც უფრო გძლათ არი ღარი, უფრო უკეთესია. იმითვინა, რო აბრუნეფს ძალიან.

ღარი არი აწეული, გარდგარდმო უდევ ხე (კოჭი, მუხისა უნა იყოს). იმაზე აქ დადებული თავი ღარსა, — დაბურავებულია ზეთ, რო ღარი ქვეით არ ჩაცურდეჲ. ეხლა, საცა ღარ ბოლო აქ, იმას რო დაუახლოვდები, იქა ბიჯი უნა მიცე, რო დაბლა არ წავიდეს ღარი.

ღარს განი ბოლოში აქ ერთი ციდა, თავში კიდენა ორი მტკაველი. კედლები ნახევარ არშინზე ნაკლები ექნება, ზოგსაც ერთი ჩარექი. ღარი უნდა იყოს დაშვებული ისე, რო ბორბალში წყალი წორათ დაუჭიროს, — არც ზეით მოიდეს და არც ქვეითა. წყალი ცემს ბორბლის ფთეფს. ბორბალს ფთები რკინისაცა აქ და ხისაცა, ოცდაათიდან ორმოცამდე. ბორბალს, ღერძს სალტეები აქ გაკეთებული, შიგ ჩატანეშული აქ პატარ-პატარა სოლები, იმით არი დამაგრებული. დამორილია ხე და იმაშია გასული ღერძი. ბორბლიჲ ღერძიჲ დაბლა ხე არი — ასტამას ეძახიან. ბორბალს ქვეშ კოჭი უდევ ფიცრის ოდენა და სქელი. იმი სიგძე უნა იყოს იმთვენი, რომა ქვაჲ გარეთ უნა ჲქონდეს ერთი ბოლო და იქ უნა მოუწყო ასაწევ-დასაწევი. იქ ბოლო ამოჩვრეტილი აქ, შიგ ხეა გაკეთებული. ის ხე ადიჲ ზევით და ებმება მეორე ჯოხში. მარწუხ გადაუგდეფ და აჲწევ. კოჭი გადაიჭრება შუამდე. ასაწევ-დასაწევ კოჭზე ტრიალეფს ბორბლიჲ ღერძი. კოჭ ფოლადი უდევ. იმაჲ კიბორჩხი ჲქვია, — ზოგი პრტყელია, ზოგი გრგვალია. ასტამა ჲქვია ღერძის ბოლოჲ. ასტამა კიბორჩხში ტრიალეფს. ღერძის მაღლა, საცა ტრიალეფს ზეითა ქვა, თოხია გაკეთებული. თოხი რკინიჲ ნაჭერია, რომელიც გარდგარდმოა გამაგრებული ღერძის წვერზედ. ერთი მტკაველი სიგძე აქ. იმიჲ თანაბრათ ქვა არი ჩაჭრილი და თოხი შიგ ჩაჯდება და დაიმაგრეფს. ქვეითა ქვა დამაგრებულია ისე, რო იმან არ უნა იბრუნოჲ, მარტო ზეითამ უნა იბრუნოს. გაჩერებული ქვა გამაგრებულია კოჭებზე.

მარცვლის ჩასაყარი კასრები აქ ზოგ ზეითა ქვაჲ, ზოგ კიდე არ უნდა, იგრეა თითონ გაკეთებული. ქვებ გარშემო რკლები აქ შემოვლებული ხისა, რო ფქვილი არ გადაცვივდეთ. წინ, საცა ფქვილი იხრება, იმას ალატი ჲქვიან.

ზეითა ქვას ჯოხი, სარეკელა უდევ, — ქვა ამუშეეფს იმას, ის კიდე აკაკუნეფს და მარცვლები მოცვივა კრიჭადამ, რომელიც მიმაგრებულია ზეით ხვიმირეზედ. ხვიმირეში სამი კოდი პური ჩადის ერთბაშათ, ესე იგი ცხრა ფუთი. ფქვილი ქვიდამ ყოველმხრივ გადადის, მაგრამ რკლები იჭერს და შემდეგ გამააქ ალატში.

პურზეა დამოკიდებული ქვიჲ მოკოდვა. თუ ნედლი პური შახვდება, მაშინ მალე ილესება ქვა, ზედ ეგლისება და ველარა ჲჭრის; დღეში თითო ჯერ უნა მოკოდო. ზოგი ქვა შეიძლება ამუშაო ერთ კვირამდი.

მოსაკოდავი პატარა თოხი არი. მოკოდვა მეწისქვილეებმა თითონ იციან. მეწისქვილეჲ დაფქვაში ეძლევა მინდი.

წისქვილსა აქ მიდგმული კუხნა, გინა ოთახი დაუძახე. ზოგს შიგნითაცა აქ გაკეთებული. ეს მეწისქვილეჲ საყარაულოა. მას ბუხარი აქ და საწოლი. წისქვილ კედელში აქ გაჭრილი სანათურები. ზოგს კუხნაში შუშა უსხათ.

ტომრის ჩამოსაბმელი წნელია დაგრეხილი რცხილადან ან შვინდიდან. ის მაღლაა ჩამობმული; ზეთ თოკია ჩამობმული, რო ტომარა ჩემეებაჲ.

კარგი ქვა დღე-ღამეში ოც კოდამდი დაფქვავს.

## 19

ჩვენი ხელსაწყოა: გრდემი, საბერველი, კვერი, ჩაქუჩი, ჩარხი, ბორმაშინა, მორგვის ჩარხი, მანგანა. მანგანა იგივე ტისკაა. ქლიბი პატარაა და ჭოპოსანი — დიდი: რეზინაზე, ცხენიჲ ჩლიქზედ ხმარობენ.

ურემსა აქ: ურმი თვალი; შუაში მორგვია, მემრე ტულკია (იგივე ტუნკია). მემრე სოლი თორმეტი ცალი, მემრე — ფერსო, ოთხი ცალი მოღუნული, და მემრე შეერთდება. გარშემო თვალსა აქ ურმიჲ რკინა, იგივე შინი.

რკინის შედუღებიჲ დრო თანუქარი არი საჭირო. — მარილივით ნაცვნილია, ადუღეფს რკინას, — ფიცხი რკინისათვინ ვხმაროფთ. კავშირი კი შეადუღეფს ერთმანეთში, — ის თითფერია რა. რკინისაგან კეთდება თოხი. ნაჯახი, ცული, წალდი, ყველაფერი.

მარწუხი გვაქ ცხელ რკინაში სახმაროთ. გაზი კი ლურსმნის ამოსაღები. ნალის ლურსმან ყაირს ვეძახით.

სამჭედლოში, რკინის დამუშავების დროს მჭედელი ეუბნება შეგირდსა:

— დაიცა, ბიჭო, შენ ეეე! ნუ გააწვრილე, დააგრგვალე, დააგრგვალე!

## 20

შამილიჲ ჯარი რო წამოიდა კახეთში დაღიჲტნიდამ, აი ლეკიდამ, — მემრე კახეთიდამ გასულა წინანდალში გაღმა. და დავით ჭავჭავაძიჲ ცოლ-შვილი გაურეკია. დავით ჭავჭავაძე მაშინა რუსეთში იყო და ვერ გაიგო თავიჲ ცოლ-შვილი გარეკვა.

როცა გაიგო, დაღონდა. ხენწიფემ უთხრა, რათ დაღონდიო?

— იმითვინ დავღონდი, რო ცოლ-შვილიდამ ცარიელი დავრჩიო. — მაშვინ უთხრა იმ ხენწიფემ:

— რათა დარდოფ, იმ შამილ და იმ შენ ცოლ-შვილს აქა მოვრეკამო.

მორეკა კიდეცა. იქიდამ წამოიდა რუსი ჯარი: ჯერ გზები აკეთა, ციხეები აშენა, და იგრე შავიდა შამილიჲ სოფელში, გალავანში, რო

შამილმა ვერ გაიგო. ღალაბანდ რო რახრახი დააწყებინეჲ და გამაიხედა და დაინახა, მემრე რას იზამდა! ადგა და ჩესტი გაუკეთათ.

სამი დღე იქა ჲყვანდა. მემრე მოუსო და რუსეთში გაჲრეკა შენი შამილი თავისი ცოლ-შვილით. ხენწიფემ იმიჲ შვილები სუ სამსახურში ჩააყენა. შამილი კიდე გვერდზედ უყურებდა, ეშინოდა, არ მამკლანო, მარა რათ მოჲკლამდა!

21

ყვარლი საბჭომ დამავალა შამილიჲ ლექსი გამოთქმა, — გამოთქვი და ოლიმპიადაზე ჩაძახეო! — ეს იყო ორი წლიჲ წინათ.

წაველი ძველ გავაზში. ვიკითხე იმიჲ (შამილისა) ამბები. მემრე სოფელ თივში გადაველი, ისა ლეკიჲ სოფელია ძველ გავაზის გვერდში. იქა ვნახე — ასათი წლის კაცი იყო, აი ლეკი. იმან მიამბო. იმას აბდულა ერქვა. იმაჲ ძმა ჲყვანდა და იმ ძმისგან გაგონილი ჲქონდა, როგო ჩამოიდა შამილი რუსის ჯართან. იმანა ჲთქვა:

— შამილი რომ ჩამოიდა, კმალი შუბლზედა ჲქონდა მიდობილი ჲწორეთ, სიგრძეზე რა, — და იგრე მისულიყო რუსების ჯარის უფროჲთან. ჯერ სალამი მიეცა და მემრე კმალი გედეელოცნა, „ეგ კმალი შენთვან დამილოცნიაო!“

„უფროო დაწვრილებით კიდენა მაღლა ლეკეფში იციან“, მითხრა. იქაც გადაველი. იქა იყო ერთი ბებერი. იმანაც დამატებით მიამბო. როგოცა გეეგონა.

მანამ იქ ჭავიდოდი, ესე მოკლეთ გამოვთქვი ლექსი შამილისა, მაგრამა მე ჭკვაში არ დამიჯდა: „ეგ რა არის-მეთქი?“ გაზეთში მაინც გაუშვეჲ ყვარლისა.

მას შემდეგ წაველი ახალ გავაზში და მემრე ლეკეფში იმის გასაგეპათ, თუ როგო იყო ყველაფერი. იმ ბებრემა რო ილაპარაკეჲ, ი სიტყვები ავკრიფე, მუელ სახში და გამოვთქვი. მემრე აქ ერთი ჩვენი ნათლიმამა იყო, იმან ჲწორეთ იგივე ჲთქვა, — ორთავეჲ ნაამბობი ერთი მეორეს მიუდგა.

ეგეც გული, თორე რა მრჯიდა, ამთვენ რაჲმარბენინებდა, სამი დღე დავკარგე. მაგრამა ლექს ეგრე ჲპირიბ, სიმართლე უნა იყოჲ შიგა.

22

როცა ლეკი მთლიანათ შეიკრიფა ხეობაში, ძრიან მრავალი რო იყო ლეკი და ხეობა კიდე ვიწრო, — ხელი ეშლებოდათ ბრძოლის დროჲ. ლუხუმი დაჲძახეფს თავისი ლაშქარს:

— ჩქარა ესროლეთ თოფები, თორენა ხელიდამ წაგვივა ეს ამოტელა საჭმელი ლუკმაო!

და მათ კი დაჲცალეჲ ტყუპათ თოფები და მთელი ლეკი დაბლა რი-

ყეზედ დაავგეს, როგორ ნაბადი. ნაწილი ლეკი, რომლები გადარჩნენ, მიეშურებოდნენ თავქვე ხეობისაყენ. მაშინ გაიძრო ლუხუმა ხმალი და გადაუხტათ. მოჲდევდა პირაღებით და ჲკაფავდა, როგოც ხის ტოტებიასე გაჲწყვიტა ის იმოტელა ჯარი, რო ერთიც აღარ გაუშვა, ამბავი რო მაინც მიეტანა თავისი ბატონ ფაშასთან.

ზეზავსაც გაესისხლიანებინა თავისი მჭრელი და მძლავრი ფრანგული. და როცა მშვიდობიანობა შეიქმნა, ლუხუმი უპასუხებდა ზეზავსა:

— როგორ გადამრჩი, ჩემო ზეზაო, რომ შენც არ მოგაოხებინე გული ბრძოლაშიო! მე თითონ არც კი მეყო საბრძოლოთო!

— არა უშავ რა, ჩემო ლუხუმო, კიდე მოგვივა დრო, როცა მეც კი მოიკლამ ჟინსაო, — ეუბნევოდა ზეზავი.

ეგ ამბავი ვაჟასა აქ „ბახტრიონში“, მაგრამა იქ სუ სხვაფერაა დაწერილი. სოფლათ კიდენა ეგრე ვიცით.

## 23

ათას რვაას ოთხმოცდა რვა წლიდამ დაიწყეჲ სალდათების გაყვანა კახეთში, მანამდი არ გაჲყავდათ.

გაყვანიჲ წინა ხანეფში მოხდა ეგ ამბავი სოფელ საქობოში. თბილისიდამ იყო ორბელიანი ჩამოსული და მაზრის ნაჩანიკი, საქობოში მოხდა ყრილობა სალდათების ალებიჲ შესახეფ. უპირველესათ როგოც ქიზიყი და მაგარი ხალხი, დაიწყეჲ საქობოდამ.

მაგრამ მთელი სოფლის დედაკაცები დაესხნენ თავ ქვითა და კეტებით ნაჩანიკს და ორბელიანს. გამაიქცნენ ისინი დასამალათ. იქვე საჩქაროთ კაცი გაიქცა სიღნაღში უფროჲთან დახმარებიჲთვინ ორბელიანზედ. ვიდრე მეეშველებოდნენ, ორბელიანმა გადმაირბინა სოფელი ვაქირი, შემობრუნდა ანაგის ხევზედ, სახენწიფო შოშია გზა გადაჲჭრა და კლდიჲ ძირას წისქვილში შეძვრა. აქ პატარა დასამალი ნახა და დაიმალა.

მიყვნენ კაცი და დედაკაცი და მიაგნეჲ. შეიქნა აურზაური, ყვირილი: „აი აქ არი, აქ არიო!“ ერთმა დედაკაცმა ჲტაცა ფეხში ხელი და ათრევს. თურმე ორბელიან ცალი ფეხი მიბმული ჲქონია, იმ დროში ეს არვინ იცოდა კახეთში, — გამაჲწიეს და გამააძრეჲ მობმული ფეხი. გამაიტანეს ფეხი და ჲყვიროდნენ: „ერთი ფეხი სუ ამოვაგლიჯეთო, ეხლა მაინც მოკვდებაო!“. კიდევაც მეეშველა სიღნალიდამ ჩაფრები და გადაანარჩუნეჲ. ყვირილი მაინც არ მოჲწყდა: „არ მოქცემთ, არ მოქცემთ სალდათსაო“, გაიძახოდნენ.

## 24

მე მახსომს, რო ჩუმლაყში ოთხი კაცი იყო წერა-კითხვიჲ მცოდნე. ოცდახუთი წლისა ვიყავი, რო პირველათ აქ დაარსდა შკოლა. ღვდელი იყო მაჲწავლებელი, ნატურით მიჲქონდა გლეხიდამ საფასური. ჩუმლა-

ყიჰ საზოგადოება შეადგენდა ორას კომლ, მეტი არა. იმ ოთხმა იცოდა წერა-კითხვა თავიანთთავად, შკოლა არ გაუვლიათ.

მაშინდელი გლეხობა მიჰდევდა ხვნას, თესვას და მევენახეობაჰ. ვენახები იყო ქართული ჯიშისა: შავი საფერავი, თეთრი რქაწითელი, მწვანე, კუმსი (ხარისხოვანათ მწვანეზედ ცოტა დაბალი ღვინო აქ), მხარგრძელი (შავი ყურძენი), თავკვერი, თითა (თეთრი და შავი). ახლა თითები არიან დარჩომილი გადანამყენებული. უწინ ვენახს არა ვწამლავდით. გემოც უკეთესი ჰქონდა.

## 25

ამ ჰერმისუბანში მცხოვრები ძმათაშვილები მანძულა და თევდორე სისაურები იყვნენ. ძველთაგან ყოფილან ყმები ნინიკა ავალიშვილისა.

როცა თევდორე სისაური დაინიშნა, ხო, ცოლი მაიყვანა სოფელ გურჯაანიდამ. პატარძალი ყოფილა ძრიან ლამაზი ქალი. მაშინ ბატონ-ყმური ჩვეულება როგორცა იყო, ყმები რო ცოლს მაიყვანდა, პირველა ღამეს თურმე ბატონმა უნა მოისვენოს იმ პატარძალთან.

რადგანაც ბატონმა თევდორე სისაურთან ეს ვერ მუახერხა დროზედ, — რაღაჰ გარემოებამ ხელი ვერ შეუწყო, — დაიბარა სისაური ცოლიანი და დღედაღამ თავი საქმეზე ჰყავ სამუშაოთ.

ერთხელ დაუძახა მანძულა სისაურს, ქაღალდში შეხვეული შვიდი ცალი სატაცური და ერთი წერილი მიჰცა და უთხრა:

— შენ უნა წახვიდე სოფელ იყალთოში მეგობარ ბატონთან და ეს ფეშქაში უნა მიართვაო! — ამით უნდოდა მანძულა სახლიდამ მოეშორებინა და პატარძალი მარტოკა დარჩომილიყო, რო თავის ნებაზე ეთარეშნა. მანძულა მიხვდა და დაიმალა, არ წასულა; ტყვილა მააჩვენა წასვლა.

როცა იდროვა მანძულას წასვლა, ნინიკას გამოუგზავნია ყმები სისაურის პატარძლი მოსაყვანათ. პატარძალს უარი უთქვამს:

— მე შემირთო ცოლათ თევდორე სისაურმა და არა თქვენმა ბატონმაო!

ბატონი ავალიშვილი ძრიან გაცეცხლდა:

— რამ დამავიწყა... (ეგრე ჰცოდნია სიტყვაში მასალათ), თქვენ მაძაღლებო, წადით და თმებით მამიყვანეთო.

სამს სამი კაცი კიდე დაუმატა და გაგზანა.

რო დაინახა მანძულამ ექვსი კაციჰ ჩამოსვლა ოჯახში, გამოიდა გარეთ შეიარაღებული და უთხრა ყმეფს:

— ყველა ერთ ტაფაში ვიწვით და სად მოჰდიხართ, რო მოხვალთო?

მანძულა ყოფილა ტანათ პატარა კაცი და გულით ფოლადი რუზღიანი.

ყმებმა შიშით ველარაფერი თქვეს, გაიქცნენ:

— როგო თუ მანძულამ ჩემი ბძანება არ შაასრულაო! — ბატონი კბილით ხორცეფ იგლეჯამს. დაიბარა თითონ მანძულა.

დილით ადრიან გამოსულა ბატონი და გძელ ბალკომზე დასეირნოფს. რო დაინახა მანძულა, ლანძღვა-გინებით დაუძახა:

— როგორ ჩემი ბრძანება არ შაასრულეო?! — მანძულამაც ლანძღვით უპასუხა.

ბატონმა მიაყვირა ყმეფს:

— დაიჭით ჩქარაო! — შამოეხვივნენ ყმები. მანძულამ უთხრათ:

— ახლო არავინ არ მოხვიდეთ, თორე უსიკვდილოდ ვერც ერთი გადამირჩებითო! — მაშინ მივარდა ბატონი და გაბოროტებულს ხელით უნდოდა გაეგლიჯა... მაგრამ იელვა მანძულას ჴმალმა და ნინიკა ავალიშვილი თავჩამოჭრილი მიწაზედ დავარდა.

შაატყობინეს ადგილობრივ მთავრობას: ნაცვალს, ნაცვალმა დიანბეგს, — ბოქაულის ადგილი ეჭირა, — და მანძულა ხელებშეკრული ჩამოატარეს სოფელზე და გადაასახლეს ციმბირში.

26

ერთ დედაკაცსა და ერთ კაცს ერთი ბატი ჲყვანდა. კაცი სულმოკლე იყო და ბატიჲ შეჭმა ეჩქარებოდა. ცოლს უთხრა:

— მოდი, დედაკაცო, დავკლათ ე ბატი და ერთი გემრიელათ შავჭამოთო. — ქალმა უთხრა:

— რა არი, კაცო, იყოს, იქნებ უცხო კაცი მოგვადგეჲ და მაშინ გამოგვადგებაო. — ამ კაც ბატიჲ დაკვლა ძაან უნდოდა. ადგა, ერთი უცხო კაცი ნახა და უთხრა:

— წამო, კაცო, შენ ოჯახში რამთონჯერა ვყოფილვარ, ერთი ჩემსაჲ მოდიო! — კაც გაუკვირდა: „საიდან მიცნოფს ე კაცი, რო ცხოვრებაში არ მინახიაო!“ მაინც მაიყვანა სახლში. ადგა და დაჲკლეს ეს ბატი. ცოლს უთხრა:

— დედაკაცო, ამ კაცის ოჯახში რამთონი დროება გამიტარებია და ეხლა პატივი ვცეთო!

— კარგიო, — უთხრა ცოლმა.

ბატი რო იხარშებოდა, ნახეს, რო პურები არა აქთ. ეს კაცი დუქანში წავიდა პურებითვინ. ახლა ამ დედაკაცმა გამაიღო, ერთი ჟანგიანი დანა ჲქონდა, და ხეხამს. იმ ტუმარმა კითხა:

— რათ გინდა ეს ჟანგიანი დანაო? — ქალმა უთხრა:

— ჩვენ ეგრე ვიცითო: ვინც ტუმარი მოვა, ყველაჲ ყური უნა დავაჭრათო. იმ კაცმა შეშინებული გამოვარდა და გაიქცა. ქალმა ბატი დამალა თონეში და ქმარმა რო პურები მაიტანა, უთხრა:

— იმ ტუმარმა ბატი გაიტაცა და წავიდაო. — კაცი დაედევნა ტუმარს და ეძახის:

— მაიტა, კაცო, ერთი წვენში პური მაინც ამამაწებინეო!—ვერ დაეწივა, მობრუნდა სახლში და ჲხედამს: ქალ ბატი თონე'ში ჩაუდვია და ორთქლი ამოდიჲ. მეორე დღეს იმ კაცმა თითონ მოჲპარა ქალ ბატი და წაიღო ვენახში. ქალმა კიდე მეზობელ დააბარა: „მინახამდა მეზობელი და ამაიღებდაო“.

## 27

წმინდამ გიორგიმ დაჲწყევლა
ეხლანდელი ქალი რჯული.
მანამ გასათხუარია,
სახლში არი დალუღული.
ქრმის ხელში როცა ჩავარდა,
იქ მიეცა დიდი გული.
მამამთილ წიხლი ამაჲკრა.
ტახტქვეშ შაძვრა გაფაფხული.
დედამთილ სილაჲ შამოჲკრა,
მარდათ ამოუა სული.

მული კარეფს ეფარება
შიშისაგან გათანგული.
ჩოქლა ღმერც ეხვეწება,
— რა ყოფილა დატანჯული!
კიდობან კლიტე დაადო,
არვის აჭამა პური.
— ჩემი ქრმიჲ მონაგარია,
ყველამ დაიჩიჩქნეთ ყური!
იმნაირი სიტყვები თქო,
ყველაჲ გაუფუჭა გული.

## 28

### [ცალკეული ფრაზები]

— ძველათ, ომიჲ დროჲ, დეეძახნათ ჩვენში ქუდზე კაცი, წნორზე მეეყარათ თავი. დიდი ხოცვა ყოფილიყო:

ჯეილ ვაშაკაციჲ ქოჩორი
ველზე დაჲქონდა ნიავსა,
ნეტავი, ვინც არ 'შეეჲწრო
ამთვენი ცოდოჲ ტრიალსა.

— გულიყური უნდა, რო დაიხსომო ლექსი.

— ერთი ლექსი მეც გამოვთქვი, მიველ და ჩანგურ დავძახე. თქვეს: „ამას კარგა გამოუთქვავო, შენსა ჲჯობიაო! „მეჩანგურე სანდროს უთხრეს.

— მერე რაღას აყოვნეფ, გვითხარი, ჩვენც შევაფასოთ!

— ეგრე რათ მტანჯამ,
არ გებრალები?
გურგლივ მამიდე
ცეცხლის ალები!

— უბედურ კაც ქვა პირაღმა მეეწივაო, ეგრეა.

— გახე, რასა ჲშვებიან: მოუბავთ ხის კევრები და შიგ შაუბავთ ვანიეჲ ნიშა ხარი!

— იყვნენ, იყვნენ მანდა! ნუ გარეკამ!

— ოჯახში სამი სულია: ბაღში ყველაფერი უდგა: კიტრი უდგა, კომბოსტო უდგა, ჭარხალი, სიმინდი, რავი, ყველაფერი. მამაჩემი მიდიჲ ყოველკვირა და დაითვრება ხოლმე.

— შარშანა გვყავნდა ღორი იმოტელა, რო დიდი: თითო დაგდებაზე ხუთზე ნაკლებს არ აგდებდა.

— თინა, პაწა მემეშველე, ციკანი მაიგო თხამ!

— წყლიპირაჲ მივიდა, რითვინ ვერ მიხვთი?

— ექიმებმა ერთი თირკმელა რო ამააჭრეჲ, მეორეზე მიდგა ჯერი.

— ახლა მუარდა ლენტოჲთან კაცი: „ახალკაციანთ ცოლიძმიშვილ ცემა რძალმაო!“.

— ერთი ბეწო რო რაიმე გამეჯავროს, გული მიღონდება.

— მირიანაანთ გიორგიმ აგვიკლო კვეხნით: „მე ღვინო და არაყი გავაყოლეყეო სალდათს უჩუმრათ. ის რო წავიდა, მტერ წევეპარეყეო. უყურეფყეო: ბაირაღი რო არი, იმაჲ ვემარჯვებიო. დავავლე ხელი იმ ბაირაღ და იკილმუკულ გამავიქეციო“.

— შენ ეგრე ამოფ და იმათ ბებერმა დედამ სამივე შვილ დაუთითოვა გალმაური ქალები.

— აი აქ სიმინდში ქურდები დაუჭერნიათ. ეხლა ისინი ერთმანეთ ჯაბრს უგდებენ, და მითვინაო გიგოლაანთ სანდრო ჩამუაო და ის გაასამართლეფსო, უთქვამ.

— ის მალე ამუა? ეხლა იცის იმან, რო უნა მოიდეს?

— არ ვიცი, რო დაგატყუო, რა!

— ბაბე, წამო, სად იყავ, ქა! ჩაყლაპე რამე და წავიდეთ. იმოდენა შვინდიაო, რო ვერ აუა ადამიანი.

— მე გადაჩერჩეტებული ვარ მოხუცებით. ეხლა არა, მუალ ხვალ. სანდროჲ უნა ვუყურაულო.

— ამ კვირია დავამთავრეფ მკაჲ და იმ კვირია გადავალ ვენახში. ადრე მოვრჩი: ერთი გურჯაანული კაცი მეჭმარებოდა და ერთიც თელაველი. არჩუაანთ ნიკოჲ რა მოუვიდა?

— რაა, დაჲწყევლოჲ ქრიჲტემ, რავი, რა მოუვიდა!

— მურაკაანთ ქეთომა თქვა: „გიგლამ ე რა მაიგონა: ახტი-ჩახტი, ახტი-ჩახტი ბალკომზედაო?“. ლობიო წაიღოს ქეთომ?

— წაიღოს და იხმაროს! რა იყო: ხუთი კოდი ლობიო მოგვივიდა და ლობიოჲ ვერ გაჭმევ!

— ეგ შენ მააქუჩე და მე ამოვალ.

— მგელი მუუვარდა მელიაჲ და უთხრა: „მზეჲ გარდა და მთვარეჲ გარდა თუა ქვეყნათ სინათლეო?“ „კიო, — მელიამა ჲთქვა, — იმ საქათმიჲ პატრონსა აქო“.

— მოგვიტა, ბიჭო, წყალი! სად ასხავ წყალს?... ცივი უნა მაიტანო, თბილია ეგ, მა რა არი?!

— თოხები მაიტანეთ აქა?

— მოიტანეთ, მაგრამა არ გაგვიკეთეს.

— ესეც ისე მეუბნევა, რო შარანდელი გაჲწორებული გაქო, და ეხლა ი ზაქები მანდ უნდა მყვანდეჲ, მანამ არ მუა გიორგი?

— აქ დავარჩინოთ ამბავი ლევანთან. ბიჭო ლევან! თუ მოიდეჲ გი-ორგი, უთხარი: ჩვენ წაველით მთაში. ნელა-ნელაჲ ვივლით. დაგვეწევა იდეცა. თუ ადრე წამუა.

— თუ მაიტან ვალდებულებაჲ, კაი იქნებაჲ.

— ჩამოტანით ჩამოიტან, კაცო, ეგ თუ შველიჲ საქმეჲ.

— ერთი მიინძრ-მაინძრა ი ბიჭი და აქეთ-იქით გადაყარა ხალხი.

— ვაჟიკაცია და სულელი: „ბღარტები სხედან აი აქაო!“ და თანაც ემყენ იწევს. მე მაღლა ვიწევი, კარი ჩავკეტევი, კაცი არაჲ მყვანდა ამხმარე. მაგრამა კარი ჩამაიღო, დაჲწყევლა ღმერთმა! ასათიანი გაჲ-ერამ საგიჟეთში!

— გოო, რევაზ მანდ არი?

— ვეძახეყე იმათ, მაგრამ ვერ გავაგონე.

— კაცი არაჲ გყავ დამხმარე.

— მე რავი, რამთვენი კაცია ვაგონში.

— მანდ იყავ რევაზის მოსვლამდი!

29

— რო იბღინძება, რას იბღინძება ეგ ილა: „ქუდი მხურამ და ქა-ლიცა მყავ შკოლაში გაჲდილიო“. განა სხვას არაჲ ყავ შკოლაში გაჲ-დილი ქალები?

— მე რათ მემდურება ე გოგო: რითვინა ჲყიდულოფს იგეთ ფეხ-ამოს!

— მანდ დააყე კამეჩები, შენ გაჲდას! მე ეხლავე მოიტან ფქვილსა.

— გუშინწინ ღამით იყავი კრებაზე?

— ჩვენ მემრე მუედით, დაშლილი იყვნენ.

— რას ამბ, ბიჭოუ!

— მე და გიზო უმძრახათ ვიყავით დიდხან იმ ჟულეტაჲ გულითვინ.

— არამთუ ხელი გაავლო, იზამს, ძაან თარაქამა დედაკაცია.

— ი ბალღი ავათა ჲყამ?

— ჰო.

— აიჩხუბნენ ისინი: ბალღი არა მყავო, დედაკაც ძუძუთა ბალღი ჲყავო; ორი დღე იმასა ვდიე—არ უნა გედივნაო.

— კაცო, მე დეგეხმარები, უთხარი ვერაჲ.

— გუშინწინღამ დამთვრალან მეურმეები, გამოუშვიათ საქონლები,— იმაჲ თავითვინ, იმაჲ თავითვინ,—სუ სახლში მოულალიათ.

— მე მანდ მუშაობაჲ ვერ ავიტან. ერთი დღე რო ვიმუშაოო, სამი დღე ფინთათა ეხდები. ისედაც ცუდათაჲ ვსხედვართ.

- ახლა კიდე კაჭკა არა აქთ იმ ოკრეფს და რა უნა ვქნა, რით უნა წავიღო პური?

— აქ ნიკოჲ ხოლმე უჩუმრაჲ ნამუშევარი?
— აბა ნიკო?
— აი, აბრამიანთ ნიკოჲ?
— ექნება მაჲ! ი თავს არ დაატყუეფს, შენ არხეინათ იყავ!

— ახლახან გაღმა ახოსა ვტეხამდი. ცოტა შაწუხდა ვენახი გვალვობითა. ვერ ამუელ ჰირ ვარამიდან; ჯერ ობლათ ვიყავ გაჲდილი. მემრე სამი ვაჟიცა და ცოლიც ერთ წელიწადში დამეღუპა...

— წერტის უფროსები სად არიან, ან ჩვენ რასაჲ ვსხედვართ აქა?

— დიდი შესავალი აქ გურჯაანს იმ ახტალით.

— მე აი როგო დამეპრუწა კანი ახტალაში!

## 30

ყეინობა იყო ძველათ, ხორც არა ჲჭამდნენ. ყველიერი რო გათენდებოდა, გაჲქონდათ გნიასი, თამაში. იტყოდნენ, ყეინათ ვინ დავსოთო. წავიდოდით გზიდამ ქვეითამდინ. გავაკეთებდით წვეტივით ქუდს, ჩავავლებდით მკლავებში ხელს და დაგვყანდა. ის იყო დიდი აუარებელი ხემწიფე. მჭადს ვინ აცხობსო? (მაშინ მჭადს არავინ აცხობდა). ყვანდა ჩაფრები, გზირები. ზოგ ხმალი ეჭირა, ზოგ კეტი. ასე საღამოთი მივიდოდით ჩემთან შენთან, იმაჲთან, ამაჲთან. ეტყოდნენ: შენ შემოგაწერე პურიო, ღვინოვო. საღამომდინ დაიჭერდნენ დაფა-ზურნაჲ. რო დაღამდებოდა, გავიდოდით და ჩადგებოდა ყეინი, გადაჲყრიდა ტანისამოს. ხალხ დაჲლოცავდა. კარგი მოსავალი მოგვიყვანესო. ამას რო იტყოდა და დაიბანდა თავ-პირს. ერთი ეტაკებოდა იმათ და შიგ წყალში ჩაჲდებდნენ. ერთ სახლში მივიდოდნენ და გაჲშლიდნენ სარდოჲ, რასაც იშოვნიდნენ. და ქეიფობდნენ. მეორე დღეჲ გამოიდოდნენ და ტლინკავდნენ. სუ ყოველ წელიწადს აკეთებდნენ.

## 31

ქალურად მოჲრთავდნენ ბიჭსა და ვითომ ქალი და ბიჭი თამაშობდნენ ერთად. წეეტანებოდა, ვითომ უნა აკოცოს, და ქალი გაიქცეოდა, არ მაკოცოო, მეორედ სხვა ბიჭი წეეტანებოდა. იმას ხლმიანი კაცი შველოდა, ვის დედაკაც ეტანებიო. ეს თამაშობა ყველა მეკომურთან იცოდნენ. ზოგან ჩონგური ჲქონდათ, ზოგან სალამური. აქედამ შილდაში, ენისელში, გრემში წასულან.

## 32

აღებულია ოთხი ხე. გათლილი სწორე ხე. ორსა ჲქვიან რვილი. ის არი სიგანის ხეები. ორი კიდე სიგძის ხეა. ეს ოთხი ხე ერთმანეთზეა დამაგრებული. ოთხკუთხიანია. მიყუდებულია კედელზე. ამ საფიქრო ხეებზე, სიგანის ხეზე, მივაკრავთ ორ წვრილ ჯოხ. ამ ჯოხები დახმარებით ამოვახვევთ ბაწარ. შუაში გაუყრით ბარი ტარი ტოლა ხეჲ. ამასა ჲქვიან რვილი.

აშასა ჲქვიან დაქსულვა. მერე იმ ქსელ ჩაუბამთ ფერად ბაწრებ. მერე დავიწყებთ ფოდნოც. ფოდნოცი არი შუა გული. გადაუმატებთ და გადმოუმატებთ ფერად ბაწარ, გულში რო ვარდი გადიდდეჲ. ჩაიქსოება ყვაილი, მერე კოკორი. დავამთავრებთ ფოდნოც. მერე ფოდნოც გაუკეთებთ ხრახნილ. ხრახნილი შემდეგ არშია იქსოება. იქაც ყვავილი აქს. მერე კიდე ხრახნილი იქსოება. ხრახნილის შემდეგ შიპი იქსოება. მერე ამოიღება ფარდაგი, ფუნჯი უკეთდება. ეგრე იქსოება ხურჯინი. ტომარა.

33

მელია ჩიეჩვია ერთ მეწისქვილეს, ქათმები სუ დაუჭამა. უნა შეეკლა ის მელია. დაიჭირა ეს ქურდი. მელიამ უთხრა: არ მამკლა და ბედსა გწევო. რა ბედი უნდა მწიოო? — ის მეწისქვილე დასაქორწილებელი იყო და — ქალ გაგირიგებო. შეეკითხა: ვის ქალ გამირიგებო? და უთხრა: ხელმწიფი ქალს გაგირიგებო. ეხლა მეწისქვილემ უთხრა, მე ხელმწიფი ქალ ვინ მამცემსო? მე გაგირიგეფო. წავიდა სამარჭაკლოთ, ხელმწიფესთან მივიდა. იქ ხო ტყუილი უნა ილაპარაკოს მაი ჭაკალმა. შეეკითხნეს: ვის უნდა შერთა ჩვენი ქალიო? რუხრუხ ხელმწიფე თხოულობსო (რუხრუხა იმიტვინ უთხრა, რო წისქვილი რუხრუხებს). იმათ ჰოობა უთხრეს. მოიყვანე ვაჟიო. წამოიდა და მოვიდა მეწისქვილესთან. ერთი დავარდნილი ცხენი ჲყვანდა და იმ ცხენზე შესო (ის ცხენი მოუკვდა გზაში). შუა გზაზე რო მივიდა, ერთი გუბე დაჲხვდა. მელიამ იფიქრა, ე დავარდნილი ცხენით როგორ მივიყვანო ჩამოფხრეწილი კაციო. წამოურბინა და შააფთხო ცხენი, გუბეში ჩააგდო. იყავი მანდო. მემრე ხემწიფეჲთან გაიქცა. რაში შაუფთხვას სასიძოს და გუბეში ჩავარდაო. ტანისამოსი უნა გამატანოო. გაატანეჲ ტანისამოსი და ჩაიცო და მივიდა. დანიშნა ეს ქალი, წამოიყვანა. წამოიდა და შუა გზაში რო მოიდა, მელია ფიქრობს, სად მიიყვანოს. იმას ეგულებოდა ერთ მთაში ცხრა მდევი. იმ ცხრა მდევს ცხრა ოთახი სახლი ედგათ, სუ შავერცხლილი ოქროთი და ვერცხლით. წავიდა, მოუდის მაყრიონი. გააჩერა შუა გზაში. გაიქცა მდევებთან. ცხრა ძირი თივა ედგათ ცხრა მდევს. მემრე მდევებ უთხრა. ხელმწიფი ჯარი მოდის და რო დაგინახონ, დაგხოცავენო. ამ თივაში უნა შაჲძვრეთო. დაბრუნდა მაყრიონთან და უთხრა: ცხრა ძირი თივა უდგა ამ კაც და სუ ტყვიით უნა დაიწოსო მხიარულების ნიშნათო. გეემზადნენ. რო მიახლოვდნენ, დაუშინეს თივებს და ეს მდევები შიგ ამოხრუკეს. მართლა შევიდნენ სახლში და მართლა გაუკვირდათ. ეს მეწისქვილე ათვარიელებს სახლს გაცეტებული. ქალი მაჲამ კითხა მარჭაკალ ცალკე, რით იყურება ეგრე გაცეტებულიო? მელიამ უთხრა, რო დათვლილი მაქ ოქრო-ვერცხლი, ხო არაფერი მაკლია, იმისთვინ იყურება მაღლაო. მერე, ეს მაყოიონი რო წავიდა, მელიამ მეწისქვილეს უთხრა. რო მოვკვდები, საქათმოში დამმარხეო. მელიამ მაიმკვდარუნა თავი. მოკვდა ტყუილათ. წააბა ფეხებში წნელი და მიათრია მეწისქვილემ, წაიღო ერთ დიდ კლდეზე და გადააგდო. მთელი ქათმები ამან დამიჭამა და ახლა ისევ საქათმოში დავმარხოო? მერე ეს მელია ცოცხალ-მკვდარი ამოიდა და მოვიდა სახლში მეწისქვილეჲთან. შევიდა და უთხრა: გამარჯობა. მეწისქვილეო. სიმამრი იქ იყო. უთხრა სიმამრმა: შენ რუხრუხ ხელმწიფეს ეძახოდი და ეხლა მეწისქვილეაო? მეწისქვილემ დაადო ჯოხი და მოკლა. ეხლა დამარხა საქათმოში.

# ქიზიყური

34

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხენწიფე. ამ ხენწიფესა ჲყავ სამი ქალი. ერთხელა დაინახა პატრა ქალმა კოშკიდამ, რო ერთი ლამაზი ბიჭი ბანაობდა ქვეით მდინარეში. ის ბიჭი შაუყვარდა იმ ქალსა: ბევრჯერაც ზვერამდა და გულშიც ძრიან ჩაუვარდა. ბიჭმაც გაიგო სიყვარული და მოინდომა ხენწიფეჲთან დაახლოება. ადგა ბიჭი, წავიდა მეღორეჲთან, ღორი დააკვლევინა და მისი ფაშვი ქუდათ შააკერინა, რო ქაჩალი და უშნო გამოჩდეს. ბიჭი გამოჩენილი ვაშკაცი იყო და თავისი რაშიცა ჲყავნდა. ი რაში გაუშვა და უთხრა:

— შენ ცოტა განსგანზე იარეო; სოფელში ნუ შეხვალ, რო არავინ არ დაგიჭიროსო. რო დავაჩხრიალო ლაგამი, მომეშველეო.—თითონ მიადგა ხენწიფი სახლ და დაუძახა:

— მუშა არ გინდა, მოსამსახურეო?

— როგორ არ გვინდაო,—უთხრა ხენწიფემ,—მებატე ახლა წაგვივიდა და ბატში გვინდა კაციო.

მოურიგდათ რა ის ბიჭი ბატში. სახელი შაარქვეჲ „ქაჩალმებატე“. გაჲრეკამს ბატებ წყლიჲ პირაჲ, გაიხედ-გამაიხედავს. თუ არავინ არალი, გაიხდის ტანზედ, მოიხდიჲ ღორიჲ ფაშვ და იბანება იმ წყალში. ხენწიფის პატრა ქალი კიდენა ზევიდან ეალერსება. ერთხელ ამ ქალმა მაიგონა ოინი.

ქალები ბაღში წავიდნენ. დაჲკრიფეჲ კიტრები მომწიფებულები. ამ კიტრებში ერთი იყო დროთწასული, მეორეც უკვე დროს გადასული, მესამე კიდე კარგი მომწიფებული. მუუტანეს მამასა და ჲკითხეს:

— მამავ, თქვი: ამ კიტრებ რა უნდა?

მამამ ბევრი იღონა, ცოტა იღონა, ვერ გამაიცნო. ერთი ბებერი მოიდა. ებნება:

— ბატონო ხენწიფევ, მე გამოიცნოფ ამას, თუ არაფერს არ მიზამო.

ხენწიფემ უთხრა, თქვიო!

— აი ეს დიდი კიტრი ხო ვადას გადაცილებულია?—ხენწიფემაც დაჲთანხმდა:

— ჰო, მართალიაო.

— და ეს საშუალო კიტრიც, ამასაც ვადა გასული აქო. და ეს მესამე კიტრი მომწიფებული არი ეხლა კარგაო.—ხენწიფეჲ დაჲთანხმდა. ეხლა უთხრა ბებერმა:

, — ჰოდა, აი, ამ შენ ქალეფს დათხოვება უნდათო. აი დიდ ქალსა ვადა წასული აქო, მეორე ვადას გადასულიაო, მესამე კარგა მომწიფებულიაო, — აი კიტრები ამასა ნიშნავსო.

გაიგო ეს თუ არა ხენწიფემ, გეეჯავრა:

— როგორ, ჩემ ქალებ დათხოვება უნდა და მე როგორ შამომბედეს ესაო?! — მაშინვე დაჲკივლა თავის ვეზირეფს: — გაჲწით: ჩემ სახენწიფოზედ რაც კაცი იყოჲ, თუნდ ბკვნი ყმაწვილი ყველა აქ მაიყვათო!

მოიდა ხალხი. შაქუჩდნენ.

ხენწიფემ უთხრა დიდ ქალსა:

— ვინცა გინდა, ის ამაირჩიე! — მეორესაც ასე უთხრა და მესამესაც. გაიარ-გამაიარეს ამ ქალებმა და, ვინც მეეწონათ, მივიდნენ იმეეფთან. გამოიდა ეხლა მესამე ქალი; დადის, ეძეფს და, ვინც უნდა. იქ არალი.

— მამავ, მე ვინც მინდა, აქ არალიო. — გეეჯავრა ხენწიფეს, დაჲკივლა ვეზირებ:

— მე არ გითხარი, რო ყველა აქ მაიყვაო? ვეზირებმა უთხრეს:

— დიდებულო ხენწიფევ, შენი ქაჩალმებატეს მეტი არვინ დაგვრჩენიაო.

წადით, ისიც მაიყვათ აქაო, იქნება ამას ის უნდაო.

წავიდნენ ვეზირები, მოჲყავთ ქაჩალმებატე. ამას დაუჭერია ჯაგში ერთი კურდღლიჲ ბაჭია და უჭირამ ხელში. პატრა ქალი მამას ებნება:

— მამავ, ხელში რაღაცა უჭირამ და ვერ მივსულვარო. — ხენწიფემ დაჲკივლა:

— გამაართვით მაგ მამაძაღლ, რა უჭირამო! — გამაართვეჲ და ქალი მივიდა ბიჭთან. გეეჯავრა ხენწიფეს: „ქაჩალმებატეს მეტი არავინ მეეწონაო“. დიდ სიძეებ კარგი სახლი გაუკეთა; იმ პატრას კიდე ერთი წნორის ქოხი და დაამყოფა ცალკე.

ხენწიფიჲ ცოლს უნოდა გამუეცადა თავისი სიძეები და მაიგონა ავამთყოფობა. დაიბარეჲ დიდი სიძეები. ცოლმა უთხრა:

— ცხრა მთას იქით მყოფი ირმიჲ რძე თუ მამიტანთ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

ამ ბიჭემმა შაიარაღდნენ კარგი რაშებით, ჴლმებით, ყვალაფრით და წავიდნენ. ამ დროჲ ქაჩალმებატემაც გაჲგზავნა ცოლი თავის მამაჲთან, უთხარი: „ერთი კოჭლი რაში ეყოლება, მეც მამცენო, იქნება მეც მოიტანო რამეო!“. ხენწიფემ სასაცილოთ აიგდო:

— დაიკარგოს აქედან! მაგას იმი მოტანი შნო სადა აქო, ორი ბატი ჲყავ, ისიც ეკარგებაო! მაინც მიჲცა ერთი კოჭლი რაში: „წავიდეს! ბალახ მაინც არი აძუეფსო“.

შაჯდა ბიჭი, ალახლახა, ალახლახა და გააღწივა სოფელ. იქ რო მივიდა, დააჩხრიალა ლაგამი და მოიდა თავიჲ რაში.

— რაა, ძმაო, რა გაგჭირებიაო? — რაშმა ჲკითხა.

— ჩვენაო ირმიჲ რძეს მოიტანთ თუ ვერაო?

— მაგაზე ადვილი რა არიო? წავიდეთო!

დაიყარა ბიჭმა თავისი ფანცფუნცები, ჩაიცვა კოხტა ტანისამოსი და წავიდა. დეეწივა გზაში დიდ ქვისლეფს და გააჲწრო. იმათ ვერ იცნეჲ ქაჩალმებატე.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა იმ ირემთან. დაიჭირა ირემი და მოწველა. წამოიღო და გზაში ისევ ქვისლები შახვდნენ.

— ჯო, სად მიდიხართ? — ჲკითხა ქაჩალმებატემ.

— ჩვენაო ირმიჲ რძე გვინდაო და ის უნდა მოიტანოთო.

— იმაჲ თქვენ ვერ მაიტანთო, ვერ დაიჭერთ ირემსაო. მე კი ნაქ და, თუ გინდათ, მოკყიდი კიდეო. — იმათაც გაუხარდათ.

— რას აფასეფთო? — ჲკითხეჲ ქაჩალმებატესა.

— ყურიჲ ბიბილოები დაიჭერით და მემრე მოქცემთო! — დაიჭრეჲ ყურიჲ ბიბილოებიცა და მიჲცათ რძე.

ის ქაჩალმებატე იმაზე კიდე წინ მოიდა სახლში. რაჟზე გადაჯდა და იმით მოიდა ხენწიფეჲთან. ნახეჲ რძე მეცნიერებმა და დაანტკიცეს, რო ეს იმ ირმიჲ რძე არი. მაგრამ ხენწიფეს არ ეჯერება:

— მაგას იმოტენა შნო არა აქო, ალბათ სადმე იყიდიდაო. — ეხლა მოიდნენ ის დიდი სიძეებიცა. ნახეს — იმათიც ირმიჲ რძე არი. ხენწიფეჲ გაუხარდა. ეხლა ცოლმა იმათ უთხრათ:

— უკვდავების ყურძენ თუ მამიტანთ. მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო. ის უკვდავებიჲ ყურძენი იგეთ ადგილას არი, რო ალმასებია გორებში ჩატანებული და გორები იკეტება და იხსნება. შიგ არი ერთი ყურძნიჲ ვაზი. ეს სიძეები წავიდნენ იმ იმედით, რო ძველებურათ შაგვხვდება ვინმე და ვიყიდითო. ქაჩალმებატემაც ჲთხოვა ისევ კოჭლი რაში ხენწიფესა. გაიყვანა ლახლახით სოფლიჲ ბოლოჲ, დააჩხრიალა ლაგამი. მოვარდა თავიჲ რაში.

— რაო, ძმაო, რა გაგჭირებიაო?

— ჩვენაო უკვდავების ყურძენ მოიტანთ თუ არაო? — შეეკითხა ბიჭი.

— მაგაზე ადვილი რა არიო? — რაშმა უთხრა. წავიდა: გზაში დეეწივა დიდ ქვისლეფს: „გამარჯობაო!“ — უთხრათ და წავიდა. მივიდა იმ გორაჲთან. რაშმა უთხრა:

— გაქ იმედი, რო დადგე ჩემზედაო?

— მაქ იმედიო, — ბიჭმა უთხრა.

— ამამკარ მათრახიო, რო ერთი საქალამნე ტყავი ამძვრესო და ერთი მუჭა მარილი მამაყარე ზეთაო. მე როგორც გადავფრინდები, შენ მაშინვე ყურძენ ამოუსვი ხელიო.

მართლაც. გაიხსნა გორა თუ არა, გადაფრინდა რაში, — ბიჭმა ამოუსვა ყურძენ ხელი და თავის ვაზიანათ ამოგლიჯა. რაში რო შემოფ-

რინდა, მაა ცოტა უკანა ქაჩაჩები დააწყვიტა, და ბიჭმა დაიწყო ტირილი.

— რა გატირეფსო?—რაშმა უთხრა,—თუკი ხენწიფია ცოლ მაარჩენს, მე კი ვერ მამარჩენავსო! გაჭყნიტე ყურძნი მარცვალი და მამისვი ზედაო.—და მართლაც, მორჩა რაში.

მოდის ეხლა და შახვდნენ ის ქვისლები გზაში.

— ბიჭებო, სად მოდიხართო? — ჲკითხა ქაჩალმებატემ.

— ჩვენაო უკვდავები ყურძენი უნა მოიტანოთო.

— ის უკვდავები ყურძენი მე მაქო: თუ გინდათ, მოგყიდიყეო,—უთხრათ ბიჭმა.

— რას გამოგვართმევო?

— ჯერ ნეკა თითები დაიჭერითო, მემრე ბარკლებზე ჩემა რაშმა დანღა უნა დაგარტყასო, და მემრე მოქცემთო.—აგრეც მაიქცნენ. და წაიღეს უკვდავებიჲ ყურძენი.

წამოიდა ქაჩალმებატე. შაჯდა კოჭლი რაშზედ და მივიდა ხენწიფეჲთან, მუუტანა უკვდავებიჲ ყურძენი. ნახეს მეცნიერემმა, ამტკიცებენ. რო უკვდავებიჲ ყურძენი არი. მაინც ხენწიფეს არ ეჯერება: „იყიდიდა სადმეო“. მოიდნენ დიდი ქვისლებიცა. ნახეს მეცნიერემმა, რო მათიც უკვდავებიჲ ყურძენი არი. გაუხარდა ხენწიფეჲ, რო „ჩემი ნანდომი სიძეები ვიშოვნეო, რაც უნა დავავალო, გააკეთებენო“.

ამ დროს ერთმა სახენწიფომ შამაუთვალა ჩხუბი ამ ხენწიფეჲ.

— შენაო შე სიძეეფ თუ ქალებ წაართმევ და ჩემ შვილეფს შართამ ცოლათაო, მაშინ არ ვიომეფთო. თუ არა და უნა გეჩხუბოო,—შამოუთვალა იმ ხენწიფემა.

დაიწყეს ჩხუბი. მესამე დღეჲ საქმე იგრეა, რო უცხო ხენწიფემ უნა გადმოიდეს ამ სახენწიფოჲ საზღვარზე. ამ დროჲ დაიბარა ქაჩალმებატემ თავისი რაში.

— რაო, ძმაო, რა გაგჭირებიაო?

— ჩვენ ცოლებ გვართმევს უცხო ხენწიფე და საომრათ უნა წავიდეთო.

— მაგაზე ადვილი რა არიო!—შაჯდა ბიჭი და წავიდა სუ მაღლა-მაღლა ფრენით. გადაუარა თავიანთ ჯარეფს, გადავიდა მტრიჲ ჯარეფში და შაუტივა: ბიჭმა ხოცა ჴლმითა და რაშმა ფეხით! ისე რო სუნთელი გაანადგურა ჯარები და გაიმარჯვა.

რო გამობრუნდა და ჴმალი ჩააგო, ცოტა ნეკათითი ჩაიჭრა ამ დროჲ. მივარდა ხენწიფეჲთან და უთხრა: „ჩქარა შამიხვიეო!“ ჴენწიფემ ამაიღო ჴალაია და შაუხვია იმითა. თანაც ფიქროფს: „ეს ხვთიდამ ანგელოზი დემეშველა, თუ რა იყოო!“ გადაჲწყვიტა, სამი დღიჲ წირვა გადაიხადოს იმ დამხმარის ლოცვითვინ.

ბიჭი მიბრუნდა თავიჲ ქოხში, რაში ეხლა მააბა ქოხიჲ კარებზე და თითონა წამოწვა, ცოლიჲ მუჴლებზედ მიდო თავი. ძრიან დაღლილი იყო და მიეძინა. ცოლი ნამძინარევსა ჲკოცნის.

ამ დროჲ ჴენწიფემ გამოგზანა ვეზირები:

— წადით, ქაჩალმებატეც მაიყვათ, ორი ლუკმა იმანაც ჭამოს, მადლიაო.

ჩამოიდნენ ვეზირებმა. ხედავენ: ქალი კალთაში ვიღაც უცხო კოხტა ბიჭია. მაშინვე გამობრუნდნენ უკან:

— შენი ჭირიმე, დიდებულო ჴემწიფეო, — ვეზირები ებნებიან, — შენი ქალიჲ ქოხი კარებზე რაში აბიაო, შენი ქალი მუხლებზედ ერთ ბიჭ ჲძინამ და შენი კალაია თითზე ახვევიაო.

გეეჯავრა ჴენწიფეჲ.

— რას ამოფს ე ტუტუციო! — წამოიდა ჴენწიფიჲ ცოლი. ნახა: მართლაც, რაშია, ქოხში ლამაზი ბიჭი არი, კალაია ახვევია თითზედ.

— შვილო, გააღვიძე და წამობძანდით ზევითო! — დედა ებნება.

— ჯერ ვერ გავაღვიძეფ, დედი, ომში დაღალული არიო, — უთხრა ქალმა და დედა დაბრუნდა.

— ქა, მართლა, ჩვენ მებატეჲ რაში უდგა, შენი კალაია თითზე ახვევია და ჩვენ ქალთან ჲძინამო! — უთხრა ცოლმა ჴენწიფეჲ.

ბოლოს გაიღვიძა ქაჩალმებატემ.

— ადე, ვარდო, სიმამრი და სიდედრი გეპატიჟებათ, წავიდეთო! — უთხრა ქალმა. ადგნენ, ბიჭმა პადრუჩკი გაუყარა თავიჲ ცოლსა და თავიჲ რაშით მოდის. მოიდნენ თუ არა, მეეგება ჴენწიფე და ებნება:

— მობძანდით ჩემ საბძანებელზეო! — ბიჭმა უთხრა:

— მე თავხედი კი არა ვარ, რო საბძანებელი ჩემზე დიდ ჩამოვართვა და მე დავბძანდეო! ახლა ერთი გამაიყვა შენი დიდი სიძეებიო! — გამაიყვანეს ისინიც. ბიჭი ებნება:

— აბა ეს ყურიჲ ბიბილოები თქვენი ყურისა არის თუ არაო?

— მართალია, ჩვენი ყურისა არიო, — უპასუხეჲ. ახლა ჴენწიფეს აუხსნა:

— მე რო ირმიჲ რძე მივყიდეთ, ეს ბიბილოები იმაში დავაჭერიო.

— მემრე უთხრათ:

— აბა, ბარკლებზედ აიწითო! ჩემი რაშიჲ დანლა მაქ ზეთ თუ არაო? — აიწივეს ბიჭებმაც. ქაჩალმებატემ თავის რაშ უთხრა:

— აბა მიადე შენი ფეხიო! — მიადო თუ არა, თქვეჲ:

— მართალია, ამ რაშიჲ დანლა არისო. — მემრე უჩვენა ნეკა თითები:

— თქვენი ხელის თითები არის ესა თუ არაო?

— მართალიაო, — უპასუხეჲ. მაშინ უთხრა ბიჭმა ჴენწიფესა:

— მე რო უკვდავების ყურძენი მივეცით, მაშინ დავაჭერი ნეკა თითებიო.

მაშინ ჴენწიფეს გეეჯავრა, მიუბა თავი სიძეები ძუაზედ რაშეფსა და ისე დააჴოცინა. მემრე მიიპატიჟა ჩვენი ქაჩალმებატე სიძე და ქეიფობა უფრო უკეთ გააგრძელეჲ.

35

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარსა:

— წადი, კაცო, მკითხავთან და აკითხინე, შვილი რათ არა გვიჩდებაო? — წავიდა კაცი მკითხავთან. მკითხავმა უთხრა:

— მე კი არ ვიცი შვილოროობიჲ წამალი, ჩემა ძმამ იცისო. ცხრა მთას იქით რო გადახვალ, ცხრათავა დევსა ჲნახამ, ის არი ჩემი ძმა და ის გაჲწავლისო. — მოიდა კაცი სახლში დაფიქრებული.

— რაო, კაცო, რა გითხრა შვილოროობიჲ საქმეზედო? — ყკითხება ცოლი. ქმარმა უთხრა:

— შვილ ვინა ჲჩივის, მკითხავმა იგეთ ადგილაჲ მიმაჲწავლა ცხრათავა დევთან, რო იქნება მეც კი შამჭამოსო. — დედაკაცმა უთხრა:

— რაჲთაც არ უნდა დაგიჯდეს, შაგჭამონ თუ არ შაგჭამონ, მაინც უნა წახვიდე, მაიტანო შვილოროობიჲ წამალიო.

ადგა ამ კაცმა, ჩაიწყო ხურჯინში პური და წავიდა. ბევრი იარა, გადავიდა ცხრა მთას იქით ცხრათავა დევის ადგილზედ. დაინახა დევმა თუ არა, დაჲძახა:

— ოჰ, რა კარგი სამწვადე მომდისო!

— შენი ჰირიმე, ნურას მიზამ; შენი დიდამ ქაღალდი მაქო! — უთხრა კაცმა.

— მოდიო, უთხრა დევმა. — მივიდა კაცი, დევმა ნახა ქაღალდი და ებნება:

— ეს წამალი მე კი არა მაქო, ჩემი ძმა არი, ჩემზედ უფროსი, ცხრა მთას იქით, იმასა აქო.

ადგა ეს კაცი, წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა იმ დევსა. იმანაც აგრე გაიფიქრა: „ოჰ, რა სამწვადე მომდისო!“ კაცმა დაუძახა:

— შენი ჰირიმე, შენი დიდამ და შენი ძმიდამ ქაღალდი მაქ და ნურას მიზამო?

— მოდიო, დაუძახა დევმა. მივიდა ეს კაცი, მიუტანა ქაღალდი.

— მე კი არა მაქ ეს წამალიო, — უთხრა და კიდე მესამე ძმაზედ მიაჲწავლა, ის ყველაზე უფროსი იყო.

ადგა ეს კაცი და იქაც წავიდა. ნახა იმ დევმა ქაღალდი და უთხრა:

— მე მაქ ეს წამალიო. წამალ მოქცემ, ხოლოთაო, რაც შვილი არ გაგიჩერდება, ერთი თქვენა და ერთიც მეო. მიჲცა დევმა წამალი და უთხრა:

— თქვენ გაგიჩდებათ ორი ბიჭი ოქროსთმიანიო. პირობა აგჷთია: პირველა შვილი დევმა უნა დაიტოვოს; რო შასრულდება ოცი წლისა, უნა მოვიდეჲ დევი და წაიყვანოჲ. — მიცა ერთი ვაშლი. — რო გაჭრით, — ნახევარ შენ შაჲჭამ და ნახევარ შენ ცოლსაო!

წამოიდა ეს კაცი. მოიდა სახლში. ნახევარი ვაშლისა თითონ შაჭამა, ნახევარი კიდენა თავიჲ ცოლ შააჭამა. გაუჩდა ბიჭი ოქროსთმიანი; დაუძახა „სასხვათავო“. ეს ბიჭი, როგორც ჩვენ წლით ვიზრდებით, ისე იზრდება დღით. მეორე ბიჭიც გაუჩდა ოქროსთმიანი.

რო მოუვიდა იმ ბიჭიჲ წაყვანი დრო, მამა შავიდა სახლში და დაიწყო ტირილი: „ვაიმე, შვილო სასხვათაო!“ ჩავარდა ავამთყოფათ. ბიჭი დადის, ექიმები მაჲყავს, მაგრამა ვერ ეშველება. ერთხელა მივიდა ბიჭი დედაჲთან და ებნება:

— დედი, ძუძუ მამაწოვეო!

— რა დროჲ შენი ძუძუ არი, დღეჲ თუ ხვალ ცოლი უნა შაგრთოო! — უთხრა დედამ. მაინც არ უყო ამ ბიჭმა, ძალით ჩაიდვა დედიჲ ძუძუ პირში, მოუჭირა კბილები და ებნება:

— მითხარი, მამაჩემი რათ იძახის: „ვაიმე, შვილო სასხვათავოო?!“.

— შვილო, ჩვენი საქმე ასე იყო: ჩვენ შვილი არაჲ გვყვანდა; მამაშენმა მაიტანა წამალი ცხრათავა დევიდან, და ეხლა შენ იმან უნა წაგიყვანოსო.

— უჰ, ემაზე ტირისო! მივიდა ბიჭი მამაჲთან, უთხრა:

— მამავ, თუ ჩემი თავი გიყვარს, ადექი ფეხზედ, თორემ მეც თავ მოიკლამო. შენ ნუ გეშინია! მე დევ გავყვები და არა დამიშავდება რაო. — მეორე დილით ბიჭ შაუკმაზეს კარგი რაში. ორი ხელი ოქრო ტანსამოსი მიცეჲ და გაისტუმრეჲ. ძმებმა უთხრეს ერთმანეთსა: „მე გამიჭირდეს, — შენ დაიბანო ხელები, სისხლად გექცესო, და შე რო გიჭირდეს და მე დაიბანო ხელები, მე მექცეჲ სისხლათო!“. აგრე დადეჲ ფიცი დახმარებისა.

გემეემშვიდობა ბიჭი სუყველაჲ და გაჲყვა იმ დევ. ბიჭი რო მოდის დევთან, მაანათეფს ისე, როგოც მზე.

ბევრი იარეჲ თუ ცოტა იარეჲ, გადაიყვანა დევმა ბიჭი თავის ადგილში. დევი ამოფს:

— აი ე სახლი ჩვენი არისო! შენ აქ დაგანარჩუნეფ და მე წავალ, ქალ მოგვრიო. — დევს კი უნდა შაატყობინოჲ, რა, სხვა დეფესა და ეს ბიჭი შაჭამონ, მარტო ის დევი ვერ ბედამს შებრძოლებაჲ. გაშორდნენ. ბიჭი მიდის იმ სახლისაკენ; დაინახავს ერთი ბებერი და ტირილით ებნება:

— უი, შვილო, სად მიდიხარ! მაგ დევმა ჩემი ცხრა შვილი შაჭამაო. ეგაო ამელამ დევებ მარეკამს და შენც შაგჭამენო.

ეს ბიჭი დაფიქრდა: „იქნება მართლა შამჭამონო!“ გამობრუნდა უკან. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მაადგა ერთ ზღვაჲ. რაშ ბალახი მისცა. რაშმა უთხრა:

— ჩქარა! ის დევი უკან მოგვდევსო! შემჯექ ზედა და მათრახი ამამკარი ისეთი, რო ერთი საშოლტე ტყავი ამძვრესო.

დაჲკრა რაშმა ფეხი, გადახტა ზღვაში და გავიდა ჰალაში. დევიც მივიდა ზღვისპირზედ. ისკუპა მისმა რაშმა, მაგრამ წყალში ჩავარდა, ვერ გადახტა. დარჩა დევი მოტყუებული.

წავიდა ეს ბიჭი და ჰალაში ერთ გამოქვაბულ მიაგნო. შიგ მშვენიერი ქალი ჲცხოვრობდა შვლის ნუკრითა. დევეფს მეეტანათ, მემრე ეთმანეთ შებძოლებოდნენ და დეეხოცნა ერთმანეთი. ქალ ბიჭი შაუყვარდა და პირობა მიჲცეს. ბიჭი ეკითხება:

— დახოცილ დევების სანადირო გასადევარი სანამდინ არისო? — ცოლმა უთხრა:

— ცხრა მთას აქათ მათი გასადევარია და ცხრა მთას იქით ერთი ქაჯი, არი, იმისიაო. ი ქაჯი კიდე, რო მიხვალ, შაგჭამსო.

ადგა ეს ბიჭი, შეიარაღდა, წავიდა თავის რაშით. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნახა სახლი იმ ქაჯისა და სახლი წინ ცეცხლი დაანთო. ამ დროჲ ქაჯი გემეელაპარაკა ჰაერიდამ:

— ვინა ხარ, რა სურიელი ხარ, მანდ როგო მობედეო? — ბიჭმა უთხრა:

— მობძანდი, მე გზავრათა ვარო.

— მაქ როგო მოიდეო! ე შენი რაში და შენი მალქაფები შამჭამენო. აჰა, ორი კენჭი: ერთი შენ რაშ დაადე, ერთიცა შენ მალქაფეფსო და მაშინ მუალო. მართლაც იმ ბიჭმა გამაართვა კენჭები, ერთი რაშ დაადო და ერთიც მალქაფებსა. კენჭებმა მაშინვე დაადუმა რაში და მალქაფები. მივიდა ი ქაჯი ბებერი და ჩაყლაპა ი ბიჭი.

ეხლა იმ ძმამა დაიბანა ხელები და წყალი სისხლათ ექცა. მაშინვე თქვა: „ჩემ ძმაჲ გაჲჭივრებიაო". შეიარაღდა ეს ბიჭი და წამოიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გადავიდა იმ ცხა მთას იქით, მოკლა ერთი ირემი, დაანთო ცეცხლი და ჲწვავს მწვადეფსა.

ამ დროჲ მაღლიდამ გემეელაპარაკა ბებერი ქაჯი:

— ვინა ხარ, რა სურელი ხარ, ჩემს ადგილში გადმოსულხარო?

— ვინცა ვარ, რა გინდაო? კეთილათ თუ გინდა, მობძანდიო!

— ჰა, ეს კენჭები: ერთი რაშ დაადე, ერთი მალქაფებ და ერთიც შენ კმალსაო, და მაშინ მუალო. გამუართვა ბიჭმა კენჭები და გადაყარა კევისაყენ. ბებერმა უთხრა:

— ჩახჩახი და რახრახი რო დაიწყო, კენჭები ხო არ გადაყარეო?

— არაო, — ბიჭმა უთხრა, — კევზე ტაჭკები მიდისო და ისინი ჩახჩახებენო. ჩამოიდა ქაჯი. ჩამოიდა თუ არა, ბიჭმა მაშინვე მააჭრა თავი კლმით. მემრე უთხრა თავმოჭრილსა:

— ჩემი ძმა როგორცა ჩაყლაპე, იგრე უხინჯოთ ისევ წამააგდეო!

ბებერმა უთხრა:

— ნუ მამკლამ და შენ ძმას ისევ გავაცოცხლეფო. — და წამააგდო.

— უჰ, რეერთა მძინებიაო! — ბიჭმა ჲთქვა. თავი ძმამ უთხრა:

— შენ მტერს ეძინოს იგრე, როგორც შენ გეძინაო! — მოჲკლეს ის ქაჯი, წაართვეს ერთი ხელსახოცი და იმ ხელსახოცითა, საცა კვდრები ნახეჲ, სუ დააცოცხლეს. მოიდნენ ჭალაში, წამაიყვანეჲ უცროსის ცოლი თავიჲ სამშობლოში და გამართეჲ კარგი ქეიფი.

36

იყო და არა იყო რა, იყო სამი ქალი. შიმშილობიჲ წელიწადი იყო. ე სამი ქალი წავიდნენ ტყეში, რო ზიმარტლი და შვინდი დაეკრიფათ. იმ სამში ერთი ქვრივი იყო. ის გავიდა ცალკე, რო მეტი შვინდი დაეკრიფა, მაგრამა დაიბნა. როცა შაბინდდა, ის ორი ქალი წამოიდა. ქვრივმა რო საპანე დაათავა, დაუძახა ქალეფ, — ისინი აღარ იყვნენ! დარჩა ქვრივი მარტო ტყეში.

ამ დროჲ ერთმა მეღორემ ღორები ჩამაატარა. ქალი რო დაინახა, ბიჭი შაფიქრიანდა: აქ ქალ რა ესაქმებაო! გაიცნეჲ ერთმანეთი. დამეგობრდნენ. წავიდნენ კიდეცა მეღორის სადგომზე.

ქალ ბიჭი მეეწონა და პირობა მიჲცა. ორ დღეში ქორწილიც გადაიხადეს: ბიჭმა გამუაცხო პური, ერთი ბურვაკიც დაჲკლა.

დრო გავიდა, ქალი დაორსულდა; ქალ ბიჭი ეყოლა. ვინც წლით იჲდებოდა, ის დღით იჲდებოდა. თვრამეტი დღე რო გავიდა, თვრამეტი წლიჲ შაიქნა. მეღორე მამამ შაფიქრდა და შაშინდა კიდეჲ: „აქ რაღა ხვთიჲ წყრომა არიო!“ და გადაიკარგა. მიატოვა ღორები.

ბიჭმა დაიწყო ნადირობა ჭალაში. რაც ნადირსა ჲკრავ შვინდისარსა, ყველაჲ მოჲკლავ. ერთი ირემი იგეთი გამოდგა, რო რაც შვინდისარს ესვრის, ვერც ერთი ვერ იჭერ, იგეთი ჯანიანია. ბიჭი ებნება დედაჲ:

— დედა, ჩვენ ორნი რათა ვართ აქა, ამ მიუდგომელ ტყეში, რატო სხვანი არ არიანო?

დედა უპასუხეფს:

— შვილო, მე აღარ მახსომ, საიდამ მუელ, სადღაც აქადამ მუელო. — წავიდეს ბიჭი და მართლაც მიადგეს ერთ სოფელ. იქ მჭედელი იპოვნა. მჭედელმა გაუკეთა ასორმოცდაათფუთიანი რკინიჲ შვინდისარი. გაიდვა ამ ბიჭმა მხარზედ ე რკინისარი და წავიდა დიდ ირემთან. წამოხვდა ირემი, ესროლა — მოჲკლა და სახლში წაიღო.

ირემ რო რკინისარი გაუარა, წავიდა და დეეცა ერთ სახლთან, სადაცა ცხრა ძმაჲ ცხოვრობდა და მათი ბებერი დედა. ცხრანივე გმირები იყვნენ, იმ ქვეყანაჲ ჲფლობდნენ. ი ცხრა ძმა გამოიდა, დაინახეს რკინისარი და ეწევიან, მაგრამა ვერ ატოკებენ. მაშინ დედამ უთხრათ:

— თქვენ წადით ცხრა მთას იქით, მე აქ მევეფარები და დავზვე-

რავ, ვინ არი პატრონიო. თუ კაი ამბავია, დაგიბარეფთ კიდევაო და მოხვალ იგრევაო. თუ ცუდი ამბავია, არ დაგიბარეფ-კე.

წავიდნენ, გადაიკარგნენ.

ეს ბიჭი თავიჲ რკინისარიჲ საძებნელათ წავიდა, და ზედ მიადგა. აიღო ხელში, გაიარ-გამაიარა სახლწინ: ათვალიერეფს, ვინმე პატრონი მუა და დავმეგობრდებითო. არავინ არ გამოჩდა. ბებერი კიდე ხაროში ზიჲ და უყურეფ. ბიჭი წამოიდა სახლში. დედას უთხრა:

— დედი, უნა წავიდეთ, იქ კარგი სახლია მონადირითვინ, იქ ვიცხოვროთო. თუ მოიდა ვინმე, მეზობლათ სახლ გავაკეთეფ და დავმეგობრდებითო. — წავიდნენ იმ სახლში.

მეორე დღეჲ ბიჭი სანადიროთ წავიდა. ბიჭი რო წავიდა, ის ბებერი დედაკაცი იმ ბიჭიჲ დედაჲ გეეძრახა. იმ ერდღიჲ განმავლობაში ელაპარაკა შვილებზედა. მერე უთხრა:

— ჯეელი ქალი ხარ, ეგრე ხო არ უნდა გაატარო! მოდი, ჩემ ცხრა შვილეფში, რომელიჲ მოგეწონოჲ, ის შაირთეო! შენ შვილსა კიდე ნურაფერ ეტყვიო. — ქალსაც გაუხარდა გუნებაში.

— განა შვილი დამრთამს ნებასო? — ეკითხება დედა.

— მოდი, ჯერ მოვკლათ შენი შვილიო, — უპასუხეფ ბებერი.

— აბა, ბები, როგო მოვკლათ, მაგ ძალიჲ კაც რა მოუხერხოთო? — ბებერი ებნება:

— შვილი რო დაინახო, ავამთყოფობა მაიგონე. უთხარი: „შავ მთას იქით ირემია, იმიჲ გულ-ღვიძლი უნა მამიტანო, არ მამიტან — მოკვდებიო! — ის ირემი კიდე ძალუმია და მოკლავს.

ამ ბიჭმა, როგორც კი გაიგონა დედიდან, რო „ფინთათა ვარო“, წავიდა ხელათ. რო მივიდა ირემთანა და უნა დაჲკრას შვინდისარი, ირემა უთხრა:

— წითელყირაზოიშვილო, მე ნუ მამკლამ, სხვა პატარა ირემი მაჲკალ — და მე კიდე ერთ დროჲ გამოგადგებიო! — ბიჭიც ეგრე მაიქცა. წამოიღო იმ პატარა ირმიჲ გულ-ღვიძლი და მოუტანა დედაჲ. ისინი კიდე სხვას იგონებენ:

— საცა იყავ, იმ მთას იქით კიდევ მთა არი. იქ არი ერთი ღორი. — იმიჲ გულ-ღვიძლი უნა მამიტანოო, — უთხრა დედამა.

ადგა ბიჭი, ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ღორთან. რო უნა დაჲკრას შვინდისარი, ღორმაც ეგრე უთხრა:

— წითელყირაზოიშვილო, მე ნუ მამკლამ, ერ დროჲ გამოგადგებიო.

ბიჭმაც სხვა პატარა ღორი მოჲკლა და წამაიღო. ბებერი ებნება დედაჲ:

— თუ ცოცხალი მოიდა, უკვდავუბერებელი წყლის მოსატანათ გავგზანოთო. — გაგზანეს. წაიღო ერთი ხუთჩაფიანი ქოცი, მივიდა იმ წყალთან. ეს იგეთ ადგილას არი, რო იმაჲ ბევრი ალმასი აქ და ჩარხი

ბრუნავ. ამოღება ძნელია, ჩარხეფში მაატანს. ბიჭმა შაიკვალთა ჩოხის კალთები, უნა გაქცევით შახტეჲ და არ მეეტანოს იმ ალმასეფში და ჩარხში და გადახტა, კიდეც გადააჲწრო, ხოლოთ ჩოხიჲ კალთები სუმთელი დააგლიჯა. წამოიღო წყალი. მაადგა ერთ წყაროჲ. ჩაიხედა შიგ— გამოჩნდა ქალი სახე. მაღლა აიხედა — სერზე ქალი გადმამდგარიყო. მეეწონათ ერთმანეთი. ქალმა ურჩია, ი წყალი დაეტოვა, „მემრიჲთვიჲ გამოგადგებაო“. ბიჭი უარზეა:

— დედამ რაც დამაბარა, მე ის წყალი უნა მიუტანოო. — მაგრამა ბიჭის ძილში იმ ქალმა მაიპარა ი წყალი და ქოცი სხვა წყლით აუვსო. გაშორდნენ ერთმანეთ დროებით.

ეხლა ი ბებერი კიდე აჲწავლიჲ დედასა:

— უთხარ: „შვილო, თავი არ დაგიბანია, უნა თავი დაგბანოო“. მივიყვანოთ დიდ წყალზე, წაუსვათ საპონი და კირი, და წყალში ჩავახჩოთო. — აგრეც მაიქცნენ: ბებერიც ეხმარება. ბიჭი ებნება:

— დედი, თვალები მეწვება, დამასხიო! — ისინი კიდე კირს უმატებენ. ბოლო ხელი კრეჲ და წყალში გადააგდეს.

ბებერმა დაიბარა თავის ცხრა შვილი, და რომელი დიდი ძმა იყო, შართეს იმ ქალსა.

ახლა, ბიჭ რო წყალი მოჲპარა, იმ ქალმა გაიგო ამბავი. წამაიღო წყალი და ჩამაატარა ირემთან, რომელიც ბიჭმა გადაანარჩუნა. უთხრა:

— ირემო, უნა წავიდეთ, უჭირ წითელყირაზოიშვილსო, უნა უშველოთო. — ჩამაიარეჲ ღორისაკენაც. წამოჲყვა იმათ ღორიცა. ბევრი იარეჲ თუ ცოტა იარეჲ, მოიდნენ იმ წყალთან, საცა ბიჭი არი წყალში წანაშული. ქალმა უთხრა ღორსა:

— შე რა შეგიძლიაო? — ღორი ებნება:

— მე ის შემიძლია, საცა არ უნა იყოჲ, ვიპოვნი და მოიტან კლტის პირაჲ. ახლა ირემი ამოფს:

— მე ის შემიძლია, რო ჩავიდე. უგდო რქები და მაღლა ამუაგდო ბიჭი სიმშრალეზედაო. ეხლა ამ ქალმაჲ თქვა:

— მე კიდე წყალს დავასხავ და ბიჭ გავაცოცხლეფო.

აგრეც მაიქცნენ: ღორმა ამაიტანა, ირემა მაღლა ამააგდო, ქალმა უკვდავუბერებელი წყალი დაასხა, და წამოდგა ბიჭი ფეხზე. ბიჭმა გაიგო ყველაფერი და ძრიან გაბრაზდა. დაამყოფა ისინი დროებით და წამოიდა დედაჲთან.

შამოხვდა გზაზე ერთი მთხუარა. ბიჭმა გაიხადა თავისი კარგი ტანსამოსი და მთხუარაჲ მიჲცა. მთხუარასი თითონ ჩაიცვა და იგრე მიადგა დედი სახლ მთხოვრის ყაიდაზედ. სახლში შაიყვანეს. ის ჩამოჯდა თავი რკინისარზედ. ნეფემ უთხრა — ამ დროჲ ქორწილი იყო დედისა:

— პაპაო, ნუ გეშინია, დალიე ღვინოო! ჩვენთან იყავით, შაგინახამთო. — დედა დადიჲ, მაგრამა ვერაფერ ვერა ჲხვდება.

ეხლა, რო შაქეიფიანდნენ, მამინაცვალი ებნება:

— აი, ჩვენ აგეთი სახრეებითა ვნადიროფთო,—შვინდისარზედ უჩვენეფს,—აგეთი ვაშკაცები ვართო ჩვენაო. მთხუარაც ებნება:

— ცოტა დამალეინეთ კიდენა და იქნება ცოტა მეც შავატოკო მაგ სახრეო. — რო კარგა შაქეიფიანდნენ, ცხრა ძმამ დაუწყეჲ ტრიალი გარშემო შვინდისარ; და ვერ კი აუწევიათ. ამ დროჲ მაიხადა ბიჭმა მთხოვრის ძველი ქუდი, გაიშალა წელში, და ტაცა ხელი იმ რკინისარ და ებნება:

— აბა ერთი სუნთელი შაქუჩდით ერთადო!—შაქუჩდნენ სახლში ცხრა ძმა, ბებერი და დედა. ბიჭი დედას ებნება:

— შე ბნედაასატეხო, რა დაგიშავე იგეთი, რო ეგრე გამწირეო!

დედამ იცნო შვილი, გულიც შაუღონდა.

აიღო ბიჭმა რკინისარი, დაჲკრა სახლ და სუ ნაცრათ აქცივა, შიგ მყოფები ხო დაიღუპნენ. მერე ჲდგა ეს ბიჭი და მივიდა თავი საცოლეჲთან. დღესაც იქა ჲცხოვრობენ.

## 37

უნა შაირი დავძახო
საწყალი კაცი თავსაო.
შამაუცვამ ძველი ტყავი,
სიკმელე აძლევ კმასაო.
ზედ საბელ შამაიჭირეფს,
ხელში აიღეფ წალდსაო.
მიდიჲ, გზას მიეშურება,
მიეფიქრება ჭკვასაო.
— თუ ერთი ჯორი ვიშონე,
აღარ დავნატრეფ სხვასაო!
შეშა-ფიჩხ ბლომათ მოიტან,
იმით ვაცხოვრეფ სახლსაო.
ცოლ-შვილ კარგა შავინახამ,
წისქვილში დავფქვამ მჭადსაო.

ეხლა მოდიჲ გაზაფხული,
ნახნავი მაქ ფეტვი,
ჩემთვინ ყველას გაიმეტეფს
თუ მაღლაა ღმერთი,
ორი დღისა სემიჩქა მაქ,
ცოტა კიდე მეტი;
ავავსე საცალუები —
მაგრა დავკარ კეტი.
„საჩქაროზედ გამოჲკადე!“
მეზავოტეს ვეტყვი.
მაგთენი ზეთიჲ ჭამისგან
დავიგანგლე ჭლები,
გაჯავერებულ კატასავით
დავიჯღსიტე წვერები.

## 38

### ვაჟი:

— ქალგულო, გოგო ლამაზო,
თავს არ გაკლია ნირია,
ჩულქებით გამოწყობილო,
დასანახავათ ძვირია.
ზედ კაბა შამოკვალთილო,
როგორც ასხმული მძივია,
რუბაშკით გამოწყობილო
ეშხით ნაკერი პირია.
ყელგული გამოგხატია,

ჭერკივით თხელი კბილია.
ინით ნალები ტუჩები
დასაკოცნელათ ძვირია.
ზედა გჟუჟუნეფს თვალები,—
შენთან მაღირსოჲ ძილია!
ქოჩორი დაგბურჩქებია,
ზედ წამოგხვია ჟინია.
წელზედ ნასეტყვი ნაწნავი
თმის ბოლო შაეშხილია!

ქ ა ლ ი:

— ვაშკაცო, გიძღვნი სალამსა,
სიყვარულსა და ალამსა.
მე შენი გამო ვწუხდები,
ვკითხულოფ შენსა ამბავსა.
სიზმარშიდ ყელზედ გეხვევი,
ცხადათ ხო გეტყვი ნანასა!

39

[ცალკეული ფრაზები]

— გაღმა იმერეთში ხალხი დახიბლულია, ფერი აღარა აქ-კე.

— ფერშალი ხო არა ხარ, რო ფერზედ უცქერი?

— შენა? ფერშალი ხო არა ხარ, რო თეთრეულობა ჩაგიცვამ?

— კაკიაჲ ნიკოჲ ბიჭ გაულანძღამ ლაფიაანთ ცოლიძმა.

— რათაო, ქალო?

— მუშაობა დაუშალაო მერგოლეჲთან.

— რათ გაჲლანძღამდა, ერთი მითხარი, ეს იმაჲ რანაირათ დაუშლიდა მუშაობა?!

— ეგ შალიკოჲ საქმეა სუ, ვერ აცნევ?

— ეხლა წავალ და ი ხეებ ჩამოიტან.

— ჩამაიტა, კაცო, რათ არ აჩქარდები?

— ბურბუშელა წავიღო სახლში?

— წაიღე მაჲ!

— ჯო! შენა, წონწკოროჲ ბიჭო, მიხო, ღორი აუშვი?

— არა.

— აუშვი, რაა, წაიყვა, ბალახში დააბი სადმე!

— გამგეობაში რა უჩუმრობაა, ხალხი არალი?

— ეგრეა, ჰო.

— როგო, კაცო; დასაღამოვდა და შენი ილო კიდე მოკვანტილი წევ ლოგინში!

— სამშობლოანთაჲ გადავალო, ცოლს უთქვია, და გადავიდა სიდედრიანთა.

— მაჲ ცოლი დაბრუნებამდი არ უნა ვიმუშაოთ?

— მე ხო აქა ვარ!

40

ჩვენ ეგეთი სიტყვიჲ ქცევაჲ გვაქ: ვიტყვით „გეექცაო“ და „გაექცაო“, „გაენთოო“, და „გეენთოო“, „გეენთო პრიჭკაო“ — ეგ იგივეა. „ახალგაზრდაო“, ვამოფთ ოც წლამდი, „ჯეელიაო“ — ორმოც წლამდი. საქონელზე გინა კაცზე ვიტყვით: „მოლალე საქონელი წყალზედ“, —

როცა აქათ არი მომართული. „გალალე ცხვარი ბინიდამო“, ვიტყვით. თუ იქით მიდიჲ. დაბლა კიდე „კევში ჩაყარეო!“ — თუ ბევრია; თუ ერთია — „გადაიყვაო“. თუ ბევრია — წამაასხი!“, თუ ერთია — „წამაიყვა“.

ეხლა კიდენა გამოთქმაჲ ვასხვავეფთ, სად „ხ“-ს ვიტყვით, სად, „კ“-ს: ოკერი, კმალი, მუკლი, ფეკი, კელი, კარი, კრილი, საკრე, წამკდარი, გაკურებული, გააკურა, ფაკაცი (მსხვილი მატყლი), კერკი.

ვამოფთ კიდენა: მოხერხება, ხე, სამარხი, ხვარბალი, ჩამოხეჩილი (ტოტი ხისა), ამოსხმა (ქალამნეფს ამაასხამდნენ ძველათ), სიხარული, უხარია, ნახშირი.

ახლები ამ სიტყვებ ძნელათ არჩევენ.

# ინგილოური

41

— მე მამაჲ მოკდომაში რ̃ქს თუ̃ს დარჩმილვარ. ჩემ დედას ოთხდენა ჰეთიმ დაჰჩა, ამმა ერ გადაჲ კი მოჰკდომოდა. ჩემ მამაჲ მოკდომაში კაჲ იხტიარ გოქონდა, ჩონ დედაჲ კაჲგორა გოცხოვრევდა, ჰეთიმოვას არ გოცნევდა. ჩემ დედაჲ კაცივი ნამუშავნ დეკაც ყოფილ. ბუ̃თუ̃მ ამბოვენ ყოფილ: ჰათაარ ყოჰჩალ დეკაცია, ჰემაგრ ყმაწუ̃ლევს აცხოვრევს კაჲგორა. თურმენი სხოევს ასესხევს ყოფილ (კაც ნაქნარევს) პურს, ჩალთუქს, აჲმიბეაც ბუ̃თუ̃მიბე მააყუარეველ დეკაც ქნილ. სამ წელ დამჟდარ უკაცოჲ, მევლან იხტიარ გგმოოლევი მეტი ამიბე-იმიბე დაყოფით.

თურმენი ერ დეკაც ჰამმეშა ებნევის: გაჰთხოვდე, ჰაბე ჟიხარა, მე ერ კაჲ კაც საპოვნევარ შენბე. დედას უთქომ: მე არ ჰთხოვდევ. ოთხ ყმაწუ̃ლუ̃ პატრონ ინსან გათხოვდევისა? მოკლეჲთი ეეს რაზიჲ არ ქნილ. ეეს რუმ რაზიჲ არ კეჰტევის ი, მევლანი ი დეკაც დგევის, ჟადუჲ ექცევ. ჟადუჲ ქნას უკან ჩემ დედაჲ სხოთაარ კეჰტევის, მართლააც ემ კაცი თავ გულში უვარდევ. ერდეფა ემ კაცს ელაპარიკევის: შენ ჩემ ყმაწუ̃ლევი თავ თუ საცხოვრევეხარ, შენთან მოუ̃დივარ, თუ არ საცხოვრევეხარ, არ მოუ̃დივარ. კედე ე კაც ებნევის: მე შენთან მაასლევარ, ჰემ შენ ოჟალში შენ ყმაწუ̃ლევი თავაც საცხოვრევარ. ე კაც რაზიჲ კეჰტევის.

მართლააც იმასთან თხოვდევის ე კაც ლამაზა ემ დეკაცი ყმაწუ̃ლევს ზარდავს. ერთ დიდისტანაჲ ყოფილ გადაჲ. იმიბე ქალ ნიშნავს, მოჰყონავს დეკაცს. ერ ქალსაც ნიშნავს, ათხუ̃ევს ერ კაჲ ოჟალში, დევლათ ნაქნარ ოჟალში. რ̃ქს წელ გასულას უკან მესამე ქალს ათხუ̃ევს. ერთსაც თავისთან მოჰყონავს, თუ-თან ზარდავს, ალოცევს უშკოლში. მევლანი ე კაციც კდრ̃ვის, თავიზგნი ნაქნარ გადაჲ ჰეთიმ ჩევ. კედემ ჩემ დედაჲ ამბოვს: მე ერ ყმაწუ̃ლსაც ეყო დედ-მამაჲთი ვერ გააზარდევარა, ‘აბე უყისმათოჲ ვარა მე? ემ გადასაც ალოცევს, თიფლიზში ზგავნის ზროხი დოხტუროვან, ამბოვს: გარაქ ჩემ გადაჲ ზროხი დოხტურ გგმოუდეს, ნოხო ჰეეგიც ეყო გამახარევსა? სიპტანდელ ოჟალში ნაქნარ გადაჲ არვარგ გამმივდა. იმამ არ გამახარა, იმაზე მე დიალ ბეუ̃რ ჟეფაჲ გოჰსწივ. იმიბე განასწევ ჟეფაჲ, მე ჰეჩ ერთიბე არ გამისწევი ჩემ ყმაწუ̃ლევში, ·ა ჰქნოა?

ეესიც ჩემ ყისმათი. ახლა ემ პატრა გადაზე უმედ ვარ, ნოხო ჰეეგიც ეყო ჰკუ̃ან გომოვა?

## 42

— აჲ კაცო, ჩონ გადაჲ დაა გაზდილ, შუდმეტ რუამეტ წლისი. ემ ერ გადი მეტ ჩონ არ გოქ. ქალევ იყნონ მართალი. ამმა გოგუთხუევი, ეხლა მე შინ მარტოჲ ვარ, მამულ-ყოფაჲც დიდი. ეემათ მე ვერ უვლიყ; გაჰ სალინ მოწრლ, გაჰ სახ-კარ აალაგ, შიჰმელ გააქეთ, დილლიგ გამარგლ, ეემ ჰალი მიდის ჩემ ცხოვრევაჲ.

— აჲ დეკაცო, შენ რაჲც ამბოვ მართალი, ამმა მე ჩემ გადას არ ვარგ გზაჲთი ქალს არ მოუყონავ.

— აჲ კაცო, მა ოთარაანთა უმ ქალ არის, აჲ მისიც ეყო, არ მაჲწონევავ?

— აარ, არვარგ ხასიათ აქ იმი დედას, თუთანაც ჰუჰყიან, პანკლიან რაჲმი, ნე თუ მოჲყონ ჩემ გადიბე გარაქ იმი დედაჲ ცუცქ, წმინდაჲ, დილალიხიან რაჲმ იქნეს გარაქ. შენ ჰალა ვერ იციხარ, დეკაცო. ათაბაბაჲ მისალაჲ: კუც ცხენს უკან წავავ. შენ სოფლის ენერ დეკაცი ხასიათ არ გცოდნი ყოფილ. მე გრტყუ: ყულოონთ თუ იქნა, იქნევ, თუარდემ სხოგან აარ.

დედეკაცი და კაც ახირი ყულოონგნი დაანიშნელ კეჰტევიან. სალმოჲ ხან მამაჲ და გადი ტაიჲ მიდიან ყულოონთ აზიხანაანთა მაჰაკლა.

სალმოჲ ხორაგ-შიჰმელ დროჲს. მამაჲ და ტაიჲ შადიან აზიხანასოან, ხოშბეშ ექცევაყ.

ხორაგ-მორაგ ჭმას უკან მამაჲ თავი საქმეს იწყოვს, ებნევ: აზიხან. მე შენთან მოსუვარ შად საქმეჲბე. მე მინდ ჩონ ორ ოჟალში ყაუმოვაჲ დოჲწყოთ. შენ თუთან იციხარ. რუმ მე ნაკლევ იხტიარ არ მაქ. ჩემ გადაჲც ფინ გადაჲ არა, ჰკუანი, არც კელ აკლი, არც ფეყ აკლი, საქმეზე გააზგავნი. ბუთუმ რამ კაჲგორა აქითევს. შენ ქალიც, სალმერთო რუმ ჰთქოთ, ფინ ქალ არა. ჩემ მოფიქირევა გრრა ჩემ გადაჲ შენ ქალს დაჲჰერავს. მე უმუდ მაქ, შენ ჩემ ჟულაბს მიწაზე არ ჩამააგდევ, ეხლა შენ ჟულაბ მამ.ფაჲზზე კი ქორწილ ჰქნოთ. შენ ქალიც პატრაჲ არა. თრქსმეტ, შუდმეტ წლისი.

ბეჟრ ლაპარიკს უკან აზიხან ებნევ გადი მამას: 'ა ვიცი, მე ქალ ჰალა ვერ მოქცემ. მართალი შენ გადაჲც ფინთ არა, ანჟახ მე შინ ქომაგ არ მაქ. მევლანაც ერ დრომდინ მე ლარიბ უყავ, ჩემ ქალიბე ვერ ჩამიცმევნევი, მუცელ ვერ გამიზლოვ. დეე ერ წელს, ორ წელს ჩემთან ეყოს, დეე მამაჲ კელში ცოტა მაჲჩოლფას, მევლან ჩონც დაუგროვდევით, ჩონც ერ ფაფაყთან მასლაათ ვიქთ, მევლან მისიც ყისმათ გგმოვ. აჲმასთან წავ ჩემ ქალ.

— მა, ახირი ერ ჟულაბ არ მემეცი აზიხან?

— რა თქმაჲ უნდა, უმასლაათნელა ერ რამ ვერ უტყუ.

— მა ჰეემაგ თუ არის, — ებნევ გადი მამაჲ, — თქონ ერ მასლაათ

ჰქენით. ჩონ მივდით, ანჟახ შენ ქალიზგნი კელ ანაღევ არ ვარ მე. ლაფ იმან იხტიარი გაასლო̈ლ არ ვიც, მააკდომელ ებედიაჲ წაასლო̈ლ არ ვიც, ანჟას შენ ქალ ჩემ გადიბე სათხოვნევარ. ნუ იტყუ̈ ფინთოვით ამბოვსჲვ, აარ ბელა შენ ქალ დედას დეემზგავსევავ, შენ დეკაც კაჲ ჰკუ̈ან, მუშა ინსანი. აჲმიბე უ̈კლავ თავს, თუარდემ დუ̈ზუ̈ დუ̈ნუ̈აზე რაჲ ბეუ̈რია ქალ.

ამი ლაპარიკს უკან აზიხანაჲ აცილევს, ისენიც გადიან, მიდიან ჰარქესან თავიან შინ. იმათ გგმოსულას უკან აზიხანაჲ და თავი დედეკაც მასლაათოვენ. დეკაც ებნევ: სემა რამ ხარ შენ. ამგე იხტიარში ქალ მოგთხოვეს, შენ კი რაზიჲ არ იქენ.

— აჲ დეკაცო, გადააგდეველ ქალ კი არ მაქ ოსსაათ ჰოობაჲ მუ̈ჰცეყ. ეემაგ ადათი, სიფტა ეემაგრ იტყუ̈ანყ, ერდეფააც მოუ̈დნენ, მეორე დეფააც მოუ̈დნენ, ახირი ჩონც რაზიჲ ვიქნევითავ.

მეორე დეფა მოსულაში, აზიხანაჲ ქალს აზლევს და ებნევ: ერ ყურუმანით მამიტანივ.

მეორე დღე გადი მამაჲ აგრუ̈ევს თავი გრ̈ც ყოფ ყაუ̈მევს, ალაგევს ხურჟინს ყურუმანითი ადათი, გადი ტაისთან, ორ-სამ სხო ჟეჲლევთან ზგავნის აზიხანაანთა. შასუ̈ლაში დარვუზასთან თოფ ესრუ̈ან, შადიან შინ. შინ შასუ̈ლას უკან იწყო̈ვ ჰმა-დალევაჲ, მევლან მააქო̈ნყ წინ ხურჟინს ასხნევინევენ იმგე ყმაწუ̈ლს ვაჲ ქალ იქნეს, ვაჲ გადაჲ, ანჟახ გარაქ დედ-მამაჲ ექონას. ომოშლას უკან სიფტანდელ ნაზუქს ნიშანნუ ქალს უზგავნიან. ნიშანნუ ქალ მარაქაში არ იქნევაყ, აჲმიბე რუმ გადი თარაფი ნაქნარ ინსნევს თავი თავს არ ანახინევსყ, იმ დრომდინ რა დრომდინაც არ გათხოვდევ. ყალან ნაზუქევით კი რ̈ქს-შუ̈დდენას ინახენ, მანასულ-წანასულიბე იქნესავ.

ჰენგილავ ამ ღამი ღუნო̈ს არ დაალევს, თუ არ დაჲლოცა — „ნუმბარაგ იქნეს“ თქმით.

ემ ყურუმანითში ნაქნარ ფერადით გარაქ ქალმა ოთხ-ხუთ წყუ̈ლ წინდევ, ზოგ შიბიან, ზოგ მოქარგულ, ბებრევიბე კი შავიან ან ყუმლი კავი წინდაჲ გამოუ̈ზგავნასყ. წინდევ იმი სახელზე მოდის, ‘ემენიც მანითში ბეუ̈რ თეთრს, ჰე ორ-სამ ადლ ფარჩას ჩაადო̈ვს.

ამაშინსუკან რაჲც შად დღეევ კეჰტევისყ ქრისტიან ჟულით, ემ დღევევიბე გარაქ ხურჟინ ახლი წილ წაჲღან გადი სახლით ქალიბეთ. წალანდელ ჟურაჲთი. მინც რაქთონსაც ათავნევს, ზოგ ერ ჩაჰპა, ზოგ ჰე თოხლს, ჰე ყოჩს მიჰყონსყ.

ფაჲზი ყურზენ-მურზენ დაკრეფას უკან ქურმუხი საყდარზე გადიანყ. დიდ საყდრი ჩომოსუ̈ლას უკან საქმეჲ თავდევ. სახნავ მენაკ, შიშა-მიშაჲ ჰენგილავი სახლში ბუ̈თუ̈მ რამ ჰაზირ კეჰტევაყ. თითოჲ თითო საკორცეს, კამმეჩს, რ̈ქსშუ̈დ ყოჩს საზამთროჲ იკლო̈ნ. საქმეჲ ჰეჩრამ არა. იწყო̈ვისყ კაჲ ქეჲფ. ეე დროჲ ჰამმეშა ადათი ჰენგილაევი ქორწილ

დაწყოვაა. ემ ფააზიბე აზიხანასაც ქორწილ აქ. ქალი მამაა ქალ ათხუევს, გადი მამაა გადას ასახლევს. ბუთუმ ჰაზირრულ გასწევას უკან გადი მამაა მივ აზიხანასთან, ებნევ: მე წელს ქალ მუჰყონავავ. აზიხანაა ბეჸრ აგრ-იგრ ჩედის, ქალ მანასულიბე დარჩესავ, ამმა გადი მამაა რაზია არ კეჰტევ, ყარაზ ბაწარზე მოჰყონავს აზიხანას. აზიხანაა ებნევ: ქალს გაზლევ, ამმა ბუთუმ ადათს საქნევართ. შენგნი ხუთ ყათ ტამსომოზ, ერ ახალ კიდბან'ა, ხუთ ჟიჟიმს, აორლან-დოშაგს, ლაგან-ჰაფთუფას, ერ საკორცეს, ერ თალარ ლუნოა აალევარ. ქალსაც ცხენით არ მააცემევარ. გარაქ ფაატნუთ წააყონო.

· აზიხანაა ნათქომით გადი მამაა არ გადადის, კურუა დღეაბე იწყოვის ქორწილ.

ქორწილ ჰენგილაველში იწყოვის პირსალმოათი. ღამი ჰამენ, ლევენ, თმაშოვენ. გადი სახლში გარაქ ღამით ქალი სახლით ორ-სამ კაც მოუდეს საქეაფნელა. ემ კაცევს მემზანაგეა ეზახიან. ააზიბეაც სიპტანდელ ღამი ქორწილს მემზანაგეს ეზახიან. მეორე დღე დილლითავ გადისიანი გროვდევის ჰენგაა. ჰენგაა ძიდ კეჰტევ ბაშჰენგაა. ბაშჰენგაა გარაქ დედეკაც იქნეს.

ზეა ერ საბელზე გასულაში გადისიანი მიდის, ჰენგაა მემზანაგეევ კი წინ ყავალჩიევთან ერთა. ერ მემზანაგეს ხი შამფურზე აგევულ აქ ხუთ დუდრუან ნაჰერ კორც, ერ ქათამ, ერ სატუნოა. ემ რამეევს ბუთუმს გადი სახლი აზლევენყ. თუ ეს არ მიჰცეს, აამაშინ მემზანაგეევ თავიან თავს მასხარაა ანაგდევა თლუან. თუ არ მისცეს, ხანჟალსაც იხმარევენყ. მემზანაგეევთან ერთა ქალისიანი გომოზგავნილ მაჰაკალიც გარაქ იქნეს. მაჰაკალს ერ მემზანაგეა სალმოზე ერთიც დილლაზე ჰენგაა წასულაში ქათამს უკლონყ.

ჰენგაა მიდის ქალი დარვოზაზე. დარვოზაა შიგნითიანი მაგრა დაკლეტულ, შიგ ერ კაცს მაშხალლაა უჰერი. ჰენგაა თარაფით თოფ ესროვნან გარაქ მაშხალლას, მოჰწყუტან, ჩამააგდან. თუ თოფ არ მაახოდროს, მაშხალლაა დანაჰერ კარ არ აღევსყ. შგმოდის ჰენგაა. ოზოა თავში აგევენ ნეჰას. ნეჰაზე ბუთუმ ჰენგევ ფეყზე დგევიან. ბაშჰენგაა კი თავში დგას. თავი წინ ხი ხონჩაში შუდ წოდ, ერ სატუნოა, ერ ქათამ, ერ ტალერკ ქონ, ერ ტალერკ ბექმაზ კეჰტევაყ.

ქალი დად ზალს იქთონას უდოვს, რაქთონიც გადი სახლით მეეტანაყ.

კაცევ ერ თარაფში ჟდევიან, დეკაცევ ერ თარაფში. იწყოვ ჰმა-დალევაა, თოფი ნიშანში სროვნაა.

შუადღეზე ქალს კმანზენ შამკმანზელევ. ორ-სამ ქალ პატარზლი თაევ. შამკმანზელევ თეთრს ართმენ გადისიანი მანასულ ჰენგაა ბაშჰენგას ან მაჰაკალს. თეთრ მიცემას უკან ყავალ უკრავს ქალ გმააყონელ მუყანს, ქალს ერ კლავი იჰერს დად, ერ კლავი შამკმანზელ, გომოჰყონენ, აყენევენ გადი თარაფით მანასულ ჰენგაა შუაზე. ქალი ყაუმევ აკრონ თეთრს, ფარჩას.

სახლი პატრონ მინც არის, ან ზალაჲ, ან დედაჲ, ის მევალეჲს შახიც გააქეთას.

შგმოკრას უკან შგმამკრ̂ოლმა გარაქ იშიპრას, გოდმოუდეს უკან. სალმოჲ ხან ქალს აჟდრ̂ნრ̂ნ ჰე ფაჲტონზე, ჰე ცხენზე. ქალს უკან ქალი ოჟალ ატანევს. ერკაცთაჲფას, ʻემენსაც გატანეულს ეტყუ̂ანყ. წინ ყავალ. ყავალთან მეძზანაგეჲ აბრუნევს გადიგნი წანაღევ რაჲმითონას. მოდიან გადი კარზე. გადი კარზეაც მაშხალლაჲ დანაჭერ კაც დგას; აქაც მაშხალლაჲ თუ არ ჩამააგდეს, არ უშმენ. მაშხალლაჲ ჩომოგდევას უკან ქალს ცხენ ჰე ფაჲტონ ყარიშულლა სამდეფა ატრიალევენ გადი კარს წინ; ნეფეს გაჰყონენ კიბეჲთი სახლი აყარზე. ქალს აყენევენ გადი კიბეს წინ. გადაჲ ზეჲთი ქალს აყრის ჰე თხილს, ჰე კამპეტ-მამპეტს. ქალს მევლან ჩომოჰყონენ. ქალი ყუჟალში ერ ყმაწუ̂ლს აჟდრ̂ნრ̂ნ. კარზე ერ ესტაქან წყალს დრ̂ვენ. ქალ ʻშასუ̂ლაში გარაქ ქალმა ფეყ წგმოჰკრას ესტაქანს, ერთიც ბუხავს. ბუხავი ზედაჲთი გადასუ̂ლას უკან ყბაზე უსმენ ბექმაზს ჰე თაფლს. მევლან შაჰყონენ შინ, აყენევენ. იწყრ̂ვის ჭმა-დალევაჲ.

დილლაზე იწყრ̂ვ დიდ ქორწილ. გადას გომოჰყონენ აყენევენ კაცევი მარაქაში, ქალს კი დეკაცევი მარაქაში. იწყრ̂ვის გადაჲბე შგმოკრაჲ. შგმამკრ̂ოლ მააქს თავი რამ მამს, აწყოვს ნეფეს წინ. ფეყზე დგომელ დგევის, ააქს კელში შგმამკრ̂ოლი მანატან ღუ̂ნრ̂ს, ფარჩას, ეემაგრ აგევინევსყ ხალყს: — აჲ ხალყო, ერ ახალ ხაბარ არის. ხალყ იტყუ̂ს: ხეჲრ იქნეს.

ფეყზე დგომელ ებნევ: ხეჲრ ინშალლავ, დღე ჩონ ნეფეს ფულლ̂ნ ფულანქეს ინსან აკრავს ერ დუქან ფარჩას, ერ თორნე ნაზუქს, ერ ყოხს (ჰე ერ ჲორღა ქათამს), ერ ჰამბარ თხილს, ერ ჰამბარ ვაშლნ ʻა ვიცი, ბეუ̂რ რამს.

— ღმერთმა ხეჲრში მაახმარასყ, — ეტყუ̂ან ჟამაათ, ხალყ.

შამამკრ̂ოლ შიპროვს, მევლან მიდის.

ჟეჲზ გასხნაში ერ წყუ̂ლ წინდას აზლევენ მაჭაკალს, ერ წყუ̂ლ გომოტანეულს; ერ წყუ̂ლ წინდაჲ, ერ მარაზ მეფაჲტნრ̂ს, ჰე მეცხენეს, ერ წყუ̂ლ წინდას ყავალს ჰკიდევენ ქალი პატრონევ ქალ გომოყონაში.

სალმოჲ ღამდევ. გადას წინ დანაგრუ̂ევ პურ, ნაზუქ, ვაშლ, თხილ, კაკალ ყოფენ. ერ წილს აზლევენ ყავალს, ერ წილ გგმოტანეულს. ერ წილ კი ნეფეს სჩევ. ემ სალმოზე დადს აზლევენ თავი ფას თეთრს, კედემ ქალიბე ʻშაკერი ფასს.

აჲმივ სალმოზე გადას აბარევენ ქალს. გგმოტანეულ, მეშზანაგეჲ, მეკურტმეჲ, დად ბრუნდევიან ქალი შინ. ემ დრომდინ გადაჲ და ქალ ერთმერთს ვერ იცნოვენყ. მესამე დღე იწყოვენ ფეყზე დგომელევი ქორწილ. ერ კუ̂რუ̂აჲ ზალ ჩომოფხუტულ კეჭტევ. კუ̂რუ̂ს თავზე ზალს კდიან

პირით. ზალ მამამთილს, დედამთილს, დიდ მაზლს არ ზრახავს იმ დრომდინ, რა დრომდინაც დედამთილ-მამამთილ არ აზრახევენ.

## 43

ჩონ, ჰენგილავევმა, ღუ̈ნო̈ჲ დალევიზგნი ყეჲრი არაყ დალევაჲც ვუ̈ცუ̈თ. არაყ თუ ზავოტში არ გომოჰკადეს. ჰე ვერ მააწყო̈ს, ერ რამ იქნა ყარაზ, ეშ წელს უარაყო კი არ დგო̈ვით. ავაქთ ერ დიდ ქობს, არაყი ქობს, ზედ ვოსარქლევთ ზარფუშს. ზარფუში ზეჲ თარაფი ერ გო̈რდით თითი სისკეჲთი გაკრო̈ტულ. ემ ნაკრო̈ტში ყავარს ვოზრო̈ნავთ. ყავარი ერ თიანით ქო̈შაჲ ზეჲჰთყენ მეორე ყავარს ვოზრო̈ნავთ. ქო̈შაჲ ზეჲჰთყეხ შანაზრო̈ნ ყავარი ტუჩს ვოზრო̈ნ.ვთ ჰაფთუფაში. ქოიში ჰყრუ̈თ ჰეჰას, ქლიავ-მლიავს, ანწლი თავს, რაჲც გაქ ყარაზ.

ჩაყრას უკან ზარფუში და ქობი დოდალევ ცომით, თეთრ მიწაჲთი, ზოგ-ზოგევ კი ნო̈ხუ̈თ გლესენ. ქო̈მ ანთევენ ცეცხლს, ქობ დუღს, ბუღ მიდის ყავარში, ყავარ ჩადის ჰაფთუფაში, ჰაფთუფაჲ ჩადო̈ვულ ცივ წყალში. დუღოვაში მანასულ ბუღ ჰაფთუფაში არაყა იქცევ.

სიპტანდელს თავ არაყ ვო̈ზახით, შუაზე ნაქნარს — ბოშ, უკანახენდელს — კუდ. კუდ დ.ლევაჲ არ კეჰტევ, უკანაყავ ქობში ვოსხამთ, ჰკდუ̈თ. თავ არაყ აღევას უკან ნარჩომს ვოსხამთ.

## 44

ჩონ, ჰენგილავევ, სხო საქმეევთან ერთა პარკი ჰიასაც უ̈ნახავთყ. პარკი ჰიას ზოგ ერ ყუთის ააქს, ზოგ ორ, ზოგ ორნახუ̈ო̈რ, ზოგ სამ. მისაც რაქთონიც უნდ ყარაზ. ჰიაჲ თესლ ხონჩაში დო̈ვო̈ნ, ჰიაჲ შანანახ სახლში ჰკიდევენ. შიგ ცეცხლს ანთევენყ. ცეცხლ გარაქ ყარალით იქნეს, თუ ბეუ̈რ იქნა, ჰე ცოტაჲ, თესლ ლაყდევ.

ხონჩაში ერ კო̈რცხს დო̈ვენ. კო̈რცხს ჰიაჲს ერთიბე ომოსუ̈ლინჟახ გარაქ ხონჩაში იქნეს, აჲმიბე, რუმ მამსლო̈ლ-წამსლო̈ლი თოლ კო̈რცხს მოხტო̈სავ.

ჰიაჲ გომოყონით დარჩევინჟახ ყიზილი, ჰე გუ̈ჩუ̈ჩუ̈ კბილ ნაქნარ ინსანს არ უშმენყ, ჰიაჲ დაჲლაკევავ.

ჰიაჲ თესლი გომოსუ̈ლაში მორიზაჲ ებნევიანყ. გაარი ფოთოლს საკუწავზე წრუ̈ლა ჰკუწეჩყ. მორიზას უყრიანყ. მორიზაჲ კუ̈რუ̈ს თავზე ერთიბე ომოდის, მევლან ორიბე ომოსუ̈ლინჟახ კიდეშ კუკურს უყრიან. მეორე ო̈ქს დღეს უკან დანაყარ კუკურ ლურჟა ჩევ. ჰიევსაც ბუ̈ძუ̈მს ნახავ, ქელლევ აუ̈ყოყიაყ. დჲანან. აჲმაშინ დეკაცევ ამბოვენ ჩონ ჰიას ორიბე ზინავავ. სამიბე ომოსუ̈ლინჟახ ჰიას ჩაფრევში დო̈ვო̈ნ. სამიბე ომოსუ̈ლაში ჰიას გაარაჲ წრუ̈ლ ბუთღევ უყრიან. სამიბე ომოსუ̈ლას უკან ჰიას გარ.ქ საცახეჲ აჰამან, აჲმიბე, რუმ ჰიამ თავი თავ გაჲზლოს. პარკ დუ̈დრუ̈ჟან იქნეს.

ოთხიბე ომოსჳლას უკან, ორ სამ დღეს აცილევენ, მევლან ჭიას ცახენ. ოთხიბე ამნასულ ჭიაჲ აყარზე, ჰე მიწაზე ტოლ-ტოლ ფენენ. ზედ ტოლევზე ჭიაჲ აქ-იქ პარკს ქნის. პარკ შაქნაჲ თუ დაჲნახა ქჳმჩჳ დეკაცმა, აჲმაშინითავ იწყოვს ჭიაჲ დაცახას.

ჭიაჲ დაცახიგნი წინ ტოლევი შიგაჲთი არჩევენ დჳდრჳან ჭიევს, ჰენი ყოჩევს. ყოჩევ ჭიაევიზგნი მალე პარკს ქნიან. იწყჳვის ჭიაჲ დაცახაჲ. ჭიას ორჟურა ცახით ცახენ. ერჟურას ბოლოკაჲ. მეორე ჟურას კი ბარინჯ ეზახიან. ბარინჯს ტოლის ერ თარაფით ერ დესტას ყუდევენ. ტოლი მეორე თარაფით, მეორე დესტას. ცახი წჳრჳვს ერთმერთზე აწჳნჳნ. ბარინჯს ცახი ზირზე, ან ცახის არაჲთი არაში ბოლოკას აზლევენ, რუმ ჭიაჲ მანასწროვმა დაბლა შაქნას, გჳან ნაქნარევ ზეჲთ გაჳდნენავ. დაცახი კჳრჳჳს თავზე იწყოვენ დარჩევას. თუ დროჲთი გადაჳდა, პარკ იპეპლევის.

ჩონთან სამჟურა ჭიაჲ არის: იტალიან, თეთრ დჳდრჳან პარკი; კირკინაჲ, წრჳლ, ყჳთრლ, წითელ ფერზე პარკი, ერთიც ჭაპუნ, ჰენი წონე პარკ.

ჰენგილაევევ ბჳთჳმ არ ინახავს ჭიას, აჲმიბე, რუმ ზოგს ბალჩეჲ აქ, ზოგს — აარ. ბალჩეჲ არ ნაქნარ ერ ცოტას თავიბე ყაჭ-მაჭიბე, კედ გააქითეველ დერდიბე ფარაქალს ინახავს.

45

ერ დროზე ერ ჰაქიმ ყოფილ, სახელიც ლოყმან. ე ჰაქიმ ბეჳრ ინსანს ამთელევს ყოფილ. ერდეფა ერ ავატყოფ მიდის ლოყმან ჰაქიმთან, ლოყმან ებნევ: შენბე წამალ არ ალისავ.

ავატყოფ ებნევ: აჲ ჰაქიმ, მე ჰკდჳვ, ერ ზოლი და ერ ტყავ დგავარ, ჩემბე ერ ჩარაჲ ქენივ.

ბეჳრიც შამაჲხჳწო, რაჲც გინდ ჰქნო, შემბე ჩარაჲ არა, წინ წაჲვ. კაც ქორ ფუშმან ბრუნდჲვ შინ. მაგრა ცხელ ყოფილ. გზაზე თორმეტდენა ქეჩის ერ პატრა ყმაწჳლ აზჳევს ყოფილ. ემ ყმაწჳლს ებნევ ე ავატყოფ: აჲ შჳლო, ერ ცოტა ზეჲ მამიწჳლ, ავად ინსან ვარ, გულ იწჳვის, დოჳლიოავ. ყმაწჳლ ებნევ: აჲ ბიზა, ჭურჭელ არ მაქ, ჭურჭელ მამიღ, მოქცეავ. ავატყოფ აგრ-იგრ სხრიალოვს, კუჲბაკანაჲ ბაკან პოჳლოვს, მააქს, შიგ აწჳლინევს ზეს, ერ ცოტას ლევს. ზეში ნაგდომ ბაკან და ახალ მანაწჳლ ზეჲ კრუალ ყოფილ. ბჳთჳმს ვერ ლევს. მიაქს წყლი პირში. წყალში დჳვს. თუთან პირში ჟდევ. წყლი შიგაჲთი ერ გჳლ მოდის, ზეს ლევს, წყალში თმაშოვს, მევლან ზეს უკანაყავ შიგ ბაკანში ასხამს, თუთან აგდევს, მიდის. ავატყოფ ჰჭრჳტავს, ახირი ამბოვს: ლოყმანმა მითხრა, მასაკდომეხარავ, ე ზეჲ გჳლმა დალივა, ჰეგ ვიც ავლუჲანი, მოჲ დოჳლევ, რაჲც იქნევ, იქნევ. იჭერს ამ ზეს, ბჳთჳმს ლევს. კაც აჲქავ ზილში ვარდევ. საღმოჲ ხან ელჳხევის, ხედავს რაჲ? კედემ ჟანზე მოდის. აჲქათიავ ბრუნდევის, მიდის ლოყმანთან, ებნევ: შენ უმ

მითხარ, მასაკდომეხარავ, მა 'აჟურა გავმთელდივ? ლოყმან ებნევ: მე ვიცი ვარ, რაჟურააც გამთელეუხარ. შემბე საჰიროჲ ეყო თორმეტ ქეჩიჲ ზეჲ, შუ̃დ წლი ნარჩომ კუჲბაკანაჲ ბაკან. ამ ბაკანში მოწო̃ლულიყნო̃ნ თორმეტ ქეჩიჲ. მევლან ე ზეჲ გო̃ლს დეელივას გარაქ, უკანაყ ეერწყივას ი ზეჲ, მევლან შენ დეგელივას, რუმ გამთელეულიყავ. მე კი მაგიბე არ ცალიანდა. შაჰხედ, შენ თავ რაქთონ ღმერთს უჩდ ყოფილა, რუმ შემბე ჰეგენ ღმერთს მოუ̃წყოვ. ავატყოფ ებნევის: წოორი ჰაქიმო, შენ ნათქომჟურაჲთი იქნავ.

46

წაღანდელ დროზე ყოფილ ერ ფაჰჩაჲ. იმა ჰქონი ოციდაცხრამეტ დეკაც. ემ სოფელში კიდემ ერ მეზროხეჲ ყოფილ, ერ ქალ ჰქონი. ფაჰჩას უთქომ: მე ორმოც დეკაც მექონას გარაქ, ე მეზროხეჲ ქალ მე წოჲყონო. ფაჰჩაჲ მაჰაკლევს ზგავნის მეზროხესთან, ამმა მეზროხეს ქალ მიცემაჲ არ უნდ ყოფილ, მაჰაკლევს ებნევის: ქალს არ მიჰფცემავ. მაჰაკლევ მაჰტევიან, ჩევიან. ამბოვენ: 'აბე არ აზლევა ჰემგე ფაჰჩას?

მეზროხეჲ ებნევის: დღე ფაჰჩაჲს, ამმა ხუ̃ალ მე ვერ ვი, რაჲ საქნელი, მევლან ჩემ ქალი თავ მინ საცხოვრეველია, ჰეგ ერ უსტაჲ არა, ფაჰჩაოვით გასულას უკან რაჲთუმ აცხოვრას ჩემ ქალ.

ფაჰჩაჲ მეზროხეჲ ემ ჟულაბზე ერ ქეჩაჩისთან მივ, ქეჩაჩიოვას ესწავლევის. კიდე ერ დროზე ზგავნის მაჰაკლევს მეზროხესთან. მაჰაკლევ ებნევიან: ფ ჰჩაჲ ერ უსტაჲს, ნაბდევს რამს აქეთევს. მეზროხეჲ დაა რაზიჲ კეჰტევ. ფაჰჩაჲ ქალს მიჰყუნს.

ერ დღე ფაჰჩაჲ თავი ო̃ლქაში ეტარევ თავი ო̃ლქაჲ დაათორიალეველა. ზედაც სხოჟურა ტანსომოზ იცომს, ნუ მიცნანავ.

ერთიც ერ შაარში ერ ისტალავაში შადის. ე ისტალავაჲ იმჟურა ყოფილ, რუმ იქ შანუსულ ინსან თელ ვერ ბრუნდევის, ბუ̃თუ̃მს ჰკლო̃ნ ყოფილ. ე ისტალავაჲ სახლევ ერ გაუ̃ქეთევიაყ ყოფილ, ფეყ დაბიჰევითავ დაატონკეველი, კაციც ოსსაათ ზერზემში ეხწევ. ფაჰჩაჲ შესუ̃ლაში ისტალავაჲ პატრონ მოუ̃და, ფაჰჩაჲ იქითიან სახლში გადაჲყუნა. ფაჰჩაჲც ფეყ დაბიჰევითავ ზერზემში ჩავარდა. პიწწა ხანს უკან ფაჰჩაჲ ხედავს, მააკლო̃ლა მოდიან, ო̃ხო̃წო̃ვაყ: ნუ მკლავთ, ჩემბე თქო̃ნ მინ მანითს აალეხართ, მე ლ`ფ კაჲ ნაბდევ ოქეთევ. ისენ უჟერევენ, უსწორევენ ერ კაჲ ადგილს, მატყლსაც მოჰტანენ, ფაჰჩაჲ იწყევს ნაბდევი გაქეთევაჲ, ისინიც მიაქო̃ნ, ჰყიდიან. მართლაც ბეუ̃რ მოგევაჲ კეჰტევ.

ემ ფაჰჩას თურმენი სცოდნი საკნეტნი წერაჲ, ერთიც ემი ვეზირს. ერ დღე ერ ნაბად ერ ვეზირს უვარდევის, აჰტანს, იკითხავს: ფულან-ფულან შაარში, ფულან-ფულან ზერზემში ჩაუ̃გდიაყ ჩემ თავ. მოჲთ, მემესწარით!"

ემ ვეზირს გაჰკუ̃რევი, აუ̃ყონი ფაჰჩაჲ ყოშინ, წასულ. ექ მოსუ̃ლაში

ბუ̃თუ̃მს იჰერენ, გომოჰყონენ ფაჰჩას, ხალღს კი აჩოვენ, ზოგსაც ტუჰსალ უჰრიან. ფაჰჩას უხარიან, ამბოვს: მართლააც რუმ მეზროხეჲ ჰკუ̃ან ყოფილ ჩემზგნი, მე ე სანაათ არ მეცოდინას, ეხლა ჩემ ზოლიც არ იქნეოდა, მეზროხეჲ არ ყოფილიყოდეს, დოჲღუპეოდივ.

## 47

ყოფილ ერ ქაჩალ. ემა ჰქონი ერ დედაჲ. თუთანაც ფაღირა ცხოვროვღნენ ყოფილ. გიმგაზე გასუ̃ლაში ემ ქაჩალს ჰამმეშა რიშხნა იგდევდნენ. ერ დროზე ქაჩალმა თქო: დედექით, თქო̃ნ თავზე რაჲ მასაღევარ.

ერ დროჲ კეჰტევ, ქაჩალ მიდის ბაზარში, ჰყიდლოვს ერ ქეჩის, ორ ცხორს, სო̃ფლი ყბა-პირანღ მოლლავს, მოდის, მინდორში ჰყრის, აჲქავ აგდევს. ერ დროზე ქაჩალ წაუ̃და, მაჲკლივა თავი ქეჩიჲ და ცხრო̃ვნაა, რუმ არც ქეჩიჲს, არც ცხორ რამ. მიდის, გო̃რც ყოფ ტურაზე ერ ჟოხს ფრეწავს. ამბოვს: ჩემ ცხრო̃ვ შენ გიჰამია? ტურაჲ ამბოვს: მე კი აარ, ჟანავარს უჰამი, ოუ̃გი ჟანავარ.

ქაჩალ მიდის ჟანავართან, ებნევ: ჩემ ქეჩიჲ, ცხრო̃ვ შენ გიჰამი ყოფილა, ეეხლითავ მააკლო̃ვარ შენ თავ. ჟანავარ ამბოვს: ერჟე ნუ მკლავავ, ოუ̃გი ჲეთალ, ხედავა, ემ ჲეთალში ერ ყიზილი ქოჩრიან თოხლ არის. მე იმა მააპარევარ, ჩემს უკან ბუ̃თუ̃მ ჩობნევ, ზაღლევ რამ გამააკდომელნი, აჲმაშინ შენ ჲეთალ წმაჲყარ, წაჲ. იქნეს შენბე ცხრო̃ვ, ქეჩიჲ.

— დაჲდა კაჲ, — ამბოვს ქაჩალ.

ჟანავარ წოუ̃და, ყიზილი ქოჩრიან თოხლ მაჲპარა. მანაპარ დროზე ჟანავარ მირბის, უკანითაც ზაღლევ, ჩობნევ. ქაჩალმა წმაჲყარა ყოჩ, მილლავს წოორა სო̃ფლი შუაჲთი, ყბაპირანყ მიდის, წოორა ო̃ზო̃ში ჰყრის. სო̃ფლო̃ლო̃ვ ებნევიან: აჲ ქაჩალ, ე შენ ცხორ საჲთი იქნა, რათაარ იქნა, საჲთი იპოვნი, საჲთი იყიდი?

— გაგონდევაყა, მე ერდენა ქეჩიჲ, ორ დენა ცხორ მაქონდაა? ისენ მინდორში გემეშო, აჲქ დაჲზნო̃ნ, დაჲზარდნენ იქნა ჩემბე ჲეთალ, თქო̃ნ კი დაგიჰერიაყ ზროხევ, ო̃ზო̃ჲთი ჲანზე არ უშოვთ, ჰამმეშა ო̃ზო̃ში ჩაგიყრიაყ.

ერ დროჲ იქნა სო̃ფლო̃ლო̃ვმა თქო̃ს: ჩონ კი 'აბე გაჟინიანეუვართა? ჩონც წოჲყონოთ ჩონ ცხორ, მინდორში დოჰყროთ, დეგემ ბეუ̃რდევის, ჩონც ქეთხუდაჲ უ̃ქნეთ. სო̃ფლო̃ლო̃ვმა ზროხევ გაყრეს, ერ წელს უკან წოუ̃დნენ მაავლელა, რაჲ? არც ზროხაჲ არის, არც ჰეჩრამ. გაჟავრეულან, უთქომყ: მოჲ, ემ ქაჩალს ერ თოზ დოუ̃ჰიროთავ. ერ დღე ლამაზა ქაჰლი სახლს უნთევენ, სწო̃ნ. ქაჩალ ამბოვს: ფიქირ არა, ჩემ პატრა სახლ ეყო, დედექით, თქო̃ნ ბუ̃ჲუ̃მი სახლევ თქო̃ნ კელითავ დასაწო̃ვინევარ.

ქაჩალმა აჲღა ერ მეშუკში ნახვერ მეშუკ ქომურ ჩაყრა, წოუ̃და გზაზე. ქაჩალსაც ჟიბეში აქ ყოფილ სამდენა ყიზილ. ერ სო̃ფო̃ლს მიუ̃წივა; ექ

ერ სახლს წინ დადგა, შინ ყოფევს უთხრაყ: ამღამ ყონაღა ამიყონით, რაჲ იქნევა? ქაჩალი თავ შაჲყონეს. ექ ემან თავი ბიჯოვაჲ მაჲგონა. ჯიბეში ყოფ სამდენა ყიზილით ერთ ო̈ზო̈ში დარვოზასთან დააგდა. ერთ ორღბისიან, ერთიც გზაზე. ცოტა იქითყენ დააგდა, ქომური მეშუკ დამალა. დიღლაჲ გათენდა, ქაჩალმა დაჰავაჲ დოუ̈წყო სახლი პატრონს: ჩემ ყიზილ მინმა მაჲპარავ? ამ ო̈ზო̈ში თქო̈ნგნი ყეჲრი ჰეჩმინამ არა, მე ეხლიჲთავ ფაჰჩასთან წაასლო̈ვარ, საჩივლევარ.

სახლი პატრონ ებნევ: ამან, ჯან, ჰეჩსადამ ნუ მიიდიხარ. ჩონ შენ ყიზილს მააცემევართ. მართლააც მიჰცეს ემა ყიზილ, გააცილეს. ქაჩალმა ერ კაჲ სახლ დადგა, სო̈ფლო̈ლო̈ვ ყბაჲ გახმულ დარჩნენ: აჲ ქაჩალ შენ ე სახლ 'აჲთი დაადგი, საჲთი იქნა, 'ოგო იქნა?—გაგონდევაყა, თქო̈ნ უმ ჩემ სახლ დაჰწუ̈თ, მე აჲმი ქომურ წოჲღ. ყიზილზე ბარაბრა გოჰცოლ. ჯამაათმა თქო: ჩონც ჰეემაგრ ჰქნოთ. ჩაუ̂ნთეს ბუ̈თუ̈მ სახლევს, დაწო̈ს, აჲკიდეს ქომური მეშუკევ, წაუ̂დნენ. ბეუ̂რ იყუ̈რეს: ქომურ ყიზილზე ჰცლუ̈თავ, ამმა ბუ̈თუ̈მ ექცეოდნენ: თქო̈ნ სემაჲ ხართა, ქომურზე ყიზილს მინ მოქცემსყა? ბეუ̂რ იტრიალეს აგრ-იგრ, ქომურ ვერ გაცლო̈ს, მოუ̂დნენ სოფელში, თქო̈ს: მოჲ ემ ქაჩალს დედაჲ მოუკლოთ. მართლაც ემი დედა ჰკლო̈ნ. ქაჩალს ერ ჯავრ მოოდის, ამმა დედას არ მარკავს, იკიდევს ბეჭევზე სოფლი გადის. ბეუ̂რ მიდის, ცოტაჲ მიდის, ერგან ერ ცუ̈ცქუ̈ლზე რასტ კეჰტევ. დედას ყუდევს კარში, თუთან შადის კელევ გაათბოველა. ქაჩალ გათბოვას უკან ებნევაყ ცუ̈ცქუ̈ლში ყოფევს: ჩემ დედაჲ აჲქ კარში მო̈ლო̈დო̈ვის, არ იქნევისა, იმი თავიც მოჲყონო გაათბოველა? მეცუ̈ცქუ̈ლესაც ორდენა ქალ ჰქონი. მეცუ̈ცქუ̈ლეს უთქომ: შენ დაჯ, გათებ, ქალევ წოუ̂ვლენ, მაჲყონენ. ქალევ წაუ̂დნენ მააყონელა, ბლენ ღამეჲ ყოფილ. 'ათაარაც კელ მეეკიდაყ, დედაჲ წაქცეულეყო. ქაჩალ გომოდის, ერ ყუ̈რუ̈ს, ერ ტირის: ჩემ დედაჲ მოჰკალით თქო̈ნ. მე ეხლა რაჲ ჰქნოა, 'ათაარ ჰქნოა, მე? მეცუ̈ცქუ̈ლეჲ ებნევის: ფიქირ არა. ნუ ჰტირხარ, აჲ ემ ორ ქალის ერ ქალ შენბე იქნეს დედაჲ კოლა. დედასაც ჩონ დოუ̂მარხავთ. ქაჩალიც ერ ქალს აჰყონს, მოდის წოო̈რა სოფელში.

— ქაჩალ, ე ქალ საჲთი იქნა?

— მა რაჲ გეგონაყა, დედაჲ მოჰკალით, გეგონაყ ჰერაბ უქალო დაარჩომელი უა? მე კდარ წოჲყონ, თელზე გოჰცოლ.

სო̈ფლო̈ლო̈ვმაც წგმაჲკიდეს მანაკდომევ, ჩაჲარდნენ სო̈ფო̈ლში, იზახიან, |კდარს თელზე ჰცლუ̈თავ. სხო სო̈ფლუ̈ ჯამაათ ჯავროვენ: სემაჲ ხართა, თელს კდარზე მინ მოქცემსყა? სო̈ფლო̈ლო̈ვ ბრუნდევიან, ამბოვენ: ე ქაჩალ რაჲ გოგიკდა ჩონ. მოჲ მოჰკლოთ, აჲმაშინ არხაჲნ საქნელვართ.

იჰერენ ერ დღე, სწნო̈ნ ერ გოდორს, ქაჩალს აგდევენ შიგ, ჰკიდევენ რო კაცს, ებნევიან: ემი თავ ღრუ̈მ ღელეში გადააგდით: მოკდო̈ს აჲქ.

ე კაცევ იკიდევენ, მიჰყონენ. ბეჸრ მიდიან, ამთჲნ მიდიან, შრჲვიან. ერ დროზე ერ მუხაქჲ ისჲნჲვენ. მანასჲნჲვ დროზე ემ ორნიმ კაცევს ეზინევაყ. ქაჩალ გოდორშიდა. ერთიც ხედავს, ერ ჩობან ცხორს აზუევს დუჰტაგ დაკრუ-დაკრუ. ქაჩალ ჩობანს ეზახის მალივი: აჲ ჩობან, ექ მოჲ, ერ რამ გითხრო. მე ესენ ერ კაჲ შაჰარში მიმყონენ. იქ წასულაჲ მე არ მინდ. მოჲ, შენ ემ გოდორში ჩაჲ, ე ჩემ ტანსმუზ შენ ჩაჲც, შენ ტანსმუზ მე მემეც, მე ჩოჲცო. მე საყურევარ შენ ცხრჲვ. შაჰარი დაბრუნევას უკან დაა შენ ცხორს კედემ შენ დოუპატრონდ, ჩობან დარაზივდა, გოდორში ჩაუდა. ქაჩალმა აჲღა დჰუტაგ, დაკრუ-დაკრუ დადგა. ი დანაზინევ ქაჩლი წანაყონევ კაცევ გგმაჲღუზნენ, გოდორ წმაჲკიდეს, წოუდნენ. ერ ღრუმ ღელესთან გაწევნაში გოდორს აჲმაგრ ჲსრუან ღელეში, დაბრუნდნენ, მოუდნენ.

ერ დროჲ იქნა, ქაჩალ ცხორს მოლლავს, სოფლი ყბაპირანყ მოდის, სჲფლჲლჲვ ებნევიან: აჲ ქაჩალ, ე რაჲსა?

— თქჲნ დამიპირით, გადმაგდით, ამმა არ იციხართ, იქ რა დჲვლათ არისავ. სოფლელევმა თქჲს: ჩონ 'ოგო სემაჲ ვართა, ჩონ წაასლჲლ ადგილში ქაჩალ გოუზგავნით, მასლაათ ჩედიან დიდ, წრულევ. მიდიან ემ ღელეჲთი თავიან თავ ესრუან დჲვლათ მააგეველა, ამმა ბუთუმ იკოცევიან. ქაჩალ ჩევის მამმარტოჲ, სჰამს ერეეპირი, ქეჲფოვს.

## 48

ყოფილ არ ყოფილ ერ პაპი და ერ ბებერ. ისენ ცხორ პირანყ წასულაში ერ ქეჩიჲ ჰყიდლოვენ. ამა ლამაზა ასუქევენ. ტეპრუხ თუ დეგეკრასყ ი, ქონ ჩომოულოდა, აჲემაგრ სუკან ეყო. ამათ ფიქირში აქონდაყ ე ქეჩიჲ ახალ წლი დეეკლასყ. ახალ წლოვაჲბე იდგა შუდ კურუა ნახევერ. ე შუდ კურუაჲ მალე გაუდა, მოუდა ახალ წლოვი ლამეჲ. ესენ ლამი ქეჩიჲ დააკლჲლ იქნენ. ლამაზა ფეყევ რამ შაუკრეს, ზლივ წააქცივეს, ქეჩიჲს.ბებერს კისრი უჰერი ყოფილ, პაპიც ცულდი ჰკლავს. ყოჩს ჰკლავავ, ბებრი თით მოჰჭრა, ყოჩიც ერ ზულუმი დაჰკლეს, გაკადეს, დაამარილეს, დადჲს თექნაში. თუთან დაჲზინეს.

ღამეულა ორნიმ ადგნენ, წაუდნენ შიშაჲბე. პატა გზაჲ წაუდნენ, კიდი ზედაჲთი ვერ გოდოუდნენ, უკანაყავ დაბრუნდნენ. შიშაჲბე წასულაში ემათ ერ კაც უხტჲვაყ, ებნევაყ: სა მიიდითა?

— სა წაასლჲვართა, ბებრაანთა, ჩონ შინ არ შახუდე, ამმა ჰაჩარ სახლი თავზედა. კაც ამბოვს:

დუნუაში იქ არ შავალ. ლამაზა მოდის ე კაც, ე ჰაჩარსაც ააქს, შადის შიგ, შჰამს კორცს ბუთუმს, ზოლევს შიგ ალაგევს, ხურავს, მიაქს, ადგილზე დჲვს. ლამაზა კარევს ჰკლეტავს, გადის. მიდის.

მოდიან პაპი და ბებერ, უვლიან თექნას, ხედენ, ჰაბაა, კორც არ ალის. ამ თექნაჲთი ერ ბუზ ფრინდევ, ამბოვენ: ხედავა, მირასო, ბუზს

უჭაში. ე პაპ ლამაზა კარს უკანი ააქს ცულდს, ეპარევ ამ ბუზს, ე ბუზიც ჟის კორთეზე. პაპ ააქს ცულდ, კორთეს ჭკრავს, ბუზს ჭკლავავ, კორთეჲ ინგრევ, ჭურჭელ იკეჩევ. ბუზ მივ ბუხარაზე ჟდევ, პაპ კედემ ერ ცულ ჭკრავს, ბუხარაჲ ინგრევ. ფრინდევ ბუზ. იშკაფზე ჟდევ, ჭკრავს ცულდს, იშკაფ ზერი-ზუვაჲ ჩივ. ბუზ აქაჲ ფრინდევ ბებრი ლაფ ცხჳრზე ჟდევ. ბებერ პაპს ეზახის: ცხჳრზედავ. პაპ უჩუმრა ეპარევ, ამი ცხჳრში ერ ცულდი ყუაჲ ჩულავს, ჰა-ჰა მოჰფკალ ამბოვს. სადაა? ბუზ გაფრინეულ, თურმენი ბებერ მოჳკლავ.

ერ ჭიდზე გგდოჳდიოდი, ორ ვაშლ მაქონდა: ერთ ჩემ ველდაშს მჳჰსც, ერთ კი კევში ჩამივარდა, წაჳ.

49

ყოფილ ერ ფაჰჩაჲ. ამ ფაჰჩას ერ შჳლჳგნი მეტ ჰეჩმინამ არ აქ ყოფილ, ე შჳლ ავად კდევ. ამ დოხტურს მოჰყონენ, იმ დოხტურს მოჰყონენ, ამიბე ჩარაჲ არ კეჰტევ. ერ დროზე ერ სემა დოხტურ მოდის. ფაჰჩას ებნევ: შენ შჳლ თუ დერდ არ ნაქნარ ინსნი პერანგს ჩაჲცომს, ოგემაშინ გაამთელევველიავ.

აჲმაშინავ ფაჰჩაჲ თავი ვეზირ-ვექილევს ზგავნის, ებნევაყ: თქჳნ მიპოვნით ამგე ინსან, რემენსაც რუმ დერდ არ ექონასავ.

ვეზირ-ვექილევ ბეჳრ მიდიან. ცოტაჲ მიდიან, დერდ არ ნაქნარ ინსან ვერ ჰპოვლოვენ. უკანაყ შინ დაბრუნევაში ერ ზჳლ სახლთანი ივლიან. შიგაჲთი ერ კაციკნი ერ ჟულაბს იგევენ: „ტკბილ რიწყ მიჭამი, კაჲ ტკბილ ზილით დოჲზინევავ“. ვეზირ-ვექილევ ამბოვენ: ემიგნი უდერდო ინსან საამ იქნესავ? შადიან კაც დააჭერელა შინ. შინ შადიან, ხედენ, ერ კაცი, ზედ ზჳლ ჩოფუზ ჩაჳცომ, ჩოფუზისიც ერ წინა კალთაჲ დგას, ერთიც უკანა კალთაჲ. კაცს იჭერენ აჲქავ, ებნევიან: ჩაჲც სხო რაჲმიც, ფაჰჩასთან მიგყონავთავ. კაც ებნევ: მე რაჲც დედაჲთი გაჩენუვარ, ემიგნი სხო ჰეჩრამ არ დაჩინახიავ. — შენ ნიფხავ, პერანგ, ფაფაყ სა არისავ? კაც კიდემ ებნევ: თქჳნ ვერ იგევთა. რუმ მე ეეჩმეტ სხო რამ ვერ დამინახიავ?

ვეზირ-ვექილევს ჩარაჲ უწყდევაყ, აჰყონენ, მიჰყონენ ამ კაცს ფაჰჩასთან. ფაჰჩაჲ მიჰყონავს თავი შჳლთან, შჳლს ებნევ: შჳლო, ხედავა, დჳნჳაზე ‘ათაარ ინსნევ არიანა? ესენ თუ თავი ყისმათიგნი რაზიჲნი. ჰეჩრამს არ დერდოვენ, ღმერთზე ფიქიროვენ, შენ ემ იხტიარში რაჲბე ფიქიროვა, რუმ ჩაზერდიანევულ ავად ხარ.

ფაჰჩაჲ ემ ჟულაბზე გადაჲ დაა კაჲ კეჰტევ. ამ დღეჲთი წყჳტავს, რუმ ის ავად არა, თავი თავს ჰამმეშა კაჲ თლუს. ამ ჩიფლაყსაც ბეჳრ ყიზილ-მიზილს აზლევენ, ფაჰჩაჲ ჰამმეშა არ ივიწყევს ყოფილ.

## 50

ერ მამაჲ და ერ შჳლ ყოფილან ერ დროზე. მამაჲ სახლევ დანადგამ უსტაჲ ყოჳილ. შჳლსაც თავი სანაათს ასწავლევს. ერ დროზე ე შჳლ ოც, ოციდახუთ წლის კეჰტევ, ჰენი დეკაც მააყონელ დროჲ მოოდის. აგრ-იგრ, მამაჲ სოფლით ამიბე ერ კაჲ ქალ თხოჳლოვს.

ერ დროზე შჳლჳ და მამაჲ სხო ფაჰჩაალუღში სამუშავნელა მოდიან. ერ ფაჰჩასთან სახლევ დგამენ ყოფილ. ფაჰჩაჲ ხედავს, რუმ თავისებრა ზორ სახლევ ჰეჩმინამს არ აქ. თავი ფახილოვაჲთი, ჰენი ამ კაცევმა სხჳბეთაც ნუ დადგანავ, ამ კაცევი თავ დააკოცელ ფიქირში მოდის. აშკარა ებნევაყ: ამ სახლევ დახწევითავ, თქჳნ თავ დააკოცევარავ. უსტაჲ ებნევ: ‘აჲც გინდ ქენ, გინდ დოგკოც, გინდ ნუ, ჩონ ფინ საქმეს კი ვერ გავაქითევთავ. სახლის ერ სუვალ დარჩომაში უსტაჲ ებნევის: ფაჰჩა, ჩონ სუვალ საქნელ მალაევ შინ დოგჩომიავ.` ფაჰჩაჲ ებნევ: ‘აქთონიც გინდ ბაანაჲ, შაანაჲ ჰქნო, შენ თავ შინ განაშომ არ ვარ, მალაევ მააღეველა სხო ინსანს გაჳზგავნითავ.

მართლააც იჰერენ ერ კაცს, ზგავნიან ამ უსტაჲ მალაევ მააღეველა. ფაჰჩაჲ ებნევ უსტას: შინ ისმარიშ ნუმ არ გაქავ? უსტაჲ ებნევ: რუგო არა? წანასულ კაცსაბარევს: ჩემ ზალს უთხარ, ჩონ ჸზჸში ნაქნარ მამალ ყაზ ქოხში ჩააგდას, თჳლქჳ-მჳლქჳმ არ ჰამასავ.

ე კაც მოდის, უსტაჲ კარს ჰკრავს, წინ ზალ გომოდის, კაცს ჰკითხავს: რა დერდ გაქავ? შინ შომოდ. კაც ებნევ: სალოლ, მე არ მოჳდივარ, შენ მამამთილი მალაევიბე მოსუვარ, მემეცივ.

— დიალ კაჲ, ამმა მამამთილიგნი ერ ისმარიშ უქნელა, როგო უშ მოქცეა?

— რუგო არა, ისმარიშ უქნი, მამალ ყაზ ქოხში ჩააგდივ, უთქომ.

ამი გაგევითავ ზალ თავშივარდევ, კაცს უჰირევს თავს: ნააჲაბ შინ არ შომოდიხარ, ჩარაჲ არა, გარაქ შენ ჩონსა ყონალა მოსჳდეავ. მამამთილთან მე შენ პირ ცარიალ ვერ დაგაბრუნევ, სჳრცჳლჳ. კაცსაც ჩარაჲ უწყდევ, შადის შინ. ზალ რამ-მამი გაქითევი ბაანაჲთი კარში გადის, კარევს ყუფული ჰკლეტავს, არხაჲნა ჟდევ. ერ დღე ჸლჸდჸვ ფაჰჩაჲ, ორ დღე, ერ კჳრჳაჲც, მალაევიბე წანასულ კაც აღარ მოდის. ფაჰჩაჲ ერ კაცს აჰყონავს, მალაევიბე თუთან მოდის. ფაჰჩაჲ ებნევ უსტას: ისმარიშ ნუმ არ გაქავ? უსტაჲ ებნევ: ჰოჳ ზალას უთხარ, ვიც ყაზ ქოხშიდა, ჩონ პატრა მამალიც და დიდ მამალიკ ქოხში ჩააგდას, ჩონ მოსლინჲახ ტურ-მურამ არ შჰამასავ. ფაჰჩაჲ მოდის, კარ ჰკრავს, გომოდის წინ ზალ. ფაჰჩას მოსლაჲ ხაბარს ჰკითხავს, ფაჰჩაჲც ელაპარიკევის, ჰემაც ებნევის უსტაჲ გამნაზგავნ ისმარიშს. ზალ ამასაც თავში ვარდევის, ფაჰჩას ეხჸწჸვ: დიდ თავაჰყაჲ გექცევ, ჩონსა ერ იგრევაც იყო ცხენი ჩომოჲ, რუმ მამამთილ ნუ გამიჲავრდეს, თუ არ ჩჸმჸხჸლ, ვიც,

ჩემ თავ შინაჭროვაჲთი გასაკვდეველი. ფაჰჩასაც ეცოდიევის ე ზალ, ერ ცოტა ხნიბე ამათა ყონალა შადის. ზალიც აგრ-იგრ შტერდევ, ბითაჰდინ რამ მამ მოაქავ, კარში გადის, კარევს გარეთიანი რაზავს. ელოდევიან ფაჰჩას, ამმა ფაჰჩაჲ სადამ-მადამში არა. უსტაჲ ებნევ: აჲქში, მე ექწორ სახლევ დაგიდგიყ, არ გოდოჲხორწ, ერ მალაევ მააღეველა გოდოჲხორწევი? წაჟდე, მალაევ მოჲდო, კიდემ რაჲც გინდ მიყავითავ. ესენიც მასლაათ ჩედიან, უსტას უშმენ შინ. უსტაჲ შჟლ ყარიშულლ მოდის შინ, ზალს ჰკითხავს: ყაზი და მამლევ ჩაგიყრიავ? ზალიც ამბოვს: ჰაზირი, რახანც გინდ, დაჰკალივ. უსტაჲ შოშკას იზროვს, შადის ფაჰჩასთან, ებნევ: შენ სულ ეხლა მის კელშიდაავ? ფაჰჩაჲ ებნევ: ეს შენ საქმეჲ არ ეყო, შენ იმ ზალი თავ დაჲფიც, თუ ის არ ქნილიყოს, იმი ადგილზე სხო ინსან გაქონდეს ზალა, შენიც, შენ შჟლჟ ზოლევიც ემ დრომდინ აღარ იქნეოდავ. ჰალალი ჩემ სისხლ შენ ზალიბე, ჰაჲც გინ მიყავივ. უსტაჲ აღარ ჰკლავს ფაჰჩას, უშომს.

## 51

ჩონ ეეჲლ ქალევ ყარაჲაზზე რაქთრნ ღანზილ მოჰტანთყ, რუმ შიჰმელ, შიჰმელი, გააყიდელაც ჩევაყ. ამმა ჰენგილაევევი ქალევ ჰარ ყარაჲაზზე თუ არ წოჟდნენ, დჟნჟა ქრ არ დადგევიანყ. ჰამმეშა მიდიანყ, ჰკრეფენყ, მოჰტანენყ, ჰყიდიანყ.

ზაფხული დიალ ბეჟრ მუშუოვთყ, ზამთრიჲბე ოგრჟევთყ, ჟგრვთყ, კედე ზამთრი შჰომთყ, ფაჲზზე საქმე-ყოფაჲ არ კეჰტევაყ, ემ დროზე ქორწილევ კეჰტევაყ; აჲმაზე, რუმ იმაშინ ჰოლ დროჲს, უგემაზედაც ქალევ უგემაშინ თხოვდევიანყ. ჰენგილაევემა სხოჲურ ქორწილ იციანყ. ქორწილი წინა ღამი ნემზანაგეჲ კეჰლევაყ. მრრრე დღე ქორწილ იწყრვაყ. ქალ ჩომოფხუტულ კეჰტევაყ. ქალ გათხჟევას უკან ერ კჟრჟა ჩონოფხუტულ კეჰტევაყ. ერ კჟრჟა გასჟლას უკან მამამთილს ფეყევ რამ ბანავსყ ღამი, კედე ორ კჟრჟას უკან ორღბე რამში გომოდისყ.

## 52

ერ ზამანაზე ერ კაცი და დეკაც ეყნრნ. ემ დეკაციბე ყმაწჟლ არ კეჰტეოდა. ე დეკაც ერ დღე თავი მრზრბლისა წაჟდა, უთხრა: შენ ექთონ ყმაწჟლევ გაქ. ჩემბე 'აბე არ კეჰტევისა? უგემ მრზრბლი დეკაცმა დაასწავლა: ერ ბაკან ფრტ აჲტან, თავ ქრ დედევ, შენბე ყმაწჟლ საქნელიავ,

აჲ დეკაც შინ წოჟდა, დაღამდა, ერ ბაკან ფრტ ჩაყრა, თავთან დადო.

დილლაზე გმაჲღჟზა, დაჲნახა შინაჭროვაჲ ყმაწჟლევი გაჰედულ; ე დეკაც ადგა, ყმაწჟლევ დეედივნენ. ერთ პურ ჰთხოვს, ერთ წყალ ჰთხოვს. ჰეემაგ დეკაც ეჲზან შაბეზდა. დეკაც გაჲავრდა: ამან 'ოგო ჟეფაჲ ყო-

ფილა ყმაწუ̈ლევი ქნაჲც. არ მინ, ყმაწუ̈ლევი შანახაჲ ჩემ საქმეჲ არა, ʻოჳო ქეფაჲ ყოფილა ყმაწუ̈ლევ შანახაჲ.

ახლა წაუ̈და ეჲზან სხო მო̈ზო̈ბლისა, უთხრა: ჩემ ყაწუ̈ლევ ʻათაარ დოჭკოცოა, თავ გამჭირევი. უგე მო̈ზო̈ბლი დეკაცმა დაასწავლა, რუმ დილლითავ ადე, ცოცხი გააგავ, ბუ̈თ̣უ̈მ დააკოცელი. უგემ დეკაცმა უთხრა: შენ ეემაგ დაგიკოციია, მე უმ მასწავლევა? მო̈ზო̈ბლი დეკაცმა უთხრა: მე კი აჲრიმი, მეც ეემაგ არ მიქნია?

კედე დეკაც წაუ̈და შინ, ერ დიდ ჟაგ მაასწრო, ერ რამ ვუ̈ს, ერ რამ გუ̈ს, შინავროვაჲ, მიწაჲ რამ ეჲზან ომოთხარა, ომოყრა. ემ ჩაგუ̈აში ერ ფოტ იშკაპში ვარდევ. ე დეკაც ნაგავ რამ ჰყრის, შინ შომოდის.

ერ დროჲ კეჭტევ, კაციბე ხორაგ რამ წაალეველ კეჭტევ. დეკაცს ეჟაფიევის, ამბოვს: მეამ მოჭკდო̈ვ, აზრიბე ჩოუ̈გავი? ერ ყმაწუ̈ლ ჩემ კაციბე ხორაგს წაჲღევდა, ʻაბე დოჭკოცი?

პატა ხანს უკან ყმაწუ̈ლმა იშკაფი შიგაჲთი იყუ̈რა: დედა, მე ექ ვარავ. — უუ, ჟან შუ̈ლო, შენ ʻოგო დარჩმიხარა? გომოჲ, ალა, გომოჲ, მამაჲბე ხორაგ წაჲღ. შუ̈ლ გგმოუ̈და. დედამ ბოხჩაჲ ჩაალაგა, შუ̈ლთან მამაიბე გაზგავნა. შუ̈ლმა მამასთან გოუ̈წივა, მამას წინ დოუ̈დო, ესიც შჭამს ხორაგს. გადაჲ ხურმაზე გაუ̈და. ერ დროზე ერ დევ მოუ̈და. უთხრა: აჲ გადა, ჩემ მო̈ზო̈ბლ არ ხარა, ჩემბე ერ დიდ ბუთალ ხურმაჲ ჩგ̃მააგდ. გადამ ერ ბუთალ ჩგმააგდა, დევმა არ მაჲწონა, თქო: ʻაშგ მინდა მიწაზე ჩამნაგდევ რამ, კელი მემეც. გადამ მოკეჩა ერ დიდ ბუთალ, კელში მიჰცა. ემამ დაჲთრივა გადაჲ თავ, მეშუკში ჩააგდა, ყბაჲ მოჭკრა, თუთან პიწწა იქითყენ წაუ̈და. ერ დროს უკან მოუ̈და. მეშუკ წმაჲკიდა, შინაყ წაუ̈და. შინ გოუ̈წივა, შორსაჲთიავ (დარვოზაჲთიავ) იყურა: ქალეო, წყალ შადგით. ინსან მოჰყუნავავ. ერ დროზე მაჲღა, მეშუკ დააგდა: დააკუწელ დროზე მეშუკ გასხნეს, ხედენ, შიგ ნაფოტევ არის, გადაჲ გადახორწნილ.

ერ დროჲ კეჭტევ, დევ მიდის გადაჲ თავ დანაჭერ ადგილში. გადი თავ იჭერავს, მოჰყონავს შინ: ქალეო, ეეხლა კი აადუღით წყალ, გადაჲ თავ მომიყუნი. ერ დროჲ კეჭტევ, სხნიან ქალევ მეშუკს, ხედენ რაჲ? ბუ̈თ̣უ̈მ ქუ̈ევი შიგ, გადაჲ არა. დევ გაჟავრდა. თქო: ეეხლა კი თუ არ მოჲყუნ, იმი კორც თუ არ შჭომ, დუ̈ნუ̈აში ვერ გოუ̈ზლევ. დევ კედემ იჭერავს, მიჰყუნავს დუ̈ზ შინ, აგდევს. ქალევს ებნევაყ: ეეხლა კი მართლანდანაც მამიყუნი. ქალევ ჰიგინ-ჰიგინა წყალდგმენ. წყალ აადუღეველ დროზე დევ საქმეზე მივ.

გადაჲ იჭერავსყ ქალევს თიჰ-თითო ქობში ჰყრისყ. აქითევს ქალევიგნი დევიბე ჰევანნულს. დევ მოდის, ხედავს, დიდ მეჟმა კორც არის. დევ ლამაზა შჭამს, ამბოვს: რა გემრიალ კორც აქა ემ გადას. გადაჲ კი ჰევაშა საკნი შიგაჲთი ზრო̈ვ, წიპლანკ ხანჟალს ტამარში უსომს, დევ აჲქავ იქცევ. ე გადაჲ ჰიგინა-ჰიგინა მივ მამასთან, ებნევის: აჲმაგ, აჲმაგ,

ჰქო̈ნ, მოღაჲ. ლამაზა უ̈ცხოვროთ დევი სახში, დევი შინაუ̈როვაში. ე გადაჲ დეკაცსაც პოუ̈ლოვს, ლამაზა გზას მიდიან, თავიანთუნ ცხოვრო ვენ. ისენ იქ დარჩნენ, ჩონც ექ.

53

ჰენგილავევი ადათი, ერ ინსან ავად თუ გაკდა, იმას თუ ჰეჩსაჲთ ჩარაჲ არ ექონა. დოხტური წამალმა არ დაჲჰირა, ავატყოფი პატრონევ მასლაათოვენ, ერთმერთს ებნევიან: — ჩონ ავატყოფ იქნევ დაკრულ. სადამ გაწყრომილოვაჲ აქავ. ამიბე მალაჟას ახევენ. თუ იქნა, 'შუ̈დ წლი ქალს მოჰყონნენ, აჲმიბე, რუმ ყმაწუ̈ლ თაჲფაჲ ანგელოზიავ. თუ ყმაწუ̈ლ თაჲფაჲ არ იქნა, ბერ დეკაცმა გარაქ დაახივას მალაჟაჲ. მალაჟაჲ დახევაჲბე საჰიროჲს ერ ჟამ წყალ. წყალს ჟამ ყარიშულღ დო̈ვენ, მააქო̈ნ ჩალაჲ მასრაევს. მასრაზე ახევენ ბამბას. ბამბაჲ ორნიმ წო̈რევ გარაქ ბარაბარ იქნეს. სიპტანდელ დახიულ მასრაჲ ღმერთი სახელზე კეჰტევ. მევლანდელ მასრაჲ. სხო სალოცავი სახელზე, 'ემენზეაც შაქს მააქო̈ნ

დანახევ მასრაევზე ზედაჲთი ხურენ ბოშყავს. ცოტა ხანს უკან ბოშყავს კდიან, სიპტა იწყოვენ ღმერთი სახელზე დანახევ მასრაჲ გასხნას. გასხნაში თუ ბამბაჲ დიეხწივა ჩალაჲ მასრას, აჲმაშინ ამბოვეყნ, რუმ ამას ღმერთ გაჰწყრომიავ. იმას პირდევიან სიპტა მამალ ვარიაჲთი, წითელ ხონჩაჲთი, საკმელ სანთლით. უკანაყ ახევენ, დო̈ვენ ადგილზე. მევლან იწყოვენ მეო̈რე მასრაჲ გასხნას. მასრაჲ თუ არ დახწევნი ბამბაჲგნი, იმაშინ ამბოვენყ. რუმ ეს არ გაჰწყრომიავ.

იწყოვენ აალა მესამე, მეოთხეს და ეემაგრ სხნიან ბუ̈თუ̈მს. განაწყრომს პირდევიან, უკანაყ ახევენ, არ განაწყრომსაც სხნიან, იმასაც იმჟურაჲთიავ ახევენ. დახევაჲ სამდეფა გარაქ იქნეს. დაპირევაჲც სიპტა ცოტაჲთი იწყოვენ, მევლან დიდზე უწევენ.

სამხტოჲ მარტო ქათამით ვარიაჲ იქნევ, ცხოველ თაჲფაჲთ კი დედალ რამ არ იქნევაყ. სამხტოჲ გარაქ დანაპირევ დროჲ ვაადაზე დაჲ, კლას, თუ არ დაჲკლა, დანაპირევ მევალეჲ ჩევ, დაჲდა მაგრა ავად კდევის.

ჩონ ჰენგილავევს გოქ დააპირეველ ადგილევ: ღმერთ, დიდ საყტარ, კასრი საყტარ, ხუციან ოჟალ, ქიტიან ოჟალ, ბარბაროჲ, კუ̈რუ̈ ზალ და სხო ადგილევ.

54

ილ იმ ზაფხულის ჰოქუმათმა მოგთხოვა მეთოფეები, რომ წავიდენ:— დეჰაყს იყნეს ჲალიები ერთ ყალაჩი, დომაბის ყალაჩი. შავაყენეთ სამოცდაათი მეთოფე. ჩემთინაც ავიყუანე ერთ ცხენიანი და წაველით. ერთიც ყოჰი წოჳყვანე ჰოქუმათს (ცხოვრობდა დარანჩი: დარანი გუბერნატორის ადგილია შუაფერეჲდანჩი). ისი, რო იმან მოგცეს ერთი რამე... ჩონ იქა ეგეთი ყანონი არი: მეთოფე ჩონყე; პური და ფული ჩონყე... საჩოქჳარი წოჳყვანეთ და წაველით. წაველით დარანს. შეველ ჰექიმთან: ძრიალ გოუხარდა. მკითხა: ის სხო ხანები, ორნი არ მოიდესო? უთხარ, რო ხიალჰი იყნეს, მოიდენ, მასცდებიან თა დილამდი. მკითხა, რაქთენი მეთოფე გყავ, რო ჯარი იყოს. უთხარ, სამოცდაათი. ძრიალ კი გოჳხარდა. თითან ჰყვანდა ჯარი ცხენოსანი — ორმოცი. ღამით შემინახა ყონაღად. შავკერეთ გაფი. რო დილობას მეთოფე მალე გავგზავნო, ჩემთინაც მოიდე ჰაქიმთან, ჩაი დავლივოთ და წავიდეთ; შუა-ღამ აჳდექ. აველ ჩონ მანზილზე; მეთოფეებს მივაბარეყე: მზე რო ჲკრავს, უნდა შაქუჩებული იყნეთ, რო წავიდეთ. ჩემს კაცს უთხარ: ცხენებს ღამით ნამა უყურე; ხოდა თა დილობამდი. დილობის ადრე აჳდექ; მეთოფეები დაქუჩებულიყნეს ჩემ მანზილზე. უთხარყე: თქენ დიარეთ და ჩონც მოგეწევითყე. წავიდეს, მივაბარეყე, რომ გზაჩი არმის არ გედეეკიდნეთ, დაალონოთ; ჩემ კაცს უთხარ: მე წავალ ჰაქიმის მანზილზე, შენა ცხენები შაკმაზე და მაიყვაყე. ჩაველ ჰაქიმთან ჩაი დავლივეთ. იმათაც ცხენები შეეკმაზაყე. ავდეგით და შავსხედით და წაველით. ერთი დიდი სივაკე (იყო), იქ ჰაქიმმა მითხრა, რო შიქალი ვქნათო. ცხენიანი გაიშალა სივაკეზე. მე და თითან და ორი ცხო მივახლოვდით მთებთან. წამოხტეს ჯეირნები, წომოუდეგითყე, დავაყარეთყე, ორი მოვკალით. ისეები დააკრეს თარგზე და წაველით; ყელი იყო, გადაველით. წყალი მოგწყურდა ძრიალ. ჰოქუმათმა. — რო ამირი აქრამი ერქო. — მითხრა რო, წამამყეო. წყალი მოვნახოთ და დავლივოთო. წაველით, ერთი ჩუყურჩი მივადეგით: წყალი იდგა და აშხლიანი იყო; ბასქი გწყუროდა: ქუდი ამუავსეთ და დასმალი გადავაფარეთ და დავლივეთ, და შავსხედით და წაველით. მზე ჩასლივ მიველით იმ ყალას ფეკზე, შემოჳდექით, დავიჰირეთყე ჲალიები, თხუთმეტნი იქნეს: ღამით ყალა მამაბარა მე და ჩონი მეთოფეებს; ორი დღეს დავდექით იქა; ძრიალ შიმშილობა იყო; ი სოფლის ხალღი, რო შახიდიყე სახლებჩი, ეყარნიანყე: შიმშილით გაწყეტილიყნეს. პური არა

ვარდებოდა ჩონი მეთოფეებისათი, ცხორები რო წოგორთო ჲალიებისათი. უთხარყე და ისეები დაკლიან და ჭამდეს. ჭორცზე ატარეს ორ-სამ დღეს. იმაშინ ავიყჷანეთყე და წამუელით დარანს; რაცლა რო ჰქონდაყე ჲალიებს. ისიც ჰაქიმმა მაიტანა; მეორე დღეს უთხარ, მურახასობა გამუართით და წაველით მარტყოფჳი. დღეს დავაკმარეთ.

55

იმ წელს ელა, ზამთარი რო მოიდა, ოცი დღე გოქონდა ნაჷრუზობამდი (ცაველი ზაფხულია: ზამთარი რო ათავდების ახირ ჩაღა ღამე გადავა ზაფხულჩი, ნაჷრუზს დაჷძახით!), რო ჰუქუმათსაყე ისპანისაყე ქალაზი მოგუვიდა, რო ათი ცხენიანი და ოცდაათი მეთოფე აიყვათო და ნამა თოფებით მოდითო. შემევეყარენით. დავაწყევით, რო მე და ასადოლა ხანი წავიდეთ. ცხენები გამოიყჷანეთ, სოფლის ქუჩებზე გამუახაწეთყე; თოვლი ბეჷრი იყო მინდორჩი; შიდ-რუა დღეს უკან ავიყჷანეთ ათი ცხენიანი, თითოშ ხუთი, და ოცდაათიც მეთოფე და წაველით. შეტობა ცხენები თოვლზე გავიზიდეთყე ორ დღეს; წაველით დარანს. იქ ჰოქუმათ-ნეშინი აოი ფერეჲდანისა; ჰუქუმათმა გუთხრა, რო ორ-სამ დღეა დადეგით, რო ცხენიანი ფერეჲდანსაყენაც მუა, შემეეყარეთ და წადით. რეზა ხანს ფირანი დოუჰერიაო; ხალღს ტიტლისო და ცორცავსო. ისპანის ჰუქუმათს თეჲრანსაყე უკისრია (კისერზე აულიაო!), რო დაიჭიროს. ჩონც დავდეგით, თა ნაჷრუზობამდი; ნაჷრუზ დღეს შემევეყარენით ფერეჲდანსაყე სამოცი ცხენიანი და წაველით. მეორე დღეს მოველით ორდუჳი. ორდუს უფროსებმა გოგზავნეს ერთ სოფელჩი, რო იქით როსაცლა შუღლი შაიქნების, წავიდეთ წინ, შიდ-რუა დღეს იქ დავდეკით და სანგარები ვსაზღრეთ. ქაღაზი მოგუვიდა, რო თქენ ქართველებმა თქენი ცხენიანი აიყვათ და წადით ჰასან-აბადში: — ყალა იყო. ჩონ ქართველები ვიყნევით ზემოთ მარტყოფსაყე და ქომოთ მარტყოფსაყე თრამეტი ცხენიანი. ხუთ-ექსიც ფერეჲდნელი ჩონთან იყო და წავიყვანეთყე. წაველით, მომოჷდეგით იმ ყალას, ჰასან-აბადის ყალას. კარი დაკლიტეს. თურმე იქ არი იმ რეზა-ხანის დედა და დედაკაცი. ბურჯებჩი ავიდეს მეთოფეები იმითი. რაც რო შავკივლეთყე: კარი გააღეთო, არ გუღებდეს. მე დაჷდექ დარვაზას უკან, სამ-ოთხიც იქ დავაყენე ჩონყე, რო თუ არ გააღებთ მეთქი. ტყივაჲთ კარს დავხრეტთ, საკლიტურს და წამუალთ. ასადოლა-ხანი და ჩემი დისწული ალი-ალა ჩავიდეს. ქომოთყე, ყალას კედელზე ამოსეს ალი-ალა; იქით თოფი გოუსწორაყე, თუ არ გააღეთო, დაგწყეტეო. ანქით ამათა, ექითაც ჩონ შოუჰეხეთყე (var. შოუჰყავლეთყე, თორელ-ბოჲნჩი იტყიან: შოუტივეო); იმათ შეეშინდაყე და კარი გუგუღეს. შაველით. ჩემ კაცს უთხარ, რო ექაურ ქეთხუდა, მინაც რო არი, დაიჭირე და წაიყვათ თქენ მანზილზე. ჩონა ხანები შაველით, ერთ ნამაჲ ამარათჩი; ბეჷრი საქონელი იქ იყო; ორი კაცი რო თანა

-გყვანდა, უთხარითყე მე და ასადოლახანმა, რო, არამც ერთი რამე, რო ნახევ რიალზე ღირდეს, კელი წააწუდოთ და აიღოთ, სირცხილია ჩონთი. წამოიარეთ სახლები, დედაკაცები შექუჩებულიყნეს ერთ სახლჩი, ჩადრი შავები წემეესხაყე, მალევდეს რეზა-ხანის დედას და დედაკაცს. შოუტყევითყე, უთხარყე: ნუ გეშინიანყე, დედაკაცებთან საქმე არა გჳოქ. მაჩენეთ ის მეთოფეები, რო ბურჯებჩი ასულიყნეს; დადგეს ფიცილზე, რო ჩონ არ ვიცითო. მოჳნახეთყე მეთოფეები, ტანისამოსი გემეეცვალაყე; არცრა კი არა უყავითყე, თოფები წავართვითყე. სამი დღეს დავდეგით იმ ყალაჩი; სამ დღეს უკან სხო ცხენიანებიც მოიდეს და მავიქენით ოთხმოცნი; იქით წაველით სხო ყალასათი, ერქო ცაზიზ — ცაბადი: ჲალიებმა დოგოყარეს თოფები სანგარებსაყე: არ შევეპოვეთყე (var.: არ გავისარჯვეთყე); თურმე თოფის კმაზე რეზა-ხანმა გაიგო თირანსაყე, შასხდეს და გამოიდეს ჩონ წინ; ასი ცხენიანი მეტი გამოიდა. გაკეთდა შუღლი. ფერეჲდნელები გაიქცნეს; დავციკდით ოცი ცხენიანი: ჩონ ქართველები და ბაჲტაც ფერეჲდანის ქურთები. ძრიალ მაგარი შუღლი შაიქნა. ახლო დავირივენით, რო სივაკე იყო სუნივ („სუყელა“ დაჲწერე!). ცხენებით ვშუღლობდით. ათი თორმეტი ჩონყე, კაცმა და ცხენმა, ტყივა აიღო. ზოგი მოკდა, ზოგი გავიდა. იმითყენაც რაქთენი მოკდა — ცხენი და კაცი; და შაველით, ის ყალა დავიჭირეთ — ცაზიზ — ცაბადის ყალა. რაქთენ დღეს ამ ყალასაყე ცოტ-ცოტა შუღლი გოქონდა. იმ დღეს შუღლი კმა ჩავარდა ორდუჩი; იმ დღეს ქართველებმა ნამაჲ კმა ქნეს: ზოგი ორდუს ხალხს ეთქო, რო ქართველებს კარგა უშუღლიაყე და ვაჟკაცობა უქნიაყე და ზოგს ეთქო, რო: არა, ქურდებსაო... ის კმა მისწდა ისპაანსა: დიდი გუპინატერთან. ძრიალ გაჰხარებიყო. დეეწერა ქაღაზი ჩონთან: თქენყე მამნუნი ვარო; ხალათს მოგცემყეო; არცა კი აღარა ვნახეთ იმისყე, რაქთენ დღეს იმის უკან წაველით სხო სოფელჩი. ჩონი მეთოფეებიც შამოვჰყარეთ და წაველით; ახლო ერთი დიდი წისქჳილი იყო და ნამაჲ ბურჯი ჰქონდა. რაქთენი დღეს ჩონ გობარა იქაჳრობა. ხანდასხან შუღლი იყვისყე; რაქთენ დღეს უკან რეზა-ხანმა თავის ჯარი აიყუანა და ღამით მალვით გაიპარნეს, წავიდეს ყადრიჯანს, ისპაანთან ახლოლა იყო; დილობას რო გავიგეთ, დაქუჩდა ორდუ და მევედევნეთ ფეჲზე. საღომო დროს მოვაწყდით იმ სოფელჩი. დოგოყარეს თოფები; შუღლი გაკეთდა. ღამით დავცივდით მინდრად; არც პური გოქონდა, არც ჩაი; ცხენები შიჳრები იყნეს. სიცივეც ბეჳრი; დილობამდი ვიშუღლეთ და დილობას მაჲსცა წიმა; შავსხედით და წაველით ერთ სოფელჩი, ხურდა (ბატარებია!) სოფლები იყო. შემევერტყით ყადრიჯანს; რეზა-ხანის ჯარი იყო ათას სამასი; ორდუცა გუბენატერისა დაქუჩდა ხუთი ათასი; სადაც რო იფო საშიში იყო, ჩონ მიგზავნიდეს, ფულს კი ჩონ იფო ცოტას გოძლევდეს. მე ჩაველ ისპაან ქალაქჩი— გუბინატერთან. წაველ სანახველათ. მკითხა: თქენ რაქთენი ხართო, ქარ-

თველებიო. უთხარ: ათი ცხენიანი გ(ჳ)ყოვ მე და ასადოლა ხანს, ოცდაათიც მეთოფე-თქო: მამნუნი ვარო. თალაფას გავიყჳან თქენი ზაჰმათისაო. პატივი მცა. სადილზე დამტუმარა. მითხრა, რო ორ დღეს დადექ და ჩემთინაც მუალ ორდუჩიგაო. მე წაველ მანზილზე. ორ დღეს უკან წაველ; მითხრა, რო: გაგზაჳნე, ცხენი შაკმაზონ და მაიყჳანონ; სადილთ უკან შავსხდებით და წავალთ. გავგზაჳნე, ცხენი მამიყჳანეს; სადილთ უკან თითანაც შაჯდა და მინაცლა რო იქ იყო მოსხილო ხალღები, წამაჲ/ჰყვეს და წაველით, მზე ჩასლივ მიველით ფოლვარგანს; ის იქ თავითი, ჰუქუმათის შვილი და ძმისწული იქ იყნეს, რო ორდუს უფროსები იყნეს. ღამით დავდექ იქ. დილობას უთხარ: ჯირა მამეცით, რო წავიდე ჩონ ცხენიანებთან; მირზას დოუძახა და თქო, რო: ჰასაბი ქენ, რაქთენი შაიქნებისო; დაჲწერე სანდუხტართანაო; იმამაც ჰასაბი ქნა და, რაჲცღა რო შაიქნეოდა, დაჲწერა და მომცა, ავდექ ოთახსავე და ხოდაფეზ უთხარ და გამუელ, სანდუხტარს ფული გამუართი და შავჯდე და წაველ, იყო იქით ათი ვერსი, თა ჩონ ბიჭებაშდი. რო წაველ, გოჳხარდაყე: ნამაჲ სოფელი იყო, ცხენებსათი ნამაჲ ბალახი იყო, რო შაჳდარს დაჲძახიან.

რაქთენ დღეს იმ სოფელჩი დავდექით. ჩონ ფერეჲდნელნი. ერთი ღამეს რაქთენიმე ჲაღიებს დეებარაყე ჩონთან: გუნდა გამოიპაროთ და მოიდეთ თქენთანაო, თუ პირობას მოგცემთო. ჩონც პირობა გოუგზაჳნეთყე, რო თქენ წამოდით და ჩონც გემეგეშელებითყე. ერთ დღეს დურბინს უბემდით, დავინახეთ შიდ-რუ ანი — თავით სანგარს გამაჲ/სცილდეს. ბიჭებს უთხარითყე, რო უნდა ესენი იყნენ და მოდის(ჳ)ოდენ ჩონთან; რაქთენი გეეშელენითყე და ჯეჰთიათი გაქონდესყე, არამც ტყუოდენ. დავინახეთ, რო ანქით თოფები დააყარესყე; ბიჭებიც გაიქცნეს, გეეშელნესყე: ჯიმათ ცხენები კი დასცივდაყე ჲაღიებთან, თითან კი ორი ცხენით რჳანი მაჲ/სწდეს ჩონთან. ესენი დადგეს და ჩონთან სანგარებჩი; ჰოქუმათს დოუწერეთ, რო ეგრე, ქნდაო და პირობა მოგუცია ჩონ ჯემითი, შენც უნდა პირობა მისცეყე, რო გულით დადგენ. გავგზაჳნეთ ქაღაზი. დეეწერა, რო ნამაჲ საქმე გიქნიაყე და პირობაც მეეცა, რო მიპატივებია თქენთი ეგენი. ღამით ორი ესეები და ოთხი ჩონ გავგზაჳნითყე სანგარჩი, ქეშიყი გაჲზიდონ. (სადაც გავგზაჳნითყე, ორი იმითყე ვქნითყე და ოთხიც ჩონჯე: არ ვენდობოდით); არამც მოგოტყუვლონ, თა იქამდი, რო ერთ დღეს თითან ჰუქუმათი და გერენალი ანგელისებისა მოიდეს, რო მოსაზღრონ დიდი თოფებსათი ადგილი. ჩონც გავყევითყე მინდრათ, დანიშნეს ადგილები; ჰუქუმათმა გუთხრა, რო მომზადებული იყნევით ხუალ ღამისათი. დოგობრუნა და წაველით ჩონ ადგილებზე. ხუალ ღამე რო შაიქნა, კაცი მოგუგზაჳნეს, რო ცხენები სანგრებსაყე მიგზაჳნეთ სოფლებჩიგაო და თქენთი ხუთი საათი რო ღამესაყე გავაო, წამოდით ჲაღიებსათიო. ჩონც ცხენები ჩაჳგზაჳნეთ სოფელ-

ჩი, რო ადგილები გოქონდა. ხუთ საათი რო გავიდა, წაველით იმ სოფელსათი, რო ჲალიები შიგ იყნეს. იმათაც იცოდეს, რო იმ ღამით დევეცემითყე; რო მიჵახლოვდით, დოგოყარეს ხშირად ტყივა: ცაბაბახი დაჲ/სცხეს ჲალიებმა და ჩონც ძალა მივიტანეთ; შავცივდით სოფელჩი: მუგუკლეს ერთი ძრიალ მოშუღარი კაცი, — ფერეჲდნელი კაცი. ჩონც იქ ერთ ბაღი დავიჭირეთ და ვი'შუღლეთ და იქამდი, რო უნდოდა ინათოს; ჯერზე ათასი თოფის კმა მოიდისყე. შაჲ/სწყდა თოფის კმა ბაჲტა. ჩონ ვთქით, რო ბახტიარები მისხდომილან უკანაო (შამორტყომილნი ვიყნევით სოფელსა) და ვთქით, რო: გათენდების, ცოტათი ვართ ჩონა, შომოგორტყმიან, ცემ ბაღებს დაიჭერენ; არც იმდენი ფეშანგი გოქ, არც საჭმელი. ნამაჲა, რო მივსხდეთ ჩონც უკან, გამუელით, ჰის თოლები იყო; ჩავსხედით ჰის თოლებჩი, ზოგ-ზოგი კი გაიპარა, წავიდა, წინად სანგარები რო გოქონდა, სხო სოფელჩი და ცხენები რო (გ) ყვანდა, იქ. ჩონ მოიცადეთ თა მზემაჲკრა. ათორმეტნი ვიყნევით იმ ჰის თოლჩი. ერთხელა ვნახეთ, რო დიდი თოფისა კმა მოიდა: მივიხედეთ, ვნახეთ, რო ბოლი გაჲძაბა; კარგათ გუგუხარდა; თოფები დეებაყე იმ სოფელსათი, რო ჲალიები შიგ იყნეს, ორივ კარასაყე. ემ თოფებმა რო გაათავა, სხო თოფების კმა მოიდა, რო მივიხედეთ სოფელსაყე, გართი (=მტერი) ბოღანაღე ადიოდა, ჩონც სიხარულით წამოვცივდით, გავიქენით. შავცივდით სოფელჩი. ძრიალ წყეტა და ჟმეტა იდგა, ორი ჰარასაყე. თა სადილობამდი ვიშუღლეთ და დავიჭირეთყე ჲალიები. თითან რეზა-ხანი და რაქთენი სარ-ქერდა(ჰ)ი დილას ხანჩი გაპარებულიყნეს. მა'შინ რო შამოვყარეთყე ჲალიები ერთ სახლჩი, რომელსაცა ვჰკითხეთ რეზა-ხანიო, თქენი უფროსებიო, სად არიანო, თქეს, რო შუა. ღამის უკან აღარ გუნახავო; უნდა, რო გასულიყნენო. შაქუჩდეს, რაცლა რო ბახტიარების სარდარები იყნეს იჰ სოფელჩი, ოთხასი ცხენიანი მაადევნესყე გერივაც რეზა-ხანს; ჩონცა... რაცლა რო ჲალიები იყნეს. ორ დღეს უკან ზინჯირები დაადვესყე კისრებზე და დააყათრესყე გზაზე; რაცლა რო ნათირალები იყნეს, ისებიც შეყარეს ცხენებზე, მოედევნეთყე, ჩავრყჵანეთყე ისფან-ქალაქჩი. რამოდენი ხალღი მიეხჵა სასეილოდ. იქითაც რო ცხენიანი მეედევნა, წემეეწივნესყე მთებჩი. ორ-სამ დღეს უკან ჩონც გაველით. რო აველით ნაჯაფ-აბადს, დეეჭირაყე. მოჰყჵანდაყე. დავბრუნდით და ჩამოვყევითყე და ჩამოვედით ისფან-ქალაქჩი. სულა რო დავიჭირეთ, იმაშინ დადგა სარდარი-ჯანგმა იმების კოცვაზე. ერთ დღესა რუა მაიყჵანეს და დარზე აჲზიდნეს. პირჵელად შაჰ-ბაზ-ხანი აჲზიდე'ს დარზე; ქჵეყანაზე (var.: დუნჲაზე) იგეთი ვაჟკაცი არ იყო. იმაშინ ხალღმა თქო (ბახტიარებშა და სხო ხალღებმა), რო არ ვარგაო. რო ესეები დაიჭოცნენო; იყნენ ჯერაო დუსაღ-ხანაჩირ. იმის უკან ის კაცები აღარ მოკლაყე სარდარი-ჯანგმა. ხოდა, ჩონა რო იქთენი ზაჰმათი გოზიდნა, მეველოდებოდით, რო დიდ პატივი გცეს (=გვცეს); საღომის წაველ სარდარი-

ჯანგთან, უთხარ რო ჩონი თაქლიფი რა არი მეთქი. მე მეგონა, რო ისეები, რო დოგპირებია, აათავებს. მითხრა, რო ბევრი თქენი მამნუნი ვარო; თუ გინდა წასლაო სოფელჩიგაო, წადითო ღმერთის ომიდითაო, ემის უკანაო თალაფას გავიყჳანო. დაჳბრუნდი და წაველ მანზილზე. დილობის, რაცლა სასყიდი გოქონდა, ვიყიდეთ და შავსხედით ცხენებზე და წაველით ფერეჲდანსათი, რო გზას ხარჯიც აღარ მოგცა სარდარი-ჯანგმა.

ოთხი თე ნახევარს ორასი თუმანი ჩემი ჯიბესაყე ცხენიანისა და მეთოფესი დავხარჯე (ორნი ვიყნევით: ათი ცხენიანი გყჳანდა და ოცდაათი მეთოფე). წაველით მარტყოფჩი. ოთხი დღეს გზაზე ვიარეთ...

იმის უკან ელ ემ სარდარი-ჯანგმა თავის ძმისწული ამოგზაჳნა ფერეჲდანჩი — ჰუქუმათად. ისი რო ფერეჲდნელთა ციმ წელს ბეჳრი ღონები ყნეს: ცხენიანი და მეთოფეც მეეცაყე და პატივისცემა უნდოდაყე. იმის ავაზი იმ წელს ხალღი ითანალალა ჰოქუმათმა. მე რო წინათ წელსა სამოცდაათი მეთოფეთი ელ იმას წავყოლიყავ, ჲაღიები დოგოჰირა და მოგოყვანა დომაბისაყე (ყალა არი!). იმ წელსაც ოთხი თეს ცხენიანი და მეთოფეც იგდენი უღონებიყავ, რაქთენჯელაც დამპირებიყნეს ხალათსა და რას მოგცენთო, იმის მაგიერ ერთი ცხენი წამართო, რო სამის ორმოცდაათი თუმანი ფასი ჰქონდა. ქურთები, რო ბახტიარები იყნენ, ეგრე გოწუხებენ.

შინაც რო წაჲკითხავს, გული დეეწოს ჩონთი! ცხენის გარდაჲს ორი ათასი თუმანი ფულად გომოგორთო ილ იმ წელს მარტყოფსაყე და სიბაქსაყე და ჯაყჯაყსაყე. ერთი ათას თუმანიც ხარჯი გოგოზიდნა. ესე კი ათავდა!

## 56

იმ წელს მოიდალა ზამთარი და ზამთრის უკან, ზაფხულჩი ამოიდა ჰა/ექიმი ისფაანსაყე. დიდი ჰაქიმი ისფაანისა სარდარი-ჯანგი იყო. (თოვლის გაფი ვთქვი: თოვლი ჯერ არ ადგომილიყო ფერეჲდანს), რო მუგუთხოვა: მოდით, ვნახოთ ერთმანერთიო; ცმას ეძახოდეს, ნამაი ჰაქიმიაო. შავსხედით ცხენებზე და წაველით მე და მად-ყული-ხანი და ალამამად-ხანი. ორი ყოჩი წოუყჳანეთ და წაველით სანახჳელად; ვნახეთ, გომოგორთო ოთხას თუმანის ქალაზი; იმას დაჲძახიან თაყდიმი (მეტი ფულია, რო პირველ დათანალების ფეჲს ჩაგდება არი). იმის უკან ცოცოტად ბოჰნა მოგუგონა. იმის უკან ჩემი ამხანაგებმაც, რაც რო უთხარყე, არ დაიძრეს, რო წავიდეთ ისპან-ქალაქჩი ჲა წავიდეთ თეირანს, რო მოვსწყვიტოთ ემისი გული, რო აზრი ჰქონდა ფულის გამორთმას(ი). რაქთენ დღეს იმის უკან გუმუგუგზაჳნა შიდ-რუა ცხენიანი, რო ესე თქენი ნაებ-ელ-ჰუქუმა იყოსო. დოგოჯდა თავზე, დღეჩი გთხოვა რაქ-

თენი ხარჯი (ხარჯი ელა კმარა?!). ბენა ქნა ემისი და ამისი დაჰერასი და ღამით ღონებასი, რო კაცის თა დილობამდი ორმოცდაათ თუმანი ფული მოჰლათუნა, რო აღარ ჩოუ̂ყარონ ალეჲ თითებჩი (ფარსულად ეშქელაქს იტყიან). დილობის ჩონც დავქუჩდით და ისენი კი გავრეკეთყე, ის ცხენიანები სოფელსაყე. წავიდეს ჰაქიმთან; იმამაც მისწერა ისპანის ჰაქიმთან. იმან დოუწერა რო, ესეები (ქართველის ხანები) ჩამოიდენ ისფაანსა, თუ არა და რაქთენი ფული გამაართიყე. მე უთხარყე ამხანაგებს, რო წავიდეთ ისფაანჩიგა მეთ.ქი; თქეს: გოშინიანო, რო იქ მამშელებელი არა გყოვო და თითან დუგუჰიროსო, რო სარდარი-ჯანგი იყოს ბახტიარი იმ წელსა ილ იმ ჰუქუმათმა, — ერქო ქაფი-ელ-მამალიქი, — იმ ოთხას თუმნის გარდაის გოდოგოჴდეუ̂ნა, წოგორთო ათას ხუთას თუმანი გერივ. შამოდგომაჩიგაც მოიდა ორმოცდაათი ცხენიანით, ოთხი ღამესაც სტუმრადა გყუ̂ანდა და წავიდა: სამოცდაათ თუმანიც იმაშინაც გომოგორთო: იმას დაჲძახიან ფულეჲსოფრა. იმაშინაც გოწუხა ხარჯითა და გამორთმით და წავიდა. ჩონი ესეები — ერთი შაჲ რო კაპიკი იყოს, გადასაჴდელჩი არ არი, ისეები გადასაჴდელი გერივაც სხო გოქ, რო ჰქიან მალიათი, და სარბაზი. ჸემეების უფროსიც სხო-რი: ის უფროსებიც რო მოვლენ ემეებსათი, თავრობისაყე კი ნება არაყე, რო ხარჯი, რო საჰმელი და სხო და სხო იყოს, გომოგორთონ, ჸამმა გორთმენ, მეტსაც გორთმენ.

ჸიგეთ ადგილი გოქ ჩონ, ქართველებს.

57

იმის უკანა წელი, რო შარშა იყოს, ჯერ ზაფხულჩი არ გასულიყნევით (ჩონ). რო ჰაქიმი მოიდა დარანს. კაცი მოგზაუ̂ნა (თოვლი გერივ გოქონდა მიწაზე), დეეწერა, რო იმისი, რო გატყობინებყე რო მოსულვარ, სამოცდაათი თუმანი მიეცით ე მაგ კაცს. ორმოც თუმანი მერტყოფსაყე, ათ თუმანი სიბაქსაყე, ათ თუმანიც ჯაყჯაყსაყე, ათ თუმანიც ჩუყურეთსაყე (ნამა კი გაიგე, ეს რა ქნდა?!). მოუ̂კრიფეთ, მივეცით და წამოიდა. რაქთენ დღეს უკან გუმუგუგზაუ̂ნა ნაჲებ-ელ-ჰუქუმა შიდი-რუ̂ა ცხენიანით. გუთხრა რო, თქენ წადით სანახუ̂ელად ჰაქიმთან. ჩონ უთხარით, რო ეხლა რო შენ თავი გომოუ̂გზაუ̂ნია, ჩონ რაღა წას(უ)ლა გოქ. თქო რო, წადით, მიეცით თაყდიმი ათას თუმანი, ის დაჲწერს, რო მე ავდგე ექით. ჩონც შავსხედით ცხენებზე და წაველით მად-ყოლი-ხანი და ალა-მაჰმად-ხანი და მეც, რო სეჲფოლა ვარ; წაველით ჰაქიმთან. მოგუ̂თხოვა ათას თუმანი. ჩონ უთხარით: ან შენა და ან სოფელი: არ გოჰმოგცეთ, გუთხრა: ჰელნაწერი ქაღაზი მომეცითო, რო წელს არ გაიარნეთ იმ სოფელჩი. ორ დღეს-ისლა რო გუმუგუვიდა, თაჭრა ვქენით და ვიუბენით, თა ძლიუ̂ ჩამოიყუ̂ანეთ ექსას თუმანზე. ქაღალდი გუმუგურთო, რო ათი დღეზე მოუტანოთ და ჩონ შავსხედით, წაველით სო-

ფელჩი. ის ნაჲბ-ელ-ჰუქუმასაც არ ააყენა, რო დოუძახოს და წამოიდეს. დადგა იქა და ის ლა რო გომოჳიდა, ხალღი ჩუყ(უ)რეთსაყე და სიბაქსაყე იჰირა და ფული ართო. თოთხმეტი ასი, ათას ოთხას თუმანი (ისიც ითქმის! გამაართოყე; და რაქჳენ დღეს უკან ეს ჴმა ჩავარდა — ქართველებს ფული გამაერთმისყეო, უპატრონონიაო. გუბინატერმაც, რო ჰაქიმი იყოს, იმამაც ადგა (var.: ისიც ადგა!), აიყჳანა ორასი ცხენიან და მოდა მარტყოფჩი, დოგოცა თავზე. ორ დღეს უკან გამართა კაცების ჰერა. ხანები დუგუჰირა. ხუთას თუმანი გომოგორთო. ბეჳრიც გოღონა. სხჳებიც დაიჰირა, თითოს სამას თუმანი და ორას თუმნები გამოართოყე. ალეები ჩოჳყარიანყე იმ კაცებს, რო ჩონ გუგუგია, რო მოპარულ საქონელი (თ)ქენსა არიო. ტყუჳლად ემეებმა რაც იფიციანყე, რო ეგეთ ზადი, ეგეთ გაფი ჩონ არ გუგუგიაო, უთხრიანყე, ცოტა კი იყაბულეთო, რო აღარ გაღონოთო და თქვენი ჯორმი გავჰრათო (რო გაკეთვა იყოს). იმეებმაც თქიანყე, რო ნუღარ გოღონებთო, — ეს თქენა და ესეც ჩონ საქონელიო; რაც გინდაყე, გომოგორთითო. გამაართიანყე ქაღაზი, რო ხუთი დღემდი, თუ ეს სამას თუმანი არ მაჲეცო, ექთენი გერივ მოსაცემი იყოსო. იმ დაჳსილებმა რაღა თავზე მიწა იყარაყე. წივიდიან, რაცღა რო ჰქონდაყე, ცხორი, ხალიჩა, — ჲარები უღელსაყე გომოუშიანყე. გაყიდიანყე, ფული დააქუჩიან და მისციან. მამულები დააგირავიანყე (ბეჩი ჩააგდიანყე) და მისციან. ცხრა დღეს ემ ჰაქიმის ხარჯი ვეზიდეთ, ღღეჩი ორას თუმანი. იმის უკან, რო წავიდა, ჰასაბი ვქენით, ხუთი ათას თუმანი ფული წეელო ჩონყე, ორი ათას თუმანიც მეტი ხარჯი გოგოზიდნა. ჸის საყეენო მალიათი რო გოქ, ოთხას თუმანი ბაჲტა მეტია. იმის გარდაჲს სხო არ გორგების, რო მივცეთ; ეს ექთენი რო ჩამოვთოლე, სუ ძალით წართმეჳლია ნახევ წელხე... ხოდა, ჩონა და ჩონი რაჸიათები რაღა დავცივდებით, მუდამ წელებჩი რო ეგთენი გორთონ გერივაც. გერივაც ჩონ ქართველები ვიყნევით, რო ეს ცოტა მამულები შავინახეთ და ნახერაზედა ჯანი გუდგა. ეს კი ათავდა!

53

ზამთარჩი მოგთხოვეს ყაზახები (წინ სარ-ბაზს ვაჴმარებდით. ახლა ყაზახები) რო მოანზადეთო და ზაფხულჩი ამოვალთ, წავიყჳანოთო. ჩონც ნაჳრუზთ უკან შავსხედით ცხენებზედა. წავედით მოჸაზამ-ულ-მოლქთანა, რო წინა ებარა ჸიმასა ეს ყაზახი და სარბაზი და ჰუქომათიც იყო წლევანდელი. მად-ყული-ხანი იყო, ალა-მაჰმად-ხანი იყო, მე და ჩონი ნასროლა-ხანიც წამომყოლიყო მე. ჩაველით ჩადიგანს. ჸელ იმ ჰოქუმათის სახჩი. ორ სამ დღეს დავდეგით იქა, ნამაი პატივი გცა. გუნდოდა, რო ორნი დაჳბრუნდეთ სახსათი, ორნი მოიდეთ ისფაანს. მე მარტოკა... ხანები დაბრუნდეს სოფელსათი, მე და ნასროლა-ხანი და ქერბალა ასადოლა წაველით ისფაან ქალაქჩი. დავდეგით იქა, ოციოდ დღეზე მეტი

იყო, ერთ თეს. და წაველით სოფელსათი, გზაჩი გავიგე, შუა გზაჩი, რო თქენ ქართველებსაო და ბახტიარებსაო შუღლი აყე. ოუჩიქარავეთ წასლას, რო მალე მევესწრათ, პაჲტა, ერთ რაქთენი ფეშანგი მიგქონდა, რო მალე მივასწრათ შუღლს. ღამით მივედით მარტყოფჩი. ჩონ მეთოფე სუ, რაცლა იყო და ხანები, გარდასულიყნეს სიბაქს; თურმე იმისყე წინა დღეს შუღლი გაკეთებულა დადრიგაანს და ვარიბიდს (ჩონ მამულებია!), ჩონი მამულებჩიგა, რო ქურთებს ეწადაყე ძალით დაიჭირონ, ჩონ ქართველები გლეჯდეს ქამასა. ცოტანი იყნეს, თა ჯარი მეესწროყე სიბაქსაყე, და ბაჲტაც მარტყოფსაყე, რაცლა რო მინდორჩი ყოფილიყნეს; (მინაც მინდორჩი გავა და თოფ-იარაღი აქ, წაიღებს. ეგეთ ადგილები გოქ!). ცემ შუღლჩი ერთი ნამაჲ ვაჟკაცი მეეკლაყე ჩონთი, ორ სამსაც ტყივა ეელო, ჩონებსაც ერთი იმითი მეეკლაყე, ორ-სამი ტყივა ეკრაყე, ძალა მეეტანაყე იმით ჩადრებთან, ორი ჩობან ცხორი (ოთხასი იყო) წეერთოყე, წემეერეკაყე სოფელსათი, (რაქთენიც) თერთმეტი ბახტიარი დეეჭირაყე გზაჩი და წემეეყვანაყე. იმ დღეს ეკრე გეეარნა და მოიდეს სიბაქს. მეორე დღეს შაქუჩდა ჩონი მეთოფე სულ: სოფელ მარტყოფსაყე, ჯაყჯაყსაყე და ჩულურეთსაყე, დაქუჩდეს სიბაქს. იმათ, ბახტიარებს თას ფეჴები ეჭირაყე. ჩონ მეთოფეები წინა საღომის გასულიყნეს, ღელე-ღელე აჲპირებიყნესყე, თას წერები (კინწიხები), რაცლა რო იყო, შეეკრაყე (ცეცხლებია ჩონ ქართველები!). დილობა რო გათენებულიყო, ქურთებს რო მეეხედნაყე, თები სუ შაკრულია მეთოფეებით, ექითაც მეთოფე მიდის და ცხენიანი, აყრილიყნე'ა და გაქცე(ჷ̂)ლიყნეს. თავით მეთოფე დადგა შუღლსათი. ეხლა რო დააყარესყე, ისინიც გაიქც(ნ)ეს, თქეს: გუგუშით, გავიდეთო და თქენ მამულებჩი არც როს აღარ მოვალთო. თუ კი ციმ დღეს ქართველებს სჭადებიყოყე დაჴოცონ, ბეჴრს დაჲჴოცდეს. უკანსაყე გოშინოდაო, რო ციმებსა ჰყავყე დიდი პატრონები. ციმათ წავიდეს საჩივრათ თავით პატრონებთან, რო ილ-ხანი იყოს, ილ-ბეკი. იმათა დაჲწერეს ქაღაზი ჩონთან, რო ცხორები მიეცითყეო და ეგ დაჭერილები რო გყაჷ̂ყეო დუსაღჩიგა, ეგეებიც გოუშითყეო და ის, რო გოუვლია. აბა დასწერეთო ჩონთანაო, ცაბა რა ქნილ, როგორ ქნილაო... მოიდეს, ის წერილი...

რაქთენ დედაკაცებმა, ქურთების დედაკაცებმა ტალახები დაეცხოყე თავზე და მოიდეს მარტყოფჩი ცხორებსათი და კაცებსათი. ჩონც ის ცხორები და კაცები ვაბახშეთყე, ვაპატივეთყე, იმისთი რო იქა რასმი და ყანონი ის არი, რო დედაკაცი რო წავიდა, ტალახი დაიცხო, რაც რო იყოს, სისხლიცლა რო იყოს, აპატივებენ. მივეცითყე და დაჭერილებიც გოუშითყე. ჩონა კაცები გაჷ̂გზაუნეთ ჩაღახორჩი ილ-ხანისთან და ილბეგისთან, დავწერეთ, რო რაქთენი კაცი მოგზაჷ̂ნეთ და რესიდაგობა ქნან.

რაქთენ დღეს უკან ცათი ცხენიანი მოიდა. ციმაშინ ყაზალების წჴყ-

ვანასათიც მოსულიყნეს მარტყოფჩი და ყაზალებს ვაძლევდითყე თაურობასათი. ოცდათრამეტი მარტყოფსაყე ყაზალი ვიყნევით მისაცემნი. ხოდა... ის ქურთები ბაჲტანი დადგეს იქა, რო მარტყოფი და სიბაქი იყოს; ბაჲტანი გავიდეს ჸიმ ქურთებჩი, გერივაც მოსულიყნეს ჩონ მამულებჩი, ორ-სამ დღეს უკან რო გამოიდეს, ის მაჸმურები ქურთებსაყე ჩონ სოფელჩი, გუთხრეს, რო ათას ხუთას თუმანი მოგეცითო და ჸემეებს აუ̂ყრითყე და გაუ̂რეკთყე თქენ მამულებსაყე. ჩონ უთხარითყე, რო წელს ხუთი ათას თუმანი ზარარი მოგჳდომია ჸემითყე, ეხლაცა ექთენსა გთხოუ̂თ. ჩონ არ გუმუგუვა, რაქთენ საუბარის უკან დოგჯერდეს ათას თუმნად, რო ქალაზი მიუ̂ცეთყე და წავიდენ, ჩონი ყანები და დიკეები რო გეეძოვაყე ქურთებს, იმის თოლა გუმუგურთონ და ის ქურთებიც გარეკონყე და იმამინ მოიდენ, — მიუ̂ცეთყე ათას თუმანი; ესენი წავიდეს და ჸიმათთანა და დაბრუნდეს. გერივაც მოიდეს და ფული მოგთხოვეს. ჩონ ხალღმაც თქეს, რო როსაც ჩონ ზარარები გუმუგურთეს. (ი)მაშინ ფულს მიუ̂ცემთყე: თუ არა და, არ მიუ̂ცემთ. ჸემაზე ჩონ შუა, მაჸმურების შუა ჸაირივა გაფი. ჸიმათ გერივ გაგუ̂დეს და წავიდეს მალებჩი. იქით ქალაზი დასწერეს ილ-ხანისთან და ილ-ბეგისთან.

იმათაც გამოუგზაუ̂ნეს ორი თავითი შვილები რაქთენ ცხენიანით, რო წავიდენ ყაზალების წინა ალიგუდარს (დიდ სოფელია!) და მიაბარესყე, რო თუ ქართველებმა ეს ფული არ მისცესყეო ჩონ გაგზაუ̂ნილებს, — რო წინ გოგოუგზაუ̂ნია მაჸმურები ქართველებთან, — თქენ რო მიხოლთ საქართველოჩი, ჸუნდა გომოორთოთყე და მისცეთყე ჸემ ჩონ კაცებს ათასი თუმანი. ჸექითაც ჩონ ქართველები რაქთენ წერთეთრები მარტყოფსაყე წავიდეს დონბენიას (სოფელია ჶერეჲდანისა: თილიფანი იქ არი: იქით ლაპარაკს დაიწყობენ ისფან ქალაქჩი), რო თილიფანი ქნან ისჶაანს გუბინადერთანა და ალაჲუნებთან — რო ჰაჯი ალანუროლა იყოს და სხუ̂ებიც. ჸიმან მისწერა ჰუქუმათთან; ის ჰოქუმათი ელ ემ ბახტიარების უფროსების ბიძა იყო... დოუწერა რო: კაცი გაგზაუ̂ნე ქართველებთან და იმათაც დოუწერეყე, რო ნუ ალონებყე ქართველებს. ერთ ქალაზიც დოუწერაყე ილხანის და ილბეგის, — რო ბახტიარების თელი ჰოქუმათობა იმათ აყე: ის კაცი — და... ამოიდა ისჶაანსაყე მარტყოფჩი. ჩალახორსაყენაც მოიდეს ის ორი უფროსი სამასოთხას ცხენიანით, რო გადიარნენ და წავიდენ ალი გუდარს. დადგეს სიბაქს; ორი ღამეს ხუთას თუმანი მეტი სიბაქელთ ხარჯი გაჲზიდეს და ჸიქით წავიდეს ჩუ̂ყურეთსათი; ორ-სამი ცხენი სიბაქელთი წეეყუანაყე ქურთებს, რო ბონა ჸეეკიდაყე. და კაციც გემეეგზაუ̂ნაყე მარტყოფჩი ჩონთან რო: რასთიო არ გადმოხელით ჩონ სანახველად; შასხედით და მოდით ჩუღრუთსაო. ის კაცი რო მოიდა მარტყოფჩი, მე შავჯე ცხენზედა და ერთი ჩემ კაციც და წაველ ჩუღრუთს. იმ სხო ხანებმა, ჩონებმა თქეს. რო აბა შენ წადი. რო ვნახოთ, აზრი რა აყე. ორ საათი ღამე

გასულიყო, რო მიველ ჩუღრუთს; სახლები სუ სავსე იყო ცხენიანით, ალონებდესყე ბრინჯსათი, ყანდისათი; ჩამოვკდი და ჩემ სიძეს სახლჩი რო შაველ, ქურთები წინა ნაცნობები იყნეს, ამხანაგები. პაჲტას ხანს დავსხედით და ჩამამყვეს; ჩაველით უფროსებთან: ერთი სამსამოსელთენას (თელი ბახტიარის უფროსია) ბიჭი და ერთიცა ციმის ბიძაშვილი: მიველ, ჩადრჩი ისხდეს. ბევრი მდიდარე ხალღები თანა ჰყვანდაყე. პატივი მცეს, გოუხარდაყე. რომ წასულიყავ სანახუ̂ველად. სამსამოსელთენას ბიჭმა, რო ერქო ჩერაღ-ალი-ხანი,—ლაყაბი ჰქონდა სარდარე აშრაფი,—ესე გამიამხანაგდა, მითხრა. რო თფილისი არ გინახავსო? უთხარ: ცარა მეთქი. თქო, რო ორ წელ წინა ფარისსაყე მუელ თფილისჩიგა; ქართველებსავით ხალღიო ღმერთს არ გოუ̂ჩენიათ დახატულობითაო და ვაჟკაცობითაო; შენ რო მოგხედეო, მამაგონდა ის ქართველებიო. ავად გავკდიო, დიდი პატივი მცესო, დოქტორები დამაყენეს თავზეო, ჩემი ჯანი იყიდესო ქართველებმაო. იმის გარდაჲს ერთჯერაც მისულვარ თფილისჩიგაო, ფული ნაკლები მქონდაო, ფულიც მამცესო და ბეუ̂რი პატივიცა მცესო. ცემამ, სამჯელ ავდგიყე, რო წავიდე, დაუ̂წუ̂ე, არ გამიშისყე, რო: დაჯე, ვიიბნათო, რო აბა თქენ ქართველები როგო გამოსულხართო, მეც, ისღა, რო ვიცოდი, უ̂ამბე: ცემამ ცემ ქურთებთან იქთენი ქართველები აქო, რო მე იმ ხალღებთან აუ̂მაღლდი. ციფო მეტი ჩამივარდა გულჩი წამოსულა საქართველოსათი. დაწყობილი კი მქონდა და ცემის საუბრებმა იფო დამაჩიქარავა. იმ ღამესღა აუ̂დექ და წაველ, დაუ̂წევ; დილობას რო აუ̂დექ, კაცი ემეეგზაუ̂ნაყე ჩემთი. აუ̂დეგ და წაველ იმათთან. მითხრეს, რო ეს ათას თუმანი ქაღაზი რო მიგიციაყე, ცემ მაცმურებსათი, მაგე (მაჲცა და მაგე ერთია!) არ გინდაყე მისცეთყე; ის მაცმურებიც ილ იქ იყნეს. მე უთხარყე, რო როსაც ქართველების ზარარები გამაართესყე ამ სხო ქურთებს, იმაშინ მიუ̂ცემთყე. ცექ ჯარი (=ჯავრი) გომოგუვიდა. ბეუ̂რი ვიჯაუ̂რეთ ერთმანერთთან. ისენი ორმოცი ლაპარაკობდა ჩემთან; მე კი მარტო ვიყავ და ცერთი სიბაქელიც თანა მყვანდა. უთხრესყე, რო უფროსებმა ცხენები შაკმაზეთო და წავიდეთო, ციმაშინ მამაგონდა, ცხენები რო წეეყუ̂ანაყე სიბაქელთი. მოუ̂თხოვეყე; თქეს: წავიყუ̂ანთო და დავაბრუნებთო. უთხარყე. ელ ეხლა უნდა მაჲცეთ და გამუართიყე. შასხდეს ცხენებზეგა და ხოფ-ხოფზე დუგუგდეს და წავიდეს. მეც დაუ̂ბრუნდი და გარდმუელ მარტყოფში; ისენი რო წავიდეს, მეთოფე მაითხოვეს მალებსაყე, რო ქურთები იყნეს. ესეები მოიდიანყე პირველად ჯაყჯაყს, შიარ ქურთები, ღამით დადგიანყე იქა, დილობას ჩამოიდიანყე სიბაქს; მეორე ღამეს გ̂ადვიდიანყე ჩუღრეთს (var.: ჩუღრუთს)! ცემ სამი სოფელის შუა არი ათი ვერსი. ცემ ათი ვერსზე სამი სადილი და ვაკშამი ჭამიანყე და წავიდიანყე. რომელმაც რო ნამა ჯერ აჭამისყე, წავიდის, შასჩიუ̂ლის იმ ორი უფროსს, ციმათ გამოგზაუ̂ნიანყე ხუთი ცხენიანი მაცმურად, გადააკდევინიანყე ას თუმანი, დაბლა, მეტი.

რაქთენი დღეს უკან ჰამ სიღაქს, ჰამ ჩუღრუთს, ჰამ მარტყოფჩი მოგზაჟნეს სამ დასტა მაყმური; მე და ასადოლა-ხანი შავსხედით ცხენებზე და წაველით დარანს, ფერეჲდანის ჰაქიმთან და ყაზაყების უფროსთან. ყახალების უფროსი იყო ჲავარ-მამსადე-ხანი და ჰაჯი ასადოლა-ხანი. ციმათ უამბევითყე: ცეგრენ არი გაჟიო; რა ვქნათო? ციმათ პირობა მოგცეს. რო ნუ გეშინიანყეო, წადით, ჯავაბი ქენით და გარეკეთყეო, ცემ ცათას თუმანსაყენაო ერთ რიალსაც ნუ მისცემთო და გარეკენითყეო. ჩონც შავსხედით ცხენებზედა და დაჟბრუნდით მარტყოფსათი. მუელთ, მარტყოფჩი იყნეს, გაჟრეკეთყე, რო წავიდეს სიბაქს იმით ჯარი, მეთოფე მოდიოდა და შაინახეს და სიბაქი დაიჭირეს. სანგარები შაკრეს: მარტყოფსაყე სიბაქამდე არი შიდი-რუა ვერსი, თა შუაზე აქ. ჩონცა მეთოფეებს დოუჰეხეთყე, რო თოფ-იარაღი შამაიკარითო და დიათ, იმათ, მეთოფეებმა ავიდეს, ქუაყრილი (ქჟები ყრია ბეჟრი: ქუაყრილის დაჟძახით) შაკრეს, თას წერები, სარმალი (თა არი). ბაჲტას ხანს უკან ამბავი მუგუტანეს, რო თოფის კმა მოდიოდაო ბიჭებისაყე. შავსხედით მე და ასადოლა-ხანი: თითო ერთი ცხენიანით ცხენებზე და წაველით ჩონ მეთოფეებთან. მიველით ქუაყრილჩი. ბიჭებს ვკითხეთყე, რო თოფის კმა რა იყოო? თქეს, რო ხუთ-ექსი ცხენიანი ქურთებისა მოდიოდაო სანგარებსათიო, დავაყარეთყე და გოგოქცნესო, დავიჭირეთ ორი ქურთიო და თოფი და ცხენი წავართითო, გოხეწაო, რო მე გოთანდელი ვაროო, ქურთი არა ვაროო (გოთანდი ერთი დიდი სოფელია. შუშთართან არი, დიდი ხალღებია, კამეჩი, ძროხა ბევრი ყავყე, ვაჭრობა ბეჟრს იქმენ) ...ხოდა ის გუნდოდაო, რო ჩამოჟგზავნოთ სოფელჩიო... და შოგობრალაო, იტირაო და მივეცით გერივა... ის ორი რო გოგოქცნესო, სარდარი ჩარბორი იყო და ერთიც სხო თავითყეო... ჩონც ღამით დაჟდეგით დიზებჩი (დიზები ცარი ჩონი აჲლაღის სახლები და ალილები). მეთოფეებს დოჟკიჟლეთყე, რო იქ რაქთენი დადეგით სანგარებჩი და ის სხუები ჩამოდით ჩონთან. ჩამოიდეს ბიჭები ჩონთან. ღამით ძრიალ სიცივე იყო. კაცი ჩაჟგზაჟნეთ სიბაქს. რო აბა ის ქურთები აღონებენ ჩონ ქართველებს თუ ცარა? აბა ბეჟრნი არიან თუ ცოტა, რო ჩავიდეთ, დავიჭიროთყე. შუაღამ კაცი მუგუვიდა იქით სიბაქისაყე, რო ემითი დაჭერა ცასანდიაო. უკანსაყე გოშინიანო, ჩონ ქენარზეგა ვართო და მოგხედონო. ჩონც აღარ წაველით და დაჟდეგით ილ იქა დღისით. დილობას მივაბარეთყე და ჩონა შავსხედით, ჩამოჟელით სოფელჩი. მარტყოფჩი. მიველოდებოდით, კაცი გაგზაჟნული გცჟანდა ყაზაღებთან,— რო იყნეს დარანს, რო ციქით თავრობისაყე ერთი რაქთენი ყაზაყი ჰამდადად მუგუვიდეს, რო თუ შუღლი გაკეთდა და რაქთენი მოკდა, თავრობის ფეკი შუაჩი იყოს. ჩონ კაცი რო მოსულიყო იქით, ყაზაღებსაყე, ეთქოყე, ამაღამ მოჟლენ ყაზაღები თქენთანაო. იმ ღამითაც ველოდეთ, -რ გამოჩდეს. ხჟალე რო შაიქნა, შავსხედით ხანები სუნივ, ოცი ოცდა-

ხუთი წერთე თრები აჳიყვანეთყე და წავედით ყაზაღების უფროსთან. იავარი იყო. ცემას' უთხარით, რო ცექით პირობას გოძლევთ და ცექით კი არ გოშელებით და გუმტყუნდებით; ექსიდე დუშმანთან შოგჴიდეთ და არ ვიცით, ეხლა რა ვქნათ. თუკი დოჳლათი გოშელების და კელსა კიდებს, მუგუშელიავეთ ყაზაყი რაქთენი და ერთი რაქთენიც თოფ-იარაღი მოგეცით; თუ არც ერთს არ იქთ, მაშ ცეჯაზა მოგეცით, რო რაცლა უნდაყე. მივცეთყე და დავისხნათყე. გუთხრა რო: დღეს და ხუალ დადეგით (ჲანი გაჩერდით ექაო!), თილიფანი ვქნათო თქენა და მეცაო—ისფაანსაო, რო ფასუხი რა მუგუვა. ჩონც მუელით ჩონ მანზილზე. ლამით. მეორე ღამეს კაცი მუგუვიდა ჩონ სოფელსაყე, რო სიბაქს და ჯალჯაყს გამაართესყე შიდას თუმანი, და ბაჰადორრესელთენასა და სარდარე აშრაფს ერთ ქაღაზი გემეეგზაჳნა, რო ჲა ჰეზარ თუმანს (რო ათას თუმანი იყოს) მარტყოფსაც მაჲცემითო თუ არა და ათასი ცხენიანით მუალ, გავასწორებ თქენი სოფელსაო. გერივაც მიველით ციმ იავართან და უთხარით, რო ეგრენ არიო. ფიცხლავ ხუთი ცხენიანი ყაზაღი გაგზაჳნა ჩონ სოფელჩი. ისენი რო წასულიყნეს, ის ქურთები, იმ ჩონ ორი სამი სოფელსაყე წასულიყნეს თავით დიდებთან. მეორე დღეს ამბავი მოგუვიდა. იქ რო ვიყნევით, რო ქურთები ჯერ კი წავიდესო და აღარ ვიცით, როსლა დოგოცემიან ჯარით. ჩონც ექ დავაწყევით, ერთნი ჩამოიდეთ (წავიდეთ) ისპაანს და ის სხუები კი დაჳბრუნდეთ სოფელსათი, რო ვნახოთ რა ქნდების. მე წამუელ ისპაანს, სამ დღეზე ჩაველ ისპაანს (ოცდახუთი აღაჯია!). წაველ თავრობასთან. ორ-სამჯერ პირობა მამცეს, რო თუ შაიქნა რამე, მეგეშელებითყეო. ქაღაზი მისწერეს სარდარი აშჯაცთან (ესეც ლაყაბია). ჰოქუმათი იყო ისპაანისა (ორი სარდარები რო ვთქი, ცემათი ბიძა იყო!), რო რა უნდაყე ცე თქენი ბიჭებსაო ქართველებისაყეო, რო წელს გოსმისო, რო ზაფხულსაყე თა ექამდი აღონებენყე და ფულს ართმენყეო. იმასაც დეეწერა იმათზე ქაღაზი, რო მოშორდით ცემათყეო, ნუ აღონებთყე ქართველებსაო. ის ქაღაზი გაჳგზაჳნეთ ტილიფანით ფერეჲდანსათი. მეორე დღეს თილიფანის ფეკზე დამიძახეს: რო წაველ, იყო ჩემი ბიძას ბიჭი და თხუთმეტი სხო წერთეთრები; ჩონ ბიჭები რო მაჰყოლიყნეს იმასთან დონ-ბენიას... (ილ ის თილიფანი იქ არის: პირველი სოფელი ფერეჲდანისა, ისფაანსაყე რო მიდის, იქ არის); ჩემ ბიძას ბიჭმა დემეუბნა, რო რას იქ ე მანდაო, რო ბაჰადორრესელთენა ხუთასი ცხენიანითაო და რაქთენ მეთოფეეით ჩონ სოფლებჩი ცეცხლს ანთებს: ჩონ რა ვქნათო. მე ცუთხარ, რო: დადეგით, მაიცადეთ თა საღომის დასტურელ ამალს მოგცემყე. ძრიალ მეწყინა და აჳდექ, წაველ თავრობასთან: წევეშუღლეყე, რო თუ გინდოდაყე, რო ქურთებს გოგოთავებინოთ, მაშ გეთქოყე, თუ არა და ეს ქენ, ქაღაზის მიწერ-მოწერა ჩონთი არა არი რა. მითხრა, რო დოგოცალეო და ამაღამ ჩონთი მოილაპარაკებთო და დილობის, როგონაც გინდა, ვიქ-

თო. აჸდექ, გამუელ, წაველ სხოგან: რაცლა უფროსები იყო, წამოიარე და სუყელა ჸნახე; იმ ღამით არ დავიძინე, დილობას რო წაველ, მითხრეს. როგორ გინდა ვქნათო? ცექით ჯარი გაჸგზაჸნოთ თუ ისეები, რო ფერეჲდანჩი არიან, ციმეებს მუუწეროთყე, რო წავიდენ; უთხარ, რო ექაურ, ჯარი ველარ მეესწრობის, და აილეს, დაჲწერეს ქალაზი. კაცი მამაყოლიავეს. წაველით თილიფან ხაიაჩი. თილიფანით დეეწერაყე, რო დღესვე ორი შასჟირი (რო მოსალსალს დაჲძახიან) და ორმოცდაათიც ყაზაღი წავიდეს სოფელსათი. თილიფანი ვქენით და დოუძახე ჩემი ბიძას ბიჭსა და ჩონ ქართველებს: რო საქმე გავაკეთე მეთქი, ელა დღესვე ორი დიდი თოფი და ორმოცდაათი ყაზაყი წავლენ სოფელსათი; თქენ ცემანდ რო ხართ, ნახეთ, თუ ელ ეხლა შადგეს და წავიდეს. თქენც წადით. თუ არ წავიდეს, გერივ მაცნობეთ, რო წავიდე თაჸრობასთან. წასულიყნეს, რაქთენ დღის უკან ჩარვადრები (ვირები რო ჰყაჸყე და საპალნეს ეზიდებიან) წამოიდეს ისფაანს. თქეს, რო ყაზალები ნამაი დროს მოიდესო და ქურთებმა წავიდესო... ექსი სახლი კიო ჩუღრუთს (ჩუღურეთს) დაწვესო და ერთი შულლი ქნდაო: ჯერ ყაზალები არ მასწდომიყნესო. ოთხ-ხუთი ექითა და ანქითა გაწყდაო; წაილეს ცემ სამ სოფელსაყეო ათასი თუმანი. ციმაშინ კი ციმაზე დაგაწყდა; იმის უკან არა ვიცი, რა ქნილა.

ჩონ ეგეთ დღეებს ვეზიდებით. უპატრონოობით და უიარაღობით; თუკი იარაღი გოქონდეს, ცეგეთ ბოშენიც არ ვიქნებით, რო ექთენ ძალი ვიღოთ: ჩონ თავი, რო თა ექამდი სამჯელ და ოთხჯელ დოუთანალებიაყე; გერივაც ქართველობისაყე კელს არ ავილებთ, რაცლა რო ქნდეს! ღმერთი დიდია!

59

ეს მარტო მარტყოფისა არი და ჩონ გარიშამოსი; ახლა ის სხო ქართველები, აჲუსელნი, თელაველნი, ბოინელნი,—ისეები გერივაც ჩონ მოგნატრიან. ეგეთ დღეებს ვეზიდებით და ექთენი ღონეჲა გოქ. ზამთარი დიდი იცის. ჩონ მარტყოფი თების შუა არი. ქომოთ მარტყოფიც ოთხი ვერსი დაშორვებით არი, იქ ნამაჲ ხანები ჰყავ, დიდარები, ქონიარები (მასიჭაანი ზემო მარტყოფჩი ყოფილან, იქით ორასი წელი არი, რო ჩასულან ქომო მარტყოფჩი). ემ ხანების პაპის პაპა ზემოთ მარტყოფში რო ყოფილა მეციკნე (ციკან-ბატკანის მძოვებელი) ყოფილა. ქერიმ-ხანი წინ ყოფილა გვარის პატრონი და თითან ყოფილა ყაჩაღი პირველად. ჩამოჸლია ჩონ სოფლის ამ კარაზე, მაჲდგომია ერთი ღელეჩი მეციკნეს, ჩამაჲკდომია იმასთან. უთქომ რო: ცეჲ ქართველოო! გამოგივაო, რო ერთ-ორ ლიტრა პური, წახიდე თქენ სოფელსაყე. გუყიდო, გამოგუტანო, რო ექ ერთ საუზმე შავჭამოთო. ცემამაც დაიძრა და გადირბინა სოფელჩი. ორ ლიტრა პური აილო და გადმოიდა, ერთიც ბატკანი დოუკლაყე და ცემათ საუზმე აჭამაყე; ოციოდი ცხენიანი ჰყოლია. რო უნდოდა შასხდენ, უთხრა რო: „შენ სახელი მითხარ, რა ჰქიანო?“ თქო

რო: „ნესირაო!“ უთხრა რო (ქერიმ-ხანმა): „ნესირო! ჩონ წავალთო! თუ გაიგეო, რო ქერიმ-ხანის სახელი და წინწაღებაო (რო გამარჯუება იყოს!) სადაცღა რო ვარ, მოდი ჩემთანაო“. ისენი წავიდეს. ემ ნასირამაც ციმ წელს, ზამთარჩი ჩავიდა ქომო ახორას, რო ქოჩო მარტყოფი იყოს. ზაფხულჩი წავიდა სარვაზედ. რაქთენ წელს სარვაზი იყო. გაიგო, რო ის ქერიმ-ხანი გაკდომილა ყეინათ (შაქნილა რა ყეინი!) და მაიგონა, ის სიტყუო რო ეთქო ქერიმ-ხანს ემისთი; თქო რო: წავალ ერთს, აგონდების თუ არაო, წავიდა; ყეინი იყო შირაზჩი, შირაზ-ქალაქჩი. არიზა დაჲწერა და მუუგზაუნა ყეინს; ყეინმა გაიგო, რო მინ არი; ჰოქმი დოუწერა სულთნობისა და მაითხოვა და პირდაპირ მისცა და შინაურობაც სთხოვა, მურახასობა მისცა და წავიდა მარტყოფსათი, ქომო მარტყოფსათი. იქ ღა დასახლდა და ცოლი შაირთო და გაიმარჯა. გაიმარჯა და შაიქნა ნესირ-ხანი. იმისყე, იმის შვილებმა გაკდეს სუნივ ხანები. მოიდა იმის შვილისშვილისაყე ერთი მად-ისმაილ-ხანი; ეს გაკდა თელ იქაურ ფერეჲდანის ქართველების უფროსად; თავჯდომარე შაიქნა ქართველებისა. რაქთენ წელს ქართველებს ნამა უპატრონდაყე. თა ის იყო, ქართველებს ვერ აწუხებდესყე. ერთი სხოცა იმის ბიძაშვილი გაითქო თელ პარსეთჩი პურის მიცემაზე (ეხლაც კი ჩონ მარტყოფელნი გათქმულნი ვართ, ანები, — პურის მიცემაზე); ერქო ჰაჯი-აღა. ჰქონდა დიდ მამული და სოფლებიც. იგეთ კაცი იყო, რო ერთხელ ყეინის შვილი რაქთენი ჯარით მოიდა ქომო ახორას, დაყონაღა, იგეთ პური გოუკეთა, საუზმო, რო ყეინის შვილი გაკვირვებულ იყო. სინებით (მაჯმებით) ოქრო ააუსო და დოუდუა წინ. ეხლაც არიან იმის შვილები, რო პურს გერივ აძლევენ; ეხლა არი იმის შვილი. ჰქიან მადბაღერ-ხანი. ფერეჲდანსაყე თა ისპაანამდი გზა აბარია ამას, ოცი ცხენიანითა და ოცი მეთოფეეით; ახალგაზდა ბიჭია, ღმერთმა შაინახოს!

60

ჩონ მარტყოფელების სიცოცხლე მინდა ვთქო, როგონ არი. ნაურუზთ უკან ერთ ნაწილი ჩონ სოფლის ხალღი, რომელსაც რო ცხორები ჰყავ, — ჰ/ბაჲტა ნამა. ისეები წავლენ ყიშლაღებზე, რო აჲლაღის ადგილია. ისეები დადგებიან ორ-სამ თეს იქა და ცხორებს აძოვებენ, ქამეებს მაჲგლეჯენ, გაჲლეწვენ და რო მაიტანენ იქით, აიყრებიან და მოულენ. ზოგი სოფელჩი დადგების, ზოგი სოფელთან ახლო სახლები და აღილები გოქ, — გაულენ იქ. ცემ სხო სოფლის ხალხსა რო მამულები აქ საკნავ-სათესავი, — დიკასა და ქერსა და ოსპგაუდანასა და მეშაკს და მუხუდოს (მუხუდო ფარსულია!), გაიშლებიან და ზაფხულჩი იმებს დაკნვენ. ერთნაერიც, დეჲმს დაჲძახიან, რო გორებზე კნვენ — ყარაჲაზს ვიტყოთ, ფაჲზეგაც მოვა. იმ კორბალს, რო ზაფხულჩი მაჲკნვენ, ყარაიაზს დაჲძახიან — გორასი... ერთნაირიც დეჲმი ქერია, რო ზაფხული

კნევენ. თესლის საკნავს რო მაჰრჩებიან, ემაშინ ბაღებს დაფაბილვენ, რო ჰდაჲ/თხრიან. გაიშლებიან საქმეზე, კაცი და დედაკაცი. ზაფხულის სუყელა საქმეჩი ოფლს ღრიან. მუშაობენ. ზაჰძათი ბეჟრი არის ჩონი სოფლებჩი, თა იქამდი, რო ყანები და ჰასილები მოიდეს მოსამკალოდ. დაიწყობენ თიბვას და სამკალს, მაჲტანენ კალოებზე; კალოს მეტობას დედაკაცები და ქალები ლეწვენ (კალოებს სოფლის ქენარებზე აკეთებენ), თა იქამდი, რო კალოები გათავდეს. ყანას გალეწვა ძნელია ძრიალ, რო ჯენკები დარჩება, იმას ცალკე გაჲლეწვენ, სამ-ოთხს ატარებენ. თა ხორბალი გამოიდეს ბუდესაყე. ემაშინ დაიწყობენ ყანას კნვას, საკნავს (შამოდგომა-ლა არი). თა ოცი დღე შამოდგომამდი. იმის უკანლა გიან არი. ყანებს ერთჯელაც დაარწყობენ (var.: დაარწყვენ). იმის უკან თოჟლი-ლა დეედდების.

ზამთარი რო შაიქნების, ბაჲტა მოსვენებაჩი ჩაცივდებიან ჩონ ხალღი, რო გარეულ ფეკი და დივანისა შასწყდების. იმაშინ ნამა მისლა-მოსლა ერთმანერთში და მოიწყობთ ქორწილებს, ქორწილებსა და თაჩი წასლასი, რო მენადირობა იყოს. ქორწილები როგორ გოქ? ბიჭი და ყორი (რო ქალს დაჟძახით!) წინასწინ მოიწონებენ ერთმანერთს. მაჲწყობენ მარჯიკალის გაგზაჟნასა. წავა ქალიანთას, ქალის მამასთან. თურც თუ უნდა მისცეს, ერთი რაქთენი ღამეს მიაგდებენ და მააგდებენ (სიტყოს): აბა ქალი ვნახოთო, რას იტყისო; ჩემ ძმები ბიძაშვილები ვნახოთო, თა იქამდი, რო ერთ ღამეს პირობას მისცემენ, რო ხუალ ღამაო შირინს მოგცემყეო. იმ ღამეს მარჯაკალი სიხარულით მუა ბიჭიანთას: ეტყისყე, რო: ძლივ მუამბილეყეო; დადგების თავის ქებაზე: თუ მე არ ვყოფილიყავო, ეს საქმე თავს არ დაიჭერდაო; ხუალ ღამ შაამზადეთო. ხუალი რო შაჲქნების, თადარუგს დაიჭერენ, რო თავის ბიძაშვილები ღამით შააქუჩონ, დაყონაღონ. ანქითაც ქალის მამა თავის ბიძაშვილებს შააქუჩებს. ღამე რო შაჲქნების, ბიჭიანთაყე ვაკშამს რო ჭამენ, აიღებენ რაქთენ თუმან ფულსა, მისაც როჲხედავ თავის ყოვაზე და ერთსაც ჩიქილის ან კაბას, ერთსაც ყელს (ძივებია და ფულნარევი. ყელზე შაჲბმენ) აიღებენ მარჯაკლები, წავლენ ყორიანთას; შავლენ, იქაც დაქუჩებულებია. ბაჲტასაც იქ იხუმრებენ. ქალის მამა მიაგდებს ბიძაშვილებზე: ცემათზეგ არიო. ისენიც ბაჲტას იდიდებენ, თა იქამდი, რო მითან დაყაბულდენ. ახლა კი ეტყიან: ადე ყოროო, ცაბა მოუტაყე ერთ ნაყრი ხილიო; ისიც ადგების და დააყრის მაჯმაზე (სინია!) ხილსა, ნუღლსა, ერთსაც თელ ყანდს დაადებენ, მაჲტანენ და დაჲდებენ მარჯაკალების წინა. ისენიც, ის ფული და რაცლა რო აყე, ამაიღებენ და დაჰყრიან ქურსზე: ხილსა და ყანდსა ჩაჲყრიან სუფრაში, აიღებენ და წავლენ ბიჭიანთას. იმ ღამით კარგათ იცინებენ და იხუმრებენ და იქეიფებენ. თუკი ქორწილი უკან არი, ერთჯელაც ნაზუქს და ქომაჯს წოულებენ ნათხონს. თუ ქორწილზე დგანან, მაჲწყობენ გაკეთვას (წავლენ ქალის სახ-

ღჩი, მამასთან). გაკეთვა არის შირბაჰა, რო იყოს ბაშლუღი: მეტი და ცოტა აქ, ექა — კაცზე ჰკიდია და სახჰალზე, რო ქონიარება იყოს; გაჰკეთენ რუა-რუას ან ცხრა-ცხრას, ან ათ-ათს, რო ეს იყოს რუა ცხორი. რუა გირი კორბალი, რუა თუმანი ფული, რუა ლიტრა ბრინჯი. რუა ჩარექი ერბო, რუა ჩარექიც ყანდი თავის ჩაით. ერთი ჩაღი ცხორი, ერთ საპალნე ქფილი (ფქილი), — ცემეებს დაეძახიან ბაშლუღს, რო წოუღებენ ყორის დედ-მამას. ცემის გარდაის ქებინი არი რო მამულსა, სახლსა და ბაღსა და სხო რამეებსაც დოუწერენ ქებინჩიგა რო იმ ქალისა იყოს. ციმაშინ შაიქნების ცოლად, დოუკრვენ სტირ-ნაღარას და დაადგებიან ქორწილს. ზოგი ცარი, ერთ ჰაფთას ხარჯს ეზიდების. ქორწილი კი სამი ვახტია რო სახალღო-რი... რაცღა შორისა არი, სამი ვახთი პურს მისცემენ, ცაველა ღამე: დღისითღა, რო სადილია, დაიჰერენ მაჯმებსა ხილით ცათს, მეტს, ნაკლებს, დაადებენ თითოზე ერთი თელი ყანდს, შაეკმაზვენ ნეფეს, და ნეფეს დააწინაურებენ და მაჯმებს მაადევნებენ, შაიტანენ. დიდი თავ სახლები გოქ, რო დაეძახიან პარსელები „გურჯი ფუშო“, ქართულ სახლსა, — ყანდებს დაამტრევენ, ხილებს დააყრიან ლამბაქებზე და ნუღლს მააყრიან ხილზედა, ნატეხი ყანდს დაადებენ და ჩოუყრიან ხალღს; ხილის ჩაყრას რო გაათავებენ, მაეწყობენ ნიჰის აკრეფას (ნიჰი რაქთენი მოუვიდაო?); სუყელა მისცემს ფულს, თითო თავის ყოვაზე. ფული რო აიკრეფის, საუზმოს შაიტანენ, რო პური იყოს; ზოგი კარგი საუზმოს გააკეთებს (ღამით ელა ცხორის ნახარშია!)... პურს რო შასჭამენ და გარიგდებიან, მაეწყობენ წასლას, — მაყარი წავიდეს ახალძალსათი, თუ თოჟლი ბეჟრი არ არი, ათამაშებენ ცხენებს. თუ თოჟლი არი, ჯეილები შაეკმაზვენ ჯოხის ცხენებსა და ერთ რაქთენიც ქურთად შაიკმაზების და ერთსაც დათს შაკმაზვენ, ერთსაც გოლბაჰარას (გოლბაჰარა, როგონაც მოთამაშე ქალი იყოს აჰა! ბიჰია, ქალის ტანისამოსს ჩააცმენ!) დათი იმ ქურთებსაყე არი, გოლბაჰარა — ჯოხის ცხენიანებისაყე, ესენი ეხლა კი გამაიყჟანენ ახალძალსა და თამაშობენ: ხალღი მეეხოვის ეშეებს. ხან ის ცხენიანები გააქცევენ ქურთებს, ხან ის ქურთები ცხენიანებს. თამაშობენ და ხალღიც სეილობს, — ისეილებს თა ახალძალს მაიყჟანენ ბიჰიანთას, შაიყჟანენ, დაალაგებენ. იმ ღამითაც გერივ ხალღი შაქუჩდების და ვაკშაის ჰამენ და მალე დაიფანტებიან. ახირჩაღა ღამე (ახირ ღამესაც იტყიან) რო შაიქნა, გადაწყდების ქორწილი. მეორე-მესაჰე დღეს თავის ბიძაშვილის ქალებიღა დაქუჩდებიან. საუზმოსღა ჰამენ...

# ხევსურეთი

61

საკნავად გადენის დროს მაკნავ ადგების დილას, დახკაზმავს კართ, მაუბომს კარის იარაღს, წავას ყანაზე. კართ რო მამულს გაუკიდებს, ჰაიკდის ქუდს, შასძახნეჲს ღმერთს: „ღმერთო დალოცვილო, ბევრ საკნავად გაე მოგვგვარე მშვიდობისა, შენ მოიყვანე კა ყანა!“ და დაიწყებს კვნას. შუადღე რომ მოვ, მიუტანენ შინით ხავიწიანს ქადას. ეს მაკნავ ამ ქადას აიღებს და კართ უღელზედ გასჭრის და შაზძახნებს კიდევ ღმერთს: „ღმერთო დალოცვილო, კარისა, კაცის გამჩენო, შენ გეხვეწები, შენ მოიყვან კა ყანა, შენ მოგვგვარი ბევრა საკნავ გაე დრო, მშვიდობისა ეს გაზაფხულ, მშვიდობისა დაგვდგომივ სთველი, ზაფხულ მშვიდობისა ჩამოგვიყენი, კარისა, მკრის ნაოფლარს ჯვარ დაგვიწერი. ნივთი, ბარაქა დაგვიდევნი, შენის სახელის მადლმ!“ და გასჭრის ქადას, დაჯდების და ისადილებს. წუხრ კართ რო გაუშობს, უღლის აგდებაში იტყვის: „ჯვარი გეწერასთ უღელ-მაშვრალთ, თქვენ მასვენებულნი, თქვენ პატრონ აშენებული!“-ო და გამაუშობს კართ შინისკე. თაოდაც გამახყვების თან ეგრ.

კიდე ღმერთს უძახებს თესლის დათესვაში მეორე დღეს, ყანას რო დახფარევენ, იტყვის: „ღმერთო, რაც მე დავაკალ ამ ყანას, შენ მაუმატი, შენ მაიყვანი კა ყანა!“

62

არხვატ და კევსურეთ კშირად იციან ჯვარის სტუმრება შინ, ღამის თევა. ჯვარის მესტუმრე დაამზადებს წინავ, ადუღებს ლუდს, ჯვარიონთ, მედროშაეს და დასტურ-კელოსნებს, წინათ გააგებიებს: „ემა და ემ დღეს მექნების ღამის თევა, ამ დღისად მზას იყვენით!“ მემრ ამ დღეს წაღლალავს მაწევარს (ან ძმას, ან შვილს, კაცს). ეს მაწევარ მივას ჯვარში, შაატყობიებს ჯვარიონთ. ჯვარიონნ მაემზადებიან. მედროშაე აიღებს დროშას, შაიდებს მკარზე, წინ მაწევარს დაიყენებენ, წამავლენ. ეს მედროშაე და დასტურ-კელოსნები სოფელს რო მიუახლოვდებიან, ღამის მთეველ ჯვარიონთ მიაგებებს გზაში ლუდს. მემრ წამავლენ, მოვლენ ღამის მთევლის ბანზედ. მედროშაე მივას ბანზედ და ერთს ალაგში დახყუდებს დროშას და დაამწყალობნებს ღამის მთეველს: „ღამის მთეველო, წყალობა მაგიტანი მგზავრის ანგელოზისა, წყალობაი. გიშველას გამორჯვებულმ! ღამის თევა, ჯვარის სტუმრება ნუ შეგანანას!“ მემრ

ღამის მთეველ მალგვრის წინავ მამზადებულს საკლავს. ამ საკლავს დასტურ დაიჭერს, წააყენებს მედროშაესთან, მედროშაე იხუცებს, დახკლავს საკლავს, კიდე წყალობას ეტყვის. მემრ დასტურ წყალს დაუსხამს კელზე მედროშაეს, დაიბანს ჭელთ, ღამის მთეველ წინ დაუდგების, ჩამაკდებიან შინ ჭერხოს. იქ კიდევ ღამის მთეველ მოიტანს ღამის სამთევლოს ქადებს, დააკვრენ ზედ სანთლებს, დაზდგმენ ზედ ლუდიან თასებს, იხუცებს კიდევ მედროშაე და დაამწყალობნებს კიდევ ღამის მთეველს, მემრ დაიწყებენ სმას. მიაწევს კიდევ ღამის მთეველ მეზობლებს, ვინც უნდა სმენ ლუდს. ამ ღამეს თეთრად გაათენებენ, არც ჯვარიონნ დაიძინებენ უდგას ტოშის და ფანდურის ტყრიალი. თან იძღერენ ჯვარიონთ საქებ სიმღერეებს:

„ვინ იცის, კიცვო რემაო, შენის თექალთოს კეცება?
აეგრევ, ჯვარო ხთიშვილო, მემრ შენის გულის კერძება“-ო

„ჩვენის ხთიშვილის კარზედა ხე ალვა ამასულაო,
წვერად მაუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩაჭასულაო,
მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო“.

„დიდის ხთიშვილის გამძლონ ხართ, ჭკვაც დიდი მაგეჭელებათ.
დიდი ას თქვენი ხთიშვილი, ცის კიდელ-კიდელთ დადგება.
ვისაც შამცოდეს მაიგდებს, ნაბდებურ გამასთელევდა“.

ახლა საკუთრივ მედროშაეს უმღერენ ამ სიმღერებს:

„ბეწინას მედროშაესა მშვილდს უმხადეჭენ, ისარსა,
მჯართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიჭვში ნარჩევის რქისასა“-ო.

ესრ მღერით და ლხინით გაათენებენ ღამეს. დილას კიდე ღამის მთეველ ჟამის საწირს მაიტანს: სამს ქადას, ცხრას ზედ საკვირაოს. დააკვრენ ისრავ ზედ სანთლებს, დაზდგმენ ლუდიან თასებს. მედროშაე კიდე იხუცებს, კიდე წყალობას ეტყვის. შუადღე რო მავ, მედროშაე ეტყვის დასტურებს: „აბა, დასტურებო, აეხლა ხანი ას წასვლისა. იქნება ჩვენ მასპინძელს ერთს კვირაესაც არ მავსწყინდათ, არ გაუთავდას სასმელი. ჩვენ ეხლა აქ ვალ აღარ გვაქვ“. ადგების მედროშაე, დასწერს ჯვარს: „წყალობა გაგიწირი, ღამის მთეველო, მგზავრის ანგელოზისა, წყალობა“. აკდების ბანზედ დროშასთან, ააბჭანებს დროშას. იმაში კიდე კოჭობს ლუდით აავსებენ დასტურნი, კიდე იხუცებს მედროშაე, კიდე ბანზე გალმართვენ ტოშ-ფანდურს. მემრ მედროშაე დროშაის ტარით სამჯერ ბანს ჯვარად გაუსვ-გამაუსომს, შაიდებს მკარზე დროშას და გაემართების, ეტყვის: „მასპინძელო, წყალობა გაგიწირეთ მგზავრის ანგელოზისა, წყალობაი. დალოცვილმ ნუ შაგანანას ძღნობა, ყმობა შენის გულისა გიყოს, ჯვარ გეწერას! მადლობელნი ორთ. ვისაც ესრ მოვლა არ მიზდიოდას, ღმერთმ ნურა მიადინას!“ მასპინძელიც დაჯდების მუკლის კვერ-

ზედ, მასთხოვს დროშას მადლს, უძახებს: „მშვიდობით, მშვიდობით. პატონ-ყმანო, კელ მაგიმართასთ!“ წავლენ ჯვარიონნი...

ახლა სხვა ისტუმრებს, მემრ სხვა. ზოგჯერ ორმოცს კაცსაც ექნების ღამის თევა, 40 დღეს მიდ-მადიან ჯვარიონნი ღამის თევებაში.

63

დღეობაში, როსაც ხალხ ჯვარში შაიყრების ლუდის სასმელად, მაშინ, როსაც მივ სოფელი, კელოსან ადგების, გარმახყუდებს დროშას, გამაუცხადებს ხალხს: „აი, ხალხნო, ეს გეცოდინებოდასთ ყველას: დროშა გარმავხყუდი. ვინაც იშუღლებთ, წინ-წინ შუღლი გამკუდელს დაგაკვლევთ კურეტს, ხანჯრის დამკრავს კურეტს, სათითით მცემელს ვერძს. ცალე კელით მცემელს ცხვარს. იცოდათ ყველამ. სანამდი შუღლა-გამკდელ ჯურუმს არ მაიყონთ, არ დახკლავთ, დროშა კარში იქნების იმის სამრისხალოდ; ეს გაიგით ყველამ! ეხლა ყველა ფხიზლები ხართ, მემრ იმას ნუ იტყვით, „არ გამაგვიცხადავ“. კიდევ ეტყვის: „აბა, ხალხნო, თაოდ იფიქრეთ, რა ვის გიკიდავთ ერთმანეთს; თუ სიმთვრალე არ ჩაგაღენსთ, რად არ აეხლა ფხიზლები-შუღლობთ?“ რო დაითვრებით, ერთუცს დაერევით. ეს სასმელ მწარე წყალი ას: ეს არც ასუქებს, არც ღონეს ღმატებს. იმთვენ უნდა შასვას კაცმ, რამთვენსაც მაინელებს. კაცმ სასმელს ლაშნ არ უნდა აურთხნას. აბა რად არ აეხლა შუღლობთ? ეს სასმელ ჩადის ყველას უფერს ქურდობას აქნევს... სასმელ მამეტებულ რაის მაქმედი ას?“ ამაზე ხალხ ეტყვის: „სასმელ, მართალი ას, ბევრას ცუდს ჩადის, მაგრამ ორ იმოდენს კასაც ჩადის: სასმელ რო არ იყოს, მაკეთე რაითალ გავიგათ, მტერნ რაით შავარიგნათ?“ ახლა ხუცეს ეუბნების: „ჰო, ეგ მართალი, მაგრამ ლევითაც ბევრს საქმეს ლევს სასმელი. აი ეხლა ჭკვიანად იყვენით! ლუდ რამთვენიც გინდათ, მაიკითხეთ, თქვენ ოფლი ას, მარტო ერთუცს ნუვინ გააჯავრებთ“. ხალხ ეტყვის: „მადლობელნი ორთ. შენ ჩვენდ ამბობ, ჩვენი შუღლით განა შენ რაიმ წაგერთმის? ჩვენავ გაგვივ ჯერ ეს ჯურუმი, მემრ სარბევი, ახლა რჯულ-სამართალი მემრ მაქნეულს იარაღს ის არ დაებარების, რო „კაცს ნუ მახკლავავ“, კაციც მარჯვედ მაკვდების. ვინ იცის, კაცის სულნ რაში დგან? მადლობელნი-ორთ, ყველას ჩვენდ კას ამბობ“. მიბრუნდების კელოსანი, დაუსხამს ლუდს სოფელს, დაიწყებენ სმას. მაგრამ რო კარგად დაითვრებიან, მალედ დასცილდების ზოგ-ზოგს კელოსნის ნაუბარი და გარმაყუდებულ დროშა და კიდეც იშუღლებს. ზოგ კი მთხილობს, კაც ერთფერ არ ას: ზოგს სასმელ ვერას აკლებს, ზოგს კიდეც აგიჟებს. ეგრ თუ იშუღლეს, სანამდი საშუღლარ საკლავს არ მაიყონს, დროშა კარში იქნეის და ამ დროშაის ძალით ბევრ იშლის შუღლობას. ეს დროშა ბევრს ხიფართს აშორებს ხალხს. აღარ შუღლობს ხალხი: „დროშა-

იავ გარმაყუდებულივ, ჯვარ გაგვიწყრებისავ“. ეტყვიან ერთუცს: „მთხილად ვიყვნათავ, ჯვარს არ შავსცოდდათავ“.

63 II

არხვატში არხოტივნებს როსაც დღეობაჲ აქვ, ჯვარში შაიყრებიან. რო დაითვრებიან (ზოგი სხვა მთას იქი-აქათელ ხალხ შაიყრების ერთად), მაშინ სიმთვრალით ხალხს ბევრჯელ მაუვას შუღლი, ბევრ ქვეც კლავს ერთმანეცს. იარაღ არხოტიონს (და სხვა ყველას კეისურსაც) სრუ მუდამ წელზე აქვის. შუღლის დროს ბევრჯელ ჭრის ხალხ ერთუცს. როსაც მაგარ შუღლი ას გაკურებული, მაშინ ქალები მოვლენ მაშუღლარებში და რომენსაც ქალ კელს გააბომს მაშუღლარს, ის კაც ჩუჩუნს ვეღარ იქს, გინდა ძალიანაც სირცხვილ დადებულ იყვას მეპირდაპირისგან (ქალის კელშიგით თუ კაც დაიზიდ მტრისკე, დიდ სირცხვილი ას). მაშინ კაც უძახებს თავის მეპირდაპირეს: „აეგრ კი არ მაგექცეოდივ, რო ქალს არ დავეჭირევ. აბა ეეხლა შენაც ხედავავ, შენაც იცივ, რო ვერცაით წამავალავ, ქალის კელში ორავ, ქალს უჭერიორავ“. ამით გაიყრების შუღლი. რაკი ეს ჩვეულებაჲ ას არხვატში, როსაც მაგარ შუღლ იქნების, მაშინ ქალებმ იციან, რო იმათ მისვლით ხალხ ერთუცს თავს დაანებებს და ამით, რო შუღლის გაჭირებას ღნახვენ არხვატში, ქალები მივლენ შუღლში სამეშველოდ. მაშუღლარნ რო ხანჯრებს უქნევდან ერთუცს, კოცდან ერთმანეცს, თუ ქალმ მიასწვრ, მანდილ გადაუქნივ შუაში, მაშინ მაშუღლარნ მაშივ თავს გაანებებენ ერთუცს. ამით ქალებ ბევრს ჭირს არჩენენ ხალხს.

64

სმაი ას ის, რომ წინავ ძველებს სცოდნივას. აეხლად ძვირად ვინ იქს სმას.

თუ ადუღებდეს სამოც-ოთხმოცს ჩხუტს ლუდს, დაიბარებდეს უვალოდ ხალხს, მაკეთე-მაკიდულს. ასმევდეს ლუდს. ეს სცოდნივ წინა დროს, ვინაც ძალიან მდიდარ, ბევრ სარჩოს პატრონ ყოფილას. ამას ხქვივნებივ სმაი. დახკლევდეს თუ იმ დროს კარს, კურეტს, ვაცვერძს, გაუშლიდეს სუფრას მაწვეულ ხალხს.

ამას ეძახდეს წინანი სმას.

65

ჯჭარში როსაც შაიყრების ხალხი საერთო ლუდის სმის დროს, მივლენ ჯვარში, მასთხოვენ ჯვარს მადლს, დაიწერენ პირჯვარს და იტყვიან: „აშენდით, ჯარნო და ჯვარიონნო!“ წამადგებიან, ვინც წინავ მისულები ას, ხალხი ან ჯვარიონნი (ჯვარიონნი ხო წინავ ჯვარში არიან, დასტურ-კელოსნები), და ეტყვიან მისულს ყველა ერთჴმად: „მოგვიხვე მშვიდობით! წყალობა ჩვენის ჯვარისა, წყალობა! წალმ მაგეგებას ჩვენის ჯვარის დავლათი!“ ახლა მისული შეუქცევს:

„თქვენ იყოს მწყალობელ, თქვენის თავისა! დაბძანდით, ნუ აიშლებით!“ და გამაართომს კელში ნაჭერს თასებს ფეკზე ამდგრებს ხალხს და ეტყვის: „იარეთ, დასხეით!“ წაიყონს და ჩამასხამს სკამებზე და მისცემს იქავ თავ-თავის თასებს და ეტყვის ყველას, თასს რო მისცემს: „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ!“ თაოდ გარმაკდების და სულ ბოლოში ცალ მუკლზე ჩამაჯდების. თუ უფროსს კაცი ას, ბებერი კი, არ დასმენ მუკლით, — უფროსები სათავეში გადააკდენენ. უნცროსის გადაკდომა სათავეს სირცხვილი ას, სოფლის კაცისა. თუ შორით სტუმარი ას კი, გინდა ყმაწვილ იყოს, სათავეს გადააკდენენ სოფლელნი; სტუმრის ბოლოში ჯდომა სირცხვილი ას (სტუმარი ჩვენ გვიქვიან სხვა სოფელშიით მასულს. თავის სოფლის კაც სტუმარ არ ხქვიან). ჰოდა, ახლა ეს უნცროსები სხენ ბოლოში მუკლით, უფროსები სათავეს, უნცროსებს როსაც თასს მისცემენ, ადგებიან ფეკზე და დაილოცვენ: „სოფლელნო, გამარჯვება ჩვენს ჯვარსა და იმის წყალობა გქონდასთ თაობით დასტურ-კელოსანს, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, კელოსან დიდხან გაგიყოლათ, ნუ შაგანანასთ კეთილის კაზმვა, ულლის დება, გწყალობდასთ ყველას, სოფელს სოფლეულად, ბევრ გაეს დრო მაგგვარასთ მშვიდობისა, გახარებისა, ერთუცის სიცოცხლისა, თასიანებს კელთა გაამასთ; მემუკლებს მუკლებ შაგარჩინასთ, მე გლოცენით, ხთისაგანამც ილოცებით!“ და დაზლებს პირს თასს, ცოტას შასომს და იტყვის: „ოჰ კა ლუდ არ მოგკდომივათა! ცოტას სვე აკლავ და გრილად ნაფუარიც ას“. გადასვამს თასს და კიდე იტყვის: „აი ქვემც გწყალობსთ ნაკსენებ ანგელოზი! შავსვი თქვენის გამარჯვებისა“. ეტყვის ხალხი: „ღმერთმა გაამას, ჩამაიყარი?“ მიაწვდის თასს და ეტყვის: „მტერსამც ჩამახყრით იარაღს, მტერ იყოს თქვენ კელმარეული!“ მემრ იქავ მუკლით ჩამაჯდების. ახლა სხვაი-სომს, ისრ ახლა სხვა. მემრ უფროსები ეტყვიან: „ამ სმას ლხინიც უნდ, თქვენი ჭირიმეთ, უნცროსები წალალეთ. ერთ უნცროსი, ფანდურ მაიტანეთ“. წაღლალვენ, ვისაიც კა ფანდური ას. ერთს თასს ლუდიანს წაიღებს წამავალი, ჩაუსხამს შინ ლუდს ფანდურის პატრონს, თუ შინ ჯალაფობა ვინ ხყავ ფანდურის პატრონს, იმას შაასმევს ამ თასს და წამაიტანს ფანდურს, მოვა ჯარზე, გართვენ ფანდურს და მისცემენ უნცროსებს ფანდურს. ეტყვიან უფროსები: „არიქათ, გვიმღერეთ, თუ რა იმ წელში ვინ მამკვდარი ას“. ეტყვის მამღერალი: „აბა დავლოცათ და მემრ გიმღერებთ“. ამახკვრენ თასს. ერთ უფროს ადგების და იტყვის; „გამარჯვება ჩვენს ჯვარს, ჩვენის ჯვარის მიცემით, ხთის წესით, მღდლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ჩემი სიტყვის მაკსენებით! სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, სულ-წმიდას შანდობა მიუდიოდას, ზედამრჩოების სიმთელით, კარგა ყოფით, ეეს თას როგორც ჩემ კელთ ას, ისრ სულსამც იმისას მაეკმა-

რების! (ვინც მამკვდარრ-ხყავ, იმის სახელს იტყვის) და ხალხი ერთკმად იტყვის: „შაუნდას, მააკმარაჲ ღმერთმ!“ ახლა თუ ის ჭირის პატრონი აქ ას, ვისაჲაც ეს თასი დალოცეს, იმის ძმა, ან მამა, ეტყვის: „თქვენ კაით მაგიგონნასთ, მარკე ნურა ვის მაგცასთ“, და დაიწყებს უნცროსი მღერას ფანდურზე. ჯერ იტყვის ჭირის პატრონის სიმღერეებს:

„შეწყალი, ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია.
ჭირი ან წავას უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია.
მკვდარ შინით დაეჰარხების, სოფელი ლონიერია“.

მემრ ჩამაიყრის ფანდურთ და სხვას მისცემს. ამადგების ერთ უფროსი და რომენმაც იმღერა, თასში აშეელიებს: „აჰალეღ, ჩამაეტანი საპალე, ყელ ამაგშრებოდ მღერაში“. შაასმევს თასს, წავა და იქავ დაჯდების და დაიწყებს ხალხი მღერას. დგას ქოთი, როსაც ლუდ გაუთავდების, მაუმატებენ დასტურები, სმენ დაღამებამდი. რო შაბნელდების, იტყვიან: „აბა ხალხნო, დაღამდ, ეეხლა ჯვარში ყოფა დრო აღარ ას, წავიდათ, ჯვარს არა შავაწყინათ“. კელოსან კი ეუბნების: „დასხედით, ნუ გეშინიანთ! ერთუცს ნუვინ გააჯავრებთ და ჯვარ მაგაზე არ გაგიწყრებისთ. როსაც კაად ხართ, სვით. ლუდ თქვენ ოფლი ას, თქვენ კელმკართ ნამუშაელი!“ მაგრამ სოფელ დაღამებიდგეს აღარ დასხდების ჯვარში, გამავა ყველა ერთობით, ძასთხოვენ მადლს ჯვარს და გაემართებიან თავ-თავის სახლებისკე. გამართვაში იტყვიან: „ჯვარ გეწერასთ, ჯვარიონნო, ჯვარსაც და კაცსაც!“ მემრ დასტურ-კელოსნები ეტყვიან: „მშვიდობით, სოფლელებო, წყალობა წაიღით ჩვენის ჯვარისა, წალმ გამაგყვასთ ჩვენი ჯვარის დავლათი!“ ახლა ისენი შაუქცევენ, სოფლელნი: „თქვენ ჩყოს მწყალობელი, თქვენის თავისა! მადლობელნი ორთ, ჯვარიონნო, კარგად მაგვიარეთ სოფელს“ და მიდიან რიკ-რიკით შინისკე და თან იმღერენ, რაც ვის მაღგონდების. ცალკე ბეწინიკა ყმაწვილებს უდგას ღრიალი სიმღერეებისა. ყველა მთვრალი მიდის შინისკე.

ეს არის არხოტში ჯვარში დღეობის წეს-რიგი.

66

მაწევარრი-ას ის, რომ, როსაც კევსურეთ ვის საქნარ ან კორწილობ-აქვ. უნდ, რომ მაკეთე აწიას, მაშინ ეს მასპინძელი წაღლალავს ერთს კაცს თავის სოფელშიით მაწევრად. ეტყვის: „აისი-და-აის კაც მამგვარევ“. ვინც ძალიან გულით უნდ, იმასთან თავის ქუდს გაატანს, დააბარებს: „უთხრიდივ, ნუ დადგებისავ, აი შენთან ქუდიც გამამატანავ“. მაშინ ეს მაწევარ წავას, დაივლის ყველკან იმ სოფლებში, აწევს ყველას, ვისტანაც ქუდ ექნების გატანებულ. ეტყვის: „აი, თქვენთან ქუდიც გამამატანავ, ნუ გასწირაო, დამაბარავ, მაინც წამაიყვანიდივ“. მაშინ ქუდხ ვერ დალლაკავს, ეტყვის: „მადლობელი-ორ“, რა ქუდ უნდოდ ჩემთან, რა ხაჲი ორ იმის სახლში?“ წამავას. ისრევ სხვა.

ამას ხქვიან მაწევარი.

67

არხვატში რო მეარაყე სტუმარ მაუოს, მასპინძლის კარზე რო მივას ღამით წუხრ, უძახებს მასპინძელს სახელს: „შინ ხარაევ? კარშია გამაედ". გამავას. მასპინძელ ეტყვის სტუმარს: „გამარჯვება, ვაჟო!" (ან სახელს ეტყვის)—„გაგიმარჯვას ღმერთმ!" შაუქცევს სტუმარი. მასპინძელ გამაართომს არაყინს ქინთს, დაუდგების წინ, უძახებს შინ: „ჯალაფნო, სანთელ მაგვინთითავ, სტუმარ მამყავისავ". მაუნთებს სანთელს სახლში მყოფი (ან ძმა, ან შვილი, ან ცოლი), დაუდგების წინ სტუმარს მასპინძელი. შავლენ. სახლში რო შავას, სტუმარ იტყვის: „მასპინძელო. ღმერთიმც აგაშენებს, გადღეგრძელას ღმერთმ!" — „მამიხვე მშვიდობით", ეტყვის მასპინძელი, „იარი, გადაკე". სათავეში სკამზე გადააკდენს და ჩამაჯდების სტუმარ სკამზედ. მასპინძელ ქინთს შახკიდებს და სტუმარს ხკითხვენ სრუ ყველა ჯალაფნ მშვიდობა-ამბავს. მასპინძლებ ეტყვიან (სახელს): „რა გუნებას ხართ? ხო არა გიჭირსთ? კაცი, საქონ ხო ყველა მშვიდობით ხართ? (ყმაწვილებ თუ ხყავ სტუმარს): „ყმაწვილებს ხო არა გიტკივ?". სტუმარ უქცევს: „სუყველა კარგად ორთ. ეხლა კი რას ამბავს უნდ ჩვენს კითხვა: გვიდგას სულებ თქვენი წყალობით". მასპინძელ ეტყვის: „კარგია, სიმთელეი ას საკითხავი". მემრ ესრევ სტუმარი-ხკითვს: „თაოდ რას გუნებას ხართ, თქვენ ხო არა გიჭირსთ? კაცი, საქონ ხო ყველა მშვიდობით ხართ?"

მემრ გარმაიღებს სტუმარ არაყიანს ქინთს, მახკსნის პირს და დაასხამს მასპინძლის მიტანილ ყანწებში. დაიწყებენ სმას სტუმარ-მასპინძელნი. მემრ მასპინძელი წაღლალავს ან შვილს, ან ქალს, ან იმას (ვინაც უნდ), მეზობლებს აწევს არაყის სმაზედ. მივას მაწევარი, უძახებს ყველა სახლებში: „სტუმარ მაგვივიდ მიარაყე, ჩვენს წავიდათ". მეზობლებიც, რა თქმა უნდა, არაყს არ დაღრიდებენ, მოვლენ მასპინძელ-მეზობლისას. ჯერ სტუმარს ხკითხვენ მშვიდობა-ამბავს, მემრ თავის მეზობელს ეტყვიან: „რა ჩვენ წევა გინდოდ, განა სამნი ორთ შენს სახლში სმისანი?" დაიწყებენ სმას. სმას რო გაათავებენ, სტუმარს მეზობლებიც გააწევენ. ახლა ისენ გამაუწურვენ არაყს. ამით გაატარებენ ორს დღეს. მესამეს დღეს სტუმარიც უსათუოდ წავას შინ.

68

ვისაც რა გაუჭირდების სოფელში ან თემში, — ან გაუთავდას კაცის სარჩო, საქონის თივა ზამთრის და მასატან აღარცაით იყოს, — რო ხალხიც ღნახავს, მართლა უჭირს, მაშინ ეს გაჭირებულ კაც იქამს ონჩხარს: გამასწურავს არაყს ან ადუღებს ლუდს. ერთ დღისაც დაამზადებს; მემრ წაღლალავს სოფლებში კაცს (ან შვილს, ან ძმას) და დააბარებს: „აბა, აეხლა ძალიან მიჭირს, საქონ მეღუპების სიმშილით". ან, თუ თაოდ პურ აკლავ, იმას ეტყვის, რაის გაჭირებაზედაც ონჩხარ ექნების მამზადებულ.

ეს კაც წავას (ვისაც წაღლალავს), უძახებს ყველას სოფელში: „აბა აემა-და-ემ კაცს ონჩხარი აქვ, თუ ვინ ყურს მაუგდებთ, ძალიაჴ უჭირს. ხო იცით, არც თაოდ ას ისეთ კაც, რო სხვათ არ გამაადგას. შაეწიენით, თითო მოშ თივაიც რო მისცათ, ისიც კაი ას, გაჭირებულ კაცი ას“. მაშინ წამავლენ, ვისაც შაწევა უნდ. ეტყვიან იმ შამტყობიებს: „რად არ წამავალთ? ეგ გაჭირება დღეს ერთის კარად ას, ხვალ სხვას მიუდგების; მაშ სოფელ თუ ერთუც არ შავეწიენით, რაად უსახლიორთ ერთუც, თუ კაცის გაჭირება არ გავიგით? ეგ გაჭირება სუყველაის კარად მივ. კაცს ის არ უნდა ეგონას, რო „მე არა გამიჭირდების, სოფლისგან არა მამინდების, გინდა ძალიან მდიდარიც იყოს, სოფლის თავ მით რაში დაშჭირდების“. ამ სიტყვების საუბრით წამავას ბევრი. ზოგ ეტყვის: „არ წამავალავ. არ მინდავ არაყივ, თივას ქვე მივსცემავ. რასაც სხვან მისცემენ, კიდევ მეტს“. არ წამავ. მაგრამ რაით ვინ შაეწევის, ის კაც კიდე მეტს მისცემს. კიდევ ზოგ ხალხი ას ცუდის გულისა: გაჭირებულს კელს არ გაუმართავს, გინდა ხედევდას, რო გაჭირებით სულ ამაზდიოდას. მაინც არ მიეშველების, ეტყვის: „რა შავეწივავ! თაოდაც არ მეყვავ საქონთ საჭმელივ ამ ზამთარავ. მე რა ვის უყვ? ვერ ვის შავეწევივ“. მაშინ ეს შამტყობიე ეტყვის: „არ შაეწევი და არც ვის უნდ მაგით შაწევა, არა გინდ, შენ ისრ-გგონავა, რომ სოფლისგან აღარა მამინდებისავ?“ და წამავას. მაშინ ეს შამწევ ხალხ მივას. მასპინძელ ანუ ონჩხრის პატრონ მაუტანს არაყს, შაასმევს; სანამდე არ დაათრობს ხალხს, დაუწყებს სმას. ხალხიც შასმამდი ეტყვის: „მასპინძელო, აი იყურე: მემრ რო დავითვრებით, მაშინ რო გითხრათ, იტყვი, რო სიმთვრალით მამცესავ“. ზოგ ბევრს იტყვის, ზოგ ცოტას, რაიც ვის შაუძლავ. ზოგ ეტყვის: ორ ბარგს მოგცემ თივას“, ზოგს: „ერთ ბარგს“. მასპინძელიც მადლობას გადაუჴდის. სასმელს რო გაათავებენ, წავ-მავას ხალხი. მეორე დღეს მისცემს ყველა თივას, მიუტანს ბანზე. ამით გამაიყვანენ გაზაფხულამდი გაჭირებულს. რაკელც თივით, ისრევ, თუ პურ გაუთავდ, პურით.

ესრ-ას. ამას ხქვიან ონჩხარი კევსურეთში.

69

ყმაწვილ რახან იქნას ერთის წლისა, მაშინ ვადუღებთ ლუდს. რამთვენიც შაგვიძლავ, იმთვენს. დავიბარებთ მაკეთე-მაკიდულს, სოფლელთ შავხყრით. წინ ყმაწვილს ჩავსომთ იარაღში. მირგვლივ მაუსხამთ იარაღს: კმალს, თოფს, ხანჯარს, ფარს, დაშნას, ჯაჭვს და, რასაც ყმაწვილი კელს მახკიდებს (ან თოფს, ან კმალს, ან ხანჯარს), იმის მკმარებელ იქნების კაცობაში. მემრ დავზდგამთ ტაბლას. ჩამოვარიგებთ ზედ ლუდიან თასებს. დავაკრავთ ზედ სანთლის ფეკებს და იხუცებს ხუცესი. როსაც ხუცობას გაათავებს, წყალობას ეტყვის ყმაწვილს და ხალხიც ყველა დაამწყალობნებს: „გაგზარდას, ყმაწვილო, კაის ბედის კაც მაგაქდინას,

შაგეწივას ნაკსენების ანგელოზების მადლი! მემრ შასმენ თასებს და ჩამაიყრიან. ხუცესი დანას მაუსომს თავზე ყმაწვილს ერთ ალაგში, მოხპარსავს ცოტა ალაგს და კიდე დაამწყალობნებს ხუცესიც და ხალხიც ყმაწვილს. მემრ დასხდებიან, დაიწყებენ სმას, სანამდი არ გაუთავდების მასპინძელს ლუდი. როსაც გაათავებენ, ხალხი ადგების და ჯვარს დასწერს მასპინძელს: „მასპინძელო, ჯვარ გეწერას, სრუ მუდამ ღმერთ ლხინისაი და თავ-მასაპარსავოს ხალხი ადინას შენს სახლში! კლოვ კიდე მოგცას ღმერთმ ვაჟები!“ გახყვების მასპინძელ სტუმრებს სოფლის პირშიამდი, გააყოლებს ქვაბით ლუდს, იმაში ასმევს და გაღმართავს სტუმრებს შინ.

ამას ვვიქვიან კევსურთ თავ-მასაპარსავო.

70

კორწილი ვიცით ისრ, რომ ქალ რომ დალიშნული გვყავ, მემრ დავეკითხებით, წავღლალავთ კაცებს, ორს ან სამს. წაიღებენ არაყს და დაეკითხებიან. ქალის პატრონი დაულიშნავს ხანს: „ამ დროსად მეემზადენითავ“, და დანიშნულ დროისად ვაჟის პატრონი მაამზადებს საკორწილოდ, რაც საჭიროი ას, და ადუღებს ლუდს, რამთვენიც შაუძლავ (ან ოც საწყვისას, ან კიდევ მეტს) და კიდევ მასთან დაამზადებს არაყებს, ადუღებს წინა დღით ხავიწს და რომენ დღესაც კორწილი ღგულავ, წინა დღეს წაღლაღავს ქალის მომყვანთ. ორს კაცს, და კიდე გაატანს არაყს ქილებით და მივლენ წამამყვანნი ქალის მამის სახლში და იმ წუხრას სმენ არაყს და მეორე დილას ქალი დაივლის თავის სოფელს და აწევს ყველა სახლიით თითო კაცს მაინც, ვაჟებს და ქალებს. მყოლებს (ზოგ სახლშიით კი ორი სამიც გამახყვება ქალს) და საღამოს ხანს გამაემართებიან. წინ ქალის მამყვანი დაუდგების და მოდიან თოფიარაღით მორთულნი მყოლნი. მოვლენ ვაჟის ანუ სიძის სოფლის ახლოს და დაიწყებენ თოფების კშირ-კშირად სროლას, ატყობიებენ, რო „მოვდითავ“ და მაშინ სიძის ძმა იქნება, ან სხვა სახლის კაცები მიაგებებენ არაყს, ლუდს ქვაბებით მყოლთ გზაში და დაიწყებენ სმას. მემრ დაუდგების მასპინძელი, მეკორწილე წინ და მოვლენ სიძის სახლში. სახლში რო შემოვლენ, ყველა ერთბაშად იტყვის: „მასპინძელო, სრუ მუდამ ლხინი. კორწილიმც ნუ მაგეშლებისავ!“ მასპინძელს წინავ მამზადებული-ხყავ ბიჭები ზედამდეგები, რომლებიც არიგებენ ლუდ არაყს. გაჭდება სმა. ჯერ ხო ლამაზად მაქაიფდებიან და ახალ-ზალი სხვა ოთახში ას და იმასთან ას მაყრილი მთელ სოფლის ქალი და კაცი და დგას ტოშის ტყრიალი, სმა-მღერა, ფანდური და მუზიკანტი. ახლა სიძე ცალკე ხყავ და ეხლა უნდა სიძე მაიყვანან ამ მყოლთაში. ჯერ ხო მასპინძელი დაზდგამს ტაბლას და მაზედ ჩამააწყობს ლუდიან თასებს და დააკრავს სანთლის ფეკებს და დადგება ხუცესი და შაახვეწებს ქალს და

ვაჟს, ნეფ-დედუფალთ, და მემრ, როსაც ხუცობას გაათავებს, დაამწყალობნებს ხალხი ვაჟს და ქალს, ნეფ-ფედუფალთ. მემრ მაიყვანენ სიძეს და მოხყვების ნეფეს ოთხი კაცი (ორი მყოლთ მკრით და ორი სიძის არჩეული). დაზდგმენ ნეფის ტაბლას, ჩამაარიგებენ ისევ ლუდ-არაყიან თასებს და დაიწყებენ სოფლის ქალები ბოთლების ზიდვას, ისრ რომ. რაც სიძის სოფელში ქალი ას, ყველა, დიდი და ცოტა, მაიღებს ერთს არაყიან ბოთლას და დაზდგამს ხეფის ტაბლაზე. თან კიდე ცოცოტა პურის კვერებს, მძივ-ღილით მორთულს, ჩამაარიგებენ ტაბლაზე და დააკვრენ ზედ სანთლის ფეკებს და დაიწყებს ხუცესი ხუცობას და, როსაც გაათავებს ხუცესი, იტყვის: „ქალისა, ვაჟის პატრონნო და ნეფ-დედუფალნო. გწყალობდასთ ნაკსენებ ანგელოზების მადლი! ჭედიანდავლათიან მაგაკდინნასთა. ერთუცს შაგაბერნასთ, გამრავლნასთ, ასის თავად გაგკადნასთ!“ მემრ დაუწყებენ თასებს სმას და დაიწყებს მასპინძელი ლუდ-არაყების ხარჯვას და უვლიან ზედამდეგები. რასაც რომ ჩქარ-ჩქარა შაასმევენ მყოლთ ლუდ-არაყიან თასყანწებს და ვინც რომ ძალზე შეუდგების („არ შავმოსავ“). ზედამდეგებს დავალებული აქვ: უნდა ძალად შაასმიონ, სანამდი ძალიან არ დაათრობენ მყოლთ, და დგას სიმღერები და ტოშ-ფანდურის ტყრიალი. ზოგი კი თავ-კმელად იმღერს მასპინძლის საქებს სიმღერეს:

„ადულებს ბედიანაი ქერსა და სვესა, ორსავე;
აჴსენებს ბედიანაი ჯვარსა და ღმერთსა, ორსავე:
აწევდა ბედიანაი მტერსა, მაკეთეს, ორსავე“.

ექნების სამს დღეს გამბივ სმა. მემრ სოფლებში აქვ კიდე მყოლთად დამზადებული არაყები და ახლა სოფელში გააწევენ მყოლთ და იქ სმენ. თან კიდე მაკეთე-მაკიდული მოუდის სიძეს არაყით მასაკითხად, პირაქათ-პირიქითელი სტუმარი. თუ არხოტულ კორწილში პირიქითელ კევსური გამაერივა, არხოტივნები ბუგრას ქვეც გასტოშევენ სიმთვრალის დროს. მერე მყოლები წავლენ, მასპინძელი გააყოლებს ლუდ-არაყს და ქალი და ნეფე იმ ღამეს ერთუკს მიუცუცქდებიან, იცნობენ ერთუცს, კუსკუსობას დაიწყებენ.

## 71

კევსურეთ და არხოტ წელ-შუა სრუ მუდამ იციან ხალხმ ჯვარის დროშაის შინ სტუმრება, ღამის თევა. ამ დროშას ხყვებიან თან კელოსანი და ორი დასტური. ღამის მთეველ ისტუმრებს დროშას, დაუკლავს. შააკლავს საკლავს თავის ბანზე მიყვანილ დროშას. მემრ ამ დასტურ-კელოსნებს ერთ დღე-ღამეს კარგად მაუვლის ლუდ-არაყით. ეს ღამის მთეველ მააწვევს კიდევ მეზობლებს, სოფლელებს, ქალს და კაცს, ვინც უნდ. ლხინობენ. უდგას ტოშ-ფანდურის ტყრიალი. ამ ლხინში თუ დასტურს და კელოსანს უქმრო ქალ ვინ მაეწონ, აიღებს თეთრს (ან ათ-

შაურს, ან მანათს), ჩააგდებს სახუცარ კოჰობში, რომენიც ას ვერცხლის თასი (იმ თასს დასტურ-კელოსნების მეტი კელს ვერვინ მიახლებს ჯვარის შიშით). ამ თასში ჩააგდებს თეთრს და იტყვის ან ძმისად, ან შვილისად (ვინაც უცოლოჲ—ხყ·ვ): „აი, ხალხნო. ეგ ქალ მე დავლიშნე“. დაამწყალობნებს კიდეც ჯვარს იმ ქალს. მაშინ ეს ქალი, გინდა ის კაც არ მასწონდას, ვერას იტყკის ჯვარის შიშით. ვერც არას ჯალაფნ იტყვიან. მარტო, ეს ჯვარის ძალით დალიშვნა ქალისა ძალიან ძვირად ხდების. ბევრ იტყვის, დაუწყებს იმასაც დასიცილს: „ჯვარის ძალით რო არ დაელიშნ, ნიადე ვინ მისცემდ ქალს?“ თუ ვაჟ ცუდი ას: „ჯვარის ძალით მაყვანილ ცოლ ქვე რად მინდავ? განა ეგრ ვერ მავიყონავ ცოლსავ?“ თუ ჯვარით დალიშნულ ქალმ ისი-თქვა, რო „არ მინდავ ეგ ქმარივ“ და გაეყარ, თუ არ წაუვიდ, მაშინ ეს ქალ ვერც სხვა ქმარსთან გაიხარებს: ჯვარ გაუწყრების, ან მახკლავს, ან დახჭელთავს. ეს კანონ ძველი ას, მაგრამ ძალიან ძვირად ხჭვდების აეხლად, იმით რომ იქნება ქოოდ ბეჩავ ვაჟზე მზის ფერ ქალ დალიშნან და ცოდვა არ ასა, რო ისეთ ვაჟს ისეთ ქალ წაუვიდას? იმასთან რაჭლად უნდა იქნას? მაშინ ქალს სიკვდილ ურჩევ ცუდის ჭელში ყოფას. ამას ახლა ბევრ ყურს აღარ უგდებს, მაგრამ ზოგ-რიგა ისრევ ჩადის ამ საქმეს, თუ ქალ მაეწონ. ახლა ბევრ ქალ ქვეც აღარ ასრულებს ამ კანოლს. ამბობს: „ჯვარმავ მამკლას, ის მირჩევ ცუდის ჭელში ყოფას სრუ დალონებულს“.

72

ქრისტიშობისთვეს წუხრ შაიყრების სოფელი ჯვარში. მეკვლე მივა ყველა სახლიდან და მიიყვანენ სამეკვლაო ზღვნებს, ორს: ერთს ვერძს და ერთს ვაცს და ხუცესი დახკოცს საკლავებს და დაამწყალობნებს მეკვლეთ. მემრ შინ წავლენ მეკკლენი, ზოგს არაყი აქვ, ზოგს ლუდი თავ-თავის შინ. იქ ივაჭშმებენ და წავლენ ისევ ჯვარში. იმ ღამეს ჯვარში მეკვლენი თეთრად გაათენებენ ღამეს, არც ერთი არ დაიძინებს. დგას ტოშ-ფანდურის ტყრიალი და სიმღერეები, დილა რო გათენდება, მეკვლენი ჯვარის კარზე გამოვლენ და კიდე იქ უდგას ტოშ-ფანდურის ტყრიალი და ლოცვა ერთუცს: „ბევრსამც ახალ-წელს ილოცავთ წულიან პურიანს, სახელ-გამარჯვებიანს, ერთს ამ წელს და ათიათასს სივას! ახალ წლის გამაცვლისად ბეჲნიერი წელი, კვალიმც გამაგეცვლებისთ!“ ულოცვენ ერთუცს. ზოგი კი იმღერს:

„ჩიტი შამაჯდა ლობესა. იძახდა იშრიშობასა,
ბევრსამც აემ დროს ილოცავთ წელწადსა, ქრისტეშობასა!“

სმენ ლუდ-არაყებს და ხკოცნიან ერთუცს პირზე სწორ-ამხანიგები. მემრ დასტურნი, ხატის მორიგენი და ხუცესი გამაიღებენ კოკით, პურჭ-

ლით არაყს (რომელიც მამეტებულად მაგარი არაყი უნდა იყოს) მეკვლეთად და ჩამაურიგებენ ყველას სამ-სამ თასს, ანუ ვერცხლის საინებს მეკვლეთ და კიდე უდგას მღერა-თამაშობა და ზოგი იმღერს სიმღერებს]

„გამაგვეცვალა, სწორებო, დაგვიდგა ახალ წელია.
დაგლოცნასთ ჯვარმა ყველანი, არ მაგერიოსთ მტერია!
ყველკანამც გაგიმარჯვდებისთ, ქისტებს ადინოთ მტვერია!“

მემრ ხუცესი უბძანებს: „აბა, მეკვლენო, ახლა ხანიავ კვალის დაჭერისაივ“. ყველა ხატის სახლში შავა და აღარ მაიძლების, სანამდი ხუცესი არ გამავა წინ კარზე, რომ ერთ კაცი კარში გამავიდას; თუ გამავიდა კვალის გამაღებამდი, ჯვარ გაუწყრების და არ წავა ის იმ წელს კარგად. მემრ ხუცესი გამავა კარში, ახვეტს თოლს, ჩაიყრის ჩოკის კალთათ, დაივსებს, შამავა და ხალხიც ყველა ფეხზე წამაიყრების და მიეგებებიან ხუცესს. ხუცესი აიღებს მჯიღით თოლს და გადაამლის თავზე ხალხს და დახყვირის მაღალ კმით: „ხალხნო, მეკვლენო, აესრამც თეთრად ახყვავდებით, როგორც ეს თოლი!“ თოლი თუ ყველას არ მიეშალა თავზე, ყვირის ცალკე თითოობით ბიჭები: „კელოსანო, თოლ მიაც მამაშალევ“. თუ ცოტინა ყმაწვილები დარჩა, თოლი არ დასწვდა, იქით ისენი იძახიან: „მე თოლი, მე თოლი“, ესრ რომ ეს თოლის თავზე გადაშლა ხალხს დიდად რაადამ აჩნავ და კიდეც თავის გულში ამ თოლს დიდ წყალობად აგდებს. ამ ხუცესისაგან გარმაშლილს. მემრ ხუცესი გამავა წინ კარზე და გამახყვებიან მეკვლენი და დაიწყებენ კიდე ტოშფანდურის ტყრიალს და ლუდ-არაყების სმას. — ჰო, ის ქვე დამცილებივ: სანამდი კარში გამავლენ, ხუცესი მაიღებს კოშს ლუდიანს და ცოცოტაად დაჭრილს პურს და ჩააწყბს პურს ლუდიან კოვშში და დაურიგებს ყველას მეკვლეს. მეკვლენი ამ პურის ნატეხს უბეში შაინახვენ. ყველა შინ წაიტანს იმ ნაკურთხს პურს.

ახლა ამ დილა სოფელში რო გაიხედას, კაცი კარში ვერ ღნახავს ვერც კაცს, ვერც დიაცს, ვერც დიდს, ვერც ყმაწვილს, იმით რომ, სასამდი ეს ჯვარშიგით მეკვლენი არ მივლენ, არც ერთ სახლშიით კარზე გამასვლის ნება არ აქვ. თუ სოფლისა ვინ კარში გამავიდა წელწადდილას და მეკვლეთ ჯვარშიით ნახეს, მაშინავ შაარისხებენ და არც წავა იმ წელს ის კარგად. მეკვლეთ დიდ დავლათი აქვ. მემრ კელოსანი ანუ ხუცესი ეტყვის: „აბა, მეკვლენო, ხანი ას წასვლისა“, და მეკვლენი მასთხოენ მადლს, დაიჩოქებენ, მაიყრიან მუკლს ხატის კარზე და წამავლენ მღერით სახლისკე ყველა ერთად. ხუცესი ეძახს: „წყალობა წაიღით ჩვენის ჯვარისა, მეკვლენო! მოწამლმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ დალოცვილმა!“ მივლენ მეკვლენი თავ-თავის სახლის კარებზე და ყველას სახლში მზას დგას ორი კაცი: ერთი მიუტანს სამეკვლაოს მეკვლეს და მეორეი ას კარის უკან დამალულა, რომ მეკვლემ არ ნახას და ჯვარი არ გაუწყრას. მეკვლე რო შავა, ის წყალი დასაპარავად გამავარდების კარში, ისრ რომ, ვინც წყალს პირველად ამაიღებს, ის იქნება დავლათიანი.

წყალი ერთი აქვს სოფელს კევში და ყველა იქისკე მირბის. ახლა მეკვლე შაალებს კარს და იტყვის: „ჩემიმც კვალი კაზე დაგიჯდებისთ! წულიან-პურიან სახელ-გამარჯვებიანი! ახალ-წლის გამაცვლისად ბედნიერ წელი, კვალიმც გამაგეცვლებისთ!“ და მიაწვდის კელში კმის ამაულებლად წინავ მამზადებულს სახლში მყოფი სამეკვლაო კვერს. კვერს ერთ გვერდზე ბექედსავით ეტყობის, მოჭვრეთილია და მეორე გვერდი გლუვი აქვს. ამ გლუვ გვერდს ხქვიან პირ-ქვა გვერდი, ამ მოჭვრეთილს გვერდს პირ-აღმა გვერდი. ეს ისრ, რომ, თუ კვერი სამჯერ პირქვ მოვიდა, მაშინ უბედურობას ლიშნავს და, თუ სამჯერ პირაღმ, ძალიან კაი ას. შააგორა მეკვლემ კვერი და ორჯელ პირაღმ მავიდა, მესამედ პირქვ, ეს კიდე კარგია: უფერს კამ ერთით მაინც გაამეტა. მეოთხედ კვერის შაგორება არ შაიძლების, მარტო სამჯერ ას წესი. ახლა კიდე მეორე ცხვართ კვერია. ახლა ის მიაწვადა. ახლა მეკვლემ ცხვართ მაუარა, იქ შაულირა კვერი, დალოცა ცხვარი. ახლა მობრუნდა და მოულოცა სახლში მყოფთ და დაიწყეს პირზე კოცნა ერთუცისა. ახლა სახლის უფროსი მაიტანს არაყს და დაიწყებენ შინაურს სმას, ისადილებენ ლამაზად. მემრ თუ ვინ სოფელში ჭირის პატრონია, მამკვდარი თუ ვინ ას მოკლე ხნებში, სოფელი ამ წელიწადს დღეს ყველა იმის სახლში მივა. მიიღებს ყველა ერთ ჩარექა, ან კელადა არაყს მოსაკითხად ჯვარშიით. ხუცესი გაუგზავნის ლუდს და მთელ დღეს იქ არიან. თუ ჭირი არ ას სოფელში, მაშინ პირდაპირ ერთს სად ალაგს შაიყრება სოფლის ქალ-ზალი და კაცები ხატში, დაიწყებენ ისევ სმა-ღრეობას. მემრ ქალ-ზალს მოიკითხვენ, ახლა იქ ჩაუტანენ ლუდს. დგას ტოშ-ფანდურის ტყრიალი, ერთუცის კოცნა, ხვევა დღედაღამ, თამაშობა (ლეკური), მთელ ექვს დღე სრუ ქეიფობა და სიმთვრალე.

73

კევსურეთ უფრიან, ეშმაკიან ალაგ ძალიან ბევრკან ას. ეს ეშმაკები კაცსაც ებრძვიან და დიაცსაც, უფრო კი ქალებს; კაცებს იმოდნად ვერ სწონენ, იმით რომ ხალხ იარაღიან დადის, მაგრამ ბევრს იარაღიან ხალხსაც კელთავს ეშმაკი. მაგრამ უფრო კშირად ქალებ იკელთების, ეშმაკ თუ შეეყარ ქალს გზაზედ (ნამეტნავ მაშინ უფრო ეჩრების ეშმაკი, როსაც ბნელობის ხანი ას და თენებისა; კიდევ. შუაღამე რო დადგების, მაშინ ძალიან საშიშოი ას გზაში შაყრილ ეშმაკ), ისრ გახდის შამყრელს: დაიწყებს წარამარად საუბარს, ღამით ძილის ნებას აღარ მისცემს, ხან მძინარიც წამახტების ლოგინშიგით, ხან იარაღს დასცემს კელს თავის მასაკლავად, ისრ რომ, ვითაიც ხან გავას, იმთვენსაც მაიმატებს. მაშინ, რო ჯალაფნ გაიგებენ, დაიწყებენ გაკითხვას, წავლენ ქადაგ მკითხავთან. მკითხავიც, რა თქმა უნდა, რო გაიგებს, რაიც სჭირს. ეტყვის: „ემა-და-ემ ალაგში უფერ შახყრივასავ გზაშიავ, უფრის (ანუ ეშ-

მაკის) სულ-წამაყრილიავ. თუ ჩქარად არ მაუარეთავ, ავნებსავ“. მაშინ ადგებიან ეს ქალის პატრონ დედ-მამა; თუ ძმები წაიყვანენ ამ ქალს ჯვარის კარ, მიიყვანენ საკლავებს. მავას ხუცესი, დახკოცს საკლავებს, უწევს დროშათ სისხლს. მემრ ქალს დასომს ერთ ალაგში და შამაუვლის მირგვლიჲ დროშაით, დახჲოჭავს ქალს. მაშინ ეს ხთიშვილი დახპატრონდების ამ ქალს. იმ ეშმაკს მაშიავ მააშორებს, სახლშიაც და ველთ გასულსაც. ეს ხთიშვილ, როგორ წყემსი ცხვარს, ისრ თან-ყოლას დაუწჲებს, პატრონობას; ეშმაკს კი არ, ეს ხთიშვილი ამ ქალსთან ბუზსაც აღარ გაავლევს. ქალს მარტო ძალიან სიწმინდე უნდ, წმიდად ყოფა, რაკი ჯვარის დაკოჭვილ იქნების. ეს ჯვარები ანუ ხთიშვილები სუყველა ერთნაირ კი არ ას: ჴევსურეთში ამ უფრის ჴელობა ზოგს ჯვარს არ აქვ ხთისგან მოცემული, და ზოგებს ხთიშვილებს კი აქვ ხთისგან მალოცვილი ეშმაკთ ლაგმვა; და ამისთანა ხთიშვილში აკოჭვიებენ ეშმაკის სულწამაყრილს ქალს, რომენ ხთიშვილსაც ეშმაკთ გაძევების ჴელობაი-აქვ. დაკოჭვილ ქალს წლით თითო საკლავ (ბატკან ან ცხვარ) უნდ დროშათ სანათლავად იმ ხთიშვილში, რომენ ხთიშვილშიაც დაკოჭვილი ას.

ეს არის ქალის დაკოჭვა.

**74**

მენადირეები როსაც ჯიჴვთ სანადიროდ წავლენ, წინ-წინ თუ ნადირთ წყემსს არ შაეხვეწნეს, ოჩოპინტეს, გულში, მენადირე ნადირს ვერ მახკლავს. ეს ოჩოპინტე საფარველ-დადებული ას, მენადირე თვალით ვერ ღნახავს და, როსაც ნადირთ მიეპარების, მაშინ ეს ოჩოპინტე ეტყვის ჯიჴვთ: „აბა მაიქცენით! მენადირე გეპარებისთ“ და ჯიჴვნი მაშიავ მაიქცევიან იმ ალაგშიით, მთა-წვერთ მაენათოზებიან. ამით, საჭიროი ას, რომ მენადირემ ოჩოპინტეს ნადირობის დროს სრუ მუდამ უნდა სთხოვას გამარჯვება. რომ ჴელ მაუმართას მენადირეს. ამით. როსაც მენადირე ჯიჴვთ ეპარების, იტყვის: „ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ, შენ გეხვეწები, მამეცი ჯიჴვთ თავი, მამაკვლიე! სულნი ხო შენნია ნადირთანი?! რას მააკლდების შენთ ნადირთ?“ მაშინ ოჩოპინტე მისცეჰს მენადირეს გამარჯვებას, როსაც მენადირე ჯიჴვს გარმააგდებს კლდეშიგით მოკლულს მაშინ იძახებს: „მადლობელი-ორ შენი, ოჩოპინტეო, რო ჯიჴვი მამაკვლიე. რაც მე მოვკალ შენთ ნადირთ, ორ ამოდენიმც მაგემატების! ნადირთ ჭყემსობაიმ ნუ წაგერთმის, კლოვ მიამც კიდე შენგან ესრ ჴელიმც მამემართების! ჯიჴვებიმც გზაში ზედ შამამეყრების, კიდეგანაის წვერზეით ჯიჴვებიმც ნუ გათავდების, დღით ერთ რო მოგიკლ, ორიმც ქვე მაგემატების, ღაბერდის ეხში ჯიჴვთ ჴორციმც ნუ გამაილევის, არხოტივნებს ჯიჴვთაზე გამარჯვებაიმც ნუ მაეშლების!“

75

ზურაბ ერისთავს ჴშირად ულაშქრიან ჴევსურნი. ერთხან შაუყრავ თავის ჯარი, წამასულ საომრად ჴევსურეთ, მაგრამ არა მიუცემავ ჴ

სურთ ზურაბისად ჭირის მეტი. გარმამკდარას ფხიტუს მთისას, ოხაურზე გ. მაუვლავის, მაუსხამ თავის ჯარ როშკის გორზე, დიდ-გულად მასულას. მაშინდელ სიმღერეი ას ეს ნათქვამი:

„ფხიტუთ მავიდეს წერონი, მაშვრალნი შორის გზისანი;
როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვიტკირისანი:
ეშ ანის, დაგვეცემიან ნ.ზღობნი საძელისანი.
ზურაბ როშკის გორ ჩამაჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
სანეს შაგროვდეს ჭევსურნი: ვართ პატრონნ ადგილისანი“.

ამ ზურაბს გაუბედავის ბევრის წაღება კევსურეთით, როგორც წინაკ დაჩვეულ ყოფილას. ზურაბისად ბევრს ვერა უქცევავ, — ძალიან მეომარ ყოფილას. მარტო კევსურეთ მარტია მ სურაული, ბერდია მამუკაური, კირჩლა ბაბურდაული და ხოშურაული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქართ კელის შამქცევნი, სხვას ვერვის უწონავ.

ამ ლაშქრის მოსვლის დროს უომებავ ძალიან გუროელს მამუკა ქალუნდაურს. ეს ქალუნდაურ გუროელი თუ ზის სოფლის ძირში და თხრის ყანაში ხიფხოლას. როსაც ქალუნდაურს გამარჯვების დღე მაუიდოდ მტერზე მაშინ თუ ქალუნდაურის კმალი — ნაწილიან ყოფილას და — ქარქაშჩიგით თუ ამაიწევდ, ამით გაჰაგებიებდ პატრონს გამარჯვების დღეს. კმალ როსაც ამაიწევდ, იმ დროს ქალუნდაური სადა გინდა საქმეზე ნამყოფ გაიგებდ კმლის ამაწევას, სხონაირად გაკდებოდ. და ამ დროს ხიფხოლაის თხრაში დაზდგომივ იმნაირ ლიშანი. ამდგარ, მასულ შინ, შაუხენებავ ბოძზე ნაკიდების კმლისად და ნახევარშიამდი ამაწეულ უნახავ კმალი, უფიქრებავ ქალუნდაურს: „ნეტარ, რა ამბავიავ, სად ვის რა უჭირსავ, საისკედ მინდავ წასვლაივ?“ გაიასულ კარში ქალუნდაური, თავის სოფლელ ბაჩაყაურისად უძახებავ: „ბაჩანაო (ბაჩჰყაურს მეტსახელ, თიკუნ, ბაჩანა ხქვივნებივ), რა ამბავიავ, რომავ კმალი ასავ ნასევარშიამდი ამაგებულივ? სად რა ვის უჭირსავ, არ იციაევ, საისკე მაწევსავ ეს კმალივ?“ ბაჩაყაურს უძახებავ: „არ ვიცივ, ქალუნდაურო, მარტო, კევსურეთ კი ამბობენავ, „ზურაბის ლაშქარიავ შამასულივ“. — „აბა მეტ გაჭირება რაიღ იქნებისავ?“ უძახებავ ქალუნდაურს, „ხო იცივ ზურაბის ხასიათივ: აღარას შაარჩენსავ კევსურთავ, ჩქარა თუ არ მივეშველევ-“ ბაჩაყაურს უძახებავ: „ძალიან სიმთხილე კი გინდავ, თორე ძალიან ეშმაკ მეომარიავ ზურაბივ, მოგკლავსავ“. — „რაიც იქნებისავ, ის იქნებისავ“, უძახებავ ქალუნდაურს. „მგონავავ, რო გავიმარჯვებავ: გამარჯვება თუ არ იყოვ, კმალ არ ამაიწევდაკ“. მობრუნვილ შინ, შამასულ ჭერხოში, აუსხამ იარაღი, ჯაჭვ-ჩაჩქანი, გარმაუკდავ ბოძზეით კმალი, ჩაუგებავ ამაწეულ ქარქაშჩი, უთქომ: „აბა, ჩემო კჰალო, ეხლა შენ იცი. — რაკელც წამგვრი საქმეს!“ წამასულ მამუკა, სხვა მთასიქითლებიც წამასულან ზოგ-ზოგები. ბორბლის მთაზედ რო შამამკდარას ეს მამუკა ქალუნდაური, ჩაუხენებავ კევსურეთისად და უნახიან სანეს კევსურნი და ზუ-

რაბის ლაშქარნი. გარმამფრინდალას მაშინ ქალუნდაური სანისკე. მამუკა ქალუნდაურ ნაწილიან ყოფილას; როსაც სალაშქროდ სად გეემართებოდ, წინ მასკვლავივით თუ გაუძღვებოდ სვეტი, ანუ შუქი. მაშინაც ისრ ქალუნდაურს შუქ გასძღოლიოს წინ. ზურაბს რო ამაუხენებავ, უნახავ მთის ძირში ქალუნდაურ მომავალი, ზურაბს ალაგზე დასადგომ აღარ ხქნივ, შაშლილას, უთქომ კევსურთად: „ის რა კაც მავავ, რომ წინ მასკვლავ მაუძღვებისავ?« კევსურთ უთქომ: „ჩვენ არ ვიცითავ, რა კაციავ“. მაშინ ზურაბს აუყრავ ლაშქარი. უთქომ ლაშქართად: „ჩვენ ის კაც არას კას დაგვაყრის, თუ ჩქარა არ წავედით. აუყრავ მაშიავ ლაშქარ ზურაბს და გაქცეულ თავის ჯარით. მაგრამ ქალუნდაური ჩქარად მასწევივ ზურაბის ლაშქართ (ბეკენთ გორის ძირში წყალში ჩასწევივას), ზურაბ კი გახქცევივ, ველარ ჩაუგდავ კელად და იმის ლაშქართ სცემივ კმლით წყალში. მოუკლავ ერთი, მემრ მეორე, მესამე, ესრ რომ თორმეტ ერთბაშად მაუკლავ, მეთორმეტისად რო შამაუკრავ კმალი მამუკა ქალუნდაურს, მაშინ ეს მეთორმეტე კაც მოკლული თავით ფეკ-ალმ დაყუდებულას წყალში და ღმერთს შასწდომივ იმთვენ ხალხის ცოდვაი და ჩაუგავ კმალ მამუკა ქალუნდაურს. შაუძახნებავ ხთისად: „ღმერთო, შენ ნუ გამიწყრებივ! მეტს აღარ მავხკლავავ“ (ჴევსურეთში ძველ მეომართ ახლადაც რჯულად ას: თუ ჴმლით შუღლში მოკლულ კაც ფეჴ-აღმ დაეყუდ, მაშინ შუღლ აღარ შაიძლების, მაშინ ღმერთს შამწვდარი-ას). მაშინ ჩაუგავ ჴმალ ქალუნდაურს, უთქომ დამრჩალ ზურაბის ჯართად: „მშვიდობით, ჴელ მაგიმართასთ! ღმერთმ აღარ მამც მეტის ჴოცის ნებაი“, და ამაბრუნვილ ნაომარში, გზის პირში სამან ჩაუგდავ. უთქომ: „ვინამც ჩემ სიკვდილიდგეს ამაზე მგზავრ აივ-ჩაივლის და ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს არაყიანს არ დაღლოკავს, ამ ჩემის ჴმლის ცოდვა ეკიდას. რაც ჩემ ჴმალს ცოდვა უქნავ და კაც მაუკლავ!“ მაშინ ნათქვამი ას:

„მაუვლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი,
მამუკას ქალუნდაურსა თან მახყვეს შუქნი მზისანი,
ბეკენთ გორ ჩამაეწივა, ჴრნა ლაშქარნ ზურაბისანი,

ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი.
ვაჟამ ქნას ყველამ აესრა, ვინც ლაჴნას აეს ქვიშანი!
ვინც ამას გადასცილდების, ცოდვან ეკიდნან ჴმლისანი!“

დაბრუნვილ აქით გამარჯვებულ ქალუნდაური. ზურაბსაც ჩქარად წაუსხამ დამრჩალ ხალხი.

მამუკა ქალუნდაურს იმის იქით ბევრხან აღარ უცოცხლავ, მაუკლავ თუშებს. ამბობენ, ქალუნდაურსავ, ზურაბის ჯარ რო ჴოცავ, იმავ ცოდვა აუდგავ, ღმერთს შასწვდავ, კაც რო დაყუდებულას თავაღმ წყალში, მაგრამ ეს მართალ არ უნდა იყოს, იმით რომ თორმეტ კაცის სიკვდილ რას ცოდვას აუყენებდ. როსაც იმ დროს ჴევსურნ მეომრები ასს, ორას

კაცს ჴოცდეს? რად არ იმათ უდგებოდ ცოდვა? ამბობს ამაზედ ზოგ-ზოგ ხალხი: „ალბათ მამუკას დღეი — ხჴონდავ გათაულივ, იმით მაკლესავ თუშებმავ ბორბლის თავზედავ“.

76

ორ კვირავ არ გასულას ზურაბის ლაშქარი ჴოცისაი, მამუკა ქალუნდაურ ყოფილ სათიბზე გუროს მთაში. დაზდგომივ იქავ ომის ლიშანი. წამასულ სათიბზეით, მასულ შინ, შაუხენებავ ბოძზე ნაკიდების ჴმლისად და ნახევარშიამდი ამაწეულ უნახავ. ღგონებივ ქალუნდაურს, „აეხლადაც აისრავ გავიმარჯვებავ, რაჲელც ზურაბის ლაშქართაზე გავიმარჯვევ“ მაგრამ ანაბრივ ჴმალმაც საუბედუროდ ამაიწივ ქარქაშთით. ქალუნდაურს შაურტყამ ჴმალ, გამასულ კარში, უთქომ გულში: „ნეტარ. სად წასვლა მინდავ, სად მაწევსავ ჴმალივ?“ გაუხენებავ ბორბლის ძირში, უნახავ: ცხვარ თუ მიუდის თუშებს ორთ იმათ, შალვას და ივანეს (ეს შალვაი და ივანე თუშებში გათქმულ მეომარნ ყოფილან). წასულას მამუკა, გაზდგომივ უკენ. თუშებს რო უნახავ, უძახებავ: „მამუკავო, ნუ მახოლავ, თავს ნუ შამაგვაკლაო, გვენანებივ, კა მეომარი — ხარავ; დაბრუნდივ და ცხვარიც სრუ შენ იყოსავ, არცაღ ცხვარს წავასხამთავ“. მაგრამ მამუკას არ დაუშლავ, ღგონებივ „გავიმარჯვებავ“, არ დაბრუნვილ, თუშებს რო მიახლოვებივას, შალვას უძახებავ: „აბა, თუ არ იჯერებავ!“ ჩამაუჴლავ თოფი, მოხვედრივ ქალუნდაურს ტყვია, დაფშვენეტილ მიწაზე ცოცხალმკვდარი. მაშინ ნათქვამი ას:

„ჴმლით არ მიგიშვეს, მამუკავ, შორით მაგკიდეს თვალია,
თოფის ჰერემის ტყვიამა შორით დაგიძრა ტანია“.

ქალუნდაურ რო დაჰრილ, მიწაზე დაფშვენეტილას. მოსულან თუშები იარაღის ასაყრელად, რაჲელც რჯულად ხჴონივას ძველ მეომართ. მაშინ მამუკას ცოტაად კიდე ზდგომივას სული. სიკვდილის სულ-ამაის დროს უთქომ თუშებისად: „მარჯვენას ჴელს ნუ მამჰრითავ!“ (ჴელის ჰრა ძველად წესად ხჴონივას). ეს სიტყვებ მაშინ ნათქმები ას ქალუნდაურისები:

ჴელსა ნუ მამჰრით მარჯვენას: მარცხენა ჴელ ხო თქვენია.
ჯაჭვსა ნუ წამყრით ტანწეით: ჭვა-ჭვიშათ-მიწათ ფერია.
თოფსა ნუ ამკდით მჴარზეით: ჰაუხში ნადირთ მტერია.
ჴმალსა ნუ შამჴსნით წელზეით: ჴევსურთად კაის მქნელია“.

თუშებს მაუჰრავ მარჯვენა ჴელი, წაუყრავ ტანზეით მცურავ ჯაჭვი, წაუღავთ თოფი, ჴმალი, წასულან. თუშებში, ამბობენ, ეეხლადაც ისრევ ინახვენავ ქალუნდაურის აბჯარსავ, ხეი-აქვავ გამაჰრილივ და იმაში აქვავ შანახულივ ეს ქალუნდაურის აბჯარივ. ესრ ყოფილას ქალუნდაურის ამბავი. გუროელთ მაუტანავ, თავის საფლავ-სამარეში დაუმარხავ, რო გაუგავ ქალუნდაურის სიკვდილი.

## 77

ნეფე ერეკლეს ჴევსურნი ჴშირად უბარებიან საომრად. ერთხან ნეფე ერეკლისად გამაუცხადებავ ომი თათარს, დაუბარებავ თათრის ჴელმწიფეს ერეკლისად: „ან მამკენი შენნი ციხე-ქალაქნი თფილისისანი, თორემ 'მავს დღეს დაგაყენ̃ებავ: წამავალავ ჩემი ჯარითავ და სადილს შენს ქალაქში ვჭამავ“. ეს რომ ერეკლეს გაუგავ, უთქვამ: „უყურეთალ მაგ წუნკალაეპსავ, თათრის შვილები ეგრ მუქარას მთხოენ!.. აეხლა გამაჩინდების, ვინ ამაიგდებს მტრის ჯავრს“; უთქვამს ერეკლეს: „მაგათ მარტო ჩემნი ჴევსურნი გაუვლენ“, და დაუბარებიან მაჰიავ ჴევსურნი, თუშნი და მმაველნი. კაც გამაუგდებავ არაგვზე, არაგვის მაურავ ქაიხოსროსად მაუწერავ ბძანება, რომავ „წაედივ ცხენითავ, ჩქარად გამიგებიევ ჩემთ უჯნთ ყმათავ ჴევსურთავ!“

„ერეკლე̄ დაუბარებდა არაგვის მაურავსაო:
ცხენს შაჯედ, ქაიხოსროვო, გამიგებიე ყმათაო:
ჭირჩლას იმ ბაბურაულსა, საძელეს მეომარსაო;
მეურეს ხოშურაულსა, მთელ ჴევსურეთის თავსაო;
ბერდიას მამუკაურსა, მოკლიას ირტყამს ჴმალსაო;
ამლას ბერდიათ გაგასა, სამის თემობის კარსაო;
ყარაულს ალუდაურსა, ვეჟხვივით მეომარსაო,
მარტოდ შიბუში ნამყოფსა, ურჯულოს უჭერს თავსაო;
აჩქარდან მშავლის შვილები, ბევრს ნუ დალევენ ხანსაო;
თუშეთ უთხრიდი თუშებსა, ხეხვას დაუდგან მკერსაო“.

ეს ქაიხოსრო არაგვის მაურავად ყოფილას. ერეკლის დაბარებულ რო მოსვლივას, მაშინავ ამდგარ, თაოდ წამასულ ცხენით. ჯერ თუ'მეთ. მემრ მშავს, მემრ ჴევსურეთ მასულას, მაუგროვებავ სრულ ყველა მეომარი, დაუვლავ ქაიხოსროს ყველკან ცხენით. წამასულან ჴევსურნი, მმაველნი და თუ'შნი, ცხენდაცხენ ჩამასულან ქალაქში, ერეკლის კარზე მისულან პირდაპირ. უნახავ ერეკლის მამზადებულ ჯარი, დაუწყავ კევსურთ ყვირილი: „სად ასავ ჩვენ ნეფეჲვ? გვანახვიეთავ!“ ხალხს, ერეკლის ჯარს, ერთუცში სასაუბროდ გახჭდიოს: „ეს ხალხნ რაჭელ ხალხნიავ, რომ ჩვენ შიშით დავქრებით, როსაც ნეფე ერეკლე ჩვენთან'მავას სანახავად, ესენ კი თავოდ ყვირიან: „ნეფე ერეკლე სად ასავ?“ ამ დროს ერეკლეც გამასულ საომრად მამზადეპული. ჯაჭვ-იარაღით და ცხენით მართულ ჴევსურნ რო უნახიან, უძახებავ: „ჩემთ ჴევსურთ გაუმარჯვასავ!“ ჴევსურთ შაუქცევავ: „ჩვენს ნეფე ერეკლესაც გაუმარჯვას!“ მა'შინ უთქომ ჴევსურთ: „რაზე დაგვიბარენავ, რა გაგიჭირდავ?“ ერეკლეს უთქვამ: „ვაი თქვენს ერეკლეს! „შენს ქალაქში ვისადილებთავ“, დაუბარებავ თათრებს. ამაზე მეტ გაჭირება რაიღ იქნების?“ მაშინ წაუკაფიაებავ ერეკლეს:

„მი'შველეთ, ჩემნო ჴევსურნო, უნჯნი ყმანი ხართ ჩემნია,
ფულს მაგცემთ მაგოდენასა, რო არ ზიდევდას ცხენია“.

ჴევსურთ სწყენიოს ეს სიტყვა, რომავ „ჩვენ მეფემავ ეს რაად გვითხრავ, რომ ფულს მაგცემთავ“? ჩვენ განა ფულის გულისად ვომობთავ?“ მაშინ ერთჴმად უთქვომ ხალხს:

„თავს ვერ გაგიხრით ჴევსურნი,—უნჯნი ყმანი ვართ შენნია;
თეთრს ვინც აიღებს ჴევსური, ვინაც მახკიდას ჴელია,
გაუწყრას, ნეფევ ერეკლევ, ის სალოცავი ჩვენია!“

თავისთვი ჴევსურები:

„დეემზადენით, ჴევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
თათრების მალოდინი გვოქვ, განთ ვსხევართ ლუდის სმაზედა?
გაგვიძვეღ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა!“

დამზადებულან ჴევსურნიც და სხვა ერეკლის ჯარიც და გასულან კრწანისში. მოსულ კიდეც ამ დროს თათარი. ჴევსურნ შახვეწნივან ერეკლეს: „წინ ჩავალთავ, გაგვიშვენივ“. გაუშვიან ერეკლეს ჴევსურნი, თაოდაც ერეკლე წინ დაზდგომივ თავის ყმათ. სცემივან თათრის ჯარს თავში და ბოლოში გაყრილან. ნეფე ერეკლეს ცხენდაცხენ უომებავ, შეიდჯერ აუვლჩაუვლავ თათრის ჯარში და უქნევავ ჴმალი წალმა-უკულმ, დაუწყვეტავ ჯარი. მეშვიდედ რომ ამაუვლავ ერეკლეს თათრის ჯარისად, ნაპირში კი გამასულ და ჩახქცევივ ცხენი: ცხენს ვეღარ გაუძლავ სიმძიმისად, შვიდ ჴუთ ტყვია დაზდგომივ ერეკლეს ჯაჭვში (მცურავ ჯაჭვი-სცმივ). ცხენ რო წახქცევიე ერეკლეს, მოხვევიან თათრები, მაგრამ ჴევსურთ ჴმლით უცავ თათრებისად, გადაურჩენავ თავის ნეფე. მაშველებივ სხვა ჯარიც, ერეკლისად სხვა ცხენ მაუყვანავ.

„ერეკლეს ცხენი ჩაიქცა, ყმანი სხვას მილგვრიდიანო,
ცხენზე შასვრიან მსახურთა, ავქანტას უჭერდიანო“.

სანამდი ერეკლე კარგად ცხენზედ შაჯდებოდა, ჴევსურნი კიდეც მისულან თათრის ჯარის სანგალში. გაუხენებავ, უთქომ ერეკლეს: „ქვე ჩემნ ჴევსურნ რას ჩადიან? გახენეთა, სანგალს ეხვევიან“. მაშინ უთქვამ ერეკლეს ცხენისად:“ გაფრინდი, ჩემო ცხენო, სადაც ყმან იჴოცებიან, ერეკლეც იქ იყოს!...“ გაუქცევავ ცხენი, მისულ ერეკლე იმ დროს, რო ჴევსურთ კიდეც გაუმტვერებავ თათრების კარავი. მაშინ უძახებავ ჴევსურებს:

„ახლა სადა ხართ, თუშებო, ჴევსურნ რო კარავთ სჭრიანო?
ნადირაის ჴმლის ნატეხნი* კარავის ბოძსთან ხყრიანო.
ჴმალ ხოშურაულს გაუტყდა, ჴევსურნ სხვას გამუცვლიანო“.

ამ ომში ხოშურაულს ჴმალ შამაუკრავ თათრის ჯარის კარავის ბოძისად. მაგარ ყოფილ ბოძი და ჴმალი შუაზედ გადასტეხივ და ჴევსურთ მაშიავ სხვა ჴმალ მიუტანავ. უომებავ, სანამდი არ გაუბრუნებავ ეს თათრის ჯარი. ომს რო მასჩომივან, ერეკლეს დაუღალატებავ თავის ყმათად: გაუქცევავ ცხენი, ერთხან კიდევ ჩასტანებივ თათრის ჯარს, მაუკ-

ლავ ორ-სამი, ამაბრუნვილ, მოსულ იქავ ყმათან ერეკლე. გაბრუნებულ თათრის ჯარი, წასულ. მაშინ ერეკლეს გაუქუჩებიან თავის ყმან, ბევრნ დახჴოცივან. უფრო ჴევსურთა არვინ მამკვდარას ომში, იმით რომ ჴევსურთ სრუ ყველას ჯაჭვი სცმივ. ერეკლეს უთქვამ: „რა გინდათ, ჩემნო ჴევსურნო, რო მაგცათ: „თეთრი, თუ იარაღი, თუ რვალი?“ ჴევსურთ არაისად ჴელ არ მაუკიდებავ. უთქომ: „რად გვინდავ საჩუქარივ? განა საჩუქრის გულისად ვიომეთავ?“ მაშინ ერეკლეს მიუცემავ ზოგისად იარაღი, ზოგისად თეთრი. გამაბრუნვილან ჴევსურნი, წამასულან. უთქომ წამასვლაში ერეკლისად: „თუ კიდევ რა მაუკდ თათრებს, საჩქაროდ დაგვიბარიდი, მაშინ სათათრეშიაც აღარ დავაყენებთ“. ნეფე ერეკლესაც მადლობა გადაუჴდავ და წამასულან ჴევსურნი შინ.

77 II

ამ ამბავს უფროსები გვიამბობენ, ამის მამსწრო არვინ ვართ, ძალიან ძველ ამბავი ას, ნეფე ერეკლის დროს მამჴდარი ქისტების ლაშქარ თუ შაიყარ იარდაში (ეს იარდა ქისტების ადგილი ას. როსაც საისკე ქისტეთი თავს გაიერთებს, ამ იარდაში შაიყრებიან და იქ გახბჭობენ სალაშქრო საქმეს). შაიყარნეს ამ იარდაში, დაიბარეს ერთუცი ყველკნით ქისტემ, მავიდეს ქისტების უფროსნი ბელადნიც ყიბილაი და დოლაი. იამბეს თუ: „რაჴელ დავეცნათავ არხვატსავ?“ ყიბილამ უთხრა: „აბა, ქისტებო, დაემზადენით, ტყვია-წამალ ბევრ წამაიღით, თორე ხო იცით არხოტივნების ამბავი: თუ ტყვია-წამალ შამაგველივ, ჩვენ საქმე წაჴდების. ჰოდა, წავიდათ ჩვენ შიბუ-ღელისას, მაღალ მთაი-ას გადასავალი. მე ბევრჯელ ნამყოფი ორ არხოტ სალაშქროდ, შიბუ-ღელეზედ კა გზაი ას, იქით გავიმარჯვებთ უფრო. მთაზე დავიღამათ. ღამით ჩავიდათ სოფელში, ხალხს დაძინებულ ექნების. დავეცემით და სრუ მძინარებს თავებს გავსჭრით“. ეს ყიბილას დარიგება ქისტებს ძალიან მაეწონ და უთხრეს: „ჩვენო უფროსო, ძალიან კა იქნების, თუ ეგრ ვიქამთ. ჩვენ არხოტ გზა არ ვიცით და რაჴელაც შენ მაგიჯდების ჭკვაში, ისრ ვქნათ“ დახყაბულდა ხალხი. მაგრამ ეს დოლა ამბობს, რომ ჴდის თავისას წასვლაი-სჯობის: „შიბუ-ღელეს რომ ყარაულებ-ხყვანდან, არ გადაგვიშობენ, ჴმას გაგვიტეხენ არხოტში და ველარ გავიმარჯვებთ. თუ მე დამიჯერებთ, ჴდის თავისას წასვლაი-სჯობ: იქ არც ყარაულებ იქნების და მარჯვედ გადავჴდებით მთას“. ყიბილას არ მაზდის ჭკვაში ჴდისას წასვლა და დოლას შიბუ-ღელისას წასვლა არ უნდ. ახლა ამ უფროსთ გაუჴდა ერთუცში, გამაუვიდა საშუღლარად: „არა ეს გზაი ჯობავ არა ეს გზაივ“. და მემრ ყიბილამ უთხრა: „დოლავ, შენ თუ მაინც არ გწადის შიბუ-ღელისას წამასვლა, შენ ჴდისას წაედი. ეს ლაშქარი გავიყოთ ორად, ნახევარნი შენთან წამავიდან და ნახევარნ ჩემთან; თავ-თავის ლაშქარ წავასხათ და მემრ გაიგების, რომენ გავიმარჯვებთ არხოტ, შენა თუ მე,

ან რომენის ლაშქარნ მაილებენ ქისტეთში მტრის მარჯვენებს“. დახყაბულდეს ერთუცს, გაიყვეს ორად ქისტები და წამავიდეს თავ-თავის გზაზე: ეს ყიბილა 'მიბუ ღელისას და დოლა ჴდის თავისას. მაუდის ლაშქარი არხოტის დასაცემლად. მაგრამ ის კი არ იციან ამ მამაძაღლებმ, რომ ახლა არხოტის ჯვარი რას ამბობს, ან კიდე არხოტივნები როგორ მზას უდგან. მაშინდელ ძველ სიმღერეი ას ნათქვამი:

„დილღოს იყრების ლაშქარი, ღონდების წინამძღვარსაო,
ყიბილა გამაუძღვების, მასთხოვს სამეტოდ ჴარსაო,
დიდი ას არხოტის ჯვარი, იბომს სისხლიანს ჴმალსაო,
გამამართულსა ლაშქარსა ბადეს გახურავს თავსაო,
არ გამოუშობს არხოტა, სხვაკე აურევს გზასაო“.

არხოტის ჯვარმ რომ გაიგ, წასულა და მამდინარ ქისტის ლაშქრისად ბადე გადაუხურავ თავზე. ქისტებს გზისა ველარა გაუგავ, არეულან ერთუცაი და გადაჴრილა ეს დოლას და ყიბილას ლაშქარი არხოტის იქით ჯუთის ჴორჴმი. ჩავიდეს ჯუთის ჴორჴ და დაბინავდეს ერთკან ბნელობის ხანს და დაიწყეს ბჭობა: „აბა, ეხლა გვინდა ძალიან მამაცად შაბძოლა და ჩქარად, თორე თუ ამ არხოტივნებმ ციხე-სიმაგრეებში შაგვასწრეს, მაშინ ჩვენ გამარჯვება გაჭირდების, ციხეებშიით ძალიან ძალს გვიზმენ“. ქისტეას ღგონავ, რომ ეს არხოტიავ, მაგრამ ის კი არ იციან, რომ ეს ჯუთაი-ას და არხოტი შორად დასჩა; ხვალ დილას არხოტივნებიც მაუვლენ და იმათაც იცნობენ, თუ რა ვაჟები არიან. მივიდეს ეს ქისტები ჯუთის ახლოს, — შუღამის ხანი ას, — და დახტეს სოფლისკე, დაეცნეს ჯუთას.

„იძახეს უხანოს ხანთა: „ჯუთას დაეცნეს ბანთაო“,
შაასწვრეს სიმაგრეშია, ამტვრევენ ბოსლის კარსაო.
ეგ ქურსიკაის ნაგები ცეცხლის მაივლებს ალსაო,
ქვიტკირი მამუკაისა, ტყვიავ, დაგისრევს მწვავსაო.
„ზენ-უბან რა ამბავი ას?“ უთუათ უთხრეს ბანთაო.
ცდის ხან არ მისცეს,—ბრალი ას,—უთუათ მძაველასაო.
ზედ დასჩის კიბალაური, ჴმალზე ცდის მკლავის ჯანსაო.
რომენიც მაეწონების, იმას შასწირავს ძმასაო“.

დგას ერთი ყივილ-ჴივილი, თოფების ქუხილი, ჴმლების სტვენა, დიაცყმაწვილის ტირილ-წკმუტუნი. იბძვიან ჯუთელნი ქვიტკირებმიით, ჴოცენ ქისტებს, მაგრამ თაოდაც ბევრი-კვდების: ქისტის ლაშქარს თან ჯუთელნი ისრ ცოტანია, რომ ზღვასთან წვიმის ცვარი ას. სიმაგრეებში რო ვერ შაუვიდეს, ამ ქისტებმა სახლებს დაუწყეს შლაი და სრუ კარში გამაიღეს, რაც ჯუთელთ სახლში ქონებაი ხქონდ. ამაჴამეს ერბოიან კასრები, გამაბრუნდეს და წამაიღეს, რაც უნდოდა, ქონება თან და წამაიყვანეს ორნი ქალნი ტყვედ, თინა და მარიემი, და გამაუდგეს ისრევ იმ

გზას, რომენზედაც მავიდეს. ლაშქარ რომ მაშორდ ჯუთას, გამავიდა ეს მეთოფე ხალხიც ქვიტკიოებშიით, მაუარეს თავის სახლებს, ნახეს, რომ სრუ ნაოჯარი ას სახლ-კარი და სოფელი. გაიგეს, რომ ეს ქალნი ტყვედ წაასხნესავ. ხალხი ძალიან გაბრაზდა, გამაუდგეს კვალზე. წალალეს კაცი ართხმოს, რომ „მაგვეშველენითავ, კაც გვიპირსავ“:

„კაცი გააგდეს ართხმოსა: „რად არ გვიპერდით მჭარსაო?“
ართხმოთ წამავა ჯურჯაი, ცხენ უგავ ნიავქარსაო.
ქვეითში გილათ კვირიკა შავარდენსა ღგავ ჩქარსაო,
აივლის ფადუხის წვერსა, შახკრავს სამთრეხლოს მთასაო“.

ახლა ართხმოელ ხალხიც მაეშველ ჯუთელთ, მიზდევენ ქისტებს ოფლით მასვრილები, ისრევენ თოფებს. მიუდის ამ მამაძაღლებს ქალებ ტყვედ. წკმუტუნებენ ეს საწყლებ ქალები და გამახედვენ თავის ხალხს და ამბობენ: „ნეტარ, რას იქმენ, ვერ დაგვიჴსნიანაევ?“. ამ ჯუთელთაში ძალიან მეომარი ას თოთელი, მიზდევს კვალზე და ისრევს თოფს, მაგრამ ქისტები არც მაინც წირვენ ტყვეებს. ახლა ეს ართხმოთ გილათ კვირიკა სამთრეხლოს მთაზე შამჯდარი ას, ზის, უცდის ლაშქარს, ამბობს: „აქ არ გინდათა მასვლა, ცხენის მჭამლებო? საისას წახოლთ, ხო ამაჯე შამაჴდებით? დედანიმც ნუ მიტირებენ. რახან ეგ ქალებ თქვენ ღილღოს წაგაყვანივათ!“ ახლა ჯუთელთ ერთ კაცი არხოტ გააგდეს მაცნედ. მაცნემ არხოტ გააგებივ, „მაგვეშველენითავ“. არხოტივნებმ აისხეს თოფიარაღი და დადგა ბიბინი მთისკე. ზოგემ მთა შაუკრა, ზოგნი ჯუთელთ ლაშქარში ჩავიდეს. გაბურთ იონამ ჯვართ ჭორჭი შაუკრა, იქით ეომ ქისტის ლაშქარს. შიეწივა წვერის ძირში და მკვდარი მკვდარზე შაყარ. მამინ ნათქვამი ას:

„ჯვართ ჭორჭ იონა შაბრუნდა, გაბუურისძე ჭარია:
წელთ სხავ ჩაწკლუაები, ოხნა არ უყვარს ჴრელია.
წვერის ძირ შამაეწივა, ჭალას გამუდის მკვდარია.
ნაჭოცსა იონაისას რად სახელობდით სხვანია?
რა უჴდებოდა სახელი, ჭიმლას არ უვლავ ქავია“.

ეს იონა ომობს ჯვართ ჭორჭის ღელეში და სხვა ჯუთელნი ბოლოზე მიზდევენ თოფების სროლით. მთას რომ შესჯარდეს, თოთელამ დაუწყ ქალებს ყვირილ: „ჩვენსკე წამადითავ, გამაიქცენითავ“. მაშინ თინა წამავიდა ობოლით ჯუთლებისკე და ქისტის ლაშქარს რო ჩამოსცდა და ველარ დაიჭირეს, ერთმ სულძაღლმ ქისტმ დამბანჩა ესრივა და თინას ტყვია მახვდა მჭარში და გამაგორდა მკვდარი თავის ხალხში. გაბრაზებულს თოთელს ამაუდუღდ გული, შეეტან იმის მამკლავს და ჭმალი შამახკრა კისერში და ისიც თინასთან გაგორდა. თან უთხრა თოთელმ: „ეგ გინდა, ცხენის მჭამელო! ქალზე იკმარე განა თოფი? ახლა მანდ დაწევ, სულძაღლო!“ იწევს და იწევს ქისტები მთისკე, უნდ. რომ მთაზე შაასწვრან და იქით ზარალს აღარ ღნახვენ. ახლა ამ ბრძოლაში ეს ბე-

ჩავი მარიემი გამაექცა ქისტებს. გამოხყვ კვალზედ ქისტი, დაიჰირ და მასჰრა გულზე ვერცხლიან ფარაგი და გამაუშვ. ეს ქალი წამავიდ ტირილით და გულზე იფარებს ფაფანაკის კალთას (სცხვენის თავის ხალხთან) და ჩაწვა, თავის ხალხსთან რო მავიდ, პირქვ ტირილით. თოთელმ დახყვირნა: „რა გატირებს, მტრის ძალ გვადგას, რა გარცხვნის, შე ბეჩავო?“ წაიყარ თოთელმ თავის პერანგი, გადაუგდ ქალს: „აჰა, ეგ ჩაიცვი, ნუ გცხვენიან, მტრის ძალი ას“. ქალმ ჩაიცვ პერანგი. დაიფარ ტიტველ გულის პირი. თოთელმ კი ტიტველ გულ-მუცელზე ჩოჰა ჩაიცვ და დაისარტყლ ზედ და გაუდგ ისრევ ქისტებს. და მაშინ ნათქვამი ას ეს ლექსი:

„თოთელ წაიყრის პერანგსა, „აწ ეგ ჩაიცვი, ქალაო!
ნუ სტირი, ნუ გედარდების, გვადგას მტრისაგნივ ძალაო“.
ქალმა ჩაიცვა პერანგი, ცრემლები გადმაყარაო,
თოთელმ ჩოჰაზედ ისარტყლა, მტრისაკედ მკრები შალაო.
სისხლის კვალ მიზდევს ქისტებსა. გზები სრუ გაისვარაო.
არხოტის მთაზედ, ამბობენ, არწივებ შაიყარაო.
თეთრაულთ იონეულმა გულს დარდი აიშალაო,
ლაშქრისკე გამაემართა, ქორებულ მკრები შალაო,
სამთრებლოს ძირში, ღილღველო, მკვდარ ჰალას ჩაგიტანაო“.

მამაერტყა არხოტით მასულ ხალხიც. თეთრაულთ იონეურმ სამთრებლოს წვერის ძირმი მაასწვრ ერთ ღილღველს, რომენიც დამჯდარიყვ და ერბოიანთ ქუბდეთ ჰამდ, ჯუთით წამაღებულით. ერთ სხვა ამხანაგი-სტანავ. ესრივ თოფი და ქუბდეთ ნათოზი თავზე გადაადინ, ერთი კაცი იქვე მაკლ. ახლა ეს ხალხი შაჰქდა მთაზედ და გარმაუხტა ეს გილათ კვირიკა და მკვდარი მკვდარზე შაყარ, ისრევს თოფს მშვილდ-ისრებულად. ჩამეფინ ისრევ უკენ მთით ეს ქისტის ლაშქარი, გადახყვეს არხოტისკე სიმაგრე-კლდეებს. გადავიდეს ცირცლოვან და ერთს მაგარს სიმაგრე-კლდეში შაჰქდეს, სადაც მარჯვედ მისავალ აღარ იყვ ჩვენ ხალხისაი. ახლა გატყდა ყველკან სოფლებში ჰმაი, მაგროვდეს ყველა არხოტივნები. ბერდიათ გაგამ რო გაიგ ამლას, შახკაზმ თავის ლურჯა და ვამაზდეზ იქისკე, სადაც ქისტებ იყვ დაქუჩებულ.

„შამარბის გაგაის ცხენი, ოთხთავ· ანათებს ნალთაო,
მაღვერდის მაგის მკედარი: „დაონახევრებ ჯართაო“.
მერცხალისშვილის კირიმი არხოტში ჩახყრის ჰმათაო,
გაგაის ქომო ხანჯარსა დაუმტვრევს სპილოს ტარსაო“.

შამამავალს გაგას მერცხალიშვილმ ესრივა თოფი, დახკრ ხანჯრის ტართ და გაგა კი გადარჩ. მოქუჩდეს ყველა არხოტივნები, მიუდგეს იმ კლდეთ და ეძახიან ქისტებს: „სად წაგვიხოლთ?“ მავიდ ამ დროს ფუნჩათ მინდიაი, უთხრ არხოტივნებს, რომ „მე ავალ ქისტებში. თუ ღალატ სწადიან, მე მამკვლენ. და მემრ თქვენ იცით! თუ არა და, ყველა იარაღს

ჩამოვართომ და მოვიყვან ჴელად ყველა ქისტის ლაშქარს". და წავიდ ფუნჩათ მინდია. ძალიან დაწონა კი ას, რომ ერთ მარტო კაც მიოს მთელ ქისტების ლაშქრის ჩამასაყვანად. რომ მივას, ერთ ქისტმ სამჯერ დაუსხლიტ მინდიას თოფი და მესამედაც რო არ გაუარდ თოფ, კლდეთ გარმაალეწ და მაშინ თქჳა ფუნჩათ მინდიამ: „დამიცადე, ძაღლო, მალე შაგანანებ მაგ ჩემ თოფის ლიძნებას! რა მინდია ვიქნები, თუ შენ ჩემ ჴელით ვერ მოგჭრა თავი?" მივიდა მინდია. უთხრა: „არ დაგჴოცთ, ჴელად მაედით. გვეყვ, რაც ერთუცი ვჴოცეთ. ჩამახყარ იარაღი და მაუდის ქისტებ. მაინც კი სად წავლენ ქისტები? სათავეზე სალ კლდეჲ-აქვ, ბოლოზე და იქი-აქათ არხოტივნებია შამახვეული. ჩამაასხა მინდიამ ლაშქარი კლდიდან, გადაიკიდ მჴარზე ეს ქისტების აბჯარი.

„წინ ფუნჩაისძე დაუდგა, ჩამაიყვანა ლაშქარი,
გარდუკიდებავ მჴარზედა, მააქვს ქისტების აბჯარი,
ამბობდა: „უნდა დაგიდგათ, ქისტებო, ძაღლის საცვარი".

ჩამავიდ თავის ხალხსთან, ჩამაიყვან ქისტები, ჩაიყენეს შუ-და-შუ და წაიყვანეს. ჩაასხეს ლაშქარი ახიელ და იქ დააქუჩეს. არხოტივნებს არ უნდა ნების-ნებას იმათ დაჴოცა, იმით რომ ტყვის მოკვლა ჩვენში დიდ სირცხვილი ას. ამბობენ, რომ „ვიყვანიოთ ტყვედ, სანამდი მძიმე საჴსარს არ მაგვიტანენ ქისტები". ამ საუბრის დროს (გაუწყრ ღმერთი!) ერთ ქისტმ, — ხანჯარ ხქონივას დამალული, — გაისო ჴელი და ამ ჩვენებურს დასც. მაკლ და გაჴდა ჴმალ-ხანჯრების პრიალი. დაერივნეს არხოტივნები და გასჭრეს სამოცს ქისტს ერთბაშად თავი. დაყარეს მკვდარი არხიელის ძირ, — კიდევ დამცილებივ: „უშიშა ოჩიაურმ მოკლ ქისტი ყვარის წყალზე, უთურგიათამ ჭიმღის მაღალ დახარჯ თავი, — ახლა ამ ქისტებს რო თავები გასჭრეს, ეს არხოტის წყალი წითელ წავიდ, რომენიც ჩადის ქისტებზე, და ამბობენ ქისტები, რომ „ჩვენი ხალხი არხოტივნებს სჭრიან თავს, რომ წყალი წითელი მავიდავ". ის კი არ იციან, თუ არხოტივნები სჭრიან თავს ქისტიშვილებს.

„ბერები ჭომო-ციხლები ამახედევდეს მთათაო,
მოვიდა წყალი წითელი, შინჯვენ არხოტის წყალსაო.
გაგვიგვიანდა ლაშქარი, არხოტ თუ სჭრიან თავსაო".

არხოტივნებმ ეს ქისტები დათარეს წყლის პირში და იქ დაყარეს. მემრ მაუტანეს ქისტემ საჴსარი, წამალალეს სხვადასხვა მჴრის ქისტები შუაკაცად, რომ ეს მკვდრები დაეხსნა. მაუტანეს რვალი, ნარჩევ იარაღი. ქისტემ სთხოვეს: „მოგვეცით მკვდრებივ" და არხოტივნებმაც მისცეს ნება და წაათრიეს თავის მკვდრები, ჩაიღეს თავის ღილღოს.

მას იქითაც ბევრჯელ მაუჴდ არხოტიონთ და ქისტებს ერთუცის დაძგერება, მაგრამ არხოტიონთ ბევრ ქისტ ჩააძმარეს უდროვოდ. ეგ უნდ, არ სჭარბავ ცხენის მჭამლებს!

78

ერეკლის მეფობის დროს იყვ. ეს საქმე. სამნი ძმანი, სახლის კაცები გაბურნი: ბერდია, ხომიზურაი და იონა გაბურები წასულან სანადიროდ შიბუს უჴოცავ ნადირი. დღისით თუ ნადირობენ და ღამით ეხში მადიან. ერთს წუხრას თუ დადგეს ღაბერდის ეხში, რომენ ეხსაც ქისტები მომიჯნედ ხყონ დადგეს თუ იმ ეხში და ადუღეს და შაწვეს მწვადები ახალი ჯიჴვის ჴორცისა და ჭამეს პური და დაწვეს. შუაღამე რო იქნა, გაიგონეს, რომ საითაცაღ ახლოთ ქისტური ლაპარაკი მადის. უთხრეს ერთუცს, რომ „ეს ამ დროს ვინ ხალხი ქოთობსავ?“ ხედვენ, რომ საუბარი თანდათან მრავლდების, არც ერთი ორის ჴმაი ას. რაიღ გავაგძელა? კიდეც ამ ღაბერდის ეხს შამაეხვივა დაუთვალავი ქისტის ლაშქარი. როგორც ეტყობის, ამ ქისტებს დღისით, როსაც ეს გაბურები თოფებს აჴლიდეს ნადირთ, იმ დროს გაუგონავის ქისტების ყველა სოფელში თოფის ჴმა და შაყრილა ლაშქარი და წამოსულა. ახლა ხო შამაეხვივნეს ღაბერდის ეხს და დაუწყეს ყვირილი: „ვინ ხართავ ეხშიგავ? კარზე გამაედითავ!“ გაბურთ ერთმანეცს უთხრეს: „თოფებ ვესრივათავ“, მაგრამ ისიც არ დაუჯდა ჭკვაში. დაუწყეს საუბარი ქისტის ლაშქარს: „რა გინდათავ, რაად მახვედითავ?“ ქისტები ეუბნებიან: „თუ ჴელად მახოლთ, ხომ ისი-ას და, თუ არ დაგვნებდებით, აეხლადავ დაგჴოცთ. ხო ხედავთ ამთვენს ქისტის ჯარს, სამი კაცი რას გაგვიჴდებით?“ გაბურებს ერთ გული ეუბნების: ჴელად ნუ მივალთავ“. მაგრამ რას იქმენ? ქისტებს შამაყენებული თოფები უჭერავ ჴელში. ჴელს-რო გაშჩუჩვენ ეს მენადირეები, ქისტები მაშიავ თოფებს დააშლიან და თქვეს: „გავხყვათ, ხო მაინც გვჴოცენავ“ და მივიდეს ჴელად და ჩაიყენნეს ქისტის შვილებმა შუ-და-შუ და მიდიან ქისტეთისკე და ფიქრობენ: „ისრ კი ნუ დავიჴოცებითავ, რომ ჴელ ვერ გამავიღათავ, უნცროსი ვერ გავიძღოლათავ წინავ“. მივიდეს ქისტის სოფელში და მეეგება გახარებულ გულით ქისტებს ჯალაფობა და სოფლელები.—ჰო, ის ქვე დამცილებივ: სოფლის ახლოს რო მივიდეს, ერთ დიდ ყინვარს სალ კლდიანს გზას გაუდგეს და ამ ერთმ გაბურთამ ჩუმად წინ ნადგომს ქისტს ხჯრა წიხლი და შააგდა ყინვარზე და იქით გაქანული ქისტი ჭალაში ნათოზდამტყვრალი გავარდა. ქისტებმ კი ვერ გაიგეს, ეგონა, თუ ეს ქისტი თავოდ დასხლტა ყინვრიან გზაზედ. ხუთი-ექვსნ კაცნი ქისტები იქ წავიდეს, მოკრიფეს ეს თავის მკვდრის დანაგაბრებული ჴელ-ფეჴი და წამოიღეს შინ. ახლა რომ ქისტის სოფელში მივიდეს, მოვიდეს ყველა სოფლელები და ულოცვენ ქისტებს გამარჯვებას, რომ ეს არხოტივნები ჴელად მაგიყვანავთავ. მიიყვანეს ეს უთოფ-უიარაღო გაბურები და ჩამოსხეს ერთს ალაგში. უაზრებენ ქისტები და ერთუცს ეუბნებიან: „ალახ, ალახ, მაირ ნახ ბი“ „ღმერთმანი, ღმერთმანივ, კაი ხალხიავ“). ახლა თქვეს: „რა უყოთავ, დავჴოცნათაევ.

თუ ტყვედ ვიყონიოთავ?“ ერთი ქისტის უფროსი მოლა წადგა და მააჴსენა ხალხს: „ამათ დაჴოცის მეტი არა იქნების; ესენ თუ არ დავჴოცენით, დაგვექცევიან. რა გვაშინებს? დავჴოცნათ! ამათ გვარისა ხო აღარვინ რჩების, რომ სისხლის ასაღებად მოყოლა დაგვიწყან? ამათ თუ ვინ შვილები დაშჩების, სანამდი ისები დაიზდებიან, მანამდი ან რა იქნება, ან რა“. ერთი ქისტი ეუბნება: „მადი, ქისტებო, დამიჯერეთ, ნუ დახჴოცთ, თორე არ შაგვჩების. მაგათ კიდე ვინ გაეზდების ისეთი, რომ მაგათ ფერი იყოს“. ამ ქისტს ყველა ქისტები გაუჯავრდა: „შენ როგორ თუ მაგას ამბობავ? ამათ და ოცის მეტ არა ეშველების. შენ ის ხო არ გინდა, რომ შენაც ამათან ძაგკლათ, რო ამათ ეწევი?“ რაიღ იქნების? ყველა ქისტები, დიდი და ცოტა, კაცი და დიაცი, იძახს: „დაჴოცენითავ!“ რაიღ ბევრი გავაგძელა? ამ სულძაღლებმა ქისტებმ გაიყვანეს ეს უიარაღო სამი კაცი და დაჴოცეს თოფებით.

ახლა ამ გაბურთ გკარეულობისა არვინ დარჩა. მარტო ამ ხომიზურაის შვილი დარჩა ყმაჭვილი სამის თვისა და დედა იმისა. სხვა გაბურთ მამაში არც დიაცი და არც კაცი ას. ეს დედა-შვილნი არიან მარტონი. დედას ხქვიან სახელი ნანუკი და შვილს აბაისძე. ეს ნანუკი ახიელით ბაკათ ქალია და გაიგესა თუ არა ბაჴათ ჯაბუშანურთ, რომ ჩვენი სიძე და იმის ძმა-სახლისკაცებიკ, ქისტებმ დაჴოცესავ, ადგეს და ეს თავის და ნანუკი და დისწული იბაიხძე წაიყვანეს თავის შინ, რომ ეს სამის თვის ყმაწვილი აღარვის მეეკლა და სრუ არ გაეტიალა გაბურთ ჩამამავლობა (იქ ბაჴათ შიმით ახლოს ვერვინ გაუვლიდა). მამინ არჩიეს ჯაბუშანურთ, რომ „ამ ყმაწვილს ან აქაური ხალხი გვიღალატებს და ქისტები მოგვიკვლენ, რო გაიგებენ, გაბურთ ყმაწვილი დასჩავ“ და ურჩიეს თავის დას ნანუკს, რომ „ეს ყმაწვილი წავიყვანათ ქისტეთძი და, რო მივალთ, შენ უთხარი: „ქმარ-ქმრის იმებიც ხომ თქვენ დამიჴოცეთავ და ეს ყმაწვილიც შაკალითავ“, გადაუგდი და მემრ ქისტები გაზდიან მაგ ყმაწვილს, აღარ მახკვლენ“. დედას რა თქმა უნდა, მაეწონა მამისსახლის დარიგება. ადგეს და წავიდეს ქისტეთში ეს დედა-შვილნი, და ოთხნი ჯაბუშანურნი გახყვეს იარაღით მართულნი და მიდიან ქისტების სოფლისკე, უნდა ეს ყმაწვილი იქ გაუწირან და ეს თავის და ნანუკი ქვე წამაიყვანან. ამაზე ნათქვამია სიმღერე გაბურთად:

„დალევა გაბუურთაი, ღმერთო, რა დიდი ბრალია!
გაიგეს მაკეთეებმა, შორად გაიღნეს გზანია“.

მივიდეს ეს ჯაბუშანურნი ქისტის სოფელში და ამ ნანუკმა ეს ყმაწვილი აბაისძე დასვა ერთ სახლის წინ, სადაც ქისტები იყო მოქუჩებული ამათ მისვლაზე, და უთხრა: „ქმარ-ქმრის იმებიც თქვენ დამიჴოცეთ და ამაგის მეტი აღარვინ დარჩა და ეგიც თქვენ მოკალით!“ დაათავა თუ არ ეს სიტყვა, მაშიავ ქისტებშიგით ორი ქალი გამაერჩივა და აიყვანა ყმაწ-

ვილი ჭელში და უთხრეს ქისტებმ დედას: „რაკი ეს საქმეი ხქენ. აქამდი მაიყვანე, ეხლა ჩვენ ვიცით, ან მავხკლავთ და ან გავზდით. ეხლა თქვენ წადით ავ“, და თან უაზრე ენ ამ დედა-შვილთ მიმყოლ არხოტივნებ ჯაბუშანურებს (და თითო-თითო ვეფხვ ვით ოშკაკია), თან იმათი შიში ჩაუვარდა, რომ ეს აბაისძე იმათ დისწული ას. გამაბრუნდეს ეს ჯაბუშანურნი და დედა ყმაწვილისა, მაიყვანეს ეს თავის და ნუნუკი მამისსახლში და ას იქ.

ეს აბაისძე იზდება ქისტებში. ახლა ზოგმა გულძაღლმა ხალხმა დაითვისა ადგილები გაბურთი. ზოგი ამბობს: „ეს ჩემი ფული ემართავ“. ზოგი რაში იჭერს, ზოგი რაში და ეს ნანუკი სრუ სწავლობს, რასაც ვინ შვრების და ილოცავს ღმერთს თავის გულში. ხალხი ფიქრობს: „ესია, გაბურთობა მორჩ“, იჭერს დასწრობაზე მთა-ბარს და ტყე-ველს. მაგრამ ის როდის იციან, რომ ის აბაიზძე იზდება და იქნება ისევ ადგილის პატრონი. იმაზე ას ეს ნაჟქვამი.

„ისევ იზრდების მგლის ლეკვი არწივთა ნაბუდვარშია,
დედა მკლავთ უპოხს მალ-მალე დილ-დილა თითბრის ჯამშია!
შვილი ხკითხევდა დედასა: „რაად ორთ გასაჭირშია?
ან მამ-ბიძაებ სად მყავის, მარტო რაად ვარ ხალხშია?“

ახლა ამ აბაისძეს წელწადში ერთხან მაიყვანენ ქისტები, ამ ყმაწვილს, დედასთან (თორმეტნი ქისტნი მახყვებიან თან), სამი-ოთხის დღის იქით ისევ წაიყვანენ თან. ესრ რომ ეს გაბური დავაშკაცდა. რო იქნა ოცის წლისა, მამინ მოღგვარეს დედას ნანუკს და უთხრეს სოფლელებს, რომ „ეს კაცი არვინ მახკლათ, თორე სრუ გაგატიალებთ“. ხალხს, რა თქმა უნდა, ძალიან სწყინს აბაისძის მოსვლა, რომ ხალხს აღებულს მამულებს ისრევ წაართომს. ახლა ამ აბაიზეემ რა იცის, თუ როგორ იყო იმის საქმე (სამის თვის ყმაწვილი წაიყვანეს ქისტებში), და დედამ ნანუკმ ასწავლა სრუ თავის მამული მთა-ბარი. აბაისძემ შაიდვა დროშა მჭარზედ და ისე დაუარა ადგილა. დაიბრუნა თავის მამული, რაც დედამ ასწავლა და ბევრი კიდეც მაშჩა ხალხს. ახლა ამ აბაისძემ, რა თქმა უნდა. ყველა ამ დედისგან გაიგა, თუ რაგორ დაუჴოცეს მამ-ბიძაები ქისტებმ. მიხყვება აბაისძე და ჴოცს ქისტებს და რიგში. საქნარ ბი, თავის მაკლულ ქისტისაში, ისრევ თავოდავ დავას. ქისტები ეუბნებიან: „აბაისძეო, ვერ გაგვიგებაევ, ვინ გვჴოცსავ, რო თესლი დაგვილივავ ქისტებსავ?“ აბაისძე ეუბნება: „არ ვიცივ“. ის კი არ იციან, თუ „ეს აბაისძეჲ-გვჴოცსავ“. ეგრე რომ აბაისძემ თავის მამ ბიძაებს სრუ იოგის თავად მასწირა თითო კაცი ქისტი. მემრ მაიყვანა, ითხოვა ქალი, დაიწყა მშვიდობით ცხოვრება და მის ჩამამავლობა დღეს გაბურნი არიან, ღთის ძალით, ცამეტი კაცი და მასთან დიაც-ყმაწვილი. ეგ იცის ღმერთმ. კაცმ კაცისად არ უნდა იფიქრას, რომ „ესრ მავღგვრივ“. ულთოდ არა იქნების. ხალხს ეგონა, გაბურთობა აღარ იქნებისავ, მაგრამ დაილოცას ღთის სამართა-

ლი, რომ ღმერთმა არ გაგვათავენა და მოგვცა კიდე ცოტა ძალი. მეორე, ეს ჯაბუშანურთ ნაქნარი სიკეთე უნდა გვაჴსონდას სრუ გაბურთ ჩამამავლობას, რომ ნახევარი ჯაბუშანურთგან ორთ დღეს გაბურნი. მათ რომ არ ეპატრონა თავის და-დისწულთად, ვინ იცის, ვინ დახჴოცდა? მათ შიშით ხალხიც განზე დადგა, რო ნახეს, რომ ჯაბუშანურნი არ შაარჩენდეს სისხლს მის მამკლავს.

79

სისხლის წვიმის დროს, როსაც ნეფედ ყოფილ ერეკლეი, მაშინ ალუდაურ გაბური დაუყენებავ ნეფე ერეკლეს ყარაულად შიბუს ჭალას. ყოფილ ყარაულად ეს ალუდაური სამს წელს. ცუდ კაც არ უშობავ გზაზედ, უბილეთოი (ვისაც ბილეთ არ ხქონივ), არც ღილღველ, არც ჴევსურ. ამ ალუდაურს ჴშირად უვლავის ნეფე ერეკლესთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც ვეფხვს მახკლევდ. სიხარულით თუ ჩაუტანდ ერეკლეს ვეფხვის ტყავს. ერეკლე ნეფეს ვეფხვის ტყავ ძალიან ხყვარებივ, ბევრ საჩუქარიც უძლევავ ალუდაურისად. ზოგ ქაღალდები (ერეკლის ნაძლევ ბეჭდიან ქაღალდებ, ზოგ რაისა, ზოგ რაისა) ეხლადაც იქავ ას ალუდაურისად ნაძლევები, დამრჩლები. ამ ალუდაურს დღისით უნადირებავ. ღამით ყარაულად მდგარ შიბუს ჭალას. ერთხან საჴარის ჩრდილში ვეფხვს შალვარდნივ ზედ. ძალიან შამალმბივ ეს ვეფხვი ალუდაურს. სანამდი მეხუთე არ დაუკრავ თოფი, ვერ მაუკლავ. მეხუთე ტყვია შიგ შუბლში მოხვედრილას ვეფხვს და გადმაუგდავ კლდეთაზე. ეს სიმღერე მაშინდელი ას დამრჩალი:

„ვინ ღბრუნავ შიბუს ჭალასა დილაადრიან მწკალხედა?
ვინ ხყვები სიმაგრეებსა, მოყმევ. ვინ უვლი თავზედა?
ვეფხვი ვ ნ მახკალ საჴარეს, ვინ ჩახყევ სისხლის კვალზედა?
ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?
„იქნების ალუდაური, უდგან ლოგინნი მთაზედა.
იჭერს ღილღველთა, ჴევსურთა, ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა.
დღისით დგას ყარაულადა, ღამით ჯიჴვთ უვლის მთაზედა,
ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავას ერეკლეს კარზედა“.

ამ ალუდაურს, რა თქმა უნდ, რომ ეს ქისტებიც გაუცნავ, ქისტებიც კაად ხყონივან. სტუმრადაც მადენილან ამ ალუდაურსთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც თოფის ჴმას გაიგონებდეს. ქისტებ ეტყოდეს ერთუც, „აბა, აეხლა წავიდათ, ალუდაურ ჯიჴვს მახკლევდ, ჴორც ექნების“. წამავიდოდეს ეს ქისტები. ალუდაურიც, რა თქმა უნდ, კარგად მაუვლიდ. ხქონივ ესრ ერთუცსთან გაცნობა.

ამ ალუდაურს ერთი ძმის მეტ არვინ ხყვანივ, მარტო ორნ ძმან ყოფილან, ალუდაური და იონა. ამ იონასაც ჴშირად უვლავ, ცნობილ ქისტებს. სამი წლიდგეს ამ ალუდაურს თავ გაუნებებავ ყარაულობისად. მოსულ შინ, ყოფილან ორნ იმან ერთად, ალუდაურ და იონა, აი, ერთ-

ხან ქისტებს როგორ ღალატ გაუბედავ იონაისად. ერთხან მაყრილან ქისტები, უთქომ „იონა აგებ მავკლათავ“. წამაულალავ ერთ ღილღველი, სახელად ხამფია. უთქომ: „შენ მატყუებით წამაიყვანიდი!“ პირობა მიუცავის. საყარაულოჲ ხქვიან აეხლადაც იმ ალაგს, „იმაში ჩაუსხდებითავ, — უთქომ ქისტებს, — „რო მახოლთ, თოფებს დავაყრით, მოვხკლავთ“. წამასულ ეს ხამფია, მასულ ალუდაურ და იონაისას, უთქომ იონაისად: „ქისტეთ წავიდათავ, ჩვენ ხალხიც დაწუხებულიავ, დიდ ხანიავ, აღარცად გაგივლაო“. წაუყვანავ. იმ საყარაულოში რომ მისულან, უთქომ ხამფიას იონაისად: „გადაიარე, მაგეწევი, ჯღნის ბაწარ გამეკსნ მე ემას გავიკეთებ“. დამჯდარ ხამფია, გადაუვლავ იონას. საყარაულოში რო მისულ, კლდეთ თავ'ჴედ, დაუშლავ იმ დროს თოფებ ქისტებს, მაგრამ ღმერთს უშველავ: იონას არც ერთ ტყვია არ მახვედრივას. გადამფრინდალ კლდეთ, სცემივ ქვიშათ, გავარდნილ წყალს, ქისტებს უთქომ „მგელ გაიქცავ. რას მივზდევთავ? ჩვენ მაგას ველარას დავაკლებთავ“. მოსულ ეს იონა შინ, უამბობავ ალუდაურისად: „ესრ მიყვესავ, ხამფიამ მზირთაზე შამაგდავ“. მაშინ რა თქმა უნდ, რო ეს ძმან ძალიან დაჯავრებულან. მაშინ ეს ხამფია ძალიან შაწუხებულ: „აეხლა მე იონაი და ალუდაურ მაუკლავს არ გამიშობენავ“. უთქომ ცოლისად: „უნდა წავიდავ, შინ ღამით მივიდავ. ალუდაურს შავეხვეწებივ, აგებ შამარიჯასავ ძმას იონასავ“. ცოლს ხავიწიან პალის კვერა მიუცავ. ჩაუდოვ ჯიბაში, წამასულ ეს ხამფია. ჰიმღას რომ მასულ, ის პალის კვერა ისევ თბილ ყოფილ, ერთის დღის სავალ გზა ისრ ჩქარად გარმაუვლავ! მასულ ჰიმღას, სოფლის პირში შალანში ჩამჯდარ. იონაი და ალუდაურ ბანზე თუ სხენ. გახედავს ეს ქისტი ხამფია. უფიქრებავ და წამამდგარ. გაქცეულ პირდაპირ ხამფია, დაუყვირნებავ: „ალუდაურო, მიშველევ, შინ შამახვეწილ მტერი ორავ“. ეს იონას რო უნახავ, შასულ ჰერხოს, თოფისად დაუცავ ჴელი. ხვედრივ ძმა ძმას, არ დაუნებებავ თოფი: „სირცხვილიავ. კაციავ შინ შამაგვეხვეწავ“. ეს ხამფია კიდევ მისულ და შასულ ალუდაურის და იონაის ქვიტკირში შინ. მემრ ალუდაურ ხვეწნივ იმას, როსაც იქნებოდ, მაუქცევავ, მაუყვანიან ერთად ეს იონაი და ხამფია ალუდაურს, შაურიგებიან. მარტო ის კი უთქომ: „თუ კლოვ მაგიჯდ, მაუკლავს არ გაგიშობთ, აეხლა კი შინ შამახვეწილი ხარ“. ხამფიასაც დაუწყავ: „მაპატიევთავ, მავსცდით ხალხის ენითავ“. შარიგებულან. გაუშოვ შინ ხამფია ისრევ ცოცხალი.

## 80

სამოცის წლის საქმეი-ას ესი.

ახალა ჯაბუშანურმ დაუჴოცნა შვილნი, ორნი. აჴდოლა ქისტს, გოშტიკაურს, ქისტეთში, და ამაზედ შაუყრავ მზირი აჴდოლას და წამასულა არხოტ სამზირლად და ჩაუსხამ თავის მზირი არხოტის ჭალას, ჯარაის

წყაროსთან, რომელზედაც არხოტივნებს საზოსლო ტანიეს სავალი გზაი-აქვ და ხე-ტყეს იქით ზიდვენ, რაიც დასჭირდების არხოტივნებს. ახლა ამ დროს ჭიქლით ალუდაუოი და მინდია, იმანი, წასულან არხოტის ჭალას ხეების საჭრელად, — ხეები უნდა მეემზადა სახლისად. ალუდაურმა და მინდიამ დილა მალედ ლაჰიანად ჩაიდვეს საგძალი, აისხეს თოფ-იარაღი და გაეპართნეს ჭალაისკე. ჯარაის წყაროს რომ მივიდეს, დადვეს ბინა და დაუწყეს ხეებს პრაი, ორთავ ძმათ, და დაიწყვეს გვერდი მარჯვეს თოფები. სჭრიან ხეს და ცულის ჴმა მთა-ბარს მიდის. აჴდოლას მზირთა, რა თქმა უნდა, რომ, როგორც მივიდეს ეს იმანი. მაშივ ნახეს და ის კი არ იციან, თუ ვინ არიან, იმათ მესისხლენია, თუ არ. უთხრეს მზირთა ერთუცს, თუ „რა უყოთ, რო ვერ ვიცნობთ? იქნება ალალი კაცეში დავჴოცათ, იქნება ჩვენ მესისხლეები არ ას“. მემრ აჴდოლამ უთხრა: „სრუ ერთია, მე რა ვისა მემართა, რომ შვილნი გამიწყვიტნეს? სრუ ერთია, არხოტივნები ხო არიან?! ყველა ჩვენი მესისხლეჲ-ას“ და გარმაუსხეს მაღლა ტყეშიით კლდეს მაფარებულთ, თორმეტმ ქისტის მზირმა, თოფები. ამ ძმათ რა იციან, თუ იქ მზირია. ისრევ სჭრიან ხეებს. ახლა ერთ ხეს აღარა უკლავ. სჭრიან და ალუდაურმ მინდიას უთხრა, რომ „შენ ეს ხე დაიჭირე, წყალში არ ჩაგვივარდას, და მე მოვსჭრი ძირზე“. იმ ხის ძირში დიდი წყალი აქვს; თუ ხე. მოჭრილი, იქ გაუქანდა, ველარ ამოიტანენ, ისეთი დიდი ტუმბო ბრუნავს წყალისა. მინდიას ხე უჭერავ და ალუდაური ცულით ძირს სჭრის. გაწყდა ხე და ხის წაქცევა და მზირის თოფების ქუხილი ერთუცს გახყვა. მოხვდა მინდიას ტყვია და წაიქცა. უთხრა ძმას: „არიქ, მე კი დამკრეს“, და ალუდაურმა რო თავის ძმაი-ნახა წაქცეული, ერთი გაგიჟებით ამაიგმინა და დასცა ჴელი თავის თოფს და გაფრინდა ჯარაის წყაროს, ხუთ საჟენს წყალს, და გაუდგა მზირთ კვალზე. გარდაეწივა დაქცეულთ მზირთ და დაუწყა თოფვა მზირთ და შაუხვდა ტყვია თავის ძმის მეჭელე აჴდოლას (რომენმაც სროლის დროს უთხრა ქისტებს მინდიაისად: „იმას კი მე ვესრევ, იმას ნუ ვინ დაღლიშნებთავ“) და დადგა ჴელ-ახლად თოფების ქუხილი. აქით მარტუა ალუდაური ომობს და იქით თორმეტი ქისტი. დგას თოფების ჭექა ქუხილი. ამ სროლის დროს ალუდაურს მახვდა საპირისწამლეს ტყვია, საპირისწამლე დაამტვრივა და ალუდაურს კი არა ავნა ტყვიამ. ეს აჴდოლა ნატყვიარი, დაჭრილი. შირბის ქისტეთისკე და იჭრის ჩოჴას კალთას და იტენებს ნატყვიარში. რომ სისხლი არ გამავიდას. ამჟორიტეშდი კი იარა და იქ წაიქცა გზის პირას ცოცხალ-მკვდარი. სხვა ქისტები მივიდეს მშვიდობით თავის სოფელში. ალუდაური მობრუნდა თავის ძმის სანახავად, თქვა: „ძმა წყალში არ ჩამივარდას“ და ნახა თავის ძმა ისრევ ცოცხალი და უთხრა: „ძმაო, უნცროსი კი წინ წაგილალევ“. მინდიას გაეცინა და ამაიგმინა. აძრახ-

დომის ნებას კი არ აძლევს ნატყვიარი. დასტირის ძმას ალუდაური დ- ეხვევის გულზე, მაშინ ნათქვამია:

„ჯარაის წყაროს ომ იქნა დილა ამაეს მზისასა.
აუდგა მზირი გაპურთა, ჩამატეხას ღგავ ცისასა.
ბრალი ას მინდიაისად, ბეჯნი ძიანდვნას ქვიშასა!
ზედ დაშჩის ალუდაური, დეელბებას ღგავ ცისასა.
აჴდოლას ჩამახკიოდა: „ჴელთ მაგცეპს შენის ჭკვისასა,
გაპექცა, ვერც დ წამიხოლ, ტყვი ს გკოავ ქირიმისასა“.
თოფი, დაგაყრის წაძალსა, ტყვიავ. დაგარტყამს ისარსა.
ბარაქალ, ალუდაურო, კვნესას არ ხყუობ ძმისაია!
გალფრინდი გაუფრინდოის ჯარაის წყაროს სხვისასა!
აჴდოლა გოშტიკაური ტოტით სადამ თხოის ქვიშათა.
ჩაუდევ, ალუდაურო, ნათოზსა გულ-ღვიძლისასა.
მახკელავ აბჯრიტესა საჭერსა შენის ძმისასა,
აჴდოლას გოშტიკაურსა, უკუღმ მლოცველსა ღთისასა.
დაბრუნდი, ალუდაურო, ნააირს ამახყევ წყლისასა!
ქება ნიადე შაგკდების იმავ დღეს მძებნელა ძმისასა!“

ალუდაურმა თავის ძმა გადაასვენა კას ადგილზე და თაოდ ჩაუდგა ნაომარს გზას: უნდა, რომ გაიგას, ნამდვილად მაკლა ძმის მამკლავი, თუ დაჭრილი წაუვიდა. გატყდა არხოტ ჴმა, წავიდა მდევარი, მივიდეს ჯარაის წყაროს, ნახეს მინდია დაჭრილი და ჩაუდგა ხალხიც გზას. ახლა იქ ალადაური ნახეს და ხკითხეს: „რაი-ხქენივ?“ ალუდაურმაც უთხრა. რაც თავს გადახქდა, და ხალხი და ალუდაური ერთად ჩახყვეს გზას და ხედვენ: გზა-გზათ სრუ სისხლის კვალი მიზდევს და ერთ ალაგში ყორნები ად-ჩადიან. მაშინ ნათქვამია:

„არხოტის ჭალას ყორნები მკვდარზე ჩადიან ქოთითა,
დაგლოცვენ, ალუდაურო გაბუურის ძევ, თოფითა:
ძმაა წაელალე უაცროსი, რომელიც ღილღოს სჯობისა“.

სადაც ყორნები ჩადიან, ეს ხალხი მივიდა იმ ალაგში და ნახეს ქისტი შამაწოლილი, გულს ნატყვიარი, ისრევ ცოცხალი ას და სიარული აღარ შაუძლავ. მივიდა ალუდაური, როგორც ჴევსურეთის წესი ას, ხანჯრით ყური მასთალა, სისხლი გამაადინ და უნცროსობა უთხრა ძმისა: „უნცროსიმც ხარავ ჩემის ძმისაივ, წყალსამც უზიდავავ. ტაბლასამც უმზადებავ. ჯღანთამც უბანდავავ, ლოგინსამც უგებავ. უნცროსადამც ხყვიხარავ!“ და მობრუნდა, ხალხმა ერთბაშად დააყარა თოფები ამ ცოცხალ-მკვდარს ქისტს აჴდოლას და სრუ ტყვიას ნათოზად გაატანიეს, ალუდაური კი ეუპნებოდა ხალხს: „ნუ სთოფავთაავ, უსაკადრევოდ ნუ გახქდითავ! უსაკადრევო გაჴდილი არ მინდავ ძმის უნცროსადავ“. მაგრამ ხალხმ თავისა არ დაიშალეს. გაწირეს ამაში ეს ქისტი და გაბრუნდეს და მოულოცეს ალუდაურს გამარჯვება. ამაიარეს, ამ ჯარაის წყაროსას და მინდიას ისევ მთელს მაასწვრეს და ხალხმა ეს მინდია, როგორც იყო. მი-

იყვანეს დაჭრილი არხოტ. მეეგება ალუდაურს ხალხი და ულოცვენ მტერზე გამარჯვებას. მოდიან დაბერებულ კაცები არგნებით, ძველნ მეომარნი, და ხკითხვენ ალუდაურს ცდის საქმეს და თან ულოცვენ გამარჯვებას და თან ტირიან ამ მინდიაის დაჭრაზე, რომ ხედვენ, მოსარჩენი არ ას. მოიყვანეს ეს მინდია სახლში და მესამე დღეს ქვე მოკვდა. ალუდაური გონზე აღარ ას, რომ დაიჯერა ძმის სიკვდილი. დადის ფეჴზე და დასტირს თავის ძმას. კიდევ ისია, რომ გული აქვ ნაკანები მტერზე: „უნცროსი ხო მაინც გაუძღოლევ“, ამბობს. ამ მინდიას სიკვდილზე ნათქვამი ას:

„ჭიმლას დაიქცა ქვიტკირი, კუთხი გამოსქდა ქვისაო.
მინდიამ ჲაბურის ძემა შუქი ჩაკრიფა მზისაო,
ჯარაის წყარო შაეკრა გოშტიკაურის მხირთაო,
ბრალი ას მინდიაისად, ტანი დაეძრას გმირსაო!
ხედ დაშჩის ალუდაური, შავი ღურბელი ცისაო“.

მას იქით ალუდაური იყო მშვიდობით, ქისტებსთან შუღლი აღარ მოსვლივა.

81

ერეკლე ნეფის დროს ყოფილ ერთ ობოლ, გვარად ბალახურისძე. ხყონივ ახალ მაყვანილ ცოლი. ამ დროს მეჴევე იოსება ყოფილას გათქმული მეომარი. ამ იოსებას სრუ ყველა უცვარჯავ. სადაც ვის შახვედრივ გზაზედ, უვლავ ჴევსურეთ და უბეგრიან ჴევსურნი. ზოგისად თეთრ ურთომ, ზოგისად ცხვარ-საქონი. ქალაქშიაც გაუწყვეტიან სომეხნი. ამ იოსებაის ჴელის მამკიდე კაც აღარ ყოფილ. ამახედ ლექსი ას ნათქვამი:

„ჴევში ხის იოსებაი, ბულვა ბუზბუნებს ჴარია,
ქალაქ გაწყვიტნა სომეხნი, გუდამაყარს უყვ ძალია.
ჭმოსტ-როშკას გარმასჩჴევივა, როგორც მარილზე ცხვარია.
წამავა საარხვატოდა, საწყინარ ეტყვის მჴარია“.

ამ იოსებას ახლა უთქომ: ერთი არხვატ უნდა წავიდ, იქ ერთის ობოლს ბალახურისძეს აქებენ, იმას უნდა ვეომავ“. წამასულა ეს იოსება საარხვატოდ, ცირცლოვან რო გარმასულა, არხოტის ადგილში, საწყინარ ლიშან დაზდგომივ:

„გარჰავა ცირცლოვანშია, საწყინარ ეტყვის მჴარია.
ჩამაჯდა ეხის კარშია, ჩამაიყუდა ფარია“

ეხის კარში მასულას, დამჯდარას და დაუწყავ გონობა, რომავ „ამ საწყენ ლიზანმ რაად მითხრავ?“ ამდგარას და წამასულ არხოტ სოფლისკე, უნდ, რომ პირდაპირ ამ ბალახურისძეს მიუჴდას კარზედ საომრად. ამ დროს ამ ბალახურისძის ცოლს ცხვარი-ხყონივ ვერძის ტყის გორის თავ. მოსულ ამაზედ ეს იოსებაი, ეს ქალ უნახავ, ძალიან მასწონებივ, უთქომ გულში: „ეს ქალი ბალახურისძის ცოლ იქნების, რომ ხალხ ამბობდ, რომ

„ბალახურისძეს მზის ფერ ქალი ხყავავ ცოლადავ“. მაუფიქრებავ ამ ქალის დაჭერა. გამაზდგომივ ამ ქალს, მაგრამ ვერ დაუჭერავ: ქალს შორით უნახავ და გამახქცევივ ჭიმღისკედ.

„გამაუდგების ცხვრის წყემსსა, ვერ დაიჭირა ქალია.
ქალმა ისრივნა მანდელნი, არხვატ ჩაყარნა ჭმანია“.

ამ დროს ჭიჩლას ხალხ. ფეხონი-მსხდარ ციხის კარში. ეს ქალ მისულ სოფელში, უნახავ ხალხს, ერთუცისად უთქომ: „რა ამბავიავ, იმ ქალს რა მაარბოლებსავ?“ წამაშლილ ხალხი, მისულ ეს ქალიც. უთქვომ: „კაც რაიმ განამიდგ უკენ აიმ ვერძის ტყის გორის თავში. არ ვიცი, ვინ იყვ, მიჭევეთ ფერ ტალავარ ეცვ ტანზე“. ეს ობოლი ბალახურისძე, ეს სიტყვა რომ გაუგონებავ, მაშივ შინ გაქცეულ იარაღსთან. სხვა ხალხიც მამზადებულ. გატეხილ ჭმა არხოტ, დამდგარ ბიბინ ხალხისაი, გამაზდგომივან ამ იოსებას. მაგრამ ეს იოსება ძალიან მუჭლიან ყოფილ, ამ ხალხს შორის წამასვლივას. მაგრამ ეს ობოლიც არ ყოფილ იმაზე ნაკლებ, ჩქარა მასწევივ.

„ვაჟებს ციხის კარ ნასხდომებს მუჭლებს შაუჯდა ქარია,
გამაღმეტდების ობოლი, გამაიმეტა თავია,
მაზ ევდა იოსებასა, შუ არ ჩაუოს ფარია.
ხკითხევდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისა ხარია?“
— „რას მკითხავ, იოსებაო? დამბრუნავ არა ვარია.
დისწულ ორ იონეურთა, ბალახურისძე გვარია.
შენ რო მაზდევდი ქალასა, იმის საქმარე ვარია“.

იოსებასთან რო მისულ ეს ბალახურისძე, შორითავ უძახებავ იოსებას: „ვინ ხარავ, რომ ჩემთან საომრად მახოლავ?“ — „დაიცადევ და გაიგებავ — უძახებავ, — „ვინაც ორავ! ბალახურისძის ცოლს აქამდი არვინ გამაზდგომივ. აეხლა შენ ხქენ ხალხის უქნარი“. იოსებამ რო გაიგონა ეს სიტყვა და ჩამაბრუნდ: „აბა, თუ მართლა ბალახურისძეი ხარ; ეხლა ვცადათ ერთუცი!“ ერთუცსთან რო მისულან, უთქომ იოსებას: „დარილ კი ნუ იქნების, რაჭელც წესია, ისრ ვიომათ!“ და წინ-წინ იოსებას მაუქნევავ ჭმალი ბალახურისძისად, მაგრამ ბალახურისძეს ფარისად აუტანიებავ იოსებას ჭმალი. უთქომ ბალახურისძეს: „სამ-სამჯერ იყვასავ“. „კარგივ“, უთქომ იოსებას და მეორედ მაუქნევავ ჭმალი“. ობოლს იქავ ფარ მაუსწვრავ. მაშინ ძალიან ფერ წასვლივ იოსებას: „მესამედაც რო ვერა უყვავ, ხო სირცხვილი ასავ?“ უთქომ ობოლს: „რას უცდივ შენივ ჯერიავ, მესამედაც დამკარივ!“ მესამედ ისრ მაგრად მაუქნევავ ჭმალ იოსებას, რომ რკინის ფარ შუახედამდი ჩაუჭრავ. ობოლს კი არ მახვედრივ. „აბა, აეხლა ჩემ რიგი ას“, უთქომ ობოლს ბალახურისძეს. მაუქნევავ ერთი, იოსებას ფარისად აუღებიებავ; მაუქნევავ მეორე, იოსებას ფარ ველარ მაუსწვრავ და ჭმალ ზედ კისერში მოხვედრივ და ჩაქცეულ

იოსება. ობოლს იქავ დაღნანებივ, უთქომ: „ცოდო კი ასავ, იოსებაო, რომ ჩემი ჭელით მკვდარ იყვავ, მაგრამ თავს თაოდ დაუღევ საქმეივ: ქალს დასაჭერლად გამაუდეგივ".

„იოსებამ და ობოლმა სამ-სამჯერ სცადეს ჴმალია,
იცილებს მტრისა ნაქ‍ევსა ბალახურისძის ფარია.
ობოლმაც ჩქარად მაასწ‍რა, ბევრ არ დალივა ხანია.
შამახკრა იოსებასა, შამააწვინა მკვდარია".

82

ეს მინდია ბალახურისძე ყოფილ სტუმრად წასულ ბარის ღილღოს აჴვათას. ეს აჴვანი ყოფილან ძალიან მამაცნ მეომარნი და ბევრნ ხალხნი, მთელ ქისტეთ ამათ შამბელ კაც არ ყოფილ. ეს მინდია ამათას მისულ სტუმრად. იქ ღამე გაუთენებავ. საუბარ-საუბარში ჩამაღორდნივ საუბარი, უთქვამ აჴვათ: „თქვენ, არხოტივნებივ, სხვა ქისტებზე დაჩვეულნი ხართავ, ჩვენა რომ მოგვიჴდასავ შუღლივ, განა ჩვენაც ისრ მაგექცევითავ, რაჭელც სხვა ქისტებივ?" მინდიას უთქომ: „მე თქვენთან არ მინდავ შუღლივ, იმითავ, რომ ჩვენა თქვენ, დიდ ხანი ას, მტერობა არ გვაქვავ, ჩვენ კი არ გვწადისავ თქვენთან ომობაივ და, თუ თქვენ მაიჭადინებთავ, მაშინ გაიგებთავ, რაიც გამაზდისავ არხოტივნების ჭელსავ". ამ საუბარში გამასვლივა საშუღლარად. აჴვათ უთქომ: „აბა, თუ ეგეთ მამაცნი ხართ არხოტიონნი,— ეხლა შენ კი სტუმარი ხარ დღეს ჩვენი. აქ კი არას გავნებთ, აბა შენ წაედი შინ და,— ამ სამი ოთხ დღეში ჩვენ ლაშქრით წამავალთ; მაშინ ვნახავთ, ჩვენაც სხვა ქისტებსავით მაგექცევითა?" უთქომ აჴვათ: „შენ არხვატ არხოტიონთ გააგებიე, მზას იყვენით, ამ სამის დღის იქით მოვალთ". ამ სიტყვაზედ მინდიას შაუქცევავ: „მე რაჭელ მინდია ვიქნები, რომ არც არხოტიონთ გავაგებივა და მე მარტო გაუძლევა თქვენს მასულს ლაშქარს!? ქისტებს, აჴვათ, ამაზე სიცილ დაუწყავ, უთქომ: „უყურეთა, ერთ კაც გვეუბნების, „მთელ აჴვათ ლაშქარს გაგიოლთავა!" აბა, ეხლა ჩქარა წაედი, გინდა მარტუა დაგვიხვდიდი, გინდა ყმაწვილებიც კიდე გამაიყვანიდით ჩვენ საომრად. მაშინ გამაჩნდების, ეხლა კვეხა არ გვინდა". წამასულ მინდია. ამ მუქარაზე გაყრილან.

წამასულა თუ არ ეს მინდია, შაუყრავ ამ აჴვათ ლაშქარი, დაუბარებავ ყველა თავის გვარისა. ეს მინდია მოსულას შინ, არვისად არ უთქომ არხოტ, თუ „ლაშქარ დაგვეცემისავ",— ეს იმით, რომ უნდა, მინდია მარტო დაუხვდას, როგორც უთხრა აჴვათ, რომ „მე მარტო გაგიძლევებითავ". ეხლა ეს მინდია ჩუმად მამზადებულას, არცვისად არ გაუგებიებავ. წუხრ ოჭშამზე რომ დამსხდარან, თავის მამისად უთქომ, რომავ „ესრ ასავ ჩემ საქმეივ: აჴვან დამემუქარნესავ, ლაშქრით მადიანავ. ახლა მე მარტუა უნდა დავხედავ". ეს რო მინდიაის მამას გაუგავ, გაულან-

ძლავ შვილი: „ქვე რა გიქნავავ? აჴვათავ და არხოტიონთავ რამთვენ ხანიავ, რაც ერთმანეცში ზავი აქვავ, ქვე ზავ რაზედ აუშალევ? აჴვათ ქვე ვინ გაუდრისავ? აჴვან ცა-ღურბელთ ეომებიანავ, ისეთ გვარ ძლიერნიავ! აჴვათა ქვე რა გვექიდავ?“

„მამა გემდურის, მინდიავ, „შვილო, უჯეროდ ხარია.
აჴვ თა, არხოტიონთა შენ აუხალე ზავია“.
დ. ჯავრებულთა აჴვათა მძიმე შაუყრავ ჯარია“.

მინდიას უთქვამ მამისად: „შენ მე რას მიჯავრდებივ? აჴვათ თუ გულ'ში არ ხქონიყვავ. ერთ კაცის ჩემ საუბრით იქმოდესაევ ლაშქრობასავ? ალბათ ეწადა: მე იმათ რო საუბარ დამიწყეს, მაშინავ შავატყვი, რომ არხოტიონთაზედ გულ მაზდიოდ. ეხლად ბრალს მე გამალებიებთ აჴვანიც და არხოტიონნიც. ჯერ შენ, მამა, მეუბნები მაგას, სხვა არხოტიონთ რაიღ არ მითხრან? მაგრამ არა უნდ: მაშინ რაიღ მინდია ვიქნები, რახან მარტო ვერ გაუძლვა აჴვათ, ან კიდევ არხოტივნებ თუ დავაჴოციევ ჩემის გულისად და საშვილიშვილოდ საწყევ-საკრულავად გავჴდ?“ უთქომ მამისად: „შენ არვის გაგებიავ, მე მარტო უნდა წავიდ“. მამამაც უთხრ: „თუ დაემუქარ, ქვეც უნდა გააცხად. ბრიყვად არ მაიქც, იარაღ კაად დაშინჯი, ან შუბ არ იყოს გასალესავი“. მაშინ მინდიამ მაამზად იარაღი. დალიშნულ დღეს ადგ დილა და ხკაზმებს თავის ლურჯას. ხალხი ამბობს: „სად მივავ მინდიაივ?“ მაგრამ არვის არ ეუბნევის. ზოგს უთხრა: „ჴევსურეთ მიოლავ“, ზოგს რა უთხრ, ზოგს რაი. ამ დროს მოვიდ მინდიასოან დედა და ხკითხავს:

დ ე დ ა:

„ლურჯას რად ხკაზმებ, მინდიავ, ხარ საისკ-მიმავალიავ?
რად ისხამ იარაღებსა, არცვის მიგვიდევს ვალია.
მამად არ გვაჴსონ'ს ანდრეზი, არვინ გვყავ უძებარია,
არცრა სხვაფრივ გვქე სირცხვილი, რო დაგვცინოდან სხვანია“.

მ ი ნ დ ი ა:

„უნდა წავიდა, დედაო, შამამეყარა ჯავრია,
გუშინ მაყვედრა მამამა: „შვილო, უჯეროდ ხარია,“
ვითამ ჩემ სიტყვით აჴვათა მძიმე შაყარეს ჯარია.
უნდა ჩავიდა ჭალასა, ლაშქარს შაუკრნა გზანია“..

დ ე დ ა:

„მშვიდობით, ჯვარი გეწერას, სახელიანიმც ხარია!
არ მოიტანა სირცხვილი, რო დაგცინოდან სხვანია,
მასთხარა თავის ვაჟობა, მემრ კი ბალახურთ გვარია“.

დაუწერავ დედას ჯვარ შვილისად. გამართულ მინდია, ჩაუვლავ არხოტის ჭალაი, ჩასულას საძრომთ, სადაც უფრო კა ალაგ იყვ გზის შასა-

კრავად, ლურჯა საძოვზე დაუბამ, თავოდ მისჯდომივ იმ კლდის პირს. შამაუვლევავ მირგვლივ სანგალი.

„საძრომთ ჩავიდა მინდია, საც ადგილი ას მაგარი,
ლურჯა საძოვზე მიუშვა, თაოდ მა: ვლა სანგალი.
ლაშქრის მასვლის ხან მავიდა, ვაჟმ მაამზადა აბჯარი,
მავიდა ნისლი ორთქლისა, თან მახყვა აჴვათ ლაშქარი,
ცხენნი რო ნახნა მასულნი, დაშალა ვეფხვმა ძაგარი".

ცოტა ხან რო გასულ, გაუხენებავ მინდიას და უნახავ წინ-წინ ცხენით ორთქლი და მემრ აჴვათ ლაშქარი. მამინ მინდიას უჴსენებავ არხოტის ჯვარი და მისჯდომივ კლდის ფეჴს, რომელზედაც შამაივლიდეს აჴვანი. მოსულან აჴვანი და დაუწყავ მინდიას თოფის სრევა. მოდენილან ეს აჴვანი და ამ კლდის პირში ვითაიც მოსულა, მოუკლავ მინდიას და გადაუგდებავ კლდეთა-დ წყალში. მკვდარ ყონდად აგებულ ზოგს თოფით. ზოჯი, ვინაც ახლოს მავიდოდ, შუბით, ისრ რომ ამ მინდიას ეს აჴვათ ლაშქარი გაუნახევრებავ. თაოდ ისეთ ალაგში მჯდარას, რომ იმათ ნაჴალ ტყვია არ ხვედრივ მინდიას, კლდე ხფარებივ წინ. ვერც მაუკლავ მინდია აჴვათ, ვერც დაუჭრავ და ვერც შამასვლივან, გზა აღარ მიუცავ. არ შამაუშობიან არხვატ აჴვანი.

„საძრომთ მინდია დაგიხვდათ, ბალახურისძე გვარადა,
„არ შამაგიშობთ, აჴვანო, არხვატს შავემბი ‚კარადა",
ცეცხლი ხკრა პირის წამალთა, ტყვიავ, დაგლალავს ჩქარადა,
ცეცხლი გამადის ეჴშიგით, ღვედრის: „მინდია ვარია".
ზოგებს მააჭრის მარჯვენა, კლდეზე გადადის მკვდარია".

აჴვათ რო ველარა გაუწყვავ, დაბრუნვილას ლაშქარი, ვინაც ცოცხალი დამრჩალას. ლაშქარ რო წასულ, ეს მინდიაიც წამასულ, მოსულ შინ ღამით. მამისად უთქომ: „აბა, მამაო, შენ რო გამტუქსე, აბა ვერ დავხვდი მარტო აჴვათ?! შენ რა გეგონ, არხოტს ავაკლებიებდი აჴვათ?" მამასაც, რა თქმა უნდ, დაუწყავ კითხვა. მინდიას რო ყველა უამბობავ. უთქომ: „ბარაქალა, შვილო, თუ არხვატს მაგთვენ ჭირ მაარიდე! აჴვან რო სოფლად შამასულიყვნეს, ბევრ ზარალს მაგვცემდეს, კიდე კა ალაგში სჯდომიხარ, თორე შენც არ გაგიშობდეს ცოცხალს, ძალიან მაგარ მეომარ ხალხნი-არიან აჴკანი.

დილა რო გათენებულას, მოსულ სოფელი. რო გაუგავ, მაულოცავ სახელი მინდიაისად. ზოგებს მდურვა დაუწყავ: „თუკი საომრად მიხვიდოდი, რად არ გაგვაგებიევ?" მაგრამ მინდიას თავი-ბოლოთ უამბობავ ხალხისად, თუ რა მიზეზით არ გააგებივ ხალხს, რაჴელც იყვ იმის საქმე. მაშინ ხალხმ ერთჴმად დაიწყეს საუბარი: „არ, არ, მინდიავ! შენ ბრალს ვერკინ დაგდებთ, გინდა აჴვან არხოტაც მოსულიყვნეს, იმით რომ სამი — ოთხ წელი ას, აჴვათ სრუ ეწად ჩვენთან ლაშქრით მოსვლა. აეხლა ჭაალ

გიქნავ: არცრა არხვატს წაუკდ, შენაც მშვიდობით გადამჩალხარ. ეგ უნდ ძაღლებს. აეხლა ითრივან მკვდრები არხოტის ჰალაისას შინისკე! შენდ კი უშველავ დიდს არხოტის ჯვარს, რო არ მაუკლიხარ აჴვათ“.

83

ნეფე ერეკლის დროს ყოფილ იონეური, თუ იყვ ძალიან მეომარი ჴმლით, რომ კაცი იმის დამხვედრი არვინ იქვა. ჯვარისად რაიმ შაუწყენავ თავის სიამაყით და ჯვარი გასწყრომივა და გაუყრევავ წვერი და ეს ამ იონეურს ძალიან უუკადროებავ, რომ „მე ახლა ხალხში როგორაღ ვიარავ?“ დამზადებულა, აუსხამ თავის იარაღი: თოფი, ჴმალი და ფარი, შაუკაზმავ თავის ლურჯა და წასულა მშავისკე: უნდა სახელიანი ვაჟი ვინ მოკლას და თავიც იქ გაწირას. სოფლიდან რომ ჩამართულა, ჩახყოლია ქალი და ზალი და მთელი სოფლის ბიჭები. გამაღმშვიდობებივა თავის ქვეყანას სამუდამოდ და კიდეც წაუკაფიაებავ ეს სიტყვები:

„გამავედ ვერძის ტყის გორა, ჰიმლავ, მაგავლებ თვალსაო,
კარგი ხარ, ჩემო ადგილო, აეხლა დაგწერ ჯვარსაო“.

როშკას მამიდასთან მასულა, მასაც გამაღმშვიდობებივა და გადასულა მუჭის ღელეში და ჩაუხენებავ მშავისად და ჩაუვლავ წყემსებისად, უკითხავ: „თქვენ ქვეყანაში ვინ უფრო სახელიან ვაჟიავ?“

„ჩაეხუმრების წყემსებსა, არ ჰოცს, არ ხკადრებს თავსაო.
ხკითხევდა იონეური: „მშავში ვინ იგდებს ჴმასაო“?

წყემსებმა უთხრეს: „ჩვენ ქვეყანაში ერთი ყარტიულისძე არის და იმაზე მეტი მეომარი არვის გაუგონავ. ხანდიხან ნეფე ერეკლეც კი იბარებს იმ ყარტიულისძეს თათარსთან საომრად. მაგრამ შენ იმას ვერ შაეომები,— მოუკლავს არ გაგიშობს, ძალიან გულადი და ჩქარი მეომარი ას, კაცი მოუნელები არ გადაურჩების და აი ეხლა აქ ცაბაურთ მთიბელი ხყვანდა, ეხლა ჩაეფარნეს აიმ გორის ძირ და რო ჩაიჩქარო, ქვეც ჩაეწევი. ის ყარტიულისძე იმ მთიბლის ჯარში ას და რო მიხოლ. იმას მარჯვედ გაიგებ: ძალიან გაზდილი მაღალი კაცი ას და დევს ღგავ, მაგრამ შენ იმას ვერას გამაშჩები“. — „აბა. თუ ვერას გამავშჩები, თუ ჩავეწიე! ჩემს ჩანავალზე ჩამაიარიდით და ღნახავთ, მე ვიქნებია მკვდარი გზაში თუ ყარტიულისძე“. გადახტა იონეური და კიდეც ჩაეწივა მთიბლის ჯარს და მაშიავ გაიგა, რომ „ყარტიულისძე ის იქნებისავ“. ხალხში ციხისოდენი კაცი ერივა. მივიდა თუ არ ახლოს იონეური, გაისო ჴმალს ჴელი და უძახა: „ყარტიულისძევ, მე შენთან ომი მწადიან, მობრუნდი, ვიომათ!“ ყარტიულისძემ, რასაკვირველია, გადააგდო ცელი და მოისო ჴმალს ჴელი (ის იარაღს სრუ თან იყოლებდა, როგორც მეომარი კაცი) და შამაე-

გება მისულ მეომარს, მაგრამ იონეურმა ერთი არწივისებური დახკივლა და გადაფრინდა, შემახკრა კისერში ჴმალი და გაასრევივა თავი.

„საწუხროდ ჩაეწეოდა ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო,
ჴმლითა სცა ყარტიულისძეს, ფეჴ-ძირ გაიგებს მკვდარსო“.

ამ სხვა მთიბლის ჯარმა ჴელი ვერვინ გაჩუჩა. ისრ შაშინდა. იონეური კი გადახტა, სახტო საქვაბეში შავარდა. ახლა მშავლები იმ საქვაბეში შასვლას ვერ იწონენ, ეშინიან, მაგრამ თან სირცხვილია, სისხლი უნდა აიღან. შესვლა რომ ვერვინ გაბედა — იმ სოფელ'შიგით არვინ იყო მეომარი და — სხვა სოფლიდან დაიბარეს მშაველი მეომარი, სახელად მექობაური. ეს მექობაურიც ყარტიულისძეზედ ნაკლებ მეომარ არ იყვა. მოვიდა მექობაური, იარაღით მორთული, და შაალა საქვაბის კარი და დაეძგერნეს ერთმანეთს იონეური და მექობაური. მექობაურს თუ ტანზე ისეთი ჯაჭვი აცვავ, რომ იმას იარაღი არ ჭრის და იონეურს კი არ აქვ ჯაჭვი. უქნევენ ერთუცს ჴმლებს და იონეურს რამთვენიც მახვდა, ჭრის და მექობაურს არ ეკიდების. თავის ღონიერი ძალით იონეურმა მექობაურს მარცხენა მკლავი თავის ჯაჭვიანად მასჭრა და მექობაურმაც აისრულა გულის წადინი და დასცა ძირს მეომარი თეთრაულისძე და თან უთხრა: „ცოდო კი ასავ, რომავ შენ ჩემი ჴელით მკვდარ იყვავ“. შეებრალ გულად მეომარი, რომ მამაცად ეომებოდა მექობაურს, და გამაიღეს მკვდარი იონეური და დამარხეს თავის სასაფლაოში. და ძალიანაც ბევრი იტირეს მშავლის ქალ-ზალმა, რო ხედევდეს ტურფა მეომარს მკვდარს. მაშინ ნათქვამია:

„ამაეიპანდი, მერცხალო, პირ-შელმ შაუდეგ წყალსაო!
ჯერ მიხოლ ჴევსურეთშია, მემრ თეთრაულის კარსაო.
მამას მინდიას მითქვიდი: „ნუ შაექცევი თავსაო,
ნუ გამილუბებ ლურჯასა, თოფს ნუ შემიჭმევ ჯანგსაო.
მშავში ხის იონეური, ათამაშებდა ჴმალსაო“.

თეთრაულთა რო გაიგეს თავის მეომრის სიკვდილი, წავიდეს და წამაიღეს თავის მკვდარი თავის მიწა-წყალში და დაღმარხეს თავის სასაფლაოში. და იმას იქით თეთრაულთა და მშაველთ ერთუცსთან ჴელი არა აქვს, არც უშუღლავ, იმით რომ იონეურიც მოკვდა და ყარტიულისძე ხომ წინ გაიძღოლა თეთრაულისძემ.

84

ჭირჩლაი-ას არხოტიონი, ამღიონი. ეხლა ძალიან დაბერებული ას. მაგრამ მუჴლით ისევ მგელია. არხოტ არც ერთი სისხლი არ ას ქისტებისა აღებული ისრ, რომ ეს ჭირჩლა არ სტანებიყოს სისხლის აღებაში. თავის გვარეულობაში ხომ ნიადე გვერდი უდგას თავის გვარის ხალხს და სხვა არხოტიონთაც, სრუ მუდამ ხყვების მზირის წასვლის დროს ქისტებში. მეთოფე ისეთი, რომ ერთ მინუტში ორმოც-სამოცს ესრევს

თოფს. ლიშანი იცის ისეთი, რომ რასაც დაღლიშნებს, არ გააცდენს ტყვიას. ნადირს, ჯიჴვს და მგელ-დათვებს ხო თესლს ულევს, ღვინოობისთვე რო დადგების, — ჯიჴვი იმ დროს ძალიან მსუქანი-ას და, — ეს ჴირჩლაც იმ დროს ნადირობს და ამ დროს ჴირჩლაის სახლში სრუ გამაულევი ას ჯიჴვის ლეშ-ჴრცი. უჴორცოდ პურს არ ჭამს; თუ როს გაუთავდა ჯიჴვის ჴორცი, მაშინ ძალიან იუკადროებს და იტყვის: „შენ დედასავ, ჴირჩლაო! განა ისრ მაკლებული მაქვავ მუჴლებსავ, რო ჴორცი გამითავდავ?“ ადგების და წავა სანადიროდ და თითო წასვლაზე ხან ათს მახკლავს, ხან თორმეტს და დაზიდავს ჴორცს ცხენებით. ზოგს სხვათ აძლევს, ეტყვის: „წამაღდით, წამაიღით, ვისაც გინდათ! უფასო, უმადლოი-ას, ფასს არვის გამაგართომ და რა გინდათ სხვაივ?“ ხალხი, რა თქმა უნდა, რომ ზიდავს იმის ნაჴოცს ჯიჴვის ლეშს. მაგრამ ეს ნადირობა არაად აჩნავ ჴირჩლას, იმას უყვარს ქისტებზე ნადირობა, როსაც გამაექსოვების თავის თოფს და დაადებს ლიშანს გულზე ქისტს, თავის მესისხლეს, და ესრევს გულდაგულ და დააფშვნეტს ძირს, აი ეს უყვარს ჴირჩლას. ამის გარდა თავის ხალხში შუღლი ძალიან სძულს. თუ კაცმა ძალიან არ შააწუხა, თავის ხალხს არ გააჯავრებს, იტყვის, რომ „თავის ძმებზე როგორ უნდა იჴმარას იარაღი ოშკაცმა? სირცხვილ არ ასაევ? მტერ ქვე გვაკლავაევ, საშუღლარივ?“ შემრ კიდე თოფიც ნაწილიანი-აქვ: როსაც მტრის გამარჯვების დრო მაუვას, თოფი ღრუვშიით ამაიწივლებს და მაშინ ჴირჩლაც გაიგებს და წავა სამზირლად ქისტებში და არც დაბრუნდების ისრ, რომ ქისტის ჯავრი არ ამაიყარას. ეს ხომ ყველას გაგონილ-აქვ, რომ ქისტები და არხოტივნები სრუ მუდამ წელს ჴოცენ ერთმანეცს და როსაც ეს ჴირჩლა მაგვიკვდების არხოტს, მაშინ გავარდების ქისტებში ჴმა და ქისტები მაშინ ცოტაად უშიშრად დაიწყებენ ლაშქრობას არხოტში, მაგრამ სხვებიც კი არიან კიდევ ქისტების დამხვედრები. ჴირჩლასავით კი ვერვინ გაიმარჯვებს ქისტებზე, ჴირჩლა სხვა მგლის ლეკვია გაზდილი, მაგრამ დაგვიბერდა. ცოდოი-ას ჴირჩლაის სიბერე! ბევრი ლექს-სიმღერაები ას ნათქვამი არხოტში ჴირჩლაისად.

„ნისლაურისძე ჴირჩლაი კლდისა ვეფხვია მწკლიანი,
სიბერე ლომსა არ უშლის, ას მაინც სახელიანი.
ბევრჯელ ჩავიდა ღილღოსა საომრად გულ-ჯავრიანი,
ბევრჯელ ისრივა ჴირიმი, მთა და ბარს ედგა გრიალი,
ბევრკაჲ დააგდა ღილღველი დაჴრილი, პირ-სისხლიანი“.

ჴირჩლა მთავრობას ძალიან უყვარს, არც იჴერენ ქისტების ჴოცაზედ მარჯვედ. პრიშტავ-ნაჩალიკებ როსაც მავლენ ჩვენში. ჴირჩლას დაიბარებენ და ეტყვიან: „აბა, ჴირჩლაო, ჯიჴვის ჴორცი მოგვიტანევ!“ თუ შინ იმ დროს ჴორცი შეხვდა, ხო მაუტანს და, თუ არა აქვს, ეტყვის: „რა ვქხა, ბატონო, აღარ მაქვავ შინ ნადირის ჴორცივ. ერთ დღე ვ და

მამეცითავ და მაგიტანთავ“. წავა და დილა რო წავიდას, წუხრისად ჯიჭვის ჭორც მაუტანს.

85

არხვატი არის ოთხი სოფელი: ჭიმლა. კვირიწმიდა, ახიელა და ამღა. ას ერთ საზოგადოება. მცხოვრებელნი ორთ ასი კვამლი. გვაქვის მირგვლივ შამარტყმული მთები. ჭალაი-გვოქ ერთი ჩასავალი და იმ გზაზედ დგან ქისტები, არ გვიშობენ მარჯვედ. თუ მარტო კაცი მაიგდეს, მაშივ მაგვკლჳენ. ერთ არხოტის მთაი-გვაქ ზაფხულის სავალი, მაგრამ ეს მთა ცოტა ხან არის. მალე თოვლ დაიჭერს. 1 ღვინოობისთვეს ჩვენ არხოტის მთაზე მუდამ წელს დიდ თოვლი ას, ხანდიხან 15 ენკენისთვესაც შახკრავს თოვლი მთას, როსაც უფერ ზამთარ იქნების. გაზაფხულ მაისის გასულს ძლივ იქნების მთაზე გზა; თიბათვის 1-ში ცხენიც გადავ მთაზე, მანამდინ კი არ შაიძლების მთაზე სიარული. თუ წავიდა კაცი ან მარტში, ან აპრილში, მაშივ ზვავ მახკლავს. ფეჴს რო შაზდგამს კაცი თოვლის ნაფახზედ, დაიქუხნებს ნაქარი და წამოვა მთისოდენ ზვავი და ისეთ ჭევ-რუვში მიზდებს კაცს, რომ მთელ ზაფხულ აღარ მაიჭელების. შარშ პრიშტავს ბლოთ წამაელალ კაცი ბეგარაის საქმეზე არხოტ, მეეკლ ზვავს მთაზე და თიბათვის ხუთმეტში მავჭელეთ მარტში მამკვდარი! ეგეთ უფერ მთაი-ას! ზამთრის მაღობილში ორთ, არცაისკე გზა არ გოქვს გასავალი. ყანაიც არ მაგვიდის. აპრილის 15-ში დავიწყებთ ჭვნას და გავათავებთ მაისის გასულს. ბევრჯელ სამკალში თოვლ მავას, დაიჭერს მასამკალ ყანას. კალოობა მუდამ გიორგიობისთვეში ვიცით, მანამდი ძლივ მავიგულებთ სთველს: ხან დაგვიზრობს ყანას ქარიშხალი, ხან სეტყვავს. ისრ ზაფხულ არ გაივლის, — ეს მამაძაღლის ოჴერ რაიცაღ ალაგია, — რომ ან თოვლი არ დაადოს ყანას, ან არ დასეტყვას, ან კიდევ არ დააზრას. ხან კიდე მომკილს ყანას, ძნას მახვდების არხოტის მთიური ქარი და ძნას სრუ გაანაგაბრებს. ისით მაგარ ქარ იცის ამ არხოტის მთამ, რომ კაცი ფეჴზე ვერ დაუდგების, სამი-ოთხ ფუთიანს ქვას დააგორებს მთაზეით, ხან კიდე, როსაც ზაფხულის მაგარი ავდრობა-წვიმა დადგების, დაღვარავს ყანებს, წამოვას მიწის ზვავები. ნამუშაელს სრუ დაღლევს. ზოგან ჭაჭები გამოსქდების, წამოვას მიწის ზვავის ნიავლარი; კიდებს სრუ წაიღებს, ცხვარ-საქონი სრუ ველზე მაგვჩების, ხან სამი-ოთხ დღეს ავდრობის დროს წისქვილის სარუეებს დაღგლეჯს და ხალხი ერთ კვირაეს ბევრჯელ დარჩების დაუფქვულო. როსაც სთვლის ხან დიდ ღამეი ას, მაშინ მოდიან საქურდლად ქისტები, გვეცემიან ჭარავანზე; ან ცხვარზე. თუ ყარაულებმა გაიგეს, ხო გააგებიებენ სოფელს. ხალხი შაუკრავს ქისტებს მთას და ჭალას, რომელზედაც გასავალი აქვ ქისტებს გზაი, დადგების თოფების ქუხილი. ქისტებს ბერდენკაებრ-აქვ, ჩვენ ხალხს ქართული ჩახმახიან თოფები. ვჭოცთ ერთმანეცს. არც მთავრობა გვიგ-

დებს ყურს. ერთს წელში ერთხან ვერ ვღნახავთ პოლიციელს, ხანდიხან სტრაჟნიკებ გაივლიან ჩვენს ადგილში და რომ რა საქმე ხქონდას და ერთს დღეს ვერ გასძლებენ, მაშიავ მაიქცევიან. თან ქისტებ აშინებენ. ვჩივით მთავრობაშიაც. თოფებ რომ მაინც მაეც მთავრობას, სხვას გაჭირებას ვინაღ მაიგონებდ? თუ ბერდენკაებ გვექნებოდ ჴელში, მაშინ ქისტები ისრ მარჯვედ ველარ მავიდოდეს ვერც საქურდლად და ვერც კაცის მასაკლავად, — ჯერ ქართული თოფებით მთხვებიან, როსაც წინ დაუხვდებით. საჩივარსაც ჩვენს არ გაუდის. ჩვენ რო მოვკლათ ქისტი ქურდობაში, ჩვენ ქვე დაგვიჭერენ სატუსაღოში და ქისტებმ რო მოკლან ჩვენ კაც, ქვე არ იჭერენ ქისტს. ეგეთ მთავრობაი-გვყოვ! ორთ გაჭირებაში, მაგრამ სანამდი ცოცხალნი ორთ, დედას უტირებთ მტერს: ბევრა ჩავაძმარეთ ქისტი და ბევრას კიდე ჩავაიმარებთ. ნუ გვიგდებს ყურს მთავრობა, თუ არ გვიგდებს. ჩვენ ჯერ კი კიდევ შაგვიძლავ, დავხვდათ ქისტებს.

86

ენკენიის თვეი-ას დამდგარი. ჯიჭვი, ოჰ, რარიგად მსუქანი-ის ამ დროს! ამბობს ხალხი: „აეხლა ღირსავ ნადირის მაკვლაივ“. მე მამკალი-მყავ იმ დღეს ოც კაცი. ვმკით ყანას და შამაჩინდეს თოფ-იარაღით მართულნი გრანჯაი-დ წვრილაი. მე გამიხარდ: მეგონ, რომ მამკალში თუ დამეტანებიანავ, მაგრამ ისენ თუ სანადიროდ მიდიან. მივეგები გზის პირში. რო მავიდეს, უთხარ: „გამარჯვება, ვაჟებო!“ — „გაგიმარჯოს ღმერთმ!“ მითხრეს. — „მამკალში მამიხვეითა?“ უძახ მე და ორთავ დიდად გაიცინეს: „ალარცრა გვაჯავრებსავ ამაგ შენ ყანის მეტივ! მამკალში კი არ, გახენელ, საგარის მაღლის ძირში რამთვენ ჯიგვთ კვალები ას, იქ მივდით“. — „ეჰ, წაედით, თუ მიზდით! მე ის მეგონ, რომ მამკალში თუ მამივიდესავ“. ახლა იმათ დატანებას ვინ იტყვის? მე ამ მამკალში თაოდ მენადირეები სამ კაცი მტანავ: ადუა, ივანე და ბაბუა. ახლა ეს ხალხიც მამექცა: „ჩვენაც ნადირობად წავალთავ“. ეეხლა რაიღ ვქნა? დამჩების ყანა მასამკალი. ვეხვეწები ამ მუშაებს: „ნუ წამიხოლთ და თითო დღისად მემრ ოროლჯერ დაგეტანებით მეც მთიბელ-მამკალში“. მაგრამ რა დაიჭერს? მეუბნებიან: „ჩვენ არ დავბრუნდებით რო ოროლ დღე კი არ, რო ამ ერთის დღის მაგივრად ერთ კვირაესაც გვიშველ. აი, ამ შუადღემდი ხო გიმკევით ყანა, ამისა არ გვინდ შენი. სხვა რაიღ გინდ, რას ამბობ, რას? ნადირობას შენ სამკლის გულისად მავსცდათა?“ მე ვეუბნები: „მაგაად რაად დამეტანენით, თუ წუხრამდი არ მიშველიდით?“ არ დაიშალეს, წავიდეს სამნივ ეს მუშაები: ბაბუა. ადუა და ივანე, — „თქვენ გაგიწყრასთ, უძახი. ჩემ სალოცავი! მაგაად რას მეტანებოდით, არც კი გაქვთ მაგის მეტ ნამუსი“. წავიდეს და წავიდეს. ცოტა ხან რო გავიდ, იქავ შამაჩინდეს. აესხ თოფ-იარაღი და მიზდევენ უკენ

წვრილას და გრანჯას. „არა გინდ, — მიძახეს, — გულს ნუ გაიტეხ! ეგ ყანა კიდე მაიმკების და ეს ჯიჯვნი სრუ არ იჯელებიან. წუხრისად ჯიჯვის ჴორცს მაგიტანთ“. წავიდეს. გავხედავ და მიეწივნეს წვრი ლას და გრანჯას.

წუხრის ხანი ას და ჩამაედინა თოფის ჴმა. დავთვალი და არ ითვლების: ეტყობის, ხუთნივ ერთად ისრევენ თოფებს. დგას ჭეხა-ქუხილი. გათავდა თოფის ჴმა და ჩვენ ისევ ყანას დაუწყით მკა. მავიდ წუხრიხანი, გამავიდეს მზენი, ღამდების და იმ დროს ჩამაჩინდეს ხუთნივ ერთად და შავატყვი, რომ ჯიჯვის ბარგებ მააქვის. ჩვენ ახლოს რო მავიდეს, გვიძახეს: „აბა, რო არ გვიშობდით! რო არ წავსულიყვენით, ეს ამთვენ ჯიჯვის ტყავ-ჴორცი დაგვაკლდებოდ“. დაუწყით ახლა კითხვა.. ჯერ უთხარით: „ნადირ კლოვ მაგცასთ ღმერთმ!“ და მემრ დაუწყით კითხვა: „ნადირ ბევრ იყვა, ან ვითა მახკალით?“ გრანჯამ დაიწყ საუბარი: „ხუთმეტნ იყვნეს, ხუთი-ექვს გათაულ ჯიჯვ ეტან და სხვან კი სრუ წვრილნ იყვნეს, შუნ-ჯიჯ-მაზვრები. ძალიან ცუდ ალაგში შაგვხვდეს ის სატიალენ! ჯერ ხო თვალ-საჩინ იყვ, რო მივდიოდით, თვალით ზედ ჩამაგვხედევდეს, ვერცაით ვერ მიუვედით, სუყველკნით თვალ-საჩინ იყვ- მემრ იქავ სათავისას წავედით. მთაზე რო შავჴეით (ხუთნივ ერთად მივდიოდით), ჩამაგვიყარ იქით ნიავი. გავხენეთ და ეს შუნ-ჯიჯვი ერთი დაწიოკულნ გადიან რბოლით. მივაყარეთ თოფებ. ძალიან შორ იყვ, ვესრიეთ ცხრა-ათ-ათი. მივედით ნათოფავში და ეს ექვსი მოგვეკლ: ოთხ ჯიჯვი და ორ შუნი. ვისა მახვდ, ვის ნაჴალი ხვდებოდ. ვერ გავიგით. ტყავ-ჴორცი ზიარი ვთქვით ჴლაშიავ, ტყავიც გავაერთეთ, რქაიც, იმითრომ არა გაიგებოდ, ვის ნასრევ მახვდებოდ“. აიკიდეს ბარგები. მეც წავასხი მუშა შინ და წავედით ერთად.

## 87

ჩვენ, შვილო, მგელიაშვილები ვართ. ჩვენ ერთ პაპაჲ გვყოლია. ქურსიკი ექვივნა. ისეთ გულიან კაცი ყოფილა, რო მეტი არ შაიძლება. ჴმლის ბოლოს დაბლა დაათრევდისო, — იტყოდენ ჩემ ბალღობაში, — ისეთ დაბალ კაცი ყოფილა. ის ცხვარში დადენილა შირაქ შირვანშია. საკუთრივაც ბევრ ცხვარი ჰყოლია და ზამთრობით სუმუდამ იქ დადენილა.

იმას თათრებ აჲჰშურებიან ძალიანა. იმეებს სუყველა უშინებავ, ის კი — ვერა. თუ ის იქნებოდა ჩასული ცხჳარშია, მაშინის თათრებ ვერცრას ვერ მაჲჰპარავდენ აქაურ მწყემსებსა. ამაზე ლექსიც იყვის ნათქომი:

„ჩავიდეთ, ჩემო ქურსიკო,
ჩეთმას დავავლოთ თვალია...
ჩვენ ვაცხბს გაუქეჩებენ,
ზარებს მიჰქონდეს ჩქამია“.

ეს ლექს დიდ ლექს იყო და აღარ მაჴსონ.

ი თათრებს ცხვარი უსხლეტავ მწყემსებისთვინა, ზოგისად ძალად ურთომ, ზოგი კიდეც უჴოცავ. საზამთროდ ცხვარი რო ჩავიდოდაო, თათრებმა წინწინ ის იკითხიან: ქურსიკი ხუარ ჩამოიდაო. არც წყალძე უშვიან მწყემსები. ცხვარს წყალ რო მასწყურდებოდა, მოიდიან მწყემსები და დაუწყიან ხვეწნა ქურსიკსა: გვიშველე, ცხვარ გვეღუპება მწყურიელაიო. ისიც გაჰყვებოდა. იქ თათარ ველარ გაიხარებდა, საცა ის იქნებოდა. აღარც მეეკარებოდენ იქაურობასა, იმას რო იქა ნახავდენ. აშინებდა ძაანა. იმას თავად კი შიშ არა სცოდნია, როგორც ქვამ არ იცის შიში. უბრალოდ ჴმალს არც ამაიღებდა, რო თათარ არ მეეკლა. თათრებ რო დაეცემოდენ, მაშინავ ჴმალ გაიძვრის და იმით დაზდევდისო. ცხენი ჰყოლია ისე გაწვრთნილი, რო ზედშამჯდარს უჰრავ თათრებისად თავები. ის ცხენ არ მეერიდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც ზედ გაილიდა მაინცა.

ჰოდა. ი ჴმალს რო ამაიღებდა, ჯერ დაუტუნტურებდა თათრებსა: თქვე, რჯულძაღნო, რას გვერჩით, რატო თქვენ კერაჩი არა ჰყრიხართ, რაად გვეჴოცინებითო და მერე ერთბაშად, ცის დაელნებასავით დაერეოდა. ერთის ჴმლის მოქნევით თათრის თავ ცალკ გაგორდებოდა და ტანი ცალკეა. ამახე იმისთ ვინ მაუქვინებავ თიკუნად ტუნტური და იმის ჩამამავლობაც ტუნტურიშვილებად ვიწერებით, ესრეა, შვილო.

ერთხელის ჴმად დავარდნილა: მავან ადგილას სამ ლეკი ბუდობსო და სუყველასა სცვარცვენო. ბევრ თავმამწონე ჯეილი ჩამააქდინეს სა-

ფერჯ ე ცხენზეითაო. შიშით ველარვინ დადენილა იმ გზითა. ველარც წყალ უზიდნავ მწყემსებსა.

ცინცლიანი დღე ყოფილა. ი ქურსიკი ცხვარშია ყოფილა და დაბრუნებულა ბინაში. მწყემსებს დაუხვედრებავ ამბავი, რო, ღმერთმანი, მავან ადგილას ესეთ-ესეთ ხალხიაო. ძოღანაც დაუჭოცავის მწყემსებიო. ფთხილად იყავ, მტრიან კაცი ხარ, არავინ დაგისიოსო. ქურსიკს მაშინავ ალმურ აზდენია სახეზე. პურის საჭმელადაც კი არ დამჯდარა და მწყემსებისთვინ უთქომ, ჩქარა ცხენ მამიყვანეთო. მწყემსებს ელდა სცემია და ხვეწნა დაუწყავ: ნუ წახვალ, ხათაბალაში არ ჩაჭვარდეო. აბა ის კი ნიადაგ არ დადგებოდა წაუალი და წასულა კიდეცა. მისულა იმ ალაგასა, საცა ი ლეკებ იყვნენ. — დადეგო! — დაუჭყივლებავ ლეკებსა, — ჩამოჯე ცხენზეითაო. — რადაო, — უთქომ ქურსიკსა, მეც თქვენთან მუალო. თქვენც ჰო მაზდიხართ, მეც მუალ, რაღა ბედენად მე დავდგეო. თუ თქვენ ჩემკე მაზდიხართ, მეც თქვენკე მუალო. და მივიდა პირდაპირ იმეებთანა. ისეებ სუ დაჭერებულან. ველარა გაუგავ. — გამარჯვებათო, — უთქომ ქურსიკსა და ზედაოდ მისულა, ჭმლის მანძილზედა. და მანამ ისეებიც ეტყოდნენ „გამარჯვებას“, აუწვდავ ჭმალი და თვალის დახამხამების ხანს დაუჭრავ თავები. და წასულა ისევ ბინაშია ცხენის ქევქევითა.

ერთ ლეკს ისევ ზედმამბულ თავ დაჲჰრჩომია, მემრე მამრჩალა და ნელობამდე შირაქის მჭარეზე მეწისქვილედა ყოფილა და დიდხანაც უცოცხლებავ. მეცხვარეებმა თქვიან, რო ი ლეკმ ყველჯივ მაიგონის და თქვისო: აი ღმერთმა აცხონოს ი ქურსიკიო. ვაჟკაც ისი გყვანდათ და ქუდიც იმას ეხურაო: ვეფხვივით დაგვერია, ჩემ ამხანაგებ დაგრცნა და მეც ესრე გამჭადაო.

ის კ-არ გაგიგონავა, შვილო, საჭედრებ რო გაუტაცებავ თათრებსა და ი ქურსიკს მარტუას მაულალავ? მაშ მაგასაც გიამბობ.

ეჰ, საწყალი მწყემსები, რა ცოდვა-ჰირობაში იყვნენ. ესრე თავისუფლად სად შაეძლო ხალხს სიარული წინავა. უიარაღო ჰო ნიადაგ ვერ გაილიდა კაცი, თუ თავ არაად ექნებოდა მოძულებული.

ერთხელის თათრებს (იმათ ბეგს) გაუტაცებავ საჭედრების ჯოგი. დაღონებულან მწყემსები, სუყველაისიოთ იყო (საჭედრები), საღამოზე ქურსიკიც მისულა ბინაზე. ჯერ კი არ უთქომ იმისად ის ამბავი, მერე კი უთქომ: ღმერთმანი, ესე-ესე მაჲჰკდაო. ამდგარა ქურსიკი, შამჯდარა ცხენზე და ცხენდაცხენაოდ მისულა ი თათრის ბეგის კარძე. არ ჩამამქდარიყო ცხენზეით კია. იმის ყარაულებისთვინ ეთქვა, სად არი თქვენი ბეგი, კარჩი გამოჩნდეს, საქმე მაქო, დაუძახეთო. იმეებსაც ეთქვა, რო ესეთ-ესეთ კაც მოიდაო. ი ბეგს აზრად მასვლიყო: უთუოდ ი ფშავლების ლომ იქნება, თორო სხვა აქ ვინ მოიდოდაო. გამოსულა და სიცილით მიჰგებებია ქურსიკსა, თან თავის ბიჭებისთვინ ეთქვა: ეხლავე ჰედილეებ და-

ჯოცეთო, და დაუწყავ ხვეწნა ქურსიკისთვი: ჩამოჯე ცხენზეითაო და შაუპატიჟებავ სახშია. ქურსიკს უთქომ: ბეგო, მასხარაობას თავ გაანებე, ის საჴედრებ რო წამაასხი, ეხლავე ჩამაბარე, თორო, ქრისტეს რჯულსა ვფიცავ, ხათაბალას დავატრიალებო. არც ცხენზეით ჩამოჴდები და სისხსაც დავღვრიო. ბეგსაც უფიქრებავ, ეს მართლა არა ხუმრობსო. მაულალავ საჴედრები უკლებადა და წამაუსხმეინებავ, თან ბიჭებიც დაუმარებავ წამოსხმაში. მაულალავ მარტყა კაცს ბინაზე ის საჴედრები და უთქომ მწყემსებისადა, რო კარგა მაუარეთ, აღარ დაჰკარგოთო. იმას თათრულ ლაპარაკიც კარგა სცოდნია,

88

მენა ვარ სამოცდაცხრა წლისა. გაჲაინჩებული კაციღა ვარ მენა. მენ ველარა ვი(.)ი.

კოპალა ყოფილა ჯორცივლადა. ყოფილა მეომარი კაცი და უჴოცავ ქაჯები. დევები, ჰოჰო! ისენ ძაან ულევავ. იმას აჲჰმტერებია მოსაკლავად ავთანდილ-დევი, წასულა ციხეგორსა და კოპალაისად ქვა მაუპარავ. მემრე გაუგავ კოპალასა, შაუტყობინებავ თავის მომჴრეებისთვინა. უფიქრებავ, რო იმას ავთანდილ მაიპარავდაო, სხვა არვინაო. წამოსულა კოპალაი და გამაჲჰყოლიან იაჴსარი და ლაშარის ჯვარიცა. ავთანდილს მეეწივნენ იმ ადგილას, საცა ახლა კოპალაის ხატია. რო გაიგო ავთანდილმა, მე მამდევენო, დაუგდავის ქვა და დაუწირავ იქა და თავად კი გაქცეულა.

ავთანდილსა ჲჰყოლია ერთ ბებერ დედა. კოპალის ხატის ზემოთ ციხიაჩი ცხოვრებულან ი დევები. კოპალასა, იაჴსარსა და ლაშარის ჯვარს უკითხავ ბებრისადა: სად არი შენ შვილიო. ბებერს უთქომ, ტყეში არი, ნადირობად წავიდაო. ჴელით უჩუგნებავ ის ადგილი, საცა ავთანდილ იყო. მემრე უნახავ იმათ ის ავთანდილი, უსროლავ ისარი კოპალასა და დაუგორებავ მთის წვერზეითა, გამოქანულა იქითა და ჩავარდნილა ჴალაში და ქვადა ქცეულა. ეხლაც არაგვშია ძე გაძაბული.

89

წინავ სხვანაირ წეს იყვის ქორწილისი. ეხლა აღარვინ რას დაზდევს. პირველად რო ბიჭის სახში მიიყვანდენ ბატარძალსა, შუა კარებში დადგებოდა ნეფის დედა და ორივეთ (შვილ-რძალთა) თაფლს შააჭმევდა და სიტკბოს დაულოცავდა. მემრე მაყრები შავიდოდ(ე)ნ სახშია და დაიძახებდენ „ჯვარიწინასა“ და გამაულიდენ ჭერჩი ჩამოკიდებულ საკიდელს მურვალთა:

„ჯვარი წინასაო
დადგა მჴარესაო,
შენ, ქრისტე-ღმერთო,
დაჲსწერე ჯვარიო,
დაჲზდევ ბეჭედიო
ახალ ყოილთაო,
ერთად შაყრილთაო.

ეგრე იყვის, — გაიმეორებდენ სამჯერა. მემრე სუფრას გაჭშლიდენ, ოჯახი ამაირჩევდა ერთ უფროს კაცსა. სუ პირველად ის დაილოცებოდა:

დიდება და გამარჯვება მაჴსენდეს
ნადიდებ-ნაჴსე̂ებ ღთიშვილთა,
იმათიმც დავლათ დეელოცება
წალმართ წალმართის პატრონსა,
რანიც ერთკან შაუყრიან,—ახალყოილნი,
წალმართი წალმართ შამაუბრუნოს
წალმართ წალმართის პატრონსა
ქნეს ეტლიან — ბეტლიანნი,
წულიან — აკავნიანი,
ბედიან — დავლათიან(ნ)ი,
სამჯერ ვაჟიანი, ორჯერ ქალიანი,
ეჯიბო, შენ ნეფეს გაუმარჯოს!
მდადო, დედუფალ გაგიხაროს!...

კარგაოთ იყო კიდევა და აღარ მაჴსონ...

ერთხელ ჩემის შვილისად ქალსა ვთხოობდით უძილაურთითა. ჴევსურა გაგეგონება, აიმის ქალსა. აბა მაშინ ისით წეს იყვის, რო ქალის მთხოვარი ხუთი-ექვსჯერ მაინც უნდა მისულიყო. მემრე სადამ თუ ეტყოდენ „ჰოსა", თუ არა და კიდევაც ბევრჯელ მაუნდებოდა სიარული. ქალის მაჰისნაცვალი დიდ უარზე დადგა. დედას კი ეწადა, მეეცა ქალი. დავიწყე ქალის დედასთან სიარული და მუელაპარაკე იმასა. ე კაც რო უარზე არი, შენ თუ თანაჴმა იქნები, მავან დროს დავგზავნი ბიჭებსა ქალისადა და გაუჴო ნუ გექნებაო. მართლაც დავგზავნენ და მამიყვანეს რძალი. გეეგო ჴევსურასა, გაქცეულიყო ბარისაჴოსა და ეჩივლა. მოიდენ მილიციელები ცხენებითა. გადმოჴდეს ცხენებზეითა და მითხრეს, რო ქალი მაიყვანე ჩქარაო. მე უთხარ: — მაღაროსკარში წავიდენ ჴელის მოსაწერლადაო. — რად გვატყუებ, ჩვენ იქით არ მოვდივართო, — შამამიქციეს. მე კიდევ ლევანს უთხარ დაქუზათასა თოხლი და ქათმებ დაჴოცეო. დატრიალდა ი ბალღიცა. იმათაც რო გაიგეს, ქალი თანახმა ყოფილაო, დამარიგეს: ეხლა ქალის დედ-მამან მოდიან და მეერიდეო. მეც ავდეგ და იქავ ღობესთან დავიმალე. ჩემ მაგიერ პასუხ იმათ თავად გასცეს. მერე შამოლალნეს სახშია და შავრიგდ-მოვრიგდით ყველეები.

90

ჩავალის ჩაეუბნება ტინკოთ ვაჟაი სალარსა:
ცხენავ, გეტყობის, გეშინის გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,
ჩაგავლევ თერეთეგოსა, ჩაგატანინებ ნალარსა,
შენაც იქ მოგკლავ, ცხენაო, თავსაც იქ დავდებ ჰალარსა.

91

დავდეგით ხარჭიშოშია ზემოთ-ქვემოთით გერები,
სუართ მალხაზას მოვრიგდი, ქალივით მუეფერები,
მიყიდა რუსულ ჩექმები, მუჴლზე მადგება ყელები,
ორნივ ღორებში დავდივართ, ბალღებ არმოსაზდელები.
თიანეთისაკ დაგვიდის, დავაღუპვინეთ ქერები,
გაგვიგო ალაის ცოლმა, დაგვიცხვა ქადის კვერები.

92

ახლა კი დედას გიტირებ ქელ-დადგმულად, ხადულაო,
კაწალქევს რო გადმოილი, იმ დედაშენს რა ჰჭგულაო,
მე ის რაიმ გავიგონე, დედა მთაში წასულაო.
მეც უკვენ ტბას შავლა მინდა, საქმ საქერქად მასულაო.

93

ე მაგით გითხარ, ძმობილო, მალედა გაგტეხს თათარიო,
ნიადაგ გამტეხ კაცი ვარ, ჯერ ქვა გასტეხე საყდარი,.
ქელ შაკრულ გამოგავლიეს, უკვენ მოგდევდა ჩაფარი,
ბუსნის ჰალამდი არ ჩაგყვა დედის ჩადებულ საგძალი.

94

დაგიწვი, კარატიელო, დუხაბურივით ქუდია,
ჩემ ქუდასავით საბძელი ლახატოს წამაჰქყუდია,
ყარტი არ გიკრაჯს, საწყალო, დასწვიმს, დადგება გუბია,
სამ კავზე მაინც ჩააკარ, მერცხალ მიაკრას ბუდია.

95

წიწოც კარატიელი ვარო, ჩარგალს დავალ ლამფაითა,
ვაითუ ყროლ რძალ გამამადგეს, ბოზიც იქნას, კახპაიცა,
იქავ ჯალაფთ გაუგზავნი, თუ ჩემ ჰკვაზე არ მაიქცა.

96

გადმოქე, ვიკაფიაოთ, ძმისწულ ენაცვლოს ბიძასა,
რას მემუქრები ბებერსა, ვაშკაცო, დედამტრისასა,
გაჯავრდეს ბუჯირიშვილი, მოგაქაქვინებს ქვიშასა.

97

ჩიოდა მუშტათ ჰრელაი: დამიკოხტავდა შვილები,
ქელში თითო ცხენ უპერავ, ოთხითავ დაჰედილები,
ლასტიკის ახალუხები, გარეთ მოსკოვის ღილები,
გუშინაც გამოვიტანე ფიცრები ჩამოყრილები.

98

დაგვშორდი, მუშტა ჰრელაო, ჩვენთან არა გაქვ წილიო,
ჩემ ორმოც თუმან მამეცითო, დავსწვი თქვენ ნამყ:ნ ხილიო,
ისიც მეზობელთ წაილეს, რომენიც უფრო ტკბილიო,
მამუკა წვერში შამკდარა, არჩევს, რომენიც სხვილიო,
დილას რო გამოიარე, ძირშიაც მოკრეფილიო.

99

— ე ბებერკაც მამეწონა, უნდა უთხრა ბიძაობა,
— მაშ დედასთან წამიყვანე. მიმიყვანე იქაოდა,
— შენ მამაჩემს ვერ თუ იცნობ, კ ხურ იცის ჰიდაობა,
— ისითა კი არა მინდა, დავამტვრიოთ იქაობა.

100

დავჯე და წერა დავიწყე, წინ გუბე მიდგას ცრემლისა,
გულითა ვარმიანითა ვარ ჩამამრთმელი ჴელისა,
ძმაო, თუ ახლა ჭირში ვართ, იქნებ დღე გვექნას ლხენისა,
არ გადასწყვიტო იმედი, იმედი კაცთა მცველისა,
არის ჴელმწიფე პატრონი მთელი ზღვისა და ხმელისა.

101

დუქანში ჩამოგივლავის, ჩვენო ახალო სიძეო,
ჩაგიცომ დარაიაი, ჯიბეში არა გიძეო,
დამშორდი, კარატიელო, ძმაო, შენ შენთვის იჯეო,
როდის მოგიველ კარზედა, ცხენებს პურ ამიკიდეო.

102

ფშავით მამწერეთ წერილი, გადმააყოლეთ ცისკარსა,
ახლა რუსეთით მე მოგწერთ ცხოვრებას სალდათისასა,
ორ მანეთ ნახევარს ვიღებთ ჯამაგირს მთელის წლისასა,
ლეგას ტოლომანს გვაძლევენ ჩექმასა კამბეჩისასა,
მინდვრად ვართ გამწკრივებულნი, ვასწორებთ თოფის ლიშანსა,
ერთის ნასროლით ოცს მოვკლავთ, ვაშკაცსა ოცის წლისასა,
დაეცემიან ერთადა, გააწითებენ მიწასა,
გააქვის კაცის თავ-ფეჴი ტყვიასა ზარბაზნისასა,
დაბლა გამაჲჭფენს პალტოსა, ლამაზის აფიცრისასა,
დაიძახებენ რუსები — სული ღმერთს, ლეში მიწასა,
დაიცათ, იაპონლებო, არც კი ჩვენ ვაცდენთ ლიშანსა,
მოჭჲკრიფეს პარახოდები, წამოგვივიდეს ზღვისასა,

103

ცხრა სუ მთლიანად წავართვით, ამბავს იკითხვენ ტყვისასა.
დიდი დახვედრა სცოდნია მტერს ჩვენის ჴელმწიფისადა,
გულჩი მამარტყეს ტყვიაი, ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა,
ოთხი კი კარგა ვესროლე, უჭერდი გულის ფიცარსა,
მეხუთე დამრჩა უსროლი, ბნელადღა ვხედავ ლიშანსა,
სახეს არ ვიყავ ცნობილი მე ჩემის პაპაისასა,
მოიდა, ჴელი მამხვია, ძალს მავედრებდა ხვთისასა,
ჴელჩი ეჭირა მაჟარი, შუქს აყენებდა მზისასა,
მჴარ-იღლივ ჴმალი ეკიდა, წვერ უწვდებოდა მიწასა,
კარგად ვერ გამოიტანე, ვიტყოდი სიმართლისასა.

104

შატილს მოიდა ჴოჴობი, დიდგულად დაჟდა ჯარზედა.
მოზარდნა შვიონი წიწილნი არწივის ნაბუდარზედა,
შვიდთავ უყიდა თოფები, ჴმლებ გადაჲჭკიდა ტანზედა.
საფშაოდ გამაისტუმრნა, შვილო, მშვიდობით გზაზედა,
მათურაისას ჩაილით, მოკლედ გაჲჭკდებით წყალზედა,
პატარას ნოქვას აილით, შაჲჭკდებით მეედანზედა,
აკად'ა გოდერძათ ციხე დგა, მიდით, შაჲსცვივდით ბანზედა.

აჰადს გოდერძათ ციხეო, ქვამც ნუ ზდებულხარ ქვაზედა,
აჰადს გოდერძათ ციხეო, ჯაჭვი გადიცვი ტანზედა.
მოდიან ქისტის შვილები, მოგიჯდებიან კარზედა,
მანდით ქალ გამაიყვანეს, მაატირებენ გზაზედა.
შამოაჭკდეს დალალებულნი მაგ საქარავნოს მთაზედა,
წინ თადიაურ შააჭკვდა, საჭელ-შაყრილი მკლავზედა,
ე ქალა საით მოგყავისთ, ცრემლს რო იგორვებს თვალზედა,
ისივად ისივა აჭკითხავს, ბაწარს იმაგრებს ჯლანზედა.
ე ქალ აჰადით მოგყავის, შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა,
ვაჰი, რა ონავარ გიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყმაზედა,
თუ მე ეგ წაგაყვანინოთ, წვერიმც ნუ მსხავის ყბაზედა.
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა ჴელი გაიკრეს ჴმალზედა,
შვიდ მურგვალ შამაუარა, შვიდთავ თავ გააშვრა წამზედა,
აჭყარა იარაღები, ქალს გადააჭკიდა მჴარზედა,
ჩემდა სხვა არა იფიქრო, ვიყნოდეთ და-ძმობაზედა.
შაბათსა ჭქნოდეთ ქორწილი, კვირას დაესხდოდეთ ჯარზედა,
ორშაბათს მენაც მოგივალთ, ორშაბათს დილიანზედა.
ლუდი ადუღე, ჴოჴობო, მოგივლენ პირობაზედა,
ისეებ ვეღარ მოგივლენ, დარჩეს საფშაოს გზაზედა, —
პირისგან შაწუხებული დაებჯინოდი ქვაზედა.

105

— ჩემთან წამოდი, ფრუშკაო, ქალ მოგცა როგორც ეთერი.
— მე ეთერივით არ მინდა, ბეჩავა მინდა ჩემფერი.
— შენ საჩეჩლების მკეთო ხარ, ჩემ ქალ გექნება მჩეჩელი.
— შენ ქალ რად უნდა ფრუშკასა, ათასკან კვერცხის მდებელი.
— მაინც გწუნობენ, ფრუშკაო, ბეჩავაი ხარ, ბებერი.
ბილი დამწიფულ სჯობავის, რაღა ხარ გაუგებელი.

106

ქუჯეგათ კინტოს უყურეთ, რა კოხტად არბენს ცხენასა,
პირდაპირა აჭყავ ნადობიო, ცხენ-მჴედაროო აახდის წერასა,
უყურეთ ბაცუციასა, პატარა ჭიჩუელასა,
დაწვება დარეჯანთანა, უბეში ჩააჭყოფს ჴელასა,
ბიძას ძიძიას არაჲრცხვენის, ძუძუს უპიროობს კბენასა,
მეოთხე კუტაველაი ნალაჴთ რო ვერა ჴელავსა.

107

იყო ერთი ფრუშკა წვეროშვილი — მოლექსე. იმანა თქვა:

— ჩვენს კოლექტივს მაუტანეს სანიავებ მაშინაო.
ჩვენ სუყველა გავარჩიეთ, გასაყიდიც — საშინაო.
დარ.ის ძაან მეეწონა, ხან წინ ურბენს, ხან უკანაო.
ვინც ცხრილ-ტაბაკნ მაიგონა, ერთ დღე-ღამეს აგინაო.

ახლა ჴევსურმა შაუმღერნა:

ძროხებ რაად დამიჴოცა, გუდანის ჯვარს ვეწდურები.

ამაზე:

გუდანის ჯვარ არას გიშლის, ძაღლებ ნუ ხართ ქევსურები.

ახლა ქევსურმა:

ფრუშკავ, რად არ ლამფა გინთავ, რადა ზიხარ ბნელაშია,
დარო, ე ჩეკ მამაწვადე, ე მანდა ჲგდავ კერაჩია.
ციცარაიმ შამოვარდა, ლაჰთ ჩაგეიცემს ყველაშია,
სამ-სამ მანათ გამამართვეს თითო ხაჭოს კერაშია.

108

ერთი მიგრიაული იყო, სახელა ექვივნა. ჩემი ძმა პაპა იყო, ის ჯიელი იყო. ყანის მუშა'ში არიან მიგრიაულთამი. დასხდენ ერთად, როგორც მოჰიდავე მელექსეები.

იმ ჩემ ძმას 'მაუმღერნა სახლამ:

— ჩემთან გადმოჯე, პაპაო, ენა რამა გაქ მწარია,
— შენთან რა მიძე, ძმობილო, ბალღი ვარ უმეცარია.
— შენ ჩემთან არა გაგივა, დიდ-დიდნი მქონან რქანია.
— კიდეც ე მაგით დასჩხვერე ე გოგოლაის ქალია.
რა გამწარება მაკლიყო, ახლა შენ გამამწარია,
მაშ პირ რამ დაგწვა, ძმობილო, თუ ნიორ არა სჭამია.

109

ქართლში შეიყარა ორი მელექსე ქორწილში. ბეინი იყო ქართლელი და მწარია ბეყოშვილი მალაროში ცხოვრობდა და იქ გადასახლდა.

— ეგ არია, მწარია, მაგას თუ აქვს ქვეყანა,
თუ ვერ იცნობდი, ძმობილო, ეხლა ხო შემოგეყარა.
— თქვენსამც ქალებში გამრია, იმათ ჯავრ ამომეყარა.
— შავსამც გაქცია ღორადაო, უწმინდურ ადგილ გეთხარა.

დაჲჭკრეს კიდეც ერთმანეთს.

110

გომეწრელი ვაჩეთ თიქუა იყო. იმ მამაჩემსა ი თიქუა დაუჭერია და ერთი ცხენი ჲჰყვანდა, თულა ერქვა.

— შენი ჭირიმე, თულაო, შენი მოპარვა მგულაო,
მე შენ დამთმობი არა ვარ, შინაც წ. გიყვან, თულაო,
შენი ბადალი, ოქეროო, ცას მასკვლავ არა მბულაო (არ დაბადულაო).
— თიქუას არ წაგაყვანინებ, თუნდა რო გაჲსწყდეთ სულაო.
სანამდი ლეგუა იყო, სარჩო რამ ქონდა პატარაო,
ეხლა. პაპ წაძაიზარდა, სახლი ჩანს, სარჩო ალარაო.
შენ ცოლ-შვილ ავდრი წყალ დაჲჭკოც, ჩემსას კრამიტი ჲჭფარაო.

110 II

ბორჩალოს თათრებ გაჲჭცვივდენ,
ბორნით გამოჲჭკდენ წყალსაო,
შაუდგა ყარარაჩახი
ალგეთის ჭეობასაო,
კითხულობს ფშავლის ჩობნებსა,
შირაქში მიმდინარსაო.

ერთი თათარი ურჩევდა
გოხნაში ჩამამდგარსაო:
ნუ მიხვალ, ყარარამაზო,
ერთი ვეფხვი წევს გზასაო,
დაგაგვიანებს დიდხანა,
შაგიშლის კბილის ფხასაო.
არ დაიშალა ვაშკაცმა:
გულზე რად მადებ ბრალსაო.
მორბოდა ყარარამაზი,
იტრიალებდა ჴმალსაო,
მაატოტავებს ლურჯასა,
მაანათებდა ნალსაო.
წინ გადმაუდგა ყაყიჩსა,
შამაუბრუნებს ცხვარსაო.
ამხანაგს თოფი დაუკრა,
წითლადა ღებავს გზასაო.
რა დახვალ, რა იარები,
რაად მიბრუნებ ცხვარსაო?
რად მიტრიალებ ქეჩებსა,
რად მიბოქირებ ცხვარსაო?
ან ე ბალღ რაად მამიკალ,
რად მადებ ცოდვა-ბრალსაო?

თოფი გადმამეც, ფშაველო,
ნუ მაგვიანებ მგზავრსაო,
დედას არ დაუბარებავ
ნათათრალაის ქალსაო,
აიყაროდი აბჯარი,
მიაწვადოდი სხვასაო.
დაჩვეული ხარ, რჯულძაღლო,
გზაზედ მგზავრების ცრცვასაო,
ჯიბეში ჴელის ჩაყოფას,
ჴელზე ფულების თვლასაო.
აინალ შამაიბრუნა,
შამააყოლებს თვალსაო.
გულში ჰკრა ყარარამაზსა,
სისხლ ორკნივ იქამს ჩქამსაო.
ყარარამაზი, ქურდებო,
გერჩივნოთ თავის ძმასაო.
სისხლს აბნევს ყარარამაზი,
რო ფთე-ბორბალი წყალსაო,
ყარარამაზის მამკლავსა
რად არ გაძლევენ ჯვარსაო?
ეგ რო მეეკლა ყროლასა,
გაჰკიდიდენ აფიცარსაო.

# თუშური

111

კოტრაკოელებს საქონ ერეკ თუშებისაჲ ცო̄ცმ ერთ სოფელსაიაცი. შეყრილიყვნეს თუშნი ცო̄ცმათ წასაკდენად, გადასრულიყვნეს კოტრაკო, ტბაზედა-დ' დავით კვესიაციძეს ეთხოვ თავის ბელადისად, გამიშვიო-დს ქოქვერაც რო ცხენებიავ, ცო̄ცმათ ამოვღრეკავავ. ბელადს არ გე̄ცმვ. დავითო გახპარვიყო, ჩასრულიყო ცხენებსთან. ერთ ლეკ ყოფილიყო მეჯოგედ. მეჯოგეს თოფიც ჴელში შჴერიყო; მაგრამ დავითო ვერ ენახვ, მანამდ ახლოს არ წასვლიყო. დავითო ახლოს რო მისრულიყო. გაქცეულიყო-დ' ჴმლით თავრელაც გე̄ცრეკები, მე̄ცყარ ჯოგ წინა-დ' თავის ხალხ მი მე̄ცრეკ.

ცო̄ცქითა წასრულიყვნეს, დასცემიყვნეს კოტრაკოს. ლეკებ ყოფილიყვნეს შესრულები დაც ცო̄ცქითა ეთოფ თუშები.

კვესიაციძე პირდაპირ შესრულიყო ციხის ბაშტიკართან; მთელ ტანისამოსი ტყვიებისგნივ სუ დაცხავებულ ხქონიყო, ტანზე კი ვერ ეწი. მე̄ცტან დავითოს ციხის ძირზედ ჩალაჲ, ფიჩხი-დ' შეშაჲ. მიეკიდ ცეცხლი-დ' ხალხ სუ ციხეში ჩე̄ცწვ. ველარავინ ველარ გამოსრულიყო გარეთ შვიდ სართულიან ციხეშიგითაჲ — სუყველაცნ შიგ ჩამწვარიყვნეს.

ციხე რო გაჴურებულიყო. ერთ ქალს გამე̄ცხედ სარკმელშიგითაჲ: კვესიაციძეს ენახა-დ' ეთქვ: გადმოდივ, სარკმელშიგითა გადმოარდივ. მე დაგიჭირავ, თუნდ ცოლად წაგიყვანაო-დ' თუნდ დადავ.

ცო̄ცმ ქალს ეთქვ: სამ ძმა მყავავ, სამნივ ციხეში იწვებიანავ, მეაც ცა̄ცქ უნდ დავიწვეო-დ' შიგავ შესოულიყო.

112

დავიზარდნეთ მუშაცობით, სუ ჴმო-ძროხათ მივზდევდეთ, სუ ჴევტყეთ მივზდევდეთ, გუთანსაც მივზდევდეთ, შემაჴრა გინდა, წისქვილ წასვლა გინდა — ყველაც ჩვენ ვაკეთიდით. ცე̄ცგ იყო ჩვენ ჯანჴალაცობაჲ.

გან ახალსავით გვეცვ, სუ ტოლ გვეცვა-დ' ტყავკაბები; ცა̄ცხლ ტყავკაბას ვინალ ჩო̄ცცვამს; პატარაობას თეთრ ტოლის კაბა მეცვის, ცა̄ცხლამ ცო̄ცმას ვინ იკადრებს. სუ თავწაკრულებ ვიყვნიდით, სუ ჩითები, ქალბნები-დ' წინდაცებ გვეცვის.

შინ კიდევ რაცგვერ ვიცხოვრიდით, დეცი. კალტი-დ' ყვაც გვქონდის.

სახვრეტაჸი, ერბოა; საგებელ ჩალისა გვქონდის, ტყავისაა. წინ საბან არ იყო, დეჸი, არ გვქონდის საბანი, სი იყო ჸიჸმაშ საბანი, ჩალიან ლოგინი-დ' ტყავი; ცჷჸხლამ ტყავს ვინალ იკადრებს, ბეჭვიანიავ, მე კი გარევ ტყავ მაქვის.

ჸაჸიქ სოფლის ბოლოში ჩავიდოდით ბადლებში ზაფხულის ხანას, როცა ორსულად ვიყვნიდით-დ' ჸიჸქ ვაჩინდით ბალღები. ზამთრისეც სოფლის ბოლოს ჩავიდოდეთ, ყარტ-მოფარებულში ვაჩინდით. ბალღებიც ხანდხანაჲ ვაბანაჸიდით. კერაჸზე ვინ გაგვაჩენიებდ, ახლანდელ რო სუ ბუმბულებზე წვანან. თავ·დაც სუფთაობისგნივ ერთ კვირა ეს, გინდ თოვლიც ყოფილიყო მუჴლზე. მაინც ჴევში ჩავიდოდეთ ახალ-გაჩენილები თავადაცა-დ' ტანისამოსიც ჸიჸქ დავრეცხიდით. ორ თვემდ კვირაჸეში თითოჯერ ცჷჸგრ ვქნიდით.

ცუტუნაჸ ბალღს წელ-გათავებამდ ფართალ აცვიანა-დ' მემრ ტოლიკაჸ ჩავაცვიდით. საყმე ბედენა არ იყო-დ' საქალეა.

პალტოს მაგივრად ზედსაცმელაჸ ჩოჴა გვქონდის. ჩოჴის ქვეშ არაიც არა გვეცვის, ჸიჸს თითო ქერქ ჩოჴა იყო ჩვენ სუმთელ ჩასაცმელაჸი; ზოგთ, ვისაც ხქონდის, ფართლის უსაჴელოაჸ პერანგ ეცვის ჩოჴის ქვეშ.

თავზე კიდევ მანდილ ვიცოდიდით, დიაჸსაც ჸეჸს გვეხურა-დ' ქალსაც. მანდილს სამი, ოთხი ან ხუთ მეტრა ფართალ უნდოდ.

სუყველაჸს შავ მანდილებ გვეხურის. ჸიჸმაშ ჭრელ არცა იყვის, ჩვენამ ვინ მოგვცემდ იშაჸებს.

მანდილის ქვეშ კუპურაჸ გვქონდის, დაგრეხილ ბაწრისა ვაკეთიდით; დაგრეხილ ბაწრისა ვაკეთიდით წინ, ცჷჸხლ ფართლისა იციან. მანდილ კუპურაჸზედ თავსაკრავაჸით ვიმაგრიდით.

წინ კიკინო-კოწოლ სუ წინ გვქონდის გადმოყრილი. გან ახალსავით უკვენ წავიხულაჸიდით.

საქმის კეთებას ყურ მოვიხვიიდით მანდილზე ზედისკითაა.

113

მეკობრად წასრულიყვნეს ოთხნი აქითაა ხისოელები: ერთ ბიძაჩემი, ერთ ხუტურთ გაბოა, ერთ ფსიტიანთ გუგოა ჰადაჸ თავადაც სადლაცა ბოსელ ყოფილა-დ' იქ შეხყრიან. ერთ ძროხა ხყვანი, ცხვა არა ხქონი; ცოლ-ქმარ ყოფილანა-დ' ბალღებ ყვავილიანებ ხყვანი. ჯერ ჸიჸს კაც მოუჸკლავისა-დაჸ ჸიჸს დედაკაც გალორებულ. მემრ ჸიჸს დედაკაციც მოჸკ ლ, მემრ ბალღებიც ამოჸწყვიტ. წამოჸვან ჸიჸს ძროხაი-დ' ერთ ბაზუნაჸი დაჸ ცხვა რალაცებიც.

114

ერთ კემწიფე ყოფილიყო თურ, სამ ბიჭ ხყვანიყო. ჴემწიფე რო დაბერდ, აღარ შეჸძლო მეფობაა, სიბრმავე მოჸცგონ ტყუილადაჸ, უთხრ შვილებს:

— აბა, შვილებოვ, მომიარეთავ, მომარჩინეთავ.

ცი̄ცმ შვილებთ წილებ ყარეს, რომელს ერგებოდ წასვლაჲ წამლის მოსატანად.

პირველაც უმფროს ბიჭს ერგო, მეორედ საშუალოს, მესამედ ცუტუნაცს.

შეჯდ ცხენზედ ცი̄ცს უფროს ბიჭი, წავიდ, სამ დღე-ღამეს იარ. მესამე დღეს ერთ წყაროზე დუ̄ცლამდ, მემრ თქვა ცი̄ცმ ბიჭმ, რაცით ცა̄ცმ წყაროზე დამიღამდავ, იქნებ წამალ იყოსავ, ცე̄ცსელ წყალ წავიღოვ.

მეორე დილა ადგ ცი̄ცს ბიჭი-დ' ცი̄ცქითა ცი̄ცს წყალ მი̄ცლო.

მამამ უთხრ:

— შვილო, მოხვედია̄ვ, წამალ მი̄ცლეა̄ვ ან ვერავ?

მავან ალაგას რო წყაროიავ, ცი̄ცქით წყალ მოიღეო-დ' ცე̄ცმაგითაღავ თვალებ გამი̄ცბანეო-დ' იქნებ წამალ იყოსავ.

— ეჰ, შვილოვ,— უთხრ ცი̄ცმ ჭელმწიფემ,— მეავ დილა ავდგებოდეო, პირს დავიბანდევ, ჩაის დავლევდევ, სადამოსადავ შინავ მოვიდოდევ, შენავ სამ დღე-ღამე მუ̄ცნდივ მე რაცვეერ მომარჩენავ.

მემრ მეორე ბიჭ შეჯდავ ცხენზეაო-დ'. წავიდავ, ცა̄ცმამაც სამ დღე-ღამე იარ, ცი̄ცმ წყაროს გასცილდ, მეორე წყაროზე დუ̄ცლამდ, მეორე წყარო ყოფილ, ცი̄ცმამაც ცი̄ცქით წყალ ამი̄ცლო, ცი̄ცმამაც ცი̄ცვრევ მამას მუ̄ცტან. ცი̄ცმასაც შე̄ცკითხ მამაჲ:

— შვილო, მოხვედია̄ვ, წამალ მომიტანეა̄ვ?

— მოვედივ, მავან ალაგას რო წყაროავ, ცი̄ცქით წყალ მოიღევ, ცე̄ცმაგითაღავ პირ დი̄ცბანევ, იქნებ ეგ კარგაც აყოსავ.

— ეჰ, შვილო, მეავ დილა ავდგებოდევ, პირს დავიბანდევ, ჩაის დავლევდევ ვშჭამდევ, მემრ წავიდოდევ ფეხითავ, სადამოსადავ შინავ მოიდოდევ. შენ მე რაცვეერ მომარჩენავ?

მემრ ცი̄ცმ ცუტუნაცს უთხრესავ, ჲახლ შენ ჯერიავ, შენ უნდ წახვიდევ. ცი̄ცს მეტაც ცუტუნაც ყოფილიყოვ, დი̄ცშყოვ ღრიალივ. გამოარდნილიყოვ გზაშიავ. ერთ ქვრივ დიაცც გამოჩენილიყოვ, ეთქვავ:

— შვილოვ, რად სტირივ?

— მეავ აგრ მეობნებიანავ, მამის წამალ უნდ მი̄ცლოვ. თავად ვერ მი̄ცლესაო-დ' მე სი უნდ წავიდევ, სიითა უნდ მოიღოვ.— მემრ ცი̄ცმ დიაცცმ უთხრავ:

თქვენ ჯოგშიავ რომ ერთ ჲასთაცჲასთაც რაშიავ, ცი̄ცმ რაშს იცნობა̄ვ?

— ვიცნობავ, — ცი̄ცმ ბალღმ უთხრავ.

— მავან-მავან ოთახშიავ რომევ ჲასთაც-ჲასთაც საკმაზიავ, ცი̄ცს საკმაზ იცი̄ავ?

— ვიცივ, — ცი̄ცმ ბალღმ უთხრავ.

— ცი̄ცქ მავან კედელზეავ რო ერთ მათრაჭ ხკიდავავ, ცი̄ცს მათრაჭ ოცი̄ავ?

— ვიცივ, — ცი̄ცმ ბალღმ უთხრავ.

— მაშავ, წედივ, ცი̄ცს რაშ დი̄ცჭირიდივ, ცი̄ცმ საკმაზით შეხკმაზიდივ, ცი̄ცს მათრაჭ დი̄ცჭირიდივ, მემრევ თავად წაგიყვანსავ ცი̄ცს რაʻშივ.

წასრულიყოვ ცი̄ცს ბალღივ, დე̄ცჭირავ ცი̄ცს რაშივ, ცი̄ცმ საკმაზით შე̄ცკმაზავ, ცი̄ცს მათრაჭ დე̄ცჭირავ.

მემრ მამას ეთქვავ:

— შვილოვ, რომელ რა ცხენ წაგყავისავ ან რომელ რა საკმაზივ ან რომელ რა მათრაჭივ.

— მავან რაშ მყავისავ, მავან საკმაზ მაქვისაო-დ' მავან მათრაჭივ.

მემრ მამამ უთხრავ:

— შვილოვ, მიდიხარიო-დ' ღმერთმ ნუ მოგიყვანოსავ! — შეჯდ ცი̄ცს ბალღივ ცხენზეავ, წავიდავ გაჯავრებულივ.

ცხრა დღე-ღამეს იარავ ცი̄ცმ ბალღმავ, მეცხრე ღამეს რო მიდიოდავ, შორსავევ მინდორʻშიავ სინათლე ნახავ, თქვაავ, რომევ ცი̄ცქამევ ხალხ თურ ცხოვრობსავ, ცი̄ცქალ წავიდევ. წასრულიყოო-დ' ერთ ბუმბულ გდებულიყოო-დ' ცი̄ცმას ენათავ. ჩამომჭდარიყოო-დ' ცე̄ცლოვ ცი̄ცს ბუმბულივ, მემრ ეფიქრავ, იქნებ არ ჭამდესავ ცა̄ცმის წაღებაივ. ცი̄ცქავ დე̄ცგდო.

მემრევ ცი̄ცმ ბუმბულს ეთქვავ: წამიღებავ, მაინც ინანებავ, არ წამიღებაო-დ' მაინც ინანებავ.

მემრ ცი̄ცმ ბალღმ თქვაავ:

— ეს ხო ორჯელავ ვინანებაო-დ' წავიღო მაინცევ, რაცის მომივა, მომივავ.

ჩი̄ცდვავ ჯიბეშიავ, შეჯდავ რაʻშზეაო-დ' წავიდავ.

ცხრა დღე-ღამეს გარევ იარაო-დ' მემრ ერთ საჭემწიფოში გასრულიყოვ. ნაპირზეაოდევ ერთ სახლ მდგარიყოო-დ' ცი̄ცქ ეძახავ, ცი̄ცს სახლივ ჭემწიფისა ყოფილიყოვ, ვეზირებს გამე̄ცხედვავ.

— ვინ ხარივ, — ეთქვ, — სიითა ხარივ?

— მეავ მავან ჭემწიფის შვილ ვარივ, ამდენ დღის მგზავრ ვარიო-დ' შემინახეთალავ სალამოდავ.

შესრულიყვნესავ, ჭემწიფისად ეთქვავ, მავან ჭემწიფის შვილ ვარივ, შემინახეთალავ სალამოდავ, ამბობსავ.

ჭემწიფეს ეთქვავ:

— წედითაო-დ', მავან ბაშტესავ ცი̄ცმის ცხენ მი̄ცვანეთავ, ʻმავან ოთახშიავ ცი̄ცს ბიჭი ში̄ცვანეთავ, რაცსაც მე მაჭმევთავ, ცი̄ცმ ბიჭს აჭმიეთავ; რაცსაც ჩემ ცხენებს აჭმევთავ, ცი̄ცმის ცხენს აჭმიეთავ. — წავიდნესავ, ცი̄ცმ ცხენს მოხკადესავ, ʻბი̄ცვანესავ ცი̄ცმ ბაʻმტეშიავ, და̄ცბესავ; ცი̄ცს ბიჭიც ცი̄ცჭ ოთახʻმი ʻმი̄ცვანესავ, რომელʻმიაც ჭემწიფემ უთხრავ. მემრ წა-

ვიდნესავ ცი̂ცს ვეზირებივ, გა̄ცმზადესავ ვაკშამივ, ჯერევ ცი̂ცმ ჰემწიფეს წუ̄ცტანესავ, მემრევ ცი̂ცმ ბიჰთან წი̂ცლესავ ჰამაიცაო-დ' ლამფაიცავ. ცი̂ცს ლამფა გახქრობიყო წაისევ, უჩინაცთ შე̄ცლოვ ცი̂ცს ჰამებიო-დ' შტოლზე დე̄ცუგავ. მემრ ცი̂ცმ ბალღს ეთქვავ: რაცისადამ მოიდნესავ ან რაცისადამ წავიდნესავ; ერთილავ ცე̄ცს ბუმბულ ამოვთაროვ იქნებ აქაც გა̄ცნათოსავ. მე̄ცჰადავ ქუდივ, დე̄ცდვავ შტოლზეავ, ამე̄ცთარავ ცი̂ცს ბუმბულივ, ზედ ქუდზე დეცდვავ. ცი̂ცგრ გე̄ცნათავ, რო ელექტრონზე მეტადრე.

ცი̂ცმ ვეზირებსავ ლამფისად მე̄ცდოო-დ' წადენილიყვნესავ იქისაკევ, სარკმელშიავ შუქ ენახვავ, ლამფა ჩე̄ცროვ. ეგემ რაც უნთიავ. შე̄ცხედვავ სარკმელშიავ, ენახვავ, რო ბუმბულ იყოვ.

წასრულიყვნესავ ჰემწიფესთანავ, ეთქვავ:

— ჩვენ სტუმარსავ ერთ ბუმბულ აქვავ, შენ ლამფაზე მეტად ანათებსავ.

— წედითავ, — ეთქვავ ჰემწიფესავ, — ცი̂ცს ბალღ აქ ამი̂ცყვანეთავ. — წასრულიყვნესავ. ეთქვავ ცი̂ცმ ბალღისადავ: ჰემწიფე გიბარებსავ. ასრულიყოვ ცი̂ცს ბალღიცავ.

ცი̂ცმ ჰემწიფესავ ლამფა ჩე̄ცქროვ, ეთქვავ: ჰაბალავ ცი̂ცს რაცგვერთ ბუმბულ გაქვავ, რაცგვერემ ანათებსავ. ამე̄ცლოვ ჯიბეშიითივ ცი̂ცს ბუმბულივ, შტოლზე დე̄ცდვავ, მართლეცავ, ცი̂ცგრ გე̄ცნათავ, რო ცი̂ცმის ლამფაზე მეტადავ. მემრ ეთქვავ ჰემწიფესავ:

— ანალ მაჩუქევ ანალ მომყიდევ!

— ქონდესავ, — ეთქვავ ცი̂ცმ ბალღსავ, — გაჩუქებავ.

მეორე დღეს გე̄ცგოვ ცი̂ცმ საჰემწიფოსავ, რომევ ჩვენ ჰემწიფესავ ძასთაც-ძასთაც ბუმბულ აქვავ. თურმე მოდიანავ მთელ საჰემწიფოივ სანახავადავ ცი̂ცმ ბუმბულისივ.

მემრევ ცი̂ცმ ბუმბულს ეთქვავ: მე რაც გაგიკვირდითავ. მე რაც სანახავ ვარიივ, სანახავიო-დ' საკვირველივ ცი̂ცს ფრინველიავ, რომელსაცავ მეავ მჯარზე ვაჯედივ.

მემრ ცი̂ცმ ჰემწიფეს ეთქვავ ცი̂ცმ ბუმბულისადავ: ვინ მომგვრისავ ცი̂ცმ ფრინველსავ? ცი̂ცმ ბუმბულს ეთქვავ: ვინც მომიყვანავ.

მემრ ცი̂ცმ კემწიფეს ეთქვავ ცი̂ცმ ბიჰისადავ: აბა, ბალღო, თუ მომგვრივ ცი̂ცმ ფრინველსავ, მომგვარეო-დ' თუ არა-დ' მოგკლავავ.

ცი̂ცმ ბალღსავ ტირილ დე̄ცწყოო-დ' წასრულიყოვ თავის რაშსთანავ. რაშს ეთქვავ ცი̂ცმ ბალღისადავ, რად სტირივ. იმ ბალღს ეთქვავ: მეავ კემწიფემავ ძასრ-ძასრ მითხრაო-დ' მეავ ცი̂ცს ჩიტი სიითა უნდ მოვიყვანოვ. ცი̂ცმ რაშს ეთქვავ: წედივ კემწიფესთანავ, ერთ ფაშატ ცხენ გამა̄ცრთევივ, ერთ თოჰივ, ერთ ლაფატკაცივ. წასრულიყოვ ჰემწიფესთანავ, ეთხოავ ჰემწიფისადავ ცხენიცავ, თოჰიცავ, ლაფატკაცავ. წასრულიყოვ, შე̄ცჯმაზავ თავის რაშივ, ცი̂ცს თოჰ-ლაფატკაციც ზედ ცე̄ცკიდავ, თავადაც შემჯდარიყოვ, ცი̂ცს ფაშატიც ჰელში დე̄ცჰირავ.

წასრულიყოვ, სამ დღე-ღამეს ვარავ, ერთ დიდ მინდორში გასრულიყოვ. მემრ ეთქვავ ცი̄ცმ რაშსავ: ცე̄ცგ ცხენ დაკალიე, გა̄ცტყავევ, ცე̄ცმაგ ცხენის გვერდზეავ ორმო ამოშჭერივ, შიგ ჩაჯედივ, ცე̄ცგ ტყავივ ზედ გადი̄ცხურევ. ცე̄ცმ მინდორს ხო ხედავავ, მთელ ფრინვლით ცი̄ცმსვებავ. რაცივც ქვეყანაზე ფრინველიავ, სუ აქ მოალისავ. მემრ ცი̄ცს ფრინველ რო წავავ, ერთ ფრინველ გამოჩინდებავ თავადაცივ, ჭყვრიალაცივ, მოვავ, ცე̄ცმაგ კორცზე დაჯდებავ, ჯერ ერთხენ დახკრავსავ ნისკარტსავ, დი̄ცხ-მი̄ცხედებავ, მემრ მეორედ დახკრავსავ ნისკარტსავ, დი̄ცა-მი̄ცხედებავ, მემრ მესამედ დახკრავს ნისკარტსაო-დ' გაფრინდებისავ; შენ ეცადიდივ, რო სანამ სამჯერ დახკრავსავ ნისკარტსავ, მანამ დი̄ცჭიროვ. ადგავ ცი̄ცს ბალღივ, დაკლავ ცი̄ცს ცხენივ, გა̄ცტყავავ, ცი̄ცმ ჴორცის გვერდზეავევ ორმო ამოშჭრავ, ჩაჯდავშიგაო-დ' გადი̄ცხურავ ტყავივ.

მემრევ მოიდავ ფრინველივ, მოიდავ, გი̄ცმსვავ მთელ მინდორი. მემრევ ცი̄ცს ფრინველ რო წავიდავ, გამოჩინდავ ერთ ფრინველივ თავვადაცევ, ჭყვრიალაცივ, რომევ თვალებს ვერ უსწორებდავ; მოიდავ, მოიდავ, დაჯდავ ცი̄ცმ ჴორცზეავ, დახკრავ ერთ ნისკარტიო-დ' დი̄ცხ-ჩი̄ცხედავ. დახკრავ მეორედ ნისკარტივ, დასცავ ჭელივ ცი̄ცმ ბალღმავ; მივარდავ ცი̄ცს რაშივ ცი̄ცმ ბალღთანავ. შემჯდარიყოვ ცი̄ცმ რა̈ზეაო-დ' წასრულიყოვ, მისრულიყოვ კემწიფესთანავ. გე̄ცგოვ ცი̄ცმ საკემწიფოსავ, მთელ ხალხივ სანახავად მიღენილიყოვ. მემრევ ცი̄ცმ ფრინველს ეთქვავ: მე რაც სანახავიო-დ' საკვირველ ვარივ, საკვირველი ცი̄ცს ქალიავ, რომელსაცავ მეავ ქათმად ვყვანდივ. მემრევ ცი̄ცმ ჴემწიფემ უთხრავ ცი̄ცმ ფრინველსავ: ვინ მომგვრისავ ცი̄ცმ ქალსავ? მემრევ ცი̄ცმ ფრინველმ თქვაავ: ვინც მე მომიყვანავ. მემრ ცი̄ცმ ჴემწიფეს ეთქვავ ცი̄ცმ ბიჭისადავ: ბალღო, თუ მომგვრივ, მომგვრივ ცი̄ცმ ქალსავ. თუ არა-დ' მოგკლავავ.

დაღონებულიყოვ ცი̄ცს ბიჭივ, ჩასრულიყოვ თავის რაშსთანავ, რაშს ეთქვავ: რად დაღონებულხარივ. მემრევ ბიჭს ეთქვავ: მეავ ჴემწიფემავ ძასრ-ძასრ დამავალაო-დ' მეავ ცი̄ცს ქალ სიითა უნდ მოვლგვაროვ. მემრ ცი̄ცმ რაშს ეთქვავ: წედივ კემწიფესთანავ. ერთ დიდ ქვაბ გამა̄ცრთივ, ერთ ნაყოჩარივ, ხუთ მოვლილივ, ერთ ყველ გამა̄ცრთივ, ერთ ზედგანივ, ერთ ჯორ შეშაივ. წასრულიყოვ ცი̄ცს ბალღივ კემწიფესთანავ, გამე̄ცრთავ ყველ-ყველაცივ ცე̄ცკიდავ ცი̄ცმ თავის რაშისადავ, თავადაც ზედ შეჯდავ; წასრულიყოვ, ცხრა დღე-ღამეს ეარავ.

ერთ ალაგასავ ერთ დიდ მინდორშიავ თავადაც ერთ სახლ მდგარიყოვ, ცი̄ცმ სახლისად მიეტანავ. ცი̄ცმ სახლსავ მაღლავ ერთ ოთახსავ კინის კარებ ხქონიყოვ; ცი̄ცს კარებივ სუ ერთკვადს სცემსაო-დ' ცეცხლ გაზდისავ (ეჰ, კაცო, დამვიწყებიან, ერთ ფუთ საპონიც გამე̄ცრთვ ცი̄ცმ კემწიფესად).

მემრ ეთქვავ ცი̄ცმ რაშსავ: ცე̄ცმაგ კარებს ხო ხედავავ, ცე̄ცმაგის შიშითა̈ვ ცე̄ცმანდ ვერავინ ვერ შედისავ, ცე̄ცმაგ კარების შიგისაკევ ერთ

ცხვა კარებიავ, ჲო̄ჲმ კარებშიავ ორ ძაღლ ღბიავ, თუ ჲე̄ჲმაგ კარებს გადუ̄ჲრჩავ, ჲო̄ჲმ ძაღლებ'ა ვეღარ გადუ̄ჲრჩებავ, თუ ჲო̄ჲმ ძაღლებსაც გადუ̄ჲრჩავ, შიგისაკევ მესამე კარებიავ ჲო̄ჲქავ ჯინჭველაჲებ არიანაო-დ' ჲო̄ჲმათ ვეღარ გადუ̄ჲრჩებავ, თუ ჲო̄ჲმ ჯინჭველაჲებსაც გადაუ̄ჲრჩავ, ერთ შტოლ დგასავ შუუბანავ; შტოლზეავ ჯამ-ჭურჭელ აწყვიავ. ჲო̄ჲმ ჯამ-ჭურჭელს ვეღარ გადუ̄ჲრჩებავ კაცივ, ჰოდაჲ, ჲო̄ჲმ ოთახში წევსავ ჲო̄ჲს ქალივ, ცხრა დღე-ღამის ძილ 'მჭირ'ავ; ხვალ აქვავ გამოღვიძების ვადაივ. ჲე̄ჲხლავ ჲე̄ჲგ საპონ გამა̄ჲდნევ, ჲე̄ჲგ ნაყოჩარიც დაკალივ, შუაზე გაშჭერივ, ჲე̄ჲგ ყველიცავ შუაზე გა'შჭერივ, ჲო̄ჲტანევ ბალკუმ'შიავ კარებსთან; ეგ საპონივ შორითაივევ ნახევარ ერთკარებს მიასხივ, ნახევარ მეორე კარებსავ, კარებ დადგებაო-დ' შენ თავისუფალ დაშჩებივ; შეხვალ მეორე კარებშიაო-დ' ჲო̄ჲგ კორცივ ნახევარ ერთ ძაღლს გადუ̄გდეო-დ' ნახევარ მეორე ძაღლსავ: ჲე̄ჲგ ძაღლებივ ჲე̄ჲმაგ კორცის ჭამას დო̄ჲწყებენაო-დ' შენ თავისუფალ დარშჩებივ. შიგისაკევ მესამე კარებში რო შეხვალივ, ჲე̄ჲგ ყველივ ნახევარ ერთ მგარეს გადუ̄ჲგდევ ჭიანჭველაჲებსავ, ნახევარ მეორე მჯარესავ, ჲო̄ჲქ შტოლზე რო ჯამ-ჭურჭელ აწყვიავ, რაჲო̄ც გულაღმ დგასავ, პირქვ დადგიო-დ' რა̄ჲიც პირქვე დგასავ — გულაღმევ.

რომელ ტახტშიაც ჲო̄ჲს ქალ წევსავ, ჲო̄ჲქ თავთან დუ̄ჲჯედიო-დ' დო̄ჲხვიევ ჲო̄ჲს თმებივ მაგრ მკლავზედავ. ხვალ დილა რო გო̄ჲღვიძებსავ, ბევრ ფიცს მოგცემსავ, მაგრამევ სანამდ თავის ქათამს არ დო̄ჲფიცავს, არ გუ̄ჲმვავ. ჲო̄ჲმ ბიჭმაცავ ჲო̄ჲს ნაყოჩარიც დაკლავ, ჲო̄ჲს საპონიც გამა̄ჲდნოვ, ჲო̄ჲს ყველიც შუაზე გაშჭრავ: ჲო̄ჲღოვ სუ ყველაჲივ ჲო̄ჲქ ბალკუმზეავ. ჲო̄ჲს საპონ მიასხავ ჲო̄ჲმ კარებსავ, კარებ დადგავ დაჲ ბიჭ 'შევიდავ შიგავ; ჲო̄ჲს კორცივ ძაღლებს გადუ̄ჲყარავ, ნახევარივ, ერთსავ, ნახევარი — მეორესავ; ძაღლებთ კორცის ჭამა დო̄ჲწყესაო-დ', ბიჭ შიგ შევიდავ; მემრ მესამე კარებში შევიდავ ჲო̄ჲს ყველ ნახევარ ერთ მჯარეს გადუ̄ჲგდო-დ' ნახევარ — მეორე მჯარეს: ჯიანჭველაჲებივ ყველს დე̄ჲხვივნესაო-დ' ბიჭ შიგ შევიდავ; შტოლზე რო ჯამ-ჭურჭელი იყოვ, რაჲიც გულაღმ იყოვ, პირქვ დადგაო დ' რაჲიც პირქვ იყოვ — გულაღმევ.

დუ̄ჲჯდავ თავით ჲო̄ჲმ ქალსავ, დო̄ჲხვიავ ჲო̄ჲს თმებივ მკლავზეავ; იჯდავ გათენებამდივ ჲო̄ჲქავ.

რო გათენდავ, გე̄ჲღვიძავ ჲო̄ჲმ ქალსავ. წამო̄ჲწიაო-დ' არ 'ჲუ̄ჲ'მვავ ჲო̄ჲმ ბიჭმავ.

ჲო̄ჲმ ქალმ დო̄ჲძახავ: მიშველეთ, ჩემო ჯამ-ჭურჭელოვ. ჲო̄ჲმ ჯამ-ჭურჭელმ უძახავ: რაჲიღ შენ ჯამ-ჭურჭელივ, ერთ გვერდზე წყობისგნივევ სუ გვერდებ გვქონდავ დამკმარიო დ' ძლივაჲ დამისვენეთავ.

მემრ უძახავ ჲო̄ჲმ ქალმავ ძაღლებსავ: მიშველეთ, ჩემო ძაღლებოვ! ძაღლებთ უძახებავ: რაჲიღ შენ ძაღლებოვ, შიმშილისგნივევ ვიკოცებოდეთავ, ძლივაჲ მუცლებ გავიძღეთავ.

მემრ უძახავ ცი̄ცმ ქალმავ კარებსავ: მიშველეთ, ჩემო კარებოვ! მემრ ცი̄ცმ კარებთ უძახესავ: რაცილ შენ კარებოვ, ჟაყჟაყისგნივევ დამტვრეულებ ვიყვნეთაო-დ' ძლივაც დავისვენეთავ.

ცხვა საშველ რო ალარ სიითა ხქონდ, ფიცს აძლევდ ცი̄ცმ ბიჭს, გამიშვივ, თუ ცოლად გინდივარივ, ცოლად გამოგყვებივ, თუ დად გინდივარივ, და ვიქნებივ, თუ დედად გინდივარივ — დედაივ, ულონდაც გამიშვივ. მემრ ცი̄ცმ ბიჭმ უთხრავ: სანამდ თავის ქათამს არ დი̄ცფიცავავ, არ გაგიშვებავ; მემრ დრო რო დე̄ცდგავ ცი̄ცმ ქალსავ, დი̄ცფიცავ თავის ქათამივ; მემრ გუ̄ცშვავ ცი̄ცმ ბიჭმავ ცი̄ცს ქალივ დაც უთხრავ: ცხვა არაფერ არ მინდავ, შავან კემწიფესთან გამომყევივ. ადგაო-დ' გახყვავ ცი̄ცს ქალიცავ. შესხდენსავ ორნივევ ცი̄ცმ რაშზეაო-დ' წავიდნესავ; კემწიფესთან რო მივიდნესავ, ძალიან მე̄ცჴონავ კემწიფესავ ცი̄ცს ქალივ. უთხრავ ცი̄ცმ ქალსავ, რომევ შემირთევ.

მემრ ცი̄ცმ ქალმ უთხრავ: მავან შავ ზღვაშიავ სამოც საწველავ რაშ მყავავ, ცი̄ცს რაშებ მომირეკევ, ცი̄ცმათ მოვსწველავავ, ვინც ცი̄ცმათ ზეში იბანაცებსავ, ცი̄ცმას შევირთავავ.

მემრ ცი̄ცმ კემწიფემ უთხრავ: ვინ მომირეკავსავ ცი̄ცმ რაშებსავ? მემრ ცი̄ცმ ქალმ უთხრავ: ვინაც მე მომიყვანავ, ცი̄ცს მოლრეკავსავ.

ცი̄ცმ კემწიფემ უთხრავ ცი̄ცმ ბიჭსავ: იმ რაშებს თუ მომირეკავ, მომირეკავ. თუ არა-დ' საკირეში ჩაგწვავ!

დაღონდავ ცი̄ცს ბიჭივ, ჩავიდავ თავის რაშსთანავ; რაშმ უთხრავ: რაცილ დაგავალავ, რად ხარივ დაღონებულივ?

მემრ ცი̄ცმ ბიჭმ უთხრავ; რომევ სამოც საწველავ რაშებ მომირეკენივ ზღვაშიგითებივ, მეავ ცი̄ცსენ რაცგვერ უნდ მოვასხნევ.

მემრ ცი̄ცმ რაშმ უთხრავ: წედივ კემწიფესთანავ, ცხრაივ ჭარ-კამეჩის ტყავ გამა̄ცრთვივ კემწიფესავ, ცხრაივ მოსართავივ ერთმანეთზე გძელმუქლიაცივ.

წავიდავ ცი̄ცს ბიჭივ კემწიფესთანავ, გამა̄ცრთვავ ცი̄ცსინივ, ახკიდავ ცი̄ცსინიც თავის ცხენსავ, თავადაც ზედ შეჯდაო-დ' წავიდავ. ბევრ იაოა ან ცოტაცივ, მიატანავ ცი̄ცმ ზღვასავ. მემრ უთხრავ ცი̄ცმ რაშმავ; ჩამოჭედივ ცე̄ცხლავ, ცე̄ცგ ტყავებივ თითო დამაკეცეო-დ' თითო ჰოსართავ მომიჭირევ. ჲამ ზღვაში არიანავ ცი̄ცს რაშებივ; ცე̄ცმაგ სამოც საწველავ რაშსავ ერთ ულაყ რაშ სტანავავ, ცი̄ცმის შიშითავ ზღვაზეავ ბუზიც ვერ ჯდებავ; მეავ ჩავჴდებივ ზღვაშიავ; გავცურდებივ, ცი̄ცს რაშივ. თუგინდ სუ ცი̄ცქისაკ ნაპირში იყოსავ. მე რო მნახავსავ, მაინც ჩემკის მოალისავ, რო მოჰიახლოვდებავ, მეავ გვერდს მე̄ც ბრუნებავ, ცხრაჯერ კმილს შემომიკრავსავ, თუ მეცხრედ რო შემომკრავსავ, ჭორცში ჩამატანავ, ვეღარ გამოალივ, თუ არაო-დ' გამოალიო-დ' მთელ რაშებივ მე გამომყვებიანავ.

მემრ და̄ცკეცავ ცი̄ცს ტყავებივ რაშსავ. ცხრაივ ტყავ და̄ცკეცაო-დ'

ცხრა მოსართავ მუ̄ჱჭირავ; გადაფრინდავ ჱი̄ჱს რაშივ ზღვაშიავ, შუა ადგილამდ კი შევიდავ ზღვა'შიავ, მემრიაჱ ენახვავ ჱი̄ჱმ ზღვის რაშსაო-დ' გამოცურებულიყოვ ჱი̄ჱმ რაშისაკევ, ჱი̄ჱმ რაშსავ ზურგ მიებრუნავ ჱი̄ჱმ ზღვის რაშისადავ. თითო ჯერ შემოკვრასავ თითო კამბეჩის ტყავ მეტვერ ამე̄ჱხიავ ჱი̄ჱმ რაშსავ, მეცხრედ რო შემე̄ჱქნიავ, მეცხრე ტყავ ამე̄ჱხიავ კამბეჩისიო-დ' ჴორცზე ვერ ეწიავ.

გამობრუნებულიყოვ ჱი̄ჱს რაშივ, მთელ ჱი̄ჱს სამოც საწველავ რაში-დ' ჱი̄ჱს ულაყივ — სუყველაჱი ჱი̄ჱმას გამოხყოლიყოვ; შემჯდარიყოვ ჱი̄ჱს ბიჭივ თავის რა'შზეავ, გამე̄ჱყარავ წინავ ჱი̄ჱს რაშებივ, გე̄ჱრეკავ ჱი̄ჱმ ჴემწიფესთანავ. ჱი̄ჱმ ჴემწიფესავ ერ̇ი დიდ ნავ ხქონიყოვ, ჱი̄ჱქ მე̄ჱ წ̣ველავ ჱი̄ჱმ ქალსავ ჱი̄ჱს რაშებივ. თურმე დუღსავ ჱი̄ჱს ზეივ უცეცხლოდაჱევ ნავ'შიავ.

მემრ ეთქვავ ჱი̄ჱმ ქალსავ, ვინცავ ჱე̄ჱმაგ ზეში იბანაჱებსავ, ჱი̄ჱმას შევირთავ; მემრ ეფიქრავ ჱი̄ჱმ ჴემწიფესავ; ჯერევ ჱე̄ჱმაგ ბიჭს ვაბანაჱებავ, თუ ჱე̄ჱგ ბიჭ მოკვდესავ, მე აღარ ვიბანაჱებაო-დ' თუ ჱე̄ჱგ ბიჭ არ მოკვდესავ, მემრ მე ვიბანაჱებავ, მემრ ეთქვავ ჱი̄ჱმ ბალღისადავ: ჱე̄ჱქაგ ზეში იბანაჱევ, თვარ სახრჩობელაჱზე ჩამოგკიდებავ.

ჱი̄ჱს ბალღ წასრულიყოვ თავის რაშსთანავ, ეთქვავ: გემწიფე მეუბნებავ: ჱე̄ჱმაგ ზეში იბანაჱევ, თვარამევ სახრჩობელაჱზე ჩამოგკიდებავ; მე ჱი̄ჱმ ზეში რაჱგვერ ვიბანაჱოვ; ჱი̄ჱს ზე დუღსავ, კოწოლს ღრეკებსავ. მემრ ჱი̄ჱმ რაშს ეთქვ: ნუ გეშინისავ, სიაც ამოტოლა დავიდარაბა გამოვიარეთავ, მაგასაც ავიტანთავ. გე̄ჱჴადევ ტანისამოსივ, გატიტვლიდივ, შემაჯედივ ზედავ; გავირბ-გამოვირბენავ ჱი̄ჱმ ნავსთანავ, მივალივ ნავზეავ შუ̄ჱბერავავ ერთხენავ, ჩახჴდიდივ ზეშიავ, მეორედ შუ̄ჱბერავავ, არაფერივ, მესამედ რო შუ̄ჱბერავავ, ამოხჴდიდივ.

მართლეც, გე̄ჱჴადავ ჱი̄ჱს სამოსებივ ჱი̄ჱმ ბიჭსავ, შემჯდარიყოვ ჱი̄ჱმ რაშზევ. გე̄ჱჭენ გამე̄ჱჭენავ, მემრ მისრულიყოვ ჱი̄ჱმ ნავსთანავ, შე̄ჱბერავ ერთხენაო-დ' ჩამჴდარიყოვ, მეორედ შე̄ჱბერავ, ამომჴდარიყოვ.

მემრ ჱი̄ჱმ ჴემწიფეს ეფიქრავ; თუ მაგის ცხენმ შუ̄ჱბერავ, გან ჩემ ცხენ ვერ შუ̄ჱბერავსავ; გე̄ჱჴადავ ტანისამოსივ, გატიტველაჱებულიყოვ, შემჯდარიყოვ თავის ცხენზედავ, ჱი̄ჱმთენ ეჭენავ, რო კინაღამ არ მომკვდარიყოვ ჱე̄ჱს ცხენივ; მიეყვანავ მემრ ჱი̄ჱმ ნავსთანავ. ჩამჴდარიყოვ ჱი̄ჱს ჴემწიფეივ ზეშიავ, ჱე̄ჱს ჴემწიფე მოთუთქულყიოვ, შიგ მომკვდარიყოვ ჱი̄ჱმ ზეშიავ.

ჱი̄ჱს ქალიც ჱი̄ჱმ ბიჭს დარშჩენილიყო-დ' ჱი̄ჱმ ჴემწიფის საჴემწიფოიც.

ჱი̄ჱმ ქალის ქორწილში მიაც ჱი̄ჱქ ვიყავ. კაი ქორწილ გადი̄ჴადეს ძაან. ჭირი იქა-დ' ლხინ აქ, ქატო იქაო-დ' ფქვილ აქ.

# მ ო ხ ე უ რ ი

115

ოხთანგ ნეფე შვდი წელი ეომა ჩერქეზსა, რომენსაც წმინდა სამება ძრიალ სწამებია და რო ვერცრას ვერ გახკდა, მოჲდა ყაზბეგს და ხალხს უჴმა. როცა მაქუჩდა ხალხი, მაში ხკითხეს:

— რაჲ ამბოვია?

— რაჲ ანბოვიადა, შვდი წელია, ციხეჩიგათა კაცი გარეთ ვერ გამოიყვანე და თქო̈ნ რას მირჩევთ?

— ჩო̈ნ ვერცრას ვერ გეტყვთ. აქ ექჳსოცის წლის კაცი არის თაჲრთი, იმას ხკითხეთ და ის გეტყვსთ. უჩო̈ნეს ის კაციცა.

ადგა ნეფე და მივიდა ემ მახუცთან. რორცა მიესალმა ნეფე, მაში მახკითხა ემ მახუცმა კაცმა ნეფესა:

— რაჲ ანბოვია, შე დალოცვილო, რო ჩო̈ნთან მალბზანდით?

— მე იმისთჳ მუე, რო შვდი წელი ვეომე ჩერქეზსა და ციხეჩიგათ კაცი გარეთ ვერ გამოიყვანე. თქო̈ნ რას მასწავლით, ბერის კაცის სიტყო მისანია.

— თუ მკითხავ, გეტყვჳ: შვდჯერ შვდი წელი რო იომა, კაცს გარეთ ვერ გამაჲყვან. გერგეტლებს სთხუე, რო წმინდა სამება მუუბზანან ახალ წელს დილაზე და თუმც ურჯულოა, მაგრა წმინდა სამება ძრიალ სწამს. ჰოდა, სთხუე გერგეტლებსა, რო გამააბზანან წმინდა სამება, ის გემეეგებება, მიაყვალე მალული ჯარი და ციხე აიღეო!

მართლაც, ახალ წელს დილას მუუბზანეს გერგეტლებმა წმინდა სამება. აქათ კაცი გაგზავნეს და შაატყობინეს, რო წმინდა სამებას მააბზანებენ გერგეტლები და ულოცვენ ახალ წელ დილას. ი კაცი, ჩერქეზი, დაადგა თავის თადარიგზე. მივიდეს გერგეტლები და ის კაცი გამოჲდა და მიესალმა წმინდა სამებასა. მამრე მიაყვალეს მალული ჯარი და ციხე დაუკეტეს. დარჩა ის კაცი გარეთ და დაჲჭირეს.

ნეფემ დააფასა გერგეტლები და ამისთჳ იმათ აჩუქა: ძო̈ლი დარიალაჲ, ართხმოს ჴოოჴი, ყანანაზი და ფაშტის მესამედი. მამრე ქალაღდჩი დასწერა ნეფემა: გერგეტელი კაცი რო ვინმე მაკლას, შვდი სისხლი და მძიმე, გერგეტელმა რო ვინმე მაკლას, მცირე სისხლი და ცოტაჲ. გერგეტელსა კაცსა ქალი უთხოარი და სიფრო უწევარი, გერგეტელსა კაცსა, რო ქორი შიმშილით კჳდებოდეს, წიწილაჲ არ ეთხუებოდეს. თამარის ციხეზე ხალხჩი არის დამრჩალი ასეთი ლექსი:

„ემ ძო̈ლსა დარიალასა ციხე რამ არის ძო̈ლიო,
ე-მაგ ციხესა შაუდის არაგჳსკე დიდი კრო̈ლიო.
ჩირდილოეთ ბუჩქნარებჩიგა არის ბატარაი ველიო;
აქ ჩამამდგარან მგზ ავრები შორი გზით მამავლებიო,
სამხრობენ ხეთის ხილებით დალალულ-დაწყო̈ტილები,
იქი-აქა იცქირებიან: — ნეტარ, საიტკე ჩონი გზანია?
დიდმარხვა იყო დამდეგი, დამჭერი წმინდა რჯულისა,
დღე გამოჲდა ცრიატი გამწმენდი ცოდვა-მადლისა;
ემ დროს მეესმა ღიღინი, ღიღინი მომღერალისა.
კმა უმჷლავნებდა სევდასა, ის კმა არ იყო მთროლისა,
მასთლვდა რუსთველის ლექსსა გულზედ მამდებსა ალისა“.

116

სოლომონი ბძენთა კაცი იყო. ერთხალ ერთი გლეხი მისულა სოლომონთანა და უთქომ:

— მოჯამაგირე რო არ გინდა?

— როგორ არ მინდა. — უთხრა სოლომონმა.

მარიგდეს ფასზედა წელიწადჩი. ერთი წელი რო გავიდა, ემ გლეხმა უთხრა სოლომონსა:

— ეხლა კი წავალი სახლჩი და ჯამაგირი გამისწორე!

— რატომ არა. ამაჲღა ფული და მისცა, თან დააყვალა:

— სიტყვო გინდა გასწავლა, თუ ფული გირჩევნია?

დაფიქრდა გლეხმა და თქო: — თუმც ბეჩავი ვარ, მაგრა სიტყო მირჩევნია. მამრე მოორედ მარიგდეს. ისრივ შაათავა ყავლი და მასთხუა ფული; სახლს მივეშო̈ლებიო. ამაჲღა სოლომონმა ფული და აძლევს: სიტყო გირჩევნია გასწავლა თუ ფულიო?

— სიტყო მირჩევნია. — უთხრა გლეხმა. თავის ბეჩაობა კი დაავიწყდა.

მამრე მარიგდეს ისრივ მესამედა. როცა შაათავა ყავლი, ისრივ ფული მასთხუა გლეხმა. სოლომონმა ამაულა ფული და აძლევს: აბა, სიტყო გირჩევნია ჲუ ფული?

ისრივ ფულს სიტყო არჩია გლეხმა და დარჩა ცარიელაჲ.

სოლომონმა უთხრა:

— პირველჩი რაჲც სიტყო უნდა მეთქო, ეხლა გეტყვო: კაცი რო გეკითხებოდეს, ისითი სიტყო უთხარ, რო კაცს გულჩი ესიამონას. მოორეც ისა, რო, რასაც ვერ შასწჷდები, ნუ შეეწაწები. მესამე ისა, რო, კაცს რო ეკითხებოდე და სიტყო გითხრას, მილამ შენის თოლით არ ღნახავ, ნუ დაჲჯერებო. სამის წლის ჯამაგირი ემ სამს სიტყოზე დაკარგა.

გემეემშვდობა ე გლეხი სოლომონსა და წავიდა თავის სახლჩი ცარიელაჲ. მიდის და მინდორჩი გავიდა და ჭემწიფის კარების წინ დიდი გალავანია. იქ ყოელს სარზე თითუაჲს კაცის თავია ჩამაცმული. ეხლა

იმას ყარაული უდგა. მივიდა ე ყარაული და დაჲჴირა ე გლეხი. გლეხმა უთხრა ემ ყარაულსა:

— რაჲ გინდა ჩემგა?

— ჴემწიფე გიძახის, საქმე აქჳ შენთანა. — უთხრა ყარაულმა. ადგა გლეხი, შავიდა ჴემწიფესთან და უთხრა:

— რაჲ გნებავსთ?

— მე რასაც სიტყოს გეტყჳ, თუ არ ამაჲცან და ვერ მესიამოვნა, თავს მაგჴრიო.

ეხლა უთხრა ჴელმწიფემა. გლეხმა ისითი პასუხი მისცა, რო სწორად ჴემწიფის გულს ესიამოვნა და იმის ცოლისაცა.

ჴემწიფის ცოლს დღე ბაყაყის ჩანი ხქონია გადიკრული და ეხლა ემ ჴემწიფეს თუ ვინმე ეტყჳს სასიამოვნო სიტყოს, ის ჩანს გადიგდებინებს. ე ქალი ღამე მზეუნახავია და დღე ბაყაყის ჩანი აქჳ. როცა ის გლეხი დაფიქრდა და ისითი სიტყო უთხრა, რო ემ ქალმა ჩანი გადიგდებინა და გამოჲდა მზეუნახავი როგორც ღამე, ისრი დღე, ჴემწიფემ უთხრა გლეხსა:

— შენ ხყოფილხარ საჴემწიფო კაცი და არა მე.

— ღმერთმა შენ განებას შენი ჴემწიფობა, მაგრა მე გამიშჳ სახლჩი!

— ეხლა მიბზანდი, არა უშავ რაო. — და საჩუქრით გაჲსტუმრა ე გლეხი.

მისცა ემ გლეხსა ოქრო, ვერცხლი და ხალიჩაჲ ისითი, რო იმაზე სუ-სუყჵლაჲ სრულდება, რასაც ინატრებს. დიდის ამბოვით გაჲსტუმრა ე გლეხი.

ეხლა გავიდეს მინდორზე თავისი მოჯამაგირებითა. მოჯამაგირები გააყვალა ჴემწიფემა და გზაჩი ჩამახჴადეს ჯორ-აქლემსა, უნდა დაჲსჵნან. გაშალეს ხალიჩაჲ რაჲც უნდოდა, ინატრეს და გაჩნდა სუყჵლაჲ სასმელი და საჴმელი. ემ დროს გამაჲარა დიდმა სევდაგარმა. იმან დაზძახა, რომ „შაჲძლება თქჵნთა მასჳლა?“ იმათ მიიპატიჯეს სევდაგარი. დაჯდეს მინდორზე და დაჲწყჵს ქეიფი. სმენ, შჴამენ და ქეიფობენ. ემ დროს ფრინველი შამამჯდარა ხეზე და უთხრა ემ სევდაგარმა:

— ვინც ემ ფრინველს ფთას გამაუღებს, ჩემი ქონება იმისთჳ იყოსო; თუ შენ გამაჲღე, ჩემი ქონება შენთჳ იყოსო და თუ არა, შენი ქონება ჩემთჳ იყოსო.

ეხლა უნდა ადგეს ე გლეხი და იმ ხეზე უნდა შეებღატას. ემ დროს მააგონდა, რო „რასაც ვერ შასწჳდები, ნუ შეეწაწებიო“, და ისრივ იმ სიტყოს დევთანხმა და უკენ დადგა. ე გლეხი ეუბნება ემ სევდაგარსა:

— შენ შაგიძლია, რო შახჴდე და ჩემი ქონება შენთჳ იყოსო.

მივიდა ის სევდაგარი და როგორწკი შეებღატა ხესა, ფრინველი გაფრინდა. სევდაგრის ქონება იმ გლეხს დარჩა, ქონებას ქონება შეემატა.

ემ გლეხმა ახკიდა ისრივ თავისი ქონება ჯორ-აქლემსა და წავიდა. როცა თავის სოფელს დალმარჯუ̂და, ჩამაჴდა ცხენზედითა, ჩამახ ჴადა ჯორ-აქლემებსა ქონება. ისრივ უნდა, რო ამბოვი გაჲგას თავის ოჯახისა. ეხლა ამაჲლა ხალიჩაჲ, გახფინა და ქეიფობს. გამაჲარა იმისმა მეზობელმა და ემ გლეხმა მიიპატიჯა: — მაბზანდითო! — მეზობელმა ვერ იცნა. დასხდეს, სჩენ, შჭამენ და ქეიფობენ. ბოლოს შახკითხა მეზობელსა: — ჩემნი ჯალაბნი როგორლა არიანო?

— შენნი ჯალაბნი აღარ არიან, შენს სახლჩი ბაყაყები ყროყინობენ და ჰინჰარ-კანაფაჲა ამოსულიო.

ეხლა დაფიქრდა ეს გლეხი და უკენ უნდა მაბრუნდეს, მაგრა მააგონდა სოლომონის მესამე სიტყო, რო „თუ შენის თოლით არ ღნახავ, ნუ დაიჯერებო“. წავიდა თავად ამბოვის გასაგებლადა. მივიდა ოჯახჩი და ისრივ ისითი ჯალაბობა დახუ̂და, როგორიც დაყარა. ცოლმა იუცხოა ქმარი იმისთჳ, რომ ბეჩავი გაგზავნა და მდიდარი დაბრუნდა. ცოლმა უთხრა:

— განა იმის საწყალი ვარ, რო სუყრლაჲ ჩემს სახლჩი მოჲდეს?

მოჲდეს მეზობლები და გააცნეს თავისი პატრონი და დაკმაყოფილდა ქალიცა. მამრე მიბრუნდა თავის აქლემებთან, მივიდა, საცა ამხანაგები დაყარა. ახკიდეს ემ ჯორ-აქლემსა და მივიდეს ოჯახჩი. დაბინავდეს კარგა და დღესაც ცხოვრობენ. ჭირი იქა და ლხინი აქა. გათავდა.

117

გაღმი ცხოვრობენ ხულელები. ციცკაჲ ხქვნებია ერთსა, რომენიც ჩემის ბიძის ცოლისძმა ყოფილა, კარგი ვაშკაცი ყოფილა.

კობს ყოფილა ერთი სომეხი, რომენიც ძრიალ მდიდარი ყოფილა. დუქანი ხქონია იმ სომეხსა იქა. ემ სომეხს ერთი ოსის ქალი შაუყორებია. ის გოგო კარგი თოლადი ყოფილა. ემ ციცკას უნახია ე გოგო და მასწონებია. ეხლა იმასაც შაუყორებია. ეს ამბავი გაუგია ემ სომეხსა და ციცკაჲსთჳ დაუხოვია სტრაჟნიკები, რომნებსაც შაუკრია ციცკაჲ და წო̈რ-ულვაში აუგლეჯია. ციცკამ იუკადრისა ეს ამბოვი: — არა უშავრა, ფაციავ, — ფაცია ხქვნებია იმ სომეხსა, — თუ სიკუ̂დილი არ მამივიდა, სიბერე ჯერთ შორს არიო.

ერთხალის წამასულა ე სომეხი გოროდჩი. ციცკას გაუგია, დახყვალია უკენ და წინაჲთ მოუვლია.

— საიტკე მიხოლი, ფაციავ, საით მიიქნევ ჭელსაო? კობს რო ვალები დამმართე, გაგისწორდები დღესაო.

— ოღონდ დემეხსენ, ციცკაო, ორას თუმანს ფულს მაგცემ და ზედ დაგისართებ ცხენსაო.

— არაო, შე თოქო სომეხოო, ემ საათჩი აგიჭდი, შენ რო გაღმი კობჩი მგლეჯდი წო̈რსაო.

დახკრა ხანჯალი და წაქცეულა. ფაციამ უთხრა: წყალი მაინც დამალევინე, ციცკაო! ციცკაჲ გავიდა თერგსა და ტყავის კალთაჲთ მოუტანა წყალი და დაალევინა, თან უთხრა:

— ნუ გეშინიაა, ფაციაჲ,
არ შაგაჭმევ მგლებსაო!

თურმე დაუყენა ორი გოლეთელი და მგლებს არ შააჭმევინა, კიდავ შეებრალა.

## 118

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი კაცი. ემ კაცს ხყვანდა ერთი წყემსი, რომენიც ძრიალ უყორდა და ძრიალაც ენდობოდა. ემ კაცსა სულ თეთრი ცხორი ხყვანდა ერთი ფარა. ემ ფარაჩი მარტუაჲ ერთი ყოჩი ერია შავი და ის ყოჩი მთელს ფარას ერჩივნა.

ერთხელ ერთს მდიდარს კაცთან ქეიფობს ეს ხაზეინი და იქ დაიკოხნა თავისი წყემსი: „მე ეგეთი წყემსი მყავ, რო, რაჲც უნდა გააკეთას, ის არ დამიმალავს მეო, ტყუილს არ მეტყვსო“. არ დაუჯერა ემ მდიდარმა კაცმა და დანაძლდეს. მედუქნე ეუბნება: „მე წავალი და შენს მწყემსთან რასმე გავაკეთებ და ის შენ არ გეტყვსო“. დანაძლდეს და დადვეს პირობა: თუ იმის წყემსს ტყუილი ათქმევინას, მაში სულ მთელი ცხორი მედუქნეს უნდა მისცას და თუ ვერ მაატყუას, მაში თავისი სავაჭრო ემ მეცხორეს უნდა დარჩეს.

ემ მედუქნეს ორი ქალი ხყვანდა. გაგზავნა ემ მედუქნემ ე ქალები და ეუბნება: — წადით, იმ მეცხორესთან მიდით და ი შავი ყოჩი როგორმე დააკლევინეთ! ემას რო გააკეთებს, შაშინდება წყემსი და ცხოს რასმე მაატყუებს თავის ხაზეინსა.

ეხლა წავიდეს ე ქალები, მიეიდეს იმ წყემსთან და გამოუჩნდეს. წყემსმა კარგა მიიღა ე ქალები, მიიპატიჟა და საკლავი გამაუყვანა, უნდა დაუკლას. ქალებმა უთხრეს: „ი შავი ყოჩი დაკალ, თუ არადა, არ გვნდაო“. შაწუხდა მეცხორე, მაგრა აბა რას იზამს! გამაიყვანა და დაუკლა. დაკლა ე შავი ყოჩი, მახარშეს და ჭამეს. იმ ღამეს იმ მეცხორესიან დაცვვდეს ქალები და კაი დრო გაატარა მეცხორემა.

გათენდა დილა და ადგეს ე ქალები და გაიპარნეს. ორთავ თასაკრავები იქ დარჩა. მივიდეს ქალები და უთხრეს მედუქნესა, რო სუყოლაჲ შაგისრულეთო. გაუხარდა ემ მედუქნესა. დაიბარა მეცხორე და დააპირეს იქ წასულა, მაგრა ხაზეინს მაინც იმედი აქჳ თავის წყემსისა.

შასწუხდა მეცხორე, რაჲღა უთხრას თავის ხაზეინსა, რო ყოჩი დაუკლავ? აიღა, ჩააშჭო ჯოხი მინდორჩი, ჩამააცო ზედ ნაბადი, ზედ ქუდი დაახურა, ითამ თავისი ხაზეინია, გაიარ-გამაიარა, მივიდა და უთხრა:

— გამარჯობა, მეცხორევ! როგორას ხარ, როგორ არის ჩემი შავი ყოჩი?

— შენი შავი ყოჩი კლდეზე გადავარდა.—თავად პასუხობს თავის შაკითხვას.

გამარჯო̈ბა, მეცხორევ! როგორას ხარ, როგორ არის ჩემი შავი ყოჩი?

— შენი შავი ყოჩი მგელმა შამიჭამა. მამრე მაბრუნდა და იძახის:

— არა, ესრე არ გამადგება, ტყუილს ვერ ვეტჳ. მოდი და როგორც მაქდა, ისრი ვეტყჳ.

ემ დროს გამაჩნდა ლინეიკაჲ და დაინახა, რო ზედ ჯდას თავისი ხაზეინი. მედუქნე და იმისაკე მადიან. გადმაქდა ხაზეინი, მივიდა თავის წყემსთან და შაუძრახა:

— გამარჯო̈ბა, წყემსო!

— გაგიმარჯოს!

— როგორას ხარ, როგორ არის ჩემი შავი ყოჩი?

წყემსი გაჩუმდა, თავი დახარა და ბოლოს უამბა, როგორც იყო:

— შენი შავი ყოჩი დავკალ. გუშინ ორი ქალი მეწვა და მთხოვეს, რო ი შავი ყოჩი დემეკლა და მეც უარი ვერ უჷხარ, ვერ დავთმე ქალები და იმათ გულჩ̈სთჳ დავკალო. იმათი ორი თასაკრავი ეხლაც აქა მაქო. ამაჲღა ემ წყემსა და აჩო̈ნა თასაკრავები. გაუხარდა ხაზეინსა, რო მარჷალი უჷხრა და მადლი გადუჴადა:

— მალადეც შენ, რო ტყუილი არ სთქვო!

გაჴერებული უცქერს მედუქნე. იმისი ქონება იმ მეცხორეს დარჩა და ხაზეინმა თავისი ცხორი მართალ მეცსორეს შუახე გაუყო.

## 119

საქართველოჩი ყოფილა შვდი სანეფო. სამება იქ ბზანებულა. ემ ნეფეებს გახჭდომია სპორი: არა ჩემს სანეფოჩი და არა ჩემჩიო. ემათ უკმაყოფილება ხქონიყო ერთურთჩი. მოჲდა ერთი მახუცი კაცი და უთხრა:

— რაზე სპორობთ, რაჲ ამბოვია?

— ჩო̈ნ იმაზედა, რო ე სალოცავი არა ჩემთანაო და არა ჩემთანაო და ვერ ვშო̈ლდებითო.

-- მაშ, აგრე არაო. დაკალით ქორა ჴარი, ასო-ასო აკაფეთ და დაყარეთ ადგილზეო. ზეცით ყორანი მუალის და ერთს ასოს წაჲღებს ისაო. საცა იმას გამახჭრავს, მაგის საბზანისი იქ არისო.

შაასრულეს იმ მახუცის სიტყო. მოჲდა ზეცით ყორანი და წამაჲღა ის ერთი ნაჭერი და საცა უნდა დააგდას ის ძოლი, იმისი ადგილი იქ არის. ი ყორანი წამოჲდა და მახყვა ხალხი, იმათგანის ვინმე იქნებოდა. ემ ყორანმა მაჲყვალა ხალხი და ფასანაურს რო გამასცდება სამს კილომეტრს, იქ ნიშია აგებული. ძო̈ლად იქ პირჯორი გამოიწერიტკე და გავიგეთ, რო სამების ნიშია. მოორედ ჯორზე დაუსო̈ნია და იქ ჯორი

გაუკეთებიათ. მესამედ ყანებჩი გორაჲა და იქ ნიში იყო გაკეთებული კარგი, მესამედ იქ დაისჳნა. თან ხალხი მაზდევს. როგორც ხალხი მადის, ისრი ის მადის. იქ იმდვნამდი დაისჳნა, რო ხალხს ეგონა, მაგის საბზანისი აქ არისო. მამრე ადგა, აჲღა ემ ფრინველმა ე ძოლი და აფრინდა ზეცას, წავიდა მაღლა ისრი, რო ბუზის ოდენაჲღა ჩან. ხალხმა თქო: დაიკარგა ჩჳნი წვალებაო. ემ ლაპარაკის დროსა ემაგ გჷრზე ჩამოჲდა და დაჯდა. მანდ გამაკრა ძოლი და იქ დააგდა. მამრე ფრინველი წავიდა.

ეხლა ხალხმა თქო: ეხლა როგორაʔ ვინ იქნება საძირის ამამთხრელიʔ ყჳლაჲ სოფელი ერთურთს ესპორებოდა: არა მე და არა მე საძირის გამთხრელიო. ისრივ შეესწრო მახუცი კაცი, მოცნიარი კაცი და უთხრა: — ნუ სპორობთ! ყელტეხილთ ჩადით, ჯორზე ქოითი და ცხენიანი და ვისის სოფლისაც იქით მუა წინა, იმან გათხარას საძირე. როცა ჩავიდეს იქა, იქ, ნიადაგ, მოწამება ექნებოდა, რო არვინ დარჩეს და ისრი არვინ მოჲდეს.

წავიდეს ყჳლა სოფელჩიგათ კაცები და მაქუჩდეს ჯორზე. ეხლა უბზანა და გემეემართა ხალხი. კოჭლი ბაჩხისძე მთა-მთა წამოჲდა და ის მოჲდა უწინა. იმ ბაჩხისძემ დაჲწყა საძირის ამათხრა. მოჲდა ხალხი მჯობინობაზე: არა მე მუალი პირველი და არა მეო. იმას უეე დაწყობილი აქუ̂ საძირე. ესენი უბნობენ, რო ეს კაცი აქ დამრჩალა და მოგოტყუა.

— არა, — უთხრა იმან ისრივა, — ე კაცი იქ იყო და იქით მოჲდაო. — დაჲწყჳს ჭურთი-ყანობლებმა საძირის თხრა და სწორად ჭურთისლებისა და ყანობლების ამაღებულია საძირე. ამისთჳ ახალ წელს დილაზე საწყალობელი იმათი იყვსკე. დამრჩის დღეგრძელობას ეტყოდიან და ვიზგნითაც დაწყობილია საძირე, იმას შანდობას ეუბნებოდიან.

შვდი წელი აშენეს ეგა თექუ̂სმეტმა კაცმა. იმ თექუ̂სმეტსა კაცსა ერთმა მეცხორემ უზიდა წყალი. ცხორი გაუშვს იმანა, მთაწჳრი მაიარის და სალამოზე ადგილზე მივიდის. ემანდ არის საბჭო და მძიმე სისხლი, მძიმე საქმე იქ კეთდებოდის. აქავ წყალი აარჩიეს, რომენიც მზუბუქი არის და კარქი. კალატაჲს წყალი დახქვნეს ემ წყალსა და ეხლაც ეძახიან.

ეხლა როცა დაამთავრეს ეკლესიაჲ, თემი არის შაყრილი. აბა ვინა ყარაულადა. ყარაულობა დააკუთნეს გერკეტლებსა. თუ ეკლესიაჲ გათხტებოდა, დიდი სარჯელი, გადასაჭადი იყო. დღედალამ სულ მ.ნდ იყვს ყარაული. ეხლა ჯაჰაგირი დაუნიშნა თემმა იმ ყარაულებსა კომზე ფუთი პური. სთჳლზე წავიდოდიანკე და როცა გაღლეწავდეს, მასულს მახკრეფდეს, ეს ოთხი კაცი თავის ჯამაგირს მახკრეფდეს. იმათ ყჳლა სოფელჩი ხყვანდა მასპინძლები, რომნებიც უჩჳნებდიანკე მოკუმურებსა. ეგ იყო მთავრობის მჴრით. მთავრობამ ნიკალაჲ დაიბალითა და გაცორცეს ეკლესიაი.

ავიდარს რო გაინიცებდა, სოფელი ავიდოდაკე, საკლებს დავჭოცდიტკე. ვაწირკინებდით, გამუაბზანიტკე საავდრო და წყაროჰი მღდელს ეჭირის ჭელჩი, ხალხი კი მიზდევდა რხინითა და დიდებაჲთა.

120

გერგეტის ციხეჩი ყოფილან ირჯეულები და იმ ირჯეულებსა უჩეგრია გერგეტლები. იმათ ცხორს არ უშობდეს არც საძუარზე და არც წყალზე.

ერთხალ შაყრილა თემი და გადაწყვტეს იმათი გაძეება. სწორედ სამების დღეს უნდა გაჭდეს ომი. გამაგზავნეს კაცი თემჩი, რო ვჳშო̈ლეთ, დრო̈გო̈ჭმარენითო. ჭევჩიგათ წავიდა კომზე კაცი. კარკუჩით ყოფილა ბეკურაული, რომენიც დაუდგა ხალხსა, რომენიც მალვით მიდიოდეს ხატჩი სალოცავადა, გერგეტლებმა გადაწყვტეს, თუ როგორ დეემარცხათ ომჩი ირჯეულები. პეტიეთი ყოფილა ერთი და ის მემძროხე ყოფილა და იმას უთხრეს: — გაუშვ ყანებჩი ძროხები, იმ ირჯეულების ყანებჩი! ეგვეთას უთხრეს: — დაუდე შენ ყარაულადა და თუ ის გამუა ციხეჩიგათ, მაში შადი, დაუკეტე კარები და აუშვ თეთრი ალამი!

ეხლა გაუშო იმ პეტიეთაგანმა ძროხები ყანებჩი. კივის იმათი ყარაული:

— გამარეკე საქონელი, თორო გამუალი, შენც მაგკლავ და საქონელსაც დავჭოც.

— აბა განაჲდი, თუ რას მიზამ, — შაუძრახა პეტიეთაგანმა.

ეჲლა ყარაულჰა ცულაფთარი და დეერია საქონელსა, მემძროხე კი გემეექცა და ეს ეგვეთი შავარდა ციხეჩი, დაკეტა კარი და აუშო ალამი.

იმ ირჯეულებს ესეთი პირობა ხქონია, რო ცხენი იმათ უნდა გემეექცია წინ და თუ ვინმე ცხო გააქცევდა, მაშინის მახკლავდეს. მაგრა დაინახა თემმა, რო ალამი ავიდა ციხეჩი თეთრი. მივიდეს ბეკურაულთან, რომენიც დარბაზჩი იჯდა და ქეიფობდა და უთხრეს: ალამი აუშო̈სო. წამადგა ბეკურაულმა და დალია ერთი საკარგყმო. მამრე დახკივლა ბიჭებსა: — მამგორეთ ცხენი! — მაღგორეს ცხენი და გამააქცია ბეკურაულმა. დალეულმა ირჯეულთ შჷილებმა გაჲკრეს ხანჯალს ჭელი, მაგრა დახკივლა ბეკურაულმა: — თემო პირიო, და დახყო̈ს ჭელი იმ ირჯეულებსა. იმათ ვერ გაუძლეს მოჭეებსა და გემეექცნეს ციხისაკე, მაგრა ციხე დაკეტილი დახჷდა. მაზდევს ბეკურაული და თემის ხალხი და სხეპენ ირჯულებსა. აქათითაც გეექცნეს ისები. ძრიალ კოტი მთა იყო და ჷძლით ოჭი აღარ მაიძლებოდა.

— შვნდ,ისარი იჭმარეთ! — დაზძახა ბეკურაულმა.

ჩამასხდეს მოჭევეთ შჷილები და დაუწყო̈ს ცემა ისრებითა. ხალხი გადმადის ნაჭოცი და დაბლა ქჳშაჩი ცჳვა. გაჲქცნეს ისები, გედეეფარნეს მთასა და მიზდევენ მოჭეები. მამრე ბეკურაულმა დააბრუნა ხალხი უკენა:

— ნუღარ დახჴოცთ სულაო! — დარჩა რომთენიმე კაცი, რომნებიც ავიდეს ზაით მთაჩი და ააგეს ქვის ციხე, რომენზედაც დაწერეს, რო რამდო̃ნიც ემ ციხეზე ქვა არის, იმდჳნი კაცი დავრჩით კიდავ თქო̃ნს ჰირადაო. დაბრუნდეს მოჴეები და დაჲწყოს სმა-ქეიფი.

ეხლა ჴევის ბერმა დააშაჩუქრა ი მემძროხე, რომენმაც იმ ციხის ყანებჩი ძროხა შაუშო. რაჲც იმ ციხის ყანები იყო, იმას აჩუქა. ეგვეთას აჩუქა ოჴარეშის წმინდა გივარგის მევედანი და იმისი სალოცავი. ბეკურაულს ჩაუსვნეს სამანი, რო წინ-წინ კარკუჩელი უნდა დეელოცათ, სალამდი ცხოს დალოცავდეს. ირჯეულები წავიდეს იქითით, აჲყარნეს და გადასახლდეს ქურთათჩი და ეხლაც ემტერებიან ერთურთსა.

121

ერთს გლეხს მოუყვანია კარგი ბატარძალი. ემ ბატარძალს თურმე ნეფის კარზე აქჳ გასასლო̃ლი, როცა წყალზე მიდის. ჴემწიფის შჳილს ძრიალ მასწონებია ე ბატარძალი. როცა გაჲვლის ჴემწიფის კარზე, ე ბალღი შეეხუმრება, გაუწევს ქვასა და ჭურჭელს გაუტეხს. მიბრუნდება ე ბატარძალი და თავის დედამთილთან დაბრუნდება ცარიალი. ეხლა ჰკითხა თავის დედამთილმა:

— რატომ არ მაჲტანე წყალი?

— მე, დედი, ორჯელ წავე და ორჯელვე ჭურჭელი გამიტეხა ჴემწიფის შჳილმაო.

— ესე შასწყიე შენა, რო დასავლეთის საჴემწიფოჩი ერთი ოქრომჭედლის ცოლი არის ძრიალ ლამაზი, იმისი საყორული ჩაგივარდეს და მე თავი დამანებე.

ემ ბატარძალმა ეგრე დასწყია ჴემწიფის ბალღი. ეს ბალღი ავად გაჴდა ემ შაწყევლაზე. ჰკითხა მამამა:

— რაჲ მაგივიდა, შჳილო?

— მე შამამწყია იმ ბატარძალმა, რომენსაც მე შახუმრებული ვარ, მამაჩემო! თუ მე ის არ ვნახე, მაშინის მე მოვკჳდები.

ეხლა ჴემწიფემ დაჲბარა ვეზირ-ვაზირები და ჰქონდა საუბარი, თუ როგორ გადავიდეს ჩემი ბალღი, რო ნახას ი ოქრომჭედლის ცოლი. გადაწყვტეს, რო გავატანათ ჯარი, გადვიდეს იქა და ნახას ის ქალი. წაჲღეს თან ორი ხურჯინი ოქროს ფული.

მივიდეს სამძლორზედა. ემ ბალღმა, ჴემწიფის შჳილმა, უთხრა ჯარის უფროსსა, რო მარტუაჲ წავალი და რაჲც იქნება, იქნებაო.— დაბრუნდა ჯარი უკენ. ეს ცხენი, რომენსაც ოქრო ჰკიდია, წაჲყვანა და წავიდა იმ ქალაქჩი, რომენჩიც ოქრომჭედელი ცხოვრობს.

როცა მივიდა იმ ქალაქის ნაპირად, ესე რო ბინდის პირია, ერთი მახუცი დედაკაცი შახჳდა, რომენიც შეშის ნაფოტებს ჰკრეფს, წიწკებსა.

— დედი, საღამო მშჳდობისა! — მიესალმა ჴემწიფის შუილი.

— მადლობთ, შუ̈ილო! — მადლობა გადაუჴადა.

— ემ ხოყანაჩი ხამად ვარ და ამაღამ შენთან დამაყენე!

— არა მაქუ̈ შენი საკადრისი ბინა, მაგრა კარგი, მაბზანდი! — უთხრა დედაკაცმა.

— შუ̈ილო, რაჲსთჳ მახო̈? — ხკითხა მახუცმა-დედაკაცმა.

— დედი, მე აქ ოქრომჭედლის ცოლი თუ ვერ ვნახე, მოვკუ̈დები.

— რაჲ მაჲტანე, რაჲთ უ'და ღნახა?

— ორი ხურჯინი ფული მაქუ̈ ოქრო.

— იმის ნახვაჩი ფურგუნებით ოქრო დაიხარჯა და შენ მაგ ორის ხურჯინით რაჲ უნდა გახუ̈დე?

ე ბალღი დაჯავრიანდა ძრიალა. უთუოდ ვერ ვნახავ ოქრომჭედლის ცოლსაო. ჴემწიფის შუ̈ილმა უთხრა ემ მახუცს დედაკაცსა:

— ვეცადნეთ, დედი, თუ რაჲმე შაჲძლება.

— კარგი, შუ̈ილო! მე ერთს გასწავლი შენ და ისრი მაჲქეო. შენ დილაზე წადი აქათით და ერთი ოქროს რუნკა იყიდე, ერთი ბლუდი და ეს შაჩუქარი ჩო̈ნს ჴემწიფეს მიართჳ. ჴემწიფე ნებას მაგცემს, რო ემ ქალაქჩი გაჲარ-გამაჲარა.

შაასრულა ბებრის ნათქომი და საღამოს მოჲდა ბებერთან, რომენმაც ჰკითხა:

— რაჲ ხქენ?

— ავასრულე თქო̈ნი ნათქომი სუ-სუყელაჲ და ნებართვაც მაქუ̈ ემ ქალაქჩი გავიარ-გამავიარა.

— შენ წადი ხვალა და ოქრომჭედელთან მიდი, საცა მაღაზიები აქუ̈ და უთხარ, რო ერთი კარგი ოქროს ქამარი და ხანჯალი გაგიკეთას·

მოჲდა საღამოს ბებერთან სახლჩი, ბებერმა უთხრა:

— ეხლა მიდი ოქრომჭედელთან, ქამარ-ხანჯალი მზას იქნება. ჴელოსნებმა ესრე იციჲნ: შამაგარტყამს ქამარ-ხანჯალსა ტანზე და გეტყჳს: „როგორ კარგა მაგიჴდა!“ შენ ესე უთხარ: „აბა, შენ შამაჲრტყი, მე ჩემს ტანზე ვერ ვხედავ კარგაო“. როცა შამაჲრტყამს ოქრომჭედელი, მაში აჩუქეო.

მართლაც ესრე მაჲქცა ე ბალღი და ე ოქროს ქამარ-ხანჯალი აჩუქა ოქრომჭედელსა. ეს ოქრომჭედელს არ ჟჯერა. ჴელმწიფის შუ̈ილმა უთხრა:

— მე ბევრი ოქრო მაქუ̈ და ერთი შენთჳ მიჩუქნიაო.

საღამოთი მოჲდა ბებრის სახლჩი ისრივა. ბებერმა ჰკითხა:

— რაჲ ხქენ, შუ̈ილო?

— შენი ნათქომი სუყო̈ლაჲ ავასრულე, ქამარ-ხანჯალი ვაჩუქე.

ეხლა მახუცმა უთხრა:

— შენ წადი და აუარე მაღაზიას კარებზე და ის სახლჩი დაგპატიჟებს შენა.

ჴემწიფის შჳილმა კარებზე გაუარა და უთხრა:

— მაბზანდი ჩონთან! — დახპატიჯა რაჲღა ჴემწიფის ბალღსა.

— საღამოზე მოალი. — უთხრა ჴემწიფის ბალღმა.

საღამოს მივიდა ოქრომჭედლის ოჯახჩი, დახპატიჯა და კაი სიფრო გაუშალა. გაიმართა ქეიფი, ხოლოდ ცოლი არ ენახვინება. ეხლა როცა მეეწყინა ქეიფი, ემათ ხყავ პირისმეღჳნე, მაში უთხრა პირისმეღჳნესა:

— თითუაჲ საბატონო დოგოლევინე!

პირისმეღჳნემ მოუტანა ბანგი და მიაწოდა ჴელმწიფის შჳილსა. დალივა და მამინვე გადიქცა და დეეძინა. ოქრომჭედელი ადგა და თავის მეუღლესთან ავიდა. ჴემწიფის შჳილი დარჩა იქა. იმ ოქრომჭედელმა აიტანა ქამარ-ხანჯალი და აჩონა თავის ცოლსა.

— ისითი ძჳრფასი მეგობარი გავიცან, რო ესეთი ძჳრფასი შაჩუქრით დამაშაჩუქრა მეო.

— კიდავ დახპატიჯე ერთხალო! — უთხრა ცოლმა.

ემ ოქრომჭედელს როცა სტუმარი მოუვა, მაში ცხო ზალაჩიგათ ისტუმრებს და ცოლს არ აჩონებს. გამაჲსტუმრა ჴელმწიფის შჳილი შინ. მოჲდა საღამოს ბებერთან და მახუცმა ხკითხა:

— რაჲ ხქენ?

— ვიყაჳ, მაგრა ოჯახობა ვერ ვნახე, ცალკე ოთახჩი მაქეიფა.

— რო კიდენ აიარა, კიდენ დაგიძახებს და უთხარ, რო საღამოზე მოალი შენთანა. როცა ქეიფჩი იქნებით, კიდენ იტყჳს, რო თითო საბატონო დოგოლევინე. მამრე შენ უთხარ: გუში მე გიახელ და ეხლა შენ მიირთჳ! ის ხათრს ვერ გაგიტეხს და თავად დაიბანგება.

ე ბალღი ასე მაჲქცა. ეხლა უთხრა პირისმეღჳნესა:

— მაჲტა-ღა, თითო საბატონო დოგოლევინე!

— გუში მე გიახელ და ეხლა შენ დალიე! — უთხრა ჴემწიფის შჳილმა.

ოქრომჭედელმა ხათრი ვერ გაუტეხა და დალია ბანგი. მაშინვე გაგორდა და დეეძინა. ეს პირისმეღჳნე მახჳდა ემ ბიჭსა:

— რაჲსთჳ დაღბანგე ჩემი ბატონი?

ემ დროს ეს ქალმა გაალა კარი და გადმაიცქირა და დაინახა ჴემწიფის შჳილი და მეეწონა ძრიალა. უთხრა ემ პირისმეღჳნესა:

რაჲსთჳ ეჩხუბები ემას?

ემ პირისმეღჳნეს აჩუქეს რომთენიმე ოქრო და გააჩუმეს. ემ ქალს ძრიალ მეეწონა ჴემწიფის შჳილი და აიყვანა თავისთანა.

ოქრომჭედლის ცოლმა ხკითხა ემ ბალღსა:

— ვინა ხარ შენ, საჲთ მახო?

— მე ამოსავლეთის ჴემწიფის შჳილი ვარ. მე თუ წამამყვები ცოლადა, უნდა წაგიყვანა შენა.

ჴემწიფის შჳილსაც ძრიალ მეეწონა. ოქრომჭედლის ცოლმა პირობა მისცა, ხოლოდ წაყვანა როგორ გააჭერჭან ეხლა.

მოჲდა საღამოს ბებერთან. ბებერმა ხკითხა:

— რაჲ ამბოვია, რაჲ ხქენ?

— ვნახე, მაგრა გამაყვანა ძრიალ ძნელია იმ ქალისა.

— იქნება, შჳილო, როგორმე გამავიყვანა. ჩემი ერთი დისშჳილი ინჯინერია, მთებს ჭრო̈ტსკე, ტუნელი გახყავსკე და იმას შევეკითხები.

ეხლა უნდა ბებრის სახლჩიგათ ოქრომჭედლის სახლამდისინ მიწა გაჭრესტან და ისრი გამაჲყვანან ქალი. ემ ინჯინერმა იმედი მისცა, რო ეს საქმე ადვლიაო. დაჲწყა ტუნელის გაყვანა და ერთს კვრაჩი დაამთავრა. ე ბიჭი წავიდა ემ ტუნელით, მივალის ემ ქალთან და მთელი დღე საუბრობენ. ეხლა უნდა, რო ცოლად წაჲყვანას.

მოჲდა საღამოს ისრი ბებერთან. ბებერმა ხკითხა:

— რაჲ ხქენ, მააწყო̈ საქმე?

— მოაწყო̈, — უთხრა ემ ბიჭმა.

— შენ წადი დილით ოქრომჭედელთან და უთხარ: „ჩემო ძვრფასო მეგობარო, ემ ქალაქჩი ერთს ქალს გედევეკიდე და მაყრად წამამყევ სამის დღის სავალზეო“, და ის წამაგყვება.

ეხლა დაინიშნა ჭორწილი. დაპატიჯებულია ოქრომჭედლის ცოლი, ოქრომჭედელი. ოქრომჭედელი მოჲდა, მაგრა ცოლი შინ დააგდა. იმისი ცოლი წამოჲდა ტუნელჩი და ბებრის სახლჩი ჭემწიფის შჳილს მოუჯდა გო̈რდზე. ოქრომჭედელი მოჲდა ათი ფაიტჳნითა თავისი ძმაკაცებითა. მოჲდა ბებრის სახლჩი და ნახა, რო იმისი ცოლი ჭემწიფის შჳილის გო̈რდზე ზის. მივიდა და მუულოცა ჭემწიფის შჳილს. ორივეთ ჭელი ჩამაართო̈ს. ე კაცი ცოტა ვეჭჳს მივიდა, რაწკი ესეთი ლამაზი ქალი არ არის ემ ქალაქჩი და დაამგვასა თავის ცოლსა. ოქრომჭედელს უნდა წავიდეს თავის სახლჩი და ნახას ცოლი. ადგა ე ცოლი, წავიდა ტუნელჩიგა, აასწრო თავის ქმარს, გემეეწყო ცხო ტარავალჩი და დაჯდა თავის ტახტზე. მივიდა ე კაცი და თავის ცოლს უთხრა:

— ემ ჩემს ძმაკაცსა უშოვნია ისითი ლამაზი ქალი, რო შენზე იფრო ლამაზია.

— მე ჯერთ მზე არ მინახავს და შენ ალხეინად იყაჳ.

ისრივ წამოჲდა ცოლი ტუნელჩიგა და დაჯდა ბებრის სახლჩი. მოჲდა ოქრომჭედელი. დალოცეს ნეფე დედოფალი, დალივეს სადღეგრძელო, — ღმერთმა ჭელი მაგიმართას! სამძღრომდე მაგყვებიი ჩემის ამქრებითაო.

რო ადგეს, მაში ბებერმა მისცა ღორის ჯაგარი და ნახშირი, რო არვინ შაგხიბლას გზაჩი თქო̈ნაო. იარეს ქეიფითა, სიამონობითა და მოჲდეს სამძღორზე. ეხლა ემშვდობებიან ერთურთსა. ეხლა ჭემწიფის შჳილმა უთხრა:

— მეგობარო! ერთს წერილს გამაგატან და როცა მალაზიაჩი მიხოლი, იქ გახსენ, მილამ არ გახსნაო.

— არა, შენ როგორ გიღალატებ. ასე ძვრფასად დამაშაჩუქრე!— აჲღა წერილი და უბეჩი შაჲნახა.

როცა მოჲდა თავის მაღაზიაჩი, მაში თქო:

— აბა. ბიჭებო! ძრიალ ვიქეიფე, წავიდა ჩემი მეგობარი და კაჲ ქალიც წაიყვანა. იმ ჩემმა ძმაკაცმა წერილი მამცა და უნდა წაგიკითხათ თქო̈ნაო.

მაქუჩდეს ბიჭები. წერილჩი სწერია: მადლობელი ვარ, დიდებულო ჴელმწიფეო. შენი, რო ნება მამეც შენს ქალაქებჩი გავლა-გამოვლისა,— ეს ჴემწიფეს უმადრიალა.—ოქრომჭედელო! შენიც მადლობელი ვარ, რო ცოლი ცოლად მამეც და სამის დღის სავალზე მაყარჩი გამამყეო.—წაიკითხა და გადიქცა მაშივნე. თავზე წყალს ასხმენ. მივიდეს-მოჲდეს და ქალი აღარაა, ქალი წაუყვანია. ოქრო ძლიერ ცოტაჲ დაჲხარჯა, დანარჩენი კი დარჩა ბებერსა.

## 122

ერთს ალაგას შაყრილან როსტომი, ტარიელი და ამირანი. სამნივ გმირები ყოფილან. უთქმიათ ერთურთისათჳ:

— ჩო̈ნ ან ხთით, ან უხთოდ შავიყარენით და ძმობა უთხრათ ერთურთსაო.

უთხრეს ძმობა ერთურთსა და მამრე თქო̈ს:

— რაჲც მოინახო̈თ, ერთურთს უთხრათ!

დაჲწყა ამირანმა და თქო:

— მე ერთს ალაგას მივდიოდი ცხენითა და შუბი მჴარზე მაქუ̂ გადებული. დამიღამდა და შუბი რასმე გეეხშუ̂. ვთქჳ: აქ გავათენებ და ვნახავ, რაჲ არის.

გათენდა და შავსცქირე, ვნახე, რო კაცის შეჯი არაა დაყუდებული! ვთქჳ: ღმერთო და ხთის სამართალო! რაჲს აგებულებისა ყოფილა, გაამთელე და თოლებს ნუ აუხელ! იმთქრიალა მთა-ბარმა და კაცი დეეყუდა. სული რო ამაიქცია, ცხენ-კაცი ისრი გოდოგყარა; მამრე იმან დაიძახა:

— კაცი ხარ, ვინა ხარ ჩემი გამთელებელი? თოლები ამიხილე!

— თოლებს ვერ აგიხელებინებ.

— ღმერთი გყავდესთ თავზდებად, რო მე შენ არ გაგაფუჭა.

— ღუ̂თის სამართალო, აუხილე თოლები!

— აახილა თოლები, გაჲცქირ-გამაჲცქირა და დაჲნახა, რო ნაგევს აყრიან ყანაზე. იმ გმირმა ხკითხა ამირანსა:

— ეგ რაჲ არის?

— ეს ნაგევია, დავყარეთ ყანაზე, რო კაი მასავალი ავიღათ.

— ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს, მიწას ყალანი აუღია. სისხლის პურის ჭამა გქონებიათ, თქო̈ საწყლებო, თქო̈ნა! აბა, გუდაჩი არ გაქუ̂ პური?

ამაუღა ამირანმა პური და მისცა. იმან მოუჭირა მჯიღი და სისხლი გაღვარდა.

— აი, რო ხედავ, თქო̈ საწყლებო, სისხლის პურის ჭამა გქონიათ. მამრე უთხრა: — მახსონ, რო ერთხალის ნადირობ ვიყაუ̂ ერთს ალაგას და იქ კლდის ქოხი რაჲმე არის და იქ ნაფხრო̈ბი რაჲმე ეყრება. წადი და მამიტა აქაო!

წავიდა ე კაცი, ამირანი, და მივიდა კლდის ქოხჩი და უზარმაზარი პური ყოფილა დაგებული. ჭმალი გაუძრვა და ჭმლით გაუგდებინებია კანჭი და წაუღია. იმან უთხრა:

— მაჲტანე?

— მოიტანე.

გამაართო, მოუჭირა მჯიღი და რძე გაღვარდა. მამრე უთხრა იმან:

— აი, თქო̈ საწყლებო, ჩო̈ნ იმისთჳ ვცხოვრობდით, რო ადგილი კარგს მასავალს გოძლევდა.

— რაჲთ ომობთ? — ხკითხა ემ გმირმა ამირანს.

ამირანმა აჩო̈ნა შვნდ-ისარი.

— ეს რაჲღა არის? ეს წიწკია. ამით როგორღა ომობთ?

— ჩო̈ნ ამის მეტი არა გვნდა რა.

— წადი შენა და იმ მთაზე გადი!

წავიდა ამირანი. ემან მაგლიჯა ხე და გასხო̈რტა და გაუწია. ამირანმა ნაბადი დახყუდა და თავად გეეცალა. გადმაჲწია ხე და ნაბადს მახჳდა. ჩამაუძრახა იმ გმირმა:

— მამრჩი ცოცხალი?

— მოვრჩი.

მოორედ კიდავ მაგლიჯა ხე, გასხო̈რტა. გაუწია და მოორედ ჩაატანანინა ნაბადი. შამაუძრახა ეხლა:

— გადამრჩი?

— გადავრჩი.

— გხედავდი, საცა იყაუ̂, მაგრა ხთის ფიცს არ გადავე.

ეხლა როსტომმა თქო:

— ერთს ალაგას მივდივარ და დამიღამდა მინდორჩი და დავდეგ იქა. წყალი მამწყურდა ძრიალა. თან ხანგამაშობით წყალი ჩამოალის, ხან შაწკლტება. მივე და ჭელის ცალაჲთ შავხრჳტე წყალი და ძრიალ ტუტა არის. წყალია, მაგრა ძარიალ ტუტაჲა.

გაითენა როსტომმა იქ და შასცქერის, რო ხანგამოშობით გამუა სისხლი და შაწკლტება ისრივა. ეხლა როსტომმა თქო:

— ე სისხლი საჲთ მადის?

დაინტერესდა ძრიალ, დახყვა წყალს და წავიდა. გავიდა და თურმე დევი ზის უზარმაზარი. წინ ჭმალი უყუდია და როცა წეეძინება, დახკრავს ჭმალს თავსა და წამუა სისხლი.

მივიდა როსტომი და ხკითხა:

— რაჲ ამბოვია შჷნ თავსა?

— ჩემი დანიშნული წაჲყვანა ცხომ და მე გზაზე დაუჯე, ამის იქით ვერცა წავა. მე დავიძინებ ცოტა ხანს და თუ დაინახავ, თავზე მასკლრ̃ვი აქუ̂, მაშინისა შამამიძრახე მეო!

დაიძინა ემ დევმა, როსტომი კი ხყარაულობს. როცა ამაასინათა, უკივლა, მაგრა ვერ გააღვძა. გაჲძრო როსტომმა ჭმალი, ყუვისაკე გადააბრუნა და დაუწყო ცემა. ემით ვერ გააღვძა. მამრე პირისაკე მააბრუნა და დახკრა. პირისაკე რო დახკრა, ძოლს მახუ̂და და გამაჲღვძა. მაშინ უთხრა:

— შე კაი კაცო, გამაფუჭე და როგორლა ვიომა ეხლა?

მოჲდა და შაჲმბნეს ისები. ფეჭი დახკრა ემ გმირმა მიწასა და როსტომი იქ ჩაასვნა: ჩრ̃ნი ქარი გაგიტაცებსო. იმათ დაჭოცეს ერთურთი და ქალი კი წავიდა თავის მამის სახლჩი.

ტარიალმა თქო.

— ერთს ალაგას მივდივარ და გმირი სთესს ყანასა. ერთს მჯილს ამაჲღებს, გადახყრის, მოორეს მჯილს ამაჲღებს და პირჩი ჩაჲყრის. ეხლა მე მივე. მამავლა ემ კაცმა ჭელი და ჩემი ცხენკაცით ლაშჩი ჩამაგდა. ეხლა იმას მატეხილი ხქონდა კბილი და მე ჩემი ცხენით იქ დავდეგ. მამრე გმირმა თქო:

— როგორი კარგი ცხენ-კაცი დავკარგე!

— აქა ვარ, თუ არ შამჭამ, — შამაუძრახე მე.

ომოგიყვანა ცხენ-კაცი ლაშჩიგათ და ჯიბაჩი ჩოგისვნა. დალამდა და წავიდა ე გმირი სახლჩი. ჩრ̃ნც თან წოგიყვანა. მივედით შინა და თავის დედაკაცს მიაძახა:

— ე ცხენ-კაცი არცა დამიკარგა! ჩოგოსვნეს სკივრჩი და იქ ვართ. ეხლა ი გმირი წავიდა ყანისაკე და ჩრ̃ნ იქ დოგოგდა. როცა მიდიოდა, მაში დახკივლა დედაკაცმა:

— რაჲ გაშინებს შენ?

— არცრაჲ არ მაშინებსკე, გარდა ტარიალის ცხენის დაჭყივლებისა.

ი გმირი რო წავიდა, მაში გადავჯე ცხენზე და წავე იმისაკე. როცა დავღმარჯუ̂დი, დავხკარ ცხენსა სამჯერ და იმან დაჭყივლა და მაკუ̂და ი კაცი ემ ჭყივილიზგნით.

## 122 II

აბესალამი წავიდა ნადირობა თავისი ამალანითა. მამრე იპოვნა ყოვის ფთა და თქო:

— საცა ამის თოლ-წარბის ქალს შავხუ̂დები, ის უნდა შავირთა.

ეს თქო აბესალამმა და წავიდა. მიდის და ნახა, რო გორაზე იწვა ქალი გლეხის კაცისა, მეჭბე, რომენსაც წინდაჲს ქსოვაჩი დაზძინებიყო.

მივიდა და ნახა ე ქალი. ამაა̲ლა ფთა და ტოჩ-ტოჩ გამადის. წავიდა აბესალამი და თავის ამხანაგებს უთხრა:

— ე ქალი რო გაილვძებს, უნდა ვნახა.

გაილვძა ქალმა. მივიდა აბესალამი და უთხრა:

— შენ ჩემი უნდა იქნა.

— მე შენ რას გეკადრები? შენ დიდი ხარ, დიდის კაცის შჷილი და მე ვარ ბეჩავი და ბეჩავის კაცის შჷილი. შენ შენი გააკეთა და მამრე მიმატოვა. არ შაა̲ძლება.

— არა,— უთხრა ბიჭმა,— და მისცა ხთის ფიცი: — მე მაში ომჩი მისულს უზანგაა̲ გამიწყდეს და სადავეჩიგათ ჭმალი გამიწყდეს, თუ მე შენ გიღალატაო. ნუ, დასთანხმდა ქალიცა.

აბესალამმა უთხრა თავის ამხანაგებს და კაცი გამაგზავნა მშობლებთან, უნდა შაატყობინას, რო ცოლი მახყავს.

მშობლებმა როცა გაა̲გეს ეს ამბოვი, ძრიალ ეწყინათ. იმათ არ უნდოდა გლეხის ქალი, მეჭბე მეეყვანა იმის ბიჭს ცოლადა და ეთქოთ: „როგორც იქნება, შაადჟულეთო“.

შარალო ყოფილა აბესალამის ყმა. მშობლებს უთქმია შარალოსათჳ. რო შაადჟულეო. შარალოს უპოვნია ისითი კაცი, რომენიც შაადჟულებდა ათერსა. მონაძლეს უთქმია შარალოსათჳ:

— ისრი მოაჭდენ საქმესა, რო სულ ძლრ̈ბზე მივიყვან.

— ისრი კი ნუ. — უთხრა შარალომ.

— ერთი პევშაა̲ ფეტჳ იშოვნეთ და ის დააყარეთ თავზე. ე ფეტჳ ჭია-მატლად იქცევა.

გააკეთეს ასე. აბესალამის თოლად ჭია-მატლად იქცა ფეტჳ.

სამის დღის შემდეგ აბესალამმა თქო:

— ვის გინდა ქალი ათერი თეთრი თოვლი მთავარიო? ყელ-ყური უგავ ჩამათოვნილს თოვლსაო.

ეს რო თქო აბესალამმა, მაში მიღვარდა შარალო და უთხრა:

— შრომაც მე მეკუთვნის და ქალიცაო.

დაღნებდა იმასა და წაიყვანა ქალი ათერი. აბესალამი დარჩა ეგრე. გზაჩი მიდის აბესალამი და 'ძახჲდა შარალო.

— შარალოო, შენსა მზესა!
შენი ათერი როგორ არის?
— რას იკითხავ, მცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია.
შენც რო იცი, ბროლის ციხე
როგორ ცამდი მაღალია!
შიგა ზის ქალი ათერი,
თეთრი ქორი მთავარია.

გო̈რდით უზის დედამთილი,
იაგუნდის მარანია;
თავს ადგანან სამნი მაზლნი,
დალ̈ესილი ალმასია;
გო̈რდს უსხდანან სამნი მულნი
დაკაულის დარალებითა;
კარზე უდგას მამამთილი,
გო̈ლეშაპის მყლამპავია.

აბესალამმა უთხრა:

— შარალოვ, მაგას ნუღარ მელაპარაკები, ხვალ ალგეთს გიძახიან. ცხრის წლის ყალანია ასაკრეფიო.

წავიდა შარალო ჯავრიანად, ნიადაგ, სახლჩი. დააწყდა შკამს და ამაჲხჳ̂ნეშა კაცმა. ქალმა უთხრა:

— რაჲ ამბოვია, შარალო?! ეს საჴემწიფო შენი ხარჯია, რო ჯავრიანი ამახრო̈.

— საჴემწიფო არაა ჩემი ხარჯი და ხვალ ალგეთს მგზავნიანო. მე შენი ჯავრი მიმდევსო.

ჩემი ჯავრი ნუ გაქჳ̂, მე ხთის ფიცს გაძლევო:

ჯერთ არ შავალ მეზობლისას,
როგორც მტერი მტრისასაო.

თუ შავალ, ისრი გამოალი,
როგორც და შავა ძმისასაო.

დაიჭირეს და იმათ ბეჭდები შასცვალეს. თუ ცოლი უღალატებდა, ქმრის ბეჭედი გაშავდებოდა და თუ ქმარი უღალატებდა, ცოლის ჴელზე გაშავდებოდა ბეჭედი. ადგა, ნიადაგ, შარალო და წავიდა თავის გზაზე და იმისი დედაკაცი ათერი კი იქ დარჩა.

აბესალამს ჩაუვარდა მისი ჯავრი სიყორულისა. აბესალამის დედა შჩივის ცხოგა, რო აბესალამი ესეა და რაჲ ვქნა? ურჩიეს, რო სტოლზე დეედგა ყელმაღალი ჭურჭელი და ზედ წითელი ვაშლი დაასვნეთ თავზე და თქო̈ნ გარეთ გამადით. მაჲქცნეს ისრი, როგორც ურჩიეს, და გამოჲდეს გარედა.

აბესალამმა შასცქირა ჭურჭელსა და თქო:.

— ოჴერო ჭურჭელო, რას ათერის ყელ-ყურივით მაგიღერებია კისერი?

ვაშლს უთხრა: — რას ათერის ლაყო̈ბივით დაგიწითლებია ლაყო̈ბი.

მაში თურმე შავიდა დედა და უთხრა: — შენ იმას მოუკლიხარ.

წავიდა დედა ათერთან და შაუძრახა:

— ათერო, შამოვდიოდი
შენის ციხის მზორესაო,
შამაგხედე და ავტირდი,
ლოგინი გეგა მთორესაო.
ათერ კრულოო, როგორ სო̈ნობ
აბესალამის ცოდვითაო?
ათერ კრულოო, განა მზე ხარ
დილის გორს ამამუალი?
ჩაიხვე ჩემი შჳილი,
ალვა არის ამასული.

— არ ჩავიხო̈ვ შენსა შჳილსა
ეშმაკების გალოჴილსა.
თავის ნაგონარი საქმე
გალაჴა წიხლის ძირსაო,
ზეცით მასული ჴვრგვნი
გარია ჩალა-მტო̈რჩიო,
მაყრები დამიწმილა
უცხოსა თემს ხოყანაჩიგაო.
ადე და შინ მიბზანდი,
რაჲც მოუა შენს შჳილს თავის თავითაო.

ნუ, ადგა და წამოჲდა შინა და ცრემლით ასო̈ლებს გზასა. მივიდა და უთხრა შჳ̂ილსა:

— შჳ̂ილო, არ დაიჯერა ათერმა შენის ბრალითაო.

ეხლა უთხრა აბესალამმა დასა:

— ადე, მარუხო, ათერსა კარსა უარე,
თუ გკითხა ჩემი ამბოვი, უთხარ უარ-უარეო.

ეხლა, ნიადაგ, წავიდა მარუხი და მუკლის კრრას უვლის ციხესა.

ჴადმოუხედნია ათერსა და უთქომ: რას შრობი, მარუხოო? — და შენ წყალობასაო. ძმას თოლი დამივლეო.

ათერმა უთხრა: — ეხლა კი წამოალი, შარალო ვირზე შამჯდარა. ჰოდა, ადგეს და გეემართნეს, ნიადაგა.

შამოვკე დარიფანზედა, ტანი შამოვზძარ ყავარიო.

აბესალამ, მაინც შამუალი შენთან, თუნდ გამამაგდა ძალადაო.

დედამ უთხრა:—შჳილო, მოიდა ათერი,
თულა გაქჳ თოლებს ნათელიო.
აბესალამი:—თუნდ მოჲდეს ათერი, თუნდ ნულარა,
თოლებს აღარ მაქჳ ნათელიო.
ათერს აქ მასლკსათჳ ძმანი დაურჩნენ მრავალი
და ათერს აქ მასლკსაჳკ ცხენი უბოძეთ სალარი.
— „ათერს ცხენი რად უნდა, დანაჲ უბოძეთ სამღარიო“.
აბესალამი და ეთერი რამა შეხყარა ერთფერი?
ღმერთმა ნუ აპატიოს მაგათ თავ-თავად გამყრელსაო!
გზის ძირ დაალირებენ, გზის თავამ დაიმარხებიან,
ზედამც გამოვლენ წყარონი, შიგ ოქროს თასნი არიანო.
გამლელი და გამამლელი შანდობას ეუბნებიანო.
შარალოსა რჯულძაღლსა გზის თავამ დაალირებენ და გზის ძირ დაიმარხებაო.
ზედამც ამოვლენ ნარები ვირების საძოვნელადაო.

123

შიოლა ლუდუშაურო, შკამს დაშჯე ერისთვისასა,
აზნაურობას ხფიქრობდი, ბატონობას მოჯებისასა,
მოძმეთ მონობას სცდილობდი, გარყვნას ნამუსისასა.
შენ არ იცოდი, მოჯენი ყმობას არ იზმენ ცხჳსასა:
სისხლის მწოელსა ბატონსა სწავლას ჩონ უზლჳნით ჭკჳსასა,
აზნაურობის კოლადა გზას მაგცემთ სამარისასა.
კურკურით მოდის მთრეხელი ლუდუშაურის ძისასა.
ცხენსა ზის, როგორც მფრინველი, არწივს შალგვანდა ცისასა.
მიფრინავს, როგორც ნაგრილი, მინდორსა აჩხოტისასა.
მალ მიახლოვდა აჩხოტსა, სადგურსა დევ-გმირისასა.
ბანით დახკივლა შიოლამ:—„შენ შურს იძიებ ვისასა?
აქ მოდი, მამე პასუხი, გულს მე ჩაგიდებ თხისასა“.
— მოვალ და კიდეც მაგისპობ ბატონობას ცოტაჲ ხნისასა.
აქამდე შჭამე მოჯენი, ეხლა მე გაჭმევ ქჳშასა“.
მალ მიაბრუნა ყორანი მტერთან პირდაპირ ცდისასა.
ბანით ასროლა შიოლამ, ცხენს მაჰჳდა თოლის ქისასა.
წორი ტჳნამდი შავიდა,—ძალა აქჳ ორბის ისარსა.
ცხენით გადმაქდა ჭაბუკი, სწრაფად მაამრობს ისარსა.
ვაჟამაც საჩქაროდ შასტყორცნა, უარ არ იყო მისასა.
გულ-მკერდი გააკროტინა, კისერს უწია ყმისასა.
ბანჩიგათ გადმაიარა: „ბატონს ეგ უნდა მთისასა“.
უკჳნ მაბრუნდა მთრეხელი, შამადის მუკლის ცდისასა,
გამარბის, როგორც ჯერანი. მასკლჳვს შალვანდა ცისასა.

მივიდა ახალციხეჩი. ეხლა შავიდეს ვისასა?
მიღმართა ყოლა-წმინდასა, დედას მშობლისა ხთისასა,
კარნი არ დახოდეს ღიანი ნაგებსა თლილის ქვისასა.
მიღმართა ქერ-ბელელეთა თავის მაკლულის დისასა.
— „ნეტარ, არ შაიხუწება ძმისა მაჯკლავი დისასა?“
— „შამადი, შაიხოწება, სულს გეფიცები მისასა“.
ისრი უშიშრად შავიდა, როგორც რო თავის დისას.
დიაცმა კარი მიჯარა, კედას მუუგდებს ხისასა.
უხოწებოდა თავის ძმათ; „ნაწნავს ნუ მამპრით თმისას.
შაფარებული სტუმარი უნდა იფიქრათ ვისასა.
თუ არ გრცხონიანთ სვრცხლი, რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?
ის არ შაგარჩენსთ სტუმრის სისხლს, წესს არ დაარღოვს მთისასა“
— „გოგიღე, თორო შენც მაჯკლავთ, დღეს დაგიბნელებთ მზისასა“.
საკომლით უკრეს ისარი, სისხლის პატრონი ავია.
თერთმეტი შახუდა ისარი, დაკრიტეს როგორც ცხავია.
მეტლად შასწუხდა დარეჯან, კედელთ აგალა თავია,
ზდიოდა ცრემლის ნაკადი სიტყო გულისა მხრავია.
თმებს იგლეჯს გაშმაგებული, ასწყდა დარალის კავია.
მივიდა, კუხესით გაალა კარი ოჯახის მცავია,
გამაუარდა ცულ-აფთრით, ქალი ვეფხვით ავია.
მოიდა ქერ-ბელელაი, ის მონადირე მთისაო.
ზურგსა ეკიდა ნადირი, ჯიკა ათის წლისაო.
ცოლს უთხრა: „ქალო, რას შრობი, ვის ემუქრები, ვისაო?“
—„სნოვლებსა გასაწყოტლებსა მადლი გაუწყრეს ხთისაო!
სტუმარი მაკლეს შენს სახლჩი, ორ-კეცი პირი მპირსაო.
წადი და ერთი მოუკალ, ჯიკვ დააგდე ძირსაო“
გადააგდა და წავიდა, ირემსვით მარდად ხტისაო,
მალ მიეწია სნოვლებსა, იქვე სნოს ციხის ძირსაო.
შორით დახკივლა: „დადეგით, თავზე ნუ იხოვთ პირსაო.
რად ხკლავდით სტუმარს ჩემს სახლში? მოდით, მითხარით პირისაო“.
სნოვლები მალე გარბიან, ერიდებიან გმირსაო.
შორით ასროლა ისარი, ერთი დაგორდა ძირსაო.
წავიდა, მილამ შინ მივა, გულჩიგა ისრივ ხკვრსაო:
—„ნეტარ, რად მაკლეს სტუმარი? ვის სახლჩი ხკლავდეს ვისაო?“
სახლჩი მივიდა. დიაცსა წყაროსვით ცრემლი ზდისაო.
მაში შახკითხა: „რად მაკლეს, თავს რად იდებდეს პირსაო?“
დიაცმა ვერა თქო პასუხი, გულ-კუნესით ემას სტირსაო.
მეზობელთ უთხრეს ამბოვი, მაში დამშვდდა ისაო.
— „რად არ იცოდეს უბედურთ, ვის შეეფარა, ვისაო?
ჩემს სახლჩი შურისძიება არ დაულევდა პირსაო“.
უთხარით: „შური მოიგე, დადუმდეს, ნულარ სტირსაო“.
რა დააყუჩებს უბედურს, პირი ესართვის პირსაო,

124

დაიქცა მარჯონაჲ მჯარი ემაგ იალბუზის მთისაო,
შაიკრა შავი ღურბელი, სეტყო რამ იქნა ცისაო,
ადრევ გაძეგო მამული, თავთავი დასცა ძირსაო,
ყაზბეგჩი ნახეს სიზმარი, მასკლოვი მასწყდა ცისაო,
მაში ბჭეს ბერიკაცებმა, წყრომა რამ არის ხთისაო,
საიდლამც ამბოვი მოგივა, საწყინო ჩონის მკრისაო.

ქალაქჩი კუბო შაუკრეს სანდრო გეჩარლის შჲილსაო.
ეს რო გაიგა მთის ხალხმა, ცრემლით იბანენ პირსაო:
-— „დიდ მთასაც შავად დავხურავთ, მზემ არ დოგიკრას ცისამა“.
შაუტყობინეთ ბიძასა, ბიბო ყაზბეგის შჲილსაო:
„გერდეგეცვალა ძმისწული, ეს ანგელოზი ცისაო“.
ეს რო გაიგა ბიბომა, ელვა დადგება ცისაო.
დახკივლა: „ცხენი მამგორეთ!“—რაი ჲმა აქჲ ზარბაზნისაო!
ჩქარვე ცხენი მალგორეს, რომენიც ჩქარე დისაო.
ეჰრე მახუვის ქალაქჩი, როგორც არწივი ჴმთისაო.
ქალაქლები ერთურთს ეუბნებიან: „თევზი მუარდა წყლისაო“.
ქალაქლებს გადაუძრახა: „პირი არ სცადათ მლისაო,
ადრევე დაკეტეთ დუქნები, მილამ სულია მზისაო!
თუ ეხლა გამაბოროტეთ, მთელს ქალაქს დავსცემ ძირსაო“.
გადმაასონეს კნიაზი, ეგ ანგელოზი ხთისაო.
საპირად მ-ზდევს ჯარები; ვაჰ! იმას ვინლა სთლჴსაო.
მაგა ლექსისა მათქომი თავქელს სწორებჩი ზისაო,
წინ უდგას წითელი ღჳნო შაშანდობარი მისაო;
გადმააწოდეს ფანდური: „რაიმე თქჳ ჩონის მჴრისაო“.
სებაი ლალიტაშჲილსა ქართული არ მოუცდებისაო.

# მთიულური

125

იყო ერთი მეწისქვილე. იმასა ჰქონდა სამი ტევანი ყურძენი. შამაეჩვივა ერთი მელია. სულ გაუთავა ყურძენი. დარჩა ორი. მარცოლი კიდავ. უყარეულა მეწისქვილემ და დაიჭირა მელია. მელიამ უთხრა, რომ „ნუ მომკლავო“, წვრილშვილი ვარო; გამიშვიო. პატარა შვილებს დავზრდიო და კიდავ მოვალო“. „ტყავს გაგაძრობო და ქუდს შევიკერავო“, მეწისქვილემ უთხრა. „ჩემი ტყავიო რა დიდი რამე იქნებაო შენთვინაო?—მელიამ უთხრა—შენ ხარ უცოლო ბიჭიო და ბედსა გწევო მენ შენაო!“

გაუშო. მელია წავიდა და მოუძრახა: „ჩემი ნურა გეფიქრება რა! ერთ თვემდისინ დამაცალე მენ შენა!“ ერთი თვის შემდეგ მივიდა მელია წისქვილი(ს) კარზე. მეწისქვილეს გამარჯვება უძახა, „შენ ჩემო დამღუპავო მელიაო“—მეწისქვილემ უთხრა.—„აბა ეხლა მოიცალე შენთვინაო“ მელიამ უთხრა: როგორი სახელავარი მელია გექნები შენ! „ადგა და... ჴელმწიფესთან წავალ მენ“, უთხრა მელიამ. მეწისქვილემ უთხრა: „ე. კუდი დააყენეო, ტყავს დამიკარგამ შენო!“—„შენ ერთი ქათამი მამიმზადეო!“ მელიამ უთხრა მეწისქვილეს. ერთი ქათამიც აჩუქვა კიდევ მელიას მეწისქვილემ. შეჭამა წისქვილის კარებზე. ახლა აჴსენა ღმერთი და წავიდა ჴელმწიფესთან მელია. მივი ჴელმწიფის კარებზე — სამარჯაკლოთ წავიდა — და უთხრა: „სამ-ტევან ჭაბუკი ქალსა გთხოვს შენაო!“ (რაკი სამი ტევანი ჰქონდა მეწისქვილეს, ამიტომ სამ-ტევან ჭაბუკი დაარქვა). ჴემწიფე ძლიერ გაჯავრდა: რატომ სიტყო შემომწონეო!“—„ის მაინც არ მოგშორდებაო, ის სამ-ტევან ჭაბუკი!“ მელიამ უპასუხა: „ამ ჩემ საჴელმწიფოში ვინ არისო, რომ ჩემი ქალი შეირთოსო!“—სთქო ჴელმწიფემ „ახლა ბიჭი უნდა მანახოთ, რა შნოს ბიჭია? რა ჩაცმული და დახურულიაო? (აბა რას ჩაიცომს?...“)

წავიდა მელია სამ-ტევან ჭაბუკისაკენ გახარებული. მივიდა წისქვილში და უთხრა რომე, „უნდა წავიდეთ მე და შენ ჴემწიფესთანო!“ სთქო ამ მეწისქვილემ „ტიტველ—შიშველი და მშიარი სად უნდა წავიდე მენო!?“ მელიამ უთხრა, რომ შენ გიშოვნიო სუყველაფერსაო! წავიდა და ერთი უღელი ჴარი იქირავა და შეაბა ურემში. მოკრიფა გვირილა (ყოილი რაღა!) და დაუდო ურემზე. დასვა მეწისქვილე, თავადაც ურმის თავზე დაუჯდა.

გასწივა და წავიდა ჴელმწიფისაკენ. წავიდა ეს ტიტველ-შიშველი

მეწისქვილე. ერთ ალაგას წყალია გასასვლელი. წავიდა მელია და პირდაპირ ჰელმწიფესთან მივიდა. გამოცვივდენ ძაღლები და კინაღამ შაჰამეს. ის ჰელმწიფესთან გაიქცა, ეს მეწისქვილე წყალ-გაღმით დააყენა თავის ურმით გამართული. „როდესაც მე დაგიძახო, ურემიც წყალში გადააბრუნე, ტანისამოსიც გადაყარე და დარჩი ტიტველიო!“ — უთხრა მელიამ.

ეს ბიჭი გასცქერის მელიასა და ელოდება წყლი(ს) პირზედა. უთხრა ჰელმწიფეს მელიამ: „შენი სიძე სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო!“ „აბა, წადი, კაცებს გავაგზავნი და ვნახოთ, რა კაციაო?!“ — უთხრა ჰელმწიფემ. წამოიდა მელიამ, სხო კაცები არ გაუშო სამ-ტევან ჭაბუკისაკენ: „თქვენ არ მიგიშობსო, თქვენს ნახვას არ იკადრებსო ისაო!“ თვითონ მელია წავიდა. ურემი წყალში გადააბრუნა და ტანისამოსიც წყალში გადაყარა სულ.

დარჩა ბიჭი ტიტველ-შიშველი და ურემი ცარიელაჲ: ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო. გამოსცქეროდა ჰემწიფე და უკვირდა: „ის წითელ—ყვითელი რა მიაქვს წყალსაო!“. ეს ბიჭიც სიცივისაგან გაყინული წყალზე კანკალებდა. წავიდა მელია და ჰემწიფესთან მივიდა ისევ. „ხომ დაინახე, დიდებულო ჰელმწიფევ, როგორ მიქონდა ჩვენი პურ-საჭამანდი წყალსაო?“ — უთხრა მელიამ. „აბა, ჩქარე ტანისამოსი მომეცი შენი შვილისა, რო სამ-ტევან ჭაბუკს ჩავაცო, თორო ძალიან გიჭირს შენ საქმეო!“ ადგა ჰელმწიფემ და მისცა ტანისამოსი, და პირიც კარქა დაბანა მელიამ.

ლამაზ დაარიგა სამ-ტევან ჭაბუკი მელიამ, გაუძღვა წინ და ჰემწიფის სახლში შეიყვანა. მელიის დარიგებაზედა ჰემწიფეს მიესალმა სამ-ტევას ჭაბუკი. ჰემწიფემ კარქად მიიღო, მაგრამ ამ ტანისამოსზე დაიცქირება ეს ჭაბუკი: უკვირს რა! ჰემწიფემ უთხრა მელიას: „რატომ დაიცქირება ტანისამოსზედაო?“ მელიამ უპასუხა: „ვერ არისო კარგი ტანისამოსიო!“ ჰემწიფეს სამ-ტევან ჭაბუკი მეეწონა ძალიან და უნდა მისცეს ქალი.

ახლა დაიწერეს ჯორი. ახლა ამ ჭაბუკმა სად უნდა წაიყვანოს ქალი? სახლი არა აქ და კარი! წავიდა წინ მელია; მისდევენ მაყრები და სტუმრები. მელია გაუძღვა ხალხს წინა; ერთ ალაგას გაიარეს და დიდი ცხორი არი. უთხრა მელიამ, რომე „სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო, ჰემწიფის ქალი მოჲყავს, რაჲმე აჩუქეთო, თორო დაგჴოცამთო!“ ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქვა. ახლა წავიდა და დიდი თაბუნი შახვდა. იმასაც საჩუქვარი გამოსთხოვა: სამ-ტევანი ჭაბუკი მოდისო. იმათაც მესამედი აჩუქვეს. წავიდა და ერთ ალაგას დიდი სასახლე იყო — დევებისა.

პირდაპირ მივიდა მელია იმ სასახლეში: უთხრა დევებს, რო „ადექით, აიყარენით, თორო ჰემწიფის ქალი მოჰყავს სამ-ტევან ჭაბუკსა.

თუ სახლი არ მიეცით, ფინთი საქმე მოგელითო!" დევებმა თქვეს: „შორს არიან თუ ახლოსაო?" „ველარ გაასწრობთო, თივის ძირს დაიმალენითო?" (სტოგის ძირს, რაღა!)—უთხრა მელიამ. ადგნენ დევები და სულ თივის ძირს შასხდენ. იმანაც ცეცხლი შეუკიდა აქათ-იქით სტოგს. დაიწვნენ დევები სულ შიგა, თივის ძირსა.

დარჩა სასახლე სულ ტიალად (ოჴრად). წავიდა მელია და წინ მოეგება სამ-ტევან ჭაბუკის ხალხსა. დარჩა ეს ამისთანა სასახლე მასკვლევიანი. „ახლა რაღას გვიანობთო? – მაყრებს უთხრა- ჩვენ მზადა ვართო!" მივიდა ეს ჯარის ხალხი და შავიდენ ამ სასახლეში (ჴემწიფეზე ძრიალი სახლია. კაცო!). ერთი მასკულავი მოგლიჯა მელიამ და შეინახა თანა. შავიდენ და უკვირს ძალიან ამ სამ-ტევანა ჭაბუკს ეს ამისთანა სასახლე. იძახის ჭაბუკი, რო „ეს რა საქმეს შევეყარე. ახლა როდის ეს სახლის პატრონი დამივლებს ჯოხს ჴელსა და კირჩი გამამაგდებს!"— ამის ეშინია, იქით—აქათ იცქირება.

ახლა მაყრებმა სთქვეს: იქით-აქათ რათ იცქირებაო?" — „ამას ერთი მასკლავი აკლია, სახლსაო, და მიტო იცქირებაო! უთხრა მელიამ. გაუშო მასკვლევი და, საცა იყო, იქ დეეკრა.

ეს ქორწილი გათავდა. ახლა, მელიამ ავათმყოფლობა მაიგონა და თავიც მოიმკვდანურა. აიღო ამ ბიჭმა და კუდით ზურგზე აიკიდა: უნდა გაიტანოს მელია და ტყავი გააძროს. „აი, შენ ღარიბოო! გამოგაცხადო, რაც კაცი ხარო!" — მელიამ უთხრა. ბიჭი შაშინდა ძრიელ.

სხო დროსაც ბევრჯელ მოიგონა, მაგრამ ბიჭმა ყური არ უგდო. დარჩა ის სასახლე სამ ტევან ჭაბუკსა. მელია თავის სახლში წავიდა. ეგ არი!

## 126

ერთი მონადირე იყო, თორღა ერქო, კახეთში ძველ დროებაზე თოფს დამარხავდენ, როცა ას მოკლავდი და მერე ამოიღებდენ. სამჯერ დამარხა, სამასი ყვანდა მოკლული. მეოთხეს ერთი უკლდა. მოხუცებულია. მაინც თქო:

— ჩემ ყირიმს კიდევ ავამუშავებო! — წავიდა და მეოთხეც შეასრულა. როგორც მონადირე, გაოსტატებული იყო და იცოდა, ნადირს როგორ მიეპარებოდა. ყვირულობას (ღვინობისთვეში) წავიდა. ირემი მაშინ იყვირებს. დეემალა და შეშა გატყდა, ფიჩხი და ირემი არი და ხან ჩაიმალება. ამ ირემს გონია ფურირემი და გამეექანა და მივარდა, დაჭკრა შუბშია. წაიქცა ეს ირემი. უნდა მივიდეს და ამ მეორე მხრიდან ხმა მეესმა:

— თორღაო, ხო მოკალო ე ზვერიო! — თეთრწვერა იყო და თეთრი ჯოხი ედო, — შენი ცოლ-შვილი მაგის ბეჭში სწერიაო! — ეხვეწა და:

— წლის თავზე კურატი მოგართვაო!—შაეხვეწა. წლამდის შვილები, შვილიშვილები სუ დეეხოცა იმის მიზეზითა.

— მე რა ვიცოდი, თუ მაგის იყოო? ამას იქით არ დავინდობ, სუ უნდა დავხოცო. რაც ნადირი არისო!

127

ერთი მონადირე იყო კახეთში. თათარი იყო. დასჭრა იმან ქურციკი ისრითა. ვერ დაიტანია. გახყვა ჭრილობა და მისდევს. მიხყვა და გავიდა ერთ მდინარესთან და ველია და შველსა ქალი დაჲპატრონება, ის ჭრილობა ამოუბანია და მანდილით უხოვს. ეს მონადირე მიეპარა, დაიჭირა ეს ქალი. ისე ემორჩილება ი შვილი იმ ქალსა, როგორც დედას დაემორჩილოს. ეუბნება ეს მონადირე:

— მე მამა, შენ შვილი. მითხარ: რა სურიელი ხარო?

— არ გაჲსცა ხმა.—მითხარ, მაინც, ვისი ხარ, ბინაზე მიგიყვანოო!

— დასავლეთისკენ გამაუღირა ხელი, ანიშნა ვითომ. იქ უნდა წაიყვანოს. აიყვანა ეს ქალი ხელში და შველი წინ მოუძღვება. იარა და მიადგა ერთ დიდ შენობას ტყეში. დიდი ციხეა. გალავანი აქ შემორტყმული. მოვიდა და დაწვა ის შველი იმ ციხის წინ. დასო ქალი და:

— მოდი, იმ ციხეს კარები ექნება საიდანმე?—დასო ეს ქალი და შამოუარა კრუგომ ამ ციხეს. ვიდრე იქიდან კრუგს დაარტყამს, მოვიდა, არავინ არი! გაეპარნენ.

— ეხლა კი მოვსტყუვდიო!—და ინანა. ველარც შაჲხვდა. ვერაფერი მის დღეში.

128

ერთი ჭემწიფე იყო. იმან ცოლი უნდა შაირთოს. ფილასაფოს ეტყოდენ, მეცნიერ კაცებს. იმათ ჰკითხა, რო

— ვისი ქალი უნდა შევირთო, რო ბოლო კარგი იყოს!—წასულიყო იმისი ერთი დევის ქალი. უთხრა:

— თუ იმას შაირთვი, ვაჟი კარგი გეყოლება.—ის ქალი ჯადოსა ჰყავს დაჭერილი. გასტაცა, რაღა, დევებსა.

— ერთი ქაღალდი არისო. თუ იმას იშოვნი, ციხეშია დამწყვდეული. იმ ქაღალდებს ჰქვია ისმოადინი და იმის საშვალობით გამოვიყვანთ იმ ქალსაო!—ისაც დაარიგა, რო საიდან უნდა ეშოვნა ის ქაღალდი. გამოიტანეს და წახყვა ფილასაფოსი, ვეზირი და თითონ ნეფე გამოსაყვანად იმ ჯადოს ხელიდან. მოვიდნენ, დარბაზში შევიდნენ. დაიწყო ლოცვა ამ ფილასოფოსმა, რამტელიმე გაათავა. ერთ გალიაში გვრიტი ზის. თქვეს:

— მოდი, ეს მაინც დავიხსნათ ტუსაღობიდან!—გახსნეს და ეს გვრიტი ჯერ მიწას ემთხვია და მერე თაყვანი სცა. წავიდა. თურმე

ეს ის ქალია. ამ დედ-მამათ შავი აქთ სახზე გადახურული. როცა ჩავიდა საკომში, ქალათ იქცა ისინიც. გახარდენ, ილხინეს. ეუბნებიან:

—ვინ დაგიხსნა, გოჩინე! სამნი ვინმე მოვიდენ. იმათაც გაჭირება ადგათ ალბათ. ეს ფილასაფოსი შაუდგა თავის საქმეს. კითხულობს და ჩამოიშალა ერთი კუთხე, მეორე, მესამე და ცეცხლი შამეერტყა ამ ციხეს. გამოვიდა მოხუცებული. თურმე ჯადოა. ყავარჯნით დადის და:

— ცეცხლიდან დამიხსენითო! —ჭემწიფე ეუბნება:

— გადაგიყვან! ფილასოფოსი ეუბნება:

— არ გადაიყვანო, ჯადო არისო! —არ მოუთმინა, ჩასჭიდა ხელი მოხუცებულმა ნეფეს. გადავიდა ვეზირი. ვეზირსაც შაბოჭა. ეხლა ფილასაფოსი დარჩა. ესეც მიიტოლა. შაუბერა. ჭემწიფე აქცია მგლად, ვეზირი—ტურად, ფილასაფოსი —მელად. წავიდნენ: ნადირებია. გონება აქ ადამიანის, მარა სხეულობა ნადირისა აქთ. წავლენ დღე. ვერ გამოდიან ველზე. ისივ ტყეში იძინებდა. წავიდა და ერთს დიდი ტყე არი გაჩეხილი. ერთ ღრუსეში მაძვრენ. დაიძინეს. თურმე იმ ქოყანაში ერთი მფრინველი არი და საიდანაც მოვა, მზეს აბნელებს, ისეთი ძრიელი არის ის მფრინველი. ერთ მაღალ მთაზე ბუდეს აშენებს და აქიდან ზიდავს. მოუსვა ამ ხესა და წაიღო იქ ბუდის ასაშენებლად. როდესაც გამეეღვიძა, გადმოხედეს, მთაზე არიან. ადგილი ეუცხოვა. წამოვიდენ და იარეს, ერთ წყაროზე დაისვენეს. მოიდა ორი მფრინველი. ერთმანეთი დაკოდეს, დაასისხლიანეს. ამ წყაროში ჩაფრინდენ. ამათ სძინავს და მელა ყურობს. იბანავეს და მჭირლობა გაუმთელდათ. ფილასაფოსი ამბობს:

— ადამის წყარო ეს იქნება. ადამიანი რო იყოს სხეული, რო იყოს რაითმე დანაკლებული, ამ წყაროში გამთელდებაო! —გაალვიძა ისინიცა და კი ვერ ლაპარაკობენ. ანიშნა:

— მოდი, აქ ვინანავოთო! —ჩავიდა და გამოვიდენ ისევ ჭემწიფე, დარჩენ ადამიანები. რა მოვიდა ის ქალი (გვრიტი), მამამ უთხრა:

— წადი, შვილო, ეძებე, ის კაცები მამირეკე, რო დიდი პატივისცემა გადაუხადო, რო შენ იმ ჯადოს ჭელიდან დაგიხსნეს.—წამოვიდა ეს ქალი და წამაასხა დევები. ბევრი ეძება აქეთ-იქით და დეეძინათ. თურმე რო დეეძინება, როგორც ზრდილობა ქონია ადამისა, ერთი თვე ეძინება. ნახა, დაძინებულები იპოვა ამ ქალმა. უთხრა:

— ესენია, ამათ დამიხსნესო! —აიღეს, ეს დაძინებული ხალხი დააწვინეს. ძაღლის ტყავები აქთ და მიიტანეს ქალის სამშობლო სახში. შაჰხედეს—გამეეღვიძათ სასახლეში. ჰკვირობენ თავიანთ გადასავალს. ეს დევსაც გაუხარდა. მადლობა გადაუხადა.

— რა უნდა გაჩუქოთო?

— შენი ქალი გვინდა შავირთოთო!—ეს ფილასოფოსმა შაჰბედა, დაუთვალა ყველაფერი. გაუხარდა ნეფეს. ფილასოფოსი ეუბნება:

— წერა ასეთიაო!—დააქორწილეს.

სამ დღეს ქორწილ გადაუხადა იქა. გამაისტუმრა თავიანთი დევებითა, ხალიჩებზე დასვა, თავის გრანიცაზე გადმააცილა. წლის შემდეგ ეყოლა ვაჟი. კიდამ მეორედ ფილასაფოსმა შაჰყარა:

— ახლა ამ ჩემი შვილის ბოლო ბედი როგორაო?—აუხსნეს:

— ჩვიდმეტ წლამდე არაფერი დაუშავდება და ჩვიდმეტი წლის შემდეგ ერთი რამ შეემთხვევა და თუ იმას გადაურჩა, ასოთხმოცი წელი იცოცხლებს, თუ არა და გადიტანსო! სახელი უნდა დაარქვა მირიაო!

—ჩვიდმეტ წლამდე მართლაც უდარდელად იყო მამა მერე აკრძალა იმ საჴემწიფოში კარტიჩკა დაწვა. ადგა და

— მე ნადირობა უნდა ვისწავლოო! — გაატანა ჯარი თავისა. წავიდა. ნადირობს. დასჭრა ერთი შველი. დიდი ირბოლა, დიდი ავლია და შორს წაყვა მირი. ერთი ზღვის პირზე მიატანა იმ ნადირმა და ერთი კაცი იპოვა ამ ზღვიდან გადმოგდებული. თურმე ეს კაცი დადის ჩინეთში სავაჭროდ. ამოუვარდა ერთ დროებას ქარი და იმ ფიცარზე შარჩა და გამორიყა. ტირის, ცარიელილაა. სად წავიდეს, არ იცის. გაანება ამ ნადირ თავი და ჰკითხავს:

— რა გატირებს, რა ამბავია?—ისიც უამბობს.

— კარგი! იმტონი ნავაჭრი გაქ და არაფერი გადმოგყვაო?

ძვირფას საქონელზე ეკითხება. ამ ბიჭმა უთხრა:

— არაფერი შამრჩაო, ერთი ქალიაო. იმის კარტიშკა მომაქვსო. ნახევარ ხაზინას მპირდება ჴემწიფეო.

— მოდი და მე ერთ ნახვაში მოქცემო?—ნახა და მართლაც აღარ მეეშვა იმ სურათს. მერე შაურიგდა ამ ვაჭარს, რო ის ქვეყანა აჩვენოს, ის ქალი აპოვნინოს.

— რამტელი ხანი მოუნდებით, რო წავიდეთო?—მირი ეკითხება ამ ვაჭარს.

— თუ ზღვით წავალთო, ოთხი წელიწადიო, თუ ფეხით წავალთო, ღმერთმა იცის, მივალთ თუ არაო სიბერემდეო. წამოვიდა ეს ვეზირი, თავი მამას ატყუებს:

— ზღვით უნდა ვინადიროთო!—მამასაც გაუხარდა—ზღვაში სურათს ვერ იპოვისო. ხელს უწყობს. გაიმართნენ სამნივე: გააყოლა ჯარი ბევრი. იარეს, დაიღალნენ და გავიდნენ ერთ კუნძულს. დახვრეტილი მთა არი. თურმე არის დევის ხოყანა. ამ დევებს უდგას ერთი მოხუცებული ყარეულად. ადამიანებს არ ავნონ, არ გააფუჭონ. მიესალმენ მოხუცებულს. დაისვენეს იმათან. გაუხარდა ამ მოხუცებულსა, რო ნახა ხორციალი, ადამიანი.

— დღე დევების ვერ გამოდიანო. რო დაღამდება, გამოვლენო.

თქვენ თუ გოგირდი გექნებათო, აქ მოქუჩდებიან და მაგათიო პირველი საჭმელი გოგირდი არისო და ისინიც კარგა მიგიღებენო,—მართლაც დაღამდა. მოქუჩდენ. გოგირდი მიართვა ამ მირიმ. იმათაც ძალიან მეეწონათ. ქალი ეუბნება თავის მამასა:

— მირი უნდა მოვკლა!—გაუჯავრდა მშობლებმა:

— ეგ არ იქნება!—მაინც გეეპარა და

— შენ ცოლად უნდა შაგირთოო!

— ვერ შაგირთევ, სული გიდისო.—რაღაც წამალი აქ.

— ამაში გაიბანეო და მერეო!—გაიბანა და დაიწვა ქალი. ეძებენ დევები და დამწვარია.

— განა,—თქვეს,—მირის ბრალია? ღმერთმა დამწვაო!—ეს მოხუცებული თან გაეჰყვა და:

— თქვენ უნდა გამაცილოთო! მამეწყინა ამათი ყარეულობა.—აჲსწავლა ამან, ეს გემი დაასვენოს მეორე კუნძულზე და შახვდენ ზვარს, ვეშაპს და დახვდა. მეორე მოხუცებული თურმე ეს თილისმაა. გავიდა ერთ ალაგას მამა აბრამის სასაფლაოზე და

— მე აქ მოვკვდებიო!—და მართლაც გადიცვალა და ისინიც წავიდნენ, როგორც იმან დარიგება მისცა. ხილისთვის შაგზანა. შიგ ორმოებია და მირიმ სთქვა:

— აქ მამაძაღლობა არისო!—დახოცეს ეს მოხუცებული თილისმა. ამორეკა თავისი ხალხი. ესენი ბაბაყულები (თილისმა) იქნებიან მოხუცებული ეუბნება:

— წაიღეთ ეს ძვალი და გამოგადგებიანო!—გაიყოლეს ეს ძვალები მართლა თან. გაუდგენ კიდევ ერთ გზას. იარეს და ახლა ამათ ამოუვარდა ქარი და გაუფუჭა გემი, დაუზიანდა. ერთი ერთ ფიცარზე შერჩა, მეორე—მეორეზე და მესამე—მესამეზე. ეს ჯარი დაიღუპა, სუ დაიკარგა. როგორც იმან არ იპოვა? ახლა ერთმა ხემწიფის შვილმა იპოვა მტირალი. იმ მირმა ამის ენა არ იცის. წაიყვანა. თურმე ნადირია გავრცელებული. ვეფხი, ლომი. შაიბნენ და მოკლა ვეფხმა, მოკლა ხემწიფის შვილი. გადმოხტა, მირმა ვეფხი მოკლა. დამარხა. ზის, იმას დაჲსტირის. მოიდნენ. ამას მოუკლავს. დაბრალდა მირსა. ეს ნადირი ხო დაფლულია. წესი ქონიათ ასეთი: ნადირ რო მოჰკლავ, უნდა დამარხო. დაიჭირეს, წაიყვანეს და უნდა ისაც მოკლან. ამ ვაჭარმა ნახა სიზმარი: მირი სისხლის ტბაშია ჩაგდებული. ე ვაჭარი რო მოვიდა სიზმრითა, გამეეღვიძა. ირბოლა და იპოვა ის ქოყანა. უნდა დაკლან. აღსასრულია. დაუძახა:

— მირი უბრალო არისო, მომითმინეთო!—მირს გამოჰკითხეს (ამან ამათი ნება იცის). იმანაც დაუთვალა. გაგზანეს მართლა და ვეფხი ამოიყვანეს დაფლული. გაანთავისუფლა ეს მირი სიკვდილიდან. ახლა ჴემწიფე ეუბნება:

— ჩემო შვილო, მომავალში შენ ჩემი შვილი უნდა იყო. გადმოგცე ჩემი ჴემწიფობა! ჴემწიფობა ბარამ არ უნდა. მარა გასაქანი არ არი და დათანხმდა. მიიღო ჴემწიფობა. ეხლა ადგა და დასვეს ჴემწიფედ. ვეზირი-ღა აკლია. დაჯდა ხემწიფე და თავის კარტიჩკა და ამ ვაჭრისა გადაალებინა და ყველა კუთხეში დააყენა კაცები ამ სასისა და:

— თუ ვინმე დეეცქიროს, მოგვიყვანეთ! — მართლაც ვეზირი მივარდა რამტოლიმე ხნის შემდეგ. იცნო კარტიჩკა. დაიჭირეს, მიიყვანეს ამ მირთან. მიესალმენ, გაუხარდათ. შაიყარნეს სამნივენი. დაიწყეს ისევ ხელმეორედ მუშაობა, ამ ქალის ძებნა. გეემგზავრნენ იმ ქალის საძებნელად. მიახწიეს იმ ქალთან, მივიდენ იმ ქალის მშობელთან. არ მისცა ქალი. ამ ქალის მოსამსახურე ერთმა დევმა მოსტაცა. იმ დევებს უნდა მეეტაცნა ის ქალი და ვერ მოიტაცა და მოსამსახურე გაიტაცა. ის ქალი გონია. მშობელი ეუბნება:

— ჯერ ის ქალი გამომიხსენი და მერე მოქცემ ჩემ ქალსაო. — წავიდა, მიუხვთა თავი ჯარით იმ დევს. იომეს, იჩხუბეს, რამე ქნეს და დაამარცხა დევის შვილი მირმა. წამოვიდის ხან სეტყვით და იმ ლოცვას იტყოდის და განელდებოდა. ეს ჩხუბი რო გადაიყარეს, დარჩა მარტო მამა და იმ დევის ქალი კიდევ. დაისვენეს, მეორე დღეს კიდე უნდა იჩხუბონ. ბაბაყულის ძვლები აისხა. ამას ვერა ხედვენ ისინი. ქალი ეუბნება:

— მამი, შენც მოგკვლენო!

— მე, შვილო, ვერ მომკლევენ. ჩემი სული ამა და ამ ტბაში წითელი თევზია და იმის გვამში არისო! — მირი იქ უყურებს. ბაბაყულის ძვალი ხო ხელზე აქვს. წამოვიდა. ის ტბა დააშრო, დასწურა, დაიჭირა ის წითელი თევზი. მეორე დღეს გავიდა ის დევი საომრადა. ეს მირიც წამოვიდა. გადააგდო თევზი და დევი. თვითონ წაიქცა. სული ხო აქაა? შავარდა ეს მირი. ის მოსამსახურე იპოვა, გამაიყვანა. წამაიყვანა. წამოვიდა ეს დევის ქალი. კარავი გაუკეთა. მეესალმა (ვითომ ის ქალია!), იცნო, გაიგო. ჩამოვიდა, კვლავ არ აძლევს ეს მშობელი. სხვაზე ჰყავს გათხოვილი თურმე, უცდის, მოვიდნენ, წაიყვანონ. გარისხდა ეს მირი. წაართო ეს ქალი. ქორწილი გადაიხადა. მოიდა ერთი ბასილი იყო. იმას ჰყვანდა დანიშნული ეს ქალი. ეს ბასილი თავის ჯარით მიდის. შაიყარნენ გზაში. იჩხუბეს. დაღამდა. ადგა და ბაბაყულის ძვალითა შავიდა ბასილთან იმ მირის ვეზირი.

— ამაღამო იმ ქალს მე მოგიყვანო! — ვაჭარი ეუბნება იმ ბასილს. იმათ თავიანთი კარისკაცი გონიათ. თურმე არის მირის ვაჭარი. გააყოლეს და თურმე ამ მირსა ჰყავს დამშეული გველები. რო ამოუშო იაშიკებიდან, კაცს ჩაყლაპვენ. აიღო ერთი იაშიკი და მიიტანა ბასილთან და:

— აბა, ახლა ამოუშითო! — ის ვაჭარი გარედ გამოვარდა და დაუწ-

ყო ყლამპვა გველებმა. დაალვიძეს ჯარი და ერთმანეთს ჰოცს ეს ჯარი. გონიათ მირის ჯარი დაგვეცაო! გათენდა და სადღა ყავს ბასილის ჯარი. გათაულია სავსემ. წამოვიდნენ. რამტოლიმე გზას იარეს. კიდამ დასვენება მოინდომეს. დაასვენეს ერთ ალაგას, სიდედრი თანა ყავს. მოჲდევს, აღარ ეშვება, სიძეს. ნათესაობაც ყავს.

— თქვენ აქ დაისვენეთ, ჩვენ უნდა გავინადიროთ!—წავლენ და სანადიროდ, მაასწრობს ქარიშხალი, წვიმა. ერთ დიდი გამოქვაბილში შეეფარებიან. იმ საჭემწიფოშია თურმე, ერთი ძლავრი ვმირი არის. წაადგა ამ კლდეზე და ესენიც აქ არიან.

— რა ხალხი ხართ, ვინა ხართ?—შაეჰხედეს, შაშინდენ, დაახლოებით საჭემწიფო უთხრეს.

ამა და ამ საჭემწიფოს ხალხი ვართო!—დაიჭირა ეს სამივენი და წაასხა თავისთან ამ გმირთან. თურმე ის სახემწიფო, რომელიც უთხრეს, მოსისხლენია!

- იმ საჭემწიფოსი არა ვართო!—იტყუებენ ახლა. მარა რა დროისა. წაასხა და ერთ კლდეს გადასწივა და ერთ ქვის ქვეშ დასტოვა. ამაში ბასილის მამამ შაჰყარა. და გამეეკიდა მირის ჯარსა. იპოვეს. მირი ორმოში არის. ვეზირი, ცოლ-შვილი და ჯარები აქ იცდიან და დაამაოცხეს. ეს ქალი ცხენის ძუაზე გამოაბეს. ეს მირი არის ლოცულობს:

— მოხსენი ამ დუსჭირობისგანო!—მერე შაუძრახა რამე:—მირი შაისმინეო!—და გამეეღვიძა და მერე აღარ ვიცი, რა მოხდა.

129

ამირანის მამა არ იცოდნენ. ქალი იყო ერთ გამოქვაბულში. უდაბნო ალაგას. ვიღაც ქალი იყო უხორციელო. ერთი მონადირე იყო და დაიჭირა ის ქალი და მოუხდა იმ ქალს მუცლის გვრემა, უდროო დროს. არ იყო დროჲ. იმაზე ტირის ის ქალი და შორს მიდის ხმა. ბადრისა და უსუპის მამამ იპოვა მტირალი. იშოვა იმისთანა მანქანები, ავიდა იმ ქალთან. ავიდა, ქალი ტირის. იქ შაჲსჩივლა ამ ქალმა:

— მე ვკვდები და შვილი მიმდევსო!—ვერ მატანს მოსაკლავად. შენ კაცი არ უნდა მიშელო ჩემს ტანზეო!—მეტი-მეტი ბააწუხა სვეწნითა და გასჭრა. სამი თვე აკლია კიდამ ჩემს შვილს დასრულება და შაახვია.

— ეს რომ გომში რო გაზრდილიყო, ღმერთს შეეჭიდებოდაო.—ეგრეცა ქნა და როცა ხნისა გახდა, გაზარდა შვილათ და გაუხადა უსიპ და ბადრის. მათ გაიზარდნენ ერთად. ამ ბადრი და უსუპ ერთმანეთს მისდევდნენ ომში, ჩხუბში, ყველა საქმეში. მერე წავიდნენ დევები საჩხუპნელად. ამირანი სომს წყალსა და ვერ ძღება წყლით. მოვიდა დიდი წვიმა, დაღარა. წამოვიდა ტყვები. ამ წყლის სმაში წამაიღო წყალმა ამირანი. მოჲდევს, ხან კლდეებს შაახალა. მოჲდევენ ალქაჯნი, რო მკვდარი

იხილონ ამირანი. ავლია ბევრი აქეთ, იქითა, არ აუსრულა იმ ალქაჯებს მისი სიკვდილი. გავიდა ერთ ალაგას, ნახა ცეცხლი და მოუსხდენ ესენი და ელიან, რომ შაწონ ცეცხლზე. სთხოვს დამბადებელს:

— მაჩვენეო, ან ჩემი ძმა მამეც, ან ჩემი რვალი მამეციო! — არც ერთი არ უსრულდება მერე მისცა საყვედური:

— შე დალოცვილო, მართალ არა შველიო! — იქნა მოჩვენება, გამეეცხადა მოხუცებული:

— ეგ საყვედური რა არისო? არ გეთქო! — იმის მოსვლაზე ის დევები დაიხაპნენ, დაიკარგნენ. უთხრა ამირანმა:

— რატო ეგრე ქენიო? — სუ ხალხის განთავისუფლებაზე იბრძოდა. მოიტანა ჯაჭვი და გადააბა და დასტოვა ღმერთმა.

— შენ ღირსი ხარო! — ნახა. ეხლა წავიდა ერთი პატარა გოშია. უზის და ლოკავს. ჯაჭვს.

— რას აკეთებ აქ, მოჩვენება ხარ, რა ხარო? — შაფიქრდა.

— მეც შენთანა ვარ დაწესებულიო, უნდა შენთან მოვკვდე, უნდა ჩემის ენითა ვლიო ეს ჯაჭვიო!

130

ერთი მეთევზე იყო, თევზით ცხოვრობდა. სხვა შამოსავალი არა ჰქონდა. რამტოლიმე ხნის შემდეგ შეეკრა ხელი და ვერ იჭირავს, არაფერი საშველება არა აქვს. შახვდენ მიმავლები, ხელოსნები, სხვა ქოყანაში მიდიან.

— სად მისდიხართ?

— აქ და აქ მივდივართ! — შეეხვეწა:

— მეც გამიყოლეთ, მეც თევზითა ვცხოვრობდი! — უთხრეს:

— წამოდი, ამხანაგი რას შეგვიშლის.

წავიდა, გავიდა იმ ხოყანაშია. წავა ეს ისევ თევზის დასაჭერადა. არ არის საშველი.

— იყავ, კაცო! — წამოვა, თევზობას დაიწყებს. ბოლოს გადასწყვიტა წასვლა. წამოვიდა, შეეხვეწა დამბადებელს:

— ერთი თევზი მაჭამეო, ვიხილო დაჭერა თევზისაო! — დაიჭირა. გამოვარდა თევზი და გამოვარდა თასი შიგნით. გარეცხა და დალივა და თასმა დააყოლა ალავერდი. სომს და თეთრი ფული გადმოსდის. გაივსო ჯიბეები.

— თევზი თქვენ გააკეთეთ! — წავიდა, მაიტანა ღვინო. დაუწყეს სმა. თურმე ღვინოს რო დალევ იმ თასითა, ოქროთი ივსება. ესენი აღარ მუშაობენ. აკეთებენ ეშიკებსა და გზავნიან სახში. ეს რამტველიმე ხანი იქეიფეს ეგრე. გამეესალმა, წავიდაო, თავი გზაზედა ეს მეთევზე. წავიდა ხოყანაში და იქა ერთი ხემწიფის წყაროა: იმ წყაროზე მივიდა. იმ წყაროზე დალივა წყალი და თასმა კვლავ „ალავერდი!“ ერთი გოგია და უყურა და ხემწიფის ქალს უთხრა:

— ესე ვიხილე, ესეო! — გამაუგზავნა გამდელი ქალმა და მიიპატიჟა სახლ'ში. დასხდნენ და თასიც გააცნო, შაგროვდა. ეხლა ქალი სთხოვს:

— ეს თასი მამყიდე შენო! მამიჩემის ნახევარ ხაზინას მაგცემო!

— მამიშენის ნახევარ ხაზინას ახლავე შავიძენო!

— მა რა გინდა, მაგცეო?

— ჩემთან მოისვენე ამაღამაო და მაგცემო! — უარი უთხრა ქალმა. მერე გამდელი ებრძვის:

— რა დაგიშავდებაო! — იმ ღამეს იმ ქალთან განისვენა და თასი შიგ დარჩა. წავიდა თავი გზაზე. ქალი დარჩა ოჯახში. თურმე თავისი მამა ამ ქალსა სამ თვეში ერთხელა სწონს, რა მოიმატა! სამი თვე გავიდა. მეემატა. მეორე სამი თვე, კიდე მეემატა. გაუგო ამ ქალსა და

— ამან შამარცხვინა, სახელი დამიკარგა? — მისცა ისეთ ადგილას: — მაკალითო! — ვერ გაიმეტეს მოსაკლავათა. წავიდა ეს ქალი, იარა, იარა და მივიდა ერთ ქოყანაში. ერთი მოხუცებული ადამიანი ნახა. თხოვა შანახვა. უარი უთხრა. მაგრამ არა აქს არც ლოგინი. თასი ჯიბეში უდგას. მაშინათვე გაგზავნა, მაატანინა, შაამზადა ყველაფერი, მაუყენა ოსტატები და ხელათ სახლები ააშენა. ჰკვირობს მთელი ქალაქი. ეყოლა ვაჟიშვილი. გაიზარდა, ორი-სამი წლისა გახდა. ჩააბარა მოხუცებულს და წავიდა იმ ბიჭის საძებნელად. იცის, რო გაუთავდება. წავიდა ერთ ქალაქში. დადგა მოჯამაგირედ (გადაცმულია). ერთი ვაჭარია, ღარიბია. რო წავა, დახლი სავსეა ფულითა, ხაზეინი ჰკვირობს. ცოლ-შვილს ეუბნება:

— რა შამხვდა, ფული სავსეაო! — რამტოლიმე ხნის უკან მოვიდა შიშველი მეთევზე. იცნო ქალი. მოატანინა ფული, საჭმელი, სასმელი.

— რათა ხარ ეგრე უბედური? იმანაც უამბო.

— ეხლა რო გნახო, იცნობო?

— აბა, ვინ მამიშვებსო? — ეხლა ადგა, უყიდა ტანისამოსი, წამაიყვანა სახში. ვაჟი დასო კარებზე, გადაიცვა ქალურად და' დაუჯდა. ჩაღუნა ამ ვაჟმა თავი.

— მე ვინა ვარო, არ ვიციო!

— აი, შენი შვილი ეს არის, მე ესა და ეს ქალი ვარ! — შვილი იმტელა გაზრდილა, შკოლაში დადის. წაუვიდა გული, გახარებაზე.

— აი კაპლები... — იყვნენ კარგა ხანს. დაისვენეს ოჯახში. ამ ქალს თავი მამაზე აქ ფიქრი. ისივ შვილი შინ დასტოვა და წავიდნენ იმ ქალაქში. თავი მამი სახლის გარშემო ყიდულობენ შენობებს. დააყენა მუშა, დაამგრივა, დაიწყო ახალი სახლები. გამართა კარგი სახლები, ისრე რო იმი მამის სახლი არაფერი აღარა ღირს. დაასრულა მამა-დედაც აქ მოიყვანა. დაადგა ეს ქალი თასით და რაც მოგროვდება, ყველამ თავთავის პლატოკზე დაიყარა. მერე მააყოლა საყოლაწმინდო და:

— ყველამ თავთავის ფული წაიღეთო, მაიჭმარეთო! — ჭემწიფის

ცოლი წამოდგა და არ კადრულობს აიღოს. იმანაც გაახვია. მამას უთხრა:

— შენ მოიცადე ცოტაო! — სუყველა დაითხოვა და მარტო მამა დაიგდო იქა. ევაჭრება ჯემწიფე:

— ეგ თასი მომეო! — ჩემ ხაზინას მოგცემო!

— არაფერი არ მინდა, ისე მიირთვიო!

131

სამნი ძმანი დაიბადნენ, ერთი საღამოს, მეორე შუაღამესა, მესამე ცისკრისას. ივანე გაჩნდა პირველ ღამეს. სანამ გაჩთებოდა, გომიდან ამოიძახა:

— ღვდელი მამიყვანეთ, ივანე ვჩდეპიო! — ღვდელიც იქვეა და

— ღვდელს ნუ გაუშვებთო! — რომელიც შუაღამეზე უნდა გაჩნდეს, იმანაც ამოიძრახა. ისაც მონათლეს. ახლა ცისკარზე გაჩნდა. გაფრინდა ივანე. მეორეც და მესამეც. ჩამოვლენ, თითოობით ნახავენ დედას. თვეში მოვლენ, მოსწოვენ ძუძუს. დედამ უთხრა უფროსსა:

— მოისვენე! — დაარჩინა სამნივე. წამოდგა და სხვები წვანან. ერთმანეთს ეს ძმები ვერა სცნობენ და აქ გაიცვნეს. იმათ ჯემწიფეს თურმე სამი ქალი ყვანდა. ერთი ბაღჩა აქ და ვერავინ დაინახავს, ვერც მზეს დაინახავენ და ეგრე თურმე ერთხელ მოფრინდა ერთი წყეული დევი, მოსტაცა ჯემწიფეს სამივე და წაასხა. დადის, დეეძებს იმათი მნახავი, არის დიდ დავიდარაბაში, დიდ თავის ხეთქაში და ვერ გაიგო — სად არიან. ერთი მოხუცებული შაუჩნდა, იცოდა იმან.

— სამ ძმას ეცოდინებაო! — იმათზე ეუბნება. მერე გააკეთა პატიჟობა, რო ვინ იქნება, რო უპოვის!.. ეს სამნი ძმანიც, ისენიც დაიპატიჟნა, უთხრა ამ ძმებს და ივანეს. ცისკარმა თურმე იხილა, უამბო ამ ჯემწიფეს:

— წამოწოლილი ვიყავ და მაშინ გადიარა. მინდოდა მესროლა, მაგრამ ის ქალები დაიჯოცებოდნენო!

— თუ იმ ქალებს გამორეკავო, თქვენ მოგცემთო, სამთა ძმათაო! — წავიდა ეს ივანე ცისკარი, სამნი ძმანი. იციან იმის მისამართი, საით მხარეს არის. მიმართეს, მიადგენ. კლდეს ველარ აუვიდენ. ერთი რკინის კაცი დგას. ამ რკინის კაცმა უთხრა, რო:

— ჯაჭვი უნდა გავაკეთოთო! — თავი თავი გრდემლად მისცა. — კლდეს მეემბით და ისე ავალთო! — გააკეთა ჯაჭვი, გამოკვერა მართლა, შაესროლა ეს ჯაჭვი უფროსმა ძმამა, ნახევარზე ვერ მიაწია. მერე — რკინი კაცმა. მერე ივანე ცისკარს მეერგო და გადაავლო ჯაჭვი. — გადავიდა კლდეს, მივიდა იმ შვიდთავა დევთანა ის უფროსი და იმისთვინ მოუცია იმ დევს. ქალმა უთხრა:

— ეხლა შაგჭამსო! — შაიბნენ. ივანე დააჭარბა, მოკლა ის დევი.

სამნი ძმანია ეს დევები. ერთი ცხრათავაა, მეორე შვიდთავა, მესამე — თორმეტთავა. იმ თორმეტთავასა ყავს უნცროსი ქალი. ეგენი გამორეკა სამნივენი. ბოლოს მაინც უღალატა; ამ რკინისკაცმა გაიტაცა და ივანე ზედ დასტოვა. ბოლოს ეცადა, საიდანმე ჩამოვიდა ივანე და ჯორს იწერენ. წავიდა ერთ მჭედელთან და გააკეთა ბეჭედი და გაუგზავნა ქალს. ეს რო ნახა ქალმა, აღარ იწერს რკინი კაცზე ჯორს.

132

ოსის ლაშქარი იყრება
სალმი უდგება წინაო,
გადვიდეთ მთიულეთშია,
ნალორევს დავდვათ ბინაო.
ვარჩიოთ ქალი და რძალი,
სალმის მივართვათ წინაო.
ეგ მთიულებმა გაიგეს,
რკინა შეიბეს ძველიო.
ამირან ღევი შაიბნენ.
ჯერ დილა იყო მზიანი.
ცასცა და მკარი მოასტეხა,
ადგილი შაჰყლა ქვიანი.
ძმაო, ამირან, ნუ მამკლავ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი,
ზღვა გაღმა ქალსა გასწავლი,
ამაშავალი მზე არი.

133

ქემწიფემ ჯარში გაგზავნა,
რუსეთში ჩადგა კარავი,
იომა პორტატრუშია,
ჯარი დაჰხოცა მრავალი.
ქემწიფემ შინ დაითხოვა.
გზა დაულოცა სავალი.
შინამც მიუხვალ დედასა,
კიდევ ქალ გაჰყვე მაყარი.
მაგრა ტიალი სიკვდილი.
გზაში რამ წახვდა ტიალი,
შვიდი დღე-ღამე მებრძოდა.
სუ დამამტვრია საწყალი.
ჩქარ კი არ დავმორჩილდები,
ქელი გავივლე ჰმალზედა,
ვეკ და ვერ გავაჭრევინე,
ჯაჭვი აცვია ტანზედა.
დუმაცხოს კაცი მოვიდა
მაიასახლისი ჩაფარი,
ფიქრობს, რო გამოუცხადოს
დალონებული საწყალი.
თქვენი პავლია მოგიკვდათ.
წითელის ღვინით დამთვრალი.
ისე დაგიჯდეს ბიჭები,
სუ დაგიმტვრიეს მთა-ბარი.
ან მთა რა გვინდა, ან ბარი
ან ნაქნავი და სათესი.
პავლიამ შამოუთვალა:
ნურავინ მოხვალთ გულსკვდა
ჩემსა დანიშნულს ფარდაგით:
სხვას ნუ უგორავს კლავზედა,
მე მაგას შავეხვეწები,
გატკანი დაჰკლას კედარზედა.

134

ჯიმშერ კადას ემზადება.
ქალბატონი უშლის ქელსა,
— რასა ბრძანებ, ქალბატონო,
მე რო კადაში მივიდე,
ჩემი შიში ქვას გახეთქსო,
კარსა და ძროხას მოგირეკ;
კაბასაც მოგიტან ჭრელსა.
ფიცავს, ფიცავს ხუცესაი
თავისი ლომისისასა,
— მოვკლავ და მოვკლავ ჯიმშერსა
ძირ გაუწითებ ქვიშასა,
ერთად ვატირებ დედასა
ჩემსა და ჯიმშერისასა.

135

ოსი ციფო დაიბადა.
დედ-მამათა გაზარდესა.
ცოცხლები ვართ, შაგვინახავს.
მოვკვდებით და დაგვმარხავსა.

როცა თათარი გადმოვიდა, იმათ ამბავზეა. ღუდაში ცხოვრობდა ციფო. ადგა და ერთ კლდეში შეესაფრეს, უნდა დაიჭირონ, დაჲდევს მდევარი. ჴარი მოკლა, წინ დაიდვა, ის აისაფრა და იქიდან ესვრის. ქართველები დაიყენეს წინ (ქართველებს არ ესროდა); ესროდა თათრებს. ქართველები წინ მიისაფრეს. ამხანაგი ჰყვანდა, 'შულარაჲ ერქვა.

ციფომ უთხრა შულარასა:
თოფი მაგრა დაიჭირე,
დალეჭილი ტყვია ჩადე,
ზუმპა მაგრად დააჭირე,
ქართველებს კი მაარიდე,
თათრებს სწორად დაუჭირე.

136

პაპაჩემის მამა იყო მღდელი და ერთი ზოტიკაშვილი იყო ბლაღოჩინი. რო გაიგონებდა ბლაღოჩინი. კაცი მოკვდებოდა, იმას გადაახდევინებდა ჯარიმას, ძროხას, ფურს თუ ჴარს. გაიყოლებდა ღვდლებსა და ჩვენი ღვდელი გაიყოლა ყაზიბეკამდის.

წითლიანთკარის ბოლოსა
ცხენი იღერებს ყელსაო,
— ბიბილაშვილს შამიძრახეთ,
აგრევ წამამყვეს ჴევსაო.
— წამოალ, არ დაგზარდები,
როგორც არა ვგმობ ღმერთსაო,
არ გადმოგიშობ მთელსაო,
ვერძნელის კლდეზე გავკიდებ
მაგ შენ თმასა და წვერსაო!

მოჴევეთა ღვდელიც გამაიყოლოს და სამნი მოდიან.

ცხენი სთხოვა და არ მისცა,
— როგორ თუ ცხენს არ მომცემო,
ცოლსაც ვერ დამიჭერო!

ბიბილაშვილმა უთხრა: — ვერც ცხენს მოგცემ და ვერც ცოლსაო! — სპორი გამოუვიდათ და შაიბნენ. პაპაჩემის მამა ძალიან ძრიელი ყოფილა, ღვდელი, გადააგდო კლდეზე. წავიდა და ხადაში დაიმალა და ციხეში იყო ბლაღოჩინი სამ თვესა.

137

გუდამაყრელო ლეგაო,
დაჲდიხარ ნელა-ნელაო,
ანანურში რო ჩამოხვალ,
ივანე დაგიხვდებაო.
ორი აბაზი ეძლია,
— წადი, არაყი დალიე!
არ დაიშალა ივანემ,
გადაჲწვდა იმის ცოლსაო!
ლეგამაც ჴელი მაისვა,
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
გულშია დაჲსცა ხანჯარი,
ვირივით დაიღრიალა!
დუშეთს ატირდა ბებერი:
— ვაჲმე, ჩემო ივანევ!
— რა გაწუწუნებს, ბებერო,
ივანე მოგიჭკვიანე,
სხვისა უყვარდა წაწალი,
თავისიც გაუტიალდა!

138

ერთი ქალი გაიტაცეს ქისტებმა ჴევსურისა. სიდან არ გამოუდგნენ იმას მდევარი, ვერ მივლენ, რო წააწყდენ. დრო უპოვეს ამ ჴევსურებმა.

ქისტები ქალს შინ დასტოვებენ. მოუვლენ ნათესავები, ქალი უკან უნდა წამაიყვანონ. ქალი მეეგება წინა, მიესალმება, გაუხარდება, მიიღებს თავის ნათესავებს, დაჲპატიჟებს ოჯახში, შარეკავს, დააბინავებს, დააძინებს, იარაღს ჩამოართმევს. ამაში ღალატს გაუწევს თავის ნათესავებს. გაგზავნის კაცსა და შაატყობინებს:

— მოვიდნენ ჩემი ნათესავები! — გათენებამდის მოვა, შამეერტყმება რვათა.

მიწროს ალაგას ჩაცვივდენ
მონადირენი რვანია,
საჩქაროდ გამოეგება
ეგ ალაჯარის ქალია.
შარეკა გალავანშია,
გადმოურაზა კარია,
საგათენებლოს აისო
ციხე და ციხის კარია.
ბატარამ ნანაიძემა
მოკლედ გაბანდა ჯღანია,
ციხიდან გადმოფრენილმა
შუაზე გაჰყო ჯარია.
ვერც მიჰყვნენ სათოფ-საკლმეზე,
ვერც მოუკ ლიეს კვალია.

139

დუმაცხო, თქვენ მარტიანო,
ღმერთმა გამყოფოთ მრავალი,
გონავ გაჲხარდეთ პოვლია,
ვაჟკაცი არი მძლავარი.

140

თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ
ჩემსა და ფირჩლაძისასა,
სამძლორსა შავიყარენით,
სამძლორსა მუხნარისასა.
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თათუხისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ჴორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ჴოჴობისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
არ დაიშალა, გადმოსწვდა,
აკოცა გიშლის თმისასა,
გადმამკრა, გადმამიქნია,
რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა.
ახლა მე გადაუქნიე,
ელვასა ჰგვანდა ცისასა,
ცხენი და კაცი გაკაფა,
წვერი უწია ქვიშასა.
ჩვენ ერთმანეთი გავსჭყვიტეთ,
ქალი წავიდა ძმისასა.

141

ლუთხუმის თავს ყოფილა დღეობა; ხატობა იციან. ქალ-ვაჟი მოუდის იმ დღეზე დევს, აარჩევს და წავა. ერთმა ბიჭმა იფიქრა: ჩემზე ლამაზი იქ ვერ მივა და ჩემ ქალზე და წაგვასხამსო. იმ ღამეს სიზმარი ქონდა ნანახი. ჴმალი ლესა. გაიმართა პურიჭამა. ამოდის დევი. ადამიანს ჩასვლა გაუჭირდება იმ ფერდალზე.

— რო მოგდეს რამე, ჴმა არავინ ამაიღოთ! — ფიქრი აქ, მოკლავს, ან მეეკლევინება — ჴმა არავინ ამაიძრახოთ! — დევი ეუბნება:

— ჩამიძეხო და მოგყვებიო! — ჩაუძლვა და გაგორდა და თავი გაუსკდა. მოხუცებულმა დაიძახა:

— ადრევ გასახეთქი იყავო! — იმაზე მოვიდა და ის ხალხი სუ დაჴოცა. იქ არი აკლდამეები და იქ მარხია. დაჴოცა ალბათა.

# მესხურ-ჯავახური

(მესხური)

142

ჩვენ ვეტყვით უდის თას, ესე იგი ჲაჲლებს, ამ ჲაჲლებზე განა არ ვიყავი მწყემსადა. იქ არი ერთი ძველი განადგურებული ფეგები, ძველათ, თამარ დედოფლის დროს, ყოფილა გოროდი ის ადგილი. რომ გამოუჲარე, ერთი ბებერი ქალი გამოსულიყო და ზის და კრეხ ჭუჭულს აძოვს. ეს ჭუჭულები ისეთი გამოდიან, რო სუ ოქროს წყალში დაფერილი. მიველი, ვიშეცადინე, დამეჭირა ერთი. უცფათ გაფრინდნენ, უჩინარი გახდნენ. ამ დროს გამიეგზავნა ამ საქართველოდან თამარის დროს შენობა გაკეთებაში, დღესაცა. ერთი კაცი მოვიდა. ოხვანას ვეტყვით და სახელად ქვია კაცსა ყარაჲ. მოვიდა და ფეგებში ძებნა დაიწყო.

— აქა. ფეგებშიგანა, თამარ დედოფლის დროს დევნულობა რომ გამართულა, დაუტოვია. მიველით და ამოიტანა კარტა და ამ კარტას დაჰკვირდა. ამოვთხარეთ და დიდი ქვა ამოვიდა, შავი ქვა, როგორც ტყვია, იმფერი.

— აქაო, იცი, რა მარიფათი არიო! ამას თამარის დროსა პატრონი ყოლიაო. წაიღო, წავიდა. ცეცხლთან დადვა და ის კალა მოლღვა და გადიყარა ქვა შუაზე და ამოვიდა ოქრო, რომელიც იყო მოჭრილი თამარ დედოფლისა.

წინათ სოფელი იყო მესხეთიდან შემდგარი. ქართველნი იმერიდან გადმოვიდა და მერე დადგა სოფელი. ეს სოფელი რო იმოძრავა, ორასი კომლი შევდექით, ორასი კომლი იმ დროს. ბეგობა იყო. დიდი სარჯელში იყო ფუხარა კაცი. ახლა გადმოველით ბალშევიკში, მივიღეთ თავისუფლობა, მიწა-წყალი მივიღეთ. პატონები ახლა არა გვყავანან. ახლა ჩვენ ვმუშაობთ კოლექტიაში. გაერთიანებულია ორმოცდარვა კვამლი. კოლექტივის წარმოება მიგვყავს წინ. ვთესანთ ხორბალ, კარტოფილ, სიმინდოს. ჭევრსა ვთესანთ. კოლექტიაში ვართ გაერთიანებული ოთხასი სული. ერთად იოლათ მივდივართ, ძმურად მივდივართ, ბრიგადელი ვართ. ერთიერთმანეთს ჯიბრში ვუდგევართ. საქმე მიგვყავს წინ.

143

ბეგობის დროს იმისთანა იყო, რომა ძალიან გვაწუხებდნენ. რომ მოვსთიბემდით. კაცებსა ყანაშიგან დაგვაყენებდნენ — მინამ არ მოვალ, არ წაიღოთ! რომელიც კაი ზვინი იყო, იმას წაჲღებდნენ. რაც დარჩებოდა ზვინსა, იმას გამოსავალი არ ქონდა და რომელიც გამოსავალი

იყო — თვითონ წაიღებდნენ და ჩვენ შევსწუწუნებდით: ვშუშაონთ და თქვენ მიგაქვანან!?

— ეს არ ვიცი, მე წავიღამ ჩემსასო და თქვენ კი თავი გიტეხიანო! ამ არეულობის დროს ჩვენი სოფელი ძლიერ დიეცა. ჩვენი სოფელი გაანადგურეს თათრებმა. მენრე კი ავაგეთ, მარა დატანჯულთ ავაგეთ. ნამეტრად შევსწუხდით. მაგათ თავისი ბეგი ყავდათ და იზურგეს და მოუდგნენ ერთმანეთსა და საცა ოსმალები მიუდგნენ — გვატყავებდნენ. ოც სულამდე დაგვიხოცეს, სწვავდნენ. ოთხმოცი წლის ბებერი იყო და ათი წლის ბალღი ყავდა და ესროლეს და მოუკლეს. იცხოვრამდა კაცი ეგრე? ახალციხეში გავიქეცით, როცა დაგვიწვეს და ამოველით და ავაგეთ. მთლიან არ აგვიგია ჯერა. ჩვენ სოფელშიგან მოძრაობს ამბარი. როგორც ჩვენს შიგან არის, ესრე თათრებში. მთაშიგან ვიცით წასვლა. დიეპატრონებოდა ამ მთასა ბეგი, ერბოს წაგვართმევდა და სხვასა.

144

ერთი ფუხარა ცოლ-ქმარი ყოფილა. სამოცი წლისა ყოფილა. იმას შვილი არა ჰყოლია სამოც წლამდი, მერე შესძენიან, სამოცდაერთ წელში. ამათ შესძენიან ძღნაბი. ეს ძღნაბი გაზხდარა თორმეტის წლისა. წლიანობა წასვლია წინა. უთხრობია ძღნაბსა: — ტყეში უნდა წავიდეო საგულაოთა. — ეს ტყეში წასულა საგულაოთ. იქ ერთი ხელმწიფე იმ შხირ ტყეში ჩავარდნილა და ხელმწიფე იძახის:

— ვინმე იქნებაო, ტყეში გამიყვანოსო და გადამარჩინოს ამ ტანჯვასაო.

იქ სწორედ ძალიან გამოჩენია ეს ძღნაბი. უთხრობია:

— მე შენ გამოგიყვან, მაგრამ შენი ქალიშვილი მომეცი მეო!

გაუყვანია განა ტყისპირებს. იქ ერთი მებატე ყოფილა, ბატებს აძოვდა. ხელმწიფეს ამ ძღნაბმა უთხრა:

— შენ რომ პირობა მომეცი, რით დავიჯეროო!

იმან უთხრა:

— სიტყვით დაიჯერეო! ქახალდი არა მაქო. — ძღნაბმა უთხრა:

— მუხის ფოთელი აგეო, ბატს გამოაძარი ფთაო და ნეკის თითი გაიჰარო და იმითი დამიწერეო, რო ეს ქალიშვილი მივეცი ძღნაბსაო.

— თუ არ მომცემ, ძალიანაც არ მედარდებაო. — ადგა იქიდან და დედამისი მიგზანა მოციქულათ. — ხელმწიფემ ქალი მომცა და აიყვანეო! — მივიდა და გაარეზილეს:

— ქალს რასთვის მოგცემ ძღნაბისთვის.

— არ გითხარი, შენ ძღნაბი ხარ და ქალიშვილს არ მოგცემს? — ადგა ეს ძღნაბი, წავიდა. თავისი დაწერილი ნეკის სისხლით ქახალდი მისცა: — ამ პირობაზე ხარ, თუ არაო?

— მე გაძლევ. მაგრა შვილები არ მოგდევანო!

— სათითაოდ მომითვალე, რომელ ქალს მაძლევო: დიდს, შუათანას, თუ პატარასაო?

ხელმწიფემ უთხრა თავის შვილებ:

— შვილებო, ამ ძღნაბმა გადამარჩინა და მოდი, ერთითანა მიჰყევითო. — პირველ უთხრა:

— არ მივყვებიო. — მეორემაც: გინდაც რომ გაცვეთილიყავი, არ მივყვებიო (ძალიან გლახა ენით უთხრა). პატარას უთხრა:

— ბოლო შენა ხარ და შენც უნდა გამარეზილოო?

— მამაჩემო, შენ სიკვდილის გულისთვის თავი გადავდო და მივყვე ძღნაბსაო.

ადგნენ და იქორწილეს და პირველი ქალიშვილები გენარლებ მისცა. ეგ მესამე კი ძღნაბ მისცა. ქორწილს შვებიან და ამ ძღნაბ რომ დაინახებენ, ქირდად გდებულობენ. ეს ცოტა-ხანი რო გავიდა, დევმა შემოუთვალა: — ამომავალ ხელმწიფის ქალიშვილი უნდა შევჭამო. ხელმწიფემ გამართა დიდი ყრილობა, როგორც ომის ყაიდაზე, შეჰყარა. იმისი გენარლები წინ გაიძღოლა, რო თავი დაასხნევინოს. რო გავიდნენ იმაზე, გოგო უკან დააყენეს ჩხუბი რომ დაუწყეს, გოგო წინ წაუყენეს, რო შეჭამონ და გადარჩნენ ის ჯარი. ამ დროს ეს ძღნაბი რამზე შეჯდა, შეიყარა იარაღი, თავისი სახმარი იარაღი და რო დაახლოვდა, მივიდა, გოგოს კალთაში ჩაიძინა. წეხედა, რო წამოვიდა დევი, გოგომ. გოგომ უთხრა:

— მოდი, შენ წადი მე და შევეწირებიო! შენ რას მპატრონობ, ჩემმა დედ-მამამ ვერ მიპატრონაო; შინ წადი შენაო! — ადგა ბიჭი, მოვიდა დევი, დაიწყეს ჩხუბი და კი აჯობა ბიჭმა, დაჩეხა. ეს რო დაბრუნდა უკან, გოგო ებნება:

— ნეტარელი იმ ქალსაო, რო შენ იმისი ქმარი ხარო. — ის კი არ იცის, რომ მისი ბალდუზია. ბიჭს ებნევა:

— შენ გადმარჩინე და რით გაგიცნოო?

გამოიღო და ოქროს ბეჭედი მისცა ბიჭმა: — ჩემ სახსოვრად გქონდესო! ახლა დაბრუნდნენ, დიდი ქორწილი ქნეს, რომ ცოცხალი გადარჩა შვილი. მიიყვანეს და გენარლები სუფრის თავში დაჯდენ, თითქოს მათ გაიმარჯვეს. დაუძახეს ძღნაბი და პატარა გოგო. კარებში მიადგნენ. არ ეცნაურება, რომ მან გადაარჩინა. ახლა მეორე დევი წამოვიდა, მეორე ადის შესაჭმელად. ესენიც იმ იარაღით წავიდნენ, ჯარჯარბხანით წავიდნენ. ეს გოგო კიდო — პატარა ბალდუზი — ტირილი დაიწყო:

— ჩემი და დევმა უნდა შეჭამოს. ძღნაბმა უთხრა:

— ერთი კარი გამიღე და ზღუბლებში ამიყვანე და მერე ვიციო (იმას არ ებნევა, რომ მიდის ომში). — რო დაუწყეს, კიდე ისე ქნეს. მოვიდა ამ ბიჭმა, ჩაიძინა კალთაში გოგოსი და მერე უთხრა:

— დევი თუ წამოვიდა, გამაგებინეო! — მერე როიცა იმან წამოვიდა, გააგებინა, გაალვიძა.

— ადე, რომ მე შემჭამოს...

— რატო უნდა შეგჭამოს შენ? — ადგნენ და მივიდა დევი და დაუწყო ჩხუბი. დევსა აჯობა. ახლა დაბრუნდნენ საქორწილოთ. ბიჭმა ნიშანი წაართვა, როგორც რომ პირველად, რომ გამართლდეს. მივიდნენ, კაი ქორწილია და ამათ მასხრად აიგდეს სუფრაზე.

ჩვენმა ძღნაბმა ბალღუზები გადაარჩინა მითომაო, ეს გენარლები გადაარჩინესო.

მესამე და უნდა წაიყვანოს დევმა, ძღნაბის ცოლი. ადგა იქი და შემოვიდა ტირილით. ებნევა:

— შენ რა გატირანს, ქალო?

— როგორ რა მატირანს, დევმა უნდა შემჭამოსო.

— მე თუ ვარ, შენ დევი ვერ შეგჭამსო.

— შენ ძღნაბი ხარ და შენ რას გადამარჩენო? —მემრე წაიყვანეს გენარლებმა, რო ჩააბარონ და ძღნაბიც მოიშორონ. მაგრამ რო მოიყვანეს შესაჭმელად, ეს უჟე მიეწყო და კალთაში ჩაუდვა. ამ გოგომ თქვა:

— ამნაირი ქმარი აჯაბ შემხვდესო? — ადგნენ და ჩხუბი რო დაუწყეს, მარჯვენა კლავში დაიჭრა ბიჭი, დევი მოკლა; მარჯვენა კლავი გაიჭრა. ეს ასწია გოგომ და თავის აბრეშუმი ხელმანდილით შეუხვია ამ ვაჟას. ადგნენ და სახლში მოიყვანეს ნახევარ გულით.

— რატო არ შევაჭმეთო, რომ ჩვენ ორი ბაჯანაღები ხელს გვიშლისო. —რო მოვიდნენ სახლში. დრო შეუთავდა ბიჭსა ძღნაბობისა. ადგა და დიეძინა ბიჭ და ტანი გადეეძრო, ძღნაბის ტანი და იმნაირი ვაშკაცი გამოვიდა. ქალმა მამამისი გაახარა:

— ეს ჩემი ქმარი ვაშკაცი და არა ძღნაბია! — მამამისი ჩავიდა.

— ვნახო, მართალია, თუ ტყვილია? — ნახეს, კიდო ძღნაბია.

— შვილო, რატო დამატყვილიე მეო? — ორჯერ კიდო ეგრე ქნა. ხოლოთ ტყავს მალე იცვამს. მესამეთ რო ნახა და გადააძრო ბიჭიდან ძღნაბის ტანი, მოჭყვლიპა გოგომ და ფეჩში შეაგდო. ახლა რო დაუძახა თავის სამშობლოს.

— მოდით და ნახეთ თქვენი ვაშკაციო.

— ჩვენაო ამან გადაგვარჩინა დევიდანაო. — მამამისი ებნება:

— ნიშანი რა აქ, რო გადაგარჩინა ჩხუბიდანაო.

— ჩემი ნიშანი ის არის, რო აბრეშუმი ხემანდილითა მარჯვენა კლავში დაიჭრა და შევუხვიევიო! — ახლა დიდი ქორწილი დაიწყო ხემწიფემ, რომ ასეთი ბიჭი ყოფილა და მე არ ვიციო. ამათ ტრაბახი დაიწყეს, გენარლები, — ჩვენ სამი დანი გადავარჩინეთ.

— ახლა მეო, ეს ებნევა; თქვენ ჩხუბშიგან ვინ იყო გადამრჩენი თქვენიო?

— ჩვენ ჩხუბშიო ვინც რომ გადგარჩინათ ნიშანი მიეცი რამეო? — ვოგუებ ეუბნება ბიჭი.

— ჩვენაო კიო, მივეცით ოქროს ბეჭდებიო.

— მაშ ეს ოქრო ბეჭდები ვისიაო?

— ეს ბეჭდები ჩვენიაო.

— მაშ თქვენი ქმრიები რას ტრაბახობენ, რომ ჩვენ გადვარჩინეთ ჩვენი ცოლი და ბალდუზიო? — ახლა ამათ რო დაუმტკიცა, ისენი ადგნენ სუფრიდან და წავიდენ იმ სახელმწიფოდან და ის სახელმწიფო ჩააბარეს ძღნებსა და ის ფუხარა დედ-მამა აცხოვრეს იქა.

145

იყო ერთი ხემწიფე, სახელათ არტავსა. ამას დიდი ჩხუბები მოუხდა. ამ ჩხუბების შემდეგ:

— მე ავდგები და ჩემ ხალხს წვეულობას უზამო. — დიდი წვეულობა გამართა.

— მოდი, ახლა, ცოლებსაც გაუწიო ეს წვეულობაო. — მოიწვია დიდრონების ცოლები და რო ქეიფშიგან არი, თითონაც; შეექცეოდა, უთხრა ცოლსა, ესთერი ერქვა:

— გამოდი და ითამაშე ამ ქალებშიო.

ამ ქალმა არ დაუჯერა.

— რომ არ დამიჯერა, ეს ქალები გავირდებიან და თავი ქმრებსაც არ დაუჯერებენ და ამ ჩემ დედოფლობიდან დავითხოვო! — დაითხოვა კიდევაც გააგზავნა თავი სასახლეშიგან მოსამსახურეები და

— წადიო, მოიარეთ საბრძანებელშიგან და ახალგაზრდა ქალები მოიყვანეთო, საცოლო უნდა ამოვარჩიოვო. — შეასრულეს ბრძანება და რაც რომ ახალგაზრდა ქალიშვილები იყო საბძანებელში, მოიყვანეს და ამ სისის ქალაქშიგან იყო ერთი ურია, სახელათ მურთქე. ამას ყავდა ერთი ობოლი გოგო-ძმისწული. ჩხუბების დროს გადმოხვეწილი იყო და იქ ცხოვრემდა.

— მოდი, ამ ობოლ გოგოს წავიყვან და სირაში ჩავაყენამო, იქნებ შეხვდეს დედოფლობაო. — მოვიდა ის დრო, ხემწიფემ აირჩია ცოლი. დაიწყო თავიდგან და რომელიც მეეწონება, ის უნა აირჩიოს ცოლათ. ჩაჰყვა და მივიდა იმამდისინ სირა. აირჩია ცოლათ ურიის ძმისწული. დაჯდა ეს გოგო დედოფლად და ამას ჰყავდა ერთი მინისტერი, სახელად ამანი. ამ ამანმა გამოატანა ბძანება, რომა ხემწიფის შემდეგ ის იცნონ ხემწიფეთ, იმას ეთაყვანონ. ეს ურია არ ემორჩილებოდა ხომე ამ ამანსა:

— მე მარტო ხემწიფეს ვიცნობ და შენ არ დაგემორჩილებიო! — ხემწიფემ არ იცოდა, რომ ეს ურია იყო. ამანი იყო ბოროტი კაცი.

— ეს ურიები ძალიან გლახა ხალხი არიანო და სუყველანი დავახოცინოთო! — მეფეს ეუბნება. გამოიტანა ბძანება, რომა რაც ურიები არიან სისის ქალაქში და იმის საბძანებელში, ყველანი უნა

დახოცონ! ეს რომ მურთქიმ შეიტყო, ადგა და თავის ძმისწულს მიმართა. დედოფალ უთხრა:

— ეგრეა საქმეო, ეცადე, არ დაახოცინოო!

—შენც იცოდე, თუ ხემწიფე არ გვიბრძანებს, ვერ მივალთ,—იმას მრავალი ცოლები ჰყავდა. სინამ ხემწიფე არ დაუძახემდა, ვერც ერთი ცოლი ვერ მივიდოდა. ბოლოს დასთანხმდა ეს დედოფალი:

— წადით ყველანი და რაც ურუმი არიან, ალოცეო და მარხვა დაიჭირეთ სამ დღესაო.—მანამდისინ დედოფალმა გაიხადა თავისი სადედოფლო ტანისამოსი, ძაძა ჩაიცვა და ისეც ლოცულობდა. სამი დღე რო შესრულდა, დედოფალმა ჩაიცვა თავისი ტანისამოსი, წაიყვანა მოსამსახურეეი და ხელმწიფესთან შევიდა დაუკითხავად. კარები რო შეაღო, შიეშინა და დაეცა ძირ. ხემწიფემ უთხრა:

— დედოფალო, მითხარიო, რაც გინდაო!..—წამოდგა, მაგრამ ხერმულ დაეცა ძირ. ბოლოს ხემწიჟემ სკიპტრა გაუშვირა და წამოაყენა ფეხზე.

— ნუ გეშინია, ზოგადი სახელმწიფო შენ უნდა მოგცეო!

— შენი სახელმწიფო არ მინდაო, ხვალ შენ და შენი ამანიო სადილად ჩემთან მოდითო!—გათენდა მეორე დილა, მოვიდა სადილის დრო, წავიდნენ ამანი და ხემწიფე სადილის საჭმელათ. რო სჭამეს სადილი, ხემწიფემ უთხრა თავის ცოლსა.

— ითხოვე, მოგცე, რაც სათხოვარი გაქსო!—

— ხვალ კიდევ მოდით შენ და ამანი სადილად ჩემთანაო!—საღამოზეგან როცა მიდის ამანი სახლშიგან, ყველანი თაყვანს სცემენ. შეხვდა ეს მურთქე და თაყვანი არ მისცა. გაბრაზებული მივიდა სახლშიგან ამანი და უთხრა ცოლსა:

—ყველანი მაქებენ, და ეს ოხერი ურია თაყვანს არ მცემს მეო!

— მაგაზე რა ბრაზობ, რა ერსიანობ, გააკეთებინე სახრჩობელე და ჩამოახჩობინე ეგ ურიაო!—იმ წამსვე გააკეთებინა ძელი და დილაზე ადრე ადგა ამანი. მივიდა ხემწიფის კარებსთანა და ბრძანება გამოიტანა—ურია უნა ჩამოახრჩობინოს! თურმე ამ საღამოზე ხემწიფეს სრულიობით არ დასძინებია. ერთი დიდი ჟურნალი ჰქონია, თავისი ავი-კარგი სუ შიგ ჩაწერილი ჰქონია და თელ ღამეს უკითხია ეს წიგნი. ამ წიგნში წერებულა, რომა ერთხელ ორ საჭურიანსა უნდა მეეკლა ხემწიფე და შეუტყობინებია იმ ურიას მურთქეს და მოურიდეო. ეს ამანი რო მივიდა ბრძანების გამოსატანათა, კარები რომ დაურაკუნა, გაეოვიდნენ მოსამსახურენი და უთხრეს ხემწიფეს:

— ამანი გიძახისო!—ხემწიფემ უთხრა:

— შემოვიდეს აქაო?—უნდა გამოიტანოს ბრძანება და იმის სამაგიეროთ ხემწიფემ დაჰკითხა წინდაწინ:

— ხემწიფისთვინ რო კაცსა ამნაირი სიკეთე ექნას, რო სიკვდილიდან გადაარჩინოს ხემწიფე, როგორი საჩუქარი შეჰფერის ამასაო?—ამანს თავის თავი ეგონა.

— მაგის სიკეთის მქნელსა ხემწიფის ტანისამოსი ჩააცვანო; იმ ცხენზე შეაჯდუნონ, რომელზედაც ხემწიფე ჯდება და დიდის დიდებითაო თელ ქალაქს შემოატარონო და იქ ხემწიფის შემდეგ ის იხსენებოდეს.

— ეგ უყავიო ჩქარა მურთქესაო!—ამაზე გაბრაზიანდა თავის გულში. შესვას უნდა ჩქარა. შეასრულა ხემწიფის ბრძანება. უყო, რაც რომ დაავალა, მურთქესა. სადილზე კიდევ წავიდნენ, დაბარებული რომ იყვნენ, მეფე და ამანი. სადილი რომ გაათავეს, მეფემ უთხრა დედოფალსა:

— ითხოვეო, რაც რომ შენი გულით გინდაო, უნდა მოგცეს ზოგადი სახელმწიფოო.

— შენი სახელმწიფო არ მინდა მეო. ურიები რომ სამეტზე გაწყვიტოო, ესენიო გაანთავისუფლეო. ბოროტმა ამანმა ჩაგასმინა შენაო!—გაჯავრებული ხელმწიფე კარში გავიდა და ეს ამანი მიკიდა და დედოფალს შემოეხვია, მანამ მეფე შემოსულა,—არ ჩამაბეზღოს.—მეფე რო შემობრუნდა, დაინახა, რომ ამანი დედოფალ ფეხებზე ეხოვა. მეფემ თქვა: დედოფალზე გული გაიბრუდა ალბათ და შეურაცხოფა მიაყენოსო. იმჟამ დაუძახა ჯალათები და—ჩამოახრჩეთ ამანიო! წაიყვანეს ეს ამანი და იმ ძელზე ჩამოახრჩობინეს, რომელი ძელიც მურთქეთვის თვითონვე გააკეთებინა.

146

აილართალი ჩაილართალი,
ჩიტი გაფრინდა ცხრაფრთიანი,
ლეკებს მოუვათ შავი ხამთარი,
ყველა ტყული და ღმერთი მართალი.

იყო და არა იყო რა, ყინულის კაბა შევკერე თავზე გადასაცმელად. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. ამ ხემწიფეს ხყავდა სამი შვილი. ეს სამი შვილი ამ ხემწიფემ, ერთი რომელიც რომ დიდი შვილი იყო, ის გააყენა სპეკულანტობაზე,—ამადა ერქვა. მეორეს—ალიაჲ, მესამეს—უსეინაჲ. როიცა გახდა პატარაჲ ოცი წლისა, დიდი ოცდახუთი წლისა, მესამე ოცდაათი წლისა, მამამისმა უთხრა, ხემწიფემა:

— შვილო, ქვთენ დასახლება გინდათო!—დიდმა უთხრა, რომ

— ჩვენაო ოთახები არ გვაქსო და სად გავიდეთ ცალკეო. გავაშენოთო და მოვიყვანოთ ცოლები და გავცალკევდეთო!—ამის დროებაში წილი ჰყარეს, რომ რომელს უნდა შეხვერდოდა, რომ იმდაგვარი ოთახები გეეკეთებია. ფიშაკი დიდ ძმას შეხვდა. ათიც მუშა დაუქირეს. წავიდა და დაიწყო გათხრა ადგილისა, ათი ოსტატი ამუშავა და შავი

მუშა დაბოლოვებამდე. ეს ოთახი სულ გააშენა, მთლიანად. რომ გარე-კარიც ჩამოაფარა და ამ დროს ვინცხა გაჩნდა უჩინოდ და უთხრა:—სუ კარქია, მაგრამ ერთი რამე აკლიაო!—მიიხედა-მოიხედა, ვერ მოჰკიდა თვალი, არავინა შჩანს. მერე დაალო კარები და ოთახს თვალიერება დაუწყო, რომ რა აკლია ოთახს და ვერაფერი ვერ იპოვა ნაკლებლობა. ჰკრა და დაანგრია სახლი. წამოვიდა, მამამის უთხრა:—ესე იყოო.—ადგნენ და გააგზავნეს შუათანა ძმა, რომელიც იყო აჰმადა. იმას მისცეს თუთხმეტი მუშა. წავიდა ხერმოლ. გააშენა ორმოცდაათი ფროცენტი ზედმეტი. რომ გააშენა, კარები რომ ჩამოაბა, კიდო იმან გამოჲარა უჩინოთ.

— ადამიანის შვილო, კარგია. მარე ერთი რამე აკლია შენს სახლსო.—იმანაც ისრეთ ათვალიერა, ვერაფერი ვერ ჰპოვა ნაკრებულობა. იმანაც მიანგრია მთლიანად. წამოვიდა მერე. პატარა იმის ოჩერედი იყო. იმან დაიჰირა ოცი კაცი.—ვიცხა არისო, აჲა, იმან მითხრას ნაკრებულობა და დედას ვუტირამო! თუკი მებნება, სწორათ მითხრასო!—რომ მორჩა და კარებს კეტემდა, გამოიარა უჩინმა და —კარგია, მაგრამ ერთი რამე აკლიაო!—მობრუნდა დაიჰირა ეს.—რა კაცი ხარ, შენო? ამან არ უთხრა სახელი.

— შენ გაკლია ერთი ბულბული ჩიტი, რომ იგალობოს, აჲ ოთახსაო. დააჟდუნე ამ ეზოში და იგალობებს ლამაზათაო, სხვა არაფერი აკლიაო!

ადგა, გაუშვა, წავიდა, ეს კაცი და მივიდა შინ მამასთან.

— გააშენე, შვილო, ოთახები?—დიახ, მამაჩემო, გავაშენე.

— გაკეთდა იგი თუ ჩემ შვილებმა ტყვილი მითხრეს?

— კიო!—რა აქვს ნაკრებულობაო?

— ბულბული ჩიტი ყოფილა ჩვენი სახლის ნაკრებულობა და რომ დაჟდეს და იგალობოს ლამაზათაო.

— გასწავლა იმ ბულბული ჩიტი ალაგიო?

— დიახ, მასწავლა, უნდა წახვიდე ჩრდილოეთისაკენ. ბულბულის ალაგი იქ არისო!

ეს ძალიან უყვარდა მამამის.—შვილო, თუკი შენ არ მეყოლები და მარტოკა ბულბული რათ გვინდაო?

— მამაჩემო, წავიდე, მოვიყვანო, ორი შვილი კიდევ გყავსო!

— არა, შვილო, მარტო შენ თუ არ მეყოლები, ის ორი შვილი ჩემთვის საჭირო არ არი, რომ ჩემი საუკეთესო შვილი შენ ხარო!—ადგა და ჩაალაგა, რაც საჭირო იყო—პური, ფული; საჰმო დღისა ხურჯინში ჩაალაგა და წავიდა. გაუდგა გზას. რომ გასცილდა ხუთმეტი ვერსი, ერთი სასადილო დაუხვდა, წინ წამოჟდა. სვა, ჭამა, ცხენიც გააძღო და გაუდგა გზას. რომ გაჲარა ოცი ვერსი, ერთი ოთახი დაინახა.—ეს რა ოთახია ამნაირ ალაგას, თა-ბარში. მახინჯი კი არისო, საცდურიო.—მე რომ მოვსულვარ, ან უნდა ვიპოვნო, ან უნდა მოვ-

კვდეო!—მივიდა ოთახში, შეაღო, ცხენი გარეთ დააბა და კარები გააღო და ხაფიდან ხმალიც ამოიღო. დაინახა ერთი ლამაზი მზეთუნახავი, ხუთმეტი წლისა. უთხრა ზეთუნახავმა:

— საიდან გაჩდი, ადამიანის შვილო, უნდა შეიჭამო თავიო? აქ დევი არის შვიდთავიანი და შვიდი წელიწადი სძინავს და უსრულდება შვიდი წელიწადიო, ბრალი ხარ მაგნაირი ვაჟკაციო!

— მასწავლე, რომელ ოთახში წევს, მძინარეს წავჭრა კისერი, არ მეშინია დევისაგან.

— თუ რომ ყოჩაღი ხარ, აჰა და სძინამსო!—შეიხედა ხუსეინამ და გამოშვანტულა დევი და რო სუნთქავს, კარებს აღებს, იმნ̃აირი მძრავლია.

— ეს უნდა მოვკლაო! ღმერთო, ერთი შენ მასახელეო და—როგორც დასცხო თუ არა, შვიდი თავი ერთბაშად გააგდებინა. წამოდგა მძინარე დევმა.

— ადამიანის შვილო, მე რომ მკვდარი ვარ, ჩემი ერთი ჭაჭვი სისხლი შენზე ჰალალი მიქნია შენთუს და ერთი კიდე დამცხეო.

— არა, დევო, მე დედაჩემისაგან ვარ ერთხელ დაბადებული, განა ორჯელაო—და მეორეთ რომ დასცხოს, დევი გაცოცხლდება და შესჭამს. მოვიდა მზეთუნახავი და:

— აპა ოქროს ბეჭედი და შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდანა.

— რადგან შენ გადამარჩინე, მე შენი ვარო და შენ ჩემი ხარო!

დაუტვია ერთი ოქროს ბეჭედი და უთხრა, რომ

— მე მივალ ბულბულის ჩიტის მოსაყვანათ.

— ვაჲმენ და ვაჲმენო! შენ რომ გასცილდები ჩემს ოთახს, მეტი დევები არიანო. ჩემი დიდი და არისო, ოცდახუთმეტი ვერსით. მიხვალ და ის დევი ფეხზე იქნება და შეგჭამსო!

— თუგინდ შემჭამოს, მენ უნდა მოვიყვანოო!—გეშეემშვიდობა და გაუდგა და წავიდა. ამ მზეთუნახავს ერთი პატარა ფინაც ხყავდა. იარა, ბევრი იარა, მივიდა დიდი დის ოთახთან. საჩქაროდ ცხენის დაბმა ვერ მოასწრო, ამოიღო ხმალი და შევარდა ოთახმი. შეაღო, დევი ინძლვრევა, რო ადგეს. იძოდენი ყოჩაღობა იხმარა, რო, ის იყო თექვსმეტი თავიანი დევი, და წააჭრა ყველა თავი. დევმაც ისევ უთხრა:

— ერთიც კიდეც დამცხეო.

— ქვეყანაზე მე ერთჯერ დავბადებულვარ, განა ორჯერაო!—ქალს ეუნება:

— შენ ხარ ჩემი შუათანა ძმის ცოლი!—დაუტოვა ბეჭედი ოქროს.

— იქნება ჩემი პატარა ძმისთუნ ვიმოვნოო. მე მიკდივარ და გამოვივლი და წაგიყვანო!

— სად მიხვალ, მიამბეო შენი ამბავებიო!

უთხრა:

-- ბულბული მინდაო!

— მოდი, თურ შენ თავზე სიცოცხლე გინდა, ნუ წახვალო. ჩემი დიდი უმფროსი და ოცდაათი ვერსით დაშორებული არი და დევი ორმოცთავიანი გაგაფუჟებსო; ბრალი ხარ მაგოდენი ვაჟკაციო.

— აწ აღარ იქნებაო!—გამეემშვიდობა და წავიდა. თუ უნდა მისულიყო ოცდაათი ვერსი სამ წუთზე, ერთნახევარზე მივიდა, ისე ჩქარა გაუძახა ცხენი. რომ მივიდა, ამოიღო ხმალი, შევარდა შიგა. ამდგარა დევი ფეხზე. თვალებს ისრისამს.

— ეჲ, შენ, ადამიანის შვილო, შვიდ წელიწადს მძინამს, ლუკმა ხორცი არ შემიჭამამს, შენ ფეხით მოხველი ჩემთანაო!—როგორც დაასუნთქა უსეინას, უკან რო დიეჯახა ზარფით, კარები გამოამტვრია. უსეინა ნაცადი იყო და ხმალი ხელიდან არ გაუშვა. დაიწყეს ომი ამ ოთახში. ძალიან დიდი ომი რომ გააკეთეს, დევი დაიღალა, რადგან მშიერი და მძინარე იყო. იმოდენი ეცადა, რო წასჭრა კისერი ამასაც. მერე მესამე მზეთუნახავმა უთხრა:

— ვინ ხარ, თა-ბარში დიეხეტებიო.

— მე ვარ, წამოვეღ ბულბული ჩიტისთუნ, ქვთენისთანა ხალხ ვეძებ, რო მე უნდა მასწავლონ იმისი გზა-კვალი, სად არიო.

— მე არ ვიცი და ნუ წახვალ, დაბრუნდი უკან, ბრალი ხარ მაგნაირი ვაჟკაციო.

-- არა, ჩემო დაო, არ შემიძლია, სანამ ცოცხალი ვარო.

— აპა, შენ ოქროს ბეჭედი, ჩემ დიდი ძმისთუნ ხარო. ქვთენ მოისვენეთ ამ ოთახში და მე გამოუვლელს არ ვიზამ და წაგიყვან ქვთენ.

— გაივლი ამ ჩემ ოთახიდან ოც ვერს და ორი გზა იქნება: ერთი დასავლეთზე მიდის, მეორე სამხრეთზე. ამ გზიებს შუა არის ერთი დიდი ბაღი. იმ ბაღში ცხოვრობს ერთი ბებერი ქალი. ი ქალიც ბაღის შუაზე ძის. მიხვალ იმასთან და გადახვალ და იმანაც იცის ყველაფერი და გასწავლისო.

ადგა, გემეემშვიდობა და წამოვიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა და შეხედა, ორი გზა მიდის. გაიხედა ბახჩაში, შევიდა, დეეტარება ბაღში და ქვაზე ძის ბებერი ქალი.

— მოდი ჩემთან შენაო!

— ვერ მოვალ, შვილო, არ შემიძლია. ვინცაღა ხარ, შენ მოდი ჩემთანო.—ადგა და მივიდა ბიჭი თითონ.

— ჩამოდი ძირს, გიამბო ჩემი დარდები.

— ვერ ჩამოვალ, შვილო, არ შემიძლია.—ამოიღო და ერთი ჭაჭვი ოქრო ქვას გარშემო მიუყარა, ჩამოხტა ბებერი და კრეფა დაუწყო. რომ აკრეფა, უთხრა:

— რა გნებავსო?

— მე წამოსული ვარ ბულბული ჩიტისთუნ, გთხოვ მასწავლო იმის ალაგი, სად არი, სად არა!

— გასწავლიო. ამ ჩრდილოეთ-დასავლეთ გზას დაადგებიო სწორე. ამ გზაზე იარე. არსად არ გადუხვიო, სამი თვის სავალი გზა არიო და მიხვალ, იმის მეტი ქოყანაზე ოთახი არ არისო. არის გარეშემო შემორტყმული გალავანი. გალავანს ორი კარი ჩაშობმული აქვს. როგორც იმ კარს გაალამ, ზღუბლ რო შენი ცხენი წინა ფეხს გადადგამსო, ჲამან და ჲამან მაღლა არ აიხედო, თვარეჰ მაღლა ატაჟაში ძის ერთი ქალია, ძალიან ლამაზიო. შეხედამ თვარეო, შენ უჟე გაქვავდებიო. მატყლსაც ართვამსო. გაუვლი და მარცხნი სანთიდან წადიო. ყუბაში ძის ბულბულის ჩიტი იმ რკინაზე და გალობს ლამაზათაო. შენ გაივლი და არ აიხედო მაღლა. იმას რომ გასცილდები, საჩქაროდ გამოაბრუნე ცხენიო. უკან რო გამოაბრუნამო, მაშინ ჩამოვა ბულბულის ჩიტი და მხარზე დაჟდებაო. სხვა არც დეელაპარაკო, ვიდრემდის გალავან-ზღუბელ არ გადმოსცილდებიო. როც გადმოსცილდები, მაშინ სირი ალარა აქ იმ ქალსაო.—დეემძვიდობა, კიდო მისცა ფული, იარა და, ენით მალე ვიტყვით, სამი თვის სავალი გზა განვლო. მივიდა, შეხედა, მართლაც, დიდი მშვენიერი ოთახი, გარეშემო გალავნით, როგორც ასწავლა, ისე. ადგა, გაალო კარები. როგორც ცხენმა გადაადგა ზღუბლზე ფეხები, თავი დაჰკიდა, მაღლა აღარ შეიცქირა. მოუარა მარცხნი სანთით და მიადგა კედელს და რო გამობრუნდა, კიდო მაღლა არ იხედება. დააჟდა მხარზე ბულბული ჩიტი, იპოვნა. გამოიარა და რომ გადმოსცილდა და კარები მიიხურა, ქალმა შეხედა, რო არ იქნა საქმე.

— ჰიმსნის შვილო, შემოიხედე მაღლაო!—არ იხედება.

— ვაი შენ მასწავლებელსაო, წავიდეს და საიქაო აღარ ჰქონდესო!—ადგა ამ ბიჭმა, ეწია გული ნებას, წამოვიდა სიხარულით; ბულბული ჩიტი გალობით მოდის. ბევრი იარა და მოვიდა ძმის ცოლთან. დარჩა ერთი ოცდაათი დღე იქ. სვემდნენ, სჭამდნენ ქეიფით.

— ადე, ჩემო რძალო, წავიდეთო!—ადგხენ და რაც იყო ოქრო-ვერცხლი, ხელსატაცი რაც იყო, წამოიღო. შეაჟდუნა რძალი და წამოვიდნენ. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მოვიდნენ შუათანა ძმის ცოლთან. ძალიან გეეხარა ქალს—მომივიდა მაზლიო! დაჟდნენ და ოცდაათი დღე, მეტიც, იქეიფეს, გახდნენ სამი სული.

— აქიდან წავიდეთ ახლა, დროით მივიდეთ მამაჩემის ოთახში!—ადგნენ და წამოვიდნენ. რაც იყო ხელსატაცი შეძენილი დევისაგან, წამოიღეს. ეს ორი ქალიც შეაჟდუნა და წამოვიდნენ. მოვიდნენ თავის სადანიშნულოსთან. შენ თქვი—ერთი წელიწადი დარჩა ქეიფში. რომ შეასრულეს წელიწადი და:

— წავიდეთ ჩვენ ქვეყანაში, რომ დავგვიანდითო!—გამოუდგნენ გზას ხემწიფესთან და წამოვიდნენ. ხემწიფე ამბობს:

— შვილო, რომელიც კარგი შვილი მყავდა, დავკარგე. ქვთენ მინდებხართ, თუ ის ჩემი ყოჩალი შვილი არ მეყოლებაო! წახვიდეთ, უნდა მიპოვოთ, შვილი უნდა მამიყვანოთ!

ადგნენ და წამოვიდნენ ორი ძმანი ამის საძებნელად. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მოვიდნენ იმ სასადილოში. დავტიოთ ეს ორი ძმა, ისადილონ. მივიდეთ უსეინასთან, ეს მოდის. ორს შეაჯდუნამს რძლებს, ცოლი ფეხმძიმეთ დარჩა. თავის ცოლს ფეხით ვერ უვლია. ცოლს შეაჯდუნამს და:

— ჩემ ძმებს ამბავს მიუტანებენ და ხათრი დარჩებათო! — ხან ცქვიტა, ხან ნელა, იმ ღამესაც ის მოვიდა სასადილოში, სადაც ძმიები არიან. სუფთა წელიწადი და ორი თვე გავიდა ამის წასვლიდან სახლიდან.

— მე ამ სასადილოში შევიყვანო, არ გამოდგება, — თითონ შემოვიდა სასადილოში, იყიდა თაჟა პური, ცეცხლი წასწია და გადმოვიდა ქალებთან, ტყეში დაუნთო ცეცხლი. ამ ძმიებმა დაინახეს.

— ეს ჩვენი ძმა არისო' — გადმოვიდნენ, ნახეს დაღალული კაცი უსეინაჲ, უძინო. დატვია მუხლზე თავი და დაიძინა.

— მე სანამ დავიძინო, ქთენ წადით, ააცვით და შესწვით და ჭამეთ, მერე მე გამოვიღვიძამო.

— ძალიან უკეთესიო! — ამან რომ დაიძინა, ძმიებმა გადმოიხედეს გვერდიდან. შეხედა — სამი ქალი, ბულბული, ერთი ფინა მიხყავს, მოდის.

— ეს რა ყოფილა? — და შეშურდათ ძალიან ამათ. ერთმანეთ დეეკითხენ:

— ჩვენ, ამან რო ეს ქალები და მიიყვანოს, ჩვენ სახლში არ შეგვიშვამს, თან კარგი ქალი თითონ დაუჭერია და ჩვენთუს გლახები დაუტოვია. რა ვქნათ ჩვენ? — შუათანამ უთხრა:

— ჩვენ ეს უნდა მოვკლათ, ძმა, ან სხვა საშვალობა მოვნახოთო!

— ეს ბულბული, ქალები წავიყვანოთ და ყოჩალი ჩვენ გამოვიდეთო. აი, ბულბული ჩვენ ვიპოვეთ და ქალებიც მოვიყვანეთ! — გაიტარეს ამათ ფიქრში და უნდა აასრულონ. ამ უსეინას ცოლს ეს ესმის.

— ადე. უსეინ, შენი ძმები ამას აპირებენო.

— როგორ, ქალო, რას ამბობ, ჩემი ღვიძლი ძმიები? შეუძლებელიაო!

— კარქი, მე შენ გითხარი და შენ იცეც კვდარი ხარ. — წავიდნენ ამ ძმიებმა სასადილოში. ერი ტიკანი იყიდეს, დაჰკლეს, სისხლი დაიპირეს ვედრაში, მოვიდნენ უსეინასთან, ეს ძმა დაიჭირეს და თვალები ამოაცალეს. გახადეს პერანგი, მიხიეს-მოხიეს და ამ სისხლში ამოალბეს. წაიღეს და მარცხენა თვალი მარჯვენა ჯიბეში ჩაუტიეს შეშლით, მარჯვენა-მარცხენაში. ერთი კარქი პალტოც ეცვა უსეინას, წაიღეს.

და გაიტანეს სასადილოში და ერთი მჭა იყო ამოშენებული ქვითქირით და იმაში ჩააგდეს.

— აქ ჩავაგდოთ, ტყეში ნადირი წაილამსო!

— აქ დალპებაო!

შეჟდა თავი დიდი ძმა ცხენზე და გამოეშურნენ. ბულბული დიდმა ძმამ დაიჟდუნა. ჩაკმინდა ხმა ბულბულმა, ეწყინა. ბულბული თან ტირის. მივიდნენ მამამისთან.

— ა, მამაჩემო, მოეელით!

— ჭანი ჩემი შვილიო?

— ტყეში ნადირ შიეჭამათ ის და სისხლიანი პერანგიო! — ბულბული სტირის და სტირის. ე რძალიც სტირის. არ ებნევა ე რძალი. ამ უსეინასთან თავის ცოლის ფინია დადგა, არ წამოხყვა ამათ.

— შვილო, არ დემენახოთ თვალით. ეს ბულბული რომ მოიყვანეთ, დასვით ახალ ოთახში! — ჩაიყვანეს, დასვეს, მორთეს, გალობის მაგიერათ სტირის, განა გალობს.

— შვილო, რათ არ გალობს ეს ბულბული!

— რა ვიცი, მამაჩვენო?

მე ერთი დალალი უნდა დავაძახო!

დააძახა დალალი. დაანგვრია სახელმწიფოში ხალხი:

— ეს ჩემი შვილი, ვინ იცის, სადაა, ან ჩალბადარი იქნება ამ ქვეყანაშიც მოვიდაო. უნდა გავაძვრინოთ ბულბულის ქვემოთ თელი ხალხი და გაივლის, ის ჩიტი იმ კაცზეგან დაჟდება, რომელიც იპოვის უსეინას!

რომ დაანგვრია ხალხი, ყველა იმ ხიდ ქვეშ გააძვრინა. არავითარი ხმა არ გამოიღო ბულბულმა.

— ჩემი შვილო, არ მოკვდებოდა, ეს ბულბული, ეს სამი ქალი იმის მოყვანილია!

გავიდა ერთი კვირა, კიდო დალალი დააძახა.

დაანგვრია, გააძვრინა კიდო ხალხი. კიდო ხმას არ იღებს ბულბული. კიდო სტირის.

— ჩემო შვილებო, ქთენ წადით და მიპოვნეთო! ჩემ მემრე ხელმწიფეთ ი ერთი შვილი იყო!

კიდო მესამეთ დააძახა დალალი.

გადავიდეთ ახლა უსეინასთან. ეს ფინა აქ არის და წყარო გამოდის ყველა ჩალბადარმა იქ უნდა დალიოს. ერთი ჩალბადარი მოვიდა, დიდი ჭვირთები მოაქვანან.

— ესაო, რა კარქი ფინია არის, წავიყვანოთო!

ასწიეს და ერთი დილიმი გადაუგდეს ამ ფინიას. წამოიტაცა ამ ფინიამ და ჭამაში გაარბენია. ესენიც გამოუდგნენ. ჩააგდო მჭაში. უსეინამაც იცის, თვალები არა აქვს, ჭამს, ეს ფინია არჩენს ამას, ემსახურება.

— ჩვენ დიდი სომინი გადავუგდოთ, დააგვიანამს შეჭმას ფინია და დავიჭეროთო!

ასწიეს, გადაუგდეს. წამოიტაცა ეს სომინი და მჭაში ჩააგდო.

— ვინ არი მჭაში? — ჩაიძახეს:

— ჰიმსნის შვილი ხარ, თუ პირუტყვი ხარ?

— მე ვარ, ჰიმსნის შვილი.

— რა გინდა მანდ?

— ვარ ამ უბედურ დღეში ჩავარდნილი!

მივიდნენ, ჰურთები შესხნეს, თოკი ჩაჰკიდეს, არ ჩასწვდა. გადააპეს თოკი და ჩაჰკიდეს—მხრიებში მოიბიო. რო ამოგწიო, რომ ხერმულ არ ჩავარდე უკანვეო!

მოიბა მხრიებში, ვერ ამოიყვანეს. დაუძახეს მესამე ამხანაკიც. ამოიყვანეს, როგორც იყო. უამბო ყველაფერი დარდები, ყველა ჰექიათი.

— ნუ გეშინია, გასაღდები მაინცაო!

ერთი სომინი და ორი ნაჭერი ყველი დაუტიეს.

— აქ იყავ და გამვლელ-გამომვლელი გაჭმევს პურსაო!

ერთი ხე დგას. ხის ძირზე ქოლგაში არის უსეინი,- ორი ფერიყგზი გამოვიდნენ და დაჟდენ ხეზე. ფერიყგზი ებნევა:

— ამან რო ჩემი ენა იცოდეს, თვალები ჯიფეში უდევსო. ამოიღამს და ჩაისვამსო. წყალი რო არ არისო, დააფურთხამს თვალებზე და ისეო.

უსეინასაც საცალა ესწავლა, იცოდა იმითი ენა.

— ჩვენც ორ ფრთას გამოვიძრამთ, ჩავაგდებთ, დაინახემს, გაისვას თვალებზე და გასაღდება, საღი გახდებაო! — ჩაიდო, თვლიები ამოიღო, დააფურთხა, ჩაისვა. პატარაოდენი დაინახა. ხელი მოუსვა, ფრთა შეხვდა.

— იქნება ეს წამალი იყოსო?

წაისვა თვალებზე ფრთიები, გასაღდა კაცი. ადგა ფეხზე, წავიდა. ქალაქის გარეთ ერთი სოფელი იყო. ერთი გლეხი დაინახა, მოხუცი, სამოცი-სამოცდაათი წლისა. უბია და ყანას ხნამს, ხარი უბია.

— პაპამა, მოხუცო კაცო, რა დროს შენი მუშაობა არისო?

— რა ვქნა, უშვილო ვარო, ცოლი მოხუცი კიდეო.

— შენ დაისვენე, მე ვხნაო! — გამოართო არონა.

— შენ სახლში წადი, მე საღამომდე ვხნამ, წამოვალ მერეო! — სამოცი კოდის ყანა იყო და გაათავა. წეევლო ხელი მანჭვას არონაზე და ისიც მიაწვებოდა, ეშველებოდა ხარებს. გაათავა წამოვიდა.

— გავათავე ყანაო!

— რას ამბობო? მოდი, ქალო, ეს ჩვენ ვიშვილოთო! — ახორში შევიდა და უთხრა ბიჭსა:

— მოდი, დამიდგები მოჯამაგირედ?

— კიო.

— რამდენი წლითაო?

— ორი თვითაო.

— შვილო, წლით გამირიგდიო, მეშვილებიო?

— აი, საქმეს შევხედო და ორი კვირის შემდეგ გეტყვიო.—ეს აქ დარჩეს და გადავიდეთ მამამისთან. მესამედ დაძახული აქ დალალი. მოაყარა სახლი. კიდო უნდა გააძვრინოს ბულბულს ქვეშ... მაინც ხმა არ ამოიღო. ეს ბებრებიც ორივე წამოვიდნენ. ხემწიფემ თქვა:

- კიდე ვისმე სახლში ვინმე არიო?

— ალარავინო.

ერთმა კახტაკანმა უთხრა:

— ბებერს ყავს მოჯამაგირე, ის არ მოსულაო.

— წადი, ის მოიყვანეთო!

მოიყვანეს, და ხელმწიფემ შეხედა—თავი შვილი ემსგავსა.

მაგრამ ჩასმის დროს თვალები ელამი დარჩა. გაძვრა და ბულბულმა დაიწყო გალობა. დაკრეს ხალხმა ჭაპი, გეეხარდათ, გაუკვირდათ ხალხსა. წაიყვანა მამამისმა სახლში.

— ვინ ხარო?

— მე ვარ უსეინა. შენ გამჩენი ხარო.

— აბა, შვილო!—იმ დიდ ძმიებს შიეგზნათ—ჩვენ წაველით ხელიდან. როგორ მოგვიხდა საქმეო?

უამბა ყველაფერი. წავიდა დააძახინა შვილები, მოორები.

— რათ ქენით ეს საქმე?

წავიდა ხემწიფე, თავის ლალაჲ დაუძახა.

— ლალა, წადი ჩვენი მოსამსახურები ნახე, ჩავიდნენ ბოსელში, თავლახანაში, რომელიც კარგი ჯორები, ანგლიელებ რო ყავანო, რომელი კარგი ფხიკი არი, დაუყარეთ ქერი.—დაუყარეს ჯორს, გამოიყვანეს თავის ამშრით. ამ ჯორ თითო-თითოდ მოაბეს ცოლები და ძმიები ჭუდძეგან და დაფრინწეს. ვაჟიშვილისა ერთმა ჯორმა ყური მოუტანა ნიშნად, მეტი ვერაფერი. დადგა ეს ხემწიფე მაშინ და ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი ქნა უსეინაზე.

— შვილო, ჩემს მემრე ტახტი შენია და იოლათ წაიყვანე ხალხი.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა, თითო-თითოდ დაგვირიგა.

## 147

ერთი ძალიან ფუხარა იყო და შიეძინა კაცსა, არა თუ ქალსა. როიცა რომა დრო მოვიდა, ფერდიდან ამოუღეს დოხტურებმა. რათ უნდოდა, ძუძუ არ ქონდა და გადაისროლეს ნეხვზე, ნაკელზე. უპატრონეს სოფელმა და გაზარდეს. ბატებ აძოვებინებდენ. ადგა და ამას სძინამს. ეს

აბესალომი წავიდა ქვეყნის დასავლელადა, ქალი უნდა ითხოვოს ხენწიფის შვილმა. იარა და საცა გავიდა, აღარ შეხვდა იმრაინი ლამაზი ქალი, რო წაიყვანოს. გაიარა, რო ბალებს ახოვს ეს გოგო და თვალი მოჰკრა. დაადგა თავს და გოგოს სძინავს და ნამეტნავად ლამაზია და მშვენიერი.

რა უთხრას, როგორ გააღვიძოს, ემღერება:

აბესალომ და ეთერი,
ლ ერთმა შეჰყარა ერთფერი.

გოგომ გამოიღვიძა.

მე ბარი-ბარად გეძებდი,
შენ ბოსტან-ბაღში გეძინა,
დაგსხმოდა კუკული ოფლი,
ბროლისა მკერდიც გეჩინა.
ბროლისა მკერდიც გეჩინა,
ეგ ლამაზი გიშრის თმანი
გადაგეფინა შამბისკენა.

გოგომ გამოიღვიძა, შეხედა ხენწიფეს:

შენ დიდი ხარ, დიდებული,
მამით-პაპით ხარ ქებული,
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული.
წახვიდე, არ წამიყვანო,
დავრჩები წყალწაღებული.

ახლა აბესალი ებნება:

ეთერო, შენსა მღალატსა,
ეთერო, შენსა მღალატსა,
შვიდის წლის ნავალსა გზასა,
შვიდის წლის ნავალსა გზასა
წყაროვნიც დაშრომოდესო,
წყაროვნიც დაშრომოდესო!
ეთერო, შენსა მღალატსა,
შვიდის წლის ნავალსა გზასა
საგძალი შემოსწყვეტოდეს.
ეთერო, შენსა მღალატსა,
ეთერო, შენსა მღალატსა,
ომში ყოფნიერსა კაცსა
ხმალ შუახედ გადასტეხოს.

გოგო ეუბნება:

— კარგი, აბაო, დაყარე ბატი-ბუტიო, რაღად გინდაო!

— უნდა ჩავაბარო ბატი, რომ არ მოვიდეს მარტი. წავალ სახშიო... —მამას უთხრა:

— შვიდი დღე და შვიდი წელიწადი ვეძებ და ძლივ ვიპოე ლამაზიო! —ადგა, წამოვიდა.

აბესალომ ადგა გზასა
ეთერის საქორწილოთა.
აბესალომ ქორწილი ქნა.
დაჰპატიჟა, რაიც იყო.
მურვალ თავში დააქდენდა.

ქმნეს ქორწილი, დიდებული. მურვალ იყო ვეზირი. რო შეხედა:

— რა გიეწყობა, უნა ჩამოვაცალოო. — ადგა, წამოხტა და გამოიქცა და დაუხვდება კუდიანი ქალი ბებერი.

— მე ვიცი შენი დარდიო! მაგის წამალიც ვიციო. რასაც ითხოვ. მოქცეო. შენი სული მე მამეციო!

— კარქიო!— გაუკეთა ქახალდი.

— აპა, შენ წადიო, ეგ თვითონ გამოაგდამსო!—როიცა დაწვნენ ბებერმა ერთი კოდი ფეტვი გადააყარა. ეს ფეტვი გედეექცათ ტილად, და ბუგრად. ამას შვიდი მჭრელი და შვიდი მკერავი თავს დააყენა. ვერ გაასუფთავა. გაუჭირდა ამასა, თავის დიებიც ყავდა. უთხრეს:

— რა მოიყვანე, ჰუჰყიანი? გააგდეო!—ამას ძალიან ფიცი მიცემული აქვს და გააგდოს.

ქალი ვის უნდა ეთერი,
ოქროსა გვირგვინოსანი.

წაადგა მურვალი:

ქალი მე მინდა ეთერი,
ოქროსა გვირგვინოსანი.

აბესალმა მისცა ქალი, ჩააბარა. მივიდა ეშმაკმა და ხელათ გაასუფთავა. როგორც ადგა, წაიყვანა. ჩავარდა ავათ აბესალი. ნახევარი კაცი არ არის და უნდა ნახოს—კიდო ის მატლოანია? გავიდა, ნახა მურვალი და ებნევა სიმღერით:

მურვალ, მურვალ, შენსა ბზესა,
შენი ცოლი რა რიგია?
— ცადამწვარო, რას კითხულობ,
ცოლის ქება სირცხვილია!
ყაჰას ართავს აბრეშუმსა,
წიგნი ხელთა აუღია.
დედამთილი მთასა უწნის,
მული პირის ფარეშშია.
მამამთილი ერდოს არი,
ვეშაპების მყლაპავია.
შვიდი მაზლი კარსა დგია,
ალმასითა შელესილი.

მიეშალა ფერდი, მოუგდო მურვალს გვერდი და წავიდა სახშიგან. რა ქნას ამან? ჩავარდა ჩიხოტკაში. ადგა და თავი დიებს უთხრა:

— აპა, თქვენ იცით, მომარჩინეთ!

ამათ გამოაცხვეს ლამაზი ხმიადი და წინ აუყუდეს. შეხედა:

— ლამაზი ხარ, ხმიადო, მარა ჩემი ეთერი კიდე მეტი ლამაზიაო!— ადგა და წავიდა და:

— ადე, შე ურჯულო, ჩემი ძმა ნახევი!

— წადი მანდედანაო!—მურვალი წავიდა ამ წასვლამდისა. ჩხუბი გაიმართა და მივიდა.

— მე მივდივარ ომშიგან. აგერ, ზარბაზნებ ისვრიან. მიდის მონატეხი ლომისასაო! ცხრა ძმანი იქვე არიანო.

— შენ ჩემზე ლაპარაკობო?
გავიხდი ატლასობასა,
წამოვალ დარბაზობასა.
ისრე შევალ, ისრე გავალ.
როგორც ძმა და დიები.

ადგა და წავიდა. წავიდა ახლა მეორე გოგო. სამი და ჰყავდა.

— შე ოხერო, შე მუდრეკო, მოდი!

— გემეცალე აქედანაო!—ადგა და ერთი პატარა და ჰყავდა, კოჭლი, და ამას გული ეწვის.

მარტი, აპრილი, მაისი,
იქიდან მოვდივარ გზასაო.
ჭადრე, ეთერო, წაოდი,
ავილამ ბარსა, ნიჩაბსა,
გაგიხეთქ მიწა-ქვიშასა,
წინ დაგიგამ მარმალილოს,
ფეხი არა კრა ქვიშასა.
ჩამოგიკიდამ სურათსა,
სასუნველსა ვარდისასა.

— რა პატიოსანი სიტყვა მითხრა და მწყალობდა კიდევაც წინად და წავყვებიო! ადე, წამოგყვები. სახლში კი არ შემოვალო.— მიდის. აბესალმა გაიგო.

— ადგერ ეთერი მოდის,
ცხენი უბოძეთ უნაგრიანი,
მორთული ოქროთი და ვერცხლითაო.

ეთერმა ფეხი შედგა დარბაზსა თუ არა. შეხედა, ხემწიფის ხალხი ირევა. ჩაიხედა, მაშინვე წააქცია. თვალი ველარ გაუმართა აბესალომმა. ახლა ეთერი ებნება:

აბეს ლომ, ესიაო,
პირი გვერდზე გექციაო.
გადმობრუნდი, შემომხედე.
ავი არა მიქნიაო!

იმანცა:

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეყარა ერთფერი.
აბესალომ, ჩემი დანა
ჯიბეშიგან მიდევს თანაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარცხენა ძუძუსთანაო!

ამოიღო ალმასის დანა და სიმღერით ებნება:

მიდექ-მოდექით განაო,
საქმე მაქვს აბესალთანაო,
ამოვიღებ და დავიკრამ
მარჯვენა ძუძუსთანაო.

წაიღეს და დაასაფლავეს წყვილად. ამოვიდა ვარდები. ამ ურჯულო მურვალმა გაიგო, იპოვნა, მივიდა, გასწია საფლავები და შუაში ჩაწვა. მოვიდა ეს ბებერი ქალი და:

— ჩემი სული მამეო!—და ამოაცალა. ამოვიდა ჰეკალი და უნდა მიეხვივნონ და ჰეკალი გააშორამს.

148

იყო და არა იყო რა. ერთი ხემწიფე იყო. ამ ხემწიფეს სამი შვილი ჰყავდა. მამამისი რო მოხუცდა, უთხრა:

— აი, შვილო, იემ ხეს უყურამთ? ჩემ ვაჟიკაცობის დროს ტერი ვერაფერს მიშვრებოდა და როიცა რო დავბერდი, აღარ მიჰამია აქედან ვაშლიო. რომელი იქნებით კაი შვილი, რომა დაბეგჩოთ? — დიდმა უთხრა:

— რას ამბობ, მტერი რას მიზამსო!—ავიდა დაბეგჩა. ერთი ჟანგიანი თოფი ჩამოიკიდა. ნახოთ, რო მოდის დევი. პირიდან ცეცხლი გაჰქრის. ერთი ვაშლი ჩამოაგდებინა და წავიდა. ბიჭი დაიმალა სახლში.

— შვილო, რა ამბავია?—არავინაც მოსულა, შიშით ვინ მოვა? შიშით ქონები აცვია სუ. მეორე ღამეს მეორემ უთხრა:

— აპა, ჩემი სირა არი ამაღამ!—ერთი თოფი გადიგდო, ერთი ჟანგიანი ხმალი. გავიდა თუ არა, გახდა მამლი ყივილობა, დაინახა, რო:

— დედაჯან, ეს რა მოდისო!—და შიშით გაიქცა, ისაც დაიმალა. გათენდა, უთხრა:

— შვილო, რა ქენი შენ საქმე?

— არავინაც მოსულაო!—იმანაც დაუმალა. მივიდა მესამე სირაზე. გავიდა ეს ბიჭი. მამამის ქონდა ერთი ახორი. დიდი ამოჭრილი იყო, ფიქალი ეხურა. ამ ბიჭმა მივიდა, ააყენა. ჩავიდა ამ ახორშიგან. ვინც რო უვლის ცხენებსა, მოჯამაგირეა, უთხრა:

— მალე ცხენი მამგვარე!

— შენ ვინ ხარ? მამაშენის მეტი ვერავის მივცემ ცხენს!

— მალე მომეცი, თორემ მამას და მუმას გასწავლი შენა!—არ მისცეს. ამათ დიდი ჩხუბი მოუვიდნენ. ეს კაცი ძალიან ღონიერი იყო, რომელიც მოჯამაგირე იყო. მაგრამ ხემწიფის შვილი უფრო ღონიერი იყო. წააქცია ეს კაცი და სუ ჭიპზე ცემა.

— ცხენი, შენი ცხენიო! ლამაზათ შეკმაზე, მოუჭირე ყულანი! მალე ხმალი მამიტა, ამას რაც გამართულობა აქ!—მოუტანა ხმალი, მარა ორმოცდაათფუთიანია. ამ ბიჭმა აათამაშა ეს ხმალი. ძალიან გაუკვირდა მოჯამაგირესა, რო მამამისზე მეტიაო! დაიწყო ამ ცხენის თამაში, ახორშივე. იმოტოლი ათმაშა, რო მაღლა ამოფრინდა. ამოფრინდა და გავიდა. გამოვიდა და ასწავლის ამას უფრო უმეტესად თამაშსა. როგორც მივიდა ხი ძირსა, დაჯდა. ეს დევი მოდის, რო ცეცხლი გამოსდის პირიდან. რო სტკლეცა ამოდენი ეს ხმალი, ამ დევს ჭლიკი წააჭრა.

— ვინცალა იყო. რა ღონიერი კაცი იყოო!—გაიქცა, წავიდა. შეჯდა ეს ბიჭი ცხენზეგან და გემიეკიდა. გემიეკიდა, ამ სისხლის ნაღვარზეგან მისდევს. ამან მივიდა, რო ერთ ერმოს პირზე ჩამმვრალა შიგ. ადგა, ჩავიდა, რას ნახამს, რომა სამი დვინია გვეზალი ძის, ყაჭ და აბრეშუმს ართვებენ.

— ჭიმსნის შვილო, საიდგან მოხველი, აქედან როგორც მოხველი, ისევ წადი! ჩვენ ჩავცვივდით ამ უბედურობაში, ჭიმსნის შვილები, 'შენ წადი, თვარე მოკლეცენ.—უთხრა, რო:

— დედასა უტირამ, ვის მიყურამ მეო? დედას უტირამო!—უთხრა რო: სად არიან?

— აქ შეხვალ და აქ არიან, ცხრა თავა დევნი არიან!..—შევიდა თუ არა ამ დევებმიგანა, ჟლეტა დაუწყო და რომელიც რო ჭლიკი წააჭრა, იმან თქვა:

— ეგ არ დამანახოთო!—სუნთელ დაჭრა კისრები. ამაშიგან დაიღალა ძალიან ბიჭი. გამოვიდა იმ გოგიებთან, დაჟდა, უთხრა, რო:

— დავხოცე, სუნთელ ბოლო მოუღე!—გოგიები ებნებიან:

— ცხრათავიანს ვერაფერს უზამო!

— მოვისვენოო!—პური ჭამეს ამათა. ამ ურჯულო დევსა რო სძინამს. რო სტვენს, კარებს რახრუხი გააქ. გოგიები ეხვეწებიან:

— შედი და ძინარეზე მოკალი, თვარემ გაგაფუჭანს!

— მე ხო ქალი არა ვარ, რო შემეშინდესო?—ადგა და შევიდა. მისცხო წიხლი ამ დევს.

— ადექი, შე ყრალო, წაპილწულო ქვეყანაზეო! რა გძინამს? – წამოხტა საცქვიტოთ ეს დევი.

— ჰუი, რა მშვენიერი ლუკმა მოხველო? აგჩეხამ-დაგჩეხამო!

— შე ვინ გონივარ, ამჩეხამ-დამჩეხამო?—და ამ ბიჭმა ისროლა ხმალი და დაიტაკნეს ესენი. ამათი ჭიდაობა კაცის თვალმა არ დაინახოს, ერთმანეთს როს შეჰოსცხებენ, კედლები სუ ინგრევიან. მუხლითვრამდი იფლობიან, ამრაინ ჭიდაობენ. ისე გახადეს სახლი, ასი უღელა კამეჩი ვერ მოხნევდაო! ძალიან ბიჭი იყო! ამოიდვა ქვეშ დევი და მოსჭრა კისერი. შევიდა კიდო გოგიებთან.

— რა ქენი, მორჩი?

— მოვრჩი!—დაიწყეს ლეში ყრა, სამა გოგომ, ერთი თითონ. სამი დღე ძლივ გაყარეს ლეში.

— აპა, ახლა თქვენ უნა მითხრათ, თქვენ ვინა ხართ?

— ჩვენა ვართ ხეწწიფის შვილები. სამივე დიები ვართო ჩვენაო.

— კარქი! ჩვენც სამნი ძმანი ვართო ჩვენსაო! ცოლათ აგიყვანთ თქენ!— მისცეს ბეჭდები. ადგა და მივიდა სახში. ჩასწია თავლახანაში ცხენი, მოჯამაგირეს უთხრა, რო:

— დააბი!—ადგა, შევიდა, დაწვა და დაიძინა. ხემწიფემ გამოვიდა, ნახა, რო ვაშლი გადურჩენია.

— ყოჩაღ, შვილო!—ძალიან გიეხარა.—რო ეს კი გამევიდა ჩემრაინი.—რო ძინავს, ველარ აღვიძამს. ადგა, გამოიღვიძა ამ ბიჭმა. ელაპარაკა, რო:

— რაში იყო, შვილო, საქმე, გამაგებინე!

— ეი, ბაბა, რო გენახა ჩემი საქმე, გაგიკვირდებოდა. სუ მოვსპევი მტრიები. ამომავალ ადგილას იყვნენ და სუ დავხოცევი.—შვილებს უთხრა, რო:

— მალადეცი გამოვიდა პატარაო, გულიანიო! — ამანაც ბეჭდები მოუტანა. მოიყვანეს ეს ბიჭი, ჩაჰკიდეს ბიჭი თოკით, უთხრა, რო:

— აპა, მე მოქცემთ იქიდან ქალებს და ასწით!—ამ ქალმა უთხრა:

— იცოდე, შენ გიღალატებენ შენი ძმიები. ჯერ შენ ადი და მერე მე.

— ძმა როგორ მიღალატებსო?—არ დაუჯერა. ასწიეს თუ არა, გასჭრეს და ისთოვ ჩავარდა ეგ ბიჭი ქვეშ. ქალმა უთხრა, რო:

— ორი ვერძი მოვა, ერთი თეთრი და ერთი შავი. ეცადეო, თუ თეთრზე შეჯექი, ზეით ამოგიტანს და თუ შავზე, ქვეშქნელს წაგი-ღამსო!—ვნახოთ, რო მოვიდა ვერძები. მივა და თეთრზე უდა შეჟდეს და შავი ქვეშ უჯდება, გააგდამს თეთრ ვერძსა. არა იქნა, თავს ვერ მოუკიდა. ახსენა ღმერთი ამ ბიჭმა. შეჟდა შავ ვერძზე. ადგა და წამო-ვიდა ქვეშა ქვეყნებში. ჩამოვიდა და მივიდა ერთ ქვრივ დედაკაცთან, უთხრა, რო:

— დიდიჯან ხო სტუმრათ შემინახამ?

— რატო არა, შვილო?—გაჩერდენ ერცალე, სიდაურობა იკითხა.

— ასეა ასეა ჩემი საქმე, დიდიჯან.

— აპა ერთი სმა წყალი მასვიო!—რა ქნას ამ ქალმა, წყალი არ აქ-ვანან.—სიდან მოუტანოს? გაარბევინა თასი, მოშარდა შიგა, მოუტანა და დალია. თან თბილი, თან ტუტე.

— ეს რა არი?

— აქ წყალი არა გვაქ, გვიკეტებენ, ვეშაპია!

— ერთი ვერ მაჩვენამთ?

— ჰეე. შენისთანა ბევრი მოუკლიაო! ხვალაო ხენწიფის შვილზეა მისული დროვო, რო თითო სმა წყალს თუ მოქვცემსო.

— ერთი შემატყობინე მეო, დედას უტირამო!—ეს ხემწიფის შვილი მიჰყავან ტირილით. აპა, ცოდო არ არი? ეს ბიჭიც მისდევს. წამოისხა ქურქი. მივიდა. მიიყვანეს გოგო. გამოვიდა თუ არა, ეს ქურქი ესროლა ამ ვეშაპს. ამოიღო ხმალი და სულ დაადილიმა ეს ვეშაპი ამ ბიჭმა. წყალი წამოვიდა, სისხლიანი.

— გაჩერდით, თქვე ოხრებო, დაწყდებაო!—ამ ქალმა ჩაყო ხელი და ბეჰედი ბეჭზე დაასვა.

— ამას უნდა მივყვეო!—რო დაწნდა წყალი, გამოვიდა. დახედეს ამ ლეშსა, რომ აწონეს, ექვსიათასი ფუთი გამოვიდა (რამოტოლა ყო-ფილა ეს ურჯულო?!). ადგა და წამოვიდა. გასცა ბრძანება ხემწიფემ, რომა:

— ჩემ ცხოვრებაშიგან ვინც რო ხალხია, ყველა მოვიდნენ!—რო ეს გოგო უნა მისცენ ბიჭსა. ეს გოგო უყურამს, აღარ ალი ბიჭი, უთხრეს:

— ერთ ბებერ ქალთან არი!

— ერთი ბიჭი დაუძახეთო!—მოუყვანეს.

— ეგ არისო!

— ტყვილია. ეგ არ იქნებაო!

მაშინ გამოჩნდენ ზოგ-ზოგი ბიჭები.

— არა, ტანი ახადეთო!—და სისხლიანი ხელები ზურგზე ხუთივე ზედ არტყია.

— მოდი, შვილო, ითხუე, საცხოვრებელი შენი იყოსო, ხენწიფეთ იყავი!

— არაფერი მინდა, ბედნიერო ხემწიფე. მე თვითონ ხემწიფე ვარ და ხემწიფობა რათ მინდა?

— აპა, რა გინდა, შვილო?

— მე ცოლიც მყავსო და თუ შეგიძლია, ზედა ქვეყანაში ამიყვანეო! ამას მოგთხოვ, სხვა არაფერსაო!

— ჰო, შვილო! — ჰაირაპლანი არ ქონდენ მაშინ და: — ვერ აგიყვანო, შვილო!

— ეგ არი ჩემი სათხოვარიო! — ადგა, წავიდა გაჯავრიანებული ეს ბიჭი. ერთ ალვი ხეზე სიშორით მივიდა და დაწვა. ერთიც ვნახოთ, ამ ხიდან რაღაც წრიპინი შემეესმა. გაიხედა, რო ამ ხეზეგან ეხოვა კიდო ვეშაპი და ავიდეს და შვილები კიდო შეჭამოს. ამ ბიჭს მოუვიდა ჯავრი.

— ეს პილწი ქვეყანა ყოფილაო, ვეშაპებით სამსე ყოფილაო! — წამოხტა, გაბრაზებული და დაუწყო ამას ჩეხა. დაჩეხა ერთიანად და დაანგრივა იქა.

— თქვენისთანები შემიჭამია და თქვენც აქ იყავითო! — ეს რო უთხრა, მოიღალა ძიელა ბიჭი და იმანაც იმ ძირზე დაიძინა. ვნახოთ, რომ საათის თორმეტი იყო, მოვიდა დედა. იმოტოლი ხანია და:

— ჩემ ხიძირზე ტერიაო! — არწივია სახელათ. წამოვიდა და გიექანოს და შეჭამოს კაცი. ამ შვილებმა შიეხვეწნენ:

— რას შვები, დედა? მაგან გადაგვარჩინაო!

— აპა, კარქი, შვილებო! — და მივიდა იმათ, საჩქაროთ მოუტანა; ჩამოვიდა, გაშალა ფთა და დააქოლგავა ეს კაცი, რო ლამაზათ დაიძინოსო. რო დაიძინა კარქა ამანა, გამეეღვიძა. შეხედა და ვიღაც დადგომია თავსა.

— ეჰა, აპა, შვილო, ითხვიე! — ბიჭმა იქ ერთი სიმღერა უთხრა, იმ არწივსა.

აშიყდერ ასტიოდუმ,
თოხდუმან ბასტიოლუმ,
ეველ ნიშანი ქჲან,
აზრაილ ქესტრიოლუმ.

უთხრა, რო:

— ნუ გეშინია, რა გაგჭირვებია, რა გატირამს, ჩემო შვილოო?

— მიშველო რამე, შეგიძლია, ზედა ქვეყანაში ამიყვანო?

— ეგ რა ძნელი რამე მითხარი, მაგრამ იმედია, აგიყვანოო! ორმოცდაათი წელიწადია შვილი ვერ გავზარდეო და როცა რო გადმირჩინეო, ამ სიბერი დროსაო უნდა აგიყვანო შენაო! როგორც მე მიმწიე მურაზსაო და ისეც შენ მიგწევ მურაზსაო! თუ შეიძლებ ჩემ გაძლომასაო? მამიტან საჭმელს იმოტოლსაო?

— მოგიტანო!

— მომიტანე ორასი ფუთი ღვინოო, ორასი ფუთი ხორციო, ორასი

ფუთი წყალიო! შეგიძლია, მოიტანამ? არ გეგონოს, წყალი უფრო ძვირია ჩვენშიო!

— ჰააი, წყალი ნუ გეშინია, ეხლა ჲეფობა არისო!—ბიჭმა უთხრა. წავიდა ხემწიფესთან ბიჭი, ჩვენი გმირი, თხოვა ხემწიფეს ეგენები, რაც დააბარა.

— ეგენი უნა მამიტანო!

— ამ საათში, შვილო!—გასცა ბძანება, რომ შეიკრიფოს ხორცი კვამლზე ორმოცდახუთი კილო. წავიდენ ეს ხალხი, ჩააბარეს. მოუტანეს, ჩააბარა ამ ბიჭსა. გაშალა ფრთიები ამ არწივმა, დააწყო, რაც იყო.

—„ღის“ ვიტყვი, ღვინო, „ხოს“ ვიტყვი, ხორცი; „წოს“ ვიტყვი, წყალი. როიცა რო დავიყვირამო. იყოს გაჩენილიო. ხო გებნევიო: თითო ჯერზე თითო ფუთი უნდა მომცეო! ამ იმაშიგანა აიბზრიალა, როგორც აეროპლანები. აიყვანა თავშიგანა. დაიძახა „ხო“, ხორცი დიელია. ამოიღო ხმალი, მენჯიდან გამოიძრო ხორცი და მისცა.

— ეს ჰიმსნის შვილის ხორციაǃ—ენი ქვეშ შეინახა. ამოიყვანა ზედა ქვეყანაში.

— აპა, ჩამოდი, ჩემო მეგობარო, ამხანაკო, გაჲარეო!—რო გაჲარა, აკოჭლდა.

— რათ კოჭლანხარო?

— არაფერიო.

— მოდი, მოდი აქაო!—გამააგდო ხორცი, მიაკრა ბაყვზე და ხელი გაჰკრა—წადიო! ადგა, მივიდა სახლისკენ. ეს მამამისი ებნება:

— ჩვენი შვილი რა უყავით, რო წაიყვანეთ?

— ჩაველით და დევებმა შეჭამესო!—ამ ქალზე თვალი უჭირავან, მარა ეს ქალი კვდება და არ ეშვება, კიდო ელის, რო ბიჭი მუა. მივიდა ბიჭი. აჩუქეს დიდი სამახარობლო, რო:

— შენი ვაჟიშვილი მოვიდა!—დიდი ქორწილი უყო ამ ბიჭსა და უთხრა:

— თქვენ იქნებით ამისი მოსამსახურე და ამაზე გადმიცია ფაშობაო!—მოვიდა ერთი კუდიანი ბებერი ხემწიფესთან.

— თუ გმირი არ იქნა, არ ეკუთვნის ხემწიფობა. დევებს ფიჩვი აქვანან და იმას თუ მოიტანს, ხენწიფობა კარქი იქნებაო!—ეს ბიჭი კიდო დადის, რა ქნას, ამ დევებშიგან. ადგა და წავიდა კიდომ. ერთი ფიჩვი აქვანან. ე ფიჩვი მოჰპარა ამათა, წამოიღო. დევებმა გამიეკიდნენ, მარა ველარ დაიჭირეს. მეორეთ მოვიდა. კიდო უთხრა ამ დედაბერმა:

— იმას ერთი ქვაბი აქვანან, რაც რო შედგა თავი თავათაო, ბრინჯი ფლავი კეთდებაო!

— მაგრამ როგორ უნდა მოიტანოს?

როიცა რო ცხენზე ძის, ცხენმა ენა ამოიდგა.

— კაცო, შენ რო მიდიხარ იქა, ქვაბი აქვანან სახში, როგორ უნა

მოიქცეო, რო ი ქვაბი გამოიტანოო? აქედან უნდა დაკრიფო სამი-ოთხი ფუთი კენჭი. იმათ შენ უნა დაგიჭირონ და წყალი დუღსო და შენ უნა მოგხარშონო, შენაო ერდოდან მიხვალ და სუ ყრიო კენჭებს ოჯახიდანაო, ქვაბშიო. მაშინ ისინი იტყვიან, რო ძალიან შეგვაწუხაო ამაღამ რწყილებმაო და ამ ქვაბს გამოიტანებენ და გადმოისროლონ კარშიგანო და მაშინ უნდა წამოიღოო და ეცადოო!—ამან მივიდა, მართლაც აგრე მოიქცა. ტყეშიგან დააბა ცხენი. ავიდა ოჯახიდან და დაუწყო ყრა კენჭებისა. ებნევა,რო:

— ქალო, ამაღამ რა იყო, წყილებმა არ მომასვენესო? ასწიეთ და გაიტანეთ ეგ ქვაბი, გადააგდეთ კარზეო, რო მე მამასვენოსო! - რაგორც გადმოსროლეს ქვაბი თუ არა, და ამ ბიჭმა წამოიტაცა, ჰაიდაბალა! წამოვიდა, ცხენზეგან შეჯდა და გამოსწია. ესაც მოიტანა. ამ ხენწიფეს ძალიან გეეხარდა.

— ბედნიერო ხემწიფე, ხო უყურამ, რომელი დევიც არი, ეგ ბიჭი მოიყვანს, ის კაციც რო მოიყვანოსო!—კუდიანი ეუბნება.—გმირი თუ არ არისო, არ ეკუთვნისო, ის დევიც მოაყვავინეო!—ადგა, უთხრა ამ ბიჭსა:

— ისაც უნდა მოიყვანო, შვილო!—ე ბიჭი ჭკვიანი იყო. ჩაიცვა ქართული ტანი, სხვა ქისპატში შევიდა. წავიდა ტყეშიგან და რახარუხ უყენამს, სუ ცხვირამს შეშებსა. ამ დევებმა გაიგეს. მივიდნენ:

— ვინა ხარ, აქ მოსულხარ?

— ამომავალ ხემწიფის შვილმა, რომელსაც ერქვა კოლაო, იმან დამანელაო!—ეხლა ამ ხეს გავაკეთამ კუბოო; გავაკეთამ და ამაში ჩავტოვო და ასე უნა მივიყვანოო ხემწიფესთანაო!

— კაცო, მე იმას დავდევო და მოდი, მოგეხმარებიო

— კარქიო!—გააკეთეს კუბო, რამე და ამან უთხრა:

— ჩემო მეგობარო დევო, ის ძალიან ღონიერი კაცია და გეგექცევაო. ერთი მეო ჩავჟდები შიგაო და ვნახო, როგორ იქნებაო, რო არ გასწიოსო!

— მე უფრო ღონიერი ვარო და მე ჩავწვები შიგა და მივწევ-მოვწევ, დავპრობაო!—დევი ჩააწვინა კუბოში, მისწივ-მოსწია, სუ დაანგრიევა.

— ამოდი, დევო, რიგიან გავაწყოთო, თორე ის კაცი ძალიან ღონიერია და გეგვექცევაო!—რვა ვერშოკიანი ლურსმანები იყო. ახლა თუთხმეტი ვერშოკიანი დაუტარა.

— მე უნა ჩავწვეო!—და ჩაწვა ეს ბიჭი. ვერაფერი ისა ქნა. ახლა დევი ჩაწვა. ვერაფერი ქნა.

— ვნახოთ, ახლა თავიც დავახუროო!—ჩაჟდა თუ არა დევმა, დაჭედა ზეიდან.

— მისცხე, მისცხეო, მაგარიაო!

— შენი დედა ვატირეო, სწორეთ მე ვარო კოლაო, მე ვარ ქვაბის წამლებიო!—ადგა და მოუტანა ხემწიფესა. ნახა, მართლაც დევი, იმრაინი დევი იყო, თელ სახემწიფოებს ე'მინოდენ. დაგმირდა ბიჭი, გახდა ხემწიფე და გამოუ'შვა ბძანება:

— ვინც ფუხარა კაცი ხართ, წაიღეთო!—კაი ადალათი ამუშავა.

## 149

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. მოხუცდა და ამას 'შვილი არა ჰყავდა. მოხუცობის დროსა თავის სიბერისა, ეყოლა შვილი. მაშივე პირბადე ქონდა ბოვშს და ძალიან მშვენიერი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. უთხრეს, რო:

— 'რომელსაც აწი დაყვება მაგრაინი, უკეთესი მშვენიერი იქნებაო, გაიზდებაო!—მართლაც გაიზარდა, ძალიან მშვენიერი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამან გასა ბძანება თავი სახენწიფოში, რო:

— აბა, ვინც ხართ ყოჩაღი, მე ხენწიფეს არ უყურამ, მე მივცემ მისთანას, ვინც რომ ვაჟიკაცი იქნება!—სახენწიფოში დარიგდა ტელეგრამა, ყველას მოუვიდა. ერთი ხენწიფე იყო. ამან სთქვა, რომა:

—ე, მეც გოგიები მყავს და რა ვქნა, ვინ გავაგზავნო?—დაჟდენ, პურის ჭამაზე დასხდენ. ამოიოხრა მამამისმა. შვილებმა გაიკვირვეს:

— მამა, რატო ამოიოხრე, რა მოგივიდა?

— აბა, არ უნდა ამოივოხრო, შვილებო. ეხლა ბებერი კაცი იყო ხენწიფე და შვილი ეყოლაო და ქვეყანაზე იმაზე ლამაზი არ დაჶრებაო. და თქვენ რო ერთი და ერთი ბიჭი იყოთ, აგგვრიო იმასთანაო?

— აპაო, ცხენი მიყიდეო!—დიდმა უთხრა,—და მე წავალო და მაინცა მარიფათობას ვაჩვენამო!—უყიდა ცხენი.

— მამეცი ხმალიო!—ჩაიცვა კაცური ჩოხა-შარვალი. შეჟდა ცხენზეგან, ახსენა ღმერთი და შეჟდა და წავიდა. ამ მამამისმა თქვა:

— წავიდა, მარა ვნახო, შევაშინამ თუ არაო?—თვიონ ერთი რაში ცხენი ჰყავდა. შემოხტა რაშზეგან, გადოუარა და წინ გადუხტა.

— გაჩერდი, შე მამაძაღლო!—შეჰყვირა. ცხენი ჰყავს, რო ცეცხლსა ყრის. ამ გოგომ იფიქრა, დაბრუნდა და გამოიქცა სახლისაკენ. მოვიდა სახშიგან და მამამაც მოასწრო სახში.

— შვილო, რა ჰქენი?

— არაფერი, მამა!

— შენ ვერ იზამო, შვილოო!—მეორემ უთხრა:

— მამა, მე მიყიდე და მე წავიდეო!—უყიდა მეორესაც უკეთესი უმფრო. იმასაც აგრე. წავიდა, კიდო გადაუხტა წინ.

— გაჩერდი, შე ბოზო მამაძაღლო, სად მიდიხარ?—ამასაც შეეშინა, მოკურცხლა და გამოიქცა უკან. მესამემ უთხრა, რო:

— მამა, მე მიყიდე ერთი ცხენი! კაი ცხენი იყოსო!—წავიდა უნა

უყიდოს ცხენი, მარა ვერსად უშოვნია, ამის საფერო არსად არი. გავიდა ზღვი პირას, ერთი კვიცი დაიჭირა. ამას წაავლო ხელი და წამოიყვანა.

— აჰა, შვილო, კვიცი. აბა, ამრაინ ადგილ დავაბათ ესა, ახორ'ში, რო სინათლე არ უნდა იყოს!—მუუარა თვითანვე რამდენიმე თვეში, ჰექმათი რამე გახდა. გამოვიდა, ერთ ადგილ დარჩენილიყო, მზეს დიეცხო. კიდო დააბა, ექვსი თვე კიდო მოუარა. ნახა გოგომ, რო:

აპა, მე უნა წავიდე!

— წადი, შვილო. ვნახო, მეორეებივით იქნები, თუ როგორ იქნები?—შეჟდა ცხენზეგანა და განიავდა. მამამისიც შეჟდა ცხენზეგანა და გამიეკიდა ამას. მიიხედა უკან გოგომ, ვინცაღა მოდის.

— ვნახოთ, რა სწადია, ერთი?— მოვიდა,—ამ გოგომ უფრო აულელავა. დეეჭია, ამოიღო ხმალი.

— გაჩერდი, შე მამაძაღლო, ვინ ხარ, მიდიხარ გზაში?—როგორც რო ეს უთხრა გოგომა, ხმალი ამოიღო და გადასჭრა, უთხრა:

— შვილო, არ მამკლა, მამაშენი ვარო!—კარგი, შვილო. წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, ყოჩაღი ხარო!—მივიდა იმ სახენწიფოში. გაუმართია სამასი საჟენი სიგრძე და სამასი საჟენიც სიღრმავე, რომ ვისი ცხენიც გადავა აქა, ჩემი ქალიც იმას უნდა მივსცეო! ადგა და ეს გოგო გავიდა (კაცური ტანი აცვია). რაში იყო, რა დაუდგებოდა? სამასი საჟენი კიდო იქით გადახტა. დაიჭირეს ეს კაცი.

— აპა. შენ სიძე ხარ, სიძე ხარ!—მაგრამ რა უყოს, რო ქალია? რა ქნას ამანა?

— მეც ქალი ვარ, ესეც ქალი!—იძახის. ადგნენ, ქორწილი უყვეს ამას. როიცა რო დააბოლავეს საქმე, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გარდახში გადასცეს. შევიდა, რა ქნას? აბა უთხრა:

— დაწექიო! (ამან ჩაიტვია, ბაწარს რო დაგრიხებენ). გახადა ტანი და ამას მისცა და მისცა ამ გოგოს. იმოტოლი ცემა, რო თითქმის მოკლა ცემით, ურტყამს ზეიდან. მოვიდნენ, რო:

— რა ამბავია, რათა სცემ?

— არაფერი ამბავი არ არი!

— მამაშორეთ, ამის, ამის არაფერი მინდაო!—თქვეს, რომა:

— ამაღამ არაფერი და მეორე ღამეს ვნახოთ, რა იქნება!—მეორე ღამეს ყარაულები დააყენეს. კიდომ მაგფრივ, რომ დააწყობინა, ცემა რო დაიწყო, შევიდნენ და უთხრეს:

· · რათა სცემ, კაცო?—ხენწიფეს უთხრეს:

— რა უყოთ ახლა. ვინ ხართ, იმრაინი კაცი ვინ იქნებით, რო ეგ იმრაინ ადგილს გავგზავნოთ, რო ველარ მოვიდეს?—ამან გაიგო, კუდიან ბებერმა უთხრა, რო:

— მე მაგას იმრაინ ადგილ გავგზავნი, რო ეგ ვერ მოვიდეს. მითომ

შენ ავათ ხარ.—ხენწიფეს ეუბნება,—და წამალი მოატავინე მაგას. სადაც მივა და ველარ მოვა.—უთხრა ხენწიფემ:

— სად უნდა წავიდეს?

— ქინკების ბახჩაში. იქ წავა და ველარ მოვაო! მომიტანოს იქიდან ვაშლი, რომელსაც ქვია ჯანნათალმა. იქ რო შევაო, არც შეუშვებენო და არც გამოუშვებენო!—დაიბარა ხენწიფემ:

— შვილო, მე ძალიან ავათა ვარ. ამომავალ ადგილს უნდა წახვიდე, ეს ჯანნათალმა უნდა მომიტანო!

— კეთილი, ბატონო!—ადგა, შევიდა სახშიგან. ჩავიდა ცხენთან.

— ცხენო, მე არაფერი არ ვიცი! ვნახო, რა ამბავი უნდა იქნას ქვეყანაზე.

— დიდი ძნელი საქმე არისო და ვერაფერს გვიზმონენო, მარა უნდა აიტანოო. იქ რო მივალთო ჩვენაო, პირველად დაგხვდება ჰეკალიო. მოწყვიტამ და შესჭამ იმ ჰეკალსაო. იტყვიო: იიფ, ეს რა კარგი ვარდის ბალახიაო, ასე გემრიელიო? დაილოცოს შენი გამზდელიო! მერეო შუაში ვეშაპიაო. ამოიღე ხმალიო და რაც რო გეძალებაო, დასცხეო და შუაში გადაწყვიტეო! გზას მოქვცემსო. ნახევარი იქით დაგვრჩება და ნახევარი აქეთო! გავივლით იქაცაო. მესამეთ არისო სისხლი და შარავიო. ერთი სტექანი შარავს დალევო და იტყვიო: ეს უცეცხლო თაფლია, რა არისო? სისხლსაც დალევ და იტყვიო, რო რა არი, კახური ღვინოაო, ასე გემრიელი? მაშინაო ისაც გაგიშვამსო. როიცა რო შევალთ ბაღშიგანო, კრიფე ვაშლი და ყარე ხურჯინშიო და მე ვიფრენ. მერე აქიდან წამოვლენ და დაგვედებიანო. უკან არ მოიხედო, თვარაო გვქავდებითო. მაგრათ დაჯექი, მე წამოვალო. როიცა რო გამოივლიო, აგრე უნდა მოიქცეო, რო გამოვასწრამთო. დაუძახამს, სისხლს და შარავს დაუძახებენ ის ქინკები: დაიჭით, ჩვენი მტერიაო. შარავი და სისხლი ეტყვისო: ამანაო კახური ღვინო და უცეცხლო თაფლი გაგვხადაო და სხვა რო გამოივლის, სუ ზედ გვაფურთხეჭენო როგორ დავიჭერ მაგისთანა კაცსაო? მაშინაო ეტყვისო ვეშაპი: დაიჭირეო, რო ჩვენი მტერიაო, იტყვის რო მეძინაო და შუაზე გადამჭრაო, აღარ შემატყობინა ჰეკალმა. ნახევარი იქით ვაგდივარ, ნახევარი აქეთაო. ვეღარ გავნძღრეულვარო. დაიჭით ჰეკალიო, ეტყვის მაშინ იქიდანაო. ჰეკალი ეტყვის, რო მე შაქარ-ვაშლი, იავარდი გამხადაო და ამას როგორ დავიჭეროო? რო გამოივლით ხოლმე, სუ ცხვირ-პირში მცემთო და ამანაო წადიო, მაშინ იტყვის, დაგწყევლამსო. თუ ბიჭი ხარ, გოგო გახდიო, თუ გოგო ხარ, ბიჭი გახდიო! მაშინ ბიჭიც გახდებიო. ასე იქნება ესაო.—ამას ცხენი აკვალაშს ჯერ.—ხო გაიგეო, ჩემო პატრონოო? თუ მოიქცევი ასეო, გავიმარჯვებთო. ასწი მაგ საქმესაო, რომ წავიდეთო!

— ავსწევ, წავიღამ, თაღ ბიჭი გავხდე!—ადგნენ და წავიდნენ, გასწიეს ქინკების ბახჩაში. როგორც ელაპარაკა ცხენი, ისე მოიქცა ბიჭი.

შევიდა, რო დაკრიფა ხილი, გამოიქცა და წამოვიდა. იმრაინი ყვირილი შექმნეს, რო იმითი წივილ-წრიპინი ცაში ადიოდა:

— დაიჭით ჰეკალიო!

— ვერ დავიჭერ, შაქარ-ვაშლი ვარ მე.

— დაიჭი სისხლი და შარავიო!—ებნება კიდო.

— თაფლი და ღვინო ვარო.

— ვეშაპი დაიჭიო!

— გადაჭრილი ვარო, მეძინაო.

— წადი, ჰიმსნის შვილო, და გოგო ხარ, ბიჭი გახდიო და ბიჭი ხარ, გოგო გახდიო!—მართლაც არ იტყვი? გზა გაძარა, ამ უნაგირზე ტრაკა-ტრუკი დაიწყო ამ ოხერმა.

— კაცო, ეს რა მემართება, ქალი ვიყავ, კაცად ვიქეციო, ქალობა დავკარქეო,— ეს რო შიატყო, ძალიან გეეხარა.

— ჰაა, ბაწრის ცემა აღარ დამჭირდებაო, ცემა აღარ უნდაო!—ადგა, მივიდა, ხემწიფეს გეეწყინა. რა ქნას? ამან თქვა:

— იქ რო გადარჩა, აქ მაშ არაფერი დაუდგება წინ, აგვაოხრამსო. რა უნდა უთხრათო?—ეს გოგო ტირის, რო თავს იკლამს. დაღამდა, უთხრეს:

— აპა, შედი!—გოგოს ებნევიან. მაგრამ რა შევიდეს? სცემს, შეაგდეს ძალა-ძალით. ყარაულები უნა დაუყენოს, მაგრამ რას დაიხსნის? ვერაფერი უქნია შიშით, ხმა ვერ გაუცია! შევიდა თუ არა, ჩემი ხარ ბატონი, ეს ბიჭი გახდა აწი, არა? დამუწა მაშთავე ეს ქალი და მერე იმას აღარც დაგრეხილი ბაწარი დასჭირდა და აღარც არაფერი. ამათ კისკასი, სიცილი, ხოვნა-კოცნა (მე ვუყურემდი), ზეცას ისმოდა. ხემწიფეს ამბავი შეუვიდა:

— კაცო, რაშია საქმე?—ესენი ისე დაიღალნენ, ისე მოხოულნი არიან, რომა ჩვიდმეტი კოკა წყალი რო დაასხა, ველარ გაჰყრი ერთმანეთსა. შვიდი დღე და შვიდი ღამე შიშით ველარავინ შევიდა და იმათ კიდავ სძინამთ. ისე მიკრული არიან, იტყვი — ფისი დაგისხიაო ამ ურჯულოებისთუნა.— როიცა რო მორჩა, დაუძახა ხემწიფემ ბიჭი.

— შვილო, რაში იყო საქმე, რომა, ვირამდი გაგზავნე. ტირილი იყო და ახლა კი შეჰყვარდით ერთმანეთსა.

— რაში უნდა იყოს საქმე? მე ვიყავი ქალი. კაცობა აღარ მქონდა და რა მექნაო? მეცა შეგრეხილი ბაწარი მქონდა და ვცემდიო. ახლა როიცა რო წაველი, კაცობა შავიძინეო.—მაშინ კიდო ხერმეოლეთ დაჰპატიჟა დიდი ქორწილი. მაშინ თუ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე უყო, ახლა ოთხმოცი დღე და ოთხმოცი ღამე ხორწილი უყო.

— ვინა ხარ შენაო?—გამოჰკითხეს.

— აპა, წავიდეთ ჩემ დედ-მამასთანაო!—მაშინ გამოგონილი არ იყო

ავტომობილები და ფაეტონი იყო. ჩაჟდენ და წავიდნენ დრაგადრუგით, მივიდა მამასთან.

— მამა, ხომ გჯერამს ახლაო? — დაუჯერა მართლაც იმანაც. ერთი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქეიფია. ადგნენ და გამოისტუმრეს. მოვიდა ამ ქალის სახენწიფოშიგან და დიდი ნეფობა გასწია.

150

იყო ერთი ხენწიფე. ქალიშვილი ჰყავდა და ვაჟიშვილი არ ჰყავდა. თავის ძმისწული იშვილა და როიცა რო გაიზდენ გოგო და ესა, შეითვისეს, შეიყვარეს და იმრაინი შემძლე კაცი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამ კაცმა თქვა, რომა:

— ვინ იქნება იმრაინი გმირი, წავიდეს ქაჯეთის ხენწიფესთან და ხარჯი აიღოს, რა, ველარ ამიღია მე! — ძმისწულმა უთხრა, რომ:

— მე წავალ და ავიღამო! მაშინ მომეცით ჯარიო! — წაასხა ჯარი თავის სურსათითა და თავის კაჰკით-მაჰკით, ყველაფრით, დროგით. ავიდა, მოჲსთხვია:

— ხარჯი უნდა მამცეთ! — იმრაინები იყვნენ ისინი, რო ჰიმსნის მჰამლები იყვნენ. უთხრა:

— ხარჯ მოქცემთ შენა, რასაც რო გეტყვით, თუ აასრულებო. ორასი კაცისაო საჭმელიაო ქვაბითაო. ამას თუ გადმოდგამ და შესჭამ! — ამ კაცმა უთხრა:

— ეგ რა არისო? კიდო ერთი მაქტენი იყოსო! — გადმოდგა და შეჭამა. მაშინ ამათ ძალიან შიეშინდენ. უთხრა:

— აბა, ჯარი უკან გააბრუთ და მოგცემთ ხარჯსაო! — შვიდი წელიწადი არ იელო ხარჯი. ამან სუ უნა წაართვას. გამოვიდა იქიდან კაცი, რო:

— ჯარს ნუ გააბრუნამ, თორემ ძალიან ცუდ დღეს დაგაყენებენ ესენი. ჯარი დამალე! — ამას იმრაინი საქმე გაუკეთეს, ამ ბიჭსა, რო ჩხუბზე აუდგნენ:

— ჯარი გააბრუნეო! — იმათ ის არ იცოდნენ, ჯარი ხყავდა ისოვ უკან. მაშინ ჩხუბზეგან გადაუდგნენ და დიდი ომი გამართეს. ამ ბიჭსა ერთ ხმალზეგან ათასი კაცს აგდებინემდა თავსა, მაგრამ კიდო ცოცხლობდენ.

— მაგაზეგან თაღ ნუ გაგვავერნავ შენ და ჩაგაბაროთ! — ამან მოკრიფა შვიდი წლის ხარჯი, დაბრუნდა და წამოვიდა. კიდო მისცა ტელეგრამა:

— რა საათსაც მოვიკითხამ, ხარჯი უნა ჩამაბაროთ! — მოვიდა გოგოსთანა. ამ გოგოსაც ქვია თინათინი. ამათ ერთმანეთი ისე უყვარან, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამ ხენწიფემ თქვა, რომ:

— ამრაინი გმირი კაცი რო მყავს, მე არა მიშავს-რა. ეს გოგო გა-

ათხოვა სხვაგან. არ იცოდა, თუ იმას პირობა მიცემული ჰქონდა. როიცა რო მოვიდა სიძე, მაშინვე ამ ბიჭმა უთხრა:

— უნდა მოსპო ეგ საქმეო!—ყველას დაამხამს ძირს, მაგრამ ხათრით ვერაფერი გაურიგებია. როიცა რო მოვიდნენ, ეს ბიჭი გაბრაზიანდა. მივიდა და კისერი მოსჭრა ამ კაცს.

— როგორ თუ ჩემი საყვარელი წაიყვანაო? — ამ ხენწიფემ რომ გაიგო.

— კაცო, რატო მოსჭარი კისერი შენ?—იმას ველარაფერი უყვეს. ჯალათებს უთხრა:

— ეს გოგო ჲაშიკში უნა ჩააჯდუნოთ!—გაზივთეს ჲაშიკი და ზღვაში გადაისროლეს. ამ ბიჭმა ნახა, რომ ადგა და გაიქცა და წავიდა ეს ბიჭიც. დადის წყლიპირობაზე. ეძებს, რო იპოვნოს. ამ ბიჭსაც ქვია სახელათ ამირანი. ეძებს და თან სტირის ძალიან. ადგება, წავა, ერთ სახენწიფოში გავა, მეტი სიარულითა დადის ყადრა-ყუდრათ (ხეტიალით). ეს ბიჭი დავსტვიოთ. ერთ სახემწიფოში ახალათ აიყვანა ერთმა გოგომ. ნიშნობა აქვანან. ამ ხანს ამ ბიჭმა ამოვიდა, წყლიპირას დადის და სტირის. გააგზავნა ამ ხემწიფემ კაცი, რო:

— ვინ არი, რო ჩვენ შიშით აქ ვერავის გაუვლია და ეგ დადის?— როიცა რო ჩავიდნენ ხუთი-ექვსითანა, უთხრეს, რო:

— ვინ ხარ შენ? გიძახის ჩვენი ხემწიფე. ამან არც ხმა გასცა, არც სასი (სიტყვა). ამათ თითო-თითო ყამჩი (მათრახი) რო გადასცხო, ამათ ზოგს წელი მოსტეხა, ზოგს თავი გაუპო, ძირ დაყარა. ადგა, გაჲარა და წავიდა. ხენწიფეს ამბავი მოუტანეს, რომა:

— ექვსივე მოკლა!—ამ ხენწიფემ ჯარი გამოჰკიდა უკანიდან. რო მოიხედა უკან და:

— ჯარი მომდევს, სუ ერთიან გავსწყვიტამო!—შიებრალა ამ ამირანსა, აუცქვიტა, გაიქცა, წაკიდა. ამ ხენწიფემ ველარ დასწია თავისი ჯარი. მოვიდა. ანთანდილის საყვარელმა უთხრა, რო:

— ვინ იქნება, რო წავიდეს და გაიგოს იმისი ვინაობაო?—ანთანდილმა უთხრა, რო:

— მე წავალ, თუ ჩემი ხენწიფეც იზამსო! — მოჲსთხვია ბძანება, მისცა. ადგა, შეჸდა ცხენზე და გამეეკიდა უკნიდან. ამან იარა, ცოტა იარა, ბევრი იარა, ვერ იპოვნა. ეს ამირანი რო მიდის, სამი კაცი შეხვდებიან. ამ დროს ეტყვიან ეს კაცები:

— შენ, კაცო, ვინა ხარ?—ამათ არც ხმას გასცემს, არაფერი მომტირალე ამირანი. ამათ თითო ყამას რო გადასცხებს, ზოგს თავს გაუტეხამს, ზოგს კლავ მისტენამს და ერთი მოუკვდებიან... ამ ტირილზეგან ანთანდილი დახვდება წინ. ისიც ძალიან ღონიერი კაცია. მაშინ ეტყვის:

— რას გატირავან, რა ამბავია?—უთხრეს, რომა:

— იესე, იესე იყო ჩვენი საქმე. გადმოიარა ერთმა კაცმა და შევკითხეთ და გადმოგვცხოო.

— ვერ დაეწევი იმასაო?

— რა ვიცი, მოდის აგრეო და ჯანდაბას იყოს იმისი თავიო!— ანთანდილმა სთქვა, რომა:

— შორიახლო წავყვე და მივიდე, ვიპოვნო ბოლოს!—წახყვა შორიახლო. როიცა რო ერთი გამოქვაბულში შევიდა ისა, ეს დაიმალა. შევიდა, პური სჭამა. გამოვიდა კარში. შეჯდა ცხენზე და დაიწყო ტირილი. კიდო წავიდა. ამან სთქვა, რო:

— თუ ვიპოვე, თორემ ჩემზე სიცოცხლე ჰალალიაო.—წავიდა ის ანთანდილი. შევიდა იმ გამოქვაბულში. იმას ერთი გამზდელი ხყავდა ძიძათ. ამან მაშივე გამოაქჯნა, რო:

— რათ მობრუნდა ჩვენი ამირანი?—გამოვიდა, დაიწყო წრიპინი:

— ამირან, ამირან, ტერი მოვიდა!—ამირანმა გასწია, წავიდა. ვერც იმის ხმაურობა ვერ გაიგო. ანთანდილმა მიახურა პირზეგან პირი და აღარ დააყვირა. უთხრა:

— შენ დედა და მე შვილიო! მე მაგისთუნ მოველიო; ეგ რა კაციაო, გამაგებინე მეო. მაგის ვინაობა გამაგებიეო. მაგას რა დარდი აქ, რო აგრე რო ტირისო?

— რა დარდი უნა ქონდეს იესე, იესე, თავისი საყვარელი დაჰკარგა, თავისი მზეო და ტირისო.

— არ შეიძლება, რო გამაცნო ისა?

— რა ვიცი, როგორ გაგაცნო?—რახანსაც გულში ამოუვლის თავის მზისა, იმხანშივე გულს წაუვა ამირანსა.

— უფრო სჯობია, რო თითონ გელაპარაკოვო.

— როდის უნდა გამაცნო?

— მუა, სამ თვემდი მუაო!

— კარქი, დაუცდი!—ამის ძებნაშიგან ორი წელიწადი გავიდა. ერთიც ვნახოთ, რო მოვიდა, ეს კაცი დამალა ერთ კინჭულში.

— შენ, ამირან, დადიხარ, დადიხარ, აიხურხან (ტყვილად) დადიხარო, ვერ იპოვნე მზეო? მოდიო, ერთი ამხანიკი ვინმე გაიჩინეო, კარგი ამხანიკიო!

— რათ მინდა ამხანიკი, წინ ვერავინ დამიდგებაო! სად იქნება ჩემნაირი გმირი კაცი, რო ჩემთან ამხანაკობა გასწიოსო.

— არის იმრაინი გმირი კაციო, რო მოგიყვანოო, ხო ხმას არ გასცემო?

— ხელს მოუჭერ და თუ გამიძლო, იქნება გმირი.

— აპა,— დაუძახა, — გამოდი ანთანდილო!—აპა, ჩამოართვეს ხელი ერთმანეთსა და უთხრეს, რო:

— ჩვენი ახალი შეხვედრა კეთილად იყოსო! რაც გულის დარდი გაქსო, ისაც აგისრულოო?—აპა, გაიცნეს ამათ პატიოსნათ ერთმანეთი. დაიწყო ლაპარაკი ამირანმა და წყალიც მოატავინა, როიცა რო თავი

მზეს ახსენებდა, სიყვარულით კვდებოდა, დაიწყო ამ ამირანმა ლაპარაკი.

— ჩემო მზე,—ახსენა თუ არა, გული წაუვიდა. ერთი საათი გასწია, ძლივ გამოაცოცხლა ანთანდილმა. გააგებინა ყველა ამბავები და უთხრა ანთანდილმა:

— სამი თვე სროკი მომეცი, მე გიპოვნი შენ მზესაო!—ადგა და წავიდნენ. ერთმანეთ გადაჰკოცნეს.

— ალლა, ამანათ ეტიუხ სიზი, დუა და ნენუთმა; ბიზი, ჰალბათ საღ-საღ გენა ბურჟუანებ ბირბისიმეზი!—ადგა და წავიდა, ცოტა იარა, ბევრი იარა ამ კაცმა, გავიდა სხვათა სახენწიფოში. იყიდა იმრაინი რამიები, ამან ვაჭრობა დაიწყო. ძალიან მშვენიერი კაცი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ერთმა ბეზირგანის ცოლმა ამ ბიჭზე თვალი დაიჭირა. ამან თქვა, რომა:

— ამასთან უნა გავატარო დროება!—ღამე დარჩა იმასთან.

— აპა,—უთხრა,—ილაპარაკე! მე მინდა შენი თავი ვალაპარაკო. ბეზირგანის ცოლო, მე რას დარდი მაქ, აი ეს უნა გავიგო აუცილებლათ და ვიპოვნო ამირანის მზეო!—ამან უთხრა, რომა:

— იცი, მე წუხელსაო ვნახეო? ამ ერთი დღის წინათაო! ფერიებს დაჰქონდნენ ერთი კუბოო, ამოიყვანდნენ გოგოსა და ისევ შიგ ჩააწვენდნენო და ზღვი პირად ერთი სახლია. იმაში ჰქონდნენო. ამათაო წავართვი მეო, ეს გოგოვო, მოვიყვანეო, სახში მყავდაო. სახში რო მყავდაო, გაიგესო და ჩვენ სახემწიფომ წამართვაო. ამ გოგოსაო დააყენეს ორმოცი ხალიაელიო, მაინც არ დადგა იმათთანაო და ღამე გემიეპარაო! რომ ღამე ჩამოიარა, იტყვი, რო ელექტრონი ანთიაო, იმრაინი სინათლე ქონდაო, სილამაზითაო. მოვიდაო და თვითონაო შალფი დამიტვია მეო. მერეო დაიჭირეს ქაჯეთის ხენმწიფემაო და იქნება ის გოგო იქაო!

— აპა, რით გავიგოთ, რო იქნებაო?

— მე მყავს იმრაიინი ფერიები, რო წავლენ და ამბავს მოიტანებენო.

—იმ ამბავის მოტანაში სამი თვე გასწია. ამ სამ თვემდე ამბავი მიუტანეს, რომ:

— ჩემი მოსვლა ტყვილია იმრაინ ციხეში ვარ, რომ მე ვერ დამიხსნით თქვენაო, ზღვი შუა ვდგავარო!—მაშინ ყველა ამბავები გაიგო. ამის ძებნამა უეე სამი თვე შეასრულა. ნიშნად შალფი წაუღო, რომელიც იყო ამირანის საჩუქარი. ადგა, მივიდა ამირანთან. ამირანს უთხრა, რო:

— ვიპოვე, მაგრამ გამოყვანა არი ძნელი!—ადგნენ ესენი, წამოვიდნენ სხვათა სახენწიფოში კიდე. იქაც დაჰპირდნენ, რო ძმიები გაყრილან და მოსდევან დასაჭერადა. სუ ჯარი გაუწყვეტიან მისი და ამ კაცებმა თქვეს, რო:

— რა ამბავია?—დაიჭირეს ეს კაცი.

— აპა, რა მოხდა, რაზე მორბიხარ?

— რა უნდა იყოს? ასე იყო ჩემი საქმე, ჩემი ძმამ მემერია და ჯარი გამიწყვიტა და ჩემ მოსაკლევათ მოდისო. იმრაინი ცხენიც ყავს იმას, რო ჰაერიდან ფრინამს.—უთხრა:

— დავბრუნდეთ, ვნახოთ!—დაბრუნდნენ და აათხრეს იმის სახენწიფო. გახდნენ ეს სამი აფხანიკი. ეს ცხენი აჩუქა ამირანსა. მოვიდნენ ოთახში, ამირანის სადგომ სახში, რომელიც იყო მაღარა (მაღარო). დაიწყეს სმა-ჭამა. უთხრეს რო:

— მე რაც მოვსულვარ აქა, ერთი ადლი კლიტე ადევს და არ გამიღია. ვნახოთ, რა იქნება?—გააღეს კლიტე, გახსნეს ერთი სუნდუკი, რომა ზედ აწერია, რომ „ეს სუნდუკი არ გახსნას, ვირამ ქაჯეთის ხენწიფის ომი არ მოხდეს“. ამათ გახსნეს, რო:

— ზათი იმათზეთ მივდივართ ჩვენ საომრათა!—რას გახსნიან, შიგ იარაღი არი. ამოიღეს სამი ზილხისტანი და თან ხმლიები არი. მაგრამ სწორეთ ესენიც არიან გმირები. ახსენეს ღმერთი და წავიდნენ, ანთანდილმა უთხრა, რო:

— მოიცათ, კიდო აქ იყავით თქვენ, ამირანო! მე წავალ ჩემ მზესთან, მოვიტანო ამბავი, რო სამი წელიწადი არი წამოველი. იმათ ჩემი აღარც კარქი იციან, აღარც გონჯი. ფიც გაძლევ, რომა ვირან შენ მზეს არ ჩაგაბრი, მე ჩემი გზის პირი არ ვიხილოვო. მივალ, ამბავს მიუტან, შენ ყველაფერ დარდებსა გავაგებინებ და ამოალო!—ადგა და წავიდა. მივიდა თავის მზესთან ანთანდილი. ძალიან გაუკვირდენ, რო სამი წელიწადი წავიდა და ცოცხალი მოვიდა.

— აპა,—ხენწიფე ებნევა,—ქორწილი უნა ვქნათ, ახლა!—ანთანდილმა ვერ გაუბედა. უთხრა კარისკაცებს, რომ:

— მე კიდო უნდა წავიდე და მუალ მალე. ძალიან დიდი ფიცი მიმიცია, თუ მზეს არ ჩავაბარო, მე ვერ ვიზამ ქორწილსაო!—ხენწიფე ძალიან გაჯავრდა, რომ არ შეიძლება. ეს უჩუმრათ გიეპარა. წავიდა ამირანთან. მივიდა ამირანთან და წამოვიდნენ საომარათა. დადგნენ სუნთელი ზღვიპირასა. ამათ დაიწყეს თათბირი. ამ ხენწიფემ უთხრა, რომა:

— თოკი რო გავაწვდინოთო, ამ ზღვაზეო გავალთო!—ამირანმა:

— ა, თოკი რო გასჭრანო და ხო დავიხჩვებითო?—მეორემ ითათბირა, რომა:

— ჩვენ ასე ვქნათ, ცხენებზე შევაჟდეთ და გავიდეთო შღვაშიგან.—იმანაც უთხრა, რომ:

— ცხენები არ იქნებაო,—ტალღებით დაახჩობენ ცხენებსაო.

— ამირანმა ითათბირა:—გავიხადოთ ტანი, სულ ტიტველა გავალთ ამ ზღვაშიგანაო.—ამ სამივეს თათბირშიგან კიდო ხემწიფის თათბირჩა აჯობა.

— აბა, უცეფ გავიდეთ ადრე მამლიყივილისა. თავს დაეესხათ ქაჯებსა. სამი კარი აქო. სამივემ თითო თითო კარი უნდა დავიჭიროთო, იმოტოლი ვეცადოთ, კარებშიგნიდან შევიდეთო, ვირამ გაიგონ ჯარმა ერთიანო.—ადგნენ ამ თათბირზეგან, თოკზეგან გაჲარეს სუნთელმა. დაიძახეს:

— ჲალლაბალამ!—შეცვივდნენ სამივე შიგა. იმრაინი ჩხუბი გასწიეს, თითომ მოჰკლა ცხრაათასი. ამირანმა სამი იმდენი. იმრაინი სისხლი ადგა, რო ბევრი სისხლმა დაახრჩო. ერთი დიდი წყალივით მოდიოდა. ანთანდილი და ხენწიფე შეხვდნენ ერთმანეთს. ამირანი იქ არ არი. ავიდნენ ციხის კარებთანა, შევიდნენ, რო ამირანი მზესთან გადახრული ძის. ამით ერთმანეთის სიყვარულშიგან ამათ პირი დაარიგეს. როიცა რო მორჩნენ, გამოვიდნენ, ადგნენ, წამოვიდნენ. მორჩნენ სუყველაფერსა. წავიდნენ ანთანდილის სახემწიფოში. შიამოწმეს იქ, რომ ანთანდილს და ხენწიფეს მიეკლენ ცხრაათასათასი. ამირანს მიეკლა ოცდაჩვიდმეტი ათასი კაცი. დასწერეს ჯვარი ანთანდილსაც. იმათაც ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი უყვეს. ახლა დარიგდნენ ყველა თავის სახენწიფოში. ამირანმა ჩავიდა, ბიძა მოჰკლა. დაჲდა სახემწიფოთ... ერთი ცხენი, სამი კვიცი, მაგის მეტი აღარ ვიცი!...

151

სამი კაცი წასულან ტყიებჩი სასიაურულოთ. დაღამებიათ, გაწვიმებულა. მისულან, ერთ კლდე ქვეშ შესულან. ერთი რო უწვიმნიან და უწვიმნიან, ეს კლდე გადმობრუნებულა... ესენი შიგ მოქცევიან. კარი არა აქ, ერდო არა აქ და ესენი მონჭყვრევიან შიგ კლდეში. მოშივნიან ამ კაცებს. უთქვიათ, რომა, ახლა ჩვენ რა ვქნათ, ამ კლდეს ვერ გავხვრიტამთ, ვერ გადავაბრუნემთო. მემრე ერთ უთქვია, რომ რა ვქნათ, ჩონ თითო სიტყვა ვილაპარაკოთ და ისე, რო მართალი სიტყვიები იყოს. ჩონ თუ ბრუდე ვილაპარაკეთ, ჩონ აქ გავსწყდებით შიერი, მაგრამ თუ სწორი ვილაპარაკეთ, ჩონ ღმერთი მოგვარჩენს. დაიწყეს ამათ. ჯერ პირველმა დაბაშლა, მამიგდეთ კარქა ყურიო. ამან თქვა:—ო. მეო ერთ დროებაში კაი დროება მქონდაო. მეო ბოსტანი მქონდაო დათესილიო, ყარფუზიო, ყაუხიო. ვამუშავენდი დღიურათ ხალხსაო, დღეჩი ვაძლენდი თუმანსაო. შუადღე რო გახდა, ერთი კაცი მოვიდაო, რო მეც ნა მამუშაო დღიურათაო. მე უთხარი, რომა გამუშავებ, მაგრა 5 მანათ მოქცემ (ნახევარ დღიურს). მუშამ თქვა. თუმანი ნა მამცე მეო. მე უთხარი, არ შემიძლიაო, 5 მანათ მეტ ვერ მოქცემო. მემრე უთხრა, შენ თუმანი გინდ მამცე, გინდ არ მამცე, მე ნა მაინც ვიმუშაო თუმნათაო, და დაიწყო მუშაობაო. წავიდა ამ კაცმა, საღამიენდი იმუშავა. საღამოზე მოვიდნენ, ჯამაგირი დაურიგა ყველასა. მოვიდა ახლა ეს კაცი, რომელიც რო შუადღის მერე იმუშავა. იმან თუმან ნაკლებ არა

ქნა. ამანაც თუმანი არ მისცა. გაიარა და წავიდა ამ კაცმაო. ეს კაცი წავიდაო. მუშაც დაიფანტაო. მეც მივედიო სახჩიო და ჩემ ქალ უთხარი, რომა, რო დღეს ერთი კაცი მოვიდა და ასრე იქნა. მემრე ქალმა უთხრა: შენაო მანდაო დაგიშავებია საქმეო. რა იქნებოდა, რო მითვინაც თუმანი მაგეცაო. მერმე კაცმა უთხრა, რო შევცდიო. მერმე ქალმა უთხრა, რო ევ თუმანი მე მამეცი, იმ კაც შეუნახო, როდცაც რომ მუა ის კაცი, მივცემო. ეს კაცი არ მოვიდა. ეს ფული ამ ქალთან დარჩა. ერთი დღეცა, თურმე ერთი კრავი იყიდება სოფელჩი. ამ ქალმა იყიდა ეს კრავი თუმნათ და შეინახა. ეს კრავი ცხვარი გახდა. მოიგო, მემრე ამ ცხვარმა დაიწყო. ყველა წელიწად ტყუპები მოიგო. ამ ცხვარიდან მოჯოკდა, ავიდა ას სულზე. ერთ დღეს ეს კაცი მოვიდა. მე დამიძახეს, მიველი. მითხრა, რო, კაცო, მამე ჩემი თუმანი. მეც უთხარი, რო შენი ხუთი მანათია, შუადღეზე დაიწყე მუშაობა. იმან კიდო თქვა, რო არა, ჩემი თუმანი უნდა მამცე. უთხარი, რო ცოტა მამიცადე, სახში მივიდე და მოვიდე. ერთიც მიველი, ქალს უთხარი, რო თუმნის პატრონი მოვიდა. ქალმა მითხრა, რო მიიყვან და ას სულ ცხვარ ჩააპრი იმ კაც, რო იმ კაცის დღიურია. ჩაველი და იმ კაც უთხარი, რო შენი ფული ას ცხვარზე ავიდა და სულ უნა ჩაგაბარო, მოდი, ბაბა, ჩაიბარე. გაუძეხი ამ კაც და გამუურეკე ე ცხვარი, ამ კაცმა მახვდაო, რომ ნანდვილათ ეს ცხვარი ჩამაბარაო და მემრე მითხრა, რო ეს ასი სული ხო ჩემი გახდა, ის დღიურიც ხო ჩემი იყოო. ეხლა ეს შენთვინ უკანვე ჩამიბრიაო. ჰალალი მიქნიაო.

აშის მერე ეს კაცი ყაიბი გახდაო. მიველიო და ჩემ ქალ უთხარი, ასე და ასე მოხდაო. ქალმა თქვაო, რო აი, ანგრე უნა მოახერხოო, კარქათ უნა მოიქცეო და არაფერი დაგვეკარქებაო და ვიქნებით წორე ხალხიო.

იმ ამხანაკებს უთხრა, რო ეს ჩემი სიტყვა ნანდვილათ თუ მართალი არიო, ამ კდიდან ჩონ ცოოტა შეღავათი მოჯვეცეს და ცოტა სინათლე შემოვიდესო, თუ არა და მაინც ხო უნდა გავწყდეთ და გავწყდეთო. ეს რო თქვა, კდე გაიღო და ცოტა სინათლე შემოვიდა. აჰა, ახლა თქვენ ილაპარაკეთო, მე წორე ვთქვი და სინათლე შემოვიდაო.

ახლა მიერომ დაბაშლა: მეო ერთჯერათო კაჲ დრუება მქონდაო, პური ბევრი მქონდაო, ამბრები გატენილი მქონდაო პურითაო, ყველას დიელეოდაო, მე არ დამელეოდაო. ერთი წელიჭადი და შინშილობა ჩამოვარდაო. დიელია ხალხს პური, დარჩა შიერი. მოვიდნენ ჩემთანაო, პური ნა მოქვცეო. მივეციო, ზოგ მივეცი ერთი კოდიო, ზოგ მეტიო. გავჰყევი ასე, დავარიგეო, ერთი კაციც მოვიდაო და პური მამთხვიაო. მე ვიცოდი, რო ამ კაცსაო ლამაზი ქალი ჰყანდაო, უთხარი, წადი და ქალი გამომიგზავნეო, შენ არ მოქცემო. მოვიდა ქალი პურითვინაო. მე უთხარიო, თუ შჺნ ჩემთან არ დაწექი ერთი კვირაო, პურს

ვერ მოქცემო. ქალმა თქვა, რო ეგაო, კაჲ საქმე არ არიო. მაგაჩიო ღმერთი ჩონ დაგვენდურებაო, გაიარა და წავიდა ამ ქალმაო. თურმელ მივიდა ქალმა და ქმარს უთხრა, რომ გონჯ საქმეზე დააბა საქმეო.

თუ ეს ჩემი სიტყვა მართალი არი, ღმერთმა იმდენი გაადიდოს კდე, კაჲ სინათლე შემოვიდეს ამ კდეჩიო. მაშინ კდე დაინქრა და ეემოდენი დოლაბი გაიღო, მარა კაცი ვერ გიეტევა. დაიწყო მესამემ: მეო მამა მომიკვდაო, მამას ვერ მოვესწარიო, დედას მევესწარიო. ერთი დღე დედაჩემმა მითხრა, რომა, შვილო. ერთი წყალი მამამშვდინეო... ერთი ცივი წყალი იყო. ძრიელ შორს იყო. იმ წყალზე გავიქეციო. ის წყალი მოვიტანეო. მოველი, რო დედაჩემს დასძინებიაო, დავრჩი ზეზეურათაო, დედაჩემმა არ გაიღვიძაო, კაჲ ხანი ვიდექიო. ერთიც. დედაჩემ გამიეღვიძა, აიღო წყალი და დალიაო, მემრე მითხრა, რო, შვილო, მე ბევრ არაფერ გეტყვიო, თუ ერთ დროსაო შენ სინწუხარეში ჩავარდიო, იმ დღეს გიშველოს ღმერთმაო. მე ამის მერე გულჩი მქონდა ეს სიტყვაო. ვნახოთ, მართლა ნა მამარჩინოს იეხლა დედაჩემის დალოცვამაო, ახლაცაო დრო არიო. და თუ ეს სიტყვა მართალიაო, გაიღოს ეს კდე და გავიდეთ სალამათათაო.

მაშინ გადაბრუნდა კდე და სამნივე მორჩნენ იმ ემეს... იმ სინწუხარეს და თავისუფალი გახდნენ.

### (ჯავახური)

### 152

იყო და არა იყო, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ამ გლეხს ყამდა ცოლი და სამიც ქალიშვილი. ეს ცოლი მუუკვდა და გოგუებ დედინაცვალი მოუყვანა. კაცი თუთან მებადური იყო. ამ კაც მეორე ქალიზგან ვაჟი გაუჩდა. ეს ვაჟიც თან ატარებდა სათევზაოთ. ერთხელ ეს ბიჭი მტკვარში გადავარდა თევზის ჭერის დროს და დაიხჩო...

ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს. მოდი, გოგოები ჩავყაროთ ორმოშიო. მიტომაო, რომაო ჩვენ ხუთ გირვანქა თევზ ვიჭერთ, ესენი კი სამ გირვანქას შჭამენო, ამათ რომ მოვიშორებთ, ამ სამ გირვანქასაც გავყიდით. ახლა ქმარმა უთხრა. რაგორ ჩავყაროთ ორმოშიო. და ასე მოიგონეს: ამოთხარეს ორმო, ზედ ფიჩვი გადაახურეს და ვაშლები დაყარეს. როდესაც გოგოები ხედ შედგნენ ვაშლის ასაკრებად, ისინი ჩავარდნენ ორმოში. მამამისმა დიდი ქვა დაახურა ორმოს. ამ გოგოებმა იფიქრეს, ჩვენ ველარ ავალთ ზეითაო და დაიწყეს მიწის თხრა, საჭმელი ვიმოვოთო. ჯერ დიდმა დამ დაიწყო თხრა. ერთი ასტამი იპოვნეს და ერთიც თხილი. ამ თხილის გული გაიყეს სამათ. შემდეგ შუათანა დამ დაიწყო თხრა. იპოვნა ვაშლი, ესეც გაჰყვეს სამათ. ახლა პატარა დაზე მოვიდა სირა. ამანაც დაიწყო თხრა. პატარა დამ სულ ვერაფერი

იპოვა. უთხრეს დებმა: მოდი, ნეკი მოგაჭრათ და შევჭამოთო. პატარა დამ უთხრა, ჩემი ნეკით რა უნდა გაძღეთ. ცოტა კიდევ მოიცადეთ, მოვთხაროო. ბევრი თხარა, თუ ცოტა თხარა, ისიც ღმერთმა იცის, მიაგნო ერთი ცხენის ბაგას. იქ ბატონის ცხენი ება და ხურმა—ქიშმიშს აჭმევდნენ. გადაყო ხელი, გადმოიტანა ესენი და აჭამა დებს. ასე ერთ კვირას აჭმევდა. ბატონი უჯავრდებოდა ვეზირს: ამდენს უყრი ცხენს და მაინც შიერია, შენ ხო არ იპარამო? ვეზირმა დაუყარა ბევრი და დაინახა, ვეღაცამ გადმოყო ხელი და წაიღო ცხენის საჭმელი. ვეზირმა წაავლო ხელი და დაუძახა: ვინა ხარ შენა, ადამიანი ხარ თუ ქაჯი ხარ, აქ მიწაში რა გინდაო. ჩვენ არც ქაჯები ვართ და არც არაფერი. ჩვენ ადამიანები ვართო. აბა, გადმოდითო, და ეს დები გადმოვიდნენ. ვეზირმა ესენი ხემწიფესთან წაიყვანა და უთხრა, აგერა, ქურდებიო. ქალებმა უამბეს ყველაფერი თავიანთი თავგადასავალი. ხემწიფემ უთხრა ამ დიებს: რა შეგიძლიათ გააკეთოთო. დიდ დამ უთხრა, ისეთ ხალიჩას მოვქსოვო, რო შენი თელი ჯარი დაეტიოსო და ნახევარიც ზედ დარჩესო. შუათანა დამ უთხრა, ისეთ საჭმელ გავაკეთამო, რო შენ ჯარს ეყოს და ნახევარიც დარჩესო. პატარამ უთხრა, მე არაფერი შემიძლია გავაკეთო, ხოლოთ ოქროს ქოჩრიანი შვილები მეყოლებაო. ეს და ხემწიფემ თითონ შეირთო. დიდ დას ხემწიფემ ყველაფერი მისცა საჭირო, რაც იყო ხალიჩისათვის, ამან მაშინ უთხრა, ვერ მოვქსოვ ხალიჩასაო, ადგა და გააგდო. შუათანამაც ვერ გააკეთა საჭმელი და ისიც მიაყოლა. პატარა და დასალოგინებელი გახდა და ეს გაიგეს დიებმა და ამათ იცოდნენ, რო ოქროს ქოჩრიანი შვილები ეყოლებოდა ამ დას და ჯაზი ბებერი ჩააგდეს შუაში, რო ძაღლი ლეკვები შეუყაროს და ოქროს ქოჩრიანი შვილები გამოაცალოს. როდესაც ეყოლა შვილები პატარა დას, ამ ბებერმა გამოაცალა ეს შვილები, კალთაში გაიხვია და ლეკვები შეუყარა. შვილები იაშიკში ჩასვა და გადააგდო წყალში, მერე წავიდა და ბატონს მოახსენა, თქვენ პატიოსან ქალს ძაღლი ლეკვები ეყოლაო. მაშინ უთხრა ხემწიფემ ვეზირებს: წაიყვანეთ ეს ქალი და შუა გზაზე ჩაჰკიდეთო ორმოში, რომ გამვლელმა აფურთხოს და გამომვლელმაო. ეს ქალიც წაიყვანეს და ასე მოიქცნენ. ეს ლეკვები გაიზარდნენ და ყოველდღე პურს უზიდენდნენ და აჭმევდნენ ამ ქალ.

ახლა იმ ბიჭებთან გადავიდეთ. წყალში რო ჩააგდო იაშიკი, დევმა დაინახა ოქრო ეგონა და გამოიტანა, ნახა რო ოქროს ქოჩრიანი ბიჭები იყვნენ, წაიყვანა სახში და აღზარდა თავეთ ენაზე. როცა რვა წლისა გახდნენ, მიაბარა შკოლაში. ერთ დღესაც და აღარ წავიდა, ძმა კი წავიდა, დას გული აუცრუვდა. დევმა უთხრა, რათ არ წახველიო, შენაო ადამიანის რძე არ გიწოვიაო? მაშინ გოგომ თქვა: მე აქაური არა ვყოფილვარო და დაიწყო ტირილი. ტიროდა, სანამ ძმა მოვიდოდა. ძმა რო მოვიდა, ჰკითხა რათ ტირიხა რო, ჩემო დავოო. დამ უთხრა,

დედამ ასე, ასე მითხრაო, ძმაც გადაეხვია და იმანაც ტირილი მორთო. მოვიდა მამამისი ნადირობიდან და უთხრა: რა დეგემართათო. ბიჭმა:—მე აქ აღარ დამედგომებაო უნდა წავიდეო. მამამისმაც გამოაწყო იარაღით, თავისი სინორი გამოაცილა და გაუშვა. ძმამ დაც თან წაიყვანა.

ესენი წამოვიდნენ და მოვიდნენ ხემწიფის სასახლესთან. იქ ერთი ფურნე იყო, ბიჭი იქ აიტუზა, და კი იქვე ქოხში დამალა. თითონ მივიდა მეფურნესთან და ხელი გაუშვირა, ბიჭი დეურ ენაზე ლაპარაკობდა და ესენი კი—ქართულათ. მეფურნემ პური მისცა და ასე რამდენიმე ხანს აჭმევდა პურს. შემდეგ მეფურნემ თქვა—მივცემ და თან გავყვები, ვნახოთ, სად წაიღებსო. ასეც მოიქცა. მივიდა და ნახა, რო და-ძმა ქოხში პურ ჭამდნენ, დაუჭირა ხელიდან და წამოიყვანა თავი სახში, ორივეს ქართული ენა ასწავლა. ერთხელ ბატონის მეძებრები მოდიოდნენ და ბიჭმა ხელი წაატანა დასაჭერათ, მეფურნემ უთხრა, გაუშვი ხელი, ეგ ხემწიფისაო. თუ ძალიან გინდა, მე მოგიყვანო. მეორე დღეს მართლა უყიდა მეძებრები და მოუყვანა, მისცა ცხენი და იარაღი და გაგზანა სანადიროთ ბატონიშვილთან ერთად. დიებმა გაიგეს, რომ ამ ჩვენი დისშვილები მოსულანო და შეშურდნენ. ისევ ჯაზინანა ჩააგდეს. წავიდა ეს ჯაზინანა იმ ბიჭის დასთან და უთხრა: შვილო, შენ მაგნაირი ქალი ხარო, შენნაირი ქალები არიან, რო ქალაღა აქთო და შენ რაღა ნაკლები ხარო. გოგომ ტირილი დაიწყო. ძმა მოვიდა და კითხა: რაზე ტირიხარო. დამ უთხრა: ერთი ქალაღა მინდაო და ისეთ ადგილ არი ცხრა კარი უნდა გაიაროო კარჭი ცხენითაო. ბიჭი წავიდა ქალაღას საშოვნელად, შეხვდა ერთი მოხუცი კაცი და უთხრა, შვილო, სად მიდიხარო, ბიჭმა უთხრა: ესე ესეთი ქალაღა უნდა მოვიტანოვო და რას მასწავლიო. კაცმა უთხრა: წადი ამა და ამ ადგილასა, კარი გააღე, იქ რაშია, თუ იმ რაშს გამოიყვან, ხოლოთ მაშინ შეგიძლია ქალაღა იშოვნოო. წავიდა ბიჭი, გააღო კარები, დაინახა კარგი რაში, ისე რო ფშვინამს და თელ სახლ ანძრევს. მოსდო აღვირი, შეჯდა და წამოვიდა. რაში გეექანა ცაში, უნდა მიეცხო ბიჭი, მუცელზე მეექცა, ძირ უნდა დეეცხო, გვერძე მოექცა, მარჯვენა მხარეს უნდა მიეცხო, მარცხნივ მეექცა. როგორც მარცხენა გვერძე უნდა მიეცხო, ისევ ზურგზე მეექცა. მაშინ რაშმა უთხრა: ჰეი, ადამიანიშვილო, ჩამოდი, დედაჩემის რძე ჩემზე ჰარამი იყოს, თუ შენ რამე გიყო! ბიჭი ჩამოვიდა და რაში მოიყვანა ამ ბებერ კაცთან. ამან უთხრა, წადი, ახლა გაემგზავრეო. ბიჭი წავიდა და მივიდა იმ კარებზე, სადაც ქალაღა იყო. პირველ კარებს რო შეივლის, იქ დიდი ხე უნდა გადმოწვეს და დეეცეს. რაშმა უთხრა, ერთი ისეთი მათრახი უნდა გადმომცხო, რო ერთი ზოლი ტყავი ამძვრესო. ბიჭმაც ასეთი მათრახი გადაარტყა და მართლაც რო ცხენმა შეასწრო. მეორე კარებები თავისუფლად შეიარა, მეცხრე კარებთან რომ მივიდა, ნახა რკინებია დასობილი, მიდის

და მოდის, ერთმანეთს ეხახუნება, ისე რო ცხენსაც და კაცსაც სულ დაფანტავს. აქაც ცხენს ისეთი მათრალი დასცხო ბიჭმა, რო ერთი ზოლი ასწვრა, შეიარა და შევიდა. ნახა, ქალალა ზეიდან ეკიდა, ჩამოუღო და მოუტანა დას. არ დაკმაყოფილდა. დიებმა რო გაიგეს ეს ამბავი, ახლა კიდე ჩააგდეს ერთი ბებერი შუაში. მეორე დღისით ე რო მოვიდა, ძმა, ნახა რო ისე ტირის, რო ღმერთმა დაიფაროს! თურმე უთხრა ბებერმა ამ ქალს. ერთ ადგილას სამი ვაშლია, ისინი რო შეჭამოო, სიბერის დროსაო თხუთმეტი წლისა იქნებით მუდამო. ძმა შიეკითხა, რატომ ტირიხარო, ამა და ამ ადგილს ისეთი ვაშლებია, რო ისინი რო მოიტანო, ასი წლისაც რო გავხდეთ, მაინც თხუთმეტი წლისა ვიქნებითო ორივეო. ადგა და ბიჭი წავიდა. შეხვდა გზაზე ისევ ის ბებერი კაცი და უთხრა: რატომ მიდიხარო. კიდევ ჯაზინანა გაგჩენია შუაში, მოდი დაბრუნდიო, ბიჭმა არ ქნა. მაშ, წადი შვილო, ზეიდან (ცხრა ატაჟიან სახლიდან) ჩამოიტანეო ორმოცი ფუთი ბამბა და ორმოცი ფუთიც ღვინო. თუ ჩამოიტან, იმ ვაშლებსაც მოიტანო. ბიჭი ადგა წავიდა და ჩამოიტანა. მაშინ უთხრა ბებერ კაცმა, მაშ წადიო და მოიტანეო. ბიჭი წავიდა, შეუდგა ისეთ თავალას, რო სულ პირიანი კლდიებია, როგორც დანა. ბიჭი სულ დაიჭრა ტანიდან, პირიდან, მაგრამ მაინც ავიდა ზეით. პატარა ხანს დაიძინა, მერე მოსწყვიტა ვაშლები, ჩაიწყო ჯიბეში. რო წასვლას აპირებდა, ერთიც გველმა დაისისინა და დაინახა, რომ ვაშლები აღარ არის. გველი წამოვიდა ბიჭის შესაჭმელათ. რო წამოვიდა, მაგ დროს ბიჭმა შვილდისარი ესროლა პირში, მოხვდა, ბოლოში გავიდა და შუაზე გააპო. ბიჭმა ვაშლები წამოიღო და ბებერ კაცთან ჩამოვიდა. მერე მოუტანა თავის დას ვაშლები. მერე ხემწიფე ყველაფერს გაიგებს, ამ დიების ბოროტობასაც. ამათ დაშჯის ხემწიფე, პატარა დას მოაყვაინებს და შვილებთან ერთად იცხოვრებენ ბედნიერათ...

# რაჭული

**(მთარაჭული)**

153

დაიბარა როსტომი ერთხელ ახაზ ქექაოზ ნეფემა. წავიდა და ცოლი ჰყვა ორკეცადა როსტომსა. დაუბარა ქალსა:

— ვიცი, ბიჭი გამომიშთება და ზურაბ დაარქვიო. შეჰკაზმე კარგადო და სამძღვრამდინ მოჰყევ და ასწავლე გზაო. წინა უკვანას წახთასა ვარდი უყვავის, ოქროს ბურთი შეაბიო ტახტარსაო!

გამოუშთა ვაჟაჲ და ერთის წლისა რო გონია, სამის წლისა არის, ისე იზდება. ღვთის ნაწილია პირდაპირ. შეჰკაზმა და შესვა ცხენზედა და ბურთი შეაბა, გაჰყვა მეუხნარამდინ და—ამ გზას მიჰყევიო!—დაუბარა...

მიდის და მიდის და ერთი კუდური შემოეყარა.

— ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო. — არ უგდო ყური ამ ზურაბმა... იარა, იარა და კიდე შემოხვდა.

— ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო...— არც ახლა უგდო ყური. განაგრძო სვლა. ამ დროს საცღეიდან კიდე ამოტანტარდა ე კუდური და კიდო ისე წეენახშა:

— ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო...— გამჯავრდა ზურაბი, აიცალა ე ბურთი და ჩაიდო ჯიბეში. გაიარა და მიაწია მამამისი სადაცაა. მიაწია და კარავი ნახა და მოემშია და პური ითხოვა.

— რათ გინდა პურიო, მინდორსა დია ზის ნადირი, მოკალ და ჰამეო...— წაიარა და მოკლა ნადირი და მიაწია ბინაზედა. დაანთო ცეცხლი, გაკრა ირემსა, გასტყავა და გაიკეთა ვახშამი. გამოიხედა მამამა და მის კარავში ვინმე არის.

— გამიგნეთ, ვინ არის ი თავხედიო.—ჩამოიხედა მოსამსახურემ და ჩამოუნახშა:

— თვალით ტანადო ჯომარდო როსტომიანთა სახისაო!..—გაბრუნდა და მიუტანა ამბავი როსტომსა:

— გაკრავს და სტყავებს ნადირსაო...—აწ შემოუთვალა როსტომმა ამ ჭაბუკსა:

— აქ ამოეო, ახლოს მოდი, ვინცაღ ბძანდებიო.--ზურაბმა კაცსა ხელი ამოჰკრა და ტვინი მიენარცხა. ელის, ელის როსტომი, მარე არა შევიდა, ვინცა გამოგზავნა. აწ მეორე გამოგზავნა და იმასაც ეგეთი

ბედი ეწვია. ახლა მესამე და არც იმას დაადგა კაჲ სანახაობა. გაიგნო როსტომმა — მომიკლა ყმებიო და ჩამოხედა. ვერ იცნო, რა თქმა უნდა. ჩამოუნახშა:

— რა მოხელე იყავ, ჩემს კარავში დგახარო?

— რა და დამაღამდა და დავდეგო... — შეჰპირდეს: დილას უნდა იჰიდნეს მამაშვილნი, უნდა იომონ. როსტომი მოხუცებული არის. უთხრა დილლაზედ ყმაწვილმა როსტომსა:

— ბერო კაცო, ნუ შევიბით.
გული რასმე მეეჯებაო,
დედიჩეჰის დაბარება
ყველა რასმე მენიშნებაო (არა ქნა როსტომმა).
— დღეს შევპირდით ერთმანერთისა ძგერასა.
გვერჩია გადაგვეწყვიტონ,
ერთი ველოდეთ შველასაო...

აგრე მიულექსეს. ეს როსტომი აწე წასულა და დაუჰედია ალმასი და მუხლის თავებზე დაუკრავს... იჰიდნეს ახლა ამათი. ატყობს როსტომი—ერევა მოყმე. უქნია, დასცა როსტომი და ნებითაც წავიდა. ამოუქნია მუხლები და გახია შვაზე შვილი, ჰკარა მუცელში.

— შენ ბერო კაცოო, რათ მომკალო,
ხრმალი რათ მომე ვადამდინაო?
ი მამაჩემსა როსტომსა მაგრამ წაუხვალ სადამდინაო?
ზღვას ჩახვალ--ზღვას ჩამოგყვება და
ხმელეთზე არსა დაგტოვებსაო.
— ვაჲ მამაშენსა როსტომსა,
ბრალო დედიშენისაო,
წინა უკ:ანას ტახტასა
ვარდნი რათ არ გიყვავანაო,
მუხნარს რათ არ ჩამოგყვაო?
ეგენიო ყველა მიქნაო, მაგრამ მაცთინა ეშმაკმაო...

ახაზ ქექაოზ ნეფეს შეუთვალა:

— შევაკვდი შენგან დევსაო და წამალი უკვდავებისა გამომიგზავნე, ზურაბ მერჯება ხელსაო!..—გამოაბრუნა კაცი ნეფემა:

— მეო არა რა მაქო!—კიდე შეუთვალა:

— ნუ მაყოვნებო! – ახლაც არ გასცა პასუხი. მესამეთ რომ არ მოუსვენა და გამოუგზავნა ნეფემ დიაკვანის ხელით უკვდავებისა წამალი. დიაკვანს დააბარა:

— რომ დაგინახავს როსტომიო, ჩქარე კაცი არიო და დაგიძახებსო, ჩქარა-ჩქარა წამოეო! შენო წ.იკარ ფეხი და დაეცი და წამალი უკვდავებისა დააქციეო. წამოვიდა ე დიაკვანი და:

— გამოეჩქარეო,—დაუძახა როსტომმა გულგაცხელებულმა.

— რას მოგულავებო?— წაიკრა ჩექმა ერთმანერთზედა ამ წყეულმა და ქვე არ დააქცია წამალი უკვდავებისა?! ამას რო მოავლო თვალი ფიცხელმა ლომა, მივარდა და დაჰკრა წიხლი და მიწაში გაარონია. ახლა ნეფესთან გაეშურა და შეუყვირა:

— წამალიო? ეს შენ მოიქმედეო?! —ნეფე შვილებს აგუნგრუებს მუხლებზედ და როსტომი ეცა და მოჰკიდა ხელი შვილებს და შეუნთხლია თავები.

-- შვილის სიკვდილი თუ კარგია, აჰა, იგემეო!—წავიდა და აკითხვია კითხავს. კითხავმა უთხრა:

— ორმო გააკეთეო და ჩაწე ორივ მამაშვილიო...—გააკეთა ორმო და ჩაწვა შიგა და საჭმელს ღმერთი აძლევდა. შვილიც მიიწვინა და გვერცა ჰყავს. იმოდენა ულმაში შემოუვიდა როსტომსა, რომა თავიდან ფეხებამდინ წვდებოდა. გააკეთა ქიანდური ბალნითა და უკრავს შიგა გულისაკლავადა. აწ ქვეყანა უმბობს:

— რომ როსტომი ამოვიდეს, ვინ ამოიყვანს, ვინ გაუბედავსო?

წამოდგა ერთი ბებერი ქალი-კუდური და:

-- გადამხადეთო სიცოცხლით კარგიო და მე ამოვიყვანო!—მივიდა ე კუდური ქალი და:

— როსტომ, ამოე, წაიარა საურჯულოენმაო!—აღარ გასცა ხმა. გაიარა კიდე და:

— ამოე, როსტომ, წაიარა საურჯულოენმა...—კიდე არ გასცა ხმა... კიდე გაიარა და:

— ამოე, შე შვილის კალიაო!—ჩაუძახა. ესაა ვადაც უთავდება და შვილიც ცოცხლდება. გაბრაზდა და ამოვიდა, გასწყრა, დაჰკრა და ცხრა მხარი დედამიწა გაარონია მიწაში. რაც შეხვდა, აღარ დაზოგა არაფერი, სუ ხოცდა იქაობასა.

ი ვადა რო შეესრულებიონ, ამოვიდოდა. ქვეყანამ სიმტერით უქნა:

— მის შვილს რომ ეცოცხლებიონ, ქვეყანას ამოგვაგდებსო!..

154

იყო ერთი მეკურდღლე და დადიოდა კურდღლებში. მერმე გამოიარა ერთმა კაცმა და უთხრა:—შემიაფხანიკეო!—კარგიო, შეგიაფხანიკებო. მეორე დღეს გამოიარა ხუცესმა. უთხრა:—შემიაფხანიკეთო!—შეიაფხანიკეს. წავიდეს მეკურდღლეები და მეორე კაცი დასტოვეს შინ—ხუცესი.—კურდღელი მოგვიხარჩე და დაგვახვრენდეო, ჩაადგა და მოხარჩა კურდღელი. ქვაბის გადმოღება როდესაც უნდა, ამოჰყო თავი მღევმა მიწიდან და უთხრა ხუცესსა:—მოიტანე ე ხორცი და წვენიო და პირში ჩამასხიო. მოიტანა და ჩაასხა. დარჩა ცალიერი ხუცესი. ამ დროს შემოიტანეს იმათ არჩვი მოკლული. უთხრეს:—რათ არ დაგვახვრენდეო სადილიო?—ხუცესმა ვერაფერი უპასუხა, გაიბუტა და იყო...

მეორე დღეს წავიდეს ხუცესი და მეკურდღლე სანადიროს. მეცხვარე ქვე დასტოვეს—კურდღელი მოგვიხარჩე და დაგვახვრენდეო. ჩაადგა და მოხარშა. ამ დროს ამოჰყო თავი მღევმა და შეუბღვირა—ჩამასხიო პირშიო!—მეცხვარეს შეეშინდა და ჩაასხა. მღევსა ხორცსა და წვენსა რომ ჩაასხმიდეს, თანდათან გრილდებოდა. მოვიდა და უთხრეს:—სადილი რათ არ დაგვახვრენდეო?—ვერაფერი უთხრა და გაიბუტა და იყო.

მესამე დღეს დარჩა თვითონ მეკურდღლე. როდესაც იყო, მოკლეს არჩვი. ჩაადგა მეკურდღლემ კურდღელი და როდესაც იღებს ამ ქვაბსა, ამოჰყო მდევმა თავი. უთხრა:—ჩამასხი პირშიდაო...—ცოტა ამოიწიეო და ჩაგასხამო.—მთლად ამოდიო და ჩაგასხამო,—ბოლოს ეუბნება.—ამოვიდა და ჰკრა (მ)შვილდისარი და გააცივა... მოვიდეს და დაახვრენდა და ამათ უთხრეს:—ჩვენცა მაგისი გვეშინოდაო.

მეკურდღლემ უთხრა ამათა:—ჩაამბითო ხრეშიდაო საბელიო და ჩამიშვით შიგაო... ჩავიდა და შით მზეთუნახავი იყო.

— ქალაო უნდა შეგირთოო!—უთხრა.—მზეთუნახავი არა შვრებოდა, ეს კაცი კი არ ეშმოდა.

— თეთრი და შავი და რუხი ცხვარი გამოივლიანო; თუ რუხს სტაცე ხელიო—შენი ვარო, თუ არა, არაო!...

გამოიარეს და ვერომელსა ვერა სტაცა. არ ებმის მაინც და არა. გაარღვია დედომიწა ამ მზეთუნახავმა და ჩავიდა ქვედა ქვეყანაში... ეგრე მოშივდა მეკურდღლესა, რომ რა ქნას, აღარ იცის. მივიდა ბებიასთან და—მაჭამე პურიო, თორემ აღარა ვარ მეტიო!

დაიწყო პურის ცხობა ბებიამ და გადეებოტა ვარცლზე.

— რას შვრებიო, ბებიაო?

— რა ვქნათო აპაო, ვეშაპსა აქო დაგუბული წყალიო. თითო ჩაფ წყალშიდაო თითო შვილს თუ მიგვრიო, ქვე მიქცემსო, თუ არაო და არ მოქცემსო.

— აპა წამოეო და მასწავლე ვეშაპი საცაღათ არისო!—წავიდა და ასწავლა ვეშაპისკენ გზა... გაუშვა ამ კაცმა შვილდისარი, დაარტყა ვეშაპსა და მოკლა... წამოვიდა წყლები სუ მთლად; გაიგნო ხემწიფემ და:—ვინ არისო ის კაციო, რას ითხოვს საჩუქრადაო?—არაფერს არა ქთხოვო, ხოლოთ ზედა ქვეყანაში ამიყვანეთო...

შემოსვეს არწივზე ე მეკურდღლე და:—საც პირი გააღო არწივმაო, თითო ლუკმა ჩაუდე პირშიდაო, ხვირჯინებში რო გიწყვიაო,—უთხრეს... მიდიან, მიდიან და რომ ააწიეს ეს არის და ცოტაღა უკლია, შემოაკლდა ხორცი. გამოითალა ბილი ბარკალი და მისცა არწივსა. სინამდვინ ავიდოდეს, რომ ავიდეს და გამოესალმენ ერთმანეთსა, ე კაცი მოიკოჭლობდა და ისრ მიდიოდა. ნახა არწივმა,—რა გაკოჭლებსო?

— ხორცი შემომაკლდა და გამოვითალეო და იმითა ვკოჭლობო! მოვიდა ე არწივი, გამოუსვა ფრთე და მოარჩინა ე კაცი... არწივი თავის სახში დაბრუნდა და ის კაცი ქვე წავიდა თავის სახში.

155

იყო ერთი მჭედელი კაცი. ჰყავდა ორი ცოლი: ერთი შავი და მეორე თეთრი. ეს კაცი სულ ამ შავ ქალთანა წვებოდა. ამ თეთრმა უსაყვედურა:—იმასთან ქვე წვები და ჩემთან არაო!—მჭედელმა უთხრა:

— აი იმასო წავიყვან თავის სახთსაო და მერე შენთან დავწვებიო.— წაიყვანა და წაიღო და საპალნეებითა ღვინო! ქალმა ენახშა:—ესო ჩვენი თაეისახთის გზა არ არისო.

— ეს არისო, შენ ულან ქვე შეგეშალაო...—წავიდენ და რომ მივიდენ ერთგან, დაიღალა ქალი და უთხრა:—მოვისვენოთო.—დაიდვა თავი მუხლზე და ქვე დაეძინა. ეს კაცი წამოდგა, მიიტანა ჭრობი ქვა და ის დაუდგა თავქვე. წამოვიდა ეს კაცი და ცხენები წამოიყვანა. გემოეღვიძა ამ ქალს და დაიწყო ტირილი... შემოიღობა წნული სახრეებით და დაშობა შვილი. დაარქვა ხვთისავარა. ერთს ღამესა სულ შემუეხვივნეს ნადირი ამ ქალსა, მარე ე ქალი არ შეჭამეს...

ეს რომ გაიზარდა, ხვთისავარა, დაიწყო ნადირობა. მიდის და მიაგნო ერთს გზასა. გაჰყვა ამ გზასა და წავიდა. მივიდა მჭედელთანა. აიღო ხვთისავარამ და ხელში ქარივით მოხვია. აიღო და გადააგდო. —ქვე ხომ არ მამასხარაეფო, რომა სჭედო მა კინტუაებსაო (პატარა ნაჭრები). რახან შენ არ იცი, ასე ჰქენო: ასი ფუთის სიმძიმე უნდა იყოსო და სიგრძეო ოცი არშინი... გაჭედა ძლივს, ვერ ერეოდა, ის კიდე ქვე ეშველებოდა... წამოიღო ღვთისავარამ და სულ არ ემძიმებოდა ხელში. დაიწყო ნადირობა და ნადირს მარდად ხოცდა და რჩებოდენ დედა და შვილი. დედას უთხრა შვილმა:—დედაო, გლახა სახშიდა ვდგავართო, დევებნი არიან აი იმ კაჲ სახლებშიდ და დავხოცო და იქ დავდგეთო. გავიდა და ყველანი დახოცნა, მაგრამ ერთი კოჭლი დევი დარჩა. სახლის თავში დაემალა. როცა წამოვიდა ხვთისავარა სანადიროს, ჩამოვიდა კოჭლი დევი სახლის თავშიით.—თუ ქალათ შემერთვი, თორემ მოგკლავო.

— კარგიო.—შეერთო ქალათ. ხმარა ე ქალი. ცოტა ხანს შემდეგ დაეწერა ვაჟიშვილი. იმას დაარქვეს გულთმეცარი. წავიდნენ ეს ორნი ძმანი სანადიროს. ერთხელ დედას უთხრა:—შვილები რათ გეწერებაო? —მეო ხვთისაგან მიჩვევიაო... ერთ დღეს წავიდეს ორნივ ძმანი სანადიროს. ჩამოვიდა და უთხრა დევმა:—ხვთისავარა მოვკლათო და გულთმეცარა გვარჩენსო.

—არაო,—დედამა... მარა მერე დეეთანხმა.—რანაირათ მოვკლავო?

— სახლის თავში შევიტან ქვებსაო. რომ შემოვა ხვთისავარა, დავკრავო.—რავაც წავიდეს სანადიროს, გულთმეცარა მიხვთა. უთხრა ხვთისავარაჲს:—წავიდეთ შინაო.

— ჯერ რა დროჲს შინ წასვლააო.—წამოვიდეს შინა, კარებში რომ მივიდეს, უთხრა ხვთისავარას:—გაჩერდიო.—მერე მოჰკიდა ხელი ხვთისავარას—ვიბურსალოთო, ვიტრიალოთ და ისრე შევიდეთ შინაო.

შევიდეს ისრ შინა... ამ დევმა ველარ გაარჩივნა და ველარ დაარტყა... მერმე უთხრა ხვთისავარასა:—ერთსა რამას გეტყვიო, თუ დედაჩემს არ მოჰკლავო.—არა, არ მოვჰკლავო!—დევი არისო აქაო, კოჭლიო

და ის დადის დედაჩვენთანო... მიიწია ხვთისავარა დედასთან მოსაკლავად, მაგრამ გულთმეცარმა არ მიუშვა. შევიდეს სახლითავში, ეს დევი დაჩეხეს, ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და დააყარეს შარამი და სთქერდეს.—რადგან ესრე სიგლახე ჰქენო, ჩვენ მოგშორდებითო,—წავიდეს და დეეკითხეს ერთმანეთსა:—შვილდისრები გავუშვათო და საცა დაეცემა, ჩვენი საქალოც იქ იქნებაო. ხვთისავარმა გაუშვა აღმოსავლეთისაკენ და დაეცა აღმოსავლეთის ხემწიფის კარსა. გულთმეცარმა გაუშვა დასავლეთისკენ და ისიც დასავლეთის კარსა დეესვა. ჩავიდეს და შეხვდა საქალო. შეირთეს ქალებათ. ხვთისავარა წავიდა სანადიროს. ამ გულთმეცარმა იცის, რომ ხვთისავარა ცოლოურთისაცა იქნება. მივიდა გულთმეცარა და შევიდა იმათ სახლში. ამ ძმებს ერთმანეთში ვერ დაარჩევდი და იმათ ეგონა თუ ხვთისავარააო. ხვთისავარაჲს ცოლი და გულთმეცარა დააწვინეს ერთად, გულთმეცარამ იცის—ეს ქალის ხვთისავარაჲს ცოლია. და რომ ერთმანეთს არ მიკარებოდეს, ჩადვა შუა ლოგინში ხრმალი:—რომელიც გადავიწევითო, ის შევეჭრებითო. გულთმეცარას ნეკი-ღა მიაწვა... ქალმა მამამის უთხრა დილლაზედა:—არა, ისიო მე არ მეკარებოდაო. გულთმეცარამ აუშვა შვილდისარი და დაიძახა:—ღმერთო და ჩემო გამჩენო, რაჲ თაც მივეკარე, იმაზედ დამეცემოდენ ე შვილდისარიო. დაეცა ნეკაზე და მოსდინდა სისხლი... გულთმეცარა წავიდა ცოლეურს. გაიგნო ხვთისავარამ, გულთმეცარა, რომ ყოფილა, მივიდეს ერთად და ცხოვრობდეს...

156

ახალი დამდგარი მამასახლისობა არის და:—სამ წელიწადს თუ დარჩა გამოუცვლელი, სოფლიდან ჯამაგირი უნდა ექნენ მასაო.—ეს ხალხმა იხუა,—ვერ მივცემთო. ნაჩალიკმა დაიბარა ჯიჯავაძე იყო ონში და:—შემოვიდესო. მეც იქანა ვიყავ. ნაჩალიკი შესწყრა მაჰასახლისებს:—თქვე ვირებოო!—მერე ვერავინ დაინახშა. იყო ერთი ჩვენებური—ბასილა, კაჲ მონახშე, ქვე დიდი მოსული წარმოსადეგი ვაშკაცი. იმან უთხრა:—ჩვენ თუ ვირები ვართაო, მერე შენ ვირების ნაჩალნიკი ხარაო?—დაბრუნდა ნაჩალიკი და მოხურა კარები სადგომში; ცოტა ხანი რომ დააყოვნა, გამოვიდა.—რა ვქნა, ჩემო ბასილაო, ერთი მეცა შემეშალაო, ახლა, ჩემო ბასილაო, თუ მამასახლისათ არ გაყენებო, სუდიათ დადექიო.—ჯორზეით გადმოვჯდებიო და ვირზე შევჯდეო?!... ჯაფარიძეს უძახოდეს, დიდარი გლეხი იყო, იმან გვითხრა ჩვენა:—ჩემო გლოველებო, ისრე წახვალთ, ღვინო არ გინდაო?—ბასილამ დაინახშა:—რათ არ გვინდა, თუ დაგვალეიებთო.—ჩავედით, დავჯედით და სიმღერა და თამაში გავაჩაღეთ... ავდექით და მეორეს დილას წამოვედით. ბერებმა თქვეს:—უღვინოთ როგორ ავაწევთ გლოლასაო?—ბიჰიამ თქვა:—ნათლიაჩვენი დაგვალეიებსო. ჩვენებურთა თქვეს:—საკ-

ლავიო?.. გიორგაშვილმა თქვა ჩვენმა:—საკლავს მე გიშოვნიო.—ადგა და წავიდა ონში და ჩვენ ღარულს ხიდზე დავჯედით. ჩაფხანახევარი ღვინო იყო ოტკავითა. საკლავი გიორგაშვილმა მოარბენინა. ცხვარი მოეცა, აწ 5 თუმნათ არ მოგცემენ...

კაი დროობა მქონდა. ჯაფა ძიელა მქონდა. მერე დავკაცდი და თავისუფლობა'ში ვიყავი.

გეჩის შვილი იყო, კაჲ კაცი იყო. ჯაფარიძეებს მიჰყვებოდა ონშიით და იმ თამდე სუ რტყმით გაიყვანდა. გლეხ კაცს ერეოდეს ისინი და:—რათ ერევითო?—მერე წავიდა აქა და ბელა შვილმა და ბიძაშვილმა უღალატეს.—ეგებ მოვკლათო. მონდურავად არიან. ერთი სახლის შვილი ჰყვა გეჩის და:—შეგვარიგენო!—დადიოდა ორი კვირა და არ შეურიგდა,—გაუტანელნი კაცები არიანო! როცა იყო, გატეხა და წაიყვანა საპაიჯებლად. მერე უნდა სიკვდილი გეჩის შვილსა და რომ მოაწია კარებ'შიდა, ესროლეს და თეძომი დაჰკრეს. მაშვალს ერქვა გორეცი:—წამო, დედა, მიშველე და მომკიდე ხელიო. წადგა და რომ მივიდა ახლოს, ხანჯარი ამოიღო. ქიარ გააყრია წენები? იხმარა გვერდი მაინც და წყალზე ჩავიდა. გამოეშურეს მოკეთეები და გამოიყვანეს. ბაკურაძენი ჰყავდეს სახლიკაცები. მოვიდეს, წაიყვანეს, ქვე მოარჩინეს ეს გეჩას შვილი. ვერ უჩდებოდეს შიშითა ბელა შვილები...

157

ჩვენებურნი იყვნეს ხოტებსა... ჩავიდეს და ნაჩალიკმა დაიბარა:—წამოვიდეს და სორს ამოვიდეს,—გოცირეებმა ღვინო ვსთხოვოთო,—არ დაგვალევინებსო. — ვსთხოვოთო!.. — რას დავეძებთ, ვსთხოვოთო!..

ე გოცირიძე ქვე ჰყურობს. გაიქცა შინა. მოვიდა მთხოველი, გამოუტანა დოქუნა ღვინო.—არ მეყოფაო!—გეყოფაო. რომ გამოუტანა, გამოადევნა კაცი:—წადი და გლოველები მომგვარენო!..— დაათრო ძალიან და გამოუშვა სახში. თავრობა ვერ ურიგდებოდა, ვერც წერეთელი, ვერც დადიანი გლოლას, ბატონი არ იყო აქა. ღონიერი ხალხი იყო, უბატონო.

ეს ეკლესია რომ დადგეს, ბერმა უთხრა:—დამიტოვეთო აქაო მეო. დასტოვეს მერე ბერი და ბიჭი დაუტოვეს და ეს მეორე პატარა ეკლესია მისი აგებულია... შეენთხვია მერე ბერი, ქალი შეირთო და დაეწერა ბიჭი. იმ ბიჭმაც შეირთო ქალი, იმასაც დაეწერა. ბერიშვილად დარჩა ერთი, მეორეს—ბოჭაშვილი, მოსამსახურე რომ ჰყვა, იმას...

158

ტყისთავს ვეტყვით, ნახევარი იქ თურმე იყვნეს ჩვენნი, ნახევარი ბუნას. მიუხტეს ტყისთავს, ვინკ იყვნეს თათარი და შვიდი ათასი ლევანდი და ვერაფერი დააკლეს. გამობრუნდეს ე თეთრები და წამოვი-

დეს და იფიქრეს: ასეო რავა უნდა წავიდეთო? კატა მაინცა ვსთხოვოთო. მობრუნდეს, სთხოვეს კატა.—კატასაო, თუ გინდაო, ოთხსა გაჩუქებო.— მოგვარეს და დაასხეს ნაფთი და შევარდა სახლითავში, მოედვა ცეცხლი და დაიწვა ტყისთავი. მოხევეები რომ არიან, იქ ჩავიდეს. ჩვენებურნი იქ არიან. ბუბას საყტარი ააგეს. ადგეს მერმე ბუბიით და ქვე ჩამოვიდეს აქა, გლოლას.

159

არმოელთა ჭალა იყო ღორით სამსე. ფირანი ბატონი ჰყვა, მოყმეებს უთხრა: ვინა ხარ მოწიჟულიო, წაჰვიდე და ღორი გასწყვიტოო!—წამოხტა ბექან გივიშვილი თავიდან ნასიმბირალია.—მე ვარ მოწიფულიო.— წავიდა და მაგრა არის. გააყოლეს ბიძა გურგენ.—გურგენო, შენო თან გაჰყეო, საქმჷ იცი აქაურიო.—წავიდეს და გურგენმა უთხრა გზაშიდა:— დავისვენოთო!—ბიძიაო, არაო, ბიძიაო! ბატონისა ნაბძანებსა მაშუარი არ ეთქმებაო. დღეს რომ ღორებს არ შევება, უამისობა არ იქნებაო. გადახედეს ჭალას და სულ სამსეა ღორით იქაურობა. ამ ბექანს გული უხარობს. გურგენს გული უწუხდება... გურგენს შეუტევა ღორმა და გურგენს დაეცა თავმსხლაფი, ხეზე გაეჭრება. ბექანს ტახმა შეუტევა, ჯაჰვის კალთა გააგლიჯა. ბექან ესროლა ისარი და ტახი იქავ წააქცია.—ბიძა, გურგენ, ქვე ჩამოდი, ღორის ანგარიში ქვე ჰქენ, ღორსა ქილი აართვიო, ასორმოცად შეთავდება. გურგენმა რომ იანგარიშა, ბექანს უთხრა:—ბიძა ბექანო, ქალს რატო არ ითხოვო, თავი რო ქვე გექებებაო.

— კარგსა ვეძებ, ბიძაო, და ვერ შევხვდი და ცუდი არად მეფეთებაო.

— მე ვიციო შენი საქალოო, ბალხეთ მანიჯა ქვიაო.

— მეცა მცოდნია, ბიძაო, ქალი, მარა თავს არისო ავი საშოვიო, ბოლოს დროს ღალატოვანი...

მე და ჩემი ძმა გივიო ბევრჯელა ვყოფილვართ და ლხინი გვინახავსო ბრავალიო... გაატყუა რალა. ადგა ბექან და წამოვიდა... მივიდა ანიჯაჲს წყაროზე და ავლის ხე დგა. მოსტეხეს შტოსა და თავზე დაიყენებს გრილს. გადმოხედა მანიჯამ და ძიძას უთხრა:—ერთსა რასმე გეტყვიო: ჩვენს წყაროზედაო მოვიდა ვინმე ყმაწვილი და თავზე იყენებს გრილსაო. თუ ვინმე ერალერთია, ის ჩვენი დამარხვეულიო. თუ ვინმე სხვა არის, ის მამაჩემის მკვლელია, მტერიო... მივიდა ძიძა წყაროზედა და შორით ელაპარაკება.

— ვინა ხარო?

— მე ესე ვარო, ბექანიო!

— მოდი ახლოს და ყველას გეტყვიო, რაც ქვე ვიცი, ჩვენებურათო.

— ახას თითი ნეკ-ბეჭედი, არ გიმტყუნო ქადებულიო.—ადგა ძიძა წამოვიდა ცეკვითა და კუნტრუშითა. გადმოხედა მანიჯამა და:

— ბეჩა ძიძაო, კაჲ რამ გიჩანს ფერიო, იმით მოხვალო ცეკვობითაო.—შევიდა ძიძა და:—ვის მოველოდით, მოვიდაო, თუ მამის არ გეშინიაო... —არ მეშინიაო, მოიყვანეო, დაიპატიჟეო.—წავიდა და მივიდე და გვეწვიეო!

— ვერ გენდობიო.

— ახას თითის ნეკ-ბეჭედი, არ გიმტყუნო ქადებულიო.---ადგა, წახყვა, შევიდეს და გადეეხვიეს ძიძა და ბექანი. დაქდეს, იმუსაიფეს. ცხრა და ცხრა ღამე სულ წვრილი ხმით იბღერეს სამნივ. გაუგნია არმოელთა და მივიდეს აწე და მტერები იყვნეს წინათ. მოვიდეს, დაქდეს დაიწყეს სმა. იმღერეს და დათვრა ბექანი. არმოელნი ბევრნი იყვნეს, გადაჭედეს ტყვიით. ჩაენახშეს:—ბექანო, გაიძარო.—გაიძრა და შეიცალა ტყვივა და სუ შეიგლიჯა. გამჯავრდა ბექანი: სუფრას წამოჰკრა ხელია, ოქროს თასები დატეხა, სასასმე მისი ფერია. დაუგემრიელეს:—ბიძაებმა გცადეს, თუ შეუძლიაო, მართლა არ იყოო.—დაქდეს კიდე სმად. უნდა დაიჭირონ. უთხრეს:—ბექანო, რა უქნა იქნენო შენი გამძლეო?

— ჩემი გამძლეო არაფერი არ არისო, ჩემი შვილდისრის ბაწრის მეტიო.—წავიდეს და მანიჯას აქ იგი მიბარებული. უთხრეს:--ბექანმა გამომიგზავნეო შვილდიო.—მოსცა და წამოიღეს ეს მშვილდი, დაახვივნეს არმოელნი და ვერ მოდრიკეს, ვერ შეხსნეს... გაჭრეს მერე (ბექანი არ იყო აქა). ოთხი იქით მოკლა, შვიდი გაიჭრა, ოთხი აქეთ; გაიშო, რომ გაჭრეს... მოიტანეს ეს ბაწარი და ჩუმეთ აქ შენახული. ღალატობა უნდათ და იმიტომ დაათვრეს ბექან და შეუჭირეს ბაწარი. —გაიძარო, ბექანო!—და ველარ გაიძრა. დააკავეს ამ ბაწრით. წამოცვინდეს და:—გაიძარო—და ერთსა ხანჯალზე უკიდია ხელი, ყაფლანს, —ყაფლან, შენა ხარ მოთავე ჯარისაო. მე ერთი ბუზი მომკალო, ასი მომიკლავს შენისთანაო. ნეტა ხელნიო ხელთა მომცა, ფეხნი კალთას გამიხვიანო და არმოელჩი ჩამირიანო. თუ ერთი გადავარჩინეო, არმოელნი, დავრჩე ნარცხვენიო.—დასწერეს წიგნი (დილას უნდა დაარჩონ ანძაზე) და გაგზავნეს ფირანთან.

ფირან წიგნი წაიკითხა, ითამაშა დანაზედა,
დილას უნდა ადრე ავდგე, იქ ჩავიდა ჭალაზედა,
რაცალ არის, ის გავიგნო, ვაჲთუ იყონ ბექან გივიშვილი,
ვაჲთუ შევრცხვე გივისთანა.
ფირან ცხენი გაიხტუნა, ახა კვიცი გამართულა.
ვაჲთუ ბექანს ვერ მივუსწრო, ანძას იყოს გადაცმული...
(მივიდა!)
ფირანს ხალხი წამოუდგა, რომ არ დაქდა, ვის აუდგეს.

ნულარ მოჰკლავთ ბეჟან გმირსა,
მტერობის ხე გამხმარია, ნულარ გაუნედლებთ ძირსა.
როსტომს უკვან ნუ დააგდებთ,
სირცხვილს თუ გინდა, ის გაჰმევს.
ჯავრსაც მოჰქცემს დაულევარს.
გაუჩინეთ სატანჯველი ბეჟანს, მიაბარეთ ორმოს ძირსა.
თავს მანიჯა დააყენეთ, აჰკრეტიეთ ცალის თვლითა.

მოსთხარეს ორმო და ჩადვეს ბეჟანი შიგა და სარკმელი დაუტოვეს და მანიჯას დაუყენეს. წავიდეს, რაც ერანელნი (არმიელნი) იყვნეს. მოიტანეს დიდი ქვა და დაადვეს და მანიჯა თავს დაადგა და ჰკრეტს. უთხრა ახლა ბეჟანმა მანიჯას:

— წადიო, ბეჩა, ბაზარზედაო; ბერი კაცი შეგხვდებაო და გაჩუქვებს და რომ შემოგიძახონ, ნუ შეგეშინდებაო! — წამოვიდა და შეხვდა როსტომი — ბიძია მისი. კი არ გამოეცხადა, რომ ესე ვარო, ვითამ მთხოელია: — ტუსაღს ვადგივარ და მიწყალობეო! — აიღო ბეჭედი და ლაფაშში გახვია და: — არ გახსნაო და, რავაც მიხვიდეო, მიეციო! — წამოვიდა და მისცა და გაიცინა ბეჟანმა. ე ქვაზე აავდო, იმოდენი გაიცინა; ჩაიხვნეშა და დაედვა ეს ქვა ისევ. — მითხარ, რაჲზა გაიცინეო?

— მცთარი ხარო, დიაცი და არ გეტყვიო.

— არ ვიტყვიო!

— მოვიდა ჩემი მაშველიო!...

გამოგზავნა მერე მეორეთ ბაზარზე. — წადიო და შემოგიყვირებს და არ შეგეშინდესო.

— კიდე მაჩუქე რამეო!

— წადიო და, რაც შეშა შემოვიდეს ბაზარზედაო, იყიდეო და მიიტანე იქაო. დაანთე ცეცხლი და მეც მოვალო იმ დროსაო. — გამოგზავნა და იყიდა შეშა და წაიღო. როსტომმა იყიდა შვიდი გმირები და ჩასვა ტომარაში. მოიდვა ბუჰზე და ურია მოდის. წამოინახშა:

— რაც ამ ვაჭარმა ქნანო, ნართის ქალაქმა ზღონო!

— რაჲ, რაჲო, — მოენახშა. — ენა გამოსწვადეო! — ამოჰკრა ენას. რომ არ ამიეცალა ენა, წავიდოდა და იტყოდა... წავიდა როსტომი აწე და მიაწია ცეცხლზედა. მიუშვნა აწე გმირები ქვაზე და უნდა მოაცალონ. ვერაფერი ვერ დააკლეს. „შვიდთავეს სწორა ასწიეს, ვაჲ დედაზურგის ძვალებო!“ დაიკალათა როსტომა: — ჩემო გამჩენო ღმერთო, თუ არ დავბერებულვარ, არმოელთა ციხის წვერზე მომავლებიეო, შუაზედაო მაინც მაკვრევიო. — დაავლო ხელი ქვასა და წვერიც მოარონია და ერანელთა ქალაშიდაც დაჰკრა... ბეჟანს უთხრა:

— ამოე ზეო!

— არაო!

— აბა რაჲ გინდაო?

— თუ გურგენს მომაკვლევიებო, ამოვალო. ვაშლი რომაა, იგი მაკვრევიეო.

— კარგიო!—უთხრა ამოვიდა ბეჟანი. წამოვიდეს. არმოელთა გაუგნია და გამიეკიდნეს. მარა მოსტყორცნეს ისარი და ცხენის ბარკალს მოახვედრეს. ვერ ამოიღო ეს ისარი ბეჟანმა. როსტომი დასწვდა და ერთი ხელით ამოწვადა. როსტომა მოსტყორცნა ისარი. დაეხვივნეს ერანელნი და ვერ ამოიღეს და ცხენს მოსჭრეს ბარკალი და მიატოვეს ცხენიანა. შეხედა დევი ცხრა თავიანი. ერთი კბილი აქვს იმოდენა. რომ ცხენოსანს დაჰფარავს.

— ვინა ხართო თქვენო?—დაუთვალოებულია დევი.

— ჩვენაო ერანელნიო.

— მაჩვენეთ თქვენი მკლავიო!—უშვერს ბეჟანი მკლავსა. როსტომი ეჩურჩულება:—შე ბედითო, ხე მიუტანეო.—მიუტანა და დაფშვნა დევმა ესე...

— აბა, საგზალი მაჩვენეო!—პურს იღებს ბეჟანი.

— შე ბედითო, ქვა მიგვარეო! მიუტანა როსტომის სიტყვაზე ქვა. ჰალის ქვა და გაფშვნა და გადაყარა ზედა.

— ყველიო!—ახლაც ქვა მიუტანა... დაფშვნა...

— დამცირებულხართო, არმოელნოო...

მახარობელი მივიდა მამათან:—ბეჟან მთელი მოდისო.—მივიდეს და გადმოუგდო აწე ვაშლი. ბეჟანმა უთხრა:

— რავაც ჩემზე გაიარეო, ისრე შეგარგოსო!—გურგენს ქვე დასცდა და მოხვდა რკინის ბოძს და გაწყვიტა...

სთხოვეს მერე ერთი დიდი დევი, შეპირდეს თურმე ერთხელ: ასე გიზამო... აწე უნდა წავიდეს იმის საჰიდოდ...

— მამა, მომე შენი ცხენი, შენი ჯაჭვი ჩამაცვიო, შენი ლახტი ხელჩი მომე და ქუდი დამახურეო...

— ჩემი რათ გინდაო, შენი არა გაქო? მე ბეჟანს იმას ვერ შევყრიო, ბრიყვია, უცოდინარიაო. ის დევი კი გამოცდილიო.—არ მიუშვა და წავიდა, მიადგა ბეჟან დევისა კარსა.

— დევო, მყრალო და გონჯოო, გამოე გარეთო. მე და შენ შევპირდით ძგერასაო. გვერჩია გადაგვეწყვიტონ, ერთი ველოდეთ შველასაო...— გამოვიდა დევი და:—ხვალაო!

— არაო, აწო...—იჰიდნეს. რკინის პალო აქვს დევსა. დაუფარა ფეხი. მოიქნია კიდევ ბეჟანმა და დაასვა წვივსაკონამდინ. მოიქნია დევმა და ცოტა ქვემოთ დაასვა. მოიქნია დევი. დასჭრა ცხრა თავი. შესჯდა ცხენსა და წამოვიდა. კიდე მივიდა გივისთან მახარობელი.—დღეს გივის ცხენმა ივარგა, ბეჟანი მოდისო მთელი იჯდა ბეჟან გივიშვილიო. ჰალის მგელიო, ბეჟანი მოდის მთელიო...—მისცა სამახარობლო იგი და:— დავსჭერიო თავებიო.—ყურები ამოიღო და აჩვენა. გაეხარა გივის.

იყვნეს და ცხოვრობდეს.

160

ჩვენსა ოსობა იყო ძნელი, ღამე კაცი გარეთ ვერ გამოდიოდა, თიბა-მკაზედ უნდა წასულიყვენ აკავანითა. მკეს ე ქალები ერთხელა და გაუჩნდეს ოვსნი მტერნი, მიუხტეს და აკავანებით ქალები დაიტაცნეს... მოვიდა აწე სოფელჩი კაცი, --არიქა, ქალები წაიყვანეს ოსებმაო; რას ფიქრობთ, არ ვიციო...—ვისაც შეეძლო სოფელჩი, წავიდეს, გაუდგეს თხებსა... რას მიეწეოდეს?!... დილას წასული ხალხი რას მიეწეოდეს?!... ერთი იყო შალიკა სულტანიშვილი და თურმე იყო იგი სანადიროს. მოვიდა და ჰკითხა დედას:—ხალხი სად არისო?

— ნუო, ნუ მკითხავო!

- დედა, მითხარ, თორემ მოქკლავო...

— აპა, გუშინ საღამოს ქალები დაიტაცნეს ოსებმა და იქ წავიდესო.

შეუტევა:—რავა არ მითხარო?!..

— ვერ გითხარ, რადგან დაშრომილი კაცი იყავო!...

აიღო კაჟიანი თოფი და გაიქცა. გუშინ წასულ ხალხსა დაეწია. უთხრეს: - ვერ მიეწევიო!

— ჩემს სისხლსაო არ დავტოვებო...—კარაგანს უძახიან, იქ დაუსვენებიათ დაღალულ ოვსებსა... ერთსა უთხრეს ოვსსა:—ყარაულად დადექიო...—ამა დროსა გადაიარა შალიკამ და:—ყორანივით იყო და არ ვიციო,—მოახსენა.—ამ დროს ჩამოეწია და:—გაჩერდითო,—შეუყვირა. დაჩერდეს.—იარაღი დაყარეთო... ეს ერთი კაცია, ისინი ცხრანი იყვნეს... ქალებს უთხრა შალიკამ:—გვერდზე მოიჯარენითო!—დაუშინა და რვა მოჰკლა... იმათაც ესროლეს, მარე ვერ მოარტყეს... დაატინტრაქა დედითშობილად ის ერთი შალიკამ.—მოხუხე ის იარაღები, გახადეო,—გახადა და:—აბა, აიკიდეო!—აიკიდა და ქალები გამოიძღვანა თანა. რასი ეშინოდა?... ხალხი სულ დაბრუნებულია და გლოვობენ...—შალიკი არ გაუშვამსო,—ამბობდა ხალხი... მივიდა შალიკი და რა გაიგნეს, ისე შენც იცოცხლე, ცას ეწიეს სიხარულითა... შეიქნა ქეიფი და ლოცვა და დაპაიჯეს. დიდი მოვლენა იყო ერთობ... დაჟდეს შტოლზედა და ერთი მოხუცი იყო და ჩამოჟდა და დაუკრა ჭიანური... ამ ერთს უთხრა შალიკამ:

— წადი შენ უკვანაო და ამბავი უთხარ და ჩაიტანე დიგორსაო...—ადგა და მისცა ქარჯინა და წავიდა... ჩავიდა დიგორს და:—რა ამბავიაო?—ჰკითხეს.

— ასეო, შალიკი კარაგანს ჩამოგვეწრაო და გამომგზავნა ამბიზდაო...—სად არისო საქალოო?—ბიძიამ უთხრა:—მე ვიცი შენი საცოლოო! ერთი დიგორს არის, თავს არის თავი საშოვნითო, ბოლოს დროს ღალატოვანიო. ქალი მზე არისო ამომავალიო...—ადგა შალიკი

და ჩავიდა დიგორს და წყაროს სიახლოვეს ჩქერნალია და დაჸდა. ჩაფი უდგია ერთს ქალს და მოდის... დაახველა შალიკიმ, ამცნობა თავი... ქალმა უთხრა:

— ვინა ხარ შენო, რომეო ახველებო? სულტანიშვილი შალიკი არა ხარო?—აწ უნდა რომ იგი იქნეს...

— მეო შალიკი ვარაო.

— რაჲთ მარწმუნებო?

— ღმერთი მომეცენ თავდებიო, შალიკი ვიყოო...—დასტოვა ჩაფი და წამოიარა და წამოიძღვანა. ორი დღის სავალზედა ერთ დღეს გად-მოვიდა... შეიქნა დიგორს ქალის ძებილი. მერე მოიზრეს:—ნამდვილ შალიკი სულტანიშვილმა წაიყვანა ის ქალიო... მოვიდა ქორწილი და ლხინი. ოვსის ჩვეულება იყო: წელწადზე ქალი ოთახში იყო ჩაკეტილი. წამოიარა და ერთი წელიწადი რომ გაუხდა, მოვიდის თავისი სახლობა, თორმეტი კაცი. გამოუგზავნა ამ თორმეტმა კაცი შალიკის:

— მაგვიღენო!—შალიკიმ შეუთვალა:—თუ მტრულად მოხვალთო, ნუო და თუ ძმურადო, მიმღები ვარო.

— როგორც ჩვენი შვილი და ძმაო.—რასლა უშველიდეს აბა?... მიეგება შალიკი,—იარაღი აღარ ქონდენო!...—აპაპა, არაო!—ერთი კვირე აქეიფა თორმეტი ცხენოსანი. მერმე ადგეს და წავიდეს. ჩაიტა-ნეს ამბავი დიგორს:—მადლობა ღმერთს, ასეთი კაცი ვიშოვნეთო...—დაიპატიჟეს შალიკი ცოლითა; გამოისაჩუქრეს დიდი ამბით, შეკაზმუ-ლი, ნაბდით, ყველაფრით, იარაღი, ცხენის სამკაულობა აჩუქვეს... ქალსაც აჩუქვეს... იყვნეს მოკეთენი. ჩვენ იმის ძეზედა ვართ სულტა-ნიშვილები...

161

ჩვენა თათრებშიით ვართ მოსულნი, სულტანიშვილები. ესენი არიან ქრისტიანნი, თურმე გლოლა. მოვიდა ის ჩვენი პაპა და:—მისტუმრეთო!

— არაო, ჩვენ რჯულზედაო არ მოხვალო!

— მომეცენო ღმერთი თავდებიო, რჯულს მივიღებო! — არ ენდვეს.

— აპა რათი გარწმუნოო?

— წადი ეკლესიაზედაო, დროშა გააკეთეო, შემოუარეო და თქვიო, რომაო ამისმა მადმა და ძალმა არ გიღალატოო:—ათქმიეს და მიიღო რწმუნება ამ ეკლესიისა... მერე, ყოველ აღდგომას ლვდელი რომ წირე-ვდა, უიმისოთ არ შეიძლებოდა... დღესამდი ჩვენზე უმალ არ იყო. რო გამოვიდოდით და რამდენი სავაჸო იყო სულტანიშვილისა, დროშას გავაკეთებდით და ზარსაცა აღდგომასა. დილაზედა ჩვენ იმ გორაზე უნდა შევსულიყავით და გვეძახნა:—„ქრისტე აღდგა ქრისტიანენო“! მერე დაიძახებდა ერთი:—წირვააო...—მოიყრევდა ხალხი და შემოუარ-დით ეკლესიასა. წირვა რომ გათავდებოდა, სოფელში მოვყვებოდით. გვაძლევდეს თითო პურს და თითო კვერცხს და ვიყვენით დღესამდის...

## 162

იყო და არა იყო რა უმაღლესი მადლი ღვთისაო, იმათ მერმე სამი ძისაო. ერთსა ერქვა ალრჯევანი, მეორეს ლომკაცი, მესამეს არაკაცი. ჩემი მამა ყავდა-ყე იმათ. არა ეშველა, არ მოკვდა. კითხეს: – მამაჩვენო, რატო არ კვდებიო? – მეო სანემდის გაუგონარს არ გავიგონებაო და მოუნახავს არა ვნახავო, არ მოვკვდებიო. არაკაცმა უთხრა:—წავალ და ეგებაო მოვინახო უნახავიო.—წავიდა და წელიწადს იარა და ბევრი რამე ნახა, მოვიდა და უთხრა: ნახე რამეო? – კიო. ერთ სახში გავათიე და გამოვიდა კაცი და არც გამელაპარაკა, არც ხმა გამცა, მიმაინძლა და გამიშვაო.— ეგ არაფერიო... წავიდა ალჯევანი. მან ოცი წელიწადი იარა. ბევრი ნახა, მარა რომ გამობრუნდა, ერთი კოჭლი დევი ხნავს და ბელტებს ქვე ჭამს.—შორს გამიარე, შორს, თვარე შეგჭამო... მოვიდა და მოახსენა...—ეგ მე მოვწყვიტე იმას ფეხიო. - არაფრად ჩაუგდო. დევი რომ ნახა, გამოიარა და ჭედელს ცხენი უბია და გაახურებს რკინებს და აჭმევს. მამამ ამაზე უთხრა:—ეგო ცხენი ჩემიაო; მერე რაიაო? -არათ ჩაუგდო. წამოვიდა ლომკაცი. პირდაპირ ცხენთან მივიდა.—ე ცხენი უნდა მომცეო, მამიჩემის ცხენიაო...— მე ასე დამიბარა: ვინც რომ გაბედოს შეჯდომა, იმას მიეციო. გაბედავო?—კიო! – გამოიყვანა და: — ვადა გამივიდაო. — შეხტა და მოიარა ქვეყანა, მარა ვერ გადააგდო ცხენმა. მიდის და ერთი თვის სავალს ერთი დღე მიდის. სად მიდის, ღმერთმა იცის!... გადიხედა ერთ ბაღში და ლამაზი ხე არის და ოქროს მაკრატელი კიდია. გადეეწვადინა და ჩაიდვა:—ნუ მიგაქ, გლახა კაცის არის და არ შეგრჩებაო.—არ დაიჯერა... გამოიარა კიდე და ერთი ოქრო ხელმანდილი ნახა. ჩაიდვა. — შენ თუ ეგენი შეგჩებაო, მე შენი ცხენი არ ვიქნებიო.—არ დაიმალა. იარეს და სამი წლის სავალზე ჩავიდენ, აქანა, ამ სახელმწიფოში. მივიდა და შეხედა ხალხსა და ყველაცა შავად შეკაზმული გამოდიან.—ეს სანეფო რა ქვეყანააო?— ესო ბაქარ ნეფის სამეფოა.—ე შავათაო რაზე არიანო?—ერთი თეთრი დევი არისო და სუყველ წელიწადს თუ ოც-ოცი წლის ყმარწვილები არ მიგვარეს, გააოხრებს აქაობასაო, ყოველ წელიწადს რომ დაასუქებს ყე და დაჭამს ყე, გლოვენ ·ესენი ყოველ წელსა. ბაქარ ნეფე აგერ არიო...— ადგა და ეტუმრა ბაქარს. სამი გოგო ჴვან. აილო და ერთსა მაკრატელი აჩუქა, მეორეს ოქრო ვაშლი, მესამეს ოქრო მანდილი. გეეხარა-ყე! დაუწყო ნეფემ ამ ჭკვიან ლომკაცს. გოგოებს უყვარს-ყე კიდო... ვეზირებმა დაიწყეს წუხილი: ჩვენ აღარას გვაგდებსო და მოვუხერხოთ რამეო. რაც მოვიდა, ჩვენ პატიცემა დაგვეკარგაო... წამოვიდენ და ერთ მეწისქვილეს კითხეს შველა. მაგას რომ საქონელი მოუტანია, თეთრი იმ დევის არისო, ხალს რომ ჭამს-ჴეო. გოგოებს ათქმევიეთო, კიდო მოიტანოს ვაშლიო. წამოვიდენ და უთხრეს ამ გოგოებს:— თეთრი

დევს ვაშლები უსხია და მოგიტანსყე, უთხარითო. უთხრეს. შერცხვენდა და წავალ ისევეო, იფიქრა. წამოვიდა და ცხენმა უთხრა: — ხომ გითხარი, გლახა კაცი არისო... ერთი გამოხრული კაცი ნახა. მარტო ძვლები აქ და ხორცი არა.— რა ამბავია შენ თავზეო?—მე ვინც მიცნო, ის მიცნობსო და შენ ვერაო. არ გეტყვიო!... ცხენი ენახშება: —ასე ნუ მიდიხარ, ერთი ჯაყვე ჩაიდევი, ერთი სუქანი ცხვარიო. ერთი დათვი ყავს, ეს ცხვარი დათვს მიეციო და მაშინ გადახტიო. მივიდა და:—თუ გამოგვეკიდებაო, ჯაყვა გადუგდე და კდეთ გადიქცევიო... მისცა ცხვარი დათვს. ახტა და გადახტა და ქვე მოგლიჯა. ხემ მიწამ, ბალახმა, ქვამ და ყველამ დაიწყო ყველამ ჭვირილი: —წაიღო ვაშლები,—და გააღვიძა დევმა. შეხედა და გამეეკიდა და ეს ორასი ბიჭი დამწყდეული ყავს, ქვე ასუქებს-ყე. გადააგდო ჯაყვა და გაშთა კდე. მეეწია მაინც.—გითხარიო,—ცხენი ეუბნება და შეიბნენ. აი იქით, აი აქით და კილამე დაძალოს ლომკაცმა და გაუტყდა ხრმალი და:—ჰა, ღმერთო, მიშველეო, და საცხადან ჩაუვარდა ხელში ხრმალი და მოკლა თეთრი დევი... ქვეყანამ დაიწყო ღრიალი:—მოკლა ლომკაცმა თეთრი დევიო. გაიგნო ყველამ. მოვიდა შენი ლომკაცი, ი ვაშლები მიუტანა-ყე... ი ვეზირებს ვინღა ჩაგიგდებს რამეთ?... ნეფემ თქვა:—ე სამი გოგო, სამი ძმები ხართ და გყავდაყე ცოლებადაო.— ძმებს ჩამოვიყვან და დავქორწილდებით აქანაო.—ისე გამოიტუმრა, რა არ მიცა? გამოიარა ამ გამოხრულ კაცთან და:—ი თეთრმა დევმა გამოხრაო.. მოვიდა სახში.—ეს მოვიტანე, შენი ცხენი, თეთრი დევი...-ოოო, ამას ველოდიო, მე რომ დევს ფეხი მოვჭერიო, ი თეთრი დევი მომდევდაო. ამას ველოდიო,—და მოკვდა მაშინვე.

163

ერთი საწყალი კაცი იყო ჩემსავით. ქალი ყავდა ორკეცათ. წამოუარა ძეობა და უთხრა კაცს:—წადიო და ბებია მოიყვანეო. მოიყვანა ბებია: ი კაცი ყურობს—ათი დაშობა.—ათი კი არა, ერთის შენახვი თავი არ მაქო,—და წავიდა ამ შუაღამისას. დილამდისინ ოცზე შესრულდენ ი ვაჟიშვილები. ზოგი სად გაზარდა და სუყველა დაიზარდენ, ოცივე... უნცროსის მეტი ყველა საჯამაგიროს არიან. დედას უთხრა: —ძმები მყოლიანო მეო?—ოცი გყავანო.—წავიდა და სუყველას მოუყარა თავი ი ძმებს. ზოგსა ფული მოაქს ზოგს ხარი, ზოგს ძროხა, ზოგს ბატი. ერთი მდიდარი გლეხი შეიქნეს ისინი. სუყველა უცოლოები იყვნენ. ამ უნცროსმა უთხრა:—მამაჩემი სად არისო?—რა ვიციო, ათი ვაჟიშვილი რომ დავშობე, წავიდა და ოცი თუ ხართ, არ იცისო, მოძულდა თავიო.—წავიდა ე უნცროსი ბათრიბეგი, მე მოვძებნი საცალა არისო!—გავიდა ერთ ადგილზე და ორი გასაყარი გზები არი ტყეში. გაუკეთებია რაცალა ფაცხა და არი შიგა. გამვლელი და გამომვლელი

ზოგი რას აძლევს და მიათრევს ცხოვრებას. მივიდა ხვირჯინებით ე ბათრიბეგი ი მამასთან.—მამობილო, ამალამ უნდა მიტუმროო.

— რა ვქნა, მარა ერთი საწყალი ვარო. შე რო პატიცემა გეკადრება, როგორ გცეო?—არ მინდაო შენი პატიცემა. ყოლიფერი მრავალი მაქო. დასხდენ და გაშალა ე ხვირჯინი. ჭამეს ვახშამი.—შენ რა გინდა ამ ტყეში, მამობილოო?—რახან გიკითხავს, გეტყვიო. ერთი საწყალი კაცა ვიყავი მეო. ქალი მყავდა ძეობით ავათ; წაველდი და ბებია მოვგვარეო. ათი ვაჟი დამეწერაო, დავკარი და წამოველდი და ქალი დარჩა-მოკვდა, არ ვიციო. ათსა კი არა—ერთსა ვერ გავზდიდიო...—შენაო მამა ხარ ჩემი და უნდა წამოხვიდეო, ათი კი არა, ოცი ვართაო და სუყველა დავიზარდენითო!—რას მატყუებო? შენითანე შვილის ღირსი სადა ვარო?—ნამდვილ ასეაო!—არ მიყვება კაცი. გაუკრა ხელები და ზე შეაჯდინა ამ ცხენზე. მოიყვანა და შეხედა სასახლეს—ოცს კაცს ბევრი ძალა აქ. ვერ იცნო ვერაფერი. შეიყვანეს და გაბანეს და ჩააცვეს. კაცს დაამგვანეს.—მამაო, რა ვართ, ჩვენა ვართ ოცი კაცი, ისე ერთი კაცის დაბადებული უნდა შეგვრთოო, ერთის შვილებიო...—დამიკერეთ რკინი ქალამნები და ერთი რკინი ჯოხი და სანემდი არ გამიცვდება, ვივლიო. წამოვიდა და ჯერ ჩასავლეთისკე წავიდა. ზოგსა ათი ყავს, ზოგსა ჩვიდმეტი, ანდა კიდე ცხრამეტი. ოციანი არ გაჩდა. დაკრა და ამოსავლეთი მზიკენ წავიდა, უთხრეს:—ამოსავლეთში ერთსა ხემწიფესა ყავსო; იციო, მარა არ მოგცემსო. საწყალი კაცი ხარო.

— მე კი ავუჩენ-ყე შვილებს და გინდა მიცენ-ყე, გინდა არაო. წავიდა და ეწვია ხემწიფეს. შევიდა და უთხრა:—ასე არისო. ოცი მყავსო.—გამოვიდენ ქალები და:—ესენი არიანო!—არ შეიძლება, რომ მომცეო? ოცი მყავსო მეცაო. თუ შეძლებ ჩემ სამსახურს—მოგცემო.—რაზედაც ეს მინდორრი არიო, შეძოარტყამ რკინი გალავანს და რაც ნადირია, შერეკავ, დაგილოცო ე შვილებიო. წამოიღო ეს ანაწერი. დაუწერა და დაუბეჭდა ნეფემა—მაინც ვერ შეძლებს. მოვიდა სახში, უთხრა-ყე:—კია, მარა მძიმე სამსახური მითხრაო. ჩაიხედე და გაიგებთო ამაშიო. ჩაიხედა ბათრიბეგმა და:—ადვილი არიო.—მოიტანა ერთი ტომარა კაკალი და მოიკიდა ზურგზე.

— წადი და სად რომ დაგისახელოს, ე კაკალი აბნიე და გურგლივ იმ მინდორს შემოარტყიო, შემოაბნიეო.—წამოიღო, ზურგზე კიდია—რა იციან?...—მოვიდა ი კაციო და ზურგზე კიდიაო!

— აბა სადანა გინდა, რომ კარები იყოსო?—დაუსახელა იმანაც. წავიდა, ნეფემ თვითონ მოასვენა და სიცილი უტყდის ხალხს... დაკრა და წავიდა. შემოიარა გურგლივ ღამე. მივიდა და დეემხვა და დაწვა და დაიძინა. დილას გათენდა და ისეთი გალავანია და სუყველა ნადირი იმაში დახტის. დაინახა ნეფემ. ნეფე ისა ყოფილაო, იფიქრა გამოვიდენ და ამ კაცს აღვიძებენ,—მოდი სახში, მობრძანდი სადილათაო.—მე

არ შემიძლია. დაღალული ვარ, რა შრომა გავწიეო... აწიეს და წამოიყვანეს სახში. — მოიმზადე ქალიშვილებიო. — ერთი თვი ვადა უნდა მომცეო, ტანფეხი უნდა შევკეროო. მიცა. მოვიდა სახშიდ. სუყოლიფერით არი მზად საქმე, ტანფეხი.—კარგიო, მამაო, და ყველა მოეწყობაო. — გაგზავნა ე ძმები,—თვითონ არ წავიდა,—სახლი ისე არ დავტოვოთო და ქორწილი გვაქო... ჩემი ქალი თქვენ წამოიყვანეთო, უნცროსი ჩემი საკუთვნელიო და უთხრაყე: — თქვენო, აქიდან რომ გაივლით, არაფერს შეხვდებითო. იქიდგან რო გამოივლით ბაღებში და ვაშლებს არ წაწვადოთო. გამოივლით მითანე სიცივეში, ხელებს წაყინავს და ცეცხლს დაინახავთ და არ მიხვიდეთო. იმას გამოცდებით და მითანე სიცხე იქნება, გორვას დაიწყებთო. ერთი წამოხურვილი სახლი არისო და არ მიუხვიოთ ჩდილშიო. — წავიდნენ ე ძმები. წამოიყვანესყე ე ქალები. გამოიარეს ი გასაცდელი, რაც რომ დააბარაყე,—სიცხი მეტი. დაადგაყე სიცხე უბედური.—მიუხვიოთ აი ჩრდილშიო.—არაო, ანდერძას ნუ გავტეხთო.—არ შეიძლება, რა იქნება, გავგრილდეთო.—მიუხვიეს და შეკრიფეს შიგნი ცხენი და კაცი. აცადეს და გაჩთა გველეშაპი და მოიმწყვდიაყე შიგნი გალავანივით... დაწყდაყე წენები შიშით. უთხრაყე გველეშაპმა:—ბათრიბეგს ნუ მომგვრით, გაგიშვებო თუ არა და ყველას გადაგყლაპაო.—წამოდგა ცოლი მისი.—მე მოგგვრიო და ამ ხალხის საცოდაობა ნუ დაგვდებაო.—გამოუშვა ე ხალხი და მოდიან წენმოგლეჯილი, არა აქვთ სიბლერის თავი. გაიგნო ბიჭმა და გეეგებაყე და რომ გითხარითო?! მე წავალო, თქვენი ჭირი წამიღიაყეო... მოვიდენ და გადიხადენ ქორწილი. ცოლს გამეეთხოვა და წავიდა ე უნცროსი. ცოლმა უთხრა:—კლავი წაიღე ჩემიო.—მოიჭრა და წავიდა. მივიდა ამ გველეშაპთან.—რა გინდა ჩემი მოსვლაო. შემჭამო? ვერ გაგაძღებო.—სამჭინო არიო, არც შეგჭამო და არც არაფერიო. მოდი და დამაჯედი თავზე ყურებ შუა და ჩამკიდე ხელიო.—ჩაკიდა ყურებში დაააყიულაყა და ცაში შეახედვია მაღლა. — გაიხედ-გამოიხედა-რა ამბავი არისო. — გაიხედა და ცალგნი მზე დაინახა, ცალგნი მთვარე და ცალგნი მთვარესავით ანათებს რაცაღა არი.-ის არისო მზეთ-ჩნახავიო. აი ის უნდა მომგვარო ცოლად და წენ ზეით ვერცლათ და წენ ქვეით ოქროთ გადვიქცევიო.—ერთი ხრმალი მომეციო, ერთი კაი საჯდომი ოთხფეხიო.—შეჯდა და გადიკიდა და წავიდა. გაიარა ერთ ადგილზე და ერთი კაცი კურდღლებს გადაახტება და იჭირავს.—მიაფხანაკეთო.—მამაჩემი ორჯერ გადახტომაზე იჭირავდაო, კაციო.—გაიარა და მეორე ადგილზე ბურჭყულებს უგდებსყე კაცი ყურს და ერთის მარტო არ მესმისო. —მამიჩემის წელზე რომ მიხვალ, გაიგნებო. მიაფხანაგეო. ერთი კაცი არი მაღლა გორზე, კვერცხი უდგია. ესვრის თოფს, ერთსა იქით დააცილებ, ერთსა აქით, მესამეზე შვაზე ფეთხს. შეგვიაფხანაგდი შენცო.—მამაჩემი ერთ სროლაზე ფეთხდაო.

— მამაშენი ზომაზე რომ მიხვალ, მაშინ კიო.

გამოიარა და ერთი კაცი მოწრუპავს ზღვას და დააშრობს და ქვი-ძირებში რჩება.— მამაჩემი ქვი ძირებშიც ქვე წრუპევდაო. მამაშენის ზომაზე შენც ისეო.— ერთი კაცი ხნავს. გახნავს, მობრუნდება და ყლაპავს ბელტებს.—გვიაფხანიკეოთ!—დიალაც კიო, მარა მამაჩემი სულ ყლაპარავდაო.— მამიშენის ზომაზე შენცაო... ერთი კაცია და ხეს უკიდებს ცეცხლს, ღრუ ხეს ხელს არ კიდებს. წაიყვანაყე ესენი, წავიდა, მივიდა ი ნეფეთან.—მობძანდით, ტუმრებოო,—მიიწვიაყე რასთვინ მოსუხართო? -კითხა-ყე.—ე ქალიშვილი უნდა მოგვცეო.—დიდი სიამოვნებითო. დილას წაიყვანეო! ახლა შებძანდითო.—შეიყვანა და რკინი ოთახია გურგლივ. დაუკლიტა-ყე შიგნით.

— არიქა ზღვი მშრობელო, გვიშველე და—გადმოასხამს პირიდან წყალს.—არიქა ბელტიყლაპიააო და მიწა გაშთება ამ წყალში. გაათენეს ისე, გაგრილდენ. გადარჩა ე ხალხი. დილას უთხრა-ყე:—გამოფალე-ყე ოთახიო. შიგნი ჩონგურს უკვრენ, ქვე თამაშობენ,—პირობას ველარ წაუვალო.—მოგვეცი ქალიო.—არაო! ერთი ქალი მყავს და ვინც სირბილში აჯობებთ, მოგცემთო!—კურდღლის მჭერი ვის არ დაეწევა? ქალმა ორი ბოთლი წამოიღო—ერთი არაყი და ერთი წყალი. ის წყალსა სომს ქალი. დეეძინა ამ კაცს და მოუსვა ახლა ამ ქალმა, ის ქვე მიატოვა. ბურჭყულებს რომ ყურს უგდებს, წამოვარდა:—ქალი მიდისო,—გაიგნო. მოუსვა მეთოფემ ხელი და ბოთლი რო გულზე დევს მძინარეს, მოხვდა და გაიწკრიალა და გაიღვიძა.—მოგვეცი ახლა ქალიო.—მოგცემ-ყეო, ჭაბუკები მყავან და ჭამაში თუ აჯობებთ. მოგცემთო; ბელტიყლაპია აქაა! ზღვიშრობელი ჩაფებით დალევს ღვინოს. დაიწყეს და წამოუსვა ბელტიყლაპიამ და სუ გაათავა და საცა მოხდიან ჭურებს, ესა სვამს...—ისევე დაულოცავ-ყე, გაუშვებაო. დაულოცა-ყე და გამოუშვა-ყე და შვიდი ჯორკიდებული ოქრო მიცა-ყე ბზითვად. წამოვიდა და საცა ადგილზე აფხანაგები ყავდენ, თითო ჯორკიდებული დაუტოვა. წამოვიდა თვითონ. მოაწია და დაინახა ი გველეშაპმა. რავაც დაინახა, წენ-ქვეით ვერცხლად და წენ-ზეით ოქროდ გადაიქცა და დაუთვალოვდა. ღთისგან ბძანება იყო.—მოიყვანე და ჩაიბარე შენი ქალი ახლაო.—ზეთუნახავმა უთხრა:—მაგასთან ნუ დამტოვებ და წყალში ჩამაგდეო...—ისე რავა გავბრიყვდები, იმი ხელში ჩაგაგდოო?!. იმასა ქვე ცხვენიაო და ხელი მოკიდეო,—უთხრა გველეშაპს. ამოიღო კლავი ცოლისა და მიცა ხელში და ბაწრით მიაბა ხეზე... ესენი სახში წამოვიდენ. მოიყვანა სახში და ცხრა დღე და ღამე ქორწილი ქონდა-ყე.

.164

თინაფთინის მოციქული კაცი ჩამოვიდა ზანგი.—აწ ავთანდილ ჯერ ნუ მოხვალ, ჯერ ვერა ვარ თქვენთვის მზათა. ხელს ეჭირა ოქროს

კაი დიდი ჩანგი და მას უკან შეამღერა: ავთანდილ სამძღვარს გადასცდა, კიდე წავიდა, სამხრამდინ გადიარა. ალმასი იყო ავთანდელ გადინადირა, ავთანდილ ითხოვა ქალი, მოიყვანეს და აწ ერთი ტარიელი ჰყვა ძმა ავთანდილსა. თამარი ერქვა დედოფალს. შემოუთვლია ტარიელსა:—ლამაზო, ჩემო ქმარმაზო, განჯეს თათრებსა ვყავარო... ღისით მიყრიან ბორკილსა, ღამე სარჯელში ვყავარო... გაიგონა ესე და უთხრა:—ვაჲ ძმანო, ვინც რომ იცოდეთ გაგდება თოკ-ბაწარისას ქაჯთა ციხისაო, მოვლება ბაწარისაო. აგრე მწამს იქა გარბენა, როგორც რომ ველზედაო. ავთანდილ ეუბნება:—ტარიელ, ქაჯეთს სიკვდილი რა მიჯნურობა გონია.—ტარიელმა უთხრა:—შეს ქალობაზეო, ბევრი ჯაფა გამივლიაო... წამოდგა ავთანდილ და გაუშვა ბაწარი და გაადაცვა ბაწარი ციხესა. აწე ტარიელ წავიდა ამ ბაწარზე. გამოყოფენ ქაჯები შესაწველს და გაუწევენ ბაწარსა. ტარიელი კიჟინობს:—უყურე ქაჯთა დუშაგთა, მაღლა და მაღლა ყვირიან, დასჭრიან თოკსა ბაწარსა, ძვალნი და ბილნი ცვივიან... გადახტა და შეაწია წვერსა ტარიელმა, ყავარსა:—ყავარსა ავხდი ლომურებ, შიგ ჩავარდები ქორულებ...—ახადა და ჩავიდა.—მივხტებ-მოვხტები დევურებ, სისხლს გამოვიშვამ ღვარულებ.—ზედათა კართა მოადგა ურჯულო სვანის ჯარიო, ქვედასა კარსა გარდადგა შავი სისხლისა ღვარიო. შუბლო და მკლავო, გამაგრდი, თვალო, ნუ შემიშინდები, სისხლის ანატალახებზე ფეხო, ნუ მომიცურდები...—წამოიყვანა ე თამარი, გასწყვიტა ხალხი და დაიბარა ავთანდილი — გამოვიყვანეო. შეხვდეს და მოჰყავს-ყე და გამოაწიეს ხიდზე. ფეხმძიმეთ არის ქალი.—შეუტევეთო და ქაჯებს გაჰყრისო.—გულთმეცარი იყო ავთანდილი, შემოუტევეს ქალს: მოვკლავთო. იკივლა ქალმა და გაჰყარა ქაჯები. ორი ქვე დახოცეს და ერთი წყალში შევარდა. მოიყვანეს სახლშიდა და ცხოვრობდეს ტკბილათა.

165

ორი ძმანი იყვნეს და დილაჲთ ადრე ადგეს. ერთმა არჩვი მოიტანა, მეორემ არაყი ჩაფით დადგა კვებოს თავზედა. თქვეს:—ერთი სტუმარი შემოვიდოდეს, კარგი იქნებაო... მეორემ თქვა:—თუ შემოვა, არაყი დია (ბევრი) გვაქვს, ხორცი დია გვაქვს, და პატივსა ვცემთო...

ადგა და მზახალი ერთი შევიდა და:—არა მპატიჟებთო?—გპატიჟებთო, მობრძანდიო!...

დაჯდეს და, რომ დალიეს და კარქა დასთვრეს, წამოვიდა ერთი უმფროსი ძმა და მზახალმა შინ წამოიყვანა. რომ წამოვიდეს, აქანა დახვდეს ორი კაცი და ქვე დაბეგვეს:—ეგიო ქვე დაპაიჯნეთო და ჩვენ არაო!—შევიდა მეორე კაცი ძმასთან და:—არიქაო, ორნივე გაბეგვესო. მოხვდა დიდი ნაჭერი ხელში. მოეწია და დაჰკრა თავში და შიგ კარებში წაიქცა. ადგეს და წამოვიდეს და სამნი ძმანი იყვნეს და ერთი მამა. ადგეს და:—შევიდეთო და პაპაც და ყველა მოვკლათო—ამ ოთხთა

კაცთა თქვეს. მოემზადნეს ისინიცა და შევიდეს კალოზედა. გამოცვინდეს ისინი. ერთმა ლეკური დაკრა. დაერივნეს და ქვე დაჩეხნეს. დაჩეხილი სამი თვე იწვა. რომ მორჩა, აჩუქვეს ფარაები და გამოუშვეს...

166

შეიქნა ჩხუბი და ბაბუა მოეკლა მეზობელსა და ამდგარიყო და ის ქვე გადაკარგულიყო. ამაღლობას მაშინ მოვიდა და სადა სახში იყო დაპატიჟებულ, რავაც ნახა, ძმასთან მივიდა:—დამცირდა ჩვენი წუთისოფელი, ჩვენი მამიკვლელი მოვიდაო...—შეემზადეს. კალო იყო მაღლა,—შენ აქ გაჩერდიო და მე წისქვილებზე დავხვდებიო, სადაც იყო გამოსავალი... მიდის ისი კაცი და ჩამოიბიჯა ისრე, დახვდა და კეტი დაჰკრა. ამოიღო ხანჯარი,—მამიჩემის მცხვარიც იქნებაო საიქიოსო. მეზობელი ხედევდეს ამასა... დაიძრა თელი სოფელი. დაენახშებია მეზობელს:—თავისი მამა ისისხლეს და თქვენ რა გინდაო?—სულ წავიდეს ისინი ამ სიტყვაზე. ბაბუაჩემი ვახტანგიათა ჩავიდეს.

—რა ამბავია ესაო?—რა და ამნაირათ იყო ჩვენი საქმეო, მამიკვლევი მოვკალითო და სისხლი ამოვიღეთ და გთხოვთ წყალობასაო.

— სად გირჩევნიანო მიხვიდეთო?

— თუ შენი წყალობა იქნება, დედულობა გვყავსო და იქო გიახლებითო...

— წადითო და პურს მოვაკრეფიებთო ხელოსანსაო.— მოუკრიფეს და იყვნეს რამოდენი ხანი...

167

შვიდოცი კვამლი კაცი იყო გლოლას. გაუჩნდა ჟამი და ცხრა კაცილა დარჩენილიყო. ზოგი კახეთს წასულიყვნეს, ზოგი ჩვენ მთებში და, სადაც წასულიყვნეს, გაჰყოლოდა ზნენი... გადმოსულიყო ერთი დიგორელი, ავანტყოფი და არავის დაუყენებია, წასულიყო და წისქვილი იყო სოფლითავზე და იქ შესულიყო, საწყალ ღორებს და ძაღლებს ეჭამა... ამის გამო სუყველგან გახდა ჟამი და ქვე ამოწყვიტეს. კახეთს გადარჩენილიყვეს. წინ წლებში ქვე დადიოდეს-ჩამომავლობა; იმათი ცხვრები მოჰყევდეს მანდა...

168

იყო ერთი ქალი და ჰყავდა ორი შვილი. იმათა ჰყავდა ორი ქათამი და ისინი აცხოვრებდეს იმათა... ერთხელა შეიყვარა ე ქვრივი ქალა სხვაგნებურმა კაცმა. ი კაცმა უთხრა იმ ქალსა:

— ე შვილებიო გაყარენო! მერე მე გითხოვო. ქათამი დამიკალ და ისე დამახვრედნეო და გითხოვო; არაფერი არ უნდა მოაკლო, ისრე

უნდა შეინახოო.—აწ ამ ქალმა უნცროს კუჭი მისცა და უმფროს—თავი. კაცმა იქირავა ერთი კაცი და უთხრა:

— ე შვილები წაიყვანენ შენ და ერთ უხვიან ტყეში მისტოვეო.—მოვიდა აწ კაცი ამ ქალთანა და:—აპა ქათამი რა უქენო?—თავი და კუჭი აღარ დახვდა... უთხრა:—აკლიაო ხომო? რაკი ეგრე ჰქენო, აღარ გითხოვო... ამ უცროსმა, კუჭი რომ შეჭამა, მეცნიერია, მცნაური; უმფროსი კი ოქროს აჩენს, დილაჲთ რომ ადგება, საჲსთუმალში... ამ კაცმა წამოიყვანა და ველი იყო დიდი, ი ველს გამოსცდა. უხვიანი ტყე იყო, მაგრა... იმას უნდა ეს ორწი ვაჟანი დაეკლნა და მათ სისხლში პლატოკი ამოეცურებინა... კურდღელი ნახა ამ კაცმა და იმათ ველარ გაუბედა დაკვლა. ხორცი იმათ აჭამა და სისხლში ამოაცურა პლატოკი და წამოიღო და მისცა· იმ ქალსა. ეს ვაჟკაცები მისტოვნა მძინარნი ბნელ ტყეშიდა... გამეეღვიძნეს ღამით და ტიროდეს ძალიან. წამოვიდეს ორნივ და ჭისკარი იყო დიდი და ის ჭისკარი დილაჲთ ქვე იღებოდა და საღამოჲთ ღია იყო. ამ უნცროსმა შეასწრო და ზე არ ჩაიკეტა?... ე უფროსი გარეგნი დარჩა. წამოვიდა აწ ეს უნცროსი და მედუქნეებთან მივიდა... წაართვა ერთი ოთახი და მან პური და საჭმელი მოსცა. მერე უთხრა მედუქნესა:—აქ შემიერთდებიო აწეო?

— შეგიერთდებიო...—მერე ოქრო და ვერცხლი რომ აჩვინა, გეეხარა ამ კაცსა. წამოვიდა მერე ე ვაჟაჲ და ერთი ქალია მზეთუნახავი. იმასა ბანალი აქ გძელი, რომელიც მხრებამდინ აწვდება. ისია მისი საქალო... ვაჟმა გამოგზავნა ხარ-კამეჩი ოქრო-ვერცხლის წასაღებად. სანამდინ ამ ოქრო და ვერცხლს დაალევდნენ, მხრებამდინ ასწვდა და დარჩა მერე ქალი იმ ბიჭსა. ე ქალი არ გაუჩერდა ვაჟასა და მოვიდა ბაზარშიდ. ე ქალი ყვირის:—ვის გინდა ქალი მზეთუნახავიო?—ერთი კაცი გამოვიდა და მოჰკიდა ხელი ამ ქალსა.

— შენა ყოფილხარ ჩემი საქალაო,—უთხრა. ქალი არ ჰყავდა იმ კაცს და ტიალათ იყო... ი ქალი რომ მიიყვანა, დეეწერა ერთი ვაჟა. ი ვაჟას აგზავნიდეს სამწყესურში. ერთ ღამეს გაერთო ორი ცხვარი და დედ-მამამ აღარ მიუშვა სახლში. იმ ღამეს ნაძვის წვერშიდა ყოფილიყო ი ვაჟა. როცა იყო, მოსძებნეს ამ დედა-მამამა ბიჭი. იკითხეს სოფელშიდა და ვერაფერი გაიგნეს... ი ბიჭი ჩასულიყო დუქანშიდა. დაინახეს და წაიყვანეს შინა და მოუყვა ე ბიჭი—როგორ დეეკარგნეს ცხვრები... მოორე დილას გამოეწია საძებრადა ტყეში,დაუწყო ძებილი ცხვრებსა. უცებ ნახაი ცხვრებნი, ნაძვის ქვეშ მიწოლილიყვნეს. დედ-მამას ერთობ გეეხარა, რომ ცხვრებნი ნახნეს და ბიჭიცა, ბიჭი, რომელსაც მზეთუნახავი გამეექცა. იჩხუბოდეს სამი დევი ზღვის განაპირასა. ეს სამი დევი იჩხუბოდეს. ერთი რკინის კეტი იყო, წყალში რომ შემოსულიყო, იმ რკინის კეტს ვერაფერი წააქცევდა. ერთი ქუდი იყო: პურის ჭამაზედ რომ დაჟდებოდა კაცი, ვერა ნახევდა იმ ვაჟას და ხალიჩა იყო იმითა-

ნა, რომ შემოჟდებოდი, საცა გინდოდა, იქ აფრინდებოდი... ამა ვაჟამ წამოიღო ეს სამივე და მოვიდა მზეთუნახავთანა.

ე ქუდი დაიხურა. პურის ჭამად იყო მზეთუნახავი. რამდენ ნატეხს მოიტეხს, იმდენს ე ვაჟა ჭამს, ართობს... კიდე მოიტანა ორი ნატეხი და ა ვაჟამ კიდე წაართვა. ე ქალი ნახშობს: – რა მემართებაო? სხუმის არა მქონია და ახლა რა მემართებაო?! — მივიდა ჩაფზე წყლის დასალევად. ქუდს ხელი მოჰკიდა და ე ვაჟა კი შიგა ნახა. იმდენი სცემა, რომ მეტი არ შეიძლება, რკინის ჯოხითა. ხალიჩაც წაართვა, ქუდიცა და რკინის კეტიცა... ე ვაჟა გამოუშვა ტირილითა... ერთხელ ამ ვაჟას მისძინებოდა კლდის ძირსა. ერთმა კაცმა ნახა და ძალიან შეეცოდა... ვინ არის პატრონიო, რომ არა ჰყურობსო? წამოიყვანეს ე ბიჭი და მიიყვანეს იმ მედუქნესთან, რომ რავა ღამითა სტოვებს ესრე ტიალათო. ჩაამწყვდიეს ნაობახში. მერე ამ ვაჟას დარჩა მისი დუქანი და სუყველისფერი... ე ვაჟაჲ იქა სცხოვრობდა კარქა... გამოსწია ამ ვაჟამ და მოვიდა, ერთი მაღალი ციხე იყო. იქ იყო დათვი, მელია არჩვი, ჯიხვი, ირემი, კურდღელი, სპილო და ლომი. სუ ყველაფერს იქ ძოეყარა, გარეულ ცხოველებს, თავი... აქ ვაჟა ძლიერ შეშინდა. ესროლა შვილდისარი და მოჰკლა კურდღელი. წამოიყვანა და შესწვა და შეჭამა. ე ბიჭი დილლაზე გამოსწია და წამოვიდა, მივიდა ერთ დიდ მინდორზე. აგერ გაშლილი შტოლი დახვდა და სახლები იყო რკინის აგებული. შევიდა და იქა სცხოვრობდა კვაჭა (კოჭლი) დევი. ამან უთხრა:

— რა გინდაო შენაო აქაო?

— როგორ არ მინდაო აქანაო, ჩემი სახლი არისო, აღარსად მივალო მეო! — დიდხანს იჩხუბეს, ბოლოს დაიღალა კვაჭა დევი. ამ ვაჟამ წააქცია და მოკლა და ე სასახლეები დარჩა ამ ვაჟას...

## 169

რვა ძმა კაცი იყო. ამ რვაში ერთი ძალიან მეცარი იყო; სულ ყოლიფერი გაეგებოდა. უთხრა დანარჩენ ძმასა: — ერთი კაცის ქალები უნდა ვითხოვოთო; წავალ და მოვძებნიო, სადაც იქნებაო. — წავიდეს, იარეს, იარეს, და მივიდეს ერთ მოსახლისას.

— არავისთვის გეგულება რვა რვისთვისო?

— როგორ არა. ჰყავსო და ის კაცი დევი არისო. — ავი სანდო კი არის, მარა იცის, რომ შეუვა... მივიდეს და დედაკაცი დახვდა სახში. ი დევი სანადიროს იყო წასული. მოვიდა და უთხრა ქალსა საღამოზედა:

— ადამიანის სული იცემაო.

— არისო, რვა კაცი მოვიდა და რვა ქალიშვილი გვყავსო, რვასავე ქვთხოვილობსო.

— კარგიო, არ ვერჩიო!—გამოაჩინა და უცებ ნემსებათ გადაქცივნა და კედელში შეატანა. გამოიყვანა და ისევ ადამიანებად გადააქცივა.

— გამარჯობა თქვენიო!

— გაგიმარჯოსო.—გაეხარა ამ დევსა. უნცროსმა უთხრა:—მოქცემო თუ არა?

— მოქცემო,—წაიყვანეს და თავ-თავის ოთახებში დააწვინეს რვავე ცოლებიანათ... აზრიანი რომ იყო, მეცარი, იმანა თქვა:—ამ ქალებს დავხადოთ ტანისამოსი და ჩვენ ჩავიცვათო, თვარემ გამოვა და დაქვ-ჰრის თავებსაო შვაღამის დროსაო. ყველამ გაიხადეს და ი ქალების ტანისამოსი კაცებმა ჩაიცვეს. დაუარა შუაღამის დროსა ამ დევმა და შვილებს დასჭრა თავები. დილლაზედ ძალიან ადრიანად ეს დევი სანადიროს წავიდა. დედაქალს დაუბარა—სადილი მომართვიო... ჩაყარა ქვაბში შვილების ხორცი და მიუტანა სიძემ. ქალულათ შეიკაზმა ეს სიძე. მიაძახა დევმა:—რავა გვიან მოგაქვსო ეს საჭმელიო?—რა უყოთ, დამაგვიანდაო.—ამოყარა ფიალიდან ე ძუძუები და დაუწყო წინა.—ვაჲმე დედა, რა ამბავია ესაო!—ძალიან გულდაწყვეტილი მივიდა თავის სახლშიდა ე დევი. დაბორგავს ე დევი იქეთ-იქეთა...

რომ ის მეცნიერი არ ყოფილიყოს, დახოცვა არ ასცდებოდა რვათავე... გულდამძიმებულად ბორდოხობს საწყალი დევი, არაა მეტი კაცი. რომელიც მისი სიძეა, დაჰყარაულობს და ბორდოხობს გულგაცხარებული. ადგა, მოორე სახემწიფოში წამოვიდა. მივიდა და ხემწიფესთან ითხოვა:—მოჯამაგირედ დამიყენეო.—დაიყენა ხემწიფემ. ერთ დღეს უთხრა ვეზირებმა:—შენ რომ კაცი დაიჭირე, ოქროს ქათამი ჰყავს დევსაო და შენ თუ იმას მოჰგვრიო!

— ვინ გითხრაო?

— ამა და ამა კაცმაო!

— შემიძლიაო, მოგგვრიო!

— აპაო წადიო!—წამოვიდა, ჩაჰგვარა, დიდათ გაეხარა ხემწიფესა. რამოდენიმე ნივთეულობა აქ და წვრილ-წვრილად უნდა გაიტანოს. იმასა ჰქონდა ხალიჩა მითანა, რომე, რასა ინატრებ, შესრულდებოდა. წამოვიდა და ისიც წაიღო. მიუტანა და დიდად გეეხარა...

170

ხრმალი ორპირი სისხლში ცურევდა.
ბოცორ გაიქცა, გორსა გაიჭრა,
ვაცი გვეგონა, ვით რომ დედალი.
ბოცორ, ვერ წახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა, წითელ კაბახა.
ბოცორ ჰკითხვიან დვალნი დედალნი,
— ჩვენნი რა იქნეს?

— უკან მოდიან, გუშინ ომს იყვნეს,
დღეს კი მოვლიან.
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
წვრილი წელები ხელ-კალათითა;
ღვინომ რაჲ გვიქნა სადმელისამა,
ხორცმა რაჲ გვიქნა ღურშოვისამა;
ანად კანაფო, გრძელო და წვრილო,
ქვეით ფერხებო ფესოანებო,
ზეითა თავო ყვავილოვანო...

—

ო ლეე ლევდა, ქართლის მინდორსა ვაკესა
მწყერებს უგებდი მახესა, ჩამოგვეჩვია ქალაი,
მოდის, მოგვიშლის მახესა.
გოგო, ნუ გვიშლი მახესა, თვარემ გაგიშობ ნარცხვენსა,
თამარო ქინქლილოანო, ბიჭები გიჩივიანო,
ალალეთს ქალი დავმარხე—იონეთს მარგლის ბოსტანსა.
ჯავახეთს ერთმა ბებერმა კარები დაგვიკეტაო,
შინიდგან გამოგვენახშა. თვალებიც დაუდგებაო.

—

ტატუკს რათ უნდა ქებანი, ვაჟია ლამაზოვანი,
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ˙რქვიანო,
კლავი მასა აქ ძრიელი და ხრმალი ალმასოვანი...
ციხის სადგურას გავიდა, ლაშქარსა გახდა ხმიანი,
აფხანიგ შემოუძახა:—ბიჭებო, ფრთხილად, იყვენით, საქმეა ლალატოვანი.
ფიცხლად შემოჟდეს ცხენებსა, გზანიც დაუხვდეს წყლიანი,
წითელი ფარი გადრიკეს, შუბი კრეს, ხრმალი გადრიკეს,
სილინგი გადგა ისრისა, წენთა არტყია სარტყელი,
ქარქაშს უგია ისარი, გათლილი ათასოვანი...

—

ქვედრულა მოდიდებულა, მთლად მოაქვს მთა და ბარიო,
ლალაშვილს დაუქადია—მე მომდის ბევრი ქერიო,
შენი ქვედრულა მოგიკვდეს, თუ ვერ გიცვალო ფერიო,
მოსტაცა კალო-საბძელი,
საფიცხებელი მოსტაცა, სამოცი კოდი ქერიო.
სამი ქალი დაურჩვია, მეოთხე პატარძალიო;
მათი ფარდაგი ჯელები კოხებსა დაუნტვრევია,
საფიცხ მოსტაცა წისქვილი, უკვან გაჰკიდა:
— წადი და ისი ფქევია.
დიასახლისი მოსტირის, ვაჲმე რას მოვესწერია.
ახალი სძალი ვიყავი, საქმე ვერ მომიგონია,
ჩიქილით სახლი დავფალე, ცოცხიც ვერ მომიგონია,
თორნეში კაბა ჩავდევი, შეშაც ვერ მომიგონია,
ცეცხლზე საცერი დავადე, კეცი ვერ მომიგონია.

—

ზვიდუკა ისმაილამა ჩხუბი მოქმიდა ძნელია,
ბაჰილაეთნი დაჩეხა, ფული აართვა ბევრია.

მიხამ მღვდელი დაგვიჩეხა, ოქრუას მოსჭრა ხელია,
დიდმარხვა ჩამომავალი, პირველი ყველიერია,
საზიარებლად წამდგარი, ხალხი ელოდა ბევრია.
გლოლას კაცი გააგზავნეს: იქ არის მეტი ღვდელია,
გლოლიდან მღვდელი მოვიდა, იქ დახვდა კარგი მრევლია,
მაქსინიკა დიაკონი დაუხვდა მასპინძელია,
ვახშამიც კარგი აჭამა, ღვინოც ქვე დაალევია.
სკინტლიანმა მახარიკამ ლოგინი წაარბენია,
ლოგინიც კარგი დაუგო, შიგ ნაკვერჩხალი ჩაუგდო.
შუა ღამისა დროსაო ბურბული გადგა სქელია.
გამწარებულმა ხუცესმა აკოშკას ჩაჰკრა ხელია,
აკოშკის კარი გააღო, კვამლი გაუშვა სქელია,
ანაფორაზე დასწოდა საბან-ბუმბული სქელია.
ღებს რომ საქმე დაგვემართა, სად არის გასამხელია?!

—

ავაჲ ვაჲ ვასა, რა კაცი ენდონ სხვასა,
კოხტასა ამპარტავანსა, უწერელსა შავსა კაცსა.
წუხელის ლაშქრით მოვიდა შუა ღამისა ძალასა,
ავდექ, სანთელი ავანთე, ფიცხლად მივარდი ვარცლსა,
საკარცხული წამოუდგი, დაბძანდა ხვთისა ძალსა,
ფეხმოსახდელად მივარდი, ჯიღი ამავლო ყბასა.
— შე წამხდარო და უჭკუო, რათ არ გაივლი კარსაო!
ავდექ, კარი გავიარე, ამოვეფარე ქვასაო,
მოვიხედე და მომდევენ, მოიალებენ ხმასაო.
— რას მომდევთ, რა წამიღია, მე თქვენი არა მიმაქსა,
ნეკზე საცმელი ბეჭედი კონკაში ჩამიგდიაო,
კონკა და მისი ნატეხი გრილ წყაროს დამიგდიაო!

—

ვლი მელი, მე შენ გელი, შუბლი ბრტყელი ყავარჯენი,
მოვსწიე და წკაპი უქენ.
იმერელას ქათამა ღობის ძირში ჩამკვტარა,
მისი ფრთე და სკურტუმალი ერისთავსა მივართვი,
ერისთავმა ცხენი მომცა, ავახტუნე — დავახტუნე,
კეცნაირის ბოლოსა ვირი ხნევდა ყანასა.
— ვირო, ეგ ყანა ვისია?
— ასლისაა მასლისაა, ქურთათელი კაცისაა;
ქურთათელმა კაციამა ძაღლი წამომისიანა,
არც მაღრინა, არც მიკბინა, ისე დამასისხლიანა.
კარებს მათრახა მომიხვდა, გამოვარდა პატარძალი,
არ მოვეშვი ბზიკივით, ვაჟი შევქენ გვრიტივით,
მეძროხეებს მივაბარე: — არ მომიკლათ შიმშილით.
დეკეულას წიხლი ეკრა, გაებერა ტიკივით,
ტიკი ტიკად მოეხმარა, საკროჭინა საკრავათა.

—

მთას თივა დაგვითიბნია, გვიხდება უდარობითა,
კდეში ჯიხვმა დაიქადა — სამგან ვიცვალე ბინაო,

ვერც რას დამაკლებს ზამთარი, ვერც რას მაისის წვიმაო.
შარაში მჭადის მარცვალასა რა აკრეფს, წიწილის მეტი,
მთას ჯიხვი ჯობს სანადიროდ, ბარად დათვიო მწარეა.
კლდემა გასძახა კლდესაო, მონადირეა ჩვენსაო,
ნუ მოჰკლავს ჯიხვის ბოიკსა, თვარემ გადვაგდებ კდესაო.
სულტანიშვილი შალიკო არწივსა ჰგავდა მთისასა,
კართიგომს შემოგვეწია, ბუღბულს გვაყრიდა თვისასა,
მისი ნასროლი ფინთიხი რისხვასა ჰგავდა ხვთისასა,
მარჯვნით იცვამს ქალამანსა, მარცხნით იყრის ქარავანსა...

—

მთაში რომ ერთი მტრედია, ის ჩვენი მოყვარულია,
მანემ ვერავინ წაგვართმევს, სანემდი ჩვენი დღენია,
მთასა სთოვს, ჯიხვი ფეხს აქნევს, ნადირნო, ფთხილად იყვენით,
არჩვნო, ჯიხვნო და ჯერანნო, ნადირში მშვენიერანო.

—

ხუთნი ბუბასა ვერას უზმენს, მტერთა ჩამოსავალია,
ხუთნი-ხუთნი ხურაზნიო. მოგვივიდეს სტუმარნიო,
ხუთი პური შეგვიჭამეს, წაგვივიდეს სტუმარნიო...

—

ხედა უწერით წამოველ ქვედა უწერის თავითა,
ლაშის ბოლოს რომ ამოვე, შავი რა ვნახე შკალითა,
ასის ოდენი თხა-ცხვარი დაზავებია თავითა,
ერთი ერია უფროსი რქადაკაული ვერძიო.
— არიქა, მგელო, არიქა, ნუ ამიბღავლებ ცხვრებსაო,
შოვსა არიან ხარები, აბრიალებენ რქებსაო.
წადი და ისი შეჭამე, ის ამოგივსებს ფერდსაო.
— წავიდე, ისი შევჭამო, რაღა უამბო ღმერთსაო,
მისი პატრონი იკიდებს ცხელ ფინთიხიან თოფსაო,
მისი ნაწერიმც იქნები ჩემი გუნების დროსაო...
ღესქესა ფიცარ ნალშიდა გრილი წყარონი დიანო,
მაზე ნავალნი ვაჟანი სანთელივითა დნიანო.

—

სახლი დავდგი ვერხისაო, შიგ ჩავიბი ფერხისაო,
წმინდამ გიორგიმ დასწყევლა ეშმაკობის ფეხისაო.
ქვემოურნი მოდიანო, ქვედა შავრეშისაო,
თეთრი წვიმა მოვიდაო, მოასველა ველებიო,
დიდი ველი წაულია, პატარაი ჩემიაო,
ხვაწაი მოუხვაწავს ნახოწითა მისითაო,
ახურვებენ თორნესაო, მაშიდ გამოაცხობენო
ქადასა და ქაბაბსაო...

—

ალხიეთნის ცხრანი ძმანი სანარცხის ძვალს დაურჩვია,
მათი ქალების ტირილმა გორმანში თოვლი გააქროო,
მამაჲ მითიო პაჩიაო, ვერ დასძებნესო გვარშიო,
მათი ლამაზი თოფები ვაჲთუ მიჰქონდა სხვათაო,

წავალ, დავჯდები წყლის პირსა, უყურებ წყლისა ჩქრიალსა,
მაგრამ გლოელის ქალიო ჯოჯოხეთს შეგვეყარაო,
დაჯდა და იტირაო, ჩვენცა გვატირნაო,
ერთი ის იქნა ღვთიანიო.
ზემოთ თითო დვალნი გიკითხვენო, ქვემოთ თითო დარბაისელნიო,
კუბონი შევაკვრევიეთო ეშვითა და სატეხითაო.

—

ალალეთს ქალი დავმარხეთ, დალალეთს მარგლის ბოსტანსა,
თუ ჩემი თვალნი თვალობენ, მკვდარი ვამგვანე ცოცხალსა,
კიტრი ვსთხოვე და არ მომცა, სხვას გამასწავლა ბოსტანსა,
გადავხტი, თავი მოვკვეთე, ათუ სჯობს მკვდარი ცოცხალსა...

—

მინდორ-მინდორ მივდიოდით ამირან და ყმანი მისნი,
წინ ირემი აგვივარდა ოქროს რქა და ტანნი მისნი.
დღისით ვდიე, ღამე ვდექი, არ დავკარქე კვალი მისი,
აგვიხვნა, შიგ ჩაგვაყარნა ბალხეთს მინდორს ქვეყანისი.
ბალხეთს მინდორს კოშკი ვპოე ანაგებად არავისი,
სამჯელ გარშემო უარე, ვერ ვიპოვნე კარნი მისი.
სად ამირან წიხლი ჩაჰკრა, ის თურ იყო კარი მისი.
ჩავალე და შიგა ჩავედ ჩაბარჩი და ჩარჩი მისი,
მივიხედე, მოვიხედე არა იყო ჩემ გულ შიში,
კარს უკანა კვებო იყო, კვებოშიდა კუბო იყო,
კუბოშიდა კვდარი იყო, ჩვენ გვეგონა სამი დღისა,
ის თურ იყო სამი წლისა.
თითთა შუა წიგნი ჰქონდა, დაწერილი ქაღალდზედა:
„ვინც რომ იმას წაიკითხავს — ჩემი ფული ალალ მისი"...

—

ერთხელ წისქვილს წასვლამდისა მძიმეთ მოვირთეო,
მოვირთე და მოვიკაზმე, მძიმეთ მოვირთეო.
წინ ბიჭი შემომეყარა, ბევრი ვიხუმრეო
ვიხუმრე და ვითამაშე, ბევრი ვიხუმრეო.
იარაღი მოწეწონა, თოფი ავხსენიო,
ის რომ ჩემ ქმარს გადავკიდე, გავაჩერქეზეო.
— მამაძაღლო ჩემო ქმარო, გაგაჩერქეზეო,
მაზლი ლაშქარს წამივიდა, ლაშქარს გავგზავნეო,
დიდ მინდვრამდი რომ ჩავყევი, გზა დაულოცეო,
თეთრი გომიჯის პურები ხურჯინს უკარეო;
ოლოზე ჩიტი შემოჯდა, ქორი უქროლეო,
ის ბატონთან წასულიყო საჩივარათაო,
წითელი ხარი მომტაცა დასაკლავათაო.
პატარძალი ჩვენ მოგვტაცეს საკოცნელათაო.
შარშან ქმარი მომკვდომოდა, წრეულს გავიგეო,
შევიკაზმე თეთრი ცხენი, შევჯე და წავეო,
სამთილო კარზე რო მივე: — კარი გამიღეო.
— შენ მამამთილს ეძინება, კარს ვერ გაგიღებო,
კარი კრინავს, ძაღლი ღრინავს, კარს ვერ გაგიღებო!

—

დანდაგიშვილმა გიორგიმ იყიდა ნიშა ხარიო,
ღებელებს აუტყდებოდა — ვერას დაგვაკლებთო,
პრისტავები შემოდენა. იმას მისცა ქრთამებიო,
ქრთამი რომ არ გაუვიდა, იმას მოსტაცეს რძალიო.
ახლა სეხროს მიუბრუპდა: — სუ შენი ბრალი არიო,
სეხნა რო ძმებს გამოეგო, მაშინ დაუდგა თვალიო.
პრელი ქისა სამსე ქონდა, ზურგზე დაედვა ვალიო.

—

გელმა თქვა: ერთობ დავმშივდი ხორცითა უხარშავითა,
კირტიშოს რომ გადავდექი, ვეძა დავლიე ცხარია,
გადავდექ, გადავიხედე, დაგროვებული ცხვარია,
გასუქებულა მთავითა, ერთი ერია უმფროსი
თადაკაული ვერძია.

—

მიხო, მიკვირს შეწყვეტილა მარჯვე შენი თოფის სროლა,
გაგიტყუა სითამამემ, მტერს დაუწყო მედგრად ბრძოლა,
წინ მირბოდი ოფლიანი, ტანში გქონდა თურმე ჟრჟოლა,
მიგვითითე, დაგვანახვე, ვისმა ტყვიამ დაგალონა,
ყაბალვათი ააშენე, გადასჭიმე ბაღი გრძელი,
ახალ-ახალი ხილები, არ ყოფილა ერთი ძველი.
უწინაცა გაგვეგონა მარჯვეთ შენი თოფის სროლა,
რომ შეგბმოდა დათვი დიდი, გაბერილა როგორც გორა,
მაგრამ შენმა სიმარჯვემა ცოცხალი მკვდრად დააგორვა,
მიხო, შეგთქვამ მუდარობით, დაუვიწყარ წუხარობით,
ტირს ცოლ-შვილი დუღარობით.

—

სოლომონ ბუტულაშვილი კარქა იპატივებს ცხენსა,
დილასა და საღამოსა სულ იტროგით აჭმევს ქერსა,
თბილი წყლითა და ერბოთ გავას გადუსვამდა ხელსა,
დედ-მამა ენახშებოდა:—რისთვის იპატივებ ცხენსა?
— თქვე რა იცით, თქვე უგნურნო,
ეგებ ესე გამომადგენ ჩემი გაჭირვების დღესა.
სოლომონს წიგნი მიუვა — ჯარში უნდა წაბძანდესა,
სოლომონ სიხარულშია, თუნდ ქორწილში წავიდესა...
დედ-მამა შეწუხებულა — სოლომონ მოდისო დღესა,
წავიდა შენი სოლომონ, თუნდ სიხარულში დადისა,
ამ ქარავანში მივიდა, სამთა უმტყუნეს თოფები,
ორი სოლომონს მოხვდესა...
გადმოვარდა სოლომონი ცხენზეით და წყალსა უსმენ გულზედა,
— ნუ გეშინის, სოლომონო, კიდევ ნახავ დედაშენსა,
— მე დედ-მამას ველარ ვნახავ, ოთხად დავინახავ მზესა,
ეფენიას ნუ გაუმხელთ, თვარე მუცელს წაიხდენსა.
(მოიყვანეს ურემი და ჩადვეს სოლომონი)
მარილი ჭარბათ აყარეს — სული არ აუდინდესა.
უფროსების რა გიკვირდეს, ყმაწვილები დაწუხდესა,
ამ ურმის წაწკა-წუწკაში ქონი გასწუწკუნობსა,

სოლომანს დედა მოტირის, მოიგლეჯდა ძუძუ-მკერდსა,
— შენ რომ ჯარში მიხვიდოდი, სიზმარს ვნახავ საზარელსა,
ოთხად დავინახავ მზესა.
სოლომანს მამა მოტირის — მოიგლეჯდა ულვაშ-წვერსა,
— შენ რომ ჯარში მიხვიდოდი, რუხი ცხენი მოგჯდომოდა
ძაღლი მოგითრევდა ფეხსა.
ეფენია მოიყვანეს, სამი დღე და სამი ღამე სულ გველივით აწივლესა,
ამ ლექსის გამომგონებელს თეთრი ჩოხა ჩააცვესა,
ლაფშა ცხენი აჩუქესა...

171

ალაუგანი იყო ერთი კაცი, ნამეტარი ავი კაცი იყო, დედა ყავდა და უთხრა; — შვილი მიბერდება უცოლოდ და ვერავინ არის ითხოვსო?—რა ვიციო, მოხუცებულები შევიკრიბოთ და მოვახერხებთო.—მოვიდენ და დასხდენ. ისაო გულფიცხი კაციაო და პატარუკა ბაღანაები მოვიყვანოთ და კოჭაობის დროს ერთმა თქვას—მოხვდაო, მეორემ—არაო, დაცილდენო და თუ არ მოხვედრიყოს, ალაუგანივით უცოლოდ დავრჩიო, თუ ვტყუოდეო. ამას ალაუგანი გაიგნებსო, იქ იქნებაო!—დაიწყეს კოჭაობა და—მოხვდაო,—არაო,—თუ ვტყუოდეო, ალაუგანივით უცოლოდ დავბერდეო.—გაწითლდა და ადგა და წავიდა ალაუგანი. წავიდა ერთ მინდორში. ერთი კოშკი იდგა. ზის ქალი; ერთი კაჲ წისქვილი რომ იქნება, იმოდენა ძახზე წამოსხმული კვირისტავი და აბრუნებს.—გამარჯობაო,—გაგიმარჯოსო!

— სად მიდიხარო!

— ქალი მინდა თხოვაო.—მობრუნდი და მე მყავს კაჲ ქალიშვილიო,— ე დევი ქალი ენახშება. შევიდენ სახში. ნაცარში ზის ქალი და თითო არშინი კბილები აქ.

— ეს არის ჩემი ქალიშვილიო.

— წავიყვანო,—ვეღარ ივარა.—რაც რომ ბედმა მარგუნაო...—წამოიყვანა, გავარდა ხმა: ალაუგანს ქალი მოყავს, ალაუგანს ქალი მოყავს,—სულ იმას შეეგება ხალხი. ბუტბუტობენ—რავალიაო. რამდენსაც მიეწევა მაყარს, ყლაპავს გენჯე. მოიყვანა სახშიდ, და ქორწილი არის და გალავანია დიდი. დედოფალი ყლაპავს ბავშვებს,—ჯერ არ იყო ქვეყნიერების გამაციებელი და ახლა რა ქალი მოიყვანაო? — ძეობა მოუვიდა. რავაც დეეშობება შვილი, მოუბრუნდება და შეჭამს. დედამთილმა თქვა: — თუ ამას ძე არ შერჩა, ჩემი შვილი უძეოდ გადავაო.

— ჩემო რძალოო, ანგრე არ არის ჩვენსა ვალიო. როცა ძეობა მოგივიდესო, მაღლიდან დაშობეო და ძირს ნაბადსო დაგიფენ და მერმე შეჭამეო, თუ გინდაო. — როცა მოუვიდა ვადა, დაშობა ისე. ძირს დახვდა ძაღლის ლეკვი, მიუგდო ნაბადზე. შეჭამა და ესე ყმაწვილი სკორეზე შეიყვანა ბებიამ. ჩადვა სკორეს შუა და ყინული ჩაუდვა პირში.

სანემდვისი ჩემ მორევას არ შეიძლებს, მანემდისი არ ჩავიყვან ბარად, თორემ შეჭამს დედაო. მიუჩინა ირემი თავისმა გამჩენმა. მოვა ირემი და აწოვებს ძუძუს და წავა. ამ ყმაწვილს თვე რომ გაუთავდება, წლისა გგონია, იმისთანე იზდება. ბებიამ შავაჲ დაარქვა. დააძალა ერთხელ ბებიამ, მეორეთ მოიქნია და ე ბებია და მეორედ სკორი პირზე გადააგდო. წამოიყვანა სახშიდ. ჩამოვიდა დედათან, დედამ ვერაფერი დააკლო, რადგანაც დასრულდა. ველარ მოვკავო, მარა ცხენმა არ დაანება.

— სანემდი იმ დედიშენის შარდში არ აწრთოო აილეშებიო, მანემდი ნუ მოკლავო. —მიუტანეს ტაშტი დედაკას და ცხრა ტაშტი დაადგეს ერთმანეთზე, შარდი თხოვეს თავისი. ისაქმა და რვა ტაშტი და მეცხრეში გაჩერდა. წამოვიდა და მოვიდა მამათან შავაჲ.

— ესენია ჩემი ქოჯება, შვილოო.—მიგვარა ქალი შავას და დაუშენს ამ ქალს და ებრძვის. რაზე ებრძვის, ქალმა არ იცის. მოვიდა ერთი მოხუცებული ქალი.

— ქმარი კარგი გყავს, მარე რატომ შეწუხდიო?

— რა ვიცი, რაზე მებრძვისო, ვერ გავიგენო.

— მე ვიციო, ჩემზე უფრო ძრიელი ვინც არიო, მითხარიო? ერთი ზანტუკი არის და რატომ არ ჩაგახედვიებსო?—შევიდა და დაჯდა მამათან.—რა მოგწყენია, შვილო?

— არ გიყვარვარო?

— როგორ არაო?!

— აიგერ რო ზანტუკი არის, რატო არ ჩამახედვიეო?

— იმაში შენთვის სამჰინო არაფერი არიო, ცალი წუღა გდიაო.— არ მეეშვა, ჩაახედვინა. ერთი ცალი წუღა იყო.

— ამის სატოლო სად არისო?—მიტომ არ მინდოდა შენი ჩახედვაო! მაგისი ტოლი ქალს აცვია ფეხზეო. ცხრა ძმა ვიყვენით ჩვენო, რვა გაწყვიტა და მეცხრე მე გადავრჩიო. ე წუღა იქიდან გამოვიტანე მეო. ეს ცხენიც იქიდგანა მყავს გამოყვანილიო...—აპა უნდა წავიდეო! საცა გიომებია, მეც უნდა ვიომო იქაო.—ჩამოვიდა და ცხენს დეეკითხა:—იქ წასვლა მწადია მეო!—თუ არ წამოხვალ, კარგია, მარე, თუ წამოხვალ, მე გამოვალ და შენ დარჩებიო.

— წავიდეთო და დავრჩეთ, თუ დავრჩებიო. აბა ვნახო, რა იქნებაო! დაკრეს ხელი და წავიდენ. ცხენმა უთხრა:

— ბიჭობა შენი, ცხენობა ჩემი!—მიაწიეს სასახლეში. გალავანი აქ შემორტყმული სულ თუჯის.

— მოყვანა ჩემი არის და კარი გაღება შენიო.—შემოუარა გურგლივ, კარები ვერ ნახა. მაგი კარებ შენ ვერ მოიძებო. ერთი მითანე მათრახი დამკარი, თვალები გამოვბაზო და გადავფრინდეო.—დაკრა და გადახტა გალავანში ცხენი. გამოვიდა ქალი ბალკომზე.

— ხთის ტუმარო, რა გზით მოსულხარ, იმ გზით წადიო, ვინცაღა ხარო!

— მე ანგრე ადვილად ვერ წახვალო,—უთხრა.

— გინდ ვიჩხუბოთ, გინდ ვიჭიდნეთო!—ცხენმა უთხრა:

— არ შეცთე, არ ეჭიდნოო, სროლა დაუწყეთო. იმასაც ჯაჭვი აქ, შენაც ჯაჭვი გაქ. ტყვია ვერ მოგეკარებათო.—ისროლეს და დაიღალნეს და ის ბალკონზე ავიდა, ეს აქ გაჩერდა.

— ადექი და იმას დეეყვინტალება და თმაში წაავლო ხელი. თმით თუ გააჩერებ. ისე არ შევიძლიაო. ის გეტყვის და დაეფიცავს გამიშვი ხელი,—ღმერთსაც გიხსენებს, ხატსაც, მარა არ ენდოო. როცა თავისი ცხენა დაიფიცოს, მამინ ენდევიო.—მივიდა და ტაცა ხელი თმაში. მოახვია ბოძზე და გააჩერა.

— ამიშვი და არ გერჩოლო, ღმერთი თავდებათ მომეცესო.

— ვერ გენდობიო, თუ ცხენს არ დაეფიცამო!—რომ მიჭირდა ძალიან და უთხრა:—ჩემი ცხენი მზემ. აღარ გერჩიო. აუშვა ე დედაკაცი. ამოიღო წულა და აჩვენა. ერთი თვითონ ფეხზე ქონდა ქალსა. იყვნენ რაოდენიმე ხანი და შეთვისდენ ცოლ-ქმარნი.—აბა. ცხენები მაინც წავკიდოთო,—გამოუშვა ბოსლიდან ცხენი. ამისი ცხენი იმ ცხენის და იყო. რავაც შეუტევა, წავიდა ბოსელში, წამოიყვანა ეს ქალი. მოვიდენ თავის ოჯახობაში. ეს ქალი მოიყვანა. ეს იყო ის შავაჲ.

172

სამი ძმები იყვნენ. ერთსა ჯუჯები ერქვა. მეორეს თემირბიი, მესამეს შიბიჟი. ისინი იყვნეს თის კაცები. ხადაოჯუხა ერქვა საჩერქეზოს ბატონს. წამოვიდნენ ორი ძმები სანადიროს—ჯუჯები და თემირბიი. გავიდენ მინდორში და დაინახეს, ერთი შავათ რაცაღა იყო, სულდგმული იყო. ესროლეს ორივემ წორა ისრები, გაფრინდენ ორივე წორა და მივიდენ. დაუხვდათ გახავსული ქვა. ჯუჯამ თქვა:

— ი ფერგასაქრობი ხადაოჯუხას ხომ ამაზე მაგარი გვერდი არ ექნებაო? რასი გვეშინია იმისიო?—მეორემ უთხრა:—ნუ ლაპარაკობ მაგასაო! ყორნის ენა იცის იმანაო, გადმოივლის ყორანი და სიტყვას გადაუტანსო.

— შენ არა გქნა აგრე ფრთხალი და მომკლაო!—დაიწყეს ცილობა—არ შეიძლება თუ არ წევედით ი ჩვენ ტერთანაო. დაკრეს ხელი და წამოვიდნენ ორივე. გადმოიარა ყორანმა მართლა და წავიდა იმისი სასახლეში, ჩამოვიდა ეს ყორანი. ბატონი ჩერქეზში წამოწოლილი არი და კნეინაზე თავი უდევს. ე ყორანი დაგლუგობს რაღაცას. მივიდა, დაადვა ხელი და გაალვიძა ქმარი:

— ადექი, შენი მეგობარი მოვიდა და რაცაღას დაგლუგობს, გაარჩიეო.—დაუგდო იმან ყური:—შენი ტერები მოდიან შენთანაო, ფრთხილად იყავიო...—წამოდგა ბატონი და დააძახა კაცი სოფელში. შეუყარა სოფელს თავი:—ჩემი ტერები მოდიან და მზად დავხვდეთ-ყე ჩვე-

ნაო. იმათ რაც გულში აყვე, მე კარგად ვიციო. გაამზადეთ სადილი, დაკალით სუყოლფერიო!--მოემზადნენ ეს სოფელი, საცა არი, მოაწია ი ორმა ძმამ, გეეგება ყე ის თავის ფეხით რამოდენიმე მანძილზე.

— მობრძანდით. ჩემო მეგობრებო, მადლობელი ვარ, რომ თავი დაიდაბლეთ და მესტუმრეთო სადილი მიირთვით, მერე გაგეხარება-ყე, გაიარ-გამოიარეთ ადგილშიო. მერე მობრუნდით და კიდე პატივსა გცევ-ყეო.—სოფელს დარიგება მისცა ი ჩერქეზმა:—ი ორი ძმა რო ერთხელ წორა იქნენო, იარაღი არავინ გაანძრიოთო, თვარე ქვას ქვაზე დაგვადუღებენო! გაიყვენით შუა სოფელიო! ნახევარი ერცა გავყვეთ, ნახევარი მეორესაო. ერთ ერთ ადვილში წავიყვანოთ და მეორე მეორეში და რაღას გვიზმენო?—ჭამეს სადილი და წავიდნენ. შევიდენ და ორი ღელე ორი და ნახევარი ერთ ღელეზე წავიდენ და ნახევარი მეორეზე. ერთი ძმა ერთმა ჯინმა წაიყვანა. მეორე—მეორე ჯინმა. გადაავიწყდა ამ ძმებს ერთმანეთი. ერთ ღელეში ერთი მოკლეს, მეორე ღელეში —მეორე. გამობრუნდენ და მოვიდენ სახში. ერთ ძმას ხელზე ოქრო ბეჭედი ქონდა და ერთ სოფლად ისიცა ღირდა. აიღო ამ ჩერქეზ-ბატონჰა და ხელზე წამოისვა. გაწყვიტა-ყე ორი ძმები. წამოვიდა და თქვა:—რახან ეს ორი გაწყვიტე-ყე, სახში რომ მესამე ძმა არისო, იმასაც გავწყვეტო.—წამოვიდა, მარტვა ჩაჯდა აბჯარში და მივიდა იმათანა. მივიდა და დაიძახა სასახლეში.—იმან იცნო შიგნიდან იმისი ხმა, შიბიეიმ. გამოგზანა პატარუკა ბიჭუნა და იმან თავისი იარაღში ჩაჯდა უცებ. ბიჭუნამ შეხედა და შებრუნდა:—ვინ არისო?

— რა ვიციო, პირზე რო შეხედო შავი ნახშირივით არი და გურგლივ რკინით არი შემოსილიო.—გამოიძღვანა იმან თავისი იარაღი და გამოვიდა.—შენ ჩემი კარზე არა ხარ მოსასვლელიო და რამ მოგიყვანაო?—აიყარა იარაღი იმან და დააწყო დედამიწაზე.

— მე შენთან სამტეროდ არ მოვსულვარ. თუ არ დამანანებ, ცხვარივით ვარ, მომკალო.--ამ შიბიეიმ იფიქრა: ეს ქვეყნიერობის ბატონია და ერთი კაცი არ წამოიძღვანა, მაშ სამტეროდ არ მოსულაო. დავანებებ, რაღაცა უნდა ლაპარაკიო.

— მობძანდიო სახშიო!—შეიყვანა სახშიდ.—რა ვქნაო,—უთხრა ბატონმა.—შენი ძმები შიშით ველარსად წავედიო. გთხოვ, რომ შევრიგდეთო, შევფიცოთ ერთმანეთსო.

— რა ვქნა, ძმები არა მყავან სახლშიდაო, სანადიროს არიან წასულიო.

— შენ უფროსი ხარ და შენ სიტყვას არ გადააბიჯებენო.—დაიკმაყოფილა და:—ჩვენ რჯულზე შევფიცოთო, თათართუფის ციხეზე, შორეზე.—მივიდენ ამ სალოცავთან, უთხრა:—შენ უფროსი ხარ და დაიფიცეო!

— არაო, მე კი, მარა გვაროვნობით შენ უფროსი ხარ და შენ დაიფიცეო უმალაო.—შევიდა ჩერქეზი.

— ღმერთო, როგორც ი ორი ძმები მომაკვლევიეო, ისე ე მესამე ძმაცო და თითო ყურშავა ცხვარიო ყველთვის მოგართვა საწირავად წელიწადშიო.— გამოვიდა ე ჩერქეზი.— ჩემა ძემ და ჯილაგმა ვერ გილალატოსო, შენმა ძემ და ჯილაგმა ვერ მილალატოსო. ასე ვთქვიო. შევიდა შიბიჟი. ამან გული წმიდით დაიფიცა... ჩემა ძემ... გამოვიდნენ იქიდგან.— ახლა მობძანდი, ჩემ სასახლეში წამობრძანდიო.— წავიდნენ და თათრებმა გავიდენ წყლი პირზე და დაისვენეს და დაიწყეს ლოცვა და მოისვენეს. ხნით ეს უმფროსი არის — შიბიჟი, გვაროვნობით ისი. მიეძინა შიბიჟის და: — ცხენები არ დაგვეკარგნენო.— ნუ გეშინიაო.— დაიძინა თუ არა, მოუშვირა ისარი. ესროლა და კლავზე გადაკრა, წამოარდა. ტაცა ხელი და სისხლმა წატეხა, შენაო გატეხო ფიცსო. — კაცო, კაჭკაჭი შემოვჯდომოდა და იმას ვესროლეო.— გაანება თავი. გავიდენ მეორე წყლი პირზე. ილოცეს თავი რჯულზე და მიეძინა კიდე.

— ახლა რავა ვერ მოვკლავო,— და ესროლა ფერდში და გახვრიტა. ერთი ფეხი გადაასწრო და ლეკურით მოაწრო და ფეხი მიაცალა.

— მე კი მომკალი. მარა ჩემ ძმებს სად წაუხვალო?— ბეჭედი აჩვენა და: — ისინი უმალ გავისტუმრე-ყეო.

— კარგიო, ღმერთსა ვთხოვ ფიცსა ღვთისასაო! შინ რომ ერთი კასრი წყალი (ბიჭუნაზე ეუბნება) რომ დარჩა, იმას ეელოს სისხლიო. გაიტუმრა-ყე ძმები ამ ჩერქეზმა... წამოიზარდა ე პატარა ბიჭუნა და დიდი ბიჭი შეიქნა. ყოჩაღი იყო. ცხენითა თამაშობს და მეზობლი ბიჭი გალახა. შევიდა სახში ე ბიჭი: და გამლახაო.— გამოარდა ე ქალი და დაუწყო·— ჩემ შვილს ნუ კი ლახევდი, შენი მამა და ბიძანი რომ ჩერქეზმა მოკლა, ის აიღეო.— წამოვიდა, მივიდა ბიძათან. ძიძის ქმარი იყო კიდე ერთი. მივიდა და: — ერთი პუნტა ამიკვარეო. შენი ხელით მაჭამეო!

— კი შვილოო...— დაკვარა პუნტა და რომ აჭმევს, ტაცა კბილები თითზე: — დედ-მამა მყავდენ თუ არაო და ბიძებიო?

— კიო, დაიხოცნენო!

— რათიო? თუ მტერმა გაწყვიტა-ყეო?

— ჩემი ცოდვა იმასაო, ვინც გითხრაო... ასე იყო, ასეო და კბილები მიშვიო.— მოუყვა.— აჲნაირად გაწყვიტა-ყეო. შემოჯდა ცხენზე და წავიდა. გამეეკიდა ძიძის ქმარი— მოგკლავენო!

— შენ დაბრუნდიო, ნუ მებლაუჭებიო.— შეწკრა და გადააგდებია თავი. მიაწია იმ სოფელში. ხალხი არიან იმდენი, რომ ტევა აღარა აქ. სულ ბოლოში დააბა თავისი ცხენი. მივიდა და უთხრა-ყე: — ჩერქეზი ბატონი რომელი არიო?

— აი ეგერა მგლი ტყავი აცვია და ქვე კოჭლობსო!— აწავლეს, ხალხს ენახშება, იძრომა, იძრომა და მიუსასწორდა კარქა გულში... ამოიღო ორი ფინთიხი და დაცა და გაავორა. ბექდიანი ნეკი მოსჭრა და გამოაპო ე ხალხი და წამოვიდა...

— რა ქენიო?—უთხრა ძიძამ.

— მამაჩემი სისხლი ავიღეო! — ისი არი ბაბუა... ახლა იმან ქალი ითხოვა. ისინი რომ ქალს ირთვენ, საკლავსა თხოვენ. ერთი ყმაწვილი თან დაყვება და მივიდა და მიიწვიეს.

— ამან არ მოკლა ჩვენი ბატონიო?—მოუარა ამ მეცხვარემ და დიდი მუჯირა დაკრა თავში. წამოდგა და ის თანამტანი ქვე ტირის.

— რა გატირებსო?—სა წავიდა ი ძაღლიო?

— აგერ მიდისო!—გეეკიდა გორაზე და—რახან შენი ბატონის სისხლს იღებდიო, რათ მაგრად არ მომკალო? არა გცოდნია აღებაო...—მოუქნია და მოწყვიტა კისერი... მოდეეს ხელი და ე ჯოგი სუ წამოიყვანა; დაურიგა-ყე, — ე ჩემი მამა-ბიძი სისხლი იყოსო...

(ზემორაჭული)

173

იყო ერთი დიდარე კაცი. ყავდა ორი ქალიშვილი. ისეთი ზარმაცი, ისეთი ოხრები, რო პირში ლუკმას ვერ ჩეიდებდენ თვითონ, სხვას უნდა ეჭმიოს. პირს ვერ დეიბანდენ. ამ დროს გაათხოვა დიდის უბედურებით ერთი და მისცა დიდარე კაცს და დედ-მამამ მისცა ნახევარი ცხოვრება მზითვათ. რახან რო თავისი შვილი არ ეგულებოდა მამაცი, გარჯილი. დარჩა მეორე ქალი გასათხოვარი. არი ერთი მეწისქვილე, ძალზე დიდარე კაცი. ნახა საცხა, მეეწონა მეორე გასათხუარი. უთხრათ ქალის დედ-მამას მეწისქვილემ: — მამეცი. რაა, შენი ქალი! — მე კი არ დაგიკავეფ, შვილო, მარა არ გამაგადგება, ზარმაცია. — შენ იმისი მჯავრი ნუ გაქ, მე გამოვაზარმაცემ. — ამ დროს უთხრა სასიმავრომ: — მოდი, შვილო. რა დროსაც გინდა, დეიწერე ჯვარი, წაიყვანე.—მოიყვანა სამფეხი ცხენი, სამფეხი ძაღლი და სამფეხი კატა. — აპა, ადე, ქალო, წამოდი. — მოიყვანეს ღვდელი. არც კი იკადრა ეკლესიაში წასვლა. სახში დაწერეს ჯვარი. — ჰამე, ქალო, რას უყურეფ. დიდი გზა გავაქ. — მე კი არა. მარა შენთვის დიდი გზა არი. აპა, ადე, ადე. — ვახ, არ შემიძლია. ალაჲა მცალია, წისქვილზე მორიგია. სხვისი სიმინდი მაქ დასარიგებელი. ადგა ძალაუმანდურათ. — ხელი მაინ მამკიდე და წავიდეთ ისე. წაჩანჩალდა ნელა-ნელა. სიმავრ თვალი უყო სიძემ: — ნუ გეშინია ქალიშვილის, მე გავაცოცხლეფ და მადლობელი დამრჩები. წევიდა. მიდის კატა გლახათ ძალიან. გვერძე გვერძე მიდის. უთხრა: — სად მიდიხარ, კატავ, ხო იცი, რამდენი მამიკლავს, — და ხანჯარი ჰკიდია სიძეს. უთხრა ერთხელ, ორჯელ ამ კატას. კატამ ის არ დაიჯერა და კიდე გვედძე გეიწია. იძრო ხანჯარი, მოკლა კატა. ძაღს უთხრა — გვერძე მიდის, თავის დონეზე არ აბიჯებს (სამფეხია): — ძაღლო მოისვენე შენს ტყავში, თვარა რაც კატას მოუვიდა, ისე შენ მოგივა. ძაღმა არ დაიჯერა და იძრო ხანჯარი, მოკლა. ახლა ცხენს მოახსენა: — ცხენო, გეყურებოდეს. კატა მოვკალი, ძაღლი მოვკალი, ახლა შენზეა ოჩერედი.— ქალი გასაგონათ ამბობს..

ცხენმა ის არ დეიჯერა. მეორეთ უთხრა: — არ დეიჯერეფ? ხანჯარი აგერ არი!—ცხენმა ეს არ დეიჯერა, იძრო ხანჯარი და მოკლა ცხენი. ახლა ცოლს მოახსენა: — ქალო, შენი საყურებელი იყო ისინი: კატა, ძაღლი და ცხენი. სადაც მე დავაბიჯო, იქ დააბიჯე ფეხი. ცოლი გაჭივრებულია, მწარეთ დაქანცული ჯერ სიხარულით, მერე ქმრის ყურებით. რა მოქმედებას სჩადის? ცოლი ცდილობს, რო ქმრის ჭკუაზედ გეიაროს, მარა მეტი ძალა აღარა აქ. ქმარი გეივლის რამოდენიმე გზას. ცოლისაკენ მოიხედავს: მომდევს თუ არა უკვან. ცოლს მეტი აღარ შეუძლია. დაღალული არის და ნელ-ნელა მიდის. — ჩემი ხანჯარი ისეთია, მალე მოგაძრობს თავს, ჩემს ჭკუაზე წამოდი. შენ ის არ გეგონოს, შენი დედმამა რო გითმენ და, პირში საჭმელ ვერ იდებდი შენ. ჩქარა წამოდი, წისქვილზე მორიგია. როგორც იქნა და როგორც არა, მიატანეს წისქვილზე. — ეს არის ჩვენი სახლი? — არა, აქ უნდა დავარიგოთ ჩვენი ნამუშევარი. ეს სახლი წისქვილია. წამოდი, სახლში დაგაგდებ დღეს, დღეს წისქვილობა არ შეგიძლია, დაღალული ხარ (ეუნება ცოლს). წამოდი დედაჩემთან ჩქარა. მიიყვანა სახლშიდ. ლოგინი იყო აკეცილი. უცფათ ისკუპა და შესტა ამ ტახტზე, დაჯდა და მიაწვა ქვეშაგებელზე. მას ეგონა, თუ საჭმელ მიართმევდენ, როგორც დედოფალი. ლუკმაც არ მიაწოდეს. — ჯერ ლუკმას არ გაჭმევთ, სანამ არ გააკეთეფ. საწყალი ქალი დაოსებული, მშიერ-წყურვალი არი მიწოლილი ლოგინზე. დედამთილს უთხრა: დედა, გენაცვალე, მაჭამე რამე! — რა ვქნა, შვილო, მე მეშინია შვილის, მამკლავს. დედაც განძრახებული ყავს. არაფერი არ აჭამა დედამთილმა. — დედა, გენაცვალე, არ მაჭმევ, მარა ლოგინი მაინ დამიგე. დაწვა საწყალი ქალი, როგორც იყო. ლოგინი ააწყო, ტახტი გადმოფალა. სახლი გამოფალა, უცფათ ისკუპა და დაჯდა ისევე. — ჩემო დედა, ახლა მაინ მაჭამე რამე, ლოგინი ავაგე, სახლი გამოვფალე. მიუტანა და აჭამა ორი ლუკმა. — მეტი არ გეკუთვნის, ამ საქმეს მეტი არაფერი ეკუთვნის. პატარძალი ჭამის იშტანე მოვიდა, მარა საჭმელი არა ჰქონდა, არ აჭამეს. ახლა დედამთილ ეუბნება: — დედა, მოგეხმარები გამოცხობაე, წყალსაც მოგიტან, ხოლოთ მაჭამე. მუეხმარა, წევიდა, ბოსელი დოუხვეტა. ამ დროს სადილობამაც მოატანა. მოვიდა ქმარი მისი. მიახარა დედამ შვილს: — შვილო, აი შენმა ცოლმა რა ქნა: ადგა, ქვეშაგებელი ააწყო, წყალიც მოიტანა, მეც მომეხმარა, ბოსელი გამოფალა, ჯერ საჭმელი არ უჭამია. შვილმა უთხრა დედას: — ახლა, ჩემო დედა, სჯობია ჩვენთან დავაჯინოთ და ვაჭამოთ საჭმელი... იმ დღიდგან ქალი დატრიალობს, როგორც ჯარა, სახლშიდ: ქვეც აკეთებს, ქვეცა აცხობს, ქვეცა რეცხამს. ქალი ისე გამოკეთდა, უსაქმუროთ ერთი საათი არა ჩერდება, ისეთი კარგად გაჰოზარდა ქმარმა. ორ კვირეში სულ ისწავლა ქალობა. ამ დროს და შეატყობია თავის ცოლის მშობლებს — დას, სიძეს, მოიწვია, ძვირფასი ქორწილი გედიხადა მას უკან. იმ საცოდავმა

ქვისლმა მას უკვან იყიდა ცხენი, კატა და ძაღლი და მის უკვან დაუწყო გამოზრდა ცოლს. იმასაც ხო ზარმაცი ყამდა... ახლა ქალი ეუნება: — შორს. გენაცვალე. შორს. სანამდი შენს ხასიათს გევიგებდი, მანემდი რო დაგეშინებიო და მიშს ქვეშ გესწავლებიოს დიდი ძვირფასი იყო ჩემთვის და შენთვისაც. და ასლა სულ ვიცი შენი ხასიათი და რაც ვარ. ვარ და დიდი მადლობა გადაუხადეს იმ მეწისქვილეს და მეწისქვილის დედას ქალიშვილის გაჰოზდისათვის...

174

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა ერთი ქალიშვილი. ცოლი ყამდა ძალიან ლამაზი. მოუკვდა ცოლი. ეხვეწებიან ვეზირები, რო ითხოვე ქალი, უქალოთ ვერ დადგებიო. დიდხანს იყო უცოლოდ. — სად ვითხოვო ისეთი ქალი, ჩემ ქალ'ჯა გამდესო. რამდენმა დრომ გაიარა, იმდენი მისი ქალიშვილი მის დედას დეემგვანა. გოუწყრა ღმერთი მამას და უთხრა ვეზირს. რახანო მეო უცოლოთ ვერ დავდგებიო, უთხარითო ჩემ ქალსაო, რო ისა გავსო თავის დედასაო და გამომყვესო ცოლად. ვეზირი ხო უარს ვერ ეტყოდა და წევიდა და უთხრა მის შვილს. უთხრა შვილს და ძალიან ბევრი იფიქრა შვილმა. იტირა და უთხრა ვეზირს: — მაცადეთო. ერთი თვის ნება მამეცითო და რახან თქვაო მამამაო და გოუწყრა ღმერთიო, ჩევიცვამო. ვიყიდიო, კაი ტანისამოსი მექნებაო და დედოფალი ვიქნებიო. ქალი წევიდა. დათვის ტყავები იყიდა, წეიღო მოდისკასთან. — გთხომთ და გეხვეწებითო, ერთ კვირეშიდ მამისწროთო, გოგოსთვინ მინდა. ჩემი ტოლი გოგო არისო და გამეხარებაო. — მართლაც შოუკერეს. რაც ღირდა, სამი იმდენი მისცათ ფული, ხოლოთ ერთ კვირეში დამიმზადეთო. ჩეიცვა და წევიდა. წევიდა, ტყე-ტყე იარა, სჭამს ბალახს, მიდის და სჭამს. არის ბალახისამარა ქალი. გედვიდა სხვა სახემწიფოში. მინდვრათ არის და ხემწიფის შვილი მიდის თავის ვეზირებით სანადიროდ. ამ დროს ტყის პირს არის ეს ქალი. დათვად არი ეს ქალი გამოკაზმული. ამ დროს ხემწიფის შვილმა: — ვუიმეო, ნეტავი დავიჭერდეთ ამ დათვსო! — ვეზირებ ეუბნება. ამ ქალმა რო ეს გეიგო, ნეტავი დევიჭერამდეთო. უფრო ნელ ნელა გაჩერდა და პუწკნის ბალახ. ამ დროს მიუახლოვდენ და დეიჭირეს დათვი და მწარე გახარებულმა ხემწიფის შვილმა მიიყვანა დათვი სახლშიდ, მიუტანეს მარცვალი, არ შეჭამა. მიუტანეს დაფქული-მოსვრილი — არ შეჭამა. მერე ხემწიფი შვილმა თქვა: — შეიძლება ყველი შეჭამოსო. მიუტანეს, შეჭამა. მიუტანეს შემწვარი ქათამი, რახან ყველი შეჭამაო. უმი არ უნდა. მიუტანეს პური. კარგი ყველიანი. ეს ძალიან უხარია ა ხემწიფი შვილს. ყავდა თავის სახლშიდავე. თავის ოთახშიდავე. ამ დროს აბანოში მიდიან დედ-მამა და ეს შვილი. —

შვილო, წევიდეთ ახლავე.—შვილმა უთხრათ: — მე ვერ წამოვალ ისე, თუ ე ჩემი დათვი არ წამოვიყვანე. — შვილო, დათვი და აბანო ვის გოუგონია? — არა, მამა, მე მსურს და გამეხარება, უნა წამოვიყვანო.—წეიყვანეს აბანოში, წაჰყვათ. რო ჩევიდა ეს ვაჟი აბანოში და გეიხადა ამ დათვმა, ამდენი ხნის ნაწიალევი, და ჩავარდა ვანაში. შეყვირა დედ-მამას საოცრად შვილმა: — დედა, ეს ხო დათვი არა ყოფილა; ეს ოქროს ქალიაო!—წამოიყვანეს დიდი სიხარულით სახლშიც, გედიხადეს დიდი ქორწილი, დასწერეს ჯვარი, ცოლათ შეირთო. ამ დროს დამძიმდა და ეყოლა კიდეც ვაჟი. წლის რო შეიქნა ეს ვაჟი, იმ დროს გოუგია იმ სულამოსავალ მამას. ჩოუსვამს გლახური ტანისამოსი, მათხოჯურად. გამოკაზმულა. წასრულა, გამოკაზმულა. წასრულა, გასდგომია გზას, მისულა იმ ქალიშვილთან, უპოვნია, უთხოვია, — მათხოვარია, — საჭმელი. ამ მათხოჯს. ამ დროს გოდუხედია და უცვნია ქალს მამა და მამასაც უცვნია შვილი. იცვნეს მამა შვილმა ერთმანეთი, მარა არ ამხელს შვილი. ამ მათხოჯმა თქვა:—დამაყენეთ, თქვენი ხვთისეულისთვინო, ნუ შუაჭმევ მგლებს ჩემ თავსაო. ქალმა უთხრათ, რო: — რაო, მაინ და მაინ უნდა დააყენოთოო? — რათა, შვილოო, მართლა ხარ და ნადირიო, როგორ თუ არ დავაყენოო მათხოვარიო. დააყენეს მაინ. ამ დროს მოითხოვა, რო ქალის ოთახში დამაყენეთ, ბიჭუნა მიყვარსო, გამეხარება ბალანა-ბოში რო დეიწყებს ჯაჯღანს, მიხარიაო! ამ დროს დააყენეს, რა თქმა უნდა, ქალის ოთახშიდ. ბოშმა ტირილი იცოდა ღამე. რო იტირა, იტირა, მერე როგორც შვილმა დეიძინა, ისე დედამ დეიძინა. მათხოვარს არ დოუძინია. წევიდა, თურმე იმ შვილის ჯიბაში ჯაყვა ქონია გაპარპალებული, ამოუღია ეს დანა და ოუჭრია ბოშისთვის ყელი და ისევე ეს სისხლიანი დოუკეცია და ჩოუდევს ქალის ჯიბაში. ამ დროს გათენდა და გამოვარდა დედამთილი. — ჩემო შვილიშვილუკაო ყოველ ღამეს სტიროდაო, არ აცდენს ღამესაო და წუხელი რატომ აღარ იტირა? გამოვარდა უცფათ რძლის ოთახში და ნახა. უცფათ გადახადა აკავანი, ყელი გამოჭრილია, დასისხლიანებული. იკივლა და გადავარდა გულუკულში. — ვინ მამიკლა შვილიშვილი? — შეიძრა თელი სოფელი, ყველას გლახა ფერი გადაადგა. — ვინ ჩავარდა თქვენს ცოდვაში, ვინ მოგიკლათ შვილიშვილი? ადგა ის სულამოსავალი, მათხოჯი, და ილაპარაკა: — ვაი ჩე პირს. რო ვიტყვი, მარა შეიძლება დედა საცოდავია, მარა ჯიბაში ხო არ ექნება ჯაყვი და უცფათ ეეშალა ნერვები, ვერ მოისაზრა და დაჰკარგა მოთმინება და გამოსჭრა ყელი, გოუგებრათ შეინახა ჯიბაში. შეიძლება ბევრსაც სწუხდეს, მარა რაღას მუეწევა? ნახეს მართლა ჯიბაში დანა, სისხლიანი დანა. — დათვი სიდათვეს არ მოიშლის, მართლაც ყოფილა დათვი, და მართლაც ყოფილა შვილის მკვლელი! მოსჭრეს მარჯვენა ძუძუ ქალს, ამოსჭრეს მარჯვენა თვალი, მოსჭრეს მარჯვენა ხელი, გოუხვიეს კალთაში ეს ყელგამოჭრილი შვილი გადააგდეს, სადაც რო დიდზე დიდი კდე

არი, ხრამი, ღელე. — ამის ღირსი ყოფილხარ და ასე იყავი შენცაო! ტირის ახლა ეს ქალი — ცალთვალი, ცალძუძუ, ცალხელი. — გამოემცხადა მიქელ გაბრიელი მთავარანგელოზი. — ნუ გეშინია, ქალო, მე ვარ გამცოცხლებელი შენი და შენი შვილისაც. ერთი ჩამოივლისო მღვრიე წყალი, ძალიან. მეორეთ ჩამოვლის თლათ სისხლიანი წყალი და იმითი გეიგეო, რო როდესაც სისხლიანი წყალი ჩამოივლის შენს კარსაო. მაშინ იცოდეთ, რო მამიშენი სახემწიფოს სუ ნიაღვრობა ექნებაო, ისე მოიტლიკება, რო ნამყოფიერება არ ექნებაო. მერეთ ჩამოივლისო ოქროსფერი წყალი. ჩააგდე ხელი და ხელი ხელათ დაგრჩებაო, ძუძუ მოისვი— ძუძუ ძუძუდ დაგრჩებაო, მერე მოუსვი ბიჭუნას და როგორც ბიჭი გყოლიაო, უმფრო გაზრდილი ბიჭი დაგრჩება ხელზედაო. მერე ინატრე კაი პრიამელ მინდორზე კაი ძვირფასი სახლი, იქასთან ერთი უღელი დათვი, ერთი უღელი ხაგაზი, ერთი უღელი ძროხა. სამი ჰიშკარი ექნება. ინატრე ბაღი, შვიდი ვაზი ექნესო, იმთენი ეპას, საძრახი არ იქნეს ის ვაზიო, რასაც კი შესთხომ ღმერთს, ყველაფერი გაგიჩდება. შენი ქმარი კიდე გნახამს შენო.—მართლაც ჩამოიარა ჯერ მღვრივე წყალმა, მერე სისხლის წყალმა, ოქროს წყალმა. ინატრა და წევიდა პრიამელ მინდორზე. მართლაც, რაც უთხრეს, ყოველიფერი ოუსდა. გაუჩთა სახლი და შვიდი ვაზი. ამ დროს მწარედ დაღონებულმა ჩამოიარა ქმარმა და ორმა ვეზირმა, სანადიროს მიდიან. ჰკვირობს ახლა ეს ქმარი: — ბევრჯელ გამამივლია აქ და ეს სახლი არ მინახამს. ვინ დეესახლა? ძალიან გასაკვირველია,—და ინტერესი აქ, რო გეიგოს. ამ დროს ველარ მოითმინა ქმარმა და სამი კურდღელი მოუკლავს და გამოუგზავნია. — თქვენი ჭირიმეო. ქირა მიიღეო და ხოლოთ კურდღელი შეგვიწვიო, და თანაც გაანძრახა ბიჭი — გეიგე, ვინ არიო მართლაც.— მოვიდა და: — ქთხოვათო ჩემა ხემწიფის შვილმაო, რო ეს კურდღლები შეგვიწვითო და რაც გეკუთვნითო, ქირა მიიღეთო!—ახლა ამ ქალმა უთხრა: — არც ქირას ვღებულობ და სხვა ზაპასიც მაქო, და აქ მიირთვითო სადილიო.—დაინტერესდა ეს და დიდი უარი აღარც კი უთქვამს ხემწიფის შვილს. სულ იყვნენ სამი. მოვიდენ, მიიწვია ამ ქალმა. — ვაი თუ არ გვიკბინოსო, გიბიათო ნაგაზები. — არაო, მე თუ არ უთხარ, ისე არავის უკბენსო.—შევიდენ ოჯახად. უყურებს ამ ქალს, რას ხედავს, რო თავისად ხედამს, რო საიდგან იყო, არ ახსოვს. თანაც ფიქრობს: „მე თითონ ჩემი ხელით ძუძუ მოვსჭერი, ხელი მოვსჭერი, თვალი მოვსთხარე, ბოში კალთაში გოუხვიე. გადავაგდე ხრამში. არცა მგონია, თუ მორჩებოდა, ან წყალი წეიღებდა ან მეწყერი. რაგორ დეემგვანა ასე ან ვინ არი? ეს ახლანდელი ამბავია სულ, თან ისეთს ამოიხვნეშებს, გული თან ამოაქვს, ბიჭი. დაასხდინა სადილათ და გაჩთა უცებ სტოლი, არც მომზადება უნდა, შესთხოვს ღმერთს. კარქათ ისადილეს, კიდეც დათვრენ, ბევრი ღვინო დალიეს, სალამომაც მოატანა. ამ დროს ქალმა უთხრა: მიბძანდით ახლა, გისვავთ,

გიჭამიათ, რაღა გინდა მეტი?— ახლა ვაჟმა უთხრა: — თუ შეიძლებოდეს, აღარც გვინდა არც საჭმელი, არც სასმელი, ხოლოთ გვინდა მოსვენება, დაგვაწვინეთ ბაღ'შიდ. — ბაღშიდ მოისვენეთ, ხოლოთ შვიდი ვაზი მაქო ('შვიდი ძირი) და ის არ გამიკრიფოთ. – თქვენ რავა გეკადრებათო. ამას როგორ შევიკადრეფთ, რო ის მოვკრიფოთ. — არა, თქვენ კი არა, ვაი თუ თქვენმა ბიჭებმა დაკრიფოსო. — არა, ბატონოო, ხოლოთ მოგვასვენე!— ამ დროს დეიძინეს, დაწვნენ. რო შეექნათ შუა ძილი ბანკმიცემულათ შეიქნენ (ღრმა ძილი). მივიდა ის ქალი და ამ თავის ქმარს ქონდა შვიდი ჯიბა. მოკრიფა სულ, რაც ვაზი იყო, არ გოუშვია არც ერთი კიმპალი. სულ ჩატენა, რო ერთი კიმპალი აღარ დაიტოვა. ბიჭების ჯიბეებს არ შეხებია. დაალაგა. სადაც იყო, ისევ ისე დაწყო. ამ დროს გათენდა. გადმოიხედა ამ ქალმა, თავის ვენახს აღარ აზია ყურძენი. იკივლა ახლა ამ ქალმა: — ღმერთო ჩემო, ეს იყო ჩემი შეხვეწილიო? ეს იყოო?— ამ დროს წამოვარდენ, გედიცვეს ტანისამოსი ამ ბიჭებმა, ეს ქმარი ნელ-ნელა დგება, ოცნებობს — რა მამივიდა ესაო, ვაზები რო გოუკრიფეთო? ამ დროს ეილო თავისი შარვალი, იცვამს, რას ჩეიცვამს, თლათ გალურთხული არი ყურძნის წვენით, გაწუნწვილი. ამ დროს ჩეიცვამს პალტოს, რას ნახავს: ისიც გალურთხვილი! ამ დროს შეუწუხდა გული და გადაბრუნდა გულუკულმი. ჩამოვიდა თავისი ქალი, მოაბრუნა კაპლებით. — რათა, რა მოგივიდა, რაზე გამიკრიფე ეს შვიდი ვაზი, ბოში მყავს და მისთვის მინდოდა. — არ გამიკრეფია! — ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს. — რავა ბოლო გაკვირვებს? — დეიხედე შენს შარვალსა და პალტოხედაო, თუ არ გაკვირვებსო. — ვაიმე, დედა, არ მიქნია არაფერი და ვინ ჩაყარა ჩემს ჯიბაში ყურძენიო! — არ არი აპა შენი მოკრეფილი ე ყურძენიო? — არა, როგორაცა თქვენ არ მოგიკრეფიათო, მისგან უფრო ამ ჩემი შვილისთვინ მე ყელი არ გამომიჭრიაო. რომელმა დედამ გამოსჭრა 'შვილს ყელიო, რო მე გავბედამდი და გამოვსჭრიდი 'შვილს ყელსაო. ის იყო მამაჩემიო, მამას უნდოდი ცოლათაო, მას ცოლი უნდოდა, არავინ არ დეემგვანა ჩემს დედასაო. მამას რავა გავყვებოდი ცოლათაო? მოვედიო თქვენს მინდვრებშიდა და მომიყვანეს ცოლათაო. იმ დროს გოუგია ჩემს მამასაო, ჩამოვიდა ის სულუბედური და 'შვილს გამოსჭრა ყელიო. მე ხომ გეუბნებოდი — ჩემს ოთახში ნუ მოგყავთო, თქვენ მითხარითო — ნადირი ხარაო. ნადირი თქვენ გამოხვედით და არა მეო. ნადირულად თქვენ მოიქეცითო. ჩემა სიმართლემაო (თქვენ ხო ღელეში გადამაგდეთო, ხრამშიდაო) მომცა აქ ადგილიო, სახლი, ყველაფერიო, ნატვრაც მიხდება ყველაფერიო და დღეს თვალიც მამირჩა, ძუძუც მამირჩა და ხელიც მამირჩაო! — ამ დროს შეატყობიეს დედმამას, ძალიან გახარებული დარჩენ, მოვიდენ იმ დროს, ხელმეორეთ ქორწილი გედიხადეს... ჭირი იქა, ლხინი აქა.

175

იყო ერთი ხემწიფიშვილი. არ უნდოდა გათხოვება, კაი ქმარი უნდოდა, როგორც მოსაწონი. მარა მისი მოსაწონი ქმარი არ შეხვდა. მამამ მოიწვია, ქალის მამამ, ხემწიფის შვილები, ჯეელები. სამი დღე წოულობა ხქონდა სულ. რომელიც მოეწონებოდა, იმას შერთავდა თავის ქალიშვილს. ზოგს დაარქვა შაშვისწვერა, ზოგსა — ქათამს უგამს თავიო, — ზოგს — ბატსა ჰგამსო, — ყველას მიზეზი. რომელცაღას დაარქვა შაშვისწვერა. იმას რაგორ წავყვეპიო, შაშვს უგამს წვერებიო. სასიმავროს ძალიან მოეწონა. სასიმავრომ უთხრა ამ სიძეს: — თუ მოგწომს, შვილო, ჩემი შვილი, მეც ძალიან მამწომხარ და მინდა სულით და გულით ჩეიცვა მათხოვრული ტანისამოსი. შეიკადრე მათხოვრული ტანისამოსი. მოდი და თუ შენ იქნები, ქუდს ასწევ, მე რომ გადმოვიხედო და მითი გევიგებ, რომ შენ იქნები. ამ ქალის სიყვარულით გაბედა მათხოვრული ტანისამოსის ჩაცმა შვილმა. ამ დროს გეიხედა სასიმავრომ, ასწია მაღლა ქუდი მათხოვარმა და დაუდგა ოქროს სკამზე, ამ დროს სწრაფათ მეიყვანა ღვდელი და დიაკონი სასიმავრომ, დასწერა ჯვარი ქალიშვილზე. ქალიშვილმა ბევრი იწუხა. მარა ვერაფერი გააწამა რა. გააყოლა თან, ფეხით, გეიარა რამოდენიმე მინდვრები — ვის ეკუთვნის ეს ძვირფასი მინდვრები? — ვის ეკუთვნის და შაშვიწვერა ნეფესაო, შენ რომ გეძლეოდა და არა ჰქენი, უთხრა ქმარმა. — ოი, დამიდგეს თვალები, რა ვქენი?! — გეიარა რამოდენი ტყეები, დიდი ტყე. — ვის ეკუთვნის ეს ძვირფასი ტყეები, დიდი ტყე, სახლები გამოვა შიგ? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი! — ვაი, რა ღმერთი გამიწყრა? გეიარეს რამოდენიმე კარგი, ძვირფასი ბაღი. — ვის ეკუთვნის ეს შვენიერი ბაღი, ძვირფასი? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი. — ვაი, ქა, რატო არ დამიდგა მაშინ თვალები, რატო არ წავყევი? — მიატანეს შვენიერ ძვირფას სასახლესთან. — ვის ეკუთვნის ის შვენიერი ძვირფასი სახლი? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი. — ვაი, ქა, გამიწყრა ღმერთი და ეს არი! მივიდენ პატარა ქოხთან. ქუხნასახლი, ვის ეკუთვნის და ჩვენ გვეკუთვნისო. მოგიტან მატყლს, თითისტარს, კვირისტავს, საჩეჩელს და ტარს. გაჩეჩე, ჩამოართვი, მოქსოვე და მე წევიღებ და გავყიდი და ამითი ვიყიდით ლუკმას და ვჭამოთო. — ვუი, რა ღმერთი გამიწყრა, მე სულ არ ვიცი რთვა და ჩეჩვა. — იცი, თუ არ იცი, შე არ ვიცი, უნა ჩამორთო. ჯერ გამოაცხვე. — წევიდა ეს ნეფე და მოუტანა დაფქული, კეცები, მიაყარა თითონ ნეფემ ეს კეცები და მოზილა ცომი. კეცები გადმოიღო ნეფემ, მარა ქალმა რო ჩასვა, ხელები დეეწვა. მივიდა გულმოსული ნეფემ და თითონ ჩააწკიპინა. — შენ სულ არ ვარგებულხარ ჭამის მეტად. — ჭამეს, მერეთ საჩეჩელი და მატყლი მოუტანეს და დაჯდენ ორივე და დოუწყეს ერთათ ჩეჩვა. ხელები გადაახია

საჩეჩელს ქალმა, მოვიდა ქმარი და ქმარმა გაჩეჩა. — მე ვჩეჩამ, მარა შენ ჩამორთი ახლა, ჩამორთის ხო არ ვიცი მე? ქმარი ეუბნება: — თითები დამისკდა, საით ჩამოვართო? — გულმოსულმა კაცმა წევიდა: — არა რა ვქნა, მეტი რა ჯანი მაქ. უნდა ვიმათხოვრო და თითო კაპიკი იქნებ მამცეს ვინმემ. წევიდა ბაზარში და მოიტანა ქილები, კაცმა. უთხრა ახლა ქალს: — არ შეგიძლია ქსოვა-ჩეჩვა-რთვა, რათი წევიდეთ იოლათ, დიდი სირცხვილი! მოდი, წეიღე ეს ქილები ბაზარში, ეგება გაყიდო და მერე კიდო უკეთესებს გიყიდი და კაი ფასში წაგივა. თუ ესინი გაყიდე. — ვაი, რაღა ვქნა, რო ვინმემ დამინახოს ჩვენებურმა? მერე შემრცხვება. — შეგრცხვება და ჭირი მამჭამე, თუ შეგრცხვება. — წევიდა საწყალი, დაღონებლი ქალი, წეიღო კალათით ქილები. დაარიგა ქალმა, რომ ნაპირზე მიდი და შუაზე ქილები დააწყვე! ქმარი წევიდა წინ-წინ ბაზარშიდ და უთხრათ წინ-წინ ბაზარშიდ ქალს: მე ჩემ ცოლს ვცდი, რო ყოლიფერი გაქირება ნახოს ჩემ ცოლმა, მარა თქვენ მიტომ მასხარად ნუკი ეიგდებთ, მაინც ჩემი ცოლია და რაც არა ღირს, ორი იმტენი დოუტოვათ ფული. წევიდა ქალი და გაყიდა — სულ თითოეული ქილა ორი შაური ღირდა, მისცეს აბაზი. გახარებული ძალიან დაბრუნდა ქალი სახშიდ და ქმარი კი იქანა უყურებს, რა ქნას! ისიც მიზდევს უკან, მართლა მასხარათ არევინ ეიგდოს. მოვიდა ქალი ქოხშიდ, დახვდა ქმარი ძველებში ჩოულებრივ. როგორც იყო. — აი, შენი ჭირიმე, რა კაი ფასათ გავყიდე. მე რო ორი შაური მითხარი, თითო აბაზათ გავყიდე. — რა კაი ქალი ყოფილხარ? კიდე გიყიდი. უკეთესი ინგლისის თიხები უყიდა მერე. მოუტანა და: — ამას უკეთეს ფასშიდ გაყიდი! წეიღო საწყალმა ქალმა, თან მიხყვება. და დაბრუნდა სახშიდ. დახვდა სახში ქმარი. — ბეჩა, კაცო, ძალიან კარქათ გავყიდე. — ო, ჰო, იქნება მიაჩვიო ვაჭრობას. მე ახლა უკეთესებს გიყიდი, შენი ჭირიმე! წევიდა სულ კარქი შუშის პრიბოლი უყიდა, პიქეულობა. მოუტანა და წეიღო, დიდი სიხარულით წეიღო. — ამით სულ ავშენდებით, - ქალმა სთქვა. და თანაც ეს დაატანა ქმარმა: — შუა ალაგზე დაალაგე ეს და შენ კი ნაპირზე დადექი! მართლაც ასე ქნა, შუა გზაზედ მოაბწკორა სულ და თითონ კი ნაპირზე დადგა. ამ შაშვიწვერას კი ჩოუცვამს, დოუხურავს თეთრი ჩოხა-ახალუხი. თეთრად პირი გოულამაზებია, თეთრ ცხენზე შემჯდარა, ლეკურით, ხანჯლით, მასრებით გატყეპილია შაშვიწვერა. მივიდა ამ ჭურჭელთან გაქანებული ცხენით და სულ დაამზღვლია, სულ დაამტვრია. — ვაიმე რაღა ვქნა, რა მიყო ი შაშვიწვერამ ნეფემ, ჩემი ცოდვით სამსემ, რაღა უთხრა ახლა ქმარს? ვაიმე, რაღათი ვჭამოთ საჭმელი? საით მიუვიდა ი ჩემ ქმარს? წასულა მისი ქმარი მაშინავე და ისევ თავის ქოხში დოუხვდა. მივიდა მწარე აკივლებული ეს ცოლი. — ბეჩა, რაღა ვქნა, რაღა მეშველება, რა გითხრა და საით გითხრა? შენ რო მითხარი, რო დაალაგეო, მოვიდა შაშვიწვერა ნეფე და დალეწა იქაურობა, სულ დალეწა თელაათ ჭურჭ-

ლები. კაცმა უთხრა: — ვაი, ვაი, დევიღუპეთ, რაღათი ვჭამოთ ლუკმა? საწყალმა დაღონებულმა კაცმა თქვა: — ეჰ, რაღა ვქნა. ამისთანა უბედურ ქალს მტერი შეესწრო. იმ შაშვიწვერას ამაღამ ქალი მოჰყამს, ქორწილი აქ დიდი ამაღამ, მეტი გზა არი. — უნდა მუეხმარო ლაქიას, რო მოგვახმარეო ქალიო. მეტი რა გზა არი, უნდა წახვიდე. მწარე დაღონებულმა ქალმა სთქვა: — რაღა მეშველება, რომ ვინმე ჩვენგანი ენახო იქ, საცინლად ამიგდებენ. — მე რა უყო, გნახონ, შიმშილს ყოველიფერი სჯობიან. — წავალ, აპა რა ვქნა? — წახვალ, მარა იქით-აქით ჯიბეები სით გიკერია? დაგიკერემ აპა ჯიბეებს. დოუკეთა ქმარმა ჯიბეები, ორი ჯიბა დიდი, ჩოულაგა ორი ქოთანი. — რომ წამოხვიდე სალამოე, საინები ჩაასხმევიე, ვახშამი მომიტანე. — ხომ დამექცევა, თუ სუპი იქნა, რაღა ვქნა მერე? — რას დევეძეფ. თუ დეგექცევა, ციტას ხო მოიტან? იქ ქმარს ნათქვამი აქ: ამეღამ ქმარს მიტომ ვაწვალებ, რომ საჭიროა. ხოლოთ ახლა უნდა დავსტანჯოთ დღეს, — მერე გავანთავისუფლოთ. პოვარმა და ლაქიამ უთხრათ: — რასა ბძანებთ, რავა გეკადრებათ, ჩვენ სუფთა ჭურჭელს მივსცემთ, რომ ტილო გოუსვას მარტო. ამ დროს სალამო ჟამაც მოატანა. პოვარს უთხრა. რო — თქვენი ჭირიმეთ, ჩემი ქმარი მშიერია, დღეს არა უჭამია-რა, და თუ შეიძლებოდეს, აგერ ქოთნები მაქ ჯიბაში და ეგება გაამსოთ საჭამადით! — კი, ბატონო, თქვეს ქმარს ამნაირი საწები უყვარს და წეილეთ. ამ დროს შეიქნა ზალაში დიდი ცეკვა და თამაში. ამ დროს ნელ-ნელა თვალი მიზდის იქით ამ ცეკვა-თამაშში ამ ქალს, და ქოთნებით სამსე აქ (წვენით) ჯიბა. ნელ-ნელა მიცოცავს აკოშკისაკენ და უყურემს თამაშს. თან პოვარს ეუბნება, რო — სირცხვილი ხო არ იქნება ხოლმე დევინახო ცეკვა და თამაში? პოვარი ეუბნება: — რავა გეკადრება, აკოშკაში კი არა, კარებისკენ მიიწიოთ, რა უჭირს, უმფრო გეცეხარებათ, გეიგონებთ. შაშვიწვერა ტრიალობს, კვიწიალობს, ფეხიწვერზე დგება მეტისმეტი თამაშობით. დაცოცმანობს როგორც რწყილი, თან მისი ქალი მიჩოჩამს ნელ-ნელა, თან ოხავს ქალი: — რა ღმერთი გამიწყრა, რატო შევხედე, რატო არ წავყევი შაშვიწვერა ნეფეს? ამ დროს შაშვიწვერა ნეფე იმდენს დაცოცმანობს, მოვიდა კარებთან ცოცმანით, სტაცა თავი დატანჯულ ქალს ხელი და შეიყვანა დარბაზში და პადრუჭკით ათამაშებს. — თქვენი ჭირიმეთ, არა ვარ თქვენი საკადრისი, ხელი გამიშვით! ათამაშა იმდენი, რო ქოთნები დეექცა და უცფათ ქალს გული მოუწუხდა და დეეპერტყა ძირს. არა, ხუ გეშინია, შენი ქმარი ვარ, შაშვიწვერა ნეფეს რო ვიძახოდი, მეც ბევრი ვიტანჯე, შენც ბევრი დაგტანჯე. ისა ვარ მე, შენ რო გეძლეოდი, წამამგვანე — შაშვს გიგამს წვერები. ნუ გეშინია, მე შენი ქმარი ვარ..: დასტანჯა, რახან შაშვიწვერა დაარქვა, დასტანჯა. მუახსენა მუახლეებს: — აპა, მუახლეებო, მოუტანეთ ხელ პირი საბანი, მუართვით ჩქარა, საჩქაროთ. ეს ჩემი ძვირფასი ქალია. აპა, ჩქარა თეთრები, აი იქით რო ალაგია! — ჩააცვეს, თეთრათ გაპენტეს ქალი

და თეთრათ გაპენტილი შაშვიწვერა ნეფე დააჯინეს იქ. მაშინ შეიქნა დიდი თამაში, დიდი ტაშის ცემა, მუზიკის ცემა, თავგადასაგდები ოქრო და ვერცხლი სულ თავსაყარათ ქონდათ. დაავიწყდა საწყალ ქალს თავის უბედურობა და გაახსენდა ძვირფასი ცხოვრება. ქორწილი ძვირფასი გედიხადეს, მარა საწყალ ქალუკას კიდე ელანდებოდა თავისი ქოხუნა...

## (ქვემორაჭული)

### 176

იყო ერთი მოხუცი კაცი. არა ხყამდა არავინ და უნდოდა შვილი ხყოლოდეს, მერე ეხვეწებოდა ღმერთს, ღმერთო, ერთი შვილი გამიჩინეთ! და გოუმთა ჰიხვში. ხოდა, მერე ველარ გაიზარდა, გოგო იყო, ქალიშვილი. გადააგდო მერე გზაში. ჩამოვიდა შევარდენი. შეისო ფრთებში და შეიყვანა ნიგვზის წვეროზე. იქანა უწიკამდა საჭმელს, სასმელს. გაზარდა დიდი ქალი. ეს ქალი იყო მზეთუნახავი. მერე, ახლა. ყველას ეინტერესებოდა ძირს ჩამოსულიყო და შეუძლებელი იყო შესვლა ნიგოზზე, ვერავინ ვერ შედიოდა. უნდოდა ახლა ეს ხენწიფეს შეერთოს ქალათ. ეხვეწებოდა ყველას: — ვინც ამ ქალს ჩამამიყვანს, ნახევარ სახემწიფოს დაუმტკიცებო! ჩამოიარა ერთმა მემცხვარემ და ჰკითხა: — თუ იმ ქალს ჩამამიყვან, ნახევარ სახემწიფოს დაგიმტკიცებო. ა მემცხვარემ უთხრა — ჩამოგიყვანო! და დაუწყო დანით, უჩხიკინებდა ცხვარს ნიგვზის ქვეშ. იმ ქალმა, ხმას არ იღებდა და ანიშნებდა — ყელში გამოუსვი დანაო. მერე მაინც ჩეცხვარე, ასე შვებოდა. — კიდე ჩამეიწიე, არა ვიცი დაკვლა ცხვრისაო და მასწავლეო! ჩამეიწია კაი ძალზე, ისთე, რო შესწვდებოდა კაცი და ჩამეიყვანეს ძირ ე ქალი. შაირთო ე ხემწიფემ ე ქალი და ხმა აღარ ამეიღო ა ქალმა. კიდო, მერე, ეს ხენწიფე ეხვეწებოდა ყველას — ვინც ამას ხმას ამოაღებიებს, ნახევარ სახემწიფოს მივცემო. წევიდა ერთი ვეზირი ტყეში, გააკეთა კუბო, ჩააწვინა შიგ გაფუფქული ღორი და შეიყვანა ამ ქალთან. და უთხრეს იმ ქალს: — შევარდენი მოკვდაო! — მერე ამ ქალმა ტირილი დეიწყო. — ბერი კაცის ნანატროო, ჰიხვში გაჩენილოო, გზაში გადაგდებულოო, შევარდენის წაყვანილო, ნიგვზის წვერზე აყვანილო, გაზდილო, დაქალებულო, ყველა ეხლა დამწარებულოვო! — მერე გეეხარდა ძალიან და გადიხადეს კამპანია.

### 177

იყო ერთი ჰენჰერა. ეს რვა ძმები არიან. ეს გამოერია. ჰენჰერიკა მოხერხებული იყო. მდევსა ხქონდა ქონება. ჰენჰერიკას ძმებს უნდოდა — მდევის ქონება გამოეტანებიოს ჰენჰერიკასთვის. ა ძმებს ჰენჰერიკას სიკვდილი უნდოდა-ყე. მერე უთხრეს: — ჰენჰერიკა, შენო მოხერხებული ბიჭი ხარო, მდევსაო ერთი კაი ნოხი რო აქაო, ი ნოხი გამოგვიტანეო! — იმაზე ქე წევს მდევი, საიდან გამოვიტანოო? მაინც წევიდა ჰენჰერიკა. მდევი წევს ცეცხლი პირას. წეიღო ერთი ჯირკვი, სამსე ბაჭამკულეებით,

და შამეესვია იმ მღევს. რო შეაწუხა ბაჭამკულეებმა, ადგა ე მღევი და კარში გააგდო ე ნოხი. ჩამევიდა ჰენჰერიკა, დაავლო ხელი და გაარბენია სახლში. ძნებს გოუკვირდა — როგორ მეიტანე ე ნოხიო? — წადიო, ჰენჰერიკო, და მღევს რო კაი ქვაბი აქაო, მოიტანეო! — წეიღო ერთი კალათი ხვინჭკა და ჩოუშვა ბუხარში, გადმეესხა ე წყალი მღევს. ამ მღევმა ქვაბი კარში გადმოაგდო: — გედიქელ-გადმეიქელი და მოდი ისთავეო! ჰენჰერიკა ჩამოვიდა და დაავლო ხელი და გაარბენია. მოუტანა ძნებს. გაუკვირდა ე ძმებს: — რა ვქნათო? — წადი და იმდენი მოგვიყვანეო, თუ კაი ბიჭი ხარაო! — წევიდა ჰენჰერიკა ტყეში, გააკეთა არშიკები, ჩეიცვა ძველი ტანისამოსი, ჩამეიკინკა და იძახის: — არშიკები, არშიკებიო! გეიგონა ამ მღევმა და დაუძახა. იმ მღევს უნდოდა ეყიდოს ი არშიკები. მიუტანა იმ მღევს და შეევაჭრა და იყიდა კიდემაც. ჰენჰერიკამ უთხრა: — ჩაწევი შიგნი და თუკი გეიმართებიო, მოგყიდიო! — ჩაწვა მღევი, გეინძრ-გამეინძრა და გატყდა არშიკი. — ღმერთო კი მამკალი, როგორ გაზარალეო! მერე მიორე არშიკში ჩაწვა. ჰენჰერიკამ უთხრა: — ნუ სწუხარო! — ჩაწვა მოორე არშიკში და იმაში კარგად მოიმართა. მერე თავი დაახურა ჰენჰერიკამ, დაამწყვრია შიგნი, წამოიდვა ზურგზე და წეიყვანა სახში. თითი გამოუყო და დაუწყო ჩხიკინი ჰენჰერიკას. მერე თითი ზე მოაჭრა. მოუყვანა და დადო სახლში. ე ჰენჰერიკა წევიდა და ევიდა ეკლესიაზე, თავზე დაჯდა, წიწიკორაზე. მერე დოუბარა ძმებს — არ უთხრათ აქა ვარ შესულიო. ჰენჰერიკას ძმებმა გამოუშვეს ე მღევი და უთხრეს — ემა და ემ კაცმა დაგიჭირაო, ანიშნეს. ე მღევი გეიქცა, ვერ შევა. ასე ეკითხებოდა: — რავა ეხვედიო, მასწავლეო, კი არ შექჭამო! ჰენჰერიკომ დოუძახა: — გავახურეო თონეო, საჩეჩელი დავადგი საჩეჩელზეო, დავკარი ფეხი და ამოვხტენიო! — მღევმაც ასე ქნა და ჩაენხვლა ა თონეში. ემ ძმებმა დეინახეს. მოსთხარეს მიწა, გადააფარეს ნოხი, მერე ჰენჰერიკა გამეიქცა, უნა მეეკლას და დაადგა ფეხი და ჩავარდა ქვედა ქვეყანაში. დეეცა დედაბრის სახლი თავზე ქვედა ქვეყანაში. დედაბერი აცხობდა საჭმელს და წყალი არა ჰქონდა. ესვეწებოდა ქალს წყლი მოტანას. — მე მოგიტან წყალსაო! - არ უშვებდა: — გველეშაპი გვყამაო. და მაინც წავიდა და მაინც: შეეხვეწა ჰენჰერიკა გველეშაპს: — მომეცით ერთი ჩაფი წყალი, ზედა ქვეყნიდან ჩამოსული ვარაო. გამოატანა, მოსცა ერთი ჩაფი წყალი. გამოაცხო ქალმა და ჭამა საჭმელი. კიდო წევიდა მოორე დღეს და გადაყლაპა იმან. დატრიალდა შიგ და ფილიკა-ფელიკა წეიღო გველეშაპი ხმალით. ე ჰენჰერიკა გამევიდა მუცლიდან. ა გველეშაპს თავი მოაჭრა და დაასვა ხანჯლის თავი შუაგულ ქუჩაში. — ვინც ე გველეშაპი მოკლა, ნახევარ სახემწიფოს მივცემო... ნახეს ახლა, ჰენჰერიკა რო მისი მოკლული იყო. — აპა, რა მოგცეო! — არაფერი არ მინდაო, ზედა ქვეყნიდან ჩამოსული ვარ და იქ ამიყვანეთაო! — შოუსხეს მტრედ ფრთებში, გამოატანეს ხარის ხორცი და უნა ყოფნოდეს გზაში, შეეჭამოს, თუ არ

ხყოფნოდეს, უნა შეეჭამოს ჭენჭერიკა -- ი ფრინველს. მერე ის-ის იყო მიუახლოვდენ, აღარ ეყო ხორცი და ფეხი გული ამოიჭრა. მოახწია თავის სახლში. მოდის ე ძმებთან, დეერია. თავები დასხლა და თავათ ქვე დადგა და იქორწილა.

178

იყო ერთი ჭუჭყიანი. მოუკვდა დედა. მისმა მამამ შეირთო ცოლი სხვა, სხვა ქალი. მოიყვანა ორი გოგუნეები. ძალიან ლამაზები იყვნენ, მეტი რო არ შეიძლება. და სულ უკეთესი ის გერი იყო, რომელიც დახვდა ამათ. დედა რო მოუკვდა იმ გოგუნას, უთხრა: — ეს ერთი ძროხა დაგრჩება. შვილო, და მე ვიცი, მოიყვანს შენი მამა ცოლსაო და ამ შენს ძროხას მოხედე შენ და ბედსა გწემსო. მისცემდა პატარიკა ნალეხა ჭადს და ამხელა დიდ ბამბას: — ეს ჭადი შენც ბევრი ჭამე, სხვასაც ბევრი აჭამე და შინაც ბევრი მოიტანე. ბამბა სულ ჩამორთევიო, არ მოიტანო შინ ჩამოურთავი. წევიდა საწყალი გოგო ტირილით: — რა უყო, არც სიმინდი (გამომცხვარი) მეყოფა და სხვასაც ვაჭამო, რა ვქნა, რა მეშველება. დახვდა საწყალს მოხუცებული ქალი ტყეში. უთხრა ამ ქალმა: — კალთაში ჩაგიდებ თავსაო. — შვილოო, ხომ არაფერი მაწუხებსო თავშიდაო, გამომიჩხრიკე თავიო! — არა, ჩემო დედიკოო, თვალ მარგალიტის მეტი არაფერი გაქ თავშიდაო. — გადახადა მადლობა. — ჭადი, შვილო, შენთვინ შეინახე და მე გაჭმევ აგერ. ბამბაც ჩამოურთო ქალმა. გოგო დარჩა თავისუფალი. ძროხაც არ აწუხებდა. ბოლოს წევიდა სახში საღამოს, წეიღო ჭადი უკვან და ბამბაც ჩამორთული. მეორე დღეს ისთევე ის ჭადი გაატანა და: — როგორც გუშინვე, ისე მოიტანე! — ბამბაც კიდო მეტი გაატანა, — ჩამორთევიო! მოიტანა ისევე იმ ქალმა, ჩამოუართაო, ჭადი ისევ-ისე მოიტანა. მესამე დღეს კიდო ისევ-ისე გაატანა: ის ცივი ჭადი და ბამბა კიდო, მეტი. უთხრა, მერეთ, ძროხამ ამოიღო ხმა: — ჩემო კეთილო პატრონო, ხვალ იმ მეორე ქალიშვილს გამომატანევენ ჩემ თავს, არ მოუსვენებ არაფერი გზით. და დამკლევენ. მერეთ, თვითონ შენ დაარიგებენ ჩემ ხორცს საინ-საინა და ყველას ისე უთხარ — ჩემი ძვალი არავინ გადააგდოს, არც არავინ დასწვას. მოკრიფე ისევე ჩემი ძვლები და სადაც ჩემი მარჯვენა ფეხი არი ბოსელში, იქ ამოიღე ჭერი (პოლი), ამოიღე მიწა და ჩამარხე ჩემი ძვლები, რაც არი. ახლა ერთი ხემწიფის შვილი არი და ცოლს ეძებს სადმე, უნა იშოვოს კარგი ძვირფასი საცოლო. ნადიმი გამართა იმანა და სადაც რომ იყო ბარიშნები, ისინი მიიწვია. რომელიც მეეწონება, იმას შეირთავს. ხემწიფი შვილია, იმას ვერავინ დოუკავებს. აირიან ახლა მიწვეული ულლად გოგოები, დედინაცვლის შვილები. ეს გოგომ უთხრათ, რომ: — მე რა დამიშავებია. რომ არ მივყავართო? — შე გლახა, შე გლახა, რავა მიბედავთ მა-

გას, შენ ხარ ჭუჭყიანი. იმას მიუტანეს ერთი ქოთანი ჭადი (ფეტვი), ჩაყარეს ნაცარი. — შენ ხანამდი ჩვენ მოვიდოდეთ, გაწმინდე კარჭა, ჭადი ჭადის ალაგას დააყენე და ნაცარი ნაცარის ალაგას. სათვითაოდ ამოხიკე. —წავიდენ სამივე დედაშვილი. დედაც გაჰყვათ თან ხემწიფის ოჯახშიდ. ეს ჭუჭყიანი დარჩა მტირალი და ტირის და ტირის. — ჩიტებო, გვრიტებო, მოდით, მიშველეთ გაჭირვებაში, ნაცარი ქარს მიეცით და ჭადი მე მომეცით. ქოთანში ჩაყარეთ ჭადი. მოვიდენ ჩიტები-გვრიტები. ქარს ნაცარი მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. ამ დროს დეიბანა პირი, ხელი, შვენიერათ, კარქათ. მივიდა ბოსელშიდ, ბოსლის ჭერი ამოიღო, ნახა მშვენიერი კაბა, მშვენიერი ფეხსაცმელი, მშვენიერი რაში. შეჯდა და გასწია, წევიდა ხემწიფის სახლში. რო მოვიდა ეს ქალიშვილი, ჩამოხედა ხემწიფის სახლში. რო მივიდა ეს ქალიშვილი, ჩამოხტა რაშიდგან და შევიდა კვიწიალ-კვიწიალით სულ, შეხედა ხემწიფის შვილმა. აღარავის არ მიაქცია ყურადღება, მუეწონა ძალიან მწარეთ. სულ იმასთან თამაშობდა. სხვა აღარავინ არ უნდოდა, სულ მისი ყურება უნდოდა ხემწიფის შვილს. მუატანა წასვლის დრო, უცფათ გაქრა ქალი. შეჯდა რაშზედ და გამოსწია, აღარავის არ დაუნახავს. მოიტანა და ჩაალაგა ისთევე — ისე, როგორც ქონდა. ჩაჯდა კუხნაში ჭუჭყიანი. მოვიდენ ის დები დედინაცვალი კითხათ გერმა: — რატომ არ წამიყვანე. — რა ამბავი იყოს — რავარი ამბავი იყო? ჩაარტყეს თავში და უთხრეს: — შენმა სიცოცხლემ. შენ არა გვანდა, იქ რო მოვიდა, რო ხემწიფის შვილმა სხვას არ მიაქცია ყურადღება, მარტვა იმას, ვინც მოვიდა რაშით. ისთევე ისთე მოორე დღეს გოუმსეს ნაცარი და ჭადი, თვითან კი სხვადასხვა ტანისამოსი გადიცვეს და წევიდენ. გევიდა უკან კიდო მარანში. — ჩიტებო, გვრიტებო, დამეხმარეთ გაჭირვებაში, ჭადი ქოთანში ჩაყარეთ და ნაცარი ქარს მიეცით. მართლაც, მოცვინდენ ჩიტები, გვრიტები, ნაცარი— ქარს მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. მივიდა საწყალი გოგო ბოსელში ახიდა ჭერი და ნახა სხვადასხვა ტანისამოსი. ქოშები. ჩაიცვა ესენი, შეჯდა რაშზე და წავიდა. ხემწიფი შვილი მიელოდებოდა. რომ დეინახა, მიეგება ძალიან სიხარულით. თამაშობდა, რაც შეიძლებოდა, ხემწიფი შვილი ჭუჭყიანთან. საღამომდის ითამაშა სულ, მერე საცხა გოუქრა, ველარ გეიგო ხემწიფი შვილმა. დაჩქარებით შეჯდა რაშზედ და წამოვიდა სახში. შეინახა თავის ადგილას, დააფარა ჯერი. დაჯდა სახში ჭუჭყიანი. მოვიდენ დები და დედინაცვალი: — დღეს რავარი ამბავი იყო იქ? — უი, შენ გაქრი, შე ჭუჭყიანო. გუშინდელზე კაი დრო იყო, მარა ჩვენ რაი! — მესამე დღეს ისთევ გაავსეს ქოთანი და თვითონ კაი ტანისამოსი ჩეიცვეს, რო იმ დღეს უნდა დამთავრებულიყოს იმათი სიცოცხლე და სიკვდილი. მოვიდა თავის კარშიდ, მარანშიდ, შესთხოვათ კიდე ჩიტებს, გვრიტებს: — დღეს კიდე გასაჭირში მიშველეთ! — მოცვინდენ ჩიტები-გვრიტები, ნაცარი ქარს მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. წევიდა,

ბოსლის ჭერი ამოიღო, ოქროთი მოჭედილი კაბა ნახა, ოქროს ქოშები. ოქროთი მოვარაყებული ჩულქები, ოქროთი მოჭედილი სედლო, შეჯდა და წევიდა. მივიდა იქ და სასიხარულოდ დოურჩა ხემწიფი შვილს: ახლა მაინ ვერსად ვერ გამექცევიო! როდესაც მეატანა წასვლის დრომ. ბიჭებს უთხრათ: — ნაცარი დააყარეთ კარებთან და კიბეებზე და გზაზე და უკეთ გევიგებთ, სად წავა. — რომ წევიდა, უკუღმი წევიდა ამ ნაცარზე, რომ არ გამიგოსაო. რომ გაიარა, წყალი ჰქონდა გასავლელი, წყალში მარჯვენა ქოში ჩოუვარდა ქალსა. ხემწიფი შვილმა მაინ ვერ დეიჭირა, რო საით წევიდა, მაინ ვერ გეიგო. მივიდა და შეინახა ეს თავის ადგილას, დააფარა ჭერი. თითონ კი ჭუჭყიანი ჩეიცვა ტანისამოსი. მივიდენ დები და დედინაცვალი. — რა ქენით, იყო ვინმე კარგი, მეეწონა ხემწიფი შვილს? — ეკითხებათ. ახლა მეორე დღეს ეძებს. დაღონებულმა ხემწიფი შვილმა ცხენი წამოიყვანა სარწყულებლად. ცხენმა იმუქა (დაფრთხა), გამოტრიალდა უცფათ. ხემწიფი შვილმა ნახა წყალი — რა მოუვიდა? ნახა, რას ნახავს საუკეთესო მისი თვალები! ნახა მარჯვენა ქოში. — ნამდვილათ მე ღმერთი მწყალობს, ვნახამ მე ჩემ საცოლეს, სახშიდ აღარ წასულა. — ამოიღო ეს ქოში და ეძებს და სადაც ლამაზი ქალები მიიწვია იმ სახლებშიდ. დადის თავის ცხენით და ქოშით. მიატანა. სადაც რო ის დები და ჭუჭყიანი არიან, იმ სახში. — ვისაც არგებს ეს ჩემი ქოში, ის იქნება ჩემი საცოლო. — საწყალი ჭუჭყიანი საბუდარ ქვეშ დამალეს. დედამ უთხრა უმფროს ქალიშვილს: — წეიღე უკანა ოთახში და ვინიცობაა თითი შეიქნას მეტი, მოიჭერი თითები. — მოუვიდა გძელი და ერთი თითი მოსჭრა დედამ. ჩააცვა და გამოვიდენ ხემწიფი შვილთან. ხემწიფი შვილმა შეისვა ცხენზე და წეიყვანა. რო მივიდა ჭუჭყიანი დედის სასაფლაოზე. მოატანეს, უთხრა ორმა თეთრმა ჩიტმა: — ხემწიფი შვილო, არ გექადრება, ეგ არ არი შენი საცოლო, შენი საცოლო სახშიდაა, მაგას თითი აქ მოჭრილი, ფეხის თითი. — გააბრუნა უკან ხემწიფი შვილმა: — ეს არ არი ჩემი საცოლო. აქანა სხვა ქალი გეყოლება. — კი, შვილო, მეორე ქალი მყავ აგერ. — გახადეს ამ გოგოს ქოში და მეორე დამ წეიღო მეორე ოთახშიდ. გაჰყვა დედა თან. — შვილო, ჩეიცვი და სადაც არ გარგოს, ჩეითალე. მერე მოგარჩენს, მისი ცოლიც იქნები. — თითები კარქათ ქონდა, მარა ქუსლი ქონდა ფსხვილი. ჩათალა. ჩაიცვა და გამოვიდა ხემწიფი შვილთან. დეიჯინა ცხენზე და წეიყვანა. მივიდენ ჭუჭყიანის დედის სასაფლაოზედ. ორმა თეთრმა ტრედმა დოუძახა: — ხემწიფი შვილო, რას შვები, ქუსლები აქ დათლილი, გააბრუნე უკან, საცოლე სახშიდ არი. — გააბრუნა უკან. — ჩემი საცოლო აქა გყავთ საცხაო. ემ დროს დაჯდა საბუდარზე ხემწიფი შვილი. საბუდარი ყოფილა რიკლეო (ირიბად) ძირს დახელგვერდებული. გოუყარა ასე ხელი ხემწიფი შვილს ამ ჭუჭყიანმა. მოკიდა კანჭში ხელი ხემწიფი შვილს. უცფათ შეეშინდა ემ ხემწიფი შვილს, წამოხტა და ეიღო საბუდარი. ნახა, გოგო დარჩა ხელ-

ში. — გოგო, შეგიძლია ჩეიცვა ე ქოში? — შენი ჭირიმე, რავა არ შემიძლია, ჩემია ეს ქოში. — აბა, ჩეიცვი! იმ წუთში ჩეიცვა, ნახა, მისი ფეხი სარგო იყო. — გექნება ძველი კაბუნა რამე, ჩეიცვი და წამოდი, შეგიჯენ ცხენზედ. — ძველი კაბუნა ქვე რათ მინდა, მე ბევრი მაქ კარქი, შენი ჭირიმე. ჩემი რაშით მოწყობილი ვარ მე. ხემწიფი შვილი ძალიან გახარებული დარჩა. თავის ხელით დააბანია პირი, ფეხი, წევიდა ბოსელშიდ, წეიყვანა ხემწიფიშვილი. ამუალაგეს სხვადასხვა ტანისამოსი ოქროთი მოჭედილი, ოქროს ქოშები, სამი რწყვილი, სამი კაბა, ოქროს სედლო და რაში ლამაზი. შიაჯინა რაშზე, ჩააცვა ეს ტანისამოსი. თითონ თავი ცხენზე შეჯდა და გასწია, წეიყვანა საცოლო. რომ გეიარეს ამ ჭუჭყიანის დედის სასაფლაოზე, დეინახეს ამ ორმა თეთრმა ჩიტმა. — აი, შენი ნამდვილი საცოლო ეგ არი. — წევიდა გახარებული ხემწიფიშვილი, ცოლი დები და დედ-მამა. რომ გეიარეს, მომზადებული მარჯვენა-მარცხენა თვალი ამოიღეს თეთრმა ჩიტებმა. — ეს ჩვენ რაღათ დაგვემართა, თვალმოთხრილები რანაირათ მიდიოდენ? — რომ მობრუნდენ სასაფლაოდგან და ხომ იქით დარჩებოდათ მარცხენა - მარცხენა თვალი, ისინიც ამოჰკუჰეს, დარჩენ უთვალოები დები. დარჩა ჭუჭყიანი ბედნიერი.

# ႪႤႹႾႳႫႳႰႨ

179

ცაგერიდგან რო ჩთილოეთისკენ გეიხედავ, უწინ მურის ციხე მოქ-ხვთება თვალ'ში. ე ციხე უხსოვარ დროს არი აშენებული.

ციხე პირველათ ეკუთნოდა ცხრა ძმა ჩარკვიანებს, რომლებიც ღალა-ტით დახოცა გადადიანებულმა კაცია ჩიქვანძა. ამის მერე ლეჩხუმი და ე ციხეც ამ დადიანის ხელში გედევიდა. მურის ციხეზედ არის ბევრი თქმულება. საქართველოს დოუძინებელი მტერი ოსმალეთი ხშირათ თავს ესხმოდა მურის ციხეს, მარა ვერ იმარჯვებდა.

ერთხელ, უკანასკნელათ, ოსმალეთის ჯარმა გამეილაშქრა საქართვე-ლოდგან რაჭაზედ, მოადგა ლაილაშ, ლაილაში ეიღო, უსახელო გადმეიარა და დეხვირის ციხესთან გამართა ომი.

დიდი ხნის მერე დეხვირის ციხეც ეიღეს და მურის ციხის აღებაც მეინდომეს.

თათრების ჯარს ბურებიც ერია, რომლებიც წინ მეუძღოდენ ლაშ-ქარს.

ჯარი ღამით მურის ახლოს — ჩხუტელში ლეკუნდრუშას დაბარგდენ, რომ დილას ადრე დასცემოდენ ციხეს.

მეეციხოვნეებმა შენიშნეს ლეკუნდრუშას თათრების მიერ დანთებული ცეცხლი, მიხვთენ, ეს სასიკეთო ამბავი არ იყო, დატენეს ზარბაზნები და დოუმიზნეს ცეცხლეფს. იქ იყო ნიგვზი ხეები, ზარბაზნების მიერ და-მტროულმა ტოტეპა დიდი ზიანი მიაყენა თათრეფს, ჯარი სანახევროთ გაწყვიტა, გადარჩენილები გეიპარენ. მორეთ მალე დაბრუნდენ თათ-რები. მურის ციხის აღება ვერ მოახერხეს. იფიქრეს, გზა შოუკრათ მე-ციხვანეეფს, საჭმელი დეელევა-ყე და თავისთავათ დაგვნებდებიანო. მე-ციხვანეეფს ციხეში ნამარაგები კირი ხონდათ და ყოველ დღე იქიდგან თითოოროლა კასრ ყრიდენ.

თათრებმა იფიქრეს: ქფილი იმდონი შოუნახავს-ყე, უფუქდება-ყე, ყრიანო. ამ დროს ზამთარიც მოახლოვდა, მტრები უკან გაბრუნდენ. დაშჩათ მურის ციხე ოულებელი.

180

მურის ციხის ნახვა კაც გააკვირეფს. ის აშენებულია მიუვალ მწვერ-ვალზედ უზარმაზარი ქვებით. შიგ არის განყოფილებები. ერთსალიკა ამორღმავებულია კტე თექვსმეტი მეტრის სიმაღლეზე. აქ წყალ ამარა-

გებდენ. ციხეს ახლავს ორი კოშკი, ერთი აღმოსავლეთით, მორე დასავლეთით. როგორც თავციხეს, ისე კოშკებს აყვე სახელები. თავციხეს ეწოდება „მარჯვეთ დახვთი“. აღმოსავლეთის კოშკი საყარაულოა და მას ჰქვია „(ჰ)კა მაგას“, დასავლეთის კოშკ — „არ გოუშვა“. საყარაულო კოშკი „(ჰ)კა მაგას“ როგორც მტერი მიადგება, თავციხეს დოუძახეფს: მტერი მევიდა, მარჯვეთ დახვთიო. როცა დამარცხებული მტერი პირს გეიბრუნებდა, იმას დასავლეთის კოშკთან უნდა გეეარა. მაშინ ციხე „მარჯვეთ დახვთი“ დოუძახებდა დასავლეთის კოშკს „არ გოუშვას“: არ გოუშვაო!

მურის ციხეს ცუდი სამსახურიც გოუწევია საწყალი ხალხისათვინ. ძველათ, ბატონყმობის დროს, აქ ბევრ ვაშკაცს ამოხთენია სული. ბატონის მიერ დაშჯილი გლეხი ამ ციხეში უნდა ყოფილიყო რამდენიმე წელიწადი რკინი ჯაჭვით მიმბული და შებორკილი.

181

გიორგი ინასარიძეს ეკუთნოდა ლეჩხუმი და ოკრიბა. სასახლე ხონდა საირმეში. ინასარიძე ყოფილა შესახედავათ წარმოსადექი და ძალ-ღონით უძლეველი. ატარებდა ჯავშნი პენაგ, რკინი ჩაფხუტ და მუზარად. იმას მეტსახელათ თვალიას უძახოდენ.

ერთხელ ნეფე თავისი ამალით ოკრიბაში ფეოდალეფთან ნადიმობდა. ამ დროს ლეჩხუმს — ინასარიძის სანეფოს იმერეთიდგან, ცხენიწყლი ხეობით, მტერი შემეესიენ. ხოფლები გადაწვეს, აოხრეს, გამეიარეს ორპირი, მერე საირმე, ჰქვიში და ლაბეჭინაც, მეიმცველეს, გადაწვეს. აწიოკებული მოსახლეობა თებში გეიხიზნენ.

ლხინი დროს ინასარიძი ჰიქაში ფერილი ჩავარდა. გიორგიმ იგძნო ცუდი ლიშანი და სასახლესკე გამეემართა. წყალატორაში შეხვთა თავდახრილი მოხუცი დედაბერი. ნეფემ იმას ამბავი გამოჰკითხა. ქალმა, რომელსაც არ ენახა ნეფე, უპასუხა: თვალი დოუდგა თვალია ინასარიძეს, ის ოკრიბაში ქეიფოფს და მისი სოფლები კი ტერშა აოხრესო. ზოგიში ხიძე მარტვე ერთი ხე დარჩენილიყო რიონზე გადებული. ხიდი დოუმგრევია-ყე. ნეფე ამ ბოგაზე გამევიდა თავისი ჯორით. საჩქაროთ გამოსწია საირმისკე. ინასარიძეს ყველაფერი გადამწვარი დოუხვთა. ბუკით შემოკრიბა თავისი ხალხი, ეისხეს იარაღი და დეედევნენ მომხტურეფს. ინასარიძე იჯდა დიდ ჯორზე. ჯორი სტრაფათ მიქროდა. მის ფეხი ნაკვალეფ, რომელიც საირმის სასოფლო გზაზეა გაქვავებული, დღესეც ჯორი წიხლი დანაკრავ უძახით. დეეწიენ ტერს ხელიშურთან და შეებძოლენ. დაამარცხეს იგენი. ნადავლი დეიბრუნეს და შინისკე გამოსწიეს. ინასარიძემ დედოფალ გამარჯვები მახარობელი გოუგზანა. დედოფალი გამეეგება. ნეფე რაშიდგან ჩამოხტნა და ცოლ გედეეხვია.

ჯავშანში ის ისთე დეებეჟა ტყვიეფ, რო სხეულ ველარ მეერია და მიწაზე დეეცა.

ქმრის მოულოდნელი სიკვტილით ელდანაცემი დედოფალიც გედეიცვალა. ლაბეჭინაში ეკლესიას (სამხრეთ-დასავლეთით) მიაშენეს ოთახი (ექვტერი), შიგ დიდ აკალდამაში დამარხეს ცოლ-ქმარი.

იხასარიძემ დატოვა ანდერძი: თუ ჩემი ეკლესია დეიმგრეს, მისი ასაშენებელი თამხა ჩემ საფლავში ეძიეთო. ის მართლა დამგრეულა და ხელმეორეთ ოუგია-ყე. სოფლებიდგან გამოუწვევია-ყე კაცები, რომლებიც საირმის უდაბნოდგან ლაბეჭინამდი ჩამწკრივებულარიენ და აწვტიდენ ბალდადი ქვეფს ერთმანეთ ეკლესიისათვინ.

182

ქუთაის იყო სახელგანთქმული მეფე გურგენი. იმას ხავდა გამოცდილი ჯარი. გურგენი ამ ჯარით თავსაც იცავდა და სხვა მეფეებსაც ეხმარებოდა.

ერთხელ იმერეთის მეზობელი კუთხის მეფეს თავს დეესხა თათრები. ე ამბავი აცნობეს გურგენს. გურგენი ქებული ჯარით გეემართა საბძოლველათ.

მეფემ თავისი ადგილი, უფლება დოუტოვა საიმედო ვეზირს.

დეიწყო დიდი ომი, გურგენი ჩავარდა განსაცთელში, არევინ ფიქრობდა მის გადარჩენას.

გურგენის ვეზირმა ეს რო გეიგო, მეინდომა მეფობა. ამასთან ერთად იმას სურდა გურგენის ცოლის ქმარი გამხთარიყო. ქალმა ვეზირ ცივი უარი გამოუცხადა. მალე ამბავი მევიდა, გურგენი გადარჩაო. ამის გამგონე ვეზირი საგონებელში ჩავარდა: მოვა მეფე, ცოლი გაახელეფს და მე დევიღუპებიო. ვეზირი შოუდგა ფიქრს ქალის მოსაშორებლათ. მისწერა წიგნი მეფეს: შენმა ცოლმა, დედოფალმა შენი სასახლე ააქოთაო, ყოველ ღამე ოთხი და ხუთი საყვარელი ხავსო. სიტყვიერათ ეს წიგნის წამღებსაც დააბარა. გურგენს ძლიერ უყვარდა ვეზირი. მისი წიგნი მიუვიდა თუ არა, მეფემ მაშინვე შეუთვალა ვეზირს: ახლავე ისეთსალიკა ჩაკალით დედოფალი, რომე მისი სხეული ნადირემა სჭამონო.

წერილმა გაახარა ვეზირი. იმან ეირჩია ტეროლები და დოუნიშნა მათ ერთი მაღალი კტოვანი მთა ხჳამლი, რომელიც ქუთაისიდგან კარქა ჩანდა. უთხრა-ყე: — ე დედოფალი მიიყვანეთ ი მაღალი კტის თავზედ. იქ მოკალით და ხეზედ დაჰკიდეთ, რო ფრინველემა წეჭონო.

ტეროლემა შეიყვანეს ე ქალი ხჳამლზე, სადაც უნდა მეეკლათ. დედოფალმა სთხოვა-ყე: — ნუ მომკლავთ, ცოდვაში ნუ ჩავარდებით, აქ დამტოვეთ. მე მაინ მხეცები შემჭამენო. ტეროლებ შეეცოდა-ყე დედოფალი და ცოცხალი დატოვეს. ხჳამლზე ამ ქალმა მიიარ მეიარა. ერთსალიკა გამოქვაბული იპოვა. დედოფალი იქ დაბინავდა. გამოქვაბულში მეწველი ირემი დადიოდა. ის ისთე შეეჩვია ამ ქალს, რო ძუძუსაც აწოვებდა, აწვდიდა, ირემი და ქალი ერთათ ცხოვრობდენ.

დედოფალი ორსული შეიქნა ქმრისაგან და ამ ქვაბში კიდეც შვა ვაჟიშვილი. ბოში დედას სწოვდა, დედა — ირემს.

გურგენმა გეიმარჯვა, დაბრუნდა სამშობლოში. ვეზირი შინ არ დახვთა. ეშინოდა: შეიძლება გეიგო გურგენმა ჩვენი საქმეო და გეიპარა. გურგენმა მოსვლისთანავე ყველაფერი გეიგო და დიდ ჯავრში ჩავარდა, აღარც გადიოდ-გამოდიოდა, აღარც მხიარულობდა.

გურგენს ეწვია სტუმრები, იგენს უნდოდა მისი გართობა. გურგენი წეიყვანეს ხჲამლზე სანადიროთ.

გურგენმა დეინახა ირემი, დოუწყო დაახლოება. ირემა იწია, იწია და მეფე ქვაბამდი მიიყვანა.

მეფემ ბოშს შეხედა და განცვიფრთა. ამ დროს ქალმა შეჰკივლა გურგენს. იგენი მეეხვიენ ერთმანეთს. წამევიდენ ქუთაის.

გურგენ მეფემ ხჲამლზე ააგო მონასტერი, სადაც თათრების შემოსვლამდი მუდამ დღე წირვა-ლოცვა იყო.

183

ერთი კაცი დეიარებოდა, ძველი თქმულება არის, ეკლესიებზედ, სადაც ის თითო-ოროლა კვირეფს რჩებოდა და ლოცულობდა.

ერთხელ ის მოხვთა სოფელ დეხვირს წმინდა მაცხოვრის ეკლესიაზედ. იყო მარიობის თვე, კალოობა. ხალხი პურ ლეწავდენ, ეკლესიასთან იყო სიმიდიანი ყანა, სადაც სოფლელი გლეხი ჰაბუკიანი ღამღამობით თავის ხარეფს აპარებდა.

უცხო კაცი მაქსიმე შეხედავდა თუ არა ხარეფს, გადადენიდა. როცა ჰაბუკიანმა ხარები მშიერი ნახა, თქვა: ამას ვიღაცა მტერი მიშობაო, და ღამით დოუდარაჯდა.

იმან შეხედა, რომ მის ხარეფს ვიღაცა ერეკებოდა. დოუმიზნა თოფი, ესროლა და მოკლა ე მაქსიმე. კვტარი დაასაფლავა ყუდრო ადგილას. რო გათენდა, აქ მევიდა, ლიშანი აფერი დამჩენოდესო. ნახა მიწიდგან ამოღებული კვტარი. წეიღო მორესალიკა და დაასაფლავა. მეიარა და იქაც ამოღებული დოუხვთა. ასე ქნა რამდენიმეჯელ. ბოლოს სიზმარი ნახა, მაქსიმე ეუნებოდა: შიაბი ურემში უხედარი მოზვრები, დადევი იმაზე ჩემი გვამი, სადაც ის მოზვრები გაჩერდება, იქ დამასაფლავეო.

ჰაბუკიანი ისე მეიქცა. მოზვრები მურის ციხის დაბლობ ადგილში გაჩერდენ. მაქსიმეც აქ დამარხა. ამნაირათ ჰაბუკიანმა ე მტერი ისე მეიშორა, რო არევის გოუგია.

ყველა პურს ლეწავს, ჰაბუკიანის კალოზე ყოველდღე წუმაა. ჰაბუკიანს დეესიზმა, ვითომ მაქსიმე ელაპარაკებოდა: შენმა სოფელმა მთხოვოს და შენ კალოზე გამოვადარეფო.

ჰაბუკიანი გამოუტყუა მეზობლეფს, რაც დეემართა, სთხოვა-ყე, შეესრულებიათ მაქსიმეს ნათქვამი.

შეიკრიბა სადეხვიროს ხალხი: წმინდაო მაქსიმე, შეგვიხვეწიე. დარი გვიბოძე. ჰოი, ოხო, ხე!.. ასეთი თხოვნით დეიარეს ის ადგილები, სადაც ასაფლავებდა ე ჭაბუკიანი მაქსიმეს. ბოლოს მურში ჩევიდენ და მაქსიმეს შეევედრენ.

ჭაბუკიანის კალოზე წუმას დეეთხოვა, გამეიდარა.

მერე ხალხმა მიიღო ასეთი ჩოულობა: ყოველ კვირაობა-მარიობის თვეში, როცა ავდრები გადგებოდა, დეხვირელი გლეხები ფეხშიშველი თავს შეიყრიდენ, ღვდელს წინ გეიძღვანდენ და ასეთი ჰოი, ოხო, ხეის ძახილით მურს ჩევიდოდნენ, სადაც ე მაქსიმე იყო დასაფლავებული.

184

იყო ერთი ქართველი ნეფე ივანე. ყეინმა ჯარი მოსთხოვა, ომი მაქ და მომახმარეო. არ გოუგზანა: ხუთასი კაცი მჭავსო და რო გავგზანოვო, უწინ აგენს აჩხუბებს-ყეო. რო გათავდა ჩხუბი, გოუწყრა ყეინი: გინდა ჩამოდი, თავ მოგჭრიო, ან საქართველოს ავაოხრეფო.

ნეფემ ხალხი დეიბარა და დეეკითხა: თუ მევიჭრი თავს, თვარა საქართველოს წამიხთენსო. ხალხმა უთხრეს: ნუ წახვალ და ჩვენ ვეჩხუბებითო, თუ წამოვა, დოვუხვთებითო. ნეფემ უარი უთხრა-ყე: ას კაცზე ერთი არ გერგებითო და საქართველოს მაინ ქვე წამიხთენსო.

უშლიდენ ხალხი: ნუ წახვალ, ჩვენ თავს შევაკლავთ იმასო. არ დეიჯერა ნეფემ და წევიდა. შევიდა ყეინთან, გამეეცხადა ყეინს. იმან უთხრა:

— გინდა თავი მეიჭერი, გინდა წამოვალ და საქართველოს ავაოხრეფო.

— ნუ წამიხთენ ჩემ საქართველოს და მე ისევე თავს მევიჭრიო.— ნეფე დაამწყვრიეს ციხეში, უთხრეს: მეშვიდე დღეს თავს მოგჭრითო. საქართველოში ხალხმა მეილაპარაკეს: ჩვენი ნეფე მოვძიოთო. წევიდა სამოცი კაცი ნეფის სანახავათ. იგენმა სთხოვეს ყეინს, რომე ჩვენი ნეფე გვაჩვინეო, სამოცი ოქრო შესწირეს. ოღონ გვაჩვინეო. გამეიყვანეს ნეფე და აჩვინეს. ნეფეს ხალხმა უთხრეს: — ნუ მეიჭრი თავსო, ჩვენ მაგენს თავს შევაკლავთო. — არაო, — უთხრა-ყე, — ვერ მეერევითო. წამევიდენ ხალხი ცარიელი. მეშვიდე დღეს გამეიყვანეს ნეფე თავის მოსაჭრელათ. მაშინ დეეზარა ნეფეს, მარა ხელ-ფეხი შეკრული ხონდა.

არაბმა დასცა ხმალი კისერზე და თავი მოშჭრა.

185

იყო ერთი კაცი. სტუმრე სტუმრისთვინ საჭმელი ჭამა ეზარებოდა. თვითონ კი დიდი ოყარო იყო და ყოველთვინ მარტვე ჭამდა.

ერთხელ ეწვია ცოლიძმა. მაინძელმა დალია ერი სტაქანი ღვინო, შეჭამა პური ნატეხი და ცოლ უთხრა:

— ქალო, მეც გავძეხი და ჩემი სტუმარი, ეიღე სუფრაო. — სტუმარმა ხათრით არაფელი თქვა და დარჩა მშიერი. მაინძელი კი შუალა-

მეზე ადგა და ჭამა დეიწყო. ასთე მოუვიდა სტუმრათ მოსულ მის მორე ცოლიძმას.

მასუღმა მესამე ცოლიძმამ ე ამბავი გეიგო, წამევიდა სიძესთან. მონადირე იყო და ძაღლები თან წამეიყვანა. დაძ გოუშალა სუფრა. მაინძელმა დალია ღვინო, გატეხა პური და ჩვეულებრივათ ცოლ უთხრა:— მეც გავძეხი და ჩემი სტუმარი, ეიღე სუფრაო.—მონადირემ მოახსენა:— თქვენც იცით მონადირე-კაცის ამბავი. შემევიარე ე თები, ძრიერ დაღლილი ვარ და საჭმელი მინდაო. მაინძელი დაწვა. სტუმარმა, რაც ვერ შეჭამა, ძვალი და მბილი თავის ძაღლეფს გოდოუყარა. სტოლზე არაფელი დატავა. მაინძელი სტუმარზე ფიქრობდა: ნანდვილათ ერეყანი დეემართაო.

სტუმარმა დეიძინა. შუაღამისას მაინძელი ცოლ ეკითხება: — ანაწყოლ მაინც არაფელი დოუტოვებიაო? — და რო გეიგო, საჭმელი არაფელი გადარჩენოდა, ცოლს ცეცხლში შოთი ჩააცხობია (სტუმარს ესმის იგენის ლაპარაკი). სტუმარი წამოდგა ლოგინიდგან და თავის დას (მაინძლის ცოლს) უთხრა: — ახლა ასაბიაში შენი რძლების ამბავ არ იკითხაო? — ეიღო ნიგუზარი და იმითინ არია ნაკვერცხლები, ნაცარი და შოთი. — ასე ირევიანო!

სტუმარი დაწვა.

ცოტა ხნის მერე დამშეული მაინძელი წამოდგა და ნაცარში ამოგლიგნილ, ნამცეცვებათ გადაქცეულ შოთს არჩევდა. ამ დროს წამოდგა სტუმარი და ყურეში დაყუდებული ჯოხი უთაქა და უთაქა.

— ვაიო! — წამეიძახა მაინძელმა.

— უჰ, ჩემი სიძე ხარო? მე ჩემი ძაღლი მეგონაო, — უთხრა ცოლიძმამ.

მორე დღეს სტუმარი შინ დაბრუნდა. როცა ძმეფთან მივიდა, უთხრაყე სიძის ამბავი.

186

მათხოვარი მივიდა ერთი გლეხის სახში. ქალს სთხოვა, ღამე იქვე გეეთია. ქალი უარს ეუნებოდა: ქმარი არ მყავს შინ და ვერ დაგაყენეფო. დიდი ხვეწნის მერე მისცა ნება სახლის გარეთ ფარდულში მეესვენებია. მათხოვარი სახლი სარძიკველის ახლოს დადგმულ სკამლოგინზე წამოწვა. ის კედლი ჭურჭუტანიდგან სახში იხედებოდა. იქ ქალი კაი საჭმელს ამზადებდა.

დაღამდა. გამოჩთა ქალის შეყვარებული — ღვდელი. იმან მათხოვარს გვერძე გამოუარა და ქალთან შევიდა. ცოტა ხნის მერე ეზოში შემევიდა ამ ქალის ქმარი. მათხოვარი რო ნახა, უთხრა: აქ რა გინდაო? მათხოვარი შეეხვეწა, იმ ღამეს არ გეეგდო სახლიდგან. ამ კაცმა სახში შეიპატიჟა. ქალმა რომ ქმრის მოულოდნელი ლაპარაკი გეიგონა, საჭმელები

შკაფში შეინახა, ღვდელი სახლის მუხურში დააყენა და თავზე ჭილოფი გადააფარა. შეშინებული ღვდელი ჭილოფქვეშ ყურდგელისავით გეიწკურა.

ქმარმა ცოლს ვახშამი მოსთხოვა. ქალმა მეიტანა რამდენიმე დღის ლობიო და გამხმარი ჭადები. ე კაცი და მათხოვარი სუფრას მუუჯდენ. მათხოვარმა დეიწყო ამბავი: იმისთანე ავი ცოლი მყავს, იმისთანე, რო ისეთ წუმაში გამაგდეფს გარეთ, აგერ რო ღვინით საფსე დოქია, ის რო გადმოაპირქვავო და დამიშვა კისერში თქიში-თქიშინით, ისთე მაწვიმსო.

მაინძელს გოუკვირდა მისი ლაპარაკი.

იმისთანე ავი ცოლი მყავს, იმისთანე, რო ისეთ თოვაში გამაგდებს გარეთ. ეგერ შკაფში რო პური ბუმბრუქებია, იმ სიფართეს თოვსო.

— რას უნობ, კაცო, სად არი ღვინო და პური ბუმბრუქებიო?

— იმისთანე სიცხეში გამაგდეფს, ეგერ რო შემწვარი გოჭია და კანი ეწვის, ისთე ვიწვებიო.

— რას უნობ, კაცო, ხო არ გასუნელებულხარ, სადაა შემწვარი გოჭიო? — უთხრა გაკვირვებით მაინძელმა.

— ეს თუ ტყულია, ეგერ კუთხეში რო ღვდელი ზის, მისი წირვის მადლი გამიწყრესო, — მუუგო მათხოვარმა.

ღვდელი წამოხტა და გეიქცა. მაინძელის ცოლი შემოდგომის ფორთელისავით გაყვითდა.

მათხოვარმა მაინძელს ანახა შკაფში შენახული ღვინო, გოჭი და საჭმელები.

ქმარმა ცოლი გალახა და მეიშორა. სადილი კი იგენს დაშჩათ.

187

შორიდგან გამოქცეულ ირემ გზაში ბაყაყი შეხვთა. ბაყაყმა ჰკითხა: რა მოგივიდა, სად მირბიხარო?

— მონადირეები მომდევენო, — უპასუხა ირემა.

— ყოველი კაცი ამ მიდვრი ნადირეფს დაგვდევსო, — თქვა ბაყაყმა.

— შენ არ მომტოლებოდი და თლა შევეჭამე ი მონადირეეფსო, — მუუგო ირემა.

188

ყოფილა ერთი კაცი. ტყეში შორ ხქონია კარავი. მას იქ ხყოლია ბოვში. იქ ეთესა სიმიდი და იმას ყარაულობდა. ერთ ღამეს იმის სოფლის კაცი იყო იქ და დეიპატიჟა თავის კარავში; ამეღამ ჩემთან მოდიო! დაღამდა ძალზე. კაცი არ მევიდა. ამ დროს ლელიდან მეისმა ძახილი: ქვეით ჩამოდიო! კაცმა დოუძახა: შენ ამოდიო! კაი ხნის შემდეგ კარებთან შემეეყუდა ტყი კაცი, ბოუშვს ძალზე შეეშინდა და დეიწყო ყვირილი; ვაიმე ბებია! შემმეგ ბოშს ჩოუჩურჩულა მამამ: ღვინო დავალევიოთო, დათვრება და მოვკლავთო. ეს ტყი კაცმა გეიგონა და ჩოუფურჩულა

ბოშს ასეა. ბოშმა ყვირილი მორთო. ამ დროს მამამ ჩამეიღო თოფი და ესროლა თოფი. ეს მოკლა, მაგრამ ერთი კიდე მევიდა. ცხვარს დოუწყია წვა, ამ დროს კატას დოუწყია ღუული: ღუ, ღუ, ღუ! ამიტომ ამ სოფელს შეარქვეს „ღუ“.

189

ერთი კაცი მინავალა გზაზე. ი კაცი დოუპატიჟებიათ ქორწილში. ი კაცი დოუჯდენიათ კუთხეში, ისე რო ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ცუდი ჩაცმული ყოფილა. ი კაცი წასულა ჩუმეთ, გამოუცვლია ტანსაცმელი, კარქათ ჩოუცვამს ყოლიფერი და დაბრუნებულა. იქ კარქა მიიღეს და ამ კაცმა თქვა: თქვენ ნაფასებზხართ ტანსაცმელს და არა კაცსაო.

190

იყო ადამი ერთ-ერთი გლეხი, რომელიც მუდამ ცხოვრობდა ტყეში. ის იყო ძალიან მდიდარი. მას უყვარდა ნადირობა. ერთ მშვენიერ დღეს როისაც ტყეში წევიდა სანადიროთ. ერთ უდაბურ ტყეში მან მოკლა დათვი. ამ დროს მევიდა, ტყი კაცს რო ვეტყვით. ამ დროს ადამ ას ცეცხლ გაჩაღებული ხქონდა. ადამამ დეიწყო ნადირის ტყავება. ადამა ააგო მწვადები. ამ დროს ეს ტყი კაცი ზის მის ახლოს და ეუბნება: ადამ, მაჭამე ხორცი! ადამა კიდევაც მოთალა ხორცი და მიცა.

191

ყოფილა ერთი ცოლ-ქმარი. ცოლი მოკტომია ამ კაცს. დასჩენია ორი შვილი, ქალი და ვაჟი. ამ კაცს შეურთავს მეორე ცოლი. იმ ქალს ბოვშებისთვინ გოუტნევია ძროხა, იმიტომ რომ ბოვშვების მოცილება ზდომია. წევიდა დედინაცვალი და ბოვშებს მოპარათ ძროხა. ბოვშები ეძებდენ, ეძებდენ ძროხას. ბოვშვებმა ძროხა ვერ ნახეს და დეიწყეს ტირილ-ჟივილი და შესთხოვეს ღმერც: ღმერთო, ფრინველათ გადაგვაქციეო, და გედიქცნენ ბუებათ. ამ დროს სახში მევიდა მამა. ცოლს უთხრა, ბოვშები სად არიენო? ცოლმა უთხრა: ბოვშები არ მოსულარიანო და ძროხა კი მევიდაო. მამამ ტირილი დეიწყო — ვაითუ წყალმა დაახჩოთო! და წევიდა საძებნელათ. მამა მიადგა წყლი პირსა და წყალს უთხრა: შენ დაახჩი ჩემი შვილებიო? წყალმა უთხრა: შენი შვილები ბუებათ არიენო და იმ კდის თავზე ცხოვრობენო. წევიდა ეს კაცი, მივიდა კდი ძირას და სთხოვა ღმერც: ღმერთო, კტეთ გადამაქციეო! და გედიქცა კტეთ და ღამ-ღამობით ესმოდა მისი შვილების ჭიკჭიკი.

# იმერული

(ზემოიმერული)

192

იყო ერთი კაცი. ყამდა ერთი ცოლი. ამ ცოლ-ქმარსა ერთი შვილი ეყოლა, ქალიშვილი. მის მეტი არაფერი არ ყამდა. ეს ქალიშვილი მონათლა ამან და ჩუმათ დაარქვა სახელი. არავინ არ იცოდა ნათლიის მეტმა. ანეხანტულე დაარქვა. როცა ეს ქალიშვილი გეიზარდა, კაი ქალიშვილი დარჩა. ბევრი ვაჟები ერიგებოდენ, არავის არ ატანდა მამაი მარტვა, ის ერთი რაღაი ყამდა.

ბოლოს, როჲცა აღარ დააყენეს მაშუალებმა, მამამ თქვა: ჩემ შვილ გავატან მე იმასაო, ვინც ამის სახელს მიხვთებაო.

ვერავინ ვერ მიხვთა კაცები ამის სახელს. ბოლოს მივიდა ერთი დევი და უთხრა: თუ გამატან მაგ შენ შვილს, მე მივხთები, რა სახელი ქვია მაგასაო

ეს კაცი დათანხმდა.

— შენ შვილს ქვია ანახანტულაიო, — დევმა უთხრა. კაცმაც უარი ვეღარ უთხრა: უნდა წეეყვანა მისი ქალიშვილი, ოღონდ, უთხრა, ერთი კვირის ვადა მამეციო. ეს დევიც დათანხმთა და მიცა ვადაი, რას იზემდა აპა!

როცა დრო გევიდა, უნდა წეეყვანა ქალი. ამ კაცს ყამდა ერთი ცხენი კიდე, სახელათ ერქვა აშიაი. წინდღით მივიდა ამ ცხენთან ეს ქალიშვილი და ტირის, უსვამს ხელს — აწი უნდა მოქშორდე შენეო. ამ ცხენმა უთხრა: ნუ ტირიიო, მე გიშველიო. შენ გამეეწყვე კაცურათ, ჩეიცვი ჩოხა-ახალუხიო.

ეს ქალიც ასე მეიქცა: გამეეწყო კაცურათ ჩოხა-ახალუხში, შამეირტყა ლეკური. შეჯდა ცხენზე. გასწია ამ ცხენმა, იარა, იარა, იარა და ერთ ხენწიფის ბაღში გედვიდა და ყვავილებში დაწვა ეს ქალი. ცხენი იქავე გოუშვა ბალახში.

ამ დროს ამ ხენწიფის ვეზირები გედვიდენ ბაღში და ნახეს, რო ცხენია და ერთი ადამიანი. ეს ვეზირები დაფიქრდენ, რო სახე ქონდა ქალისა ამასა და ისე კაცის ტაინსამოსში იყო გამოწყობილი.

მოახსენეს ეს ხენწიფეს, რო ჩვენ ბახში ვინცხა არისო.

უთხრეს ვეზირებს მერე, რომოო იმ მძინარსო მოუყარეთ გარშემო ვარდიო, თუ დაჭკნა ეს ვარდი, ქალი იქნებაო, თვარ დაჭკნა — კაციო.

დოუყარეს ეს ვარდი გვერდით. როცა გადმობრუნებულა, ეს ვარდი

ძირს მოქცეულა. როჲცა, ადგა ეს კაცი, დიდხანს ძინებიაო, თქვენ, მივიდენ და ეს ვარდი დამჭკნარი დახვთაო. მიხვთენ, რო ქალიაო.

ეს ქალი მოიყვანეს ხენწიფესთან. ხენწიფემ გამოკითხა სუყველაფერი ვინაობა ამ ქალს.

როცა ამ ქალმა უთხრა სუყოლიფერი თავის გარომოობა, ხენწიფემ უთხრა, რძლათ უნდა შეგირთოო. ეს ქალი დათანხმდა და შერთო თავი'ს ვაჟს.

ქორწილი კაი გედიხადეს, დეიწყეს ერთხელა ცხოვრება.

ერთი წლის მერე ამ სახენწიფოს სხვა სახენწიფომ ჩხუბი გამოუცხადა. ადგა ამ ხენწიფის შვილი და ესეც ომში წევიდა. გენერლათ იყო ესე. წეიყვანა ეს ცხენიც. თითვან ცხენმა უთხრა, მეც წამიყვანეო. შეჯდა ეს კაცი ი ცხენზე და წევიდა.

ეს ცოლი კი ორსულათ დარჩა.

ეყოლა ერთი შვილი ამ ქალს და ძალიან კაი ბოვში იყო თურმე. ისეთი კაი იყო, რო ვარსკვლავივით იყო მართლა.

ადგენ და წერილი მიწერეს ხენწიფის შვილს, რო შენ ცოლს კაი შვილი ყამსო და გილოცამთ შენი ცოლის კეთილათ მორჩენასაო და შენი ვაჟი ღმერთმა გაგიზარდოსო.

ამ დროს თურმე ეს დევმა გეიგო და ვინძახას ეს წერილი გაატანეს, დახვთა გზაში იმას ეს დევი. „ეს წერილი მაჩვინე და რაც გინდა, იმას მოქცემო“. ამ წერილში ჩაწერა ამ დევმა, რო შენ ცოლს ეყოლა ძაღლის ლეკვიო და, სანამ შენ მოხვალ, ორივე უნდა მოვკლათო.

მოუვიდა ესე იმ ბიჭს, ეს წერილი. წეიკითხა და ძალიან ეწყინა. იმან კი დაწერა წერილი: ჩემ მოსვლამდინ რაც არ უნდა იყოს, მოუარეთ კარქათაო. და მე რო ჩამოვალ, ყველაფერს გეტყვიო.

ეს დევი დახვთა ისევე გზაში და ჩაწერა წერილში, რო მად არ დამახვთეროთ არც ერთი დედა-შვილიო, გაახურეთ საკირე და ჩაყარეთ ორივე შიდაო.

ეს წერილი მიიღო მამამთილმა და ტირილი დეიწყო: ის კაცი გასულელებულა გონიაო, ამისთანა ადამიანები საკირეში რავა უნდა დავწვაო.

ადგა და კიდე მიწერა წერილი მამამ: მე, შვილო, ამას შენ მოსვლამდინ ვიყოლიეფო და შენ რაც გინდა, ის უქენი მერეო.

ეს დევი დახვთა ისევე გზაზე და დაწერა წერილი, რო მოსულხარ, მოსულხარ, თვარა ეს ხალხი საკირეში უნდა დავწვაო.

ეს წერილი რო მეუვიდა ამ შვილსა. ძალიან გაბრაზდა და ხელმოორეთ ისევე წერილი დაწერა: ამ კვირეში მე მად გავჩთები და ყოლიფერს მე გავაკეთეფ. რალაი მასე შეგძულდათ ჩემი ცოლ-შვილიო.

ეს დევი ისევე გზაში დახვთა და ჩაწერა წერილში, რო არც ერთი არ დამახვთეროთ მადაო.

ეს წერილი მოუვიდა ამ ხენწიფეს, ადგა და თქვა. რომოო მე ვერ დავწვამო და ადგა და იქირავა კაცები, გაახურეს საკირეი და უნდა ჩააგდონ საკირეში ორივე დედა-შვილი. ამ დროს ამ ცხენმა იგრძნო ეს, გულთმისანი იყო ეს ცხენი, წამოვიდა, მიატოვა ეს კაცი.

ახლა აქ ვისაც ამ საკირეში უნდა დეეწვათ, მოცილდენ საკირეს და კითხულობენ: ვინ გეიმეტეფს, ვინ დაწვამს, ვინ დაწვამსო.

დევი მოსულიყო და იმან თქვა: მე ჩავყრი მაგათ საკირეშიო.

როცა მართლა საკირეში მიყამდათ ორივე დედა-შვილი ჩასაყრელათ, ცხენიც გაჩთა. ამ ცხენმა იმდენი ქნა, რო ეს ქალი და ბოვში დატაცა ამ დევს და დევი კი საკირეში გოდოუძახა.

ამ ცხენმა უთხრა ამ ქალს, რო: შემჯექი მე შენი შვილიანაო და წაგიყვან სხვაგანაო. მართლაც ასე მოიქცა. შეჯდა ცხენზე: იარა, იარა, იარა და ერთ დიდ მიდორში გევიდა ეს ცხენი. არავითარი ხალხი არ იყო იმ არეზე.

ამ ცხენმა უთხრა: მე ახლა მოვკვტებიო. ჩემი ტყავი დათასმე, დათასმე, დათასმე, ისე წვრილათ დათასმე, რო სუ ძაფის ოდენი იყოს ტყავიო და რაზედაც ეყოს ამ მინდორსაო, გარშემო შემოარტყიო.

მართლაც ასე მეიქცა ეს ქალი. ეს ცხენი მოკვტა. დათასმა ტყავი წმინდათ, შამოავლო ამ მინდორს ეს თასმა სულ. ამ მინდორში გედიქცა სულ ქალაქი და ბაზარი და გაჩთა სუყველაფერი, ხალხი მიდი-მოდის და არი ერთი ამბავი. ქალი კნიაზივით არი ახლა!

ამ დროს ეს ხენწიფის შვილი დაბრუნდა ჯარიდან. მივიდა მამასთან. მამამ როდცა ეს ამბავი უთხრა, ეს კაცი კინელამ გედირია და მამას კლემდა: „თქვენ ასე მეგეწერათო, შენ ცოლს ძაღლის ლეკვი ყამსო“. „მე მასე არ მამიწერია, შვილოო“.

ამ ხენწიფის შვილმა იტირა, იტირა, იტირა... ძალიან იჯავრა და თქვა, რო მე აქ გამჩერებელი აღარ ვარო და რო ეს დარდიანი გული გადავაყალოოო, ნადირობა დეიწყო.

ერთ დროს ამ ხენწიფის შვილს დააღამდა თაში და ველარ მეიმხრო, გზა სიდით უნდა წასულიყო.

უცეფ დეინახა, რო ერთი ადგილიდან სინათლე მოდის. ეს კაცი მიყვა, მიყვა ამ სინათლეს და პირდაპირ მივიდა იმ ადგილას, სანაც ეს ბაზარია გაშენებული. მივიდა იქა და უნდოდა, რო ღამე გეეთია ამ ქალაქში, სადაც ეს შამორაგული იყო. ჭიშკარი ქონდა, მივიდა, კარისკაცებს თხოვა, ღამის გასათევათ შემიშვითო. ამ კარისკაცებმა უთხრეს: ჩვენ უფროსი ქვყამს, თუ ის ნებას დაქრთამს, მობძანდიო.

როდესაც მივიდენ უფროსთან, უფროსმა უბძანა, მეიყვანეთ აქ, ვინცხა არიო.

მიიყვანეს ამ ქალთან. იქ რო მივიდა, შეეკითხა ეს ქალი, რო სიდან ხარ, რანაირათ ხარ, რამფრათ ხარო.

ეს კაცი თავის თავგადასავალს მოუყვა, რო მე ომში ვიყავი, ცოლ-შვილი დავტოვე, მე იქიდან ვწერდი, რომ ჩემი ცოლ-შვილი შემინახეთო, ესინი კი ამდგარან და საკირეში დოუწვიათ ჩემი ცოლ-შვილიო.

ამ ქალმა აზრი ეილო, რო ეს ჩემი ქმარი უნდა იყოსო.

ამ კაცს კარგი პატივი ცეს. მერე, როცა ამ ქალმა შეხედა, რო ვერ იცნო ამ კაცმა, სიცილი დეიწყო, დოუჯდა გვერდში და ყველაფერ ვინაობას მოუყვა ეს ქალი, თუ რა მდგომარეობაში იყო და მე შენი ცოლი ვარო, უთხრა, ასე იყო, ასე იყოო, თქვენ მოგეწერათ ჩემი მამამთილისათვინა, რო ორივე დედა-შვილი საკირეში ჩაყარეთო.

კაცმა უთხრა: მე ასე მივწერე ჩემ დედ-მამას, ჩემ მოსვლამდინ შეინახეთ ჩემი ცოლ-შვილი, რანაირიც უნდა იყოს-თქო.

ერთი სიტყვით, გეირკვა ყველაფერი, დიდი კამპანია გედიხადეს, და დიდი ქორწილი გედიხადეს ისევე.

ეს თავის დედ-მამაც მიიყვანეს.

ქორწილში მეც იქ ვიყავი და ახლა ჩამევიარე აქეთ იქიდან.

193

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი.

ცხოვრობდა სამი ძმა. ძმებს ყამდათ დედა. ეს ძმები ყოველდღე სანადიროთ მიდიოდენ. ერთხელ ტყეში ერთი ვორმო ნახეს. ვორმოში სამი ქალი იყო. ძმებმა ამეიყვანეს ეს ქალები და ცოლათ შეირთვეს. წამეიყვანეს სახშიდ და ცხოვრობდენ ერთად. მორე დღეს ძმები სანადიროთ წევიდენ. რო დაბრუნდნენ, ნახეს, რო უცროსი ძმის ცოლი ძიერ მოწყენილია. უფროსი ძმების ცოლები და დედა სულ (სუ) იცინოდნენ. ეს ორჯელ-სამჯერ გამეორდა. უცროსმა ძმამ იფიქრა: უნდა გევიგო რაშია საქმე, ჩემი ცოლი რო სუ ყოველთვის მოწყენილიაო.

ერთხელ ძმები სანადიროთ წევიდენ. უცროსმა განგეფ დატოვა სახში შვილდ-ისარი. გზაში ძმებს უთხრა: „შვილდ-ისარი დამჩა სახში, თქვენ იარეთ და მეც ახლავე მეგეწევითო“. დაბრუნდა ეს ბიჭი სახში; მივიდა ფანჯარასან და დეინახა, რო დედას და უფროს რძლებს გვერჩი უჯდიათ თავისი საყვარლები. მისი ცოლი კი ჟდის კერიის ძირშიდ და არის გაჩუმებული. უცროსმა ძმამ გეიგო ყოლიფერი და წევიდა სოფელში. მეზობლებთან. გამევიდა დედა გარეთ და რას ხედამს?! სახლის გარშემო რო ნაცარი ქონდა შემოყრილი, იმაზე კვალი ეტყობოდა. დედამ სწრაფათ კვალი ზომაზე შეკერა ფეხსაცმლები.

საღამოს უცროსი ძმა წევიდა ძმების შესახვედრათ. შეხვთა ძმებს და უთხრა: „ძმებო, ხუ არ ქწყენიათ, რუ არ წამევედი? მუცელი ძიერა მეტკინა, ველარ შევძელი წამოსვლაო“. ძმებმა არაფელი უპასუხეს მივიდნენ (მივიდენ) სახში, დედამ დაახვედრა ფეხსაცმელები. მარტო უც-

როს ძმას ერგო ფეხსაცმელი. დედამ მიხვთა, რო უცროსმა ყოლიფერი გეიგოვო, ამიტომ მისი მოშორება მეინდომა.

ინ სახენწიფოში იყო ერთი ბმა ხემწიფე და დედა იმასთან წევიდა, ხემწიფეს უთხრა: „თვალები რო აგიხილო, რას მამცემ"?. ერთ სატახტო ქალაქსო—უპასუხა ხემწიფემ. დედამ წეიყვანა ხემწიფესან უცროსი შვილი და უთხრა: ამის გულ-ღვიძლი ამეისვი და თვალები ეგეხილებაო. ეს ბიჭი შეიყვანეს თავლაშიდ, სადაც ცხენები იყო. დეიწყეს დანების ლესა. ბიჭი ძიერ დაღონებული იყო. ერთი ცხენი შეეკითხა: რატო ხარ მოწყენილიო? ჩემ დასაკვლავათ დანებს ლესამენო;—უპასუხა ბიჭმა. მე გიშველიო,—უთხრა ცხენმა. როცა დასაკლავათ გაგიყვანონ, ხენწიფეს უთხარი: რათ გინდივარ მე რო დამკლა, ჩემი ცოდვა ტყულა რათ უნდა დეიდვა. მამეცი ერთი ჯორკიდებული მარილი, ბამბა და შენი ცხენი. წავალ, მოგიყვან იმ რაშს, რომლისგანაც შენ თვალები დაბმავებული გაქვსო. მართლაც ასე მეიქცა ეს ბიჭი: ხემწიფემ ყოლიფერი მიცა. წევიდა ეს ბიჭი. მივიდა ერთ ტყეში წყაროსთან, სადაც ყოველთვის მოდიოდა ი რაში. ცხენმა ბიჭს უთხრა: ბამბა წყალში ჩაყარე და მარილი გვერძე დაიდე. მოვა ის რაში და დოუწყებს მარილს ჭამას. მოწყურდება უფრო მეტად წყალი და დეიძახებს: ამოუშვი წყალიო, მერე გევიტყულოთ და წევიდეთო. მართლაც ასე მეიქცა ბიჭი. რაში წამეიყვანა. ბიჭი მივიდა თავის სახენწიფოში. მუუყვანა ხენწიფეს რაში. ხემწიფეს თვალები ეეხილა. ხენწიფეს ძაან გეეხარდა და საჩუქრათ ერთი ქალაქი მიცა. იმან ცოლთან ერთად დეიწყო ცხოვრება.

194

იყო ერთი ღარიბი გლეხი. იმასა ყამდა ერთი ვაჟი, რომელმაც ზედმეტ სახელათ ხოჭო დეირქვა. სუ უსაქმოთ დეეხეტებოდა. რო ეჩვენებია ხალხითვინა მეცნიერი ვარო, შემდექ ხელობას მიმართა: ერთ მეზობელს მოპარა გოჭი; წეიყვანა და იქვე მახლობლათ დააბა ტყეში. პატრონმა გოჭს-რო დოუწყო ძებნა, კარს მიადგა ხოჭო. ხოჭომ შეეკითხა:—რას ეძეფ, კაცო, ასე გამწარებული?—გოჭი მომპარეს და იმასა,—უთხრა პატრონმა. ხოჭომ უთხრა: მე მეცნიერი ვარ და გოჭს მე გიპონიო, თუ მამცემ რამესო. ხოჭომ მართლაც მოუყვანა გოჭი პატრონს.

ერთ სახენწიფოში ხენწიფეს დეეკარქა ოქროს საწყობის გასაღები, რომელიც მეფის სამი ქალიშვილის ხელში ინახებოდა. მეფემ ხოჭო გამეიძახა გასაღების სანახავათ. ხოჭომ დიდი ამბით მივიდა მეფესანა. მეფემ რო დეინახა, გზა დოუთმო და სახში შეიყვანა. ხოჭომ კარქათ ისადილა. შემდექ მეფეს დაუდო ვადა მორე დღემდინ, რო გასაღები ეპოვა. რო დაღამდა, ხოჭო დააწვინეს, მარამა ძინი არ ეკიდებოდა. გასაღების იმანა აფერი იცოდა. პირველი მამლი ყივილი იყო, როცა

ხოჴოსან ვოთახში შევიდა მეფის უმფროსმა ქალიშვილმა. იფიქრა, ნანდვილათ გებულობს, რო გასალები ჩვენთან არისო. მორე მამლი ყივილზე მივიდა მორე ქალიშვილი. მესამე მამლი ყივილზე მესამე ქალიშვილიც შევიდა. ამ დროს ხოჴომ დეიძახა: ესეც მესამეო. ხოჴო ოურმე თავის სიცოცხლის დღებს თვლიდა, მარა გოგოებს ეგონა, გეიგო ხოჴომ, რო გასალები ჩვენ ხელშიაო. ქალიშვილები მივიდნენ ხოჴოსან და დოუწყეს ხვეწნა: ნუ გაქვთქვამ მამაჩვენთანა, თვარა იი ცოცხალს არ გაგვიშობსო. მერე ვიღეს გასალები და აძლევენ ხოჴოს. ხოჴომ უთხრა: გასალები გარააყლაპეთ მამალ ინდაურს და თქვენ თავისუფალი იქნებითო. გათენდა დილა. ხოჴოს გაეღვინძა. საჭმლის ჭამის შემდექ მეფემ შეეკითხა: რა ქენი, გასალები თუ იპონეო? ხოჴომ უთხრა: გამეიყვანეთ თქვენი ინდოურები, რომელ ინდოურსაც ევირჩევ, იმისი კუჭი უნდა შევჭამოვო. მოიყვანეს ინდოურები. ხოჴომ დაკლა მამალი ინდაური და კუჭში გასალები ამუაცალა. ხოჴომ ბევრი საჩუქარი მიიღო. მიდის სახლისკენა. კიბეზე ჩასვლის დროს მეფემ ნამდვილი ხოჴო-ბუზი დაიჭირა. მოაფარა ხელში და ხოჴოს ეკითხება: თუ გეიგეფ, ხელში რა მყამს, ერთ ამდენ საჩუქარს დაგიმატეფო. ხოჴომ ხასიათში ჩაიცინა და გეიფიქრა—ახლა კი მომკლამენო. ფიქრობდა საწყალი ხოჴო ძველი საჩუქრის დაკარგვაზე. უეცრათ ხოჴომ მეფეს ხელი მიაშვირა და უთხრა: გაანებეთ ამ საწყალ ხოჴოს თავი. გაუშვით, წევიდეს თავის გზაზეო! ხოჴომ ესე თავის თავზე თქვა ყოლიფერი, მარა მეფემ ნამდვილი ხოჴო ცივათ გააგდო ხელიდან. ეს ხოჴოს ძაან გეეხარდა. ხოჴომ ეიღო მეორე საჩუქარი და გასწია თავის ვოჯახში.

## (შუაიმერული)

## 195

აქანე იყო ერთი ნაჩალიკი ტაროსელცკი, აგრონომი იყო. იმანააშენა ზეით სახემწიფო ბაღი, ზესტაფონის ბოლოზე, თავარი ბაღი და დაგვიბარა თელი ხალხი, ვისაც შეეძლო კარქათ მუშოობა. მევიდა და მეიტანა ნერგები, წარე ლერწი (სადედე ლერწი), რომელზედაც ცხოვრობს ყველანაირი ვენახი; ძირს მიწაში ის არი, მიწას ზევით გემბრიელი ვენახი გვაქ. უთხრა-კე: აბა იმუშავეთ, ისტავლეთ ხელობა, წადით და გააშენეთ ვენახებიო. ერთ თვეს ასტავლა ყველას ვენახის დამყნა, გადაბრუნება მიწის ორი ბარის პირზე—სამ ჩარექზე. დატრიალდა თელი ხალხი და როგორც უყურებთ ჩვენს ნამყოფებს, ფილაქსარასაგან იყო მანამდი მოსპობილი. იმას ყავდა პამოშნიკი—გარევი, ცოლი ყავდა იმას უმაღლესი ცოდნის. იყო ცოციალისტი, ჩუმი. მერკვილაძე იყო ერთი საქარელი, აფრასიონი, რომელიც დევნილი იყო და დახვრიტეს ისი სვირში. ტუნელებში ინახავდა თავს, კაზაკები დადევდენ. ამ აფ-

რასიონ მერკვილაძეს ქონდა სვიაზი იმ გარევის ცოლთან. იმას საბეჭდველი ქონდა პაკლამაციის, ღამე ბეჭდავდა. აფრასიონს გამოქონდა იმიდან პაკლამაციები და ფანტავდა ხალხში, აბნევდა ღამე. ღამე ქადაგობდენ და სულ მღლიით დაქონდათ, ნიკოლოზის ჩამოგდება უნდოდათ, მარსელიეს სიმღერასაც ვიმღეროდით. მერე, ჩემო, ბატონო, შემდეგში ეს პირველიდან ჩუმათ იყო ქადაგობა; გურულები დადიოდენ, როსტომ დოლიძე იყო, ერი კვირე მყავდა შენახული თავის რაზმელებით. ათას ცხრაას ხუთში გამევიდა. მერე თელი მუშები, გაფიცეს, მუშებს შიაგნებიეს, ქიათურიდან ჩამევიდენ გაჯანგული მუშები, მობლაგუნობდენ. გეიმართა მიტინკი სადგურთან. თომა ჩიქვილაძე—ღვდელი ბაირახით ჩამოუძღვა რაზმელებს—ჩამოვაგდოთ ნიკოლოზიო. იმაზე მივიდა საქმეი, რომე ჩამოგდება უნდოდათ ნიკოლოზის. მევიდა დეპეშა—რა გინდათო!—არაფერი არ გვინდა შენიო,—მოქადავკლებმა. რაღაი არ მიიღეს, წიფის ტუნელი დახერგეს რაზმელებმა, მატარებელს წოუხდინეს გზაი რაზმელებმა. ეს ტაროსელცკი გუბერნატორად გადეიყვანეს ქუთეიში იმ დროს აქიდან. ბაგრატიონს ბოიკოტი გამოუცხადეს და მევიდა აქანე გუბერნატორი. აფრასიონი რო ქადაგობდა კრებაზე, ესროლეს, გეიქცა, წევიდა. იმან მერე დიდხანს იარა დევნილის დროს, ხუთ წელიწადს იმანაც ბევრი მოკლა კაზაკები, იცოცხლე! მიცა ტბილისიდან გუბერნატორს, მოცეს დეპეშა—ვაენი გუბერნატორი გეძახის ალიხანოვი—მიდის ბათომზე და გოუშვი,—დალიხული არ იყო წიფა? გამოცა ბძანება. გასწმინდეთ წიფის ტუნელიო, ის ქე მოტყუვდა. უარს ეტყოდენ ვაენი გუბერნატორის გასვლაზე? გამოუშვა, რომ ჩევიდა ქუთეიში ისი (ალიხანოვი), შამობრუნდა ჯარი, ზასტავი ზასტავზე ყავდა სულ კაზაკი, ქუთეის ცეხლი მოუკიდა, რომ ააშვირეს ყველამ ხალხმა და მერე პაჟარი კამანდას დოუძახა და თვითონ ჩააქრო, ზესტაფონი დასწვა თელათ, მუხლზე ეყარა დამწვარი სიმინდი. მეფართლეები დეიწვა თავის დუქნებში. დეიკავა ისთევე თავის სახემწიფო და მერკვილაძე გადავარდა მერე და დევნილი შეიქნა. ერთ ღამეს მევიდენ ჩემსას ბიჭები, ლამფას ვერ გაამთებდი. ვასვი ღვინო და (კენტათ იყვენ მოსახლეები), ბევრგან სროლა მოუხდა, ოუხოვდა ბომბით კაზაკებს კვალს და გევიდოდა. მერე, ჩემო ბატონო, მაშინ დასახვრეტი ხალხი ქე დახვრიტა ნიკოლოზმა. ზოგებს არ მოუდგა დახვრეტის მუხლი, გაასახლა სამძღვარს გარეთ, მერე მოუწყეს, ცხრაას თოთხმეტში, ომი სერბიას, მოკლეს ბევრი სამძღვარზე; ხემწიფის შვილი იყო და შვილი ყავდა და მოუკლეს და დეიწყეს მერე მუშაობა ცოციალისტებმა (თოთხმეტ ქვირკობისთვეს გამოცხადდა ომი, გერმანია, თათარი და ავსტრიაც გვეჩხუბებოდა). ჯარს ეუმბებოდენ: ძირს ომიო. ჩამოაგდეს ნიკოლოზი. გააქციეს. ნიკოლოზის ადგილზე კერენცკი დაჟდა, მინისტარი იყო. მერე,

ბატონო, კიდო იმუშავეს და კერენცკი, იგივე ნიკოლოზი, ისთევე ჩამოაგდეს. მერე დამყარდა ჩვენი თავრობა. ასთე იყო ძველი ამბავი.

196

ზესტაფონში უნა მეეკლათ პრისტავი, კოლია ნეფსაძე იყო. გადიკიდა ერთმა ტეროლისტმა ლივერი,—ღვედი არ ერტყათ. ამ წესით ადგა და წამევიდა. შეხვდა კენჭი. უნა მოკლას. ამევიდა სამტრედიაში და არი ხომ, გეცოდინებათ თქვენე, დაქსოილი კინიგზები. მოკლა პრისტავის პომოშნიკი იქ. ეს ბიჭი კვალითელია. წამევიდა და მევიდა ქუთეიში. ბალახოვნის ქუჩის ამა და ამ ნომრის აკალოჩნიკი უნა ისხვერპლოს, დაწერილი აქ. გააგორა მაშთავე. ამევიდა ზესტაფონჭი ეს პრისტავი—ნეფსაძე. ეს ნეფსაძე დადევს რაზმელებს დასაჭირავათ. ადგა და მევიდა ჩემ სამეპურო დუქანში. ჩემ პირდაპირ პადვალია. ჩევიყვანე და პურს, კერის ჩამოგიყვან თქვა. გაჩენია პრისტავს ვინცხა, რომე ესა და ეს კაცი წამევიდა ბათუმიდან შენ მოსაკლავათ და დაარტყი ობისკი თელ ზესტაფონს, ამოაჩინე, თვარა მოგკლავსო. გამოსულა საობისკოთ გამოღმა ბაზარში და მე გაღმა ბაზარში მქონდა დუქანი. გადუბრუნებია თელათ მეფართლე, პადვლები, ყველა ეძებს ამ ბიჭს. მოუსტრო იმ დროს, რომე პადვალშია და იარაღი აქს. ხიდიკურში მე დუქანი მაქვს და ყელია და რეხვავს და დააგდეფს. მოვიდა ობისკი, ამოაჩინა ეს ბიჭი. ამან უთხრა, რომეო რა გინდაო. წეიყვანა ციხეში, დიდ ციხეძი. გააგზავნა მაშინათვე იატაპით ბათუმის ციხეძი. ქვეც გადუწყვიტეს. მერე მოვაწყეთ საქმე. ის ნეფსაძეი მაინც მოკლეს რაზმელებმა მესამე დღეს. აღარ დაფარეს იმათმა, მისი მოსამსახურეები მოკლეს, ამათ მიეხუტა ეს პრისტავი, ერთი პოვარი და ერთი ხელზე მოსაფსახურე. ნეფსაძე ყვარობდა ჭილაის ქალს, უკვეთესი ქალი არ გამოდიოდა. ამ ქალის ინტერესობა ყველას ქონდა. ნასტავლი იყო ის ქალი. ის რო ტანცავოი ვეჩერში ითამაშებდა, მისი გამსტორებელი არავინ იყო. სტავლაც ქონდა, შეხედულებაც ქონდა. ყოველ ღამის პირველ საათზე გეივლიდა ჩემ დუქანთან,—და იქინე უნდა მომკვტარიყო, კაკრაზ მაინც იქინა ჩეესაფლეს იმას.

197

— იყო ერთი ხენწიფე. ყავდა სამი ვაიშვილი. სამი ვაიშვილში ერთი გამორჩეული ყავდა. ერც უძახოდა: ბეითამალი ხარ, გლახა ხარო, ეს ორი შვილი კარგია ჩემიო. ადგენ ეს სამივე იმები და წევიდენ სანადიროთ, სამივე ძმები. ძმებიც ქე ბრაკავს ამას, მარა წამევიდეს, იყოსო. იარეს კაი ძალი გზა და შევიდენ ერთ თაში. ინადირეს, ცეცხლი დაამთეს, შველი მოკლეს, შეწვეს, ჭამეს, ზოგი აკასპეს და შამეიკიდეს ცხენზე და წევიდენ. გევიდენ ამ თამი და გასალიერი ნახეს თაში. გევიდენ. ერთი ქვა დევს აქანა. ამ ქვასთან სამი გზა მიდის. ამ გზაზე აწერია—ქვაზე: ამ გზაზე ვინც წევიდოს, კარქათ იაროს,—ამ გზაზე

ვინც წევიდოს, ველარ მევიდოსო. ადგენ და ძმებმა უთხრეს:—ჩვენ უნა გავნაწილდეთ და გზები უნა დავპრომოთ, სამი ძმა ვართ, უნა წევიდეთ ცალ-ცალკე. ადგენ და წევიდენ. ამ ქვასთან რო მევიდოთო, მოუცადოთ ერთმანეთსო. წევიდენ. ამ გზაზე გაგზავნეს ის, ნაკლები, რომ ვერ მევიდოსო. ამათმა კაი გზები ეირჩიეს. იარეს, იარეს და ესენი რაში გევიდენ, ვინ იცის, და ეს გლახა 'მევიდა ღამეში, უდაბურ ღამეში. რა ქნას ახლა. ადგა და ერთი ირემი მოდის ამ ღამეში და მაეცივით მეეჩვენა ამას, ქები, ნაწნავი გადაკრული აქ ამ ირემს. ამ ირემა ახლა ხეცივით ეს კაცი რო ნახა, შესაჭმელათ მეინდომა. ეს ბიჭი ეხვეწება: ასეა ჩემი საქმეო, მეო ნუ შემჭამ 'მენო; თუ მიპატრონეჟ, კაი იქნებაო.

— გიპატრონეფო,—უთხრა.

— ამა და ამ სახემწიფოში უნა გამიყვანოო.—დაძმობილდენ ახლა ეს ირემი და ეს.

— შამაჯექი ზურგზეო.—ამ ირემა სულ დააგო ტყე-ველი, გატრიალდა და წევიდა. გეიყვანა ერთ სახენწიფოში. ამ ხენწიფეს ყავს ფრინველები და მესამე სახენწიფოს ოქროს ხე უდგია იმას იქით. ეს ხენწიფე გამოუშვეფს საღამოს ამ ფრინველებს. წავა ეს ფრინველები, დაკრეფავს ოქროს ამ ხეზე და მოუტანს ამ ხენწიფეს. აპა გადევიდა ახლა და უთხრა ამ ირემა:

— მე ყოველდღე გამოვალ აქანაო, წადი, მეისაქმეო და როცა გნახაო, მაშინ წაგიყვან და გაგიყვან იმ ქვასანაო, სადაც შენ ხარ შამოსულიო.—გადევიდა ეს ბიჭი და წევიდა. მიაგდა ამ სახენწიფოს და ამ ხენწიფეს კოშკში ყავს ზეთუნახავი ქალიშვილი. აქედან ამ კოშკს ძირს წყალი გოუდის. გადაცურა ამ წყალში და გევიდა. ნახა იმისი გადია, ამ კოშკში რომ ხენწიფის შვილს პატრონოფს.

— მეო ამა და ამ ხენწიფის შვილი ვარო და ამაშიო რა არიო?

— ამაშიო ხენწიფის ქალი არიო.

— აპაო მამიხერხე მაძოვიო საცოლოთო.

— გაშონიეფო,—უთხრა,—მოციქულობას მიგიტანო და მოგიტანო. —წევიდა, ასეა, ასეაო, უთხრა. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და ამას ჩუმათ ინახავს. გააკეთა საქმეი, უნდა წამოყვეს ცოლათ.

— დავალებული მაქსო, ქე რო ოქროს ხეს უკრიფავსო, ის ფრინველი უნა ჩიმოვოო.

— ადვილია, გიშოვიო,—დედალ-მამალი ფრინველი დოუჭირა, მუალაპარაკა, ფიცი დადვეს ცოლ-ქმობის, წამევიდენ, წამეიყვანა ახლა მოტაცებით. მევიდა ამ ტყეპირზე, სადაც ირემა გამეიყვანა. ირემი ყოველდღე გამოდის ამ ძმობილის სანახავათ. წამეიყვანა ირემი ესე, გამოარონია იმ ბნელში და მეიყვანა იმ ქვასან. ამ ბიჭს მამიდგან წაყოლილი ძაღლი ახლავს.—ყველა ძმებს ყავდა ძაღლი,—ეს ძაღლი ქე ახლავს, და დასვა ამ ქვასან.

— დაქსვამ ამ ქვაზე და გულთმეცარი ვარ და ნურავის დოუცდი, წადი, გიღალატებენ შენი ძმებიო, - ეს ირემი ეუმბება.

— არა, ჩემი ძმები რავა მიღალატებენო.—ქე მეიცადა.—გამეიარა ორმა-სამა დღემ და გამევიდენ ძმები. გამარჯობა—გაგიმარჯოს. არცარა ზეთუნახავი უშოვია, არცარა ქონება. კაფშირი გააბეს. მერე წერილს მოქწერო, გადიამ დოუბარა. ესენი გულდაწყვეტილია, ამას ბზეთუნახავი მიყავს, ეს ფრინველიც მიყავს, ქონება — რამდენიც გინდა, იმდენი აქ. მოკიდეს ხელი ამ ძმებმა, გევიდენ, მეილაპარაკეს და ეს ქალიო შენ გყავდესო, უთხრა უმფროს საშვალმა. ეს მიბრიგეს-მობრიგეს, გალახეს. ეს ქალი რას იზამდა, დატოვეს ამ თის ძირში ეს ოქრო-ვერცხლი, ქალი წამეიყვანეს და წამევიდენ. დატოვეს ეს გალახული. არ მოკვდა სიგრილით ეს ბიჭი. მოუწვა ე ძაღლი გვერდით ტყი პირში ამ ქვასან და არ შორდება. დაღამდა, გამევიდა გელი, ხელები, არაჟრის დიდებით არ მოუშვა, რომ ეს შეეჭამაო. აპა, ეს ბიჭი მოსურსუმალდა თანდათანობით, მობრუნებულა, ეს ძაღლი უდგია, ორ-სამ დღეს იქით ფეხზე დადგა. წამევიდა. დაახლოვებულია მამის სასახლეს, მევიდა. იმ დროს მევიდა, რომე ამ ბიჭმა ჯვარი უნდა დეიწეროს ამ ზეთუნახავზე ამ ორ დღეში. ამ ბიჭებმა მიიტანეს ამის ნაშოვარი, ეს ფრინველები გაფრინდებიან (დიდი ნიქვთიანია ეს ფრინველი) და ოქროს ვაშლებს მეიტანენ. აპა, ეე მამაჩემს გოუმარჯოსო, მიესალმა მამას ეს ბიჭი. გარიკნილია, არაფერი არა აქ.

— წადი, წადი, ვისი შვილი ხარ ჩემი შვილები აი ესენი არიენო, ღირსი ხალხი არიენო.

— აპაო, მამაო, თუ მე შენი შვილი არა ვარო, კითხეთ მაგ ქალს, რაც მაგენმა ვეში მეიტანეს, ვისიაო, და თუ ის არ იტყვის, მომკალიო. — იმდენი იმარჯვა ამ ბიჭმა, იმ ზეთუნახავს დაანახვა თავი, გადმოვარდა ეს ზეთუნახავი და მეეხვია საქმროს კისერზე. დედაც ყუროფს და მამაც. ეს ბიჭები გაშტერდენ (ტყუანი კაცი ფთხალია). წაკიდა ხელი მამამ იმ შვილებს, უბძანა კარისკაცებს—აპა, დაატუსაღეთო. დაატუსაღეს იმინუჩი. გადუშუვიტა ჩამოხჩობა ამ სიცრუის გულისთვინ. გეიყვანა, დაახჩო ორივე. მეიწვია დიდი ხალხი, აკურთხა თავის ტახტზე ის შვილი. მოუდგა იმის მოყვრობის კაფშირს—მაზამის დეპეშა მისცეს, და ცხოვრობდენ მერე ისთე.

198

ხენწიფის შვილი და ვეზირის შვილი წევიდენ სანადიროთ. ერთ მოხუცებულ ქალს გამოუყვანია წიწილები გარეთ და უდგია შარაზე. ხენწიფის შვილმა წიწილს აკრა ფეხი. ქალმა უთხრა, რომეო ცხრა ძმა დევს ყავსო ბზეთუნახავიო, შენ გამხთარხარ იმის წერაო.

ადგენ და წევიდენ იმ დევებთან და მივიდენ კიდევაც. დევებმა შეხედეს, გამევიდენ და:

— მობრძანდით, ჩემო სტუმრებოო. რაზე მობრძანებულხართ?—კითხათ. დევებმა რო შეხედეს, იცვნეს, რო ხენწიფის შვილია.

— კიდევაცო,—უთხრა ამ ხენწიფის შვილმა,—მე ამა და ამ ხენწიფის შვილი ვარ და წამეყვედი თქვენთან სასიძოთო, თუ მიმიღებთო.— დევებმა უთხრეს:

— სამი საქმე გვაქ ჩვენ გასაკეთებელიო: თუ შოუძლია ჩვენ სასიძო კაცს მისი გაკეთება, მივათხოვეფთ ჩვენ ქალსო, თუ არა და ვერაო.— შეიყვანეს ქალთან.

— ნახეთაო ეს ჩვენი დაო დო თუ დაგიჯდებათო ერთმანეთიო, მერე შეუდგეთ იმ საქმესო.—ეს ხენწიფის შვილი ლამაზი კაცია ძალიან და მოეწონა იმ ქალს და ქალიც კარქია, ბზეთუნახავია მართლა. აპა, გასაკეთებელი საქმე, რომელიც არი ახლა, რა არი: ერთი დასობილი ხე აქ-ყე გასაშალაშინებელი, უშველებელი. გამეიტანეს სტაქნით რძე. ესო ჩვენმა სასიძო კაცმა სტაქანი უნდა შეიტანოს იმ ხეზე და ჩამეიტანოს, წვეთი არ უნდა დეექცეს; თუ დეექცა, ქვეშ ნოხზე დეეცემა, არ შეიძლება. მოორე: ერთი დიდი ლოდია იქანა ეზოში, რკინის ურო დევს იქანა. ე რკინის ურო უნდა ეილოს და ერთ დაკვრაზე უნდა დაანტვრიოს ეს ქვა. მესამე: დიდი ქვაბი აქყე, ვებერთელა, იქით-აქეთ ყურები აქ; (სასიძომ) უნდა მოკიდოს ხელი ყურებში. შემოარონიოს ეზო-კალო, მეიტანოს და დადგას.

ამ ქალმა წეიძრო ბეჭედი და მიცა იმ კაცს,—სტაქანში ჩადევი ესო, გაყინავს, არ დეიქცევა და გააკეთებო. წეიღო ეს სტაქანი (ხენწიფის შვილმა) და ეიტანა იქა (ხეზე); თუნდა ქე აგოროს, არ დეექცევა. რო ევიდა, იმდენათ მაღალია ეს ხე, რო თავისი სასახლე დეინახა და ცრემლი გადმოარდა თვალზე. ე ცრემლი დეეცა ნოხზე. დევებმა თქვეს, რომეო, არიქა, რძის წვეთი ჩამოარდაო. ცამ უთხრათ, რო ეგეო რძის წვეთი კი არა, ცრემლი უნდა იყოს. მაღლა რო ევიდა, იქ სიცივეა, ალბათ, ცრემლი გადმოუვარდაო. გასინჯეთ, თუ წუთხე არი, ცრემლი იქნებაო. გასინჯეს, ცრემლი იყო. ჩამევიდა იქიდან (ხენწიფის შვილი), გეიმარჯვა ამ საქმეში. ეხლა ქვაბი უნდა შემოარონიოს. ვეზირის შვილია ნამეტანი ღონიერი, გმირი. ვეზირის შვილმა უთხრა-ყე, რომაო:

— მაგას რავა ვკადრებ მაგის შემორონებას, მაგას მე მოვარონიებო.

— კი, ბატონო, გინდა შენ და გინდა მაგანო, მაგის ხლებელი კაცი თუ შამოარონიებს, ეგ უკეთესია კიდეო.—გოუყარა ამ ვეზირის შვილმა ხელებში და შამოარონია ისე, რომ არ გაჭირვებია, დიდი ღონიერია. ამასობაში ქალმა ეილო თმა ერთი ღერი და მიცა ხენწიფის შვილს და უთხრა:

— ე თმა დაადევი იმ ქვას, დაკარი ურო ამ თმას და დეიბნევა ი

ქვა ნამჭა-ნამწაო. წევიდა, დადვა თმა იმ ქვაზე, დაკრა ურო და სუ მტვრათ წევიდა ქვა. ეიყვანეს, მიათხოვეს ქალი. ქორწილი გადიხადეს. მემრე სანადიროთ წევიდოთო თქვეს. წევიდენ ე ცხრა ძმები, ახალი სიძე წეიყვანეს და ვეზირის შვილს უთხრეს:

— შენ აქანა სახმი იყავი, სახს უგდე ყურიო.—მოკლეს ბევრი ნადირი: ირემი, ჯიხვი და მეიტანეს სალაძოზე შინ. მეორე დღეს ადგენ და მიდიენ კიდო სანადიროთ. ვეზირის შვილს უთხრეს:

— ახლა შენ წამოი ჩვენთან და ეს ხენწიფის შვილი სახში დავტოვოთო.—ამ დევების სახლია თუთხმეტი თვალი. სუყველეის გასაღები დაუტოვეს ამ სიძეს.

— ამაში (სახლში) იარე შენ და შენმა ქალმა, ხოლოთ ერთი ოთახია, არამც და არამც ეს ოთახი არ გააღო.—კარქიო. არიენ სახში ეს ცოლ-ქმარი. დეიარა ამ კაცმა ოთახები, გააღო ერთი, მეორე, ყველა გააღო იმ ერთის მეტი. თქვა:

— მოდი, ნავხო, კაცო, ისიც გავაღო. მე არ ვეტყვი-ყე და რას გეიგებენ, ქალი არ გაამხელსო.—მივიდა, გააღო ეს ოთახი; გამოვარდა ერთი ვებერთელა დევი. აი, დევკაციანი ის არის. ამ ცხრა ძმას დოუმწყვრევია ის. ამ ხენწიფის შვილს შამოკრა ერთი მუჭი, მიაგორა ეგერა და ეს ქალი წამეიკიდა ზურგზე და გავარდა. წამოვარდა გაბრუებული ხენწიფის შვილი. ახლა დათეთქვილი, იმზირება, არაფელი არ არის აქანა. საღამოს მევიდენ დევები, ვეზირის შვილი. ნადირი მეიტანეს ბევრი. ნახეს, ეს ოთახი გაღებულია, აღარც ქალი არის და აღარაფერი. ქალი წაყვანილია. ეწყინა დევებს და ახლა უნდა მოკლან ეს ხენწიფის შვილი. ამ ვეზირის შვილმა უთხრა-ყე, რომო მადროვეთ მეო, ერთი წლის ვადა მამეცითო, თუ მევიყვანო ის ქალი, კარქიო, თუ არა და ე ხენწიფის შვილი მოკალით მერეო.

გეიარა, მიდის ახლა ე ვეზირის შვილი და (ხედავს): ერთ კაცს გუთანი წამოუცვამს ფეხზე და საძნახელი გამოურჭვია ღლიაში, ხნავს ამ მიწას და ცერცვს აბნევ შიდა. ბელტი რო გადმოუბრუნდება, ამ ბელტს ჭამს, რამდენი გადმოუბრუნდება, იძახის:—ვაი, რა მშია!—ვეზირის შვილს გაუკვირდა ეს.

— რა კაცი ხარ შენ, რას შობი მაგასო?—კითხა.

— მე რა ვარ, ძამიაო,—ბელტიყლაპიამ უთხრა,—ვაშკაცი არი ვეზირის შვილი, რომო ცხრა ძმა დევს მზეთუნახავი წაართვა და ხენწიფის შვილს შერთო.

— შენ ხარ?

— მე ვარ.

— მოდი, მიძმეო,—ბელტიყლაპიამ უთხრა,—და წამოალ შენთანო,—ადგენ, წაუვა და წევიდენ. ერთ ღვდელს მოუკიდია ხის ეკლესია ზურ-

გზე, მოაქ და ამბობს: ახლა აქანა დავდგა, არ ვიცი. ეიქინა დავდგა, არ ვიცი. შეხედა ვეზირის შვილმა და უთხრა:

— რას შობი, ღვდელო, რა ამბავია მაგო?

— მე რა ვარო,—უთხრა ღვდელმა,—ვაშკაცი ის ვეზირის შვილია, ქე რო ცხრა ძმა დევს ბზეთუნახავი წაართვა და ხენწიფის შვილს შერთოო. მოდიო, შენ თუ ხარ, წამიყვანე, წამოალ შენთანო.

— წამობრძანდიო,—და წაყვა ღვდელიც. მივიდენ, ზღვას მიადგენ. ზღვას ერთი კაცი მიყუდებია და იძახის: წრუპი გიყო? ხრუპი აღარ დარჩები და ხრუპი გიყო? წრუპი აღარ დარჩებიო? კითხა ვეზირის შვილმა ამასაც:

— რას შობი, ბიჭო, რას ამბობ?

— მე რა ვარ, ძამია, ვაშკაცი ის არის, ქე რომ ცხრა ძმა დევს მზეთუნახავი წაართვა და ხენწიფის შვილს შერთო ვეზირის შვილმაო (ის მე ვარო, უთხრა ვეზირის შვილმა). აპაო, წამოალო შენთანო, თუ მიძმობო,—და წეიყვანა კიდევაც. წევიდენ, მიდიან ახლა და მოშივდათ, ჭამის დრომ მოუწია ყე. თქვეს ახლა: აპა ერთმა ცეცხლიო დავამთოთ, სხვებმა ნადირი მევიტანოთ, ირემი, რამე და მოვხარჩოთო და ვჭამოთ. ამ ბელტიყლაპიამ ცეცხლი დაამთო, ამათ ირემი მოკლეს ხელათ, მალე. უთხრეს ბელტიყლაპიას:

— აპა, მოხარჩე ეს შენ და ჩვენ კიდე ვინადირებთ მაგის მოხარჩვამდე და მევიტანთ ნადირს.—რო მეიხარშა ესე და ერთი მტყელი ქვა დევს. აწია ეს ქვა რაძახამ ქვეიდან, ამევიდა ვებერთელა დევი, დევკაციანია თურმე შიდა; ამ ბელტიყლაპიას შემოკრა და ქე მიაგორა. ამან შეჭამა ეს მოხარჩული ირემი, ჩევიდა ისევ იმაში (ორმოში) და ქვა გარიფარა თავზე. ადგა გაბრუებული ეს ბელტიყლაპია და ისინიც მევიდენ. მევიდენ, აღარც ირემია, არაფელი არ არის.

— რა ქენიო,—უთხრეს.

— რა ვქენი, კაცოო, და რაცხა იყო, ე ის ქვა აწია, გარააგორა. ამევიდა, შამამკრა, რაღმე მომკლა, გამაგორაო და ირემი შეჭამა და ქე ჩევიდა იქანაო.—გეეცინა ამ ვეზირიშვილს.

— შენაო, ძამია, ბელტს ყლაპავდი და არ ქყოფნიდა და ირემი რავა გეყოფოდა შესაჭმელათო, შენ შეჭამდიო.—ირემი ახლა ორი აქყვე მოკლული. ღვდელმა თქვა:

— ახლა მე დავრჩები და მე მოვხარჩავო.—დადგა ღვდელი და ხარჩავს ახლა ამ ირემს. მეიხარჩა, აწია ის ქვა კიდევ იმან, ამევიდა, ღვდელი ქე მიაგორა აგერ და შეჭამა ის ირემი. მევიდენ, არაფელი არ დახვთათ.

— რა ქენი?

— მართალი არ ყოფილაო! მე ქე მამკლა აგერ, შამამკრაო, ის ქე

შეჭამაო.—კიდო უთხრა ვეზირი შვილმა, რომ შენო, კაცო, ეკლესია დაქქონდა ზურგითო, ხალხს ცარცავ, ჭამოო და ერთი ირემი რავა გეყოფოდაო...

### (ქვემოიმერული)

### 199

იყო და არა იყო რა, ხვთის უკეთესი აბა რა იქნებოდა, ჩემო ბიძიე. ერ სახენწიფოში ნაცხოვრებლარიენ სამი ძმანები. კაი-კაი შესახედავი ყოფილარიენ, რავარც უნობდენ. ერთქმანეთს ნაჯობლარან. ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იგენს ედგენ თურმე თავის ეზოში (ძაან ეზო ქონებიენ) ბრევლი ხეები. მარა ქლათ სასტაული ყოფილა ერი ვაშლის ხე (ნეტეი მე მედგეს იმისანე ხე ამ ჩემ ეზო-კარში, არ ავშენდებოდი, ჩემო ბიძიე, კაკალი კაცი?): ხოდა, იმფერი ხე ყოფილა, შენ ჩემი ბატონი, რომე მის უკეთეს ვერ ნახავდა ვერა კაცი. ეს ხე, ბატონო, ნაბამა მარტო სამ ცალს, იმისთანა შეჩვენებული ყოფილა. სამი ყოფილა, მარა რანეირი სამი? თელ ქოყანაზე, რომ შემოგევლო თელი დუნია, უფრო კარქი შესახედოობის ვაშლს ვერ შეხვთებოდი. ეს კაი დეგემართოს. მარა არ იკითხავ, რა ბედი ეწვეოდა, როცხა წიფობაში შევიდოდა, ე ვაშლეფს? შენს ტერს იმისთანა: ვინცხა შემეიძუძგებოდა ამ ეზოში თვალუხილავათ და ქე მეიპარავდა ამ ვაშლეფს. იფიქრენ, იფიქრენ ამ ძმანებმა, ეს რა ეშმაკი შამოგვეჩვია, ვინ ოხერი დაუძგუროფს აქანეო რაცხა თვარ მევისაზრეთ, გლახა დღეს დაგვაყენეფს ის ვინცხაა, ვარესი არ გვიქნასო.

გარაწყვიტენ, რომე დოუდარაჯდენ. ადგა უმფროსი ძმა და ეიღო შვილდ-ისარი და რო დაღამდა, ვაშლის ძირში დაჯდა. გადის დროი, მარა არ ჩანა ის ვინცხა დასაღუპავი. ჩამეეყვინტილა ახლა ამ ბიჭს, ძილი მეერია, შვაღამეზე გადაცილებული იყო. კარქა მაგრა რო გამეიძინა და ქე გამეეღვიძა დილაზე. გამეეღვინძებოდა, აპა რავა იქნებოდა. შეხედა, მარა რას შეხედა: სადანეა შენი ვაშლი.—ერთ ვაშლი აკლტა. ეს რავა მომივიდაო, ბარეღამ დილამდი ვყოფილიყავი ფხიზლათო! რა დროს ნანობაა აწი. კაცი საქმეს რო მოუდგები, უნდა მიაძიძგინდე ბოლომდი, ასე არ ვარგა. წამევიდა სახში და ჩააბარა ანგარიში თავის ძმეფს (კაი მაგას მოუვიდა, კაი ამბავი მოუტანა იმგენს).

მეორე ღამეს მაზე უნცროსმა დოუდარაჯა. ვნახოთ ახლა, რავა მეიქცევა ე მეორე ძმა. წარმეიდგინე, ამასაც დეეყვინტილა და შვაღამე რო შეიქნა, კაი მაგარ ძილში შევიდა. რა ძილქუში აწვება ა მამაცხონებულიშვილეფს, არ ვიცი! კვტრები არიენ, თვარა, რა მოხთა; კაცო, გაჭირების დროზე, თუ გინდა, ცხრა დღე და ღამეს არ მევიკარეფ ძილს! მაგისანეები გამომიცთია? ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქე დაბ-

რუნდა ე ბედოვლათიც დილაზენ თავი სახში. ასე და ასე იყოვო, კაი ხანს უდარაჯე, მარამ მეტი მოთბენა არ შემეძლო და ქე წავთლიმეო (წათვლიმა კი არა, თავში კეტი რო დეგეკრა, ვერ გაალვინძებდი, ისთე უბედურათ ეძინა!). ამასაც მოპარა ერი ვაშლი ი უჩინარმა.

თელი ოჯახი დაღვრემილია ახლა და იმაზე აქთ კამათ-კუმათი, რა გზას დავადგეთო! ახლა უნცროსი ძმის ოჩერედია. ახლა მე მიყურეთ, რას ვიზამო, დეიწყო ტრაბახი ა უნცროსმა.

რა ხიტრობა იხმარა ახლა ამ ბიჭმა. რავარც მივიდა ხი ძირას და მიეგდო ძილათ და ამოუშვა ხვრინვა იმისანე, რომე პარავოზის ქშენა ვეგონებოდა. მარა, რავა გონია, რას იზამს? შვაღამე რო გადევიდა და გამეიღვინძა, ე შვილდ-ისარი გვერძენ აქ. ძილი მაგასაც ქე ნაყვარება, მარა იცის, რა დროს დეიძინოს. გევიხედოთ და ე ქურდი ქე მონავალიყო ძუძგი-ძუძგით. ფეხაკრეფით ამ ვაშლიწყენ. გათავდა საქმე! მოუღერა შვილდ-ისარი და ესროლა ამ ბიჭმა ვინცხას. ე შვილდ-ისარი უბრალო რამე არ იყო: კდეს რო ესროდი, იქიდგინ წყალს გამუაჩენდი. ესროლა, მარა ქე გამქვრალიყო საცხა ე პატრონძაღლი. სამვე ძმანებმა გამეეკიდა სისხლის ნაკვალებზე ამ ქურდს. ზდიენ, ზდიენ, ტყიწყენ მიდის გზაი, მერე მთიწყენ, ბრევლი იარენ, არ მეეშვენ. სისხლს მიზდევენ. სანეა ე პატრონძაღლიო. უნობენ, სა ეშმაკში გადეიკარქა, რამდენი უნდა გვარონიოსო!

ბრევლი იარენ თუ ცოტა იარენ, ქე მიადგენ, ერ სალაგინე დიდი რკინის პალოა ჩარჭობილი მიწაში. შამოუარენ გვრილიაშემო და შიატყვენ, რომე ეს პალო ქე ძვრებოდა. ამუაძვრენ და დეინახეს, სისხლის კვალი შით ჩადიოდა. მარა ჩასვლა არ გინდა ამ ამონაძრობში? საცხა იყო, საცხა არა, იშონენ სხვილი ბაწრები და უნდა ჩეეკიდონ და ისთე უნდა ჩევიდენ. რაცხა ფარცაკი საქმეა. ჯერე უმფროსი ძმა ჩაყვა ბაწარს. ჩევიდა, ჩევიდა და იმისანე ყვირილი და დავიდარაბა მორთო, რომე იფიქრებდი – დეიქცა ცაი და მიწაო. შუა ალაგას არ იყო ჩასული, რომე ენით ოუწერელი სიცხე იღრინო. მწვავს, მიშველეთ რაცხანეირათ, ვიღუპები კაკალი კაციო, იყვირა და იყვირა ქვევიდგინ. ამუათრიეს, რავარც იქნა, ე დამსეებული, აპა რა უნდა ექნაწყენ. ახლა ოჩერედი შაშკალოზენაა. იმან ვარესი ქნა. ბოლოს უნცროსი იმა უნდა ჩევიდეს, სხვა რა გზაა. მარა ამან დეიბარა: რავარც მოვრთავ ყვიოილს, სტორეთ მაშვინ ჩამწიეთ და ჩამწიეთ, დოუშვით ბაწარი, არ შეგეშინოწყენო... ქნენ ასთე. დევიდა ძროზე ე ბიჭი. იქით გეიხედა, აქით გეიხედა: დაბადებული კაცი არაა გრულიაშემო. ერთი ოთახი შიამჩნია (შვილდ ისარი ქე აქ წაღებული). მეიმარჯვა შვილდ ისარი და მიადგა კარებზენ, დოუკაკუნა, მარა არ შექქამოს პირმა, არევინ არ ალეფს კარეფს. არც აცია, არც აცხელა და კრა ფეხი და ქი არ შიამტვრია? მარა სასტაული ახლაა: იმისანე ლამაზი ქალია შითე, იმისანე მოხატუ-

ლი, ამომავალ ვარსკვლავს გავს. ე ქვესკნელის ქალები სულ ლესტან-დარეჯანს გავლარიენ, იმისანეებია, რო იცოდე. ამ ქალმა მოუტრიალდა ამ ბიჭს და ნელითე უთხრა, რომე მოორე ოთახში, არ გაგიწყრეს ღმერთი, არ გახვიდე, თვარა მამაჩემია იქინე და რავარც მოკრავს თვალს, იჩინუჩი გაგათავეფსო. რავა გინდა ახლა? მარა ე ბიჭი დიდი უდოუჯერებელი კაცი იყო, რას მიქვია შიში, რაის შიშიო და ქე შია-ლო ა მეორე ოთახის კარები. ხედავს—იმისანე ქალია აქანე, რომე ი პირველი ქალი მონაგონი არაა. გაბდღვიალებული ქალი იდგა იმფერათ, რომე კაი ვაშკაცს დაგანელებდა. ახლა ე ქალი ეუნება ამ ბიჭს: მესამე ოთახში არ შეხვიდე, თვარა იქინე მამაჩემია და გაგაქრობს, რავაც დაგინახავსო. არც აცია, არც აცხელა, დოუპირდაპირა და გეეშურა ამ ოთახიწყენ, კრა ფეხი კარეფს და ქე შესრიალდა შითე. აქანე ქლა შვენება იყო, ალმასივით გოგო დოუხვთა. ალვის ხეს მოუგავდა ტანი, სახე ბადრივით გადაშლოდა: შავი დაპწნული თმაი კოჭებაამდი ცემდა. თლა შეიშალა ე ბიჭი, ამისანა ქალი რო დეინახა. ამ ქალსაც შოუყვა-რდა ე ბიჭი და გააფთხილა, რომე მოოთხე ოთახში არ შეგიცთეს ფეხი, განსაცთელი გელისო. იქინე მამაჩემია წარეთ დაჭრილი და შენ კი არა, ჩვენ ვერ შევსულვართ შიშითო. მეიმარჯვა ამან შვილდ-ისარი, დოუპირდაპირა და შევიდა ოთახში. დეინახა, უშველებელი დევი გაშო-ტვილიყო კრაოტზენ და ფშინავდა გემოზე. წამოხტა მაშინათვე, მარა ბიჭმა ესროლა შვილდ-ისარი, წააქცია, მერე სატევარით დაჭრა სამი თავი. ახლა ეს სამი ქალიშვილები წამეიყვანა ბაწართან. უმფროს ქა-ლიშვილს უთხრა – მოკიდე ხელი ამ ბაწარს, მანგრათ ჩეეპორჭყინეო. ჩეეპორჭყინა, რაც ძალი და ღონე ქონდა. მერე ოუძახა, მაღლა ეიყვანე-თო. ეიყვანენ. კიდომ ჩოუშვეს ბაწარი. ახლა მოორე ააპორწიალენ. ახლა ვეჯერედი მესამეზენაა. ე უნცროსი ეუნება ბიჭს: ჯერამ შენ ადიო მაღლაო და მერე მეო. არ დოუჯერა იმან და ე თავის საცოლო ააყვა-ნია პირველათ. რო დეინახენ ე ზეთუნახავი, ელდა ეცენ, ისთე მეეწო-ნენ. ბაწარი არ ჩოუშვენ. ზევიდგან ჩამეიძახა საცოლემ: ხო გითხარი, უწინ ადიო, ახლა კაოქათ არ წავა შენი დგომიარობაო. ახლა სხნა ერთშია; გაბრუნდი ოთახში, შიაღე კარები და სამი ვერძი დაქხვთე-ბაო—თეთრი, შავი და წითელიო. თეთრ ვერძს იმისთანა განმავლობა აქ, რომე თუ შიაჯდები, მაღლა-მაღლა წაგიყვანსო, თუ შავს და წითე-ლსო, იგენი ქვეით და ქვეით წაგამსეეეფსო. ხელათ გამობრუნდა. გარა-ცვინდენ ე ვერძები ეზომი, გამეეკიდა ბიჭი თეთრს, მარა გარეიკარგა საცხა, შავი ვერძი შერჩა ხელში. შიაჯდა და ქვეით და ქვეით ჩეიყვანა. იმდენი იარენ, ქვედა ქოყანაში მოხვთენ. სიმშილით მომსეებულია ე ბიჭი, კბილები ოუკაწკაწდა, სიცივეც კაი გვარიანი იყო. შევიდა ერთ კაცის სახში. შენ დედა და მე შვილიო, უთხრა იმ ქალს, იქინე რო ესახლა. ჭადის ნატეხი გექნება და მიშველე, სიმშილით ვკვტებიო. აწ

დედაკაცმა გამეიტანა გობით ფქვილი. რითინ მოზილოს, სანეა წყალი? შარდით უნდა მოზილოს. აქანე წყალი არ იშოება. ერთ ალაგზე კია. მარა გველომაპია დაპატრონებული და თხოულოფს—ვინმე მომიყვანეთ, გადავსანსლავ და წყალს გამოუშობო.

ამ ბიჭმა გარაწყვიტა აჩეხოს ი გველოშაპი. გეემართა. მივიდა და რა დეინახა. ხენწიფეს ქონია დიდი ქორწვილი, მარა უწყლოთ რანეარი ქორწვილი მეეწყობოდა, თქვენ თითონ გაშინჯეთ ახლა. ქალი წამოუყვანიენ და მოუყვანიენ გველოშაპიზა. ამ ბიჭმა იმედი მიცა ამ ქალიშვილს, ნუ გეშინია, მე ავჩეხავ მა წყეულსო. გველოშაპს ჯერე არ გამოუღვინძებია. ახლა ამ ბიჭს დეეყვინტალება. მიწვა გოგოს კალთაზენ.

გეიღვინძა, რავაც იყო, ამ გველოშაკმა. გოგოს წასქდა ცხარე ცრემლი, იმისთანა ცხელი, რომე ჩამოუღვარღვალდა ლოყაზე და ქე დეეცა ბიჭს სახეზენ. წამოვარდა, რავარც ელვა, და აკაფა ე ბოროტი გველოშაპი. ამ გოგომ სისხლში დეისველა ხელი და ბეჭხენ დაკრა ბიჭს, ლიშანი დაადო. გამობრუნდა ე ქალი და წამევიდა ხენწიფესთან. ბიჭმა შეიბრუნა ძილი, ძაან დაღალული იყო.

სახეც ამ ბიჭს ეძინა, იქინე, ხეზე. არწივის ბუდე ყოფილა. არწივმა რო დეინახა ე კაცი, მივარდა შესაჭმელათ. ის იყო უნდა შეეჭამა და ზეიდგინ ბარტყები შეეხვეწენ დედამის, არა, დედა არ მოკლა მა კაცი, მაგან არ იყო, გველოშაპი რო მოკლაო, ჩვენი ტერიო? არწივი მიხვთა ყოლიფერს, მეიაზრა და ფთა დოუჩთილა ამ კაცს, მზე ადგა ზეთე. რო გამეეღვინძა, მეელაპარაკა არწივს, რომე ზედა ქოყანაში ამიყვანე, მეტი არაფელი მინდა შენიო, თუ სიკეთეს მიზამო. არწივმა შოუკვეთა დიდი ხარი, თორმეტი უღელი კამეჩი, დაკალიო და ზრუგზე დამადევიო.

ამასობაში ხენწიფე გამწარებული ნაძებარა ამ ბიჭს, უძებნიენ ყველას ლიშანს, მარა ვერ ნახულობენ. რავარცხა იყო, მოძებნენ ე ბიჭი და მოუყვანეს ხენწიფეს. რა გინდა, რას მთხოვო, უთხრა და, რაც არწივმა შოუკვეთა, იგი თხოვა. შოუსრულა ხენწიფემ ყოლიფერი, ისე ყოლიფერი შენ შეგისრულდეს, ჩემო ბიძიე.

გასწიენ ზედა ქოყანაში. რამდენჯერ პირს გააღებს ე არწივი და იმდენჯერ ხორცის ნაჭერს აწვტის ე ბიჭი. ქი არ დააკტა ამ ბიჭს ხორცი? არადა ერცახე უკლია ასვლას. შეიჭრა თავის ტანზე და მიაწოდა. ქი არ ესიამოვნა ამ არწივს? რო ევიდენ, ქე ოუხსნა ამ ბიჭმა. ჩემი ხორცი იყოვო. მოუსვა ფთა და გოუმთელა იმინუჩი.

ბიჭს თან ქონდა ცოლის მუზიკა და კურდღელი, ქალის ოთახში რო ეიღო. რა ქნას ამ ბიჭმა და დოუდგა ერთ ჰედელს მოჯამაგირეთ. ცოლმა გუმანი ეიღო, ჰედელთან რო იყო, და მევიდა, თხოვა, რომეო იმისანე მუზიკა-კურდღელი გამიკეთე, მუზიკის ხმაზე კურდღელი ლეკურბუქნას უვლიდესო. რა ქნას ახლა ჰედელმა, ჩავარდა საგონებელში. რა

გაწუხეფსო, უთხრა მოჯამაგირემ, გამიბზადე ერი ტომარი თხილი, ერი მალატოკი და ჩამკეტე ცალკე ოთახშიო, შენ ნუ ჯავროფო! ამტვრევს ე ბიჭი მალატოკით თხილს და ქე შეექცევა გემოზე. დილას გამოუტანა, რაც შეპირდა და მჭედელმა ქე გოუგზავნა ი ქალს. ამ ქალმა ნანდვილათ დაადასტურა, ჩემი ქმარი ყოფილაო და ქე დეიბარა და შეერთდენ ისევლე.

200

იყო ორი ობლები. ცხოვრობდენ ერთქმანეთს გვერდზენ. ერც ქვიოდა პეტრიე, მოორეს გოგიე. პეტრიას უფრო ადრე მოუკვტა მამამისი. გოგიი უფრო საწყალი ბალანე იყო, პეტრიი კი ქლათ ეშმაკის ფეხი.

სამ-სამი ცხვარი ყავდა თითოს... თქვენ: მოდი, გავყიდოთო!

იარენ, იარენ, იარენ და კაი ძალი გზაი გეიარენ. ამ დროს შემოხვთა წინ ერი კაცი.

- ჩემი ბიძიი, ცხვრებს თუ იყიდიო,—უთხრენ.

— რა ღირსო!—პეტრიამ, რომელიცახე ოხერი ადამიერი იყო, თლა სასტაული დოუფასა.—უიმეო—იყვირა ი კაცმა: კაპიკის მოცემის ღირისი არც ხარო... პეტრიამ დოუწია, დოუწია და, რავაც იქნა, შეწორდენ. ამეიღო ფარა ი კაცმა და ჩოუჩხრიალა ბოქშებს. გამუართჟენ ე ფული აგენმა და გოუდგენ გზას. ფშვენიერი დღეი იყო, მარა უცფათ შეიცვალა ამიდი და კუპრივით შავი ღურბელი გარმეირეკა. მალე შენ ტერს, ინისანა წუპა წამევიდა. ახლა რას იქუმენ ბოქშები? არცერც არ ახურიენ ქუდი თავზენ. გოგიამ უთხრა პეტრიას:—ვიბრინოთო!—კაიო—და გაცხენ, მარა რა გაცხენ...

რალა ბეჟრი გავაგრძელოთუ და მიაწიენ მოორე სოფელს. რო შეგეხედა მაგენზენ, თლა გაზუნზული მევიდოდენ. ვაი ამისანას ახლა! დეინახენ ერთი ნადუქნარი და შეძვრენ იქინეი. პეტრიამ თქვა: მოდი და რომელიც მეტ ტყულს იტყვის, იმას დოულოცოთ ე ფულიო.—კაიო!.. დეიწყო პეტრიემ: უკულმართია მამაჩემიო, დიდი და შეძლებული ყაზახი იყოო. ამ გზას რო დაადგებოდი და ტყიწყენ მიცემდი პირსო. იმის იქით დიდი მთაი გამოშთებოდაო. იქინეი, წვერზენ, დიდი ველიაო. იქინეი თხები ყავდა მამაჩემს ხუთასი ათასიო. ყოველ საღამოობით წველიდა ქალები თხებს, მარა რძის ჩამოტანა არ გინდაო?! ბოლოს გოუკეთა მამაჩემა დიდი ღარი და რაც რძეი იყო, ყველე მითინ ჩამოდიოდა ქვეითო! ერ დღეს გეღი გარმოვარდნილიყო ზეთენ (ღარზენ) და პრიკი-პრიკიმალით ჩამოსოსიალებულიყო და უშველებელ მიყუდებულ ქვაბში ჩავარდნილიყოვო. ეგი ვინ იცოდა ჯერამ. მამაჩემს ტილიფონით დოუძახებია ზეიდან: ყველი ამეიყვანოწყენო... დოუწყიენ ქალებს ყველის ამოყვანა. გაკეთდა ყველი მარა—ე ნადუქნარი როა, ამხელა ქე იქნებოდაო (ყოველ საღამოს ამხელა იყოვო)...

მოორე დღეს, ჭამას რო შოუდგენო, გარშოვარდნილიყო ე გელი და ყველე გადეეყლაპაო!.. აი ეგია ჩემი ტყუილიო, დაამთავრა პეტრიამ.

ახლა გოგიამ დეიწყო.

— მაგი რაია,—თქვა ამ ბაღანამ. — მამაჩემს ყავდა ათასი ბუკი სკაი. ყველ საღამოს, შამოფრენის დროს მამაჩემი ითვლიდა—აპა, ხვარ მაკლიაო. ერ საღამოს ორი ფუტკარი დააკლდა სათვალავში. ადგა და საძებნელათ წამევიდა მამაჩემი. ქე შამყათენდა ამ ძებნაში. დეინახა: ერ კაცს გოუბამს უღელში ფუტკრები და ახჩევიებს. მამაჩემი მივარდა და გამოსხნა უღლიდან იგენი და წამეუყვანა... მარა რას შეხედავს თვალები: ერთს კისერი აქ ამოღლეტილი ნაუღლარზე. წამალი გოუკითხავს მამაჩემს. უთქვამენ: ნიგოზი მოხრაკე ზეთში და ამოჰძულში ჩოუდევიო. ასე უქნია. მარა ორ დღეში კისრიდგან უზარმაზარი ნიგოზი ამოსულა, ხეი! დაღოღიალობს ფუტკარი აქი-იქით და დაარონიეფს ამ შტოებიან ნიგზის ხეს. მარა ხეიზა რო ათ კაცს შამოგერტყა კლავები, ვერ შამოაცვთენდიო...

ერ დღეს ყვავი ჩამოჟდა შტოზენ. გოუქნია მამაჩემა ბელტი და უცფათ დიდი სახნავ-სათესი მიდორი გაშთა ზეთენ. ევედით ყველე ზეით და დევიწყეთ ხნაი და თესვა. ამ დროს ერი კურდღელი გამუვარდა ამ მიდვრიდან და მამაჩემა თოხი მოუქნია. მოხვთა მუცელზენ და გეექრა. იქიდან გარმუარდა ქახალდი. რაცხა საინტერესო ეწერაო.

—რა ეწერა მერე შითო?-- დაინტერესთა პეტრიი. რა ეწერა და „გოგიას მოგება და ფული, პეტრიას ტყული და ...".

## 201

ერთი ხემწიფე იყო და მოსამართლეც ქე იყო თვითან. ერთხელ ლაქიეფს უთხრა: „მიშონეთ იმისანა კაცი ჩემ სახემწიფოში, რო სამართალი გაარჩიოსო". იგენმა უთხრა: „ასე მალე შენ სახემწიფოს ვერ მევივლითო, ერთი წლის დროი მოგვეციო".

გოუშვა ხემწიფემ ორი კაცი. ნასტავლებმა ყველემ ვარი უთხრაყენ ლაქიეფს: „კაცი, ი ხემწიფე თვითონაა მოსამართლე და ეგებო არ მეჭწონოს ჩვენი გარჩოული სამართალიო". ვერ იშონეს ვერევინ. წლისთავზე დაბრუნდენ და მოდილარიენ. ხემწიფეს უნდა უთხრან, რო კაცი არ ალიო. მოდილარიენ და ერ ადგილზე ბოფშია. იცნო ამ ბოფშმა, რომ იგენი რას ეძებენ. ე ბოფში ათი-თორმეტი წლისაა და მარტვეა სახში. მეუხვიენ ამ კაცებმა და კითხეს: „სადაა მამაშენიო?" „მამაჩემი ჩხუფში არიო". თურმე მამამისი მაჩხუბარი, ხელტორიანი, უშველებელი კაძახი ყოფილა. ერთი ვერ მივა სატაკებლათ, „მამაჩემი ჩხუფშიაო. მერე ორასი საჟენი ლობე უნდა გაარღვიოს და ჩამეიკაროს სხვისი არდგილიო. ქეც გაარღვევს, ქეც გააკარეფს დღესო. ერთი ვერევინ ვერ ეერევაო, თუ სამი და ორთხი არ წამოვლიენ საჩხუბრათო". „დედაშენიო?"

„დედაჩემი ოქროს ჭრისო, ვისაც მამაჩემი ეჩხუბება, იქინე მიდის დედაჩემი და ეუნება: მაგი ვირი კაძახიაო".

ამ ბოფშმა უთხრაყენ: „ქე ვიცი, რასაც ეძეფთ, მარა ხემწიფე მოსამართლეს ვერ იშონისო, რო არ მეეწონოს სამართალი, ხო დეილუპა მერეო. ღვინოს დაგალევიებყენ, მარა არა აქ მამაჩემსო. ჭადს გაჭმევენო". წევიდა ბიჭმა, იშონა ერთი ბოთლი ღვინო, მეიტანა და დააჯინაყენ იგენი. „დედეჲ იგენის დამშვიდებას უნდა და მამაჩემი სულ ჩხუფშიაო. თქვენ დალიეთ ღვინო და წადითო, მარა რო მიდიხართ გზაზეო, ერთ ალაგას ტყეი შექხვთებათ გასარებიო. თავარი ტყეია და ი ტყის სიახლოვეს რო მიხვალთ, გეტყვიან, რო ი ტყეში არ შეხვიდეთ, თვარა გლეხი შეგჭამთო" ბოფშმა დოუბარაყენ: „საღამოს რო ძიხვიდეთ ტყეში, უდროვო დროს, გლები შეგჭამსყენ. სამართალს ძაან გოურჩევყენ, მარა ჩემთან არ მოხვიდეთო".

საღამოს მოუწიენ ი ტყის სიახლოვეს და უთხრენ ერთქამეთს, რომეო „ვიაროთ ამ ტყეში, თუ დაგვიღამდება, ტყეში ვიქნეთო". იარენ, იარენ და ეირჩიენ ხე იმისანა, რო დეინთენ ცეცხლი ი ხის ძირში, რო შეიქნა მაღალი ვახშმობა, აზმულდენ გლები. იგენმა ხეზე შევიდენ. ბზის ამოსვლამდი გლები არ წევიდენ. ერთქამეთს უყურებენ. ბზეი რო ამევიდა, წევიდენ და მივიდენ ხემწიფესან. უთხრეს ხემწიფეს, რომეო „სუყველამ ვარი გვითხრაო. ერთ არდგილზე ვნახეთო ამისანა მაგალითი, მარა დაგვითაუაო. ი ბოჲში მეცარია, გამოდგება, მარა ჩვენ იქინე ვერ მივალთ.ო, არ წამოგვყობაო, დაგვითხუა იმანო". „მიდით, მიდითო". დააბრუნა ამ ხემწიფემ ე კაცები ისევლე. დედ-მამაც დახვთა. „არ დაგიბარეყენ, რო ჩემთან არ მოხვიდეთო?", — უთხრაყენ ი ბოფშმა, — „თუ ჩემ სიტყვას გეიგონეფს იგი და მე რო გეტყვიყენ, ი სიტყვას აასრულეფს, მოვალო. მე იმას ვთხოვ, რომელ ორვე თვალები მომთხაროს, მაჭვინ წამოვალო; აქანე უნდა მომთხაროსო".

(ეგი ტყული არაა, მართალია. ადამ და ევა რო გაჩენილა, გო, რამდონი ხანია, მარა ვინაა მისი მრთქმელი).

ე ბოფში მოორე სახელმწიფოშია. წევიდენ ეგენი და უთხრენ ი ხემწიფეს: „თუ ორივე თვალეფს მომთხრი, წამოვალო". „შეპირდიყენ, რო მოვთხრი, მარა აქანე მომიყვანეო".

წამევიდენ. შევიდენ და უთხრენ: „აქანე მომიყვანეო". „წამუალო". დედ-მამას უთხრა: „თუ მომთხარა თვალები, იქინე ვიქნები, თვარა ქე წამუალო. დედ-მამა დაყუჩებულია.

მივიდა ე ყმარწვილი. „ხემწიფეო, მომთხრი თვალეფს, სამართალს გაგირჩევ, არ მომთხრი, ქე წავალო. თვალი ბოროტია. თვალში რო გამევიხედო, შევხედავ ვინცხას და შენც ქე წახთები და მეც ქე წავხთები. გონებით გაგირჩევ სამართალსო".

ხემწიფემ მოთხარა ორივე თვალები და დააჯინა. მეცარია და უბზერს. შევიდა მომჩივანი. ურჩევს სამართალს. ჩამუართმევს ქახალთს ხელში: „ეგი ტყული საჩივარია, ტყულს ნუ ჩივითო“. მართალი საჩივარი რემელიც იყო, ურჩევს.

გევიდა წელიწადი. გეირთქვა სახელი: „იმ ხემწიფეს მეცარი ყავსო“. გეირთქვა სახელი და ამ სახელით შემჯდარა მაცხოვარი ჯორზე და მოდის. შევიდა მოსამართლის სიახლოვეს და უთხრა ხემწიფეს იმ მეცარმა: „ერთი ჯორიანი კაცი მოდის და ამან ღამე გაათიოს გარე. სახ'ში არ შამეიყვანო, 'მისი ჯორიანა გარე იყოს, თვარა წაგახთენსო“.

ჩამუუარა ჯორით ქალს. ქალი ძროხას წველის. ხფოი გამეეკიდა ჯორს. „მეიცადე, მეიცადე“, — დეიყვირა ქალმა — „ჩემი ძროხის 'შვილიაო“? „არაო“, — უთხრა მაცხოვარმა, — „ეს ჩემი ჯორის 'შვილიაო“. „აპა, აგერაა მოსამართლე და სამართალს გაგირჩევს იგიო“.

გამეეკიდა ი ქალი და ორივემ შევიდენ მოსამართლის ბინაზე. შევიდა ე ქალი და უთხრა: „ჯორის პატრონმა ხფოი წამართვა და სამართალი გამირჩიეო“. „წადი, დედაკაცო, და დილას გაგირჩევ სამართალსო. ახლა აღარ არი დროიო“. გოუშვა ე ქალი სახ'ში. ამ კაცს დაალამდა. ხემწიფეს უთხრა: „ღამე გამათევიეო, ბურული მომეცი ერთიო“. „ხი ძირში ვეითიე ღამეო, მე ვერ მოგიკარეფო“.

ამ ჯორიანმა კაცმა გეითია ხი ძირში ღამე. გათენდა და შევიდა ხფოის პატრონმა. უთხრა მოსამართლეს: „აპა, გამირჩიე სამართალი“. „წადი, ვისაც ჩივი, მომიყვანე, მე გაგირჩევ სამართალსო“. მეიყვანა. ადგა ე თვალდაფსებული მოსამართლე და ფეხზე დგანა. „ამისანა იქნებაო? ღამე აი გამათევია ი შენმა ხაზეინმაო“, — უთხრა ჯორიანმა. „შენისანა კაცს არ გაგათევიეფს ღამეს და სხვას კიო. წადი ახლა. 'შენ კაცი ხარ, თუ ლანდი ხარ, შენთვის მცალია სალაპარიკოთო?“ „რატოო?“ „რატო და ზღვიდან ამოსულა თებზები და ხმელეთი მოულექიათო, იქინე მივალ, თებზები უნდა ჩავყარო ზღვა'ში, თვარა ხმელეთს ეიღეფს თებზებიო“. „ოხო, ეს არ გამიგონიაო“, — უთხრა ჯორიანმა. „არც ის გამიგონია, რო ჯორს ხფოი მეეგოსო, — ამას უპასუხა მოსამართლემ, — 'შენ დიდი კაცი ხარ, ვიცი, მარა არ ვილაპარაკეფ შენსკენ რამესო“.

წევიდა მოსამართლემ. თებზები უნდა ჩარეკოს. „მეიცა, კაცო, მეიცა, 'შენ კაი მოსამართლე ყოფილხარო“. ოუსვა ხელი და ორივე თვალები ეეხილა.

ხემწიფეს უთხრა ამ მეცარმა: „ხემწიფე, ხო ხედავ, თვალახელილი ვარ და ქე მივდივარ სახ'ში. ახლა კიდო 'შევითხაროო?“.

„არა, შვილო, არა! მაგიც კაი კაცი ყოფილაო, — უთხრა ხემწიფემ, — სახემწიფო 'შენთვის დამითფიაო; ხემწიფეც იყავი და მოსამართლობაც 'შენ გააოჩიეო“.

დაჯდა ე ბოფში. დედეც იქინე მეიყვანა. მამეც იქინე მეიყვანა და ჩხუფს დააცილა.

(რამდენი ვიცოდი, რამდონი, მარა ეს გამახსენდა; ჩიტის ენა მქონდა, გო! ახლა ძოოი ვარ მე. ძორი ხალთეია. გლახა ყოფილა სიბერე!).

# გ უ რ უ ლ ი

202

იყო ერთი დედინაცვალი და გერი. დედინაცვალი გაატანდა ძროხას გერს და დილიდან საღამომდი აბალახებიებდა; კიდომ გაატანდა ერ ჩერიია მატყლს და ეტყოდა: აი ჩერიე მატყლი შემისტი და ძროხა გამძღარი მეიყვანეო, თუარა სახმი არ მოგიმოფო. დედინაცვალს ყავდა მისი კვიდრი შვილი, ქალიშვილი. იმას აპატიებდა; არც საწყესავში უმობდა და არც აფერს აკეთებიებდა. ერი სიტყვით, აფერს არ უსაქმებდა. მისი შვილი გლახა შეხედული იყო, ულამაზო. გერი მზისუნახავს გავდა, იმფერი ლამაზი იყო. გერს ქვიოდა ეთერი. ერ დღეს ამ გერს ტიებნა ძროხა და ვერ ნახა. ჩერიე ქე აქ გაფსებული, მარა ძროხა დაკარგა. დარბის საძებრათ ეთერი, შეხთა ერთი მალაზონი. მალაზონმა კითხა:

— რეიზა დარბიხარო?

— ძროხა დამებნა და იმიზა დავრბივარ, ბებიაო, — უთხრა ეთერმა.

— ძროხას გასტავლი.— უთხრა მალაზონმა,— მარა ჯამსაინი დამინტრიე. სახს ნაკელი მომიყარე და თავში ჩამიკაკუნეო. — მივიდა ეთერმა, დუუხვეტა სახლი, დუურეცხა საინები და თმაი დუუპწნა. მალაზონმა ასტავლა, სა იყო მისი ძროხა. უთხრა: — შენი ძროხა ეგერ ბალახოფსო. კაი ხარ და კაი დაგმართოს ღმერთმაო. იი ძროხა, რო ბალახოფს, იქინე ორი წყალია: შავი და თეთრი. შავი წყალი გადისხი თმაზე და თეთრი წყალით პირი დეიბანე. — წევიდა ეთერმა წყალზე, შავი წყალი თმაზე გადირო, თეთრი წყალით პირი დეიბანა. დიემზგავსა ქლათ მზისუნახავს. სახმი რომ მივიდა, ქლა გადირია დედინაცვალი, მუუვიდა კუპი. რეღეიზა შეიქნა ჩემი გერი ამფერი კაი და ჩემი ქალიშვილი კი გლახააო. გადაწყვიტა დედინაცვალმა, რომ ძროხა საბალახოთ მისი ულამაზო გოგოიზა გეეტანებია, იქნება ასთე კაი შეიქნესო. გამუუცხო დიდი ხაჭაპური თავის ქალიშვილს. სხუა ბეჟრი საჭმელებიც გაატანა და გუუშვა. მასან ჩერიეც გაატანა. მარა ამ გოგომ ჩერიე დაკარქა და ძროხა მშიერი მეიყვანა. მაშვინ ქლათ გასკტა გულზე დედინაცვალი. ხედავს, რომ მისი გოგო ქლათ გლახთება. გერი კი თანდათან კეთთება. მიორე დღეს თავის ქალიშვილს კიდომ გაატანა ძროხა საბალახოთ. მარა ქე დიეკარქა ძროხა. დუუწყო ძებნა. გზაზე შეხთა იი მალაზონი. კითხა:

— რა გინდა, ბებია, რეიზა დარბიხარო?

— რეიზა და ძროხა დემებნაო. — დედაბერმა უთხრა:

— ჯამსაინი დამინტრიე, სახში ნაკელი მომიყარე, თავში ჩამირახუნეო. — წევიდა ამ გლახა გოგომ, შეიტანა ერი ვარცხლი ნაკელი და დუუყარა სახშო. ჯამსაინიც, თუკი სამე იყო, მის ბარაზე მუუყარა თავი და დაარტყა კეტი და სულ დაანტვრია. შეიტანა სარი კიდომ და სთუთქა თავში დედაბერს.

— შენ, ბებია, — უთხრა მალაზონმა — ავი ხარ და ავათ იარა შენმა თავმაო. შენი ძროხა ეგერაა, იქინეი. იქინე კიდომ ორი წყალია: შავი და თეთრი; შავით პირი დეიბანე და თეთრი თავზე დეისხიო! — მართლაც, ასთე ქნა ამ გოგომ. იმისანა შენ ტერს, საშიშრათ მეიქცა იგი. რომ დეინახა მისმა დედამ, შამუუდა გულზე, გადირია ქლათ. გადაწყვიტა ძროხის დაკლა დედინაცვალმა, რადგან ძროხა ეთერის იყო — ბუდუამისმა აჩუქა. დეიწყო ეთერმა ტირილი: ნუ დამიკლავთ ძროხასო. მარა არ გუუდა აფერი. მერე ეთერმა წევიდა ბუდუამისან და უთხრა:

— რა ვქნა, ასე მიშობა დედინაცვალი და რავა მევიქცეო? — ბუდუამისმა უთხრა:

— რომ დაკლას ძროხა, თავი, ფეხები, კუდი და ტყავი გამუართვი და სხუაი, იმ გასატკლეცმა შეჭამოსო. — დაბრუნდა ეთერი სახში. დედინაცვალმა კითხა:

— რა გითხრა ბუდუაშენმაო?

— რა მითხრა და თავი, ფეხები, ტყავი და კუდი მომიტანე და სხუაი ქე ჭხმეთო, — უთხრა ეთერმა.

დაკლენ ძროხა. ტყავი, ფეხები, თავი და კუდი მუუტანა ბუდუამის ეთერმა. წეიღო ბუდუამისმა აი ყორიფელი, მოთხარა ერ ადგილას მიწა და ჩამარხა შით. სამ დღეს მერე მოდიო, უთხრა ბუდუამისმა ეთერს. მიორე დღეი კალანდა იყო. გამუაწყო დედინაცვალმა კარქ ტანისამოსში მისი ქალიშვილი და წეიყვანა სახტარზე, ეთერის დუუბარა: ერი ჩამური კურცხალი დამახვეღრე და სადილი გამზადებულიო. სასადილო ლომი მუუყარა მიწაზე და უნდა მიეხიკა ეთერს. ყორიფელი აი რომ არ გეეკეთებია, სახში ვერ დახთებოდა დედინაცვალს.

დაჯდა, დეიწყო ტირილი ეთერმა, რა ქნას, არ იცის, რაფერ იშოვნოს ერი ჩამური კურცხალი ან რაფერ ახიკოს აი დაყრილი ლომი! ამ დროს მევიდა ბუდუამისი და კითხა:

— რა გატირეფს, ცავო?

— რავა რა მატირეფს, ასე და ასეა ჩემი საქმეო, — უთხრა ეთერმა. ბუდუამისმა უთხრა ეთერის:

— ნუ გეშინია შენო! — აადუღა ქვაბი წყალი, ჩაყარა მარილი და ჩაასხა ჩამურში, გააფსო. სახლი გამოხვეტა, გადაყარა იი ლომი და ახალი შეიტანა მისი შინიდან. გაამზადენ სადილი და უთხრა ბუდუამ თავის მონათლულს:

— წამოი ახლა ჩემსას, — და შეიყვანა შინ. მიკიდა იმ არდგილას,

საცხა ძროხის თავი, ფეხები, ტყავი და კუდი იყო დამარხული. მოთხარენ, ტყავი გადაქცეულიყო ოქროს კაბათ, თავი — ქუდათ, ფეხები ოქროს ტუფლებათ, კუდი — ოქროს თმათ. ჩააცჳა ყორიფელი აი ბუდუამ თავის მონათლულს, გაატანა ერი პლატუკი ოქრო და ერი პლატუკი ნაცარი და უთხრა:

— წაი ეკლესიაში, წირვა რომ გამევიდეს, ხალხს გადააყარე აი ერთი პლატუკი ოქრო, შენ დედინაცვალს აი ნაცარი ცხვირპირში შიაყარეო.

წევიდა სახტარზე ეთერმა და მეიქცა ისთე, რაფერც დუუბარა ბუდუამისმა....

სხუაი ხეკს ოქროს და მისი დედინაცვალი ირკჯს ნაცარს: გამეიქცა ეთერმა სახში, უნდა მუასტროს დედინაცვალს, თუარა ასე ოქროს ქსოულში რომ დეინახოს, მოკლავს. მორბის გზაზე ეთერი. ერთი წყალი აქ გასავალი. ხიდეზე რომ შედგა, ქე წაძვრა ცალი ტუფლი ფეხზე. წეიღო წყალმა და მიადუა ჩხრენგებზე. მარა ეთერის მისი ამოღების დროი არ აქ: მუუსროფს დედინაცვალი. მიატია იგი იქინე, და გეიქცა ბუდუამისან. ჩამარხა მისი ოქროს ტანისამოსი იქინე, საიდანაც ამეიღო და მივიდა სახში. დაჯდა ისე საწყლათ ცეხლი პირში. მევიდენ დედინაცვალი და მისი შემადგენლობა, დაჯდენ სადილზე და ლაპარაკობენ: დღეს ეკლესიაში რა კაი ქალი შამევიდაო. ნამდვილათ ხენწიფის მზისუნახავი იყოვო. ეთერი ყუროფს ამას ყორიფელს. ეთერის ერთი ყუ̂ავი ყავდა, მისი გაზდილი, ნამეტარი უყვარდა და სულ მასან იყო იი ყუ̂ავი. ხენწიფის შვილი ვეზირებით წამოსულიყო სანადიროთ, გამეიარენ იმ გზაზე, საცხა ეთერის ტუფლი წაძვრა. გეიხედენ და დეინახეს, წყალი ერ ადგილას ოქროს ტუფლს ატრიალეფს, ამეიღეს აი ტუფლი და დუუწყეს შინჯვა. დაფიქრდა ხენწიფის შვილი: ვისი უნდა ყოფილიყო აი ტუფლი. გასცა ბძანება, რომ იმ გუბერნიაში ყველეიხა გეეშინჯენ ფეხები და გამიერკვიენ, თუ ვის მიერგებოდა ტუფლი. ვისაც მიერგებოდა აი ტუფლი, უნდა მიეყვანენ ხენწიფესან, სულ რომ გომაიე ყოფილიყო. გევიდა აი ხმაი იმ სოფელში, საცხა ეთერი ცხოვრობდა. დედინაცვალმა იფიქრა: ჩემსას მოვლენ, ეთერის ნახავენ, არ დევიღუპო არ მიეწონონ, ან ფეხზე არ მიერგოს ტუფლიო. ამიზა გადაწყვიტა, დედინაცვალმა, ეთერი ძაროში დიემწყვტია და არ გამეეჩინა. დედინაცვალი იმის ცთაში იყო, იქნება მისი ქალიშვილი მოწონებოდენ_ან ის ოქროს ტუფლი მორგებოდა. ეთერის დედინაცვალმა წუუსვა პირზე ნახშირი და ახორში ძარომი დაანწყტია.. ყუ̂ავმა მივიდა და დაჯდა ძაროს თავზე. მევიდენ ვეზირები. გუუშინჯენ ფეხი დედინაცვლის ქალიშვილს, მარა ჭოჭი არ ჩუუდა შით. მოსდის კუჭი დედინაცვალს, რა ქნას. წასლას რომ აპირობენ ვეზირები, ამ დროს გადმოფრინდება ყუ̂ავი ძაროდან და იძახის: ყუა! ახორშიო, ძაროშიო. გალახავს დედინაცვალი ყუ̂ავს, მარა ყუავი მაინც იძახის: ახორშიო, ძაროშიო. ვეზირებმა თქჳენ: რაი უნდა ამ ყუ̂ავს, რეიზა იძახის

ახორში, ძაროშიო!? შევიდა ვეზირებმა ახორში და ნახენ ძაროში დანწყტოული ქალი, ნახშირწასობილი. მუარგენ ფეხზე ტუფლი, დუურჩა მშვენიერათ, რადგან მისი იყო ტუფლი. გამეიყვანენ ეთერი ახორიდან. ეთერმა თქჳა: ამისანე ქე მაქ კიდომ ამა და ამ სალაკეო. წეიყვანა ვეზირები, საცხა ოქროს ტანისამოსები ქონდა შენახული, გამიეჭყო კარქათ, დეიბანა პირი თეთრი წყალით, გადეირო თავზე შავი წყალი და გადიქცა მზეთუნახავათ. წეიყვანენ ხენწიფესან სასახლეში ეთერი. გადირია კუჰით დედინაცვალი, რა ექნა არ იცოდა! დეიჰირა ჯჳავი და გახლიჩა შუაზე. ხენწიფის შვილმა შეირთო ეთერი ცოლათ.

იგი იყო ჰირში, ჩვენ ვიყავით ლხინში.

## 203

იყო ერთი პატარე და დიდი გოგიე. პატარე გოგიას ჰხავდა ერთი ცხენი. დიდი გოგიას ჰხავდა შვიდი ცხენი, მარა შვიდჳე გლახა იყო. პატარე გოგიეს ცხენი კაი ცხენი იყო. პატარე გოგიე რომ საჩე წევიდოდა, გზაში კითხავდა ყველე:

— ვისია, გოგია. მაი ცხენიო?

— ვისია და ჩემიო, — მუუგებდა პატარე გოგიე.

მივიდოჯენ დიდ გოგიასან და ახელებდენ: პატარე გოგიას კაი ცხენი ჰხავსო, შენ კი შვიდი გყავსო და არც ერთი არ ვარგაო. ადგა დიდმა გოგიამ, მივიდა პატარე გოგიასან და უთხრა:

— ვინც შეგეკითხოს, მაი ცხენი ვისიაო, უთხარი, დიდი გოგიესაა თქვა, თჳარა მაგ ცხენს მოგიკლავო. — წევიდა საცხა კიდომ პატარა გოგიამ, გზაზე შეხთა ერთი კაცი და კითხა:

— ვისია მაი ცხენიო?

— ვისია და ჩემიო, — უპასუხა პატარე გოგიამ.

აი რომ გეიგო დიდმა გოგიამ, მივიდა და მუუკლა ცხენი პატარე გოგიას. პატარე გოგიამ გახადა ცხენს ტყავი, მეიკიდა ზრუგში და გუუდგა გზას. მივიდა ერ ხენწიფის სასახლეში და კიდეც დაღამდა. თხუა ხენწიფე'ს ღამის გათევა. გაათევია ხენწიფემ. დაჟდენ ვახშამზე. პატარე გოგიამ ააფხაკუნა ჯოხი ტყავზე. ხენწიფემ კითხა პატარე გოგიას:

— რაია, კაცო, იგი რომ ფხაკუროფსო? — პატარე გოგიამ უთხრა:

— შენ ცოლს შკაფში ხაჰაპურები აქ დამალული და გამეიტანოს, თჳარა არ დაგაძინეფს ამეღამო. — კიდომ გააფხაკუნა გოგიამ. ხენწიფემ კითხა:

— რაია, კაცო, იგი რომ ფხაკუროფსო?

— რაიო და შენ ცოლს საყვარელი ჰხავს სახში დანწყტოული და გამუუშვი, თჳარა ცოდვაა, დეიხრჩობაო. ხენწიფემ უთხრა:

— მაი კაი ჰკუიანი ტყავი ქონებია (sic) და მომყიდეო.

— კი მოგყიდიო, — უთხრა პატარე გოგიამ.

— რავა მომყიდიო? — უთხრა ხენწიფემ.

— რვა ტუმარა ოქროთო, — უთხრა გოგიამ.

მისცა ხენწიფემ გოგიას რვა ტუმარე ოქრო და დუუტია იი ტყავი გოგიამ ხენწიფეს, თვითონ წევიდა სახში. მივიდა დიდ გოგიასან და უთხრა:

— კი მომიკალი ცხენი, მარა, აი რვაი ტუმარე ოქრო მევიტანეო.

მივიდა დიდმა გოგიამ, შვიდჲე ცხენები მოკლა და გააძრო ტყავი. წეიღო გასაყიდათ; ეიღო ათ-ათი შაური, მეტი არავინმა არ მიცა. დაბრუნდა შინ გოგიამ გაკუჭებული. მივიდა პატარე გოგიასან და უთხრა:

— რავა მომატყუე შენო, — და ქი დუუწვა სახლი პატარა გოგიას. ჩაყარა იაშიკში ნახშირი პატარე გოგიამ და წეიღო ერ ხენწიფისას. დატია იაშიკი იქინე და მიაკითხა მიორე დღეს. უუტეხა ყინყლი ხენწიფეს: ვინ ჩაყარა აი ნახშირი ამ იაშიკში; ნახშირი კ, არა, ხუთი ფუთი ოქრო მქონდაო. მისცა ხენწიფემ ოქრო და წევიდა პატარე გოგიე სახში. დიდ გოგიას უთხრა:

— კი დამიწვი სახლი, მარა ხუთი ფუთი ოქრო ევიღე ნახშირშიო.

ადგა და დაწჲა მისი სახლი დიდმა გოგიამ. ჩაყარა იაშიკში და დეიწყო ყვირილი: ნახშირს ოქროზე ვცლიო. ყველამ გადარეული დოუძახა დიდ გოგიას. დაბრუნდა დიდი გოგიე სახში გაკუჭებული და უთხრა პატარე გოგიას:

— რა მიქენი მენ, სახლი რომ დამაწჲიე და გამაბრიყვეო. — დიდმა გოგიამ დააბა ჯაჭვი პატარე გოგიას და დააბა შარაზე. თითონ წევიდა ტყეში წკნელის მოსაჭარათ. პატარე გოგიამ დეიწყო ტირილი. გამეიარა მეცხვარემ და კითხა, რა გატირეფსო? პატარე გოგიამ უთხრა: ხენწიფეთ მნიძნავენ და არ მინდა, იმიზა ვტირიო. მეცხვარემ უთხრა: მოი, მე დევემბები მაქანე და მე დამნიშნონ ხენწიფეთო. შენ ამ ცხვარს გაჩუქეფო. მარლაც ასთე ქნა პატარა გოგიამ. დაამბა იი მეცხვარე იქინე ჯაჭვით და დატია, თვითან გამორეკა აი ცხვარის ჯოგი სახში. მევიდა დიდი გოგიე, ეიყვანა აი მეცხვარე და დაანწყვტია ძაროში, პატარე გოგიე ეგონა. მერე ეიყვანა ძაროიანათ, მიიყვანა წყლის პირში და თქჲა: შენ დააქციე ჩემი ოჯახი, მარა არც შენ დაგაყენეფ კას დღესო და გადუძახა წყალში აი მეცხვარე. გეიარა სამი თჲეი, ჩამუარონია პატარა გოგიამ ცხვარის ჯოგი და დუუწყო ხელება დიდ გოგიას: კი გადამაგდე წყალში, მარა აი ამდენი ცხვარი ვიოვნეო. დალობა დიდმა გოგიამ ძარო, ჩაჯდა შით და გადავარდა წყალში, მარა ქე დეიხჩვა. დარჩა პატარე გოგიე და ცხოვრობდა კარქათ.

## 204

იყო ერთი მონადირე. კაი მდიდარი, შეძლებული. შვილი არ გუუჩთა ამ მონადირეს მუაქ ბლომათ ნადირები. სტუმრები ხშირათ ყავს, დღეი ნადიროფს, ღამე ქეიფობენ. დაწჲა აი მონადირე ერ ღამეს და დიე-

სიზმა მას, ვითამ ყავს კაი ბიჭი ხელში და ათამაშეფს. გამიღვიძა მონადირეს და ეწყინა ნამეტარი, შვილი რომ აღარ დუურჩა ხელში. უთხრა თავის ცოლს: მე იმფერი სიზმარი ვნახე, რომ ერ საათში მოვკტები და დამასაფლავე, რივაც მე შემეფერებაო. ამ დროს კიდევაც მოკტა აი მონადირე. გათავდა იმ ღამიდან ცხრაი თუეი და ქალი მორჩა. შეეძინა ვაჟიშვილი. ქალმა დიდი ამბით მონათლა და დაათქუა ამირანი.

ბოვში შეიქნა ერი კვირის, გეგონება ერი წლის, შეიქნა ერი თვის და უჟე სტავლა დეიწყო ამირანძა. ხუთი წელი გაათავა თუ არა, საშუალო სასტავლებელი გაათავა, იმფერი ნიჭიერი გამევიდა ამირანი. ერ დღეს კითხა დედამის:

— დედა! მამაჩემი რა მოხელე იყო, მითხარიო?—დედა ჩაფიქთა, თუ უთხრა მონადირე იყო, ეშინია ამირანიც არ გახთეს მონადირე და სამე არ დამარცხთეს. მაშვინ უთხრა, რომ მამაშენი იყო მეთებზეო. ამირანმა ხელათ წევიდა, იყიდა ბადე და დეიწყო თეპზობა. ჩევიდა მდინარეში, ამოყარა ზორბათ თებზი. ერ ურმამდი დეიჭირა. მარა ერთი გამიერია დიდი, უშველებელი და უშნო თებზი. მიიტანა სახში აი თებზები. დასწმინდენ ყველე. ამ დიდი თეფს (თევზს) გამუულენ მუცლიდან ერთი ოქროს თასი, ორი ბოთლი რომ ჩავა, იმხელა.

ამ ოქროს თასში ჩაასხენ წყალი და გამორეცხენ. უცეფ თასიდან გადმოცვინდა ვერცხლის ფულები უამრავი. ჩოუშჭენ ღვინო თასში და გადმეიყარა თასიდან ოქროს ფულები, ჩოუშჭენ ოტკა შიგ, გადმეიყარა ბრილიანტები. ეხლა ძაან გუუხარდა ამირანს, რომ ამდენი ქონება შეიძინა.

წევიდა ამირანმა ბიბლიოტეკაში და წეიკითხა გაზეთი. გაზეთში წერია: „აღმოსავლეთის ხენწიფეს ყავს ერთი ბზისუნახავი ცხრა კილტულში დაკილტული. გარეშემო ჯარი უდგანა, რომ ვინმემ არ შევიდეს და არ გამეიყვანოს ბზისუნახავი. ყოველ სამ დღეში შევა ექიმი, აწონის, მეიმატა თუ მეიკლო ბზისუნახავმა ან კაცი არ ყავდეს ნახილები".— აი რომ წეიკითხა ამირანმა, თქუა მაშვინ: თუ მიშონია, მე მიშონია იი ბზისუნახავი ასეთი ოქროს თასის და ამდენი ქონების პატრონსო. ჩეიდჭა ჯიბეში ოქროს თასი, დედამის დუუბარა: მე მივდივარ და ნუ გეშინიაო, მშვიდობით დავბრუნდებიო. გასწია და წევიდა, ბევრი სიარულის შემდექ მივიდა ბზისუნახავის სასახლეში. დახარჯა რამოდენიმე ფული, რომ გიეგო, თუ ფუხარის კალამი ადის იმ ოთახადან, სადაც ბზისუნახავი ცხოვრობდა. გააკეთებია დიდი პწკალე, რომ ფუხარის კალამთან ასულიყო. მუაბა კალამს ბაწარი და ჩაყვა ღამე შით. ჩევიდა, სადაც ბზისუნახავი იყო. ბზისუნახავმა გაშტერდა, რომ დეინახა, იმისანე მოეწონა. ამირანიც გაშტერდა ბზისუნახავის სიმშვენიერით. ბზისუნახავმა შიეკითხა, რაფერ მუაწყვე ჩემთან მოსლა და ჩემი ნახულო-

ბაო? ამირანმა უთხრა: მე დამაინტერესა გაზეთმა; ასეთი, მშვენიერი რომ მგონოდი, უმფრო ადრე გინახულებდიო.

ამ დროს ამეიღო თავისი ოქროს თასი და ჩოუშვა წყალი შით. გადიქცა ვერცხლის ფულათ. მერე ჩაასხა ოტკა, გადიქცა ბრილიანტათ. ბოლოს უთხრა ბზისუნახავმა: მომყიდე აი თასიო. ამირანძა მუუგო: ფულათ გაყიდვა არ შემიძლია, ფული მე რათ მინდაო. დამაწვინე ამეღამ შენთან და მირთვი აი თასიო. ბზისუნახავმა თანახმა გუუხთა. მეორე დღეს ამირანმა წავიდა თავის სახში.

მესამე დღეს შევიდენ ექიმები და გაშინჯეს, შიატყვეს, რომ კაცი ყოფილა ბზისუნახავთან. მივიდენ ხენწიფესთან და მუახსენეს, რომ ასეთია მდგომარეობა: ერთი გირვანქა მომატებულია თქვენი ქალიშვილიო. ხენწიფემ არ დეიჯერა, გამოცვალა ექიმები და სხვა ექიმეფს დაავალა გაშინჯვა. იგინმა კი უთხრეს ხენწიფეს, რომ თქვენი შვილი გირვანქა ნახევარია მომატებულიო. გასცა ბრძანება ხენწიფემ, დააპატიმრა ყველა მცველები და ჯარისკაცები.

ბზისუნახავის შესახეფ ხენწიფემ უბძანა ჯალათეფს: გადაარონიეთ ცხრაი ფთაი, ორჟე თუალი მოსთხარეთ და მომიტანეთო, რავა შევიდა ასეთ გადასთომაშიო.

ბზისუნახავს მიაქ მისი ოქროს თასი და მიყობა ჯალათები. როცხა გადაიარენ ცხრაი ფთაი, ჯალათებმა უთხრენ:

— თვალები უნდა მოგთხაროთ და უნდა მუუტანოთ. ხენწიფესო. —

მაშვინ ბზისუნახავმა თხუა:

— მეც ადამიანი ვარ და ნუ მომთხრით თუ̂ალეფსო. დეიჭირეთ ვერული ცხვარი, მოთხარეთ თუ̂ალები და მუუტანეთ ხენწიფეს, ვითამ ჩემი თუ̂ალებიაო.

აასრულენ ბზისუნახავის თხოვნა ჯალათებმა. ბზისუნახავმა წევიდა, დეიწყო ტყე-ტყე სიარული. დღეი ბალახს ჭამს, ღამე ხეზე ადის და იქინე ათენეფს. ორსულაჲ ქეა კიდომ აი ბზისუნახავი. გეიარა რამოდენიმე დროები, დაადგა ბზისუნახავმა ერთ რომელიცხა სოფელს თავზე თან ტანზე ყოველივე ზამუაგჯა, — სულ ტიტველია. შიარჩია ერთი ღარიბი მოსახლე, მარა შიშველი რაფერ მივიდეს. წუხს ძაან; ბოლოს მონახა ოხოკუეს ფურცლები, დეიფარა იმით ტანი და მივიდა იმ ღარიბ მოსახლისას.

თხუა ღარიფს ბზისუნახავმა: მეც ადამიანი ვარ, გამათევიეთ ღამე და სამაგიერო პატივს მეც გცემო. მასინძელმა გაათევია ღამე. სამი ქალიშვილები ყავდა, მუუტანა მისი ტანისამოსი და ჩააცუ̂ენ ბზისუნახავს. საჭმელიც აჭამეს. სამი დღეი რომ გევიდა, მორჩა ბზისუნახავი, შიეძინა ვაჟი. მეიკიდა ბზისუნახავმა მასინძელი მამობილათ.

მასინძელმა მისი სამი ქალიშვილი ყველე მდიდარ კაცეფს გაატანა ბზისუნახავის საშუალებით. ბზისუნახავი აგროვებდა და აგროვებდა

აჭარებელ ოქრო-ვერცხლს თავის საშუალებით. ბოლოს მამობილს უთხრა:

— შენ წაი, მონახე ერთი ტრიალი მინდორი, რამოდენიმე დესატინა რომ იყოსო.—წევიდა მამობილმა და მონახა დიდი ტრიალი მინდორი. ააგო შენობები იქ ბზისუნახავმა, ბლომათ სასახლეები, გახსნენ სახენწიფო თავისი ჯარით და ყოველი მოწყობილობებით. შვილიც მიესრო ბზისუნახავს; დაამზადა რამოდენიმე წლებისათვის საჭირო პურის მარაგი. ნახა ერთ გაზეთში, რომ თავისი მამის სახენწიფო დამშიებულია პურისაგან. ამ ბზისუნახავმა გამუაცხადა: ვისაც უნდა პური, მე მაქ ზორბათ, მევიდეს ჩემთან და წეიღოსო.

მევიდა მთელი მილეთი ხალხი; ქალი გეიფსო ყორიფელი: გააკეთენ ოჩერეზი და მიაქვენ პური: დეინახა ბზისუნახავმა, რომ მისი მამა და ამირანი ორუ̂ე ოჩერეზშია გაჩერებული. ბზისუნახავმა უთხრა თავის შვილს: „იგი—მამაშენია, იგი—ბაბუაშენი. მიდი და უ̂უთხარი: თქუ̂ენ ოჩერეზში დგომა არ გინდათ-თქუ̂ა. მეიყვანე იგინი ჩემთან და მე რომ გითხრა, ისთე მეიქეციო“.—ბზისუნახავის შვილს ქვია ვახტანგი. წევიდა ვახტანგმა და მეიყვანა მამამისი და ბაბუამისი, შეუძღვა თავის სასტუმროში. კიდევაც კაი სადილი გუუშყვენ. აწია ამ ბზისუნახავმა ოქროს თასი, გააფსო წყლით და დადგა სტოლზე. აი თასი ამირანმა უცე იცნო. გადმუუშუ̂ენ წყალი—გადმეიარა თასიდან ვერცხლის ფულები, ჩოუშუ̂ენ ღვინო გადმოცვინდა ოქროები, ჩოუშუ̂ენ ოტკა—გადმოცვინდა მარგალიტები. ამ ამბავს ხედავს ხენწიფე და ამირანი. ხენწიფე კინალამ გადირია ამფერი საოცრებით. ხენწიფე ეუბნება მერე ბზისუნახავს:

— მომყიდე აი თასი მეო!—რა იცის, თუ ბზისუნახავი მისი შვილია. ბზისუნახავს ვახტანგი წინდაწინ ყავდა მობზადებული და ათხრობია, ფულათ არ გეიყიდებაო.

ვახტანგმა უთხრა:

— დაწევი ჩემთან ამეღამ, რავარც მე გეტყვი, ისთე დამიმორჩილდი და მაშვინ მიირთვიო.

ხენწიფეს ისთე წუუვიდა სული, დათანხმთა. მაშვინ ადგება ბზისუნახავი და ეუბნება მაამის:

— შენ იმის გულობიზა, რომ თასი მიიღო, კაცთან წობი, მე შენი შვილი ვარ, აი ჩემი ქმარი, ამირანი. შენ მე გამწირე იმიზა, რომ ამირანთან შევცთი.—ხენწიფე ძაან შერცხვენილი დარჩა. ამის შემდექ მუახთინეს ქორწილი, დაქორწილდენ ამირანი და ბზისუნახავი და დარჩენ სულ მხიარულათ.

205

ერთი ვაჭარი კაცი წამოსულა რაცხეების საყიდელათ. ძაან დიდარი ქოფილა აი კაცი თურმე, შამოსულა სოფელში და დაღამებია.

მოსულა ერთ ღარიბ კაცის ოჯახში ღამის გასათევათ. მაინძელს ერი სახლის მეტი აფერი არ ქონია. ვაჰარს უთქჟამს, ღამე' გამათე ვიევო მაინძლეფს შე'შინებიიენ და დუუძახებიენ—მობძა'დიო. ამ ოჯახში იმ ღამეს ქალი მორჩენილა თურმე და ყოლებიია გოგო. როცხა დიეძინა ყველას, ამ კაცს არ ძინავს თურმე: შიაწუხა ჭვარტლიანმა სახმა. მოსულარიენ სამი ანგელოზები. დუუწყიენ მჯელობა: აი ბოვში რა ბედის გავხადოთო. ერთს უთქჟამს: აი ბოვში გეიზარდოს და ამ ვაჰარმა ითხუოს ცრლათო. აი ვაჰარი ქე ყუროფს თურმე ამ ამბავს. მერე გამქრალა აი ანგელოზები. ამდგარა აი კაცი და ამ ბალანეზა ქე გუუსვია დანა მუცელში. უფიქრია, სანამ აი გასათხუარი შეიქნება, მე თუ მანამდი ქალი არ შევირთე, ქე დავბერდები და დევიღუპები კაციო. ახლა აი კაცი ქე გეიპარა.

დილას ბალანე უნახავენ სისხში შეცურებული. შეშინებულარიენ, მარა ვეფერი ვერ გეეგენ, რა დიემართა ამ ბალანას. ბალანე მაინც ქე გადარჩა სიკტილს. გევიდა ერთი 12—14 წელიწადი. ამ ვაჰარს ისთევლე მუუხთა ამ სოფელში გარება, თურმე შჲა დოე იყო და ნამეტარი მოწყურებოდა. დუუნახავს ერთი გოგო, რომელსაც დოქით წყალი მუაქ. დუუძახებიია: ჩემი ბიძიე, დამალევიე ერთი მაი წყალიო. აი გოგო მისულა ამ ვაჰართან და დუულევინებიია წყალი. ამ ვაჰარს რომ შუუხედავს ამ გოგოიზა, ძაან მოწონებიია. უკითხავს გჲარი და სახელი—ვისი შვილი ხარო? მერე უთხოვიია:

— თუ შეიძლება ამეღამ თქვენსას ღამის გათევაო.

— მობრძანდით, ბატონოვო,—ამ გოგოს უთქჟამს. დუუპაიჯებიია და წუუყვანიია სახში. ვაჰარმა გადაწყვიტა იმ ღამეს, აი გოგო შეირთოს. ისთე მოეწონა, რომ მეტი აღარ შეიძლება. მოალაპარიკებიია გოგოის დედ მამას და გადუწყვეტიენ საქმე და შუურთავს ცოლათ. ერ დღეს ქე უნახავს ამ ვაჰარს აი განაჰარი მუცელი და უკითხავს:

— რაია აი, რა დაგემართაო? – ამ ქალს უთქჟამს ყორიფელი, რაც გადახთენიია, რომ ჩვენსას ერ ვაჰარს გუუთევიია და იმას გუუჭრივარ მუცელზეო. მაშვინ ამ ვაჰარს გახსენებიია მისი ღამის გათევა ღარიბ ოჯახში და დარწმუნდა რომ აი მისი საბედო იყო, ანგელოზებმა რომ გადუწყვიტეს.

ასთე, ნენა, თუ მისი იღბალი არ ყოფილიყო, აი საქმე ასთე კარ მოხთებოდა და რაღაი მისი იღბალი ასთე იყო თავიდან დათქმული, ქი შეხთენ მაინც აი ვაჰარი და აი გოგო ერთქამეთს და ცხოვრობდენ ტკბილათ და ლამაზათ.

206

ერთი ქალი მეიყვანა კაცმა თურმე. კაცმა უთხრა ქალს:

— ქალო, ქალაქ'ში მივალ და რას მიმოწმეფო.—ამ ქალმა უთხრა:

— არაფელი, კაცო, არაფელიო.—აი კაცი თურმე აბდალი იყო და გზაზე რომ მიდიოდა, სულ იძახოდა: არაფელი, არაფელიო. გზაზე ამ კაცს შეხთენ მეთებზეები და ამ კაცმა დეიწყო ყვირილი: არაფელი, არაფელიო. მეთებზეებმა იფიქრენ: ამ კაცმა ნამდვილათ ამ სიტყვებით დაგვნაფსაო, და დოურთეს ამ კაცს, გალახეს მაგრათ.

— აბა რა ვიქკაო,—ამ კაცმა უთხრა მეთებზეეფს.

— ეს ერთი და სხვა ათასი თქვიო,—უთხრენ მეთებზეებმა. ახლა აგი იცის ამ კაცმა. ყვირის: ეს ერთი და სხვა ათასიო. გეიარა რამოდენიმე გზაი და ამ კაკმა შეხთა ხალხს, რომელიც კვტარს მუასვენებდენ. ამ აბდალამ დეიწყო ყვირილი: ეს ერთი და სხვა ათასიო. ხალხმა იფიქრა, რას გვეუბნება აი კაციო. წეესიენ და მიბეთქენ მაგრათ.

-- აბა რა ვთქვაო,—შეეკითხა აბდალამ ხალხს.

— რა თქვი და „აცხონოს, შეიჭყალოსო“, ასთე თქვიო.

გეიარა რამოდენიმე გზაი კიდომ ამ კაცმა და დეინახა, მთვრალი მაყრები მოდიენ და ქალი მოყავენ.

დეიწყო ამ აბდალამ ყვირილი: აცხონოს, შეიწყალოსო, აცხონოს შეიწყალოსო. გადმოხტენ ჩაყრები ცხენებიდან და დუურთეს ამ აბდალას, აი რა თქვიო? ამეიღო ერთმა თვრალმა ხანჯალი და ქე გაიცხებია ამ აბდალას სული.

207

ერთხელ ხვანთქარი და მისი ცოლი გულოობდა მისი სახლის წინდამ. გეიხედენ და ქური მოდენის კვიცის ჯოგს.

— ჰო! რა კაი კვიცები არისო,—თქჳა ხვანთქარმა. მწყემსმა უთხრა:

— ბატონო, ინებეთ ერთი-ორი კვიციო.

— სტორეთ საინტერესოთ გამოვზდი ამასო,—თქჳა ხვანთქარმა. ჩააბარა ცხენის მომლელს; ნამეტარი კაი კვიცები დარჩენ. გევიდა ერთი სამი წელიწადი, რომ გადავიწყებული ქონდა ამ კვიცების ნაავა ხვანთქარს. ერხელ მუაგონდა—მე რომ თათარმა კვიცები მაჩუქა, ერთი უნდა ვნახოვო. მუაყვანია მომლელს და შეხედა, მარა რას ხედავს: აი კვიცები ფეხებზე ძულე დგებოდენ—ისთე გამხდარიყვენ.

გამჯვარდა ხვანთქარმა და მომლელს დახრეტა გადუწყვიტა—ოზდაოთხ საათში დეიხრიტოსო. იფიქრა მომლელმა: ვთქჳა—დამხრეტენ, არ ვთქჳა – დამხრეტენ მაინც. დასახრეტათ რომ გეიყვანეს, სთხუა ხვანთქარს: ორი ღერი სიტყვის ნება მომეციო, რომ ყუდროთ მოგახსენოთო. ხვანთქარმა იფიქრა: მოი, რას მეტყვის, ვნახოვო; გეიხმო. მუახსენა მომლელმა ხვანთქარს:

— აი კვიცები კაი იყო, მარა შენმა ქალმა ხედნით დაახმოვო. ღამღამობით საცხა მიდის ხან ერთით და ხან მიორეთო.—ხვანთქარმა პირზე ხელი მიადჳა და უთხრა:

— ჩემს იქით არსათ თქუ̂აო. ჩაი ახლა თავლაში და იმსახურე უწინდულათო. თუ ვინმემ რამე გითხრას, უთხარი, ხვანთქარმა შემიბრალა და აღარ დამხრიტათქუ̂ა.— ხვანთქარმა ბეუ̂რი იფიქრა იმაზე. თუ რაფერ ეპარებოდა ქალი ღამღამობით ისთე, რომ თვითონ ვერ ტყობილობდა. იმ ღამეს დაწვა ადრე, ნახევარ საათის მერე მისი ცოლიც დაწვა. დააყურადა ხვანთქარს, თუ ძინავსო. ხვანთქარმა მეიმძინარა თავი. მაშინ ამეიღო პაწე ბოთლი და მიადუ̂ა ცხვირზე ხვანთქარს, მოაყნოსია. ადგა. ჩეიცუ̂ა ტანზე და გევიდა თავლაში. ბიჭს უთხრა:

— შენ გადარჩი დახრეტას, თუ რა დაგემართაო!

— მაი გადარჩენა მე დამიმადლეო,—უთხრა ხვანთქარის ცოლმა.

— ახლა წაი და მომიყვანე ცხენიო,—უთხრა ბიჭს. ბიჭმა მეუყვანა ცხენი, შეჟდა ცხენზე და წევიდა საცხა. ხუთ მინუთის შემდეჭ ჩამევიდა ხვანთქარი, მივიდა ბიჭთან და უთხრა:

— წამყევი, სა წევიდა, თუ იცი ჩემი ცოლიო?—ბიჭმა უთხრა:

— არა, ბატონო, ჩემი წაყოლა საჭირო არ არის. შიაჟექით მიორე ცხენზე და იგი მიგიყვანს იქინე, საცხა თქვენი ცოლი წევიდაო.—შეჟდა ცხენზე ხვანთქარმა და გუუდგა გზას, ცხენმა მიიყვანა ერთი ფაშის ეზოში. გეიხედა ხვანთქარმა—დეინახა მისი ცხენი, რომელიცხეთ მისი ცოლი იყო წამოსული. დეიწერა იმ ფაშის სახელი და გვარი და გამობრუნდა. მივიდა თავის ცხენების მომლელთან—ჩააბარა ცხენი და დაარიგა: არაფელი არ შეგამჩნიოს ჩემა ცოლმაო. წევიდა ხვანთქარმა და დაწვა, რავარც იწვა ისთე. რამდონ საათის მერე მევიდა ქალმა. გეიძრო და დაწვა ხვანთქართან. მოორე დღე რო გათენდი, ხვანთქარმა დეიბარა იი ფაშა, რომელიც მის ქალს ეთამაშებოდა. მისი ქალის წინ გამოშჭრა ყელი; დუუძახა მეჯინიბეს, მისი კვიცები გამუაყვანია, აი მისი ცოლი ორუ̂ე ცხენეფს მიაკრა ძუაზე ორუ̂ე ფეხით და ასთე დაახლეჩია, იი ქალი იმ ცხენეფს. ხვანთქარმა ამის შემდეჭ დასწყევლა ქალი და გამუაცხადა, რომ მის საბძანებელში ქალის სახელი არ უნდა გაეგონა. საერთოოთ, ვერავინ ვერ ახსენებდა ქალის სახელს ხვანთქართან. შეწუხთა მთელი სოფელი, რაი ექნენ, არ იცოდენ. მოთხარეს ორმო და ჩაყარეს ქალები. ერ ხანს ასთე ყავდენ ქალები დამალული, მარა ამის დიდხანს გაგძელება შეუძლებელი იყო. მეილაპარაკა თელმა სოფელმა ამის შესახეფ; რაცხა უნდა ვქნათო. ვეფერი გამოსავალი ვერ ნახენ და ძაან წუხთენ. ბოლოს მეიფიქრენ, რომ გუუგზავნონ ხვანთქარს კაცი. მიაკლიეს აბდულაღა. ერთი სამოცი წლის ნაფილარები კაცი, რომელიც ძაან უყვარდა ხვანთქარს. თელმა სოფელმა შიევედრა აბდულაღას, გეგვეგზავნე ხვანთქართან, აი ქალები ამოგვაშობიოს რაცხა ნაირეფო. აბდულაღამ დათანხმთა ხვანთქართან წასლაზე.

თქუ̂ა: ან მოვკტები და ან გავაკეთეფ ამ საქმესო. ერ დილას, პირს რომ იბანს ხვანთქარი, მივიდა მაშინ აბდულაღამ, ხვანთქარმა მიიწვია

სახში აბდულაღა. რადგან ხვანთქარს ძაან უყვარდა აბდულაღასან ლაპარაკი, აბდულაღას უთხრა:

— ერთი ძველი ამბავი მითხარიო.

— კი გეტყვი,—უთხრა აბდულამ. დეიწყო აბდულაღამ: „ერხელ შენსავით ხვანთქარი ვიყავი, ნამეტარი კაი ცხენი მყავდა და ოთხმოცი კაჩაღის უფროსი ვიყავი. ერხელ საყავეში შევედი ყავეს დასალევათ. ყავე რომ მუატანიე და ვსუამ, გევიხედე და ერთი თეთრ ცხენიანი კაცი მევიდა, კაი გამოწყობილი იყო. ვიფიქრე გულში: ამას ამ ცხენს კი წავართუმ მეთქინ. შამევიდა, დააბა ცხენი და ყავე მომიტანეო, დეიძახა,—ამინუჩიო, უთხრეს. მერე დაუძახა—ნულარ მოგაქო. ჩემ ყავას წაატანა ხელი და ქე შემისჭა. გავცჳვი, რა მექნა, აღარ ვიცოდი. თვითონ გამევიდა გარეთ, მუაჯდა ცხენს და ქე წევიდა. მამინ ვიფიქრე: მოკტეს აბდულაღა, აი თჳარ გევეგე—ვინ არის და გევეკიდე მეც. გზაში ვკითხე, სა მიდიხარ-მეთქინ? მიპასუხა: შენდა ჯობია, ნუ ძომდევო... მე არ მევეშვი. ამეიღო მაშვინ ფიშტო და ჰკრა ჩემ ცხენს და მომიკლა ცხენი. მე უთხარი: არ დავბრუნდები არასდოდებით! მაშვინ მითხრა: აბა შამომიჯექიო, და მეც შამუუჯექი. წევიდა რამოდენიმეზე და მიადგა ერთ მჭედლის დუქანს. მჭედელს უთხრა: თუ გააკეთე, მე რომ დაგიმოწმეო. კი გავაკეთეო, უთხრა მჭედელმა. მომიტანე, აბაო. ორმა კაცმა ერთი ხურჯუნი მეიტანა. გადამიშვა ძირს ცხენიდან და მითხრა: მომეცი ხურჯუნიო მარა მე რომ დავაფრინდი ხურჯინს, ვერ ვზიდე; მაშვინ მითხრა. შენც იტყვი, კაჩაღი ვარო! გადმეიწია ცხენიდან, ეიღო ცალი ხელით ხურჯინი და დეიდჭა ტახტაზე წინ. შამომიჯინა მეც ცხენზე და წამიყვანა. დიდი სიარულის მერე მივადექით ერთ უზარმაზარ შენობას. გადმოხტა ცხენიდან, აი ხურჯინი გადმეიტანა, გააღო სახლის კარები და შევიდა შით; გეიხედ-გამეიხედა აქეთ-იქით და მითხრა, რომ ესაა ჩემი სახლიო. მერე მითხრა: აქ დიდხანს ვერ გავჩერდებიო; უნდა წევიდეთ ერთ ადგილსო. შეჯდა ცხენზე, შამომიჯინა მეც, ხურჯინი ტახტაზე გადიდჭა და წევედით. მივედით ერთ დიდ ციხეზე, გადმომიყვანა იქინე ცხენიდან, გადმეიღო ხურჯინი. ჩავხეშე შით—ჩაქუჩი და ლუსპნები ეყარა. მიყვა და ციხის კიდლებზე ააჭედა პწკალასავით ლუსპნები. ოც მინუჩი არ ჩანდა აი კაცი, ჩამობრუნდა მერე და მითხრა: საათნახევარში თუ მევედი, მევედი, თჳარადა წაი, და იი ჩემი სასახლე (გ)ქონდესო. რომ წევიდა, ათ მინუთს შემდეგ, შეიქნა იმ ციხეში ზურზლული და ტირილი. პატარა ხნის მერე, მევიდა აი კაცი და მეიტანა კაცის თავი. თვითონ გასისხლული იყო. მითხრა გათიცხებით: ცხენი მომიყვანე, შევჯდეთ და წევიდეთო. შევაჯედით და წამევედით. მევედით მის სასახლეში; ერთ ოთახში შევიდა, მეორეში შევიდა და მესამე, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ხვანთქაროვო, უთხრა აბდულაღამ. აი კაცის თავი მიიტანა იქინე, მარა ამის მეტს ველარ ვიტყვიო და წასლა დააპირა აბდულაღამ. ხვანთქარმა დუუჩემა აბდულაღას: თქჳი და თქჳი მერეო. მარა არ თქჳა აბდულაღამ, შედგა უარზე. მაშვინ ხვანთქარმა თქჳა: აქ ნამდვილათ ქალის

ამბავიაო! ხვანთქარმა თავისი დათქმულობა გატეხა, რომ მასან ქალის ამბავს ვერავინ იტყოდა. აბდულალასაც ეს უნდოდა და განაგრძო თავისი ამბავი: თურმე მე რომ კაცს ვზდევდი, კაცი კ'არა, ქალი ყოფილიყო. მესამე ოთახში რომ შევედით, იქინე იმ ქალის ქმარი იყო მოკლული და ქალს შეეფიცა, რომ 'ძენი კვლელის თავს სასთუმლათ მოგიტანო და უუსრულა კიდეც. ხვანთქარმა, რადგან გატეხა მისი სიტყვა და აბდულალას ათქმევია ქალის ამბავი, იძულებული შეიქნა აბდულალას თხოვნაზე—ქალების ორმოდან ამოშობის შესახეფ — დათანხმებოდა. ამის შემდექ მართლაც 'ამუუშჸეს ყველე დამწყტოული ქალები იმ სოფელში.

208

იყო სამი ძმანები. ვორი კოჩალი, მესამე კი ჩაფანო და გლახა. ვორმა უკეთესებმა ცოლები რომ შეირთეს, ერთათ ვერ მოთავსთენ და ქონება შუაზე გაიყვენ. ჩაფანო ძმაი კი უწილოთ დატიეს. როცა ამ გლახამაც მეითხუა მამისოული, ძმანებმა უთხრეს: „შენ საცოლეთ მაინც არ ვარგხარ, ქონება რათ გინდა, ხან ერთან იმუშავე ხან მეორესან და ჩვენ გიპატრონეფთო". ერი სიკტილი მოკტა ჩაფანო, აი რომ გეიგონა, მარა ჩხუბით ძმანებთან ვეფერს გახთებოდა, კარგათ იცოდა. ბოლოს გაკუჭებულმა წეიღო მამის დატიებული ლეკურის კინა და მოშორდა აქოურობას. გუუდგა გზას. ცოტა იარა თუ ბეჸრი იარა, მივიდა ერ სოფელში. მონახა ვინცხა დიდარი კაცი და დუუდგა მოჯამაგირეთ. ამასობაში კაი სამი თვეი გევიდა. აღებული ჯამაგირით ლეკურს ქარქაში გუუკეთა და კინაზე ვოქროს ასუებით დააწერია: „მძლეთამძლეო". გადიკიდა ფხარზე ლეკური და ისოვლე გუუდგა გზას, საით მივიდოდა, არც მან იცოდა.

დადის თემმარაზე სოფელ-სოფელ და მიაკორწიალეფს უშნოთ ლეკურს. გამლელ-გამომლელები რაცხა ეჭვნეულათ თვალს აავლ-ჩაავლებენ, ბაღნები კი ყოველთვის დაზდევენ უკან და ემასხრებიენ. ჩოფანოს მოსყინდა ამფერათ თემშარაზე სიარული. გზიდან გადუუხვია და ტყის პირათ ხის ძირში მიწვა, ვითამდა დევისვენეფო: ტყიდან ვორი 'ძეიარაღებული ვაშკაცები გამევიდენ და რომ დეინახეს აი მწოლიარე კაცი. მისკენ წამევიდენ. ჩოფანომ თავი მეიმძინარა. მოსრულებმა ეჭვნეულათ დუუწყეს ყურება, თვალში არ მუუვდათ რაცხა. მოვიდენ და სიცილით გვერჩი მუუძდენ. ერმა მასხრობით მძინარეს ქარქაშიდენ ლეკური ამუაძრო, მარა რას ხედავენ, კინა საურცხოვოთ ელავს. ნახეს, რომ ზეთ აწერია „მძლეთამძლე". ახლა კი შეშინდენ, რომ ეგონათ არც ისე სახუმბრო კაცთან ქონდენ საქმე. ლეკური ისევ ჩუმათაი ჩუუდვეს ქარქაში. „აი ვინცხაა, ალბათ დაცთილი ვაშკაცია და იქნება ჩვენი ამხანაკობაც ინებოსო". დალაპარიკტენ ერთმანეჩი და დიდი მორიდებით დუუწყეს გაღვიძება. ჩაფანოს აი ყოლიფერი ეყურება, გული გეიმაგრა და, ვითამ მაგრათ ეძინავო, თვალები ამეიჟღლიმა და მოსულეფს სალამი მისა, იგინმაც „ღმერთმა გაღლინძელოსო", უთხრეს და გაამბეს მუსაიფი. ბოლოს ჩოფანომაც მოყვა მისი ვაშკაცობის და თავისი ლეკურის ანბვები.

ახლა მოსყინდა ამდონეთი სისხლის ღრაი და ვითამ ხენწიფესან უნდა მივიდეს, გაათავა ლაპარაკი ჩოფანამ. კაცებმა ძალუანი გეიკვირეს და ბოლოს აგინმაც დეიწყეს თავის ვაშკაცობის ანბვები: „ჩუენო, თქუეს, აქანაი ვორი ვართ, მარა ექვსი ამხანაგები კიდევ გვყავსო, თუ არ გაგვიმჯავრდები, მეცხრე ამხანაკი შენ იყავი ჩუენიო“. ჩოფანოც დიეთანხმა, აგინი თურმე კაჩაღები არიენ და ცხოვრობენ მორე, საცხა ლურსკუმა ტყეში.

წეიყვანეს ჩოფანო ტყეში. პირდაპირ იგინის ატამანის სანახავათ. მივიდენ თვარა ამხანაკებს ჩოფანოს ვაშკაცობის ანბავი ერთი ხუ იათ უთხრეს, მარა ატამანს მაინც არ ჯეროდა აი და მეისურვა ჩოფანოს გამოცთა. — „ამაღამ ღორის სადარაჯოთ წახვალთ თქუენ და ეს ახალი ამხანაკიც წეიყვანეთო“, დუუსაქმა იგენს ატამანმა. ეს რომ გეიგონა ჩოფანომ, შიშმა კალამ ეიტანა, მარა ვითამ არ შეიმჩნია და საღამოს გაყვა ამხანაკეჳს ტყეში, ღორის სადარაჯოთ. ვითამ გახარებულია, მარა გულჩი ფიქრავს, იქნება სამე გავასრა და აქიდან გევიპაროვო. გზაში ამხანაკებმა თოფი შესთავაზეს, მან კი იგინი საცინრათ ეიღო. „აბა, აი ლეკური რაღათ მჭირიავო“. ნანდვილათ თოფი საიდან ვარდებოდა, არც იგი იცოდა ამ გაჭივრებულმა.

ღორები რკოზე ყოფილიყო მიჩოვილი. თურმე ჯერე გაძღებოდენ კარქათ, მერე თხრიდენ დუნჩებით დარნეეფს. უცეფ ჩოფანომ ერთი ღორის ნაკვალები დეინახა. „ნამდვილათ აია კამბეჩის ხელა რომ არის იგი ტახიო“. უთხრეს კაჩაღებმა ჩოფანოს, იმისიკე ტყავი აქ, რომევო როგოში ტყვია ვერ ატანსო და ერთი ეშვის მოქნევით კისრისსისხო ხეეფს გლეჯსო“. კაცებმა ჩოფანო აქანაი დატიეს და მათაც იქავე, ახლოს, ხის ძირ'ში ჩასაფრთენ. წახთა საწყალი ჩოფანო, აღარც გაპარვა ეწყობა ამ შუაგულ ტყეიდან და აღარც აფერი. „მადლობა უჳალს. ღორის ბედზე გავჩენილვარ და რა ვქნა ახლავო, გეიფიქრა გუნებაში. ბოლოს მეტი რომ ვერაფერი მეიფიქრა, ევიდა მუხაზე და გადააქდა ბოჯახში. „თუ მანდამაიც მევიდა ღორი, რაცხას გადუუგდეფ, 'შეშინდება და აქიდან გეიქცევა. მე ბრალი აღარ მექნებავო“. უცეფ 'შეიქნა შრიალი, ღორმა თვალები შამუაბრიალა მუხის ქვემ. ზეითაც 'შიანათა თვალები. ჩოფანოს გული გუუქანდა. დუუწყო ხელებმა ბლანკალი, ამასობაში დუუშპა ხელიც ბოლოზე და ზეთ ღორს დიეცა ზრუგზე. ღორმა გაქცევა არ იკადრა და არდკილზე დატრიალდა. ჩოფანომ მაგრათ ჩაავლო ხელი ჯაგარზე და რა ქნას, არ იცის. ეს ქე დეინახეს მისმა ამხანაკებმა. ვორივე ლომებივით მუარდენ. დუუმინეს თავში თოფები ღორს და იქავე წააქციეს. ჩოფანო კი ახლა მევიდა გონზე. ნახა რომე საქმე გათავებული იყო, მარა ეშმაკობა იხმარა. მორთო ყვირილი: „თქვენ ამფერებო და იმფერებო, მე ღორი დევიჭირე, ცოცხლათ მინდოდა წამეყვანა და თქვენ ხელში ჩამაკალითო“. კაცებმა მეინანიეს თავისი სიცეტე. მეტი რაღა 'ჰიეძლენ,

წეიღეს ამხელა ღორი და წევიდენ ატამანთან. ყველას გუუკვირდა ახალი ამხანაკის გმირობა. ღორს თავი მოშჭრეს და ხენწიფეს გუუგზანეს, იგიც შეუთვალეს, რომე, „ჩვენ დევნას თავი დაანებეთ, თვარა ინანეფთო, ახლა იმფერი მეცხრე ამხანაკი შევიძინეთ, რომ აი ტახი ცალი ხელით დეიჭირავო“. ეს ანბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო და ყველაყაი იმაზე ლაპარაკობდა, ზოი ჩივოდა: „თურმე მდევ კაციავო“. ზოი კიდო: „ტყვიას ხელით იჭირავსო“ და სხვა. ყველას პირზე აი მძლეთამძლე ეკერენ. ხენწიფე და მისი ხალხი გატყტენ და კაჩაღეჲის დევნას თავი დაანებეს.

გევიდა ხანი. ამ ხენწიფეს ჩხუბი გამუუცხადა მიორე ხენწიფეჰ. დადვეს ამფერი პირობა: „ყოველ წელიწაც მუაწყოთ დუელი და ვისი კაციც მოკტეს. იმან გამარჯვებულს რამოდენიმე სოფელი მისცეს მისი ხალხით და ქონებითო“. მარა ყოველწელიწად აი ხენწიფე მარცხთებოდა. უკვე ხუთი წელიწადი გევიდა ამფერი ჩხუბის გამომცხადების შემდექ. თლა გატყავდა საწყალი ხენწიფე. მოწინააღმდეგე ხენწიფეს იმფერი გმირი ხავდა ვინცხა, რომე რავარც მიეკარებოდა ვინმე, რაც უნდა ვაშკაცი ყოფილიყო, ყველას თავს აგდებინებდა. ვინ დეითლის, რამდენ კაც წააგდებია თავი იმ დაწყევლილმა. აი ხენწიფე შეშინებული იყო. რაც კაი ხალხი ხავდა, ყველაყაი გუუჟუჟა მტერმა და თვითან მარტუაი აპა რას იზამდა.

ბეჭრი იფიქრეს და ითათფირეს. შეყარა ყველა ვეზირები ხენწიფემ და რჩევა სთხუა. უმფროსმა ვეზირმა სიტყვა ეიღო და ბძანა: — „ჩუენც გვყავს აი ის მძლეთამძლე, ვეშაპი ტახი ხელდახელ რომ დეიჭირა, თუ იმას არ ვთხუეთ დახმარება, სხვა აფერი არ გვიშველის და მთელ ქვეყანას დავღუპავთო“. ეს აზრი ყველაყამ მოიწონეს. გვარიანათ იდევეს ჯერე და მერე ხენწიფეც დეითანხმეს იმაზე. რომ გიეგზავნენ შუაკაცები მძლეთამძლესთან იმფერ პირობით, რომ თუ მოკლავდა მათ ტერს, მაშვინ ხენწიფე მის ერ ქალიშვილს ცოლათ მიათხუებდა, ტახტსაც დუულოცავდა, მის ამხანაკებსაც გაათავისუფლებდა და კარქა-გვარიანათაც დაასაჩუქრებდა.

შუა კაცებმაც აღარ დააყონეს, წევიდენ და ინახულეს მძლეთამძლე და მისი ამხანაკები. კაჩაღებმა სიხარულით კალამ - გაფრინდენ. ახლა საქმე მძლეთამძლეზე იყო მისული. აი კი რაცხას ჩაფიქრებულ იყო. საწყალ ჩოფანოს გულში იმფერი შიში ჩუუვარდა, იმფერი, რომე ხმაიც კი არ ამუაღებია. „აქამდი ქე ვიყავი ცოცხალი, ავათ იყო თუ კარქათ, სულს მაინც ქი ვათრევდი და ახლა კი ბეჯითათ ვხედავ, დეილია ჩემი დღეი და მოსრებავო“. ბოლოს, როგორც იყო, დიეთანხმა. „ვარის თქმა თავის მოჭრა იქნებაო, წამხთარ საქმეზე იმფერი ვაშკაცის ხელით რომ მოვკტე, არც სირცხვილი იქნება და არც აფერი, ამხანაკეფს ხომკი გავათავისუფლებიეფ მაინცო“, ფიქრობდა ჩოფანო. ბოლოს მძლეთამძლემ თქუა: „კაი. თანახმა ვარ, გავყობი დუელში, მარა მცხვენია. ერ კაც რავა

შევებრძოლო, კაი იქნება, სამს თუ გამუუშობენო". ამის გამგონე ხალხმა სიხარულით ტაში დუუკრეს მძლეთამძლეს და ყველაყამ გაყვენ ხენწიფის სასახლემდი. აი ანბავი თელ ქვეყნას მოედო კიდიდან კიდემდე. ყველაყაი მძლეთამძლეზე ლაპარაკობდენ. „ერთი კარა სამი გამუუწოვიაო", ჩივოდენ ზოგან, „ხიალ არ ვიხმარ, ხელით წავაგლეჯ კისერსო" — უთქვამს მძლეთამძლესო, ტრაბახობდენ სხვები. „მაი, კაცო, ხეს რომ დიეტეკოს, იმას მოგლეჯს, კაცი რას დუუმაგრდებაო", ასე ჩივოდენ ყოლგან, საცხა კი გეიხედავ გამეიხედავდი. ამ ანბავმა იმ ვაშკაცის ყურებამდიც მიაწია. საწყალს გული წინდაწინ გუუსკტა. „აია დეილია ჩემი დღეებიო", — ფიქრავდა იგი.

მევიდა უკანასკნელი დღეიც. დუელის მინდორზე ხალხი აღარ ეტევა. ყველაყაი უყურებდა მძლეთამძლეს. „რავა პაწაი კაცი ყოფილა, მარა ხერხიანი იქნებავო". გამევიდენ აი ჩვენი ჩოფანო და იი უშველებელი ვაშკაცი. საწყალი ჩოფანო იმასთან სკვინჩაის ხელაც კარ გამოჩდა, მარა გულს მაინც არ იტეხავდა, „მოვკტები და იგია, ანაბრინი ჩემ საქნესო", ფიქრავდა თავიზა. ვაშკაცმა ახედ-დახედა მძლეთამძლეს და კაღამ შეუცინდა ულვაშები: „ამას ერთ დარტყმაზე წავაცლი კისერს, მარა ალბათ პირშავს ეშმაკური ხერხები ეცოდინება და ისოვლე ჯობია ჯერემ მას ვაცალო, აბა რას იზამსო, თუ გუუგე ეშმაკობა, მე მკითხოს, რა დღეს დავაყენებო".

ხალხი უცეფ გაციმციმდა. რაცხა ანიშნეს აგინს და წეიწიენ ერთმანეთისკენ. მძლეთამძლეს ველარ გუუძლო გულმა. თვალით ხედავს სიკტილს. ლეკურის ამოღებაც კი დაავიწყტა. დაჭუჭა თუალები. დაღუნა თავი და ასთე მივა წინ. „ბარემ წამკრას, ქე მაინც მოვრჩე ამდონ უბედურობასო", იფიქრა ჩოფანომ.

მარა ჩოფანო რომ ასთე კისერწაწეული დეინახა იმ ვაშკაცმა, იფიქრა: „აი რაცხა ხერხს მიკეთეფსო". მანაც წააგძელა კისერი და დიესო ერ ადგილზე. ჩოფანო ყოლ მინუჩი ფიქრავდა: „ახლა წამკრის თავს და ან ახლავო", მარა რომ დაგვიანდა თავის წაჭრა, მარცხენა ხელი ჩუმათაი გააჰყირა. შეხედა, რომე რას ხედავს. მის მოწინააღმდეგეს წუუგძელებია კისერი დასაკლავ ქათამსავით, დუუჭუჭავს თვალები და ქია ისთე გაჩერებული. ახლა კი იფიქრა, დროი ვიშონეო". ნუ გეშინია, დაქარი, შენ გლახაო" და გაბურვანებულმა იშპუნა ლეკური. აღარც ქე ახსოვს, რაფერ წუუქნია ლეკური, რომე დეინახა, ვაშკაცის თავი ეგერ გაგორდა და ტანი კიდო ცაკე წეიქცა. შეიქნა დიდი ანბავი და გაწევ-გამოწევა. წამუატანეს ხელი მძლეთამძლეს და მეურბენიეს ხენწიფეს. გახარებულმა ხენწიფემც ხელათ გადასწერა ჯვარი მის გოგოზე და თელი ტახტიც დუულოცა. აი ჩოფანო ქი გახთა ხენწიფე. მისი ამხანაგები ვეზირებათ დეიყენა, მეიხმო ძმანებიც მასან და დეიწყეს ბედნიერი ცხოვრება. ასე გათავდა ჩოფანოს ამბავი.

## 209

იყო და არა იყო რა. ერთ პაწა ქალაქში ცხოვრობდა დიდი ვაჭარი, რომელსაც ხავდა ერი ქალი' და ერი ბიჭი. იმფერათ ცხოვრობდენ აგინი ვოჯახში, რომე ჩიტის რძეიც არ აკტენ. მარა უცფათ ვაჭრი საქმე დატრიალდა უკუღმა. სულ წაგებაში წევიდა მისი ვაჭრობა. ბოლოს ისთე გაკოტრტა, რომე ველარ უუთავდა მევალიეფს და მეიფიქრა საცხა შორს გადაკარქვა. მამამ მეიხმო 'შვილები და უთხრა მისი გაჭივრება. ვაიშვილმა აჯობინა ბედის საძებნელათ წასლა. გოგო კი დარჩა სახში მარტუ̂აი. მამა მისმა კი გოგოს მოყურადეთ დუუტია ერი ბერიკაცი.

ვაჭრის გოგო იმ ჟერი ლამაზი იყო, იმფერი ლამაზი, რომე მის უკეთეს ვეფერს ნახვიდა კაცის თვალი. რაც დეიბადა, ბზეი არ ენახა და იზდებოდა ისთე ბზისუნახავათ. ბერიკაცი სანდოიანი გამოდგა. ჩქარჩქარა ნახულობდა ბზისუნახავს და ნიავ-ქარსაც არ აკარებდა. ბზისუნახავის ასე მალ-მალე ნახვამ ბერიკაც ძველი დროი მუაგონა. ერი გზობა რავარც იყო გუუნცხადა ყოლიფერი ბზისუნახავს. ქალმა ვარი არ უთხრა, „მარავო, ჯერე სანამდი დროს გავატარებდეთო (ესე იგი, შენ რომ იცი, იმას ვიზამდეთო!) მომეცი ნება, რომ̂ე მეაბანუები ვნახოვო“, — ამფერი პასუხი მისა ბზისუნახავმა. ბერიკაც აი ძალუ̂ანი გუუხარდა და დადვეს პირობა ნ̂ორე დღეისათვის. გათენდა მორ̂ე დღეიც. ბზისუნახავმა მ̂იირბინა ხელათ მეაბანუეფთან და უთხრა: „ასე და ასეა ჩემი საქმეო. ერი ბერიკაცი შამომიჩთა და არ მაყენეფსო, ისოვლე აქანაი უნდა მევიყვანო და რაც გინდებიან, გამომართვით, ოღონ აბანოში რამეფერათ დამიდალეთო“. „კი, რავა არა, ბატონი ბრძანდებიო“, უთხრეს მ̂ეაბანუებმაც. ქალი გამეიქცა შინ, ნახა, რომე უცთის ბერიკაცი. წამიეყვანა აბანო'ში. მეაბანუებმა ხელათ გუუმთავისუფლეს ყველაზე უკეთესი აბანო და „შებძანდიო“, უთხრეს. გეიძრეს ტანზე თვარა, ბ̂ზისუნახავმა გააჩ̂ბა კივილ-ჩხივილი. კივილზე მემოცვინდნენ მეაბანუები და საწყალ ბერიკაც ზრუგზე ჯვარედინათ გადაარტყეს გახურებული შამფური. ქალი კი ხელათ გამოუარდა გარდამ.

ამის მერე ბზისუნახავი რავალა გაჩემდებოდა სახში. ადგა და წევიდა. ბეუ̂რი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერ ტყეს, საცხა კაცის ჭაჭ-ნებაც არ იყურებოდა. დაღუ̂ა თავი ამ ტყე'ში და იარა და იარა. ცხრაი დღეი და ღამე იარა. ბოლოს, რავარცხა იყო, დეინახა, რომე ერ მინდორზე ამ ტყე'ში დგანა ვორარტაჟიანი ვოდა. მივიდა მასან და რას ხედავს: ერ უმველებელ ზალაში ცხრაი დუულაგებელი ლოგინი დგანა. დილას, რომ ამდგარიყვენ, ლოგინი აღარ გიესწორებიენ. ბზისუნახავი 'შევიდა შით, მარა ვერაკაცი ვერ დეინახა. ხელათ დააგო ლოგინები, ზალა გამოხვეტა და მერე გამუაღო 'შკაფის კაცი. ნახა, რომე შკაფში დაჭუჭკულია სხვაფერ-სხვაფერი საჭმელები, რაც კი გინდა, სულო და გულო. ქალმა პაწაი კიდავაც წეიხეფსა და წევიდა დასამალავათ.

თურმე ამ სახში ცხრაი მონადირე ძმანები ცხოვრობდენ. საღამორეულე როიცხა დაბრუნდენ და დეინახეს დალაგებული ყოლისფერი, ძალუანი გუუკვირდენ. ვეფერი ვერ მიხთეს, თუ რაში იყო საქმე. მორე დღესაც ამფერათ მეიქცა ბზისუნახავი, დაალაგა ლოგინები, გამოხვეტა ვოდა. მონადირე ძმანებმა მორეხელ რომ ნახეს ასე დალაგებული ყოლისფერი — კალამ შექანდენ ჰკუიდან. როიცხა მესამე გზობაც ასე ქნა ბზისუნახავმა, მეოთხე გზობა დუუდარაჯეს. ბზისუნახავი ამევიდა ვოდაზე, ჯერე-დაალაგა ლამაზათ ლოგინები, ვოდაც გამოხვეტა, სკამებიც მიალაგ მუალაგა და შკაფი რომ გაალო ზაკუსკის საჭმელათ, ძმანებმა მიაძახენ: „არ შეგეშინოს ჩვენ ვართო“. ძმნეფს ძალუანი გუუხარდენ, რომ ღმერთმა აჩუქა ერთი დაი; ისე გეიხარეს, რომე ცაზე კიღამ მუარეს ხელი.

ამის მერე კაი ხანი გევიდა. ერი გზობა, როიცხა ძმანები სანადიროთ იყვენ წასული, ბზისუნახავს გამიემცხადა ერთი მალაზონი, რომელსაც გასაყიდი ქონდა სხვადასხვა სოის აჭილაჭულებული კაბები. ბზისუნახავს ბარემ ქე უნდოდა კაბების ყიდვა, მარა ფარა არ ქონდა: „ჩემი ძმანების მოსლამდი მაცალე და მერე ვიყიდიო“, უთხრა მალაზონს. „ჯერე მეირგე, ჩეიცვი ტანზე, იქნება არ მოგერგოსო“, უთხრა მალაზონმა. ამუარჩია კაი აბრეშუმის კაბა და ჩეიცვა. ჩეიცვა თვარა, ქი გაქვავდა უცფათ. მალაზონმა კი დაქრა ხელი და ქე გაქრა.

ძმანები რომ მევიდენ, ელდა ეცენ. ნახეს, დაი გაქვავებულიყო. „რაღა ღირს აწი ჩვენი სიცოცხლეო“, თქჲეს და ცხრაივემ თავი მეიკლეს.

ამასობაში ამ ტყეში სანადიროთ წამოსულიყო ამ ქვეყნის ხენწიფის შვილი. დეინახეს შვაგულ ტყეში ამხელა ვოდა და ძალუანი გაუკვირდენ. ხენწიფის შვილი მივიდა მასან, შევიდა ზალაშიც და რას ხედავს: ცხრაი კაცი კტარი აგდია პოლზე, კალმით დახატული ბზისუნახავი კი გაქვავებული დევს ეგერ. ხენწიფეს შვილმა უბრძანა მის ვეზირეფს, რომე წეიღონ მასან გაქვავებული ქალი. მიიტანეს გაქვავებული ბზისუნახავი ხენწიფის სასახლეში. შეყარეს ცაი და ქვეყანა და გეიძრახეს დიდი ანბავით დიემარხენ გაქვაეებული ქალი. მარა ჯერემ მიცვალებულისათვის ტანის დაბანა იყო საჭირო. წეიღეს დასაბან ვოთახში. გახადეს თვარა ტანზე კაბა, ბზისუნახავი მაშვინათვე გაცოცხთა. იმისანაი ქალი შეიქნა, იმისანაი ქალი, რომე მის უკეთეს კაცის თვალი ვეფერს ნახვიდა. ხენწიფის შვილი საცოლო იყო და ქე დაქორწილდენ. დიდი ქორწილი გადიხადეს, ჩიტის რძეიც კი არ აკტენ.

გევიდა სამი წელიწადი. ერ დღეს ბზისუნახავმა ითხუა: „ვორი სამი დღეი ნება მომეცით, მამაჩემი ვნახოვო“. ხენწიფის შვილი დიეთანხმა და კიდევაც გუუშჲა. წევიდა ბზისუნახავმა. ბეჲრი იარა თუ ცოტა იარა, მაინც ვერ მიაკლია მამამისი. ბოლოს ერ ქალაქში მივიდა და იქინე გა-

ჩერდა. საცხა დაბინავდა. იმ სახლის კედელაზე გამუაკრა „აბელანიე“:- „ვინც მე წამიყვანს და დახში დამსვამს, იმ ვაჭარს მუ მტრები მიზდლემჩი არ დიელევავო“. ერთი დიდი „გელდი-კუპეცი“ ძალჳანი შეფიქრიანდა ამით. ბეჳრი იფიქრა. თუ ცოტა იფიქრა, წეიყვანა ბზისუნახავი და დააჲინა დახში. ბზისუნახავმა ხელათ იცნო, რომე აი ვაჭარი მამამისი იყო, მარა ჯერემ აფერი არ თქჳა. შეხედა ქალმა და რას ხედავს, მისი ძმაიც აქანაია და იი ბერიკაციც ვინცხამ ამფერ დღეში ჩააყენა. ბერიკაცი თურმე იმის მერე სახლიდან გაქცეულიყო, მიენახა ვაჭარი და ეთხრობია: „შენმა ციცამ თავი მეიკლა და მე რაღა უნდა მექნა, ისოვლე დავმარხეო“. ბევრი ეტირენ მამას და მის ვაიშვილს, მარა რაღას იზაჰდენ.

ბზისუნახავის სილამაზემ მართლაც ბრევლი მუშტრები მიაყარა ვაჭარს. გამდიდრდა ვაჭარი. შეიძინა დიდი შეძლება. ღამღამობით ყობოდენ ზღაპრეფს. იცინოდენ და ამფერათ ატარებდენ დროს.

ერჯელ ბზისუნახავმა დეიწყო ზღაპრის თქმაი და თავიდან ბოლომდე კაკლა-კაკლა მოყვა იგი, რაც თავზე გადახთენოდა. როიცხა იმ ალაგას მიაწია, რომე „ბზისუნახავმა მუატყუა ბერიკაცი და აბანოში კაცეფს დაადაღვიაო“, იქ მოყურადე ბერიკაცმა წამეიყვირა: „შიაჴვენოს ღმერთმა, არ იქნეპოდა, ბატონო, მასეო“; „თვარ იქნებოდა, აბა ძაჩვენე ზრუგიო“, უთხრა ბზისუნახავმა. ვაჭარმა და მისმა ვაიშვილმა მაშვინათე გაძრეს ტანზე ბერიკაც და ყოლისფერი გამეირკვა.

დუუწყეს კოცნა ერთქანეც მამა-შვილმა. ბზისუნახავმა მერე აგინი წეიყვანა ხენჭიფის შვილთან. ვაჭარს ხენწიფის შვილმა კაი ალაგი მისა და დიდი ქეიფიც გადიხადა.

იგინი იყვენ ჭირმი, ჩვენ ვიყავით ლხინში, გამუაცხვეთ ხაჭაპური, ქი შევჭამეთ პირძი!

210

დიდი ჩხუბის დროს, ავსტრიის ფრონტზე რომ დარიგება მოხთა. ერთი ქართველი კაცი ქე ჩუუვარდა ხელჩი თათრეფს. სა არ ათრიეს თათრებმა საწყალი ტყვეი. ბოლოს რავარც იქნა წეიყვანეს თავის სახენჭიფოში და ნეფის კარის კაცათ დააყენეს. მსახურობდა ტყვეი კას ხანს იქინე. ბეჳრი იმწვალა. ეგება გევიქცე აქიდანო, მარა ვინ გუუშობდა, ყარაულები ხავდა დაყენებული თავზე.

ამ ხენწიფეს ხავდა ბზისუნახავი ქალიშვილი. ტყვემა საცხა მოქრა იმას თვალი და ხელათ შეუყვარდა. ბზისუნახავსაც მიეწონა ბიჭი; ღამღამობით იბარებდა მასან და დროს ატარეპდენ. პაწა ხანში აი ქე გეიგო ხენწიფემ, მარა არ გამჯავრდა. ერ დღეს დეიბარა სასიძო და უთხრა: „თუ ჩემი ქალი გიყვარს, საცხა გაიდონაი და ბულბული გალოფს. დეიჭირე და აქანაი მომგვარე და ჩემ შვილს მოგათხუეფო“. გურჯისტანმა (ამ კაც აი სახელი დაათქვა ხენწიფემ) იშონა სამი ძმაკაცი, გადიკიდა ფხარზე მისი თოფ-იარაღი და გუუდგენ გზას.

სამი თვეი, სამი კვირე და სამი დღეი იარეს. ბოლოს მიადგენ ერ სამპოტიკ გზას. ერ გზაზე წერია: „გზა კეთილიო", მიორეზე: „გზა ბრუნდიო", და მესამე გზაზე კი: „წევიდეს არ დაბრუნდესო". ძმა-კაცებმა გეიყვენ. გურჯისტანი გულიანი ბიჭი იყო და ეილო იი გზაი, რომელცხას ეწერა „წევიდეს და არ დაბრუნდესო". მივა, მივა და დეინახა ერთი უშველებელი სახლი. ამ სახს გარედან აწერია: „შეხვალ ინანეფ, არ შეხვალ ინანეფო". გურჯისტანმა მაინც შევიდა სახში. ნახა, რომე აქანაი არის ბზისუნახავი ციცაი, მარა მასან ახლოს მიკარება არ შეიძლება. გურჯისტანმა მაინც იფიქრა: „მოი, მივალ, გავშინჯავ, ვინაა ან რა უნდა აქანაიო", მარა დიესია ბზიკებმა და კალამ დამჭამეს საწყალი.

წევიდა გურჯისტანმა ისოვლე აქიდან. სამი დღეი და ღამე იარა და ბეჭრი გაჭირება გამეიარა გზაში. ბოლოს გევიდა ერ გათალარებულ მინდორძი. გეიხედა, რომე სამი დევი ურტყამენ ერთმანეც ცხვირ-პირძი. მივიდა იგინთან გურჯისტანმა და კითხა: „იმანებო, რა წეგიკიდენ, რა გაჩხუბებენო". დევებმა გაჩერდენ და რომ დეინახეს, გურჯისტანი უპატიოსნო კაცი არ იყო, უთხრენ: „ჩვენ იმიზა ვიშლებით, რომევო, გვაქს ერთი ნოხი, რომელიცო საცხა გინდა, იქინე გაგაფრენს ზეთ, თუ დააჯდებიო, გვაქს კიდო ქუდიო, რომელსაც რავარც დეიხურავ. უჩინოთ იქცევიო, გვაქს კიდო მათრახიო, რომელსაც რასაც კი დაარტყამ, შუაზე გაარიგებს. აგინი ვერ გაგვიყვია ერთქამეჩი და ამიზა ვჩხუბობთ, ქენი კაცობა. მოგვეხმარე გაყოფაძიო", შიეხვეწენ დევებმა გურჯისტანს. გურჯისტანმა გადმეილო შვილდისარი, გეისროლა და უთხრა დევეფს: „გეიქეცით და რომელიც მიასროფს ამ ისართან, იმას დარჩება აგინიო". დევებმა მართლა გეიქცენ ჯლიგინ-ჯლიგინით. გურჯისტანმა კი დაჯდა ლამაზათ ნოხზე და ქე გაქრა უცფათაია. ნოხმა გურჯისტანი მიიყვანა იმ ქვეყანაში, საცხა ნეფეს მის ქალთან დაჯენებული ხავდა გაიდონები და ბულბულები.

ბეჭრი ემწვალა გურჯისტანმა. მარა ვერ შეიძლო სახში შესლა და გაიდონების და ბულბულების მოპარვა. ბოლოს, ჯერე გადიზრო ქუდი და დეიწყო გულოვობა ამ სახენწიფო ქალაქში. რავარც დაღამდა. ხელათ დეიხურა ქუდი და გახთა უჩინო. წამეიყვანა გაიდონები და ბულბულები ისთე, რომე აი ანბავი აფერ კაც არ შეუტყვია. წამევიდა გურჯისტანი, ვოთხი თვეი, ვოთხი კვირე და ვოთხი დღეი იარა და მუაწია სამპოტიკ გზაზე. იქინე ნახა, რომე უცთიენ მისი ძმა-კაცები. წამეიყვანა იგინიც და მევიდენ სახში. ამის მნახველმა ხენწიფემ კალამ შეირყა ჭკუაზე. ისე კარ უნდოდა მისი ბზისუნახავის მიცემა ტყვეიზა. მარა ახლა ვარს ხომ ვერ იტყოდა, პირს ხომ არ გვიტეხთა ამხელა კაცი. მიათხუა მისი ბზისუნახავი ქალი გურჯისტანს. დიდი ქორწილი გადიხადეს. ამ ქორწილში ისე წევიდა საქმე, რომე ხენწიფემ თლათ გაათავისუფლა ტყვეი და მის ბზისუნახავთან ერთათ გააგზავნა თავის ქვეყანაში. ასე გათავდა აი ზღაპარი!

მთას ურემი გამოვუაღე, - წამევიდა გორებითო, აქანაი კარქათ ვიცოცხლოთ, საიქიოს ცხონებითო!

211

იყო და არა იყო რა. ღთის უკეთესი რაღა იქნებოდა. იყო ერთი ახალგაზრდა ხუცესი და ხავდა გვარიანი შეძლებული მჰევლი. თვითან ხუცესი დიდი მორწმუნე კაცი იყო. დღე და ღამე ლოცულობდა, ღთის ეშინოდა. ხალხშიაც ქადაგობდა, მარა მრევლს აფერი ეყურებოდა მისი. ამიზა საწყალი ხუცესი ნახევარი გზობა მძიერი იყო. აღარც საკურთხი მოქონდა ვინმეს და აღარც მოყვან ქორწილის და კტარის წაბურვის ფული. მარა ხუცესი მაინც გულხურვალეთ ლოცულობდა. „აი აფერია, ღმერთი მოწყალე და მომთფენია, როიცაა იქნება, გადმომიედავსო“, ფიქრავდა. ხუცესის მეზობლათ ცხოვრობდა ერთი დიდი ვაჭარი. დიდი ბარაქა და შეძლება ქონდა ვაჭარს. რა საქონელი გინდოდა, რომე იმასან არ გეშონა, ვოქრო და ვერცხლით ხო გაფსებული ქონდა ზანტუკები. ვაჭარი გაცნობილი კაცი იყო. ხენწიფესან ისე მივიდოდა, რავარც უბრალო კაცთან. ხუცესთანაც ჩქიფთე ჩქიფთეთ დეიარებოდა. უყვარდა მორწმუნე ხუცესი. იმას ბეჷრი ქოყონა ქონდა მორებული და ამისანა ღთის მოშიში ხუცესი მორე არ ენახა. ერთი გზობა ვაჭარმა მივიდა ხუცესთან და ქითხა: — „კაცო, შენ ამდონს ლოცულოფ, ასთე გიყვარს ღთის პატივისცემა და რატომ გაცხოვრეჶს ღმერთი მაგფერ ღარიბათო“. — „დიდება მის სახელს, ღმერთი მოწყალე და მომთფენია, მას არ უნდა სხვაფერათ. თვარა, რომ მეინდომოს, გამანდიდრეფს კარა, ნეფობასაც კი მიაოძებსო. ვაჭარმა აფერი არ უთხრა და პიჷარი დეიწერა.

მორე დღეს ვაჭარი ხენწიფისას იყო დაპაიჟებული. წეიღო ძღვნები, მოსაკითხავები და მივიდა გამოჭიმული. ხენწიფეს დიდი კამპანია ქონებოდა მოწყობილი. კამპანია რუმ გათავდა, ვაჭარმა მეუყვა ხენწიფეს ხუცესის ანბავი. ხენწიფეს ძალჷანი გუუკვირდა. „მოი, გამოვცთი ხუცეს, მართლა თუა ღთის ამჯერი მორწმუნე. რავარც ვაჭარი მიჩივავო“. გაგზანა კაცი ხუცესთან და დეიბარა მასან. მევიდა ხუცესი. მოჷიწებით თაყვანი სცა ხენწიფეს და „ღმერთმა დაგლოცოსო“, უთხრა. ხენწიფემ შორიდან დუუწყო ლაპარიკი: „გამიგონია, დიდი მორწმუნე კაცი ხარო, მეც მლოცველი ვარ, დეილოცა მისი სახელი, ღმერც ყოლთვის შესაწირავს უგზანი, რაც შემიძლია, ვმარხულოფ და ვლოცულოფო, თუ ბედი გაქ და ღმერთი გწყალოფს ახლა გამართთება, საცხა ძვირფასი მარგალიტის თვალი დამეკარქა, ვინცხამ მომპარა. თუ შენ იმას მომინახავ და მომიტან, ჩემ საბძანებელს მაშვინათე დაგილოცაკო“, უთხრა ხენწიფემ. რაღა უნდა ექნა ხუცეს. „ვხედავ, ღმერთი გამოცთას მიკეთეფს, იგი მოწყალე და მომთფენია და შემეწევავო“. ჯერე მეიფიქრა ხუცესმა და მერე უთხრა ხენწიფეს: „ბატონი ბძანდები, მოვნახავ თქვენს მარგალიტის

თვალს, მარა მომეცით სამი წელიწადი, სამი თვეი, სამი კვირე, სამი დღეი და სამი საათიო, თუ ამ დროიზა ვერ მუედი, მაშეინ კტარი ვიქნები და იგიავო“. ხენწიფემ დიეთანხმა. — „კიო, გაძლევ მაგ ვადასო, მარა თვერ ნახე მარგალიტის თვალი ისთე ჩემ სახენწიფოს მიწაზე ფეხი არ დააბიჯოვო“.

მორიდებულათ გამიემშვიდობა ხუცესმა ხენწიფეს. დეიკევა ხელჩი ბზაის დიდი ჯოხი, გააკეთებია ქალს საგძალი და გუუდგა გზას. ხენწიფეს კი გუნებაში უხაროდა, რომ ასთე ადვილათ მეატყუა ხუცესი. იი მარგალიტის თვალი ხენწიფემ, დედუფალი რომ მუუკტა, იმას ჩაატანა მიწაში და სასაფლაოზე იმფერი ეკტერი გუუკეთა, რომ ვეფერი სურიელი ვერ შეიძლებდა მის იქიდან ამოღებას. მარა თურმე დედუფალის სული გველეშაპს ქონოდა ნაყიდი. როცხა მოკტა დედუფალი და ეკტერში ჩაასვენეს, ღამე ჩუმათაი შევიდა იქინე გველეშაპი, შეჭამა კტარი და მარგალიტის თვალიც მეიმწყრია მუცელში.

ტყუილაი წევიდა საძებნელათ საწყალი ხუცესი. სა არ იარა. რა ქვეყანაში არ იყო, ვის არ ქითხა, მარა ყველაყაი უჩივოდა: „მაგფერი მარგალიტის თვალი არსა არ გვინახავს და არც აფერი არ გაგვიგონია იმის შესახეფო“. ამ ხანში ქე გევიდა სამი წელიწადი.. პაწაი ხანი კიდო და ხუცეს გუუთავდება დროი, მერე კი ველარ დაბრუნდება მის ქვეყანაში. გაჩერდა ხუცესმა ისოვლე და დეიწყო ლოცვა თან ტიროდა დუღარე კურცხალით და თან ეხვეწებოდა ღმერც: — „მოწყალევ და მამთფენო ღმერთო, ხელი მომიმართე, მომაძევიე სამე იი მარგალიტის თვალიო“. მარა არც ღმერც და არც კაც აი ლოცვა არ ეყურებოდა.

ერ დღეს ხუცესი შევიდა; უშველებელ ტყეში. შვა ტყეში რომ იყო შესული, ქე დაალამდა. შიეშინა ძალჭანი. „ნადირმა რომ არ შემჭამოს, ქაჯები და ეშმაკები მაინც გამაფუჭეფს აქანაიო“, ფიქრავს შეშინებული და მივა ტყეში. ძალჭანი რომ შიეშინა, ევიდა ერ მაღალ ხეზე. ქია ისე ახლა, მარა ძილი რავა მიეკარება. ხედავს, ტყეში დაგლიჯინობენ ნადირები, ხან ლომის ხმაი ეყურება, ხან ვეფხის და ხან კიდო ტურის ჭყავილი. უცფათაი ეძგერა უშველებელი ტახი ამ ხეს და კალამ დაანარცხა მიწაზე. ხუცესი ეიტანა შიშმა. კბილებმა დუუწყეს კანკალი. გადარჩა ამ საშინელ ანბავს. ჯერ შვაღამეზე კიდო არაა გადასული. ტყეში იმფერათ ბნელა, იმფერათ ბნელა, რომე თიც ვერ იკრავს კაცი თვალჩი. გეიხედა ხუცესმა რაცხა და მობარდღალოფს და მუაბრიალეფს ცოფიან თვალეფს. ახლა კი გადასწყვიტა: „ბეჯითათ შემჭამს. რაცხაა მუავო“. შეხედა და რას ხედავს, აი რაცხა სულდგმულია, პირდაპირ ამ კაცისკენ მუა. მევიდა ხესან და დეიწყო ზეთ აძოსლა. ხუცესი იწერს პიჯვარს, მარა შენც არ მომიკტე რავა ეპუება იგი რაცხაა, მივა და მივა ზეით, შეშინიბულ ხუცეს კალამ წუუვიდა სული. ამასობაში აი რაცხა იყო, ქე ევიდა ხუცესთან. შეხედა ხუცესმა, მარა რას შეხედავს, შენი ტერია იმფერი შესა-

ხედავი, რაცხა ბონძღვერი, რქებიანი და უშველებელი ფჩხილებიანი, გარედან თლა ბალნებით დაფარული, აბრიალეფს თვალეფს. ხუცესი ხმას ველარ იღეფს. ი მივიდა ხუცესთან და უთხრა: — „ნუ გეშინია, მე ეშმაკი ვარ, მარა არ გიზამ გლახასო, შენ რომ მარგალიტის თვალს ეძეფ. გასტავლი, ვინცხას აქ, ოღონ შენი სული მომეციო, თვარ მოგიცია სული, ახლავე ვირათ გაქცევ და სულერთია, ამ ტყეში ნადირები დაგჭამენო“. რა ქნას ხუცესმა, რაფერ უღალატოს ღმერც და რაფერ მიყიდოს სული ეშმაკს. არა და ეშმაკი არ ეშობა. ბოლოს მისა სული ეშმაკს. ეშმაკმა კი უთხრა: „ჩაი ძირს, იქინე გელი დაქხთება, შიაჟეი ზრუგზე და იგი მოგიყვანს იმ ალაგას, საცხა მარგალიტის თვალია შენახულიო“. ჩეიცვა ხუცესმა ანაფორმა და ჩევიდა ძირს. დეინახა, მართლა ქია გაჩერებული გელი. შიაჟდა ზრუგზე და გეიქცენ. ორი დღეი და ღამე ირბინა გელმა ტყეში. მიაჭიენ ერ უდაბურ ქვეყანაში. იმფერი ადგილი იყო, იმფერი, რომე კაცი არა, იქინე გაქცეული ტურაც არ მეიცთიდა. გელმა უთხრა ხუცეს: — „ძმობილო, აქანაი პაწაი დევისვენოთ და ამასობაში ვინცხასან უნდა მივიდეთ, იგიც მუავო“. დეისვენეს. უცფათ შეიქნა რაცხა წივილ-კივილი. ხედავს ხუცესი, რომ მორბიენ მისკენ ხუთი ეშმაკები. „ვინაა, რა სურიელია, რომ მოგვიყვანევო“, ქითხეს ეშმაკებმა გელს. „აიო, უთხრა გელმა, მამაშენმა გამომატანა და დამაბარა, რაც გითხრას, ყოლისფერი უუსრულეთო“. ხუცესმა უთხრა ეშმაკეფს: „ისე და ასეო ჩემი საქმე და რამენაირათ მარგალიტის თვალი უნდა მაშონიოთო“. შექნეს ეშმაკებმა სავეტი. ბოლოს ასტავლეს: „წაი, ეგერ რომ მაღალი გორა ჩანა, იქინე, აი იმის წვერზე, ნახავ ტურა დაქხთება, შიაჟევი ზრუგზე და იგი მოგიყვანს იმ ალაგას, საცხა მარგატილის თვალია შენახულიო“. ხუცესი წევიდა. ევიდა გორის წვერზე და მართლა დეინახა ტურა. მუაჟდა ზრუგზე და მუუსვა.

ვორი დღე და ღამე იარეს დუუსვენებლათ. რავარცხა იყო, ბოლოს მივიდენ ერ ტიალ მინდორში. „აქანაი პაწაი დევისვენოთ, ძმობილოვო“, უთხრა ტურამ ხუცეს. ჩამოხტენ და დეისვენეს. ამ დროს, სა იყო სა არა, გამოჩთა ერთი ყურდგელი. მევიდა აგინთან და დუუწყო კაცივით ლაპარაკი. „რა ხართ, რა სურიელი ხართ, რომ ჩემ საბძანებლოში უნებართვოთ მოსულხართო“. „ასე და ასეა ჩემი საქმეო“, მუუყვა ხუცესმა. „აპა თქვენ აქანაი მომიცადეთ და ჩემ ვეზირეფს დუუძახეფო“. გეიქცა ყურდგელი. შეიძახა რაცხა მისებურათ, „ვიო“ და ხელათ გაჩთა ამ ტიალ მინდორში სამი პაწა ეშმაკი. მივიდენ და ტურას დიდი მოწიწებით ჩამუართვეს ხელი. „აი ვილა მოგიყვანიავო“, ქითხეს ტურას. „ასე, ჩვენებმა გამომატანეს თქვენთანო“, უთხრა ტურამ. შიეხვეწა ხუცესმა აგენსაც: „რამეფერათ მასტავლეთ, სა შეიძლება ვნახო, ხენწიფეს რომ მარგალიტის თვალი მოპარეს, იგიო“. პაწა ეშმაკებმა ჯერე ყოლისფერი კაკლა-კაკლა გამოქითხეს. ჩეიწერეს რაცხა შავ ქახალჩი. მერე ხუცეს იმაზე

ხელი მუაწერიეს და უთხრეს: „გეიხედე ეგერ, თვალის სააწიერზე, შორე ალვის ხეა რომ ჩანა, წაი იქინე, აი იმის კატარში და იქირე გეტყვიენო". წევიდა ისოვლე ხუცესმა. სალამომდე მიაწია იმ ხესან. ძკილათაი ჰოპიტ-ჰოპიტით ევიდა ალვის ხეზე, მარა ვეფერი ვერ დეინახა. ქია ახლა ამ ხის კატარში ხუცესი, უყურა, უყურა, მარა მაინც აფერი არ გამუუვიდა. ამასობაში დალურსკუმდა. რავარც კი დაბნელდა, ხესან მოფრინდა ერ ჟი ჰინჰალაი და მიესალმა ხუცეს. „შენ აქანაი რამ მოგიყვანა, ხომ არ გინდა ახლავე გაგათავოვო", უთხრა შეშინებულ ხუცეს. „ასე, გამომგზავნეს და მიქენი კაცობა, მასტავლე. სადაა იი მარგალიტის თვალიო". „მაი რა საქმეაო, შემაჟეი ზრუგზე და მე წაგიყვანო", უთხრა ჰინჰალამ. შიაჟდა ზრუგზე ამხელა ხუცესი და გაფრინდა ჰინჰალაი. ორი დღეი და ღამე იფრინეს და ბოლოს მივიდენ ერ უშველებელ ტპასან. იქინე გაჩერდა ჰინჰალაი და უთხრა ხუცეს: „ამ ტპაში გველეშაპი ცხოვროფს და იმას აქ მუცელში მარგალიტის თვალიო, მოკალი გველეშაპი და მუცლიდან ამუუღევო". „მარა მე რაფერ შემიძლია მაგხელა გველეშაპის მოკლაო". უთხრა ხუცესმა. „მაი აფერია, მე ჩემ სატევარს მოქცემ, რავარც მევიდეს ქარი მუცელში და მოკალიო". ასტავლა ჰინჰალამ. მისა პაწა სატევარი და თვითან გაფრინდა.

მარტუაი დარჩენილი ხუცესი ხედავს, რომ მოდის გველეშაპი და მუაქ ცაი და ქვეყანა. დააფჩინა ქოყნის ხელა პირი და ქე ჩაყლაპა აი ჩვენი ხუცესი. მარა ხუცესმა არ შეშინდა. ხელათ ამეიღო ქარქაშიდან სატევარი და გამოშჰრა გველეშაპს მუცელი. გაფატრა და ფელიკ-ფელიკათ აქცია.

ნახა, რომე გველეშაპის მუცელში არც მარგალიტის თვალია და არც აფერი. „ვაიმე, რავა დევიფსე კაცი, ღმერთთანაც შევრცხვი და კაცთანაც, სული ქე გავყიდე და მარგალიტი მაინც ვერ ვნახევო". დაჟდა ისოვლე ხუცესმა და დეიწყო ტირილი. ტირის და ტირის. ორი დღეი და ღამე იტირა. ბოლოს საცხაიდან ქე გაჩთა აქანაი იი ეშმაკი, რომელცხას ხუცესმა მიყიდა მისი სული. „რა გატირეფს, ცმობილოვო", ქითხა ეშმაკმა, „რავა რა მატირეფს, კაცო, მომატყუე, სული წამართვი და მარგალიტის თვალი მაინც არ მანახვე, წმინდამა გიორგიმ შეგაჩვენოს შენცა და შენი მოდგმაცო".

წმინდა გიორგის გაგონებაზე ეშმაკი გეიქცა თავპირმოგლეჯილი. დარჩა მარტყუაი საწყალი ხუცესი. მისი დროი საცხა იყო თავლებოდა, მარა მაინც ვერ ნახა მარგალიტი. ტირის ხუცესი. ამასობაში მიწიდან ამოძრა ერთი პაწა თაგვი. „გამარჯობა შენი, ღთის მოციქულოვო", უთხრა ხუცეს. „ღმერთმა გაგიმარჯოსო", გამიესალმა ხუცესმა. „კაცო, რა გატირეფს, რა დაგემართა მაგფერიო". ხუცესმა მუუყვა თავიდან ყოლისფერი, რაც მას გადახთენოდა თავზე. „მაი რა საქმეა, ჟაცო, საქმე ყიყვზე მიგიყენებიია და ახლა რაღა გატირეფსო. შენ ეშმაკს მუუტყუე-

ბიხარ. მარგალიტის თვალი გველეშაპს მუცელჩი კი არა, თავში აქო“. ხუცესმა გაშჴრა გველეშაპის თავი, რომე ქე ნახა მარგალიტი, ძალჳანი გუუხარდა, თაგვს მადლობა გადუუხადა, ადგა და გახარებული წაძევიდა ხენწიფესან. დიდი ხანი იარა, რა ქვეყნები არ მეიარა, მარა ველარ მიაკლია მისი ხენწიფის საბძანებელი.

ამასობაში კიდეც გევიდა დანიშნული დროი. დარჩა რაცხა ვორი დღეი და ვორი საათი. სა არ იკითხა საწყალმა ხუცესმა, ვის არ მიეხვეწა „ამა და ამ ხენწიფის საბძანებლის გზაი მასტავლეთო“, მარა ყველაყამ ასთე უთხრა: „მაგფერი ხენწიფის სახსენებელიც არ გაგვიგონიავო“. გევიდა ხუცესი ერ დიდ გათალარებულ მინდორზე, დაჲდა და დეიწყო ტირილი. „მშვიდობით ცოლო და შვილო, აწი ველარ გნახავთო“. გევიდა ii ვორი დღეი და ვორი საათიც. გაკუჵებულმა ხენწიფემ, „ხუცესმა რავა მომატყუვაო“, მეიხმო ამ ხუცესის ქალ-ბაღანაი და ერთიანათ გამობუგა.

ტირის ხუცესი. გეიხედა, რომე გზაზე ერთი ზეკაზმული ცხენი მოდის. ნახა, ცხენს აფერი კაცი არ მოყობა. დეიჵირა ხუცესმა ცხენი და მუაჲდა ზრუგზე. ცხენი თურმე რაჲი ყოფილიყო და რავარც მუუქნია მათრახი, ხელათ გაფრინდა. სამი დღეი და ღამე იფრინა რაჲმა და ბოლოს, რავარცხა იყო, მიაწიეს ხენწიფისას. ხენწიფე გაკვირდა, ხუცესი რომ დეინახა. მარგალიტის თვალმა კი კალამ გადარია. ბოლოს ხუცესმა უთხრა ყოლისფერი, რაც მას გადახთა, ისიც არ დუუმალა, რომე მისი დედუფალი გველეშაპს შიექამა. „აწი რაღათ ღირს ჩემი ნეფობავო“, თქჳა ხენწიფემ და ტახტი დუულოცა ამ ხუცეს. ამან კი ხელათ გეიზრო ანაფორა, დაქორწილდა ხენწიფის ბზისუნახავზე და დეიწყო ხენწიფობა.

212

ერ საწყალ დედაბერს ხავდა ზარმაცი შვილი. ბაღნობიდან შეიძულა იმან მუშაობა და არ იქნა, ვერაფრის გულიზა ვერ გააქანებიეს ხელი. „ნენავ, შვილო, რაღა დროის შენი ბაღნობაა, აგერ შეიჯოშე კაძახი, დაფაცურდი, ხელი გაანძრიე, თვარა ხომ ხედავ, დავბერდი, მე მეტი აღარ შემიძლიაო“, უჩივოდა დედამისი. ბიჵი კი არხეინათ გააწოლდინებდა და თუ გამომძღარი იყო, მეზობლებისაკენ გუუყობოდა სალღაბუცოთ. „მე მიწა დასაჵმელმა, ერი შვილის პატრონი ვარ და ბაღნობას წელს რავა მოვსწყვეტ მეთქინ, ვიფიქრე, შივაჩვიე ალამცარიობას და ახლა ისე გაზარმაცთა, რომე სული როძ გერჯებოდეს, ერ ნიგუზალს არ წაგიწევს. ჩემი შვილის საყვედურს კარ უნდა ვჩივოდე, ჩემი დღეი მას შიემატა, მარა მიზდა რომ წახთა, იმას ვჩივიო“, — ეუბნებოდა საწყალი დედაბერი მეზობლეფს, „შვილი მტრულათ გაზარდე და მოყვარე იქნება შენიო“, ეუბნებოდენ დედაბერს მეზობლები. ბოლოს ვეფერს რომ ვერ გახთენ, ურჩიეს: „მოგვარე ქალი, ეგება ცოლ-შვილმა ჭკუაზე მეიყვანოს, თვარა მაგას მეტი აფერი არ უშველისო“.

გევიდა დროი. აი ბიჭი დააცოლშვილეს, მარა ძილის და ჭამის მეც არც ახლა აფერს არ აკეთეფს. საწყალი ცოლი დღეი და ღამე მუშავობდა. ბიჭი ჭამდა და სვამდა. ვეღარ ეიტანა ქალმა ამდონეთი გაჭივრება და ერ დღეს ქე წეიღო წერილი მეუსლელ ქვეყანაში. მეიყვანა მორე ქალი. ამასობაში ქე მოკტა გაჭივრებული დედამისიც, ახალი ცოლი ეხვეწება ამ ბიჭს: „ვოჯო, ხელი გააქანე, რამე წამეხმარე შენი ღთის გულიზა, რეიზა არ გეცოდება ბაღნები მაინც. შვილის გაკეთება მარტო ბაღურამც ქე იცის, მარა იგიც ზდის და მამობას უწევსო“, უჩივოდა საწყალი ცოლი, მარა შიატყობდა თუ არა, ამფერი ლაპარაკით ვერასფერს ასმენდა ქმარს, ისოვლე ჩეილაპარაკებდა მიზა: „რეიზა ვიტკივეფ ტყულაი თავს, მაგის ჩიჩინს ჯობია საქმე გავაკეთოვო“.

ერ დღეს ზარმაცი წირვაზე წევიდა. ნაწირობეფს რაცხა კას გუნებაზე დაბრუნდა. ცოლმა შეეკითხა: „რა შეიტყვე იმფერი, რომ ისე კას ხასიათზე დეუყენებიხარო“. კაცმაც უთხრა: „დღეს ღდელმა იმფერი რაცხეები იქადაგა, რომ მეც ისთე უნდა მევიქცევო“, „მაინც რა თქუა იმფერი, ბეჩა, ჩვენც გაგვაგებინევო“, შეეხვეწა ქალმა. „რაიო და აი ქვეყანა ერთი მინუთის საცხოვრებელიავო, ხვალიზა ნუ ზრუნავთო, საუკუნო სასუფეველი საიქიოავო. იქინე არც დიდრები და არც ღარიბები არიენ, თუ ამ ქვეყანას გლახა რამე არ გიქნია, ქრისტე სამოთხეში დაგაბრძანეფს. მუშავობა აღარაა საჭირო, გადიდევი ფეხი ფეხზე და იყავი ისევო; აი თლა ჩემი საქმეა და ამიზა მევიფიქრე, წევიდე საიქიოს და თქვენც წაგიყვანოთო“. ქალმა მიხთა, რაცხა ბარაქასან ქონდა საქმე, გულჩი ჩეიცინა და აფერი არ გეივოცა. ბოლოს უთხრა: „ყველაყაის ერთათ წასლა არ ივარგეფს, ეგება იქინე ადგილი ვერ ვიშოვეთ, ჯერ თუ მაინც და მაინც არ მეიშლი, შენ წაი და შენდან ანბავს რომ გევიგეფთ, სიზმარში, მერე ჩვენც წამოვალთ, ბაღნებსაც წამევიყვანო“.

აი აზრი მიეწონა ამ კაც. მარა ახლა იგი აკპოლებდა, თუ რაფერ უნდა წასულიყო საიქიოს, იქინე ხომ მარტო კტრეჭი მივილიენ. „ხოდა, მეც მოვკტები, არ ვჭამ, არ ვსვამ, თვალეფს დევჭუჭავ, ფეხეფს გავწვართავ, ხელეფს გულზე დევიკრეფ და ასე წავალო“, უთხრა ქალს. „საუცხოვო ახრია, ღმერთმანი, ბეჩავო“. ამგვარათ მოკტა კაცი. ცოლმა იყიდა კუბო და ჩაასვენა შით, ხოლოთ კუბოს პაწაი ჭიტინაი გუუკეთა, რომ სულის მოთქმა შეძლებოდა. პაწაი საჭმელიც ჩუუდვა და ტირილ-ყვირილით გაასვენეს ეკლესიაზე. იქიდან კი ანგელოზნეფს უნდა წიეყვანა იმ ქვეყანაში, სადაც უმუშიერათ ცხოვრობენ. ქალმა ღდელს წინდაწინ მიელაპარიკა და კუბო იმ ღამეს ეკლესიაში დაასვენეს. ყუროფს ყოლიფერს აი ზარმაცი, იგიც გეიგონა, თუ მისმა ქალმა და ბაღნებმა რაფერი კურცხალით და კივილ-ჩხივილით გამუასვენეს. კტარი იყო, თვარა უნდა ენუგეშებია, ვორი ღერი ტკბილი სიტყვა ეთქუა: „ნუ ტირი, გენაცვალე, სიკტილი არც იმდენი გლახა ყოფილა, რომ ჩივოდენ, არც აფერი მტკივა,

სულსაც ქე ვითქჟამ, ხელს ვერ გავაქანეფ, მარა პირს ვამუშავეფ, საჭმელს გიახლები და შიმშილით თავს არ ვიკლავ, აფერია, შენც მალე წაგიყვანო". მარა კტარი კაცი ცხადითაი ამფერ სანუგეშო სიტყვას ხომ ვერ ეტყოდა მის ქალს. „საჭმელი ეკლესიაში მისლამდი მჭირდება, თვარა მერე ჭამა რაღა საჭირო იქნებავო", გეიფიქრა იმან და მიჭუტა თვალები. ბევრი რამე მუაგონდა, ბაღნობა, ახალგაზდობა, დედამისი, პირველი ცოლი და უცეფ დეივიწყა ყველაყაი, პირაღმა წოლამ დაღალა კაცი.

ამასობაში მივიდენ ეკლესიასთან. ღდელმა გააღო ეკლესიის კარები და კუბო შავგულ ეკლესიაში დაასვენეს. დუუკილტეს კარები და წევიდენ. ზარმაცი დარჩა მარტუაი კუბოში პირაღმა დაწოლილი. კიდეც დაღამდა, აგერ შვაღამეც შეიქნება, მარა შენც არ მომიკტე, არ ჩანდა ანგელოზნები, რომ წეიყვანონ აი კაცი სამოთხეში. თურმე ჩუმათაი ეკლესიის სახურავზე ამ კაცის ცოლის ძმას პწკალაი უუყუდებია და ზეთ მივა. ამ კაც კუბოში ეყურება რაცხა ხმაურობა, „ჰა, მევიდენ ანგელოზნებიო", ფიქრავს საწყალი. გალურსული უყურეფს. ამ დროს რაცხას იძახის მისი ანგელოზი: „სპენა იყოს და გაგონება. მე გაბრიელ თავარანგელოზი ღმერთის ბძანებას ვკითხულოფ, ხვალიდან დიდი სახტარის აშენებას ვიწყეფთ, ახალმა კტრებმა სამუშიერზე უნდა გამოხვიდეთ, ვინცხას ხარი და ურემი არ მიგიყვანიენ, გოდორით უნდა ზიდოთ ქვაი და ხრეში ზღვიდან, ექვს თვეს თქვენი მოტანილი ხარჯით უნდა იცხოვროთ, ჩვენდან საჭმელი არ მოგეცემათ და ვინც წინააღმდეგქს ყოფთ, ვაი თქვენი ბრალი, გადაეცემით ჯოჯოხეთის კუპრში ჩასაგდებათ რეჯებ (!) ეშმაკსო". გამუამცხადა გაბრიელ თავარანგელოზმა.

ზარმაც შიშით გული კაღამ გუუსკტა. მისი ყურით გეიგონა ყოლისფერი, რომე „გოდრებით ქვები უნდა გაზიდვიოთო". ასტეხა ყვირილი ამ შავგულ ეკლესიაში. „ვინ ხარ კაცა, მიშველეთ, მუშავობას გამივექეცი და აქ ვარესი ყოფილავო, აქანაი ყოფნა არ მინდა, ისოვლე საარქავოს დავრჩები, გოდრით ქე მაინც ქვას არ მაზიდვიებენო". ყვირილზე გამეიღვიძენ მალაზნეფს, წამუუარდენ ზეთ, გააღეს ხელათ ეკლესია. ნახეს, რომე კტარი გაცოცხლებულიყო, აკანკალებულებმა ახადეს კუბოს თავი და დეიწყეს ლოცვა. ხელათ აფრინეს კაცა მის ცოლთან. ქალი მაშვინათე მევიდა და დაყვავებით წეიყვანა შინ მისი ქმარი. „თუ იქინეც სამუშიერი ყოფილა, საშველი აღარ ქონებია შენ საქმეს, გოდორით ქვაის ზიდვას ისოვლე ჯობია მჩატე სამუშიერს მოქიდო ხელიო", უჩივოდა მორე დღეს ქალი. ქმარი ახლა ყურადღებით უსპენდა ცოლს. მეტი რაღა გზაი ქონდა, დეიწყო ისევ მუშაობა. ღვდელთან მერე გზათაც არ გუუარია.

ამ ანბავს დაძველება. მომსპენს დღეგრძელობა!..

213

დიმიტრე ერისთავი იყო ბლუკუნე ენაში. ბერიძემ ბლუკუნე კაცი გუუგზანა. რომ მივიდა იქინე, „კითხა დიმიტრიმ, ვინ გამოგაგზანა შე აქანეო!

იმან უთხრა: „ბერიძემო."

ახლა აი ბლუკუნით უთხრა ერისთავმა და ბლუკუნით უპასუხა მისრულმა: „წერილი გამომატანაო."

მას ეგონა, ცინოდა აგი ლაპარიკში, იშპუნა ხანჯალი და კალამ მოკლა კაცი. მერე მიხთა მისი უბედურობა და დიეთხუა, თუ არა ქე კლიდა კაცს, პიწკზე გადარჩა ამით თუ არა. მევიდა მერე ბერიძესთან და უთხრა: „კი, ბატონო, გეწოვა შენი დაპაიჯგებული კაცი, მარა ქე მკლიდა, მისხალი დამაკლაო, მისხალიო, თუ არა გამიყრიდა იმ ხანჯალცო."

214

იყო ერთი ბერიკაცი და დედაბერი. ყავდენ ერთი ქალიშვილი. თურმე ყავდენ ნამეტარი ბლეზი ძაღლი. ერ საღამოს, თურმე, დაწვენ და [ეზოში] ჩამევიდა კოკროჭინები. დეიწყეს სიმღერა:

— ჰერი, ჰერი, ჰერი, კოკროჭინა, ნუღარ მღერი,
შეიპარე, გადასანსლე ბებერი და დედაბერი!

ძაღმა დეიწყო ყეფა და [კოკროჭინები] ეზოში აღარ ჩამუუშვა. მიორე დღეს ბერიკაცმა თქუა, რომ, წუხელის ძაღმა არ მაძინა და წავჰკრი იმას ფეხებს და ყურეფსო. წაჰკრა. დაღამდა; დაწვენ. ჩამევიდენ ეზოში კიდომ კოკროჭინები. დეიწყეს კიდომ სიმღერა:

— ჰერი, ჰერი, კოკროჭინა, ნუღარ მღერი,
შეიპარე, გადასანსლე მოხუცი და დედაბერი!

ძაღმა დეიწყო ყეფა, მარა იმას [ადგილს] იქით ვერ ექანებოდა. გადადენა კოკროჭინები მაინც ზეთ. გათენდა მიორე დილა; ბერიკაცმა თქუა:

„წუხელისაც არ დამაძინა ძაღმაო."

წაჰკრა კისერი და მოკლა. დაღამდა იგი საღამო, მევიდა კოკროჭინები და დეიწყეს კიდომ:

— ჰერი, ჰერი, კოკროჭინა, ნუღარ მღერი,
შეიპარე, გადასანსლე მოხუცი და დედაბერი!

ჩევიდენ შით და შევიდენ სახში. დედაბერი და ბერიკაცი ქე შეჭამენ. ტუმარა ქონდენ; ციცაჲ შით ჩასჭეს და ჭეიყვანენ. თქუჭეს, რომეო ახლა კაი-კაი გამძღარი ვართ და, რომ მოგვშივდება, მერე ვჭამოთო.

შევიდენ ერთ ტყეში. გამოქვაბულ წიფლის-ღრუში ქე ჩასჭა ციცაჲ, თვითონ კი წევიდენ. ერთმა მევიდა მერე. დუურაკუნა ტომარის თავზე, თუა შიო. კი იყო და წევიდა ისევ ლე. გამეიარა ერთმა მონადირემ. მოხავდა მეძებარი ძაღლი. გეიგონა ციცაჲს ტირილი. ჩასჭა ციცას ტომარაში ძაღლი. ციცაჲ წეიყვანა. დეიმალა შორს. მევიდენ კოკროჭინები. დუურაკუნეს ტომარაში ძაღს, აშუარდა უცეფ ძაღმა და ეცა. დაჭამა ყველა.

# ႠႽႠႰႳႪႨ

215

ართვინს იქით ორჯოყია, იქანაი ქართული იციან. გლიშამ თლათ თურქია. რაცხაზე მოვდა ქალი და იჩივლა. იყო სომეხი — მიხელ ნეფისო, და იმან დასწერა ი ქართული. იმან თქვა, რუმევო „ქმარმავო მარტყა ყაბზანი და მაგდო კარშივო“. „სა წევდავო,“ ხკითხა და: „ავათ დებული არისო“. ართვინს იქით ერ დღეს ჲარ და ძვილაჲ მიხვალ ორჯოყში. იმის მემრე ვოზდაათი წელიწადია, რუმ ვიყავი. ორჯოყის შესავალში „ხოდია“ და მეჰრე ორჯოყია. გლიშამ სულ ქვები და კარჩხლებია. იქა ვენახი, (ძ)ბალი, ზეჲთუნი და უმფო ბჴოლის ხეჲა ძალჲან ბევრი.

— არც კაცში, არც ქალში, არც ადამიანში მინახავს ამფერი ხმა.

— ხელი რომ არ მექნება. კლავი რომ არ მექნება, რით რჩენა ვქნათ.

იქითიდან რომ წამოსულიყო, სახლებ მოგვიდა.

— ბაბავ, ანნე ჰად არი. არ მოსულა აჯაბ.

216

ერთმა დიდარმა სიზმარი ნახა. ვინცხა გამჲემცხადა და უთხრა: სიმდიდრე სირიგნეში გინდა თუ სიბერეშივო. დიდარმა იფიქრა, იფიქრა და უთხრა, რუმე სიბერეშივო.

იყო და იყო, ერთი ძალიან დიდარი კაცი იყო. იმან ნახა სიზმარი, რუმ მისი ქონება უნდა დაკარქულიყო. იფიქრა იმან, რუმ დაველარიბდე და აჲ ქონება რუმ დეჲკარქოს, რა შევნახო, რა გევეცე, რა გადავარჩინო, რუმ თავი მჴკაროვო.

ამ დიდარმა კაცმა მალ-მალე წვერის გაპარცვა იცოდა და აჲ ქონება რუმ დეჲკარქოს, მე დალაქის ფული აღარ მექნებავო. გააღო კასის კარი და გარეჲტანა ოქრუები, მჴტანა დალაქს და მისცა. დალაქი ძალიან გაკვირდა, რაა ესავო. უთხრა დიდარმა: — ეს შენი ფულია, ეჲღევო. სიცოცხლეში რაცხა რუმე შენზე მოსაცემლათ დამჭირდება, მაშინ ფული ბელქი აღარ დამჩა და ერთქან მოგეცი სუნთელიო. აბა ერთი წვერი გამპარცევო, უთხრა. დაჲდა და დალაქმა წვერის გაპარცვა დჴწყო. ამ დროზე სახლიდან მჴარდა მოსამსახურე — სახლს ცეხლი წაჲკიდავო.

იმ დროზე დალაქმა შეშინდა და გაჩერდა. დიდარმა უთხრა:--ნუ გაჩერდები, გამპარცევო. ამ ხანებში მიორე მოსამსახურემ მჭარდა ამ დიდართან იქვე:—ჩვენი პარახოთი დეჲღუპავო. და დალაქმა კილავ გაჩერდა.

— ნუ გაჩერდეპიო,—უთხრა დიდარმა. ამ ხანებში კანტორა ხონია დუქნების, მჭარდა პრიკაშიკმა.

— ჩვენი ქალაქი, ხაზინები დეჲწვავო.—იმ დროზე კილავ შეჩერდა დალაქი. დიდარმა უთხრა:

— რას ჩერდები, ჩემი საქონელი იწვება, შენ გამპარცევო.—ამასობაში დალაქმა კიდეც გაპარცა. დიდარი წევდა თავის სახში. დეჲნახა, რუმ სახლი დამწვარი მისი ცოლ შვილი შიმლად დაყრილი. ამას მისბარაზე ალაფერი მიექევოდა. იფიქრა, იფიქრა, იფიქრა და ერთი რამე გამოჲფიქრა: მე ვიყავი ძალიან დიდარი, მქონდა მოწონება, თავის რჩენა, ცხოვრება და აწე მე ამ სოფელში აღარ დემეყენებავო.

ადგა და გევდა იმ სოფლიდან. იმას ხავდა ერი ქალი (ცოლი) და ვორი ვაჟიშვილი, წვიტი. წეჲყვანა ცოლ-შვილი და გაშორდა იმ სოფელს. მივდა ერ სოფელში და იმ სოფლის უმფროსი ნახა, ღამის გათევა უნდოდა, გაათია ღამე კიდეც. იმ სოფელს ერთი მწყესი კაცი უნდოდა და ხკითხეს ამ სტუმარ კაცს, რუმევო შენ მწყემსათ თუ დაგვიდგებიო.

ამ კაცმა იფიქრა—დუდგები მწყემსათო, და აგინს უთხრა. რუმ ცოლ-შვილი მყავს. ცოლ-შვილს თუ სარჩენს მისცემთ, მეც მარჩენთ. დიგიდგები მწყემსათო. იმ სოფლის უმფროსმა კაცმა გურიგდა მას, ბინაც მისცა და სამწყესურიც, გურიგდა თვიური, წეჲყვანა საქონელი და დეჲწყო წყესვა.

იმ დრომი მოგეხსენებიან, რუმე მაშინები (მატარებლები) და პარახოთები არ იყო. იმ დროში წაღება მოღება ქარვანით იყო, აქლემებით. ამ ქარვანის უმფროსი იყო ერთი ნაპეტარი დიდარი და ხემ (თან) ღონიერი. იმ სოფელში ი ქარვანი მოვიდა და დადგა. იმ სოფლის უმფროს უთხრა, რუმ მე ურუბა მაქ გასარეცხივო. იმ სოფლის მამასახნისმა უთხრა, კიო. და დეჲფიქრა იმან, რუმე ჩვენი წყესის ცოლი გარეცხავს და ფულს მეჲგებსო. ცოლმა გარეცხა, დაუთა, გააკეთა დიდრულა და ისე წაატანა. ნახა დიდარმა თავის ურუბა და გუკვირდა. ასე ვინ გარეცხავო. იკითხა:—ვინ არი აგიო?—აგიო ჩვენი წყესის ცოლი არისო.—უთხრა მუხტარმა.

დეჲფიქრა ამ კაცმა, რუმე აგი რაცხა დიდარი ხემწიფის კარზე გამოსული იქნებავო და ხამან ამ ქალს წავართუმო.

უთხრა თავის ქარვანს, რუმე თქვენ გადით ამ სოფლიდანო. თავათ მოჲცადა იმ სოფელში, უნდოდა ქალის მოტაცჲება. მუხტარს უთხრა, რუმ შენც მეჲცადეო. უნდოდა, რუმე იმ სოფლის ხალხი გაცლილიყო, წასულიყო საქმეზე და სოფელი ცარიელი დარჩენილიყო. გეჲცალა სოფელი.

მჭაწია სადილობა და უთხრა მუხტარს, რუმე აბა წემიყვანე, იმ ქალს მისი ანგარიში მიუსცევო. წეჲყვანა მუხტარმა, მივდენ ქალთან. ქალს უთხრა, ფული წეჲღევო. ქალჩა უთხრა, რუმ თუ შეჲძლებოდეს, მაგ მუხტარს მიეცი ფული და მან მომცესო. არაო, უთხრა დიდარმა, მარჯვენა ხელი გამოსწი, მარჯვენით უნდა ჩაგიდვა ფული ხელში, ეს მადლიავო. გუწვადა ქალმა ხელი, ფული უნდა ჲერთმია, წამოხკრა ხელი და ეჲტანა ამ ბეზირგანმა (მდიდარმა ვაჭარმა) ცხენის თერქზე, გასწია და წევდა. იყვირა მუხტარმა, დუძახა სოფელს, მარა არაბული ცხენით გეჲქცა და საით წევდა, ველარ გეჲგეს. ამ ღროზე დალანდა. ამ წყესმა მოდენა საქონელი. გეჲხადა თავის ბინაზე, რუმ მის ბოქმებს საქონლები აგორებდა. გეჲფიქრა: ნეტაჲ ქალი სად არისო. მუხტარმა უთხრა, რუმ ქალი დეჲკარქა, ბეზრიგანმა წეჲყვანაო.

მჭაგონდა უმანდელი მისი სიზმარი და მოისაზრა. უთხრა სოფელს, რომ ხვალ ერთი საგზალი გემიკეთეფ, საცხა წევდე უნდავო. გუკეთეს და წევდა. ბევრი ჲარა თუ პაწაჲ, ერთ დიდ წყალზე მივდა. წყალი ედიდა. ვორივე ბალნების ერთქან გაყვანა ველარ გაბედა და ერთი დატჲა გამოღმაზე. ერთი გეჲყვანა გაღმაზე და მოპრუნდა დიდარი. ამ ბოვშმა წჲეგება მაჰას წყალში. წყალი დიდი იყო, თავი ველარ შეჲკავა, ბოვში ასწია და წეჲღო. გამჲეკიდა ბოვშს, წყალი დიდი იყო, ველარ უშველა, წაართვა წყალმა.

მობრუნდა მჲერე ბოვშთან, გეჲხედა, რუმ მოჲრბინა ერმა გელმა და წაართვა აჲ ბოვში. ეს დალონებული კაცი წევდა. ცოტა იარა თუ ბევრი, ერთ დიდ ქალაქში მივდა. იმ ქალაქში თურმე ხემწიფე ყოფილა. მინისტრების საჲდომი ადგილი იქ ყოფილა და აჲ კაციც თურმე იქ მოხდა. მინისტრები სახემწიფო საქმებზე, ვაჭრობის საქმებზე, ლაპარიკობდენ. ამ კაცმაც გამოდგა და ჩჲერია ლაპარიკში. დიდი მძიმე, კაჲ მოლაპარიკე ყოფილა აჲ კაცი. მინისტრებს შჲეწონა და ამ კაცს ელაპარიკენ.

მიხგვარეს ხემწიფეს. ერ სოფელში დანიშნეს ზაფთიეჲს (მილიციის უფროსი) უმფოსათ. სადაც წევდა, ყოლიფერი გააკეთა და დაჯილდავეს. აგი დიდი ჰკვიანი კაცი ყოფილა და დანაბოლოს იმ ხალხმა ხემწიფეთ ეჲრჩიეს.

ახლა მოვდეთ ქალთან. იმ ბეზრიგანს უნდოდა აჲ ქალი ცოლათ შჲერთო, მარა არ დანებდა ქალმა. ქალმა უთხრა:

— მომეცი ხუთასი მანათი, იმით რუმ მილიონს მოვგებ, მაშინ წაკყვები ცოლათო.—მისცა—გადაყარა ფარა. მისცა, გადაყარა და ასე მიდის დრო. არ უნდოდა, რუმ ფული მიეგო და იმას ცოლათ გახტომოდა. ქალი არ ნებდებობდა მას და ასე ვაგლახათ მიდიოდა და ახლა მოვდეთ ბიჭთან.

აჲ ვაჟი, რუმელიც რუმე წყალმა წაართვა, იმ წყალზე თურმე ახლო იყო ერთი წისქვილი. იმ წისქვილის ღარში ერთი ბალანჲა გჲეჯხა

და წყალი დააყენა კიდაც. ამ წისქვილს წყალი გაუშრა. ნეტაჲ რაჲქნაო, იფიქრა მეწისქვილემ. ამოვდა ზეთ, ნახა, რუმე ერთი ლამაზი ბაღანაჲ მუდებია წყალს კოდზე, მეწისქვილეს შვილი არა ხავდა. აჲ ვაჲი ღმერთმა გამომიგზანავო, იფიქრა მეწისქვილემ და იშვილა. მას ეგონა, რუმე ღმერთი ასე აძლევს უშვილო კაცს შვილსა, და დუუწყო გაზრდა. აზარდა კიდეც. ეს ბაღანაჲ გამოვდა ძალიან ანცი, ასთე რუმ სოფელი შეაწუხა. სოფელმა ეს ბაღანაჲ თავრობით გაადენია. მეწისქვილემ იფიქრა, რუმ ამფერი შვილი რათ მინდა, ეს ღმერთის გამოგზანილი არ ყოფილაო. გუდგა და წევდა ეს ბიჭი.

მიორე ბაღანაჲ მგელს რუმ მიხქონდა, დეჲნახა ერთმა მენადირემ. ესროლა და მოკლა მგელი. გააგდებია ბაღანაჲ.

ნახა ბაღანაჲ—ძალიანი მჭევნიერი იყო, მოიწონა და ამ მენადირემაც წეჲყვანა ი ბაღანაჲ სახში და გაზარდა კიდეც.

მის იმაზე უმჯო ანცი გამოვდა აჲ ბაღანაჲ. ი ბაღანაჲც გადენეს. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ამ ორმა კაცებმა, ძმანებმა დაკარქულებმა შეიყარეს ერთჭან, მარა ერთქვანებს კი ვერ ცნობილობენ. იმ ქალაქში, სადაც რუმ მამისი მივდა, აჲ ბაღნებიც იმ ქალაქში მივდა. ამასობაში დიდი ხანი გევდა და ბაღნებიც დეიზარდენ. რაღა ბრევლი მოგახსენო, რავაც იქნა, აჲ ვორი კაცები იმ ხემწიფის სახში მიიღეს მოსამსახურეთ. ახლა მოგახსენო ამ ბედრიგანის და ქალის ამბავი. აგინი მივდენ ამ სახემწიფოში.

ბედრიგანს იმ ხემწიფესან საქმე აქ გასაკეთებელი და ნახა ხემწიფე თვითან ბედრიგანმა.

ხემწიფემ ყველაჲ საქმე გუკეთა. დააპირა წამოსლა შინ, ხემწიფემ არ გამუქვა. დახპაიჯა. იმან უთხრა, რუმე დიდებულო ხემწიფევ, მე მახლავს ცოლი თან და არ შემიძლია დაკტიო მარტოვო. ამ ხემწიფემ უთხრა, რუმ მე მყავს ვორი კაჲ იმისთანა ფალავანდები. რუმ იმ მოყოლაჲ არაფერს გუუშკებენო, და გააგზანა კიდეც. დადგა ეს ვორი კაცები ყარაულათ და ბედრიგანის ქონებას და ქალს უყარავლებს.

რაღა ბრევლი მოგახსენო, აგინი ღამე ყარაულობენ და ძილი მუვდენ. უთხრეს ერთქვანებს:—შენ, ასლან!—რა გინდა, ყაფლანო! აბავო თავზე გადანახტუნი ვილაპარიკოთო, რუმე ძილი არ მოგვივდეს და არაფერი დაგვაზარალონ აქაო. აფხანაკო, აბა შენ ილაპარიკე, რა გადაგხტენიავო. მე მოგახსენო: ჩემი მამა ყოფილა დიდი ვაჭარი და სიზმარი უნახავს, მისი ქონება გამქრალიყო უნდა. ამასობაში ამ ქალს გამიელვიძა და დუუყურა აგინის ბაასს. მამაჩემს იმდენი სახლ-კარი დასწვოდა, გაქცევლიყო, მჭყესად დამდგარიყო. ჩვენ ვორი იმაჲ ვიყავით. დედაჩემი და მე წაგკიყვანა, მამა დადგა მჭყემსად, დედაჩემი და მე დაგვტია სოფელში. მე და ჩემ ძმას დედაჩემი გვიარებოდა. და ამ დროს იმ სოფელში, სადაც რუმ ჩკენ ვიდექით, შამოვდა ერთმა ბედრიგანმა, რომელსაც სამასი აქ-

ლემი ყავდა დაჭვირთული და იყო ხემ ფალავარდი. იმას ხონდა თურმე ტანსაცმელი გასარეცხი. და იმ სოფლის მუხტარს უთხრა, რუმ ტანსაცმელი გაარეცხიევო. იმ სოფლის მუხტარმა დედაჩემს მუტანა და გაარეცხია. მუტანა ბედრიგანს გარეცხილი ტანსაცმელი, ბედრიგანს მისი გარეცხილი გუკვირდა. ამფერი ქალი არ მინახავსო და მე ამფერი ქალი მიხდავო და ამ ქალის მოტაცება მეინდომა* კიდეც. ი ქარავანი გაგზანა დილას ადრე და თავათ მეჲცადა სოფელში, უნდოდა რუმ ქალი წიეყვანა. ხალხმა გაწკრიძალდა, წევიდა-წამოვიდა მის-მის საქმეზე და სოფელი დარჩა მარტკაჲ. ბედრიგანი შეჯდა ცხენზე, მუხტარს უთხრა, ქალი მაჩვენე, ფული უნდა მივსცევო, და უთხრა ქალს: ხელი გამოსწი, ფული უნდა ჩემი ხელით ჩიგიყარო ხელშივო. იმავე დროს ქალმა ხელი წუწვადა. ქალს წამოხკრა ხელი და ეჲყვანა ცხენის თერქზე, გაჭენა და წეჲყვანა დედაჩემი.

მამაჩემმა რუმ გეჲგო ეს ამბვები, ამ სოფელში აღარ დიმეყენებავო. გასწია და წევდა. მივდა ერთ წყალზე, იფიქრა მან, ვორვე რუმ ერთათ წევიყვანო, არ დემერჩოსო. ერთი წეჲყვანა და ერთიც დატჲა გამოღმა. დაბრუნდა, მეც უნდა გევეყვანე. იმ დროზე წევეგებე მამაჩემს მე. თურმე წყალის ორმოში ჩევჭერი და წამიღო კიდეც წყალმა. გამომეკიდა მამა, მაინც ვერ მიშველა. მიხედა გაღმისკენ, ჩემი იმაჲც მგელმა წეჲღო თურმე. რაღა ბევრი მოგახსენო, ამომზარდა ერთმა კაცმა შვილათ, მარა მერე, რუმ გევზარდე. აღარ მიმიღო, გამდენა კიდეც. წამჭედი იქიდან და ამ ხემწიფესან დავდექი და მას აქეთ ქე ვარ აქ. ა-უ-აუ-უა-უა- შვილებო!.. მე ვარ აგი, მე, რუმელიც ბედრიგანმა მომიტაკავო. ნანატრი შვილები მეჲწვინა გვერდში. იტირა ბევრი, გეჲცნეს ერთვანები. ბევრი იტირეს, იხარეს, შემდეგში დასძინოდენ.

გათენდა კიდეც, რუმ აჲ ბედრიგანი მოვდა ნახა. რუმ მის ქალთან ვორი კაცი დაწოლილა. გეჲქცა ხემწიფესთან,—შენმა მწყემსებმა და შენმა ყარავლებმა დამაქციეს, ჩემ ქალთან დაწოლილანო. ხემწიფემ ძალიანი გაჯავრებით გამჭაგზანა იასავლები, დამჭირავები. მოვდენ ქალთან და კაცთან დასაჭირავათ. იმ დროზე ქალმა უთხრა. რუმ მიგვიყვანე ჩვენ ხემწიფესანო. მიიყვანეს, ხემწიფემ უთხრა, რუმ მოკალით, ვინც ამ ქალთან დაწოლილანო. ქალმან სთხვა, რუმე ერთი სათქმელი მაქ, მალაპარიკევო. ილაპარიკა და მოყვა, მას და მის ქმარს რა გადახდენია თავზე.

ხემწიფემ მაშინ მიხდა, რუს ეს ჩემი ცოლი ყოფილა და აგინი ჩემი შვილებივო.

ბრძანება გადასცა ჯელლათებს, რუმ ამ ბეზრიგანს თავი მოშჭარივო,—მოსჭრეს. ხემწიფეს ძჟაგონდა—ახალგაზრდობაში თუ სიბერემივო და მიხდა, რუმე სიბერეში ამიხთავო.

217

იყო და არა იყო, იყო ერთი ხემწიფე. მაგ ხემწიფემ თქვა, რომე ამეზღამ ჩემ ნადგომ გოროდში ცეცხლი არ ჯნდა გეხთოს. იმიზდა,

რუმე გევგო, ვინ იარება ჩვენი სიტყვით და ვინ არ იარება. ხემწიფემ თავის ლალეს (ვეზირი) ერთათ ადგა და წევდა, უნდა ნახოს, რუმ ვის გუნთია ცეცხლი. წევდა და მეჲარა გოროდი. დეჲნახა, რუმ არა ადგილ სინათლე არალი, და მარტო ერთ ოდაში სინათლე არი. მივდენ, აკოშკიდან შეჲხედენ, რუმ სამი გოგო არიან, სამნივე დიები. ერთი ამბობს, რომე სინათლე გავანათეთ, ფადიშაჰი არ დავთვალეთ—ნეტაჲ რა იქნება.

უმფოსმა დამ თქვა: მე რუმ ხემწიფე ცოლათ წამიყვანდეს, ერთ ოყა მატყლიდან ერთ ჩადრ მოვქსოვ მევო, იმისისხო ჩადრი იქნება, რომე ხემწიფემ თავისი ჯარით რუმ შევდეს შით, ნახევარი კიდევ ცარიელი დარჩესო.

მჲორემ თქვა: მე რომე ხემწიფე ცოლათ შემირთავდეს, ერთ კვერცხ იალიდან იმდონ საჭმელ გავაკეთებ, რუმე თავისმა ჯარმა ჭამოს და ნახევარი მორჩეს კიდევ.

მესამემ, პაწა დამ, თქვა: მე რუმ ცოლათ შემირთავდეს ხემწიფე, მე ისე არ ვიზამ. მე ჩიფთათ ბალნებს დავსვამ, რუმ სირმიანი ქოჩრები ჰქონდენ.

ხემწიფემ ლალეს უთხრა, რომე ესენი სამნივე ჩემი საფერი არიანო. იქიდან ეჲწერა ხემწიფემ ოდის ნომერი და მივდა თავის თახტზე. გაგზანა ყავაზი. მჟაყვანჲა ი გოგვები მასთან სამნივე. უთხრა, რომე სამნივენი გითხოვო უნდაო და სამნივენი ითხჟა. მერე უთხრა უმფოს გოგოს, რუმ აგერ ერთი ოყა მატყლი და მოქსჟე ჩადრიო. გოგომ უთხრა, რუმ ახლა არ იქს, რთველზე უნდა მეჲქსოვოსო.

მჲორე დას უთხრა ხემწიფემ. რომე ა ერთი კვერცხი ჲალი, გააკეთე საჟმელი, რომე ჩემ ჯარს ეყოს, ნახევარი მორჩეს კიდევო. იმ გოგომ უთხრა, რუმ არ იქს, რთვლის ჲალი უნდა იყვესო.

მერე მესამე გოგოს უთხრა: აბა შენ მეჲყვანე ბიჭები, დასვი—სირმიანი ქოჩრები რომე ჰქონდესო. გოგომ უთხრა, რუმ რა ჩამაფურტნე ჰაჭვში, რუმ წაგისვა პირზევო. დაწექი ჩემთანავო და მერე მომკითხე შვილებიო. ხენწიფემ დაწვა იმ გოგოსან. ი გოგო მძიმეთ გახდა. ცხრა თვე ათავდა. გოგოს მუცელი ასტკივდა. იმ ორმა დანებმა თქვეს, რომე ამან შვილები უნდა დასვას, ჩვენ რალა ვქნათ, რომ ვერ გავაკეთოთ ი საქმჲებიო.

მემრე ებეს მისცეს ბევრი ფარა, რუმ დასვამს ბალნებს, რაცხა მუშველე შენ, დაჰკარქე, რაცხა ქენიო. მას ხანში სირმის ქოჩრიანი ბალნები ქი დასვა მაგან ტყუბი—ერთი ციცაჲ, ერთი ბიჭი. მერე მაგ ებემ ეგ ბალნები ეჲყვანა, მუშამბაში შაახვია, პირი პირზე მჲადებია, ენაენაში ჩუდვა, ერთქვანების ენას სწოვენ ბალნები და დიდ ღელეში გადაგდო და წეჲღო წყალმა. მერე ი ებემ ძაღლის ლეკვები მეჲყანა, მელოგინეს ლოგინში ჩუწყო ჩუმათ. მივდა ხემწიფესან და უთხრა,

რომე უნდა გიმახარობლო, ამა პირშავათ ვარო. შენ პაწა ცოლსაო სირმის ქოჩრიანი (ოქროს თმიანი) ბაღნებინდა დჲესვა, ამა ძაღლის ლეკვები დასვაო. ხემწიფემ თქვა, რაღამც რომ ასე არის, მეჲყვანა ი მელოგინე და ჯამუშის ნედლ ტყავში გახვია, თავი გარეთ დუტია. გაწვიმდება—შიან 'ჰამეჲტანა, გამეჲდრება—გარეთ გამეჲტანა, მუჭიროს ამ ტყავმავო. ამაზე ხემწიფე გახელდა. დღეში ცოტა რამეს აჭმევდა. ეს ავადყოფი იმ ტირილში დავსტიოთ იქ.

უმფოსი ვორი დაჲ გახარებული არიან ახლა. ეს ბაღნები წეჲღო წყალმა, ერთ მეწისქვილეს ღარაში ჩეჲყვანა, ჩაგდო და გაჰკეტა ღარაში. მეწისქვილემ თქვა, რომ ეს წისქვილი რატომ დადგა. წევდა, ნახა, რომ მუშამბაში გახვეული ორი ბიღანაჲ. თურმე ი მეწისქვილე უშვილო დევია. წეჲყვანა და თავის ქალს მიახარა, რუმე ჩვენ შვილი არ გვყავს, აჰა და ღმერთმა მოგვცა შვილიო. ამ ქალმა აწუა თავის ძუძუ, აწუა და რძე 'შუვდა. ენა დეჲსწავლეს მათი, დევის ენა. ბაღნები გახდენ თხუთმეტი წლის. ბიჭმა იფიშმანა, რომ ჩვენ ამისი შვილები არ უნდა ვიყნეთ. ესენი სხვა ჯინსი არიან, ჩვენ სხვა ჯინსი ვართ. ამ ბიჭმა თქვა, რუმე ჩვენ აღმა ღელე-ღელე წევდეთო. ამით ჲარეს, ჲარეს და იმ ხემწიფი შეჰერში ევდენ. მივდენ ერთ ადგილ, ერთ ყანაში ერთი კოლიბაჲ ნახეს. ორივე დადგენ იქ. მერე მემშივნენ. ბიჭმა უთხრა თავის დას, რუმ შენ აქ იყავი და მე გავალ შეჰერში და პურს მევტანო. წევდა ამ ბიჭმა. მივდა შეჰერში, ერთი ფურუნჯი ნახა. ბევრი პურები ჰქონდა ფურუნჯის გამოცხობილი. ბიჭ ფარა არ ჰქონდა, ენაც არ იცოდა. ეჭყირა, ეჭყირა, ეჭყირა და საღამჲემდი იქ დარჩა. მერე ფურუნჯის შეეცოდვა და ერთი პური ტყულიაჲ აჩუქვა იმიზა, რომ ლალი ეგონა. წეჲღო ი პური თავის დასთან და კოლიბაში მივდა. უთხრა, რომე ერთი ფურუნჯი ვნახე. პური მომცა, ეჲდა ახლა, ვჭამოთო. მჲორე დღეს კიდევ წევდა. მივდა, საღამჲემდი კიდევ იქ უყურა. ორი პური კიდევ მიცა იმ ფურუნჯიმ, წეჲღო თავის დასან. მესამე დღეს კიდევ წევდა. ორი პური კიდევ მიცა იმ ფურუნჯიმ—მესამე დღესაც. ფურუნჯიმ იფიშმანა, რუმე ეს ბიჭი საღ მიდის. უჩუმარაჲ უკნიდან გამჲეკიდა და წახვა ამას. მივდა ბიჭმა კოლიბაში, იმანაც მიხვა, ნახა, რომ ლამაზი გოგო და ბიჭი არიან ერთად ორივე. ესენი წამეჲყვანა და წამოვდა შეჰერში. ეს ფურუნჯი იყო უშვილო. ქალს მიახარა, რუმევო შვილები ვიშვე მევო. ქალსაც გუხარდა და იშვილეს. მჲორე დღე დილას ხემწიფე მიდის სანადიროს—თავის ლალეს ერთათ, თავის ყავაზების ერთათ.

ბიჭმა მანამდი ენა შეჲსწავლა და ფურუნჯის უთხრა, მეც და წავხყვე სანადიროსო. წევდა, მარა ცხენი არ ჰყავდა. ხემწიფეს და მის ყავაზებს ჰყავდენ ცხენები. ერთ ადგილზე რომ მივდენ, გამოშპა ერთი ირემი. ვერავინ ვერ დეწია. იმ ბიჭმა ფეხდაფეხ დიესხრიკა, მიეწია,

დეჲჭირა ირემი და მუ̂ყვანა ხემწიფეს. მერე ვეფხი გამოშპა ერთი, ისიც იმ ბიჭმა ფეხდაფეხ მეწია და დეჲჭირა. მერე დათვი დეჲნახეს, ეგეც დეჲჭირა, ყურში ჩატანა და მეჲყვანა ხემწიფესთან. ამასობაში დაღამ-და და წამოვდენ შეჭერში.

საღამოზე ხემწიფემ თავის ცოლებთან ილაპარაკა, რომე ამფერი, ამფერი საქმე გააკეთა ერთმა ბიჭმაო. თავისმა ცოლებმა გეჲგეს აზ-რით, რომე თუ არის ის ბაღანაჲა, ჩვენ რომ წყალში გადავაგდევით. ებეს უთხრეს, რომე წადი და იმ ბაღნებს უშველე, დაჰკარქე საცხავო, თუარა შენ უნდა მოგკლათო. ბებიამ მივდა ფურუნჯისთან და გოგო ნახა. უთხრა, რუმ კაჲ ძმა გყოლია. ვეფხი დეჲჭირა, დათვი დეჲჭირა, ირემი დეჲჭირა. შენი ძმა ცოდვა არის, უცხენო დადის, ცხენი არ ჰყავს, რა ვქნათ, არ გვყავსო გოგომ უთხრა.—ებემ უთხრა, რომე არსიან თაზე ერთი ჲელ ყირათი (ქარის ცხენი) არისო. წევდეს და მეჲყვანოსო. გოგომ თქვა, თუ̂ არ წევდა, მე რა ვქნაო: მერე ბებიამ უთხრა, რუმე გჲებუტე, მაშინ წავა და მეჲყვანსო. მერე მისი ძმა მოვდა კიდევ სანადიროჲდან. სახლ-ში გოგო დამჟავებული დეჲნახა. უთხრა, რუმ: ჩემო დავ, რა გინდა, რომ დამჟავებულხარ, დაქრეჯილხარო. უთხრა, რუმ ამდენი ხემწიფის ხალხი ცხენით დადიან, და შენ, ჩემო ძმაო, ფეხით დადიხარ, იმიზა ვარ დაქრეჯილიო. ძმამ უთხრა, რომე ცხენი ჰად ვიშოვო, რომ არ ვიცი, ჰად არი ცხენიო? გოგომ უთხრა, რომე მე გასწავლო ცხენსაო, კაჲ ცხენსაო. აბა მასწავლეო,—უთხრა ბიჭმა.—არსიან თაზე არის ჲელ ყირათი ერთი, წაჲ და მეჲყვანევო. ბიჭმა თქვა, რუმ მე იქიდან ცხენს ვერ მოვყვანო. გოგომ უთხრა, ილლაჰგნდა მეჲყვანოვო. ამ ბიჭმა ადგა და რომელიცხა დევმა გამოზარდა, პირდაპირ იმასთან მივდა. ნახა. სელამალეჲქუმ, ალეიქუმსელამ. უთხრა, რუმ, შვილო, ჰა წახველით, ჰა დემეკარქენით, თვალები დევთხარე ტირილში. ალლაჰ შიქურ, მოხვე-ლით. ბიჭმა უთხრა: მამჲობა-დედჲობა ბევრი მიყავით, მარა კიდევ უნდა მიყვოთო. იმისთვინ, რომ მე მივალ არსიან თაზე ჲელ ყირათის მოსაყვანათო. მერე დევმა უთხრა, რომ, შვილო დაბრუნდი, შენი საქმე არაა, არ წახვიდე, არ წახვიდეო, მე ილლაჰკნდა წევდეო (აუცილებლად).

აბა რაღამცდა წახვიდე, ცოცხალი მოსლა არ მგონია შენი. თურ-მე ი ებემ მოუსლელ გზაზე გაგზავნა იგი. დევმა უთხრა, რომე რა-ღამც უმ მიდიხარ, აბა მე დემიყურე, რაცხანდა გასწავლოვო. უთხრა, რუმ ორი ფუთი ბამბა წეჲღე და შვიდი ფუთი შარაბი. მიხვალ არსიან თაზე. იქ არის ერთი ავაზანი. მიხვალ. გამოსცლი იმას და ბამბით გა-მოხოცავ და შვიდ ფუთ შარაბს ჩაასხამ შით. ჲელ ყირათის სასვამი წყალი ეგონება, ჰოდა, გაზარხოშდება. ლაგამი ონაგირზე ჰკიდია. მო-ჲტანე ის ლაგამი და ამოდე პირში. ჯოდა, შეჯექ ზეთ, მაშინ ენაზე მუ̂ა ცხენი. დეგელაპარაკება შენ. გეტყვის, რომე რა გინდა, რაც უნ-და შენ სულ-გულს მთხუ̂ე, თუკი მუ̂ახერხე—მოხვალ ცოცხალი, თუ̂ერ მუახერხე, კტარი ხარ დხ ველარ მოხვალ.

დჲემშვიდობა იმ ბიჭმა დევსა და წევდა იქიდან. მივდა არსიანის თაზე. როგორც უნდოდა, ისტე გააკეთა და ცხენი ჩეჲგდო ხელში. უთხრა ცხენმა, რომ რა გინდა შენ, რას მთხოვ? შენ ადამიანის შვილი იყავი, ასტე მოხველი და დამიჭირე,— რა გინდა, რას მთხოვო,— უთხრა, რომ მე ამ მინუთში უნდა მიმიყვანო ქორდევთან (ცალთვალა, ბრმა). მიიყვანა ქორდევთან. ქორდევს გოჳხარდა. ქორდევმა დააბარა, რომე შვილო, ფრთხილათ იყავი, მტერი ბევრი გყავს შენაო. მივდა ფურუნჯისთან. დილაზე რომ გამეჲარა ხემწიფემ, კიდევ წაჰყვა ცხენით. რაც ნადირი იყო, დააგლეჯია ცხენს დედამიწა, მოჰყარა ჯოგივით ნადირი, ხემწიფესთან მეჲყვანა და ჩააბარა. ხემწიფის ქალებმა უთხრეს ებეს, რუმე შენ გამოსაფუჭავო, კიდევ მოსულა ი ბიჭი, უშველე რაცხავო. ებემ უთხრა, რუმე თქვენ ნუ გეშინიან, ახლა იმფერ გზაზე გავაგზავნო უნდა, რომ მისდღემჩი აღარ მოვდესო. მერე ებემ მივდა იმ გოგოსთან კიდევ. უთხრა იმ გოგოს, რომე მე თქვენთვის კაჲ მინდაო, ცხენის პატრონი გაგხადეო. ახლა კიდევ ერთი კაჲ რაცხა უნდა გასწავლოვო.

ჲესემენ შეჰერში (ქალაქი) არის ჲესემენ გულის ჲაღლუღი, რუმ შვიდი ხემწიფე მაგას ფას ვერ ჳთავებს, იმნაირი ჲაღლუღია. რაღამც რუმ შენი ძმაჲ სანადიროს დადის. შენ მარტვა ხარ, ი ჲაღლუღი გექნება და ითამაშეფ. ებემ დაბრუნდა და წევდა. ქალებმა უთხრეს, რომ რა ქენიო? ებემ უთხრა, რომ ნუ გეშინჲა, მოუსლელ გზაზე კი გავგზანე ახლაო.

საღამოს რომ ბიჭი მოვდა თავის დასთან, უთხრა. რომე, ჩემო ძმაჳო, ჲესემენ შეჰერში, ჲესემენ გულის ჲაღლუღი ყოფილა და ილლაჰცნდა მომიტანოვო. ადგა ბიჭმა და მივდა ქორდევთან კიდევ. უთხრა, რუმ სა მიხვალ, შვილოვო. ბიჭმა უთხრა, რუმ ჲესემენ შეჰერში მივალ, ჲაღლუღი უნდა მევტანოვო. ქორდევმა უთხრა, რუმე შენი არსიანისთა არ გეგონოს, მაქ ნუ მიხვალ, დაბრუნდიო. ბიჭმა უთხრა, რუმ ილლაჰ მივდივარო--აბა თუკი წახვალ, ცხენი რასაც გიმოწმებს, იმას ყური მიეცი, იქოვრობა მე არ ვიციო. შეჟდა და წევდა. მივდა ჲესემენ შეჰერში, იქ თურმე განიერი წყალია იმფერი, რუმ გამფრინვალე ჩიტიც ვერ გავა ზეთ. ცხენმა მოვდა ენაზე. ბიჭს უთხრა, მე რომ შემჟდები, უზენგი შემომკარი იმ ზომ, რომე დემეწვას ვერცხლები. ხოდა, ცხენმა გამეჲსხა ფთები, გასცურდა და გევდა წყალში. მივდა, ერთი სახლი ნახა. შევდა შით, რომ ერთი ბერიკაცი არის. თვითონ ერთი ტკაველია, წვერი ორი ტკაველი აქვს. უთხრა, რუმ, მობძანდი, შვილოვო. ჲაღლუღი შენი ყიზმეთი ყოფილა. და მისი ხელით ჩააბარა ჲაღლუღი ბიჭსა. წამეჲღო და წამოვდა ბიჭმა. გამოვდა წყალი გამოღმაზე. მოვდა ქორდევთან. ქორდევს გოუხარდა. უთხრა, რუმ, შვილო, აღარავისი სიტყვა არ დეჲჯერო, ამჟერ საქმჲებზე აღარ წახვიდე.

ბიჭი მივდა ფურუნჯისთან, მჶტანა ჲალლული თავის დას. ეს გეჲგეს ხემწიფის ქალებმა, რუმე კიდევ მოსულა. ებეს უთხრეს, რუმ ან შენ უნდა გაგცვითოთ, ან ჩვენც და თავი მევკლათ. ებემ უთხრა, რომე ახლა იმფერ მოუსლელ გზაზე გავგზავნი, რომ მისდღემჩი ველარ მჶა. ხელმჲორეთ მივდა ებემ გოგოსთან კიდევ. უთხრა გოგოს, რომენ, თქვენთვინ იმდონზე კაჲ მინდა, რომე ცხენის პატრონი და ჲალლულის პატრონი გაგხადე. ახლა კიდევ ერთი კაჲ რაცხანდა გასწავლო. „მინა“ შეჭერში ერთი „უჩმერჯან“ ხანუმია და შენ ძმისთვინ ცოლათ კარქია იგი, შენ მარტვაჲ ნუ ხარო: თავისი ძმაჲ რომ მოვდა, უთხრა, რომე მე მარტვაჲ ვარ, წახვიდე უნდა და უჩმერჯან ხანუმი მეჲყვანო მინა შეჭერიდანო.

ბიჭმა თავის დას დოუჯერა და წევდა. მივდა ქორდევთან. ქორდევმა უთრა, ჰა მიხვალ, შვილო კიდევო. უთხრა, რუმე მინა შეჭერში მივალ, უჩმერჯან ხანუმინდა მევყვანოვო. ქორდევმა უთხრა, რომე, შვილო, ეს ნამეტარი ძნელი საქმეა, დაბრუნდი, სახში წადიო. უთხრა, რომე მაინც და წევდევო, და გასწია და წევდა. მივდა მინა შეჭერში. გახედა, რომ ერთ დიდ მინდორში ცხენოსანი ფეხოსანი ქვა გამხდარან. თურმე ერთი სტექანია ჩამოკიდული. ვინც იმ სტექანს ცხენზე ჟდომი ქვას მჶარტყამს და გასტეხს, იმას წავჭყვები მევო. ვინც გჶქნია და ვერ მჶარტყა, ქვა გამხდარან. ამ ბიჭმა შეჟდა ცხენზე და დეჲჭირა სამი ქვა ხელში. ერთი გოუქნია იმ შუშას ვერ მჶარტყა, მუხლებამდი ქვა გახდა ცხენიც, თვითონაც, ერთი კიდევ მეორედ გეჲქნია, ვერ მჶარტყა. წელამდი ქვა გახდა ცხენიც, თვითონაც. მესამედ გეჲქნია, მჶარტყა.

ვნახოთ, რომ ერთი ლამაზი გოგო მოვდა. თურმე უჩმერჯან ხანუში ის არის, მეჲტანა წამალი, წოუსვა და ქვა გასცვინდა წელ ქვეშ ცხენსაც და მასაც.

გოგომ უთხრა, რომ შენი ბედი მე ვყოფილვარო და წამიყვანე, ახლა წევდეთო. ქალმა უთხრა, რომე ორ-ორი ვაშლი წევლოთო. მოვდენ ქორდევთან ორვე. გოჶხარდა ქორდევს. გოგომ აჩუქვა ერთი ვაშლი ქორდევს, ერთი მის ცოლს. ჭამეს და გახდენ თორმეტი წლისა ორივე. ქორდევს ხონდა ერთი თავსახური ქულახი. დეჲხურევდა თავზე, ვერავინ ვერ დეჲნახევდა მას. ეს ასწია და აჩუქვა უჩმერჯან ხანუმს. მემრე მოვდენ ფურუნჯისთან. ხემწიფემ მეჲთხჶა ი ბიჭი და მეჲყვანა მასთან, ძალიან უყვარდა, რომ ჩემის ერთად დადის სანადიროსო. უჩმერჯან ხანუმმა დააბარა ბიჭსა, რუმე ხემწიფე დაჭპაჲჯე და მეჲყვანევო. ხემწიფის ქალებმა გეჲგეს, რომ კიდევ მოსულა ი ბიჭი. ებემ უთხრა, რომე უჩმერჯან ხანუმი ფერი—ფადიშაჰის (ხემწიფის) გოგო არის, მე ველარაფერს უშველი, იმას დუნჲაზე არაფერი გადურჩებავო. ხემწიფემ უთხრა ვაჟს, მე რას მპაჲჯობ ჯარიანათ, შენ საჲშოვენ იმდენ საჭმელსო. ბიჭმა უთხრა, რომე ჩემ ხათრისთვინ ერთ დღეს ჯარი გყავ-

დეს მშიერი და შენაცაო. ათასი კაცი წეჲყვანა ხემწიფემ და წევდა მივდა, რომ უჩმერჯან ხანუმს ათასი ჩადრი დუ̄დგამს. თითო კაცი თითო ჩადრში შეჲყვანა. იმისთანა საჭმელები მუ̄ტანა და აჭამა, რომ ხემწიფეს მისდღემჩი არ დოუნახავს.

უჩმერჯან ხანუმმა დეჲხურა ქულახი თავზე, გააკეთა მამლის სურეთი ოქროჲთ. გააკეთა ოქროჲს ტალიკი, ზედან ტალიკზე დვია ერთი კაკალი ოქროჲს სიმინდი. ახლა ხემწიფეს ელაპარიკება უჩმერჯან ხანუმი.

ქულახი აქ თავზე, ხემწიფე ვერ ხედავს, ლაპარიკი ესმის. უთხრა, რომ, ჩემო მამავ—ხემწიფევო. უკაცრავათ, ერთი საბმური უნდა გითხრა შენავო. მიბრძანე, ვინცხაჲ ხარო, უთხრა ხემწიფემ. უჩმერჯან ხანუმმა უთხრა: „ოქროჲს მამალი, ოქროჲს სიმინდის კაკალს შეშჭამს თუ არავო“. ხემწიფემ უთხრა, რომ სული კი არ უდგიაო, არ შეშჭამსო. უჩმერჯან ხანუმმა უთხრა, რომ თუკი ეგ კაკალს არ შეშჭამს, ღმერთის გაჩენილი ადამიანი, „ქალი—ძაღლი ლეკვ რაფერ დასვამსო? შენმა მესამე ქალმა დასვა სირმაქოჩრიანი ბაღნებიო. შენ ებემ მოგატყვილა და მოგიყვანა ლეკვებიო. შენი შვილები იყნენ ერთი გოგო, ერთი ბიჭი, გადაყარა წყალშიო. საცოდვავი მელოგინე ქალი ამდონი ხანჲა ჯამუში ტყავში რატომ გყავსო. რეჲზა არ შეგცხვებაო. ეს ბიჭი არის შენი შვილი, ფურუჯისთან რუმ გოგო არის, იგიც ამ ბიჭის დაჲ არის, წყვილათ დასვა დედამისმავო. მეც ვარ შენი რძალი, მეჲხადა ქულახი და მაშვინ დეჲნახა ხემწიფემ. მუ̄აყვანჲა ხემწიფემ ის ბიჭი, ის გოგო და ბითევმა მეჲყარნენ ერთათ. მივდენ და ჯამუში ტყავიდან გამეჲყვანეს ი მელოგინე ქალი.

თავისმა გოგომ და უჩმერჯან ხანუმმა დაბანეს, მოუ̄ვარეს და გამოკეთდა ქალი. ხემწიფის უმფოსი ქალები წეჲყვანეს და ჩაყარეს წყალში. ებე მუ̄აბეს ყირათის კუდზე, გუ̄შვეს და დააწეკვიეს. ორმოც დღეს იყო ქორწილი მაგათი. სუყველამ ნახეს ერთმანეთი, სუყველამ გეჲხარეს ლამაზათ. სადაც გაჭირვებული ხალხი არის, იმფრად გაახაროს ღმერთმა. ეს ჩვენი ზღაპარი მოთავდა ამ ადგილზე.

## 218

მივდა ერთი გლეხი ერთ ადგილზე, ნახა, რომ ერთი ახალგაზრდა ბიჭი ტირის ერთ ახალ მეზელულზე. გლეხმა კითხა ახალგაზრდას: რეჲზა ტირი, ვინ არის მაჲ ახალდამარხული? უპასუხა ახალგაზრდამ, რომ რა გითხრა, არ ითქმება აჲ ჩემი ამბავი, რადგან ბევრი რამ გადამხდა თავზე.

გლეხმა უთხრა: უნდა თქვა, რაც გადახდენილი გაქვს შენი ამბავიო.

ამ ახალგაზრდამ დეჲწყო ლაპარაკი. ჩემი მამა იყო ნეფე ერთ ქვეყანაში. ძალზე მოხუცი ყოფილა, შვილი ანაგებათ არ ყოლია ერხან

მერე კი მოხუცებულ დროზე მე ვყოლივარ. სახელათ დჳრქმევიან ჩემთვის ჯიჰანშაჰი. ექსი წლის მემრე მამამ გამგზავნა საკითხავში. დავამთავრე სტავლა და ვიარებოდი თავისუფლათ.

ერჯელ წაველი სანადიროთ ამხანაგების ერთათ და ვნახევით ერთი ირემი. მაგრამ ვერასფრამდინ ვერ დევიჰირეთ. ბევრი ვდიეთ. ირემმა გეჲქცა ზღვისკენ. ზღვაში იყო ერთი პატარა ხმელეთი, იმ ადგილზე გევდა და დაწვა.

მე და შვიდმა ამხანაგმა ჩავჯექით ფელუკაში და გევედით იმ პატარა ხმელეთზე. დევჰირეთ ირემი და დავკალით. ხორცი ჩავდევით ფელუკაში. ჩვენც ჩავჯექით შით და გამოვემგზავრეთ.

იმ დროში ერთი უბედური ქარი და წვიმა ამოვიდა. ამ ქარმა წეიღო ფელუკაჲ, სხვადასხვა ქვეყნებში გადაკარქა. როდისაც რომ გამოჲდარა, გავახილეთ თვალი, ვნახეთ, რომ ის ქვეყანა არ მოგვწონდა. დავაკავეთ ფელუკაჲ და გევედით ხმელეთზე, ვნახევით ერთი ქალაქი და შევედით შით; იქ სულ მაიმუნები იყვნენ. ამ მაიმუნებმა მოგვეფერენ ჩვენ, დაგვპატიჟენ, საჭმელები და ლოგინი გაგვიმზადენ. ვორი დღის მემრე მოგვიტანეს ერთი ძველი წიგნი და წევიკითხეთ ი წიგნი. სწერია შით, რომ ვინმე თუ მოვა, ადამიანები, აქა ნუ შეშინდებიან. იყავით აქანაჲ ამ მაიმუნებთან და უხელმძღვანელეთ. აქედან გასავალი ადამიანებთან ძაან ძნელი არის. გაფუჭდები, ადამიანის ქვეყნებში რომ წახვიდე. გასავალს თუ იკითხავ, ადამიანის ქვეყნებში სამხრეთით 3 წლის სავალი გზა არის, ჩრდილოეთით ვორი წლის სავალი, ამოსავლეთით 1 წლის და ჩასავლეთით 3 თვის სავალი გზა არის. მაგრამ გზებში გავლა ძნელი არის, ამისათვის, რომ სხვადასხვა გარევლი ნადირები არიან ადამიანის მჭმელებიო; ასეთი გვიპასუხა იმ ისტორიამ და დიდი გვეწყინა, რომ ველარდა გევიდეთ ჩვენ ქვეყანაში. გაგვიწყდა წასლის იმედი. დავრჩით ერთხან მაიმუნებთან. საჭმელი და სასმელი სუყველამფრამდინ ბლომათ იყო, მაგრამ იგინი მაიმუნები იყვნენ და ჩვენ, ადამიანები, ვერ გავძელით. კარგი ხნის მემრე გევემზადენით წასასლელათ. ვნახეთ, რომ ჩვენი ფელუკაჲ თავის ადგილზე არ იყო. თურმე დჳმტვრევიან მაიმუნებს, არსად წევდენო, მემრე გევემზადენით წასასლელათ ჩასავლეთიდან ხმელეთით, რომელიც 3 თვის სავალი გზა იყო. გამჶარჩიეთ საჟდომათ დიდვანი ძაღლები. იმ ქვეყანაში ცხენი არ ყოფილა და ცხენის მაგივრად ძაღლებზე ჟდებოდენ. ამისათვის ჩვენ გამჶარჩიეთ ძაღლები და ერთ კარქ ღამეში გევპარეთ დასავლეთიდან. ბევრი რამ გადაგვხთა, მაგრამ რაჲღა ვილაპარაკო. 7 ამხანაგებიდან ერთიც არ გადამირჩა. მე თვითონ საბრალო ჯიჰანშაჰმა ერ დღეს გადეველი იმ გლახა საზღვარიდან. მიველი ერთ მდინარეზე. გაღმაზე ქალაქი დევნახე. შით ადამიანები დადიან. მე ძალ გამიხარდა. გაველი რამენაჲრათ გაღმა. შეველი სასადილოში. ვისადილე. მემრე უთხარი იმ ადამიანებს, რომ

რომელი ქვეყანა და რომელი ქალაქი არის ეს მეთქი. იგინმა იმ ქალაქის სახელი მითხრეს. მიდღემჩი არ მქონდა გაგონილი იმაზე, უთხარი, რომ აქიდან სხვა ქვეყანაში რამდენი დღის სავალი გზაჲ არის მეთქი, რუმ აქიდან ინდუეთში ვორი წლის სავალი გზა არისო. ინდუეთიდან ვორ წელიწადში ერთჯელ მოდისო ვაჭრები, ყიდულობენ საქონელს და მიაქნენ. მე, საბრალო ჯიჰანშაჰმა, ვიფიქრე, რომ მოვცადო და რუმ მოვლიან ვაჭრები, წავხყვე და ისე მივდე ჩემ ქვეყანაში. დავრჩი იქა. პატარა ხნის უკან ერთი მდიდარი კაცი იძახის ქალაქში: ათას ალთუნ მივცემ, ერ ხელ ტანისამოს მივცემ კიდევ ღამეში ერთ ლამაზ გოგოს შუ̄გორებ ოდაში და დილას ერთი საათის საქმე გამიკეთოსო. ვინც იქნება, ასეთი მოვდეს ჩემთან ამეზღამო. არავინ ყურადღებას არ აძლევს. მე. საბრალო ჯიჰანშაჰმა, ვიფიქრე, რომ მაგას რა ჯობია: ათას ალთუნს რომ ერთ საათში მოვიგეფო, სულ რომ რა ძნელი საქმე იყოს, გუ̄ძლებ. დამიძახა იმ მდიდარმა, რომ მოდი ჩემთან, არაფელი საძნელო საქმე არა მაქვს. წაველი იმ მდიდართან. იმ ღამეს კარქა მომიარა... დილაზე თავ-ტანი დამბანეს, კაჲ ტანისამოსი ჩამაცვეს, მეჲყვანეს ვოთხი ცხენი. ერთზე მე შემაჟდინეს, მეორეზე თვითონ მდიდარი შეჟდა და ვორი ისე წამოჲყვანეს. მე, საბრალო ჯიჰანშაჰმა, რა ვიცი, რა უნდა მიყონ. ისე კი მეშინია, მარა ჯერეთ უყურეფ. წაველით ვოთხი საათის გზაზე. მიველით ერთ მთი ძირში, იქ დევსვენეთ. მას შემდექ ერთი ცხენი იქ დაკლეს. მე კი ჩუმათ ვფიქრობ: რა საქმე უნდა დამავალონ, და თან მეშინია. მას ხანში დაკლული ცხენი გახადეს, გაშჭრეს და ფუში გარეთ გამოაგდეს. მემრე მითხრენ, რომ ამ ცხენის მუცელში უნდა შეხვიდე ფაშვში, იქ დეჲძინებ, იქ რაცხა სიძმარს ნახავ, მემრე გამოჲ და გვითხარი. ეს არის ჩვენი დავალება; მეტი არაფერიო. მე, საბრალო ჯიჰანშაჰმა, ვიფიქრე, რომ აჲ სულ ადვილი სამუშავო ყოფილა; იმ გოძორძლოში შესლიხან მითხრა მდიდარმა, რომ მაჲ ტანისამოსი გეჲხადე, რომ გაგირუხლდებაო. მაჲ ჩვენი მოცემული ათასი ალთუნი მოგვეცი, ჩვენ შიგინახავთ შენ გამოსლამდიო.

მე, ჯიჰანშაჰმა, რა ვიცი, რომ რაში არის საქმე. გევიხადე ჩემი ტანისამოსი, მიველი მდიდარს. ის ფულიც მიველი შესანახავად მდიდარს. მე შევძვერი იმ ცხენის მუცელში და ჩემი შესასლელი ადგილები იმ მდიდარმა ამოკერა, მე კი დავჭუჭე თვალები, ვითან სიზმარი უნდა ვნახო; ამ ყურებაში აჲ გოძორძლო გეჲქანა, დეიწყეს აქეთ-იქით რწევა. მეგემ კლდი კაპნებიდან მოფრინდენ არწივები, აწიენ ცხენის გოძორძლო და მაღალ კაპნი თავზე გეჲტანეს და იქ დუ̄წყეს მეგემ ჭამა. ერსალიკაჲ გაფრიწეს გოძორძლო და საბრალო ჯიჰანშაჰმა გამოვყევი თავი გარეთ და რავარცხა გამოვძვერი, გევხედე, რომე იმ გოძორძლოს დუნის (ქვეყნის) ყორნები და არწივები დასევია. ჩემ დანახვაზე აფრინდენ და ცა დაებლენეს. მივხედ-მოვხედე, არაფერ ალაგიდან ჩასავალი არ აქ

იმ დიდ მთას. მემრე ქვეით გადავხედე, რომ ი დიდარი კაცი დამცქერია და მიძახის: ჯიჰანშაჰო! მაქანაჲ ძვირფასიანი ოქროს ქვიებია და გადმოყარე. მემრე ჩამოსასლელ ადგილ გასწავლი და, რომ ჩამოხვალ, შენ ფულსაც შენ მიიღეფ, იმ ოქროშიც ნაწილს მიიღეფო. მას შემდექ გადუყარე ის ქვიები. აფსეს ხურჯინები, მოხკიდეს ცხენებს და წეჲღეს. მე კი უძახი, რომ რეჲზა არ მასწავლი ჩამოსასლელ ადგილს. იმას არაფელი არ ესმის. მოხკიდეს ის ოქრო ცხენებს და წეჲღეს. მე კი, საბრალო ჯიჰანშაჰმა, იქ დავრჩი, ვერსაიდან ჩამოსასლელი ადგილი ვერ ვნახევი. თურმე იქ იმტონი ადამიანის ძვლები არის, რომ არ დეჲთვლება, დევწყე ტირილი, მეც აქანე უნდა მოვკვტე ამ კტრებთან-მეთქი. იმ მდიდარმა კი წეჲღო მისი მოცემული ფული და ტანისამოსი, მე კი არაფერი ჩამოსასლელი გზა არ მასტავლა. სამ დღეს იქანა ვიტირე და მემრე დევიფიქრე, რუმ აქ სიკტილს გადავვარდე და მოვკვტე, ის შჯობია. ვნახევი დაბალი ადგილი. წეველ ნელ-ნელა. დიდი მწვალებით ჩეველი ძირში და იქ დავიბნიდე. კარგი ხნის მემრე გამევღვიძე. ავდექი, დამტვრეველი ნელ-ნელა წეველი. თურმე სხვა ქვეყანაში გადავსულვარ, მიველი ერთ ადგილზე და ერთი რკინის კარი ვნახე, გავაღე კარი და შეველი. შიგნ ლამაზი კორდი. პატარა იქით გავხედე, რომ ერთი ალთუნის სტოლი, აქეთ-იქითიდან სკამებიც დვია, ისინიც ალთუნისაა. ერთ სკამზე ერთი კაცი ზის. იმ კაცთან მიველი, მითხრა: შვილო, საჲდან მოდი. აქანაჲ ადამიანი ვერსაჲდან ვერ მუ̃ა. მე უპასუხე, რაც გადამხთა ჩემს თავზე. შევეცოდვე იმ მოხუცს და მითხრა: იყავი, შვილო, ჩემთან, მემრე მე გაგაგზავნი შენ ქვეყანაში. მე უთხარი: ბაბუა, შენ რას შრები აქ მარტუაი? მიპასუხა: მე ჩიტების ფადიშაჰი ვარ. წელიწადში ერთხელ მოვლიან აქანა ფრინველები და იბაჲრამებენ. მე იგინებს ყურადღებას ვაქცევ. ერთი წლის მემრე მოვლიან, შენ მაქნამდი მოიცადე, რუმ მოვლიან, შეგაჲდენ ერთ ჩიტზე და გაგიშვეფ შენ ქვეყანაშიო. დავრჩი იქანაჲ.

ცხრა-ათი დღის შემდექ ადგა ბაბუამ და მითხრა: მე ახლა მთიებზე, სერებზე მიალ, იქ უნდა გევგო, ჩიტები რაფერ არიან და ექსი თვის მემრე მუალ სახლში. მარემდი შენ ყურადღება მიაქციე ამ სახლსო̃. კიდვენ დამიბარა ჩიტების ფადიშაჰმა, რომ ეგერ რკინის კარი რომ არის, ი არ გა̃ღო, თუ̃არა იქ არიან ლომები, ღორები, დათვები, მგელები და შეგჭამენო. თვითენ გუ̃დგა გზას და წევდა. ხუთი თვე ვიყავი ისე, არ გავქანებულვარ. მემრე ძალჲან მომეწყინა და ნელ-ნელა დევწყე სიარული, ვიფიქრე, მოდი, ერთი პაწას გავაღრინჭებ რკინის კარს და შით შევჭიტინეფ-მეთქი. პაწაჲ გავაღე, არც ლომებია და დათვები. შით ლამაზი ბაღი ჩანდა. შეველი შით, რომ რა გინდა, სულო და გულო, რომ იქ არ იყოს, ხილი, ყვავილები. შით ერთი ლამაზი საცივი გადმოდის, ალთუნის ღარზე, და დიდ ალთუნის ჰაუზში ჩადის. მივგო-

რდი ერთ ვაშლის გრილში და წამეძინა. პაწა ხანს მემრე გამეღვიძა. გავხედე, რომ იმ საცივთან მოფრინდენ სამი მტრედი და დაჟდენ. ძე კი ვერ მხედვენ. მე კი ჩუმათ ვემზირები. ამ ყურებაში იმ ტრედებმა სამნივემ ლამაზი გოგოვები გახდენ. გეიზრეს ტანისამოსი, ჩევდენ იმ ჰაუზში, ტპაში და დეიწყეს ცურვა. იგინში ერთი უმფო უნცროსი ნამეტარი ლამაზი იყო და ძა̄ნ მომეწონა. იმის სიყვარული გულში ჩამუ̄არდნია და თურმე დავბნედილვარ იქანაჲ. კარჭა ხნის მემრე მოსულა ი მოხუცი ჩემთან და წყალს მისვამს პირზე. მის ხანში გამევღვიძე. დევწყე ტირილი, აჲ რა დამემართა მეთქინ. ბაბუამ მითხრა: რეჲზა შემოხველი აქ, იგინი „ფერი ფადიშაჰის“ (ფერიათა მეფის) გოგუ̄ები არიან. იგინი წელიწადში ერთხელს მოვლიან, ამ საცივში იბანვენ და ისევლე წავლიან. მე კი შევეხვეწე ბაბუას, რომ რამენაირათ უნცროსი გოგო მათხოვნიე. მიპასუხა, რომ ი პაწა გოგოს „შემსიბანო“ ქვია. იგი შენ არ მოგყვება, თუ მას პერანგს არ მოპარავ. მე უთხარი: რაფერნდა მოვპარო-მეთქი, მიპასუხა, რომ ისინი კიდევ მოვლიან ერთი წლის მემრე და მაშინ მოიპარეო.

მე, საბრალო ჯიჰანშაჰმა, შევცადე ერთ წელიწადს, კიდევ ვემზირები იმ ბაღში, რომ მოვდენ კიდვენ ტრედებმა იმ საცივთან. მე კი დევემალე. დევნახე, რომ გეჲზრეს ტანისამოსი, ჩაცვინდენ იმ ჰაუზში და დეჲწყეს ბანვა. ჩასლიხან უმფროსმა გოგომ თქვა: გახედეთ, არვინ იყოს ახლოვო. უნცროსმა გოგომ სთქვა, აქ ჩვენს მეტნი ვინ უნდა იყოსო, და ჩევდენ ჰაუზში. ი ბანვაში მევეპარე და შემსიბანოს პერანგი ჟვლევი. მას ხანში იმ ვორმა გეიქცნენ და ის ერთი კი დარჩა ტპაში, დამიწყო ხვეწნა; მომეცი, მომეცი ჩემი პერანგიო. მეც უპასუხე: ერთი წელწადია შენთვის ვემზირები და ახლა რაფერ გაგიშვებ, ძალვან მიყვარხარ. პერანგი არ მივეცი. კაბა ჩეჲცვა და მოვდა ჩემთან. წამუ̄ედით ერთად და მუ̄ედით ბაბუასთან. იმ ბაბუამ გვაქორწილა.

ბევრი ხნის მემრე დიდვანი ფრინველების ერთათ გაგვამგზავრა ბაბუამ ჩემს ქვეყანაში ჩემი ცოლის ერთათ. წამოსლიხან კი დამაბარა, რომ მაჲ პერანგი შენტანიდან არ მეჲშორო, სანამდი მაქიდან შვილი არ გეყოლებავო, მარემდი ტანზე ქონდესო, მადლობა ვუთხარი ბაბუას, დევემშვიდობე და წეველით სახლისაკენ. მიველი სახლში. მამას და დედას ძალვანი, გუ̄ხარდა, ჩემ დედ-მამას ჩემი თავი კტარი გონოდენ. როდისაც უცფათ მიველი, გუ̄კვირდენ, ძალ გუ̄ხარდენ.

დევიწყე ცხოვრება, ბევრი ხნის მემრე ი პერანგი ტანზე ვერ გევთიე და გევძრე. ჩავდევი რკინის შკაფში და სახლის ტუ̄არში ჩავაშენე, ზეთ სახლი გავაკეთევი. მეფემ აფერი არ გუ̄კავდება. გამეჲღო ი შკაფი და გასტეხა, ამეჲღო პერანგი, აფრინდა ზეჲთ და დამიძახა: ჯიჰანშაჰო! დემენახვე, შენ შენ დედ-მამასთან მოხველი, ჩემი დედ-მამა კი ტირიან. სად ვარ, იგიც არ იციან. შენ თუ ჩემი თავი გინდა, იკითხე ქალაქი „გევჰერი“ და მოდი, ჩემი მამა აქანაჲა.

მე კი დუძახევი, ნუ წახვალ, ნუ დამტევ, ძაან მიყვარხარ. მანაც კი მითხრა—მეც მიყვარხარ, მარა მამამ არ იცის, თუ სად ვარ მეო, და გაფრინდა. გეჲარა და წევდა.

მე კი დავრჩი, დევწყე ტირილი. მამამ მითხრა: ნუ ტირი, შვილო. წევდეს. უკეთეს ქალს გათხოვნიეფო, მე უთხარი მამას, რომ მე თუ მათხოვნიებ, ისევლე ის მათხოვნიე, სხვა მე არ მინდა.

მამამ გუშვა ხალხი ქალაქ გევჰერის საძებნელათ, მარამ არ იქნა და არ იქნა, ვერ ნახეს. მეგემ არვის არ გუგონია ი ქალაქი. მე, საბრალო ჯიჰანშაჰმა, წეველი თვითონ ინდუეთში. გზაში ვფიქროფ ჩემათ: თუ მიშველის, ისევლე ის მოხუცი ბაბუა მიშველისო. ვორი წლის განმავლობა'ში მიველი, პირველათ რომ ხოჯამ მომატყუა და წამიყვანა, იმ ქალაქში. მიველი, გავხედე, რომე ი ხოჯა ისევლე იძახის: ათას ალთუნ მივცემ, ერთ ლამაზ გოგოსაც შუგორვებ ოდაში, დილით ერთი საათის საქმე გამიკეთოსო. არვინ ყურადღებას არ აძლევს. უთხარი, მე მუალ. მე კი ვიცოდი, მარამ რაღა უნდა მექნა, გასავალი იქიდან მქონდა, სხვა გზაჲ არ ვიცოდი.

წამიყვანა ხოჯამ. მაჭამა კარგი. დაწოლი ხან ერთი გოგო შამომიგზავნა მას შემდექ გათენდა. წამეჲყვანეს კიდვენ ცხენები, წამიყვანეს მეც. მიმიყვანეს კიდვენ იმ მთის ძირში, დაკლეს ცხენი და მითხრეს, რომ შედი ამ გოძორძლოში, შით სიძმარს ნახავ, გამოჲ და გვითხარიო, აგია ჩემი საქმევო. მემრე აგიც მითხრეს: მაჲ ჩვენი მოცემული ფული და ტანისამოსი მოგვეცი, შაგინახავთ, შით გაგირუხლდებავო. მე უთხარ, რომ არ მოქცემთ, გარუხლდება ჩემია, თქვენ ხომ არ გაძლევ-მეთქი. მითხრეს—არავო, ჩვენ შაგინახავთო. უნდებიან, როდუტიო ფული, ტანისამოსი. როგორც წინ არ ვიცოდი და დამატევიეს ფული, ისე უნდებიან კიდევ. მე კი ვერც მცნობილობენ. არ გამიზრია, არც ფული მივეც, ისე კი შეველი. იგინმა ამოკერენ. დუყურე, რომ ი გოძორძლო აწიეს, რაცხა დადვეს და დეჲწყეს აქეთ-იქით წეწვა. გაფრიწეს და გამუედი გარეთ. დასევიან არწივები და ყორნები. მე რომ გამუელი, გაჲქცენ. გედევხედე ქვეჲთ, რომე ი მდიდარი მემზირება. დამიძახა, რომ მაქანაჲ ალთუნის ქვიები არი, ძვირფასიანი, და გადმოყარე. შენც გაგინაწილეფ და ჩამოსასლელ ადგილ გასწავლიო. გადავძახე, რომ მე ვიცი ჩამოსასლელი გზა, რაც მომატყუე წინათ, იგი გეყოფა. მაშინდელი ჩემი ფული შენთან არი, კიდვენ ოქროს ქვები უნდა გაგენაწილებია, სა წეჲდე. მე ახლა დევსწავლე ჩამოსავალი.

ჭაველი იქიდან იმ დაბალ ადგილზე, დიდი მწვალებით ჩაველი ძირში. მიველი ბაბუასთან. ბაბუამ მიხდა, რომ შემსიბანო გაჲცეიავო. მითხრა მოხუცმა: ხომ დაგაბარე, რომ პერანგი შენი ტანიდან არ მოიშოროვო, რეჲზე გეჲძრევო. უპასუხე: რა ვქნა, შევცთი და გემექცა ცოლი; რაც შეჲძლება, შენდა მიშველო. მითხრა: რა გიყო, იგინი მემრე აღარ მოსულან მას შემდეგ. მე უთხარი: თუ იცი ქალაქი გევჰერი. წასლიხან

მითხრა, მოდი, ი̓ქანაჲ და წამოგყვებივო. მე არ ვიცი, მარა მეჲცადე. ფრინველები მოვლიან, იგინს ეცოდინებიან და გაგაგზავნი. ცოტა ხნის მემრე მოვდენ ფრინველები. ბაბუამ კითხა: თუ̓ იცით ქალაქი გევჰერიო. ფრინველებმა თქვენ, რომ ჩვენ არ გაგვიგონიავო. ერთი ექსასი წლის ფრინველი იყო. იმან თქვა, რომ მე ვიცი საძღვარი და ქალაქი არ ვიციო. უთხარი მე: მიმიყვანე იმ საზღვარზე და იმას იქით ჩემით წავალ-მეთქი. შამიჯდინა იმ ჩიტმა და მიმიყვანა სამძღვარზე. დამტია იქანა და თვითვენ გაფრინდა და წევდა. მე კი წეველი. ბევრი ხნის მემრე მიველი ქალაქ გევჰერში. ვინახულე ნეფე. თურმე ყოფილა შემსიბანოს მამა. ვილაპარაკე ჩემი ამბვები, მადლობას ვეტყვი, რომ უარი არ მითხრა. მას შემდექ შამოვდა შემსიბანო, ე. ი. ჩემი საცოლე. ბევრი საყვედური უთხარი, რეჲზა დამტჲე და გამეჲქეცი. მიპასუხა, რომ ძან კაჲ მიქნია, იმისათვინ, რუმ სიყვარული გევგევი, მამაც დაგინახავსო. მეტი თავი რაღა გაგაწყინო, ვიქორწილევით და წამევყვანე ჩემ სახლში. მუ̈ედი მამასან. ძალ გუ̈ხარდა. დევწყევი ცხოვრება გახარებული და გულდაგულვებული.

ვორი წლის მემრე ინატრა დედ-მამა ჩემ ცოლმა და წევყვანე მოსამლელათ თავის მამასან.

წეველით, რამდონი გზა გევვარეთ. ცოტა ვიარეთ თუ ბევრი ვიარეთ, მიველით ერ ადგილზე და დევლალევით. დავჯექით... დევწყევი ლოცვა, მას ხანში თურმე მოვდა მგელი, დეჲჭირა ჩემი ცოლი და დახჩო. მოვტრუ̈ალდი, ვნახე, რუმ დუ̈ხჩვია. ევლე ჯოხი და ურტყი მგელს. მგელიც მოვკალ, მოვკალ, მარამ რაღა დროში, რომ ცოლი მომიხჩო. მემრე მოვყვანევი აქანა და დავმარხევი. ძალ მიყვარდა. დიდი მწვალებით შერთული მყავდა. ამისათვის ვსტირი ამ „მეზერზე“ (საფლავზე). შით იმყოფება ჩემი შემსიბანო,—დუ̈თავა იმ გლეხს ამბვები ჯიჰანშაჰმა. იმ გლეხს გუ̈კვირდა, დიდი შჲეცოდვა. ადგა და წევდა გლეხმა. იმან კი დარჩა. ჯიჰანშაჰმა იქვე ამოთხარა მიწა და მოკტენამდი იქ უცადა. როცა კტებოდა, ჩაწვა მეზერში და იქ დალია სული. იმასაც დაყარეს მიწა.

ცოტა ხნის შემდექ ერთი ია ამოვდა ჯიჰანშაჰის მეზერზე და ერთი ია ამოვდა შემსიბანოს მეზერზე. იგინმა გეჲზრდენ და ერთმანეთ გადაჲეკოჰენ.

219

კაჲ სანახველია არაბეთი, მაქიდუნია, მესოპოტამია, ათინა... არაბეთში ვჲარებოდით პარახოთით, აქლემით და ჰეჯინით. აქდენიზი დარდანელიდან დეჲწყება, თეთრი ზგლუ̈ა, მემრე შობის ზგლუ̈ა... არაბეთის ველიები რუმ იწყებ̃, სილაის მეტს ვერაფელს დეჲნახავ, მარა სილაჲ ცგხელია, დაგწუ̈აუ̈ს. ხიები სადაა? შევაჯედით აქლემს და ჰეჯინაზე. წინ არაბი წიგვიძღუ̈ა. აქლემები ყლაპვიდენ ხურმის ბურკებს და მემრე იცოხნიდა. არაბმა სულ მღერობით წიგვიყუ̈ანა. არაბებმა

ნემეტარი კაჲ მღერობა იციან. დადნები კაცი! სკრიპკაჲს დაკრა კიდომ იციან. რუმ გა̄ქცევს გამყოლი ჰეჯინს, უცეფ შემოგიხტება უკინიდან. ძალუმ შიმეშინა. მამაჩემა უთხრა, რუმ ქალი არ შიმიშინოთო! გეჲხედავ და სილაიდან ამოძუ̂რებიან არაბები; თხოვნილობენ საჭმელს, გაქცარცვავენ თუ̂არა, მოქკლენ გზაუ̂რს. ჩქარა-ჩქარა გამოშთებოდა „ჯებელ“-ქუ̂ის მთიები (თათრულა ასე ეტყვიან); ღმერთიდანაა გაჩენილი: ქარი ვერ ეჲტანდა ხუმ ქუ̂ებს... დღეჲ ვერ წახუ̂ალ. ქვქონდა დიდუ̂ანი ზონტიკები („სემსიები“), პალატკაები. ღამეჲ ვჲარებოდით, თვარე რომ ამუა. შუ̂ალამეხამ სილაიდან გამოძუ̂რენ არაბები და რუმ დიგვინახენ, შამიეხვია კრუგომ ჯარი ჰეჯინებს (იგინიები დაურს უკრავენ და ამით შაატყობიებენ სხუ̂ებს). წემიხთა ქეიფი! ჰელბეთ დიგვიჰირვენ და მოქკვლენ-მეთქინ. კიდამ შიმიწუხთა გული! ჩუ̂ენ ვინც მოგუ̂ყობოდა̄,—იგინსაც შიეშინა. მარა ერი კაცი თავარი გვერია და დეჲნახეს თუ არა, შიეშინენ. იმან ჩამეუ̂და ჰეჯინიდან, რაცხა ჩიეფურჩულა. შენზა ძირიდან ცამდე კედელიაო, არაბულა დეჲლაპარაკენ და ყველაჲ გაქრა. რაჲზა ვკითხვიდი ახლა, რა ჩიეფურჩულეთქვა. მარა დიდი ღირსებაები ქონია ი კაცს, ეტყობოდა. იმედი მიეცა გულს. დიდუ̂ანი კიბილები კიდუმ თვალში მიბზიალებდა...

გლახაა გზაუ̂რობა! ბრეუ̂ლი შიშიები ვნახეთ... რუმ ჩევედით, ძალუ̂ან მოგვეწონა გოროდები. ბაღდათი დიდარია. იქინაჲ რომ დიდრობაა, სად ნახავ კაცი! გოროდში გათლილი ქვების სახლები—ორისამი ატაჟაზეა აყვანილი. ზოგი სახლი რვაასი-ათასი წლისაა, მარჯვე გაკეთებული, მაგარი, ულიცაები ვიწრო ამხელა გოროდში.

დიდი გოროდია ჲემენი. მარჯანი იქანაჲ მოდის. მარა წყალია გლახა. იამბუკში და ჯიდდეში წყალი სულ არაა. ხუთი-ექსი წლის წყლებია წუ̂იმის ჰაუზებში და ინახუ̂ენ. შიგნით დასრიალობს გრძელი ჰიები.

სული მეუ̂თქვით მედინაში. იქანაჲ ბრეუ̂ლია ბრეწეული, ხიები, ბალახი. კ̣აჲ სადაჩო ალაგია.

ჰაიები ბრეუ̂ლია და სმენ წყალს. იქ რუმ არ წასულიყავი̄თ, მოუქ̣უ̂დებოდით. ჩირიები ბრეუ̂ლია აქ, მანდარინა და სხუ̂აი (მუჰამედი დაჩობის დროზენ აქ ჩამოდიოდა).

მექქეში რუმ სიცხეა̄, არაფელ ქოყანაშია. ამდონ სიცხენებს ვერ გუ̂ძლო გულმა! შუ̂აგულია, ხუმ იცი?! იქინაჲ სალოცველი ალაგია. ლოცვილობს ყოველ წელს რამდონი ათასი კაცი! ვინც ბეგიებია̄, იგინი უმფრო მოდიან. მექქეს რუმ უახლოვდებოდი̄თ, აქლემზე შვილი მომიკტა—რვაჲ წლის. გული დიმეწუ̂ა, მარა რას იზმიდი?! მექქეში ჩევედით და იქინაჲ დიდი წმინდა სასაფლავია გეკეთებული, ჩაუ̂მარხეთ იმავე მინუტში. მიორე თვეზე რომ მიხუა̄ლ, კტარი არ დაგხთება. კურანი ჩივა—მაი ქ̣აჲაო, ღმერთმა იცისო! ჰელბეთ დადნება სიცხენებისაგან

ადამიანი. აგი რუმ ვიცოდი̄, რუმ სილა დაადნობდა̄, იმ სილაზე უფრო ცხელი გახთა ჩემი გული, ღგმერც ვიფიცავ. წამოღება არ შეჲძლება კტარის. იქანაჲ ტევენ ყველაჲ და მეც დავტიე. იმ ადგილში დასაფლავება კაია, რავაც ურიებმა იციან — იერუსალიმის სასაფლავში წეჲღებენ კტარს.

უნდა დეუ̆წყოთ ახლა ლოცვილობა. ჯერამ ახალი ჩადობილი მაქ ბაღანაჲ და უნდა გამოუ̆ბრუნდე, ჩემ გულში რომ ჩიგეხედა̄, შიგეცოდებოდი...

ლოცველებს მოქსოვნული ჭილოფები ახურიან თავზე (იგი ძირ არ უნდა დადუ̆ა).

დეჲწყება ლოცვა. სამი დიდუანი̯ ეშმაკია გაკეთებული სალოცავთან. უნდა მიაყაროს ყველამ კენჭები. მაშინათვე ქრება კენჭები. რამდონ ათას კაცს მუ̆ყრია, მარა არ ჩანა. ღმერთი შობა ამას...

220

არაბეთის ქალები თამამი არიან, ხერხი აქვან. ქალები მოწონან კაცებს, რუმ მღერობენ. სასახლეში რომ შეხუ̆ა̄ლ, და — არაბი დგანს კარებში, შიგიძლევება და საჟდომებს დაანახვიებს მომსუ̆ლელს. აგი არაბები დაყვერული არიან... ექსას ლირათ იყიდვიდი, თუ გინდოდა. უმფო იაფი იყო თეთრი არაბი. რამდონი დიდი კაცი იქანაჲ მივა̄, თხოვნილობენ ქალებს — მოგჳ̆ეციოთ... მარა არ შეჲძლება: არაბი არაბს მიყობა... თუ ქალს უნდა̄ (დიდარი თუა), კაცს ყიდულობს და კაციც იყიდვის, თუ უნდა. აგი არ მომწონდება. გარყვნილობა რომ იქანაჲა, არაფერი ქოყანაშია. კურანი ასე ჩივაო, ცოდუ̆ა არააო!

დიდუ̆ანი ილი (ქართულა სპილო ქვია, ხუმ!) ყველა სახშია. სიცხეს ვერ უძლებენ და ბრუნვენ. ერ სახში დიდი ილი ბრუნვიდა და თუთხმეტი ყაძახი ასხმიდა წყალს...

ფაითონში რუმ ჟის მუჰამედის გუარი̄; მას მიზდევენ ფეხით არაბები — ფაითონის უკანიდან. ვერვინ გუ̆ბედვიდა ბატონს ხმას! შერიების გვარი̯ დღეჲ არ გამოდის. ღამე მივლიან ერთქამეთში. მარტო ემუთალის ქალი გამოუ̆დოდა; ყველაჲ ცერემონიას გუ̆კეთებდა. თელი არაბეთი შერიების ყმაა.

რამდონი უნდა გითხრა. ბრეუ̆ლი რამიები ვნახე, მარა ახლა რაღა მახსოვს თლა... იქიდან მესოპოტამია ვნახეთ. ეგვიპტე — ნილოსი რუმაა — დიდი მდინარე და სხუ̆ა ქოყანები̯. ეუროფა არ მინახავს და ძალუ̆ან მწყინდება. ჩემი მამი წეუ̆და.

221

დადიან-ოღლის ხაუ̆და დანიშნული ერი ქალი რვაჲ წელიწათს. იმან შაჲყვარა მეგრელიძე. აგი ქალიზა რუმ შეგეხედა̄, მაშინათვე იტყოდი — საიდან ჩამოუ̆და აგი კაიო! დადიან-ოღლი კაჲ ვაჟიკაცი იყო

ორი ტყვია მუ̂არტყეს ერთხელ და მაინც ერი კაცი მოჲკლა და სამი დასჭრა. ერს რუმ ხელი გახკრა̄, ძირ კტარ-ცოცხალი დიეცა! არავინ არ შამოირიგა, მონდურებული ხავდა... ვერვინ გუ̂ბედვიდა გლახობას. ტგკგბილი სიტყვა უნა ეთქუ̂ა ყველას. ყუმბარაები რუმ მოგეტანა̄, ვერ მოხკვლიდი. ერი გვარი გადიემტერა,—დეუ̂ხოცებით და გავანადგურებთო, მარა ტყვილა დუ̂რჩან ფიქრი. გლეხებმა უთხრან, პაწაი დუ̂კელი ამფერიბსო, მარა გუ̂გონა თუ?!

მამუდი-ოღლის გუ̂არი გადიემტერა. ყანაში თოხნიდა დადიან-ოღლი და შემუ̂არტყეს ალყა. დუ̂შინეს თოფები. იმდონი ახერხა̄, გაჲპარა ღელეჲდან. მიორე დღეს ნახეს ყანაში ბომბი და თოხზე პაწაჲ მოცხებული სისხლი. უბნობდენ—ფეხზე გუ̂კაწრეს ტყვიითო. მემრე იგი თხემლარაში უნახავენ. ერიზა დუ̂ბარებია—მოსისხლე გვარელებს წედი და უთხარი—აქანაჲ ვარ-თქვა. აგინმა თხილაიშვილი გამოგზავეს, რომ შუ̂აფხანაგდი და ღალატით მოხკალიო! გოუ̂და აი ჩუმათაი და დუ̂წყო ლაპარაკი. ბრეუ̂ლი ელაპარაკა, ელაპარაკა. შა̄წუხა ამდონი ლაპარაკობით და ქი მიხთა აი შეჩვენებული—რაცხას გიმიკეთებსო. გული მოუ̂და და დუ̂ყვირა ერც რუმ მოგიქნევ ხელს, ციხინძირში დიეცემი და იქინაი გაგიწყტება ხვანჯარიო! ფერი გადიეკრა რიზალას (თხილაიშვილის სახელია).—რატუმ გიმიჯაუ̂რდიო?! მენ შენი მოსისხლე ხუმ არ ვარ, რუმ გეჲფიქრო რამიებიო?! აგი რუმ თქვა და წითლობა დიეტყო სახეზენ. შუ̂ცხელდა გული დადიან-ოღლის.—შააჯექი ვირზე და უკან არ მაიხედოო! ბეჩი ხარ და გაგაბეჩეს მამულ-ოღლებმაო? შაარცხვინა ღმერთმა შენისანა ვაჟკაცი. სხვანებმა რუმ დაგინახვოს, ხუმ მეგეჭრა თავიო? წედი ახლა და გადიეცი მაგენებს—დადიან-ოღლის ვერ დეჲჭირავთ მეთქინ. თუ შარაში მაგინის გვარმა გეჲარა, იმავე მინუტში მოვკლავ მეთქინ...

რიზალაჲს კტრის ფერი ედუ̂ა თურმე, წამოსულა უკუნითე და იგი ამბავი ქი უთქუ̂ამს აგინიზა.

ამისანა ამბვები ბრეუ̂ლია.

ხოდა, ამფერ ვაჟიკაცს წაართუ̂ა გოგო რიფათა მეგრელიძემ.

დადიან-ოღლიმ შეუთვალა—დატიე მაი გოგო, თუ̂არა ველარ გადამირჩებიო! რიფათამ ყური არ მისცა!

ბრეული ახერხა რიფათამ. ხოჯიებიმ მეჲმფხრო და მაჲტაცა. მარა, გეუ̂ხედოთ, დაბეჟი-ოღლიმ წაართუ̂ა რაცხანეირა. დადიან-ოღლი წეუ̂და ბეჟი-ოღლისას. თავს იკლიდა აგი დაფეთებული.

შუ̂ა ბწკალზე რუმ მიუ̂და̄, დუ̂ძახა—უსუფაჲ სადააო!—არაა სახლჩიო.—მოჲ ერი მინუტსო!—გოგო ჩამეუ̂და ძირ და გადიეხვია,—ჩემო რიფათა, ჩემო რიფათაო!—აგი რომ მეჲგონა რიზალა̄მ, გული გუ̂სკტა: ამ დედაკაცს რიფათაჲ დუ̂ბარებიი, და ბნელში ვერ მიცნაო.

— შე აბდალო!—შეუყვირა დადიან-ოღლიმ.

შეხკივლა ქალმა, რუ̂მ იცნა დადიან-ოღლი.

— რა პირმა გითქმევია რიფათაჲს სახელიო?

— შამიპირია ნაძვის ძირში და მიველდიო:

მან არ ჲარებოდა, მარა დღეს დამიძახაო...

სისხლი უ̂ვდა დადიან-ოღლის ყელში; კიღამ შა̄სკდა გოგოს. მარა ვერ იზმიდა: დიაცთან რა საქმე აქს?—„ალლახ, ალლახო“—დეჲძახა და გამობრუნდა ამ ღამეში.

მეგრელიძემ აგი რუმ შიიტყო̄. გეჲფიქრა, აშიკარათ მტერიაო და უნდა ვერიდოვო. გოგომ წიეჩხუბა ბეჟი-ოღლის. მე მეგრელიძე მინდაო, მან ჩემი ქმარი ალარააო. მეგრელიძეზე უმფო კას ვერ ვიშოვო.

დადიან-ოღლი იძახდა: მეგრელიძეს და ბეჟი-ოღლის ნაწილ-ნაწილა დავსჭრიო. თელი გვარს შვილებიანა დავსწვავ, მასხრა რუმ იმიგდესო. მემრე კატორგაში რუმ წიმიყვანო̄ნ, წარბს არ შივიხრიო. ბრეული ვაჟიები მიიმხრო. ან ვიმარჯვეფ, ან მოუ̂კლავ თავსო. დერდმანი იარებოდა ჩუმათაჲ. ჩასტაღი გუ̂კეთა ბრეულ ყაძახებს, მარა ბრეუ̂ლი გადარჩა.

ერთ დღეს იგი ქორწილში დუ̂პატიჟებიათ და თრალი მოდიოდა თურმე შინისკენ. რუმ მუაწია სახთან (ღამე ყოფილა), გავარდა თოფი და იქვე გუ̂გორებიან. აგი მუ̂კლავს მეგრელიძეს—ღობენებთან გუ̂კეთებია ჩასტაღი და ვერ შუმჩნევია ბნელაში დადიან-ოღლის.

ასე რუ არ მიეკლა̄, ვინ იცის, რამდონ სისხლს და̄ქცევდა იგი წყეული.

222

მამაჩემს ხაუ̂და ძმაჲ—ასლან. ბათომს რუმ სასტავლებელი დაათავა̄, გრანიცაში წეუ̂და. იქიდან ჩამოუ̂და და ყველას ნამეტარი გუ̂ხარდა! მისმა აფხანაკებმა ვეჩერი მუ̂აწყვეს მიზდა... ასლანი გოგუ̂ებში იჟდა და ლაპარაკობდა. შაქარ-ოღლი იყო ერთი—ვაჟკაცი კაცი; დათრა და მიუ̂და ასლანსთან; შუ̂ძახა:

— ბეჩო! ქალებში რუმ ჩამჟდარხარ, რა ყაძახი ხარო?

ასლანმა უთხრა:

— ჩემ დანებსთან ვჟივარ; თუ შენ გეკუჭება,—შენც შეგიძლიაო.—გუ̂ქნია ხელი, სტკეცა ყმაში... ასლანს ხმა არ გუ̂ცია!

— მემოე შეგხთები! შენისანა გლახიებს კარქა გუ̂სწორდებიო!—ასლანმა იფიქრა: ჩემზან მუ̂აწყვეს ქეიფობა და ისიხარულეს, ახლა მე გლახობას არ ჩეუ̂დენო. არ შევიცხელეფ გულსო!

ხმა არ გუ̂ცია!

მიორე დღეს ასლანმა მეჲხმო ხუსეინ დუმბაძე და ჩიუფურჩულა: „წედი, შაქარ-ოღლის შეხთები და ჩუმათაი რუმ არ შიგიტყოს, გეიგე, რუმელი ჲარაღი ამქს ჯიბეშიო“.

წეუ̂და ხუსეინა. შვადღეხამ შეხთა შაქარ-ოღლის და დუ̂ძახა.

— ერი მინუტში მოჲო!

მოუ̂და.

— რა საქმიები ქქონია და რაი გაქო?

— რატუმ სწყრებიო, შაქარ-ოღლივო, ჩემთან ტკბილი ფგლავი ხუმ გიჭამიაო?!

— შე ბეჩო და აბდალო, ჩემი მოკეთე როსლა ყოფილხარ, ახლა რუმ მეფარშიებიო.

— შე მართლა ბეჩო, ვაჩგნაძის კგნეინა ხუმ არა ხარ, მოგეხარულოვო,—და აგი რუმ თქუ̂ა და—გამიექანა შაქარ-ოღლი და უნდა მიეკლა—გაშპა ხუსეინა ხელიდან. კორტოხზენ მუექცა აგი და იქიდან დუ̂ძახა:—შენ რუმ ვაჟკაცი იყო, იარაღი გექნება ჯიბეშიო.

— რა იცი, არ მაქო?! შაქარ-ოღლი უიარაღო სა ნახეო?—აგი რუმ თქვა და ამეიღო პაწაჲ ლივერი.

სროლით არ უსროლია.

ხუსეინამ შა̃ტყობია ასლანას.—პაწაჲ ლივერი აქო!

ასლანმა გეიფიქრა, დუ̂დარაჯდები და გავაგორეფო! ამანაც ჩეჲდვა თათრის ლივერი ხუთი ნუმერი.

ერ დღეს სამჭედურში შესულა შაქარ-ოღლი. აგი დუ̂ნახავს ასლანს. აგიც შეუ̂და.

შაქარ-ოღლის თურმე დანაჲს ლესვა დუ̂წყია.

— გამოჲ აქით, დანაჲ გა̃გდე და, თუ ყაძახი ხარ, ახლა შეუ̂ტყობო,—შუ̂ძახა ასლანამ. უთხრა და დახკრა ხელი და გა̃გდებია დანაჲ. შიებენ თურმე. რუმელი რუმელს აჯობებს... ბიძაჩემა მეჲქცია ქვეით შაქარ-ოღლი და სულს გაცხებიებდა და ბალანაჲ იყო დუქანში—სამჭედურში და დჲეპოტინა ასლანას ჩოხაზე, უკგნიდან, თურმე. ამხან ადგა თურმე შაქარ-ოღლი და თავი დუ̂ჭირა ასლანს. ხელი ჯიბეზენ წუ̂სვა თურმე შაქარ-ოღლიზდა—ლივერი ამეუ̂ღოო. მარა სადაა? არ ხონიაო, გეიფიქრა; გამოისხლიტა თავი და უთხრა:

— მენ რუმ აბდალი ვიყო, ლივერს გესროდი; შენ ხუმ არ გაქო?! მარა ისე დაგარჩოფო.—ამეჲღო ლივერი და და გადეჲსროლა რკინებში. უიარაღო მოჲო. აგი რუმ შაქარ-ოღლიმ დეინახა̃, ამეჲღო გულიდან ლივერი (პაწაჲ ლივერი გულში ჩიეტევა!) და და̃ხალა̃ ვოთხი ერთათ. მუარდენ კაცები და ასლანმა აგი მუასწრა:

— შაქარ-ოღლის სისხლი არ ეიღოთ. მამაჩემს უთხარით, მისი გოგო ჯაამეზე აწვალეთო. - მამაჩემა აგი არ ქნა და შაქარ-ოღლიზე იძია შური—სიმინდებში შა̃სწრა.

# Ⴈ Ⴋ Ⴄ Ⴐ Ⴞ Ⴄ Ⴓ Ⴊ Ⴈ

223

დავჯექი და დევიფიქრე
ბირალეიის ამბავები,
მე საწყალმა ვისა უთხრა
ჩემი გულისა დერდები?
ღამით გზაზე სიარულში
ბევრჯელაც-და გავგორდები.
ღალატობა რომ შამოვდა,
ვერა კაცს ველარ ვენდობი,
ველარ შევალ ვერა სახში:
დილა-საღამ ვზივარ ტყეში.
ზაფთიებო, გეხვეწები,
არ გამაგზავნოთ უქუმათში.
არა ვინ არ გადამარჩენს,
გამაგზავნიან სიბირში.
ფირალმა-და ლესგი უთხრა,
დავამღეროთ ჩუნგურსაო:
„რა უბედური მე დევბადე,
ვერ ვუყურე სოფლებსაო.
რა საცოდვავად მე დავრჩი,
ველარ მიველ ჯამი კარსა.
ფირალად რომ გამოველი,
არ ვიყავი ოცი წლისა.
სოფელი მტერი გემიხდა:
მიზებნიან სამყოფნელსა.
ზაფთიებო, გეხვეწები,
სელამს მოგაწერ ყველასა.
ჩემ მოკლიდან რა იქნება?
არ ამოავსებთ თქვენ მეზერსა.
სიკვდილი ხებერ ნუ გოუგზავნი
საცოდავ-და ჩემ დედასა.
მუხამედავ, არ გეწყინოს,
თუ წეგიკითხეს ბარათი.
ოდელ-ოღლის ჩამოვეკიდე:
მაშინ ეგ იდგა რაჰათი.
— ას მანეთზე არ დემიკლო,
ზედ დადევ შენი საათი!
— ჲახი ოღლი, კაჲ ბიჭი ხარ,
ას ალთუნსაც არ დემიკლო!
ბედეირჩინე შენი სული!
ალი ალამ დემიზახა:
„ეგან, მე ვარ, ჯელეთ-ოღლი.
შენ მაქანაჲ რას ექცევი?
შენ ციხეში ჭამე პური!
აღარ მითხრა მაგფერი სიტყვა,
არ მომიკლა ჩემი გული!
შიგან დოუკარი ბორი,
გარეთ ავა სამე ჯარი.
მაზლალები გამოვჭარი,
თითო-თითო ყველას ვკარი.
ლაღუმი რომ გევიქნიე,
ესკერს ეგონა ცისიელი.
დაჯდენ, მათი სული მეჲტირეს,
ვერ დეჲჭირეს ფირალები.
სულეჲმან ბეგს თუ იკითხავ,
მაღალი არი, შიშმანი.
ვერ დეჲჭირა ფირალეპი.
აღარ მოუდა ნიშანი.
თაში ბასხუნი დემეცა:
მაშინ მეჲკლა ზაფთიებაში.
იქიდამაც გამევიქეცით.
ჩამოველით-და ჩემ სახში.
დილას ესკერი მიზახის:
„აღარ გამეჲხედო კარში!“
იაზლუღიდან გადავაშპი,
გედვირბინე ჩემ ბაღჩაში.
ყურშუმებმაც გემირბინა
იქით აქედან ღლიაში.
რა ბრალი მე დემეყარა!
მომიკვდა-და ჩემი ქალი:
აღარ მაქ შემოსავალი.
ღმერთო, შენაც გეხვეწები,
გემიყვანე ლამაზ დღეში.

224

ერთი რომ დემეზინება,
დემესიზმრებიან ხაფთიები,
სიზმრებიც რომ წემი´დება,
ხალუან გავდერდიანდები.
ჩიტი რომენ გეჲჩუჩუნებს,
შეწკეპილი გუაქ თოფები.
ულოგინოდ დაგორვაში
გვერდზე ამოუდა ეკლები.
ოდელ-ოდლის თუ იკითხავ,
პუანას აქ მის ვათანი.
ქვეყანა რომ შეაწუხა,
ახლა ბეური ყავს დუშმანი.
უქუმათში ვეღარ მივალ,
წახდენილი მაქ ხაკონი.
ნაჩელიკო, მემიგონე,
ხალუან დავრჩი მოწყენილი.
შენი სიტყვაც მართალია,
გიბხანდები წაკტენილი.
ხაბით-ალა, მემიგონე!
მე გეხელი-და ჶირალი!
ერთი გოგო გამემირჩიე,
არ დამტიო მტირალი.

225

დავჯდე და წიგნი დავწერო,
ჩიტ გავატანო ხებრათა:
აგი საყვარელ მუტანე,
ვეღარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულბეგი ხალიან მეხებს,
ამდგარი არის ჯარათა.
იმას-და ვეღარ ვესტუმრე,
კურცხალი მომდის ღვარათა.
ერთი გოგოზე აი დამჩა,
ნუ დეჲნახავთ-და ბევრათა.
მე რომ მოვკდე, სხვას მიეცით,
მე რომ მჯობდეს თვალტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი
თან გავატანოთ ხითვათა.
სელამსა რომ შამოგითვლი
გამომფრინავალ ჩიტითა.
ეს-და ხალიან მენატრება
მე, რომ სული სიმწარითა.
ქვეყანა მტერათ ემიდგა,
მონდობილი ვარ გულითა.
შენაც რომ აღარ მიკადრო,
დეგეტყვება-და ენითა.
სათუთ ბატონმა მომწერა:
„შენი ვარ ღმერთის ემრითა:
ებედი არ გევეთხუები,
სიტყვას გიჩივი გულითა.
საყვარელ, კარგა დეჲმალვი,
არ მომიკლან ყურშუმითა“:
ოჲ, მისი სულის ჭირიმე!
ლამაზია თვალტანათა.
რა ჩეთინია გულის სევდა!
სულის სიმწარით დავდნები.
გულში მერაყ რომ ჩამევდებ,
გაბუკვილივით დავჯდები.
მე თუ სხვა ქალ შევხედო.
გემიქორდეს-და თვალები!
ან და ყალა (sic) სხვამ ითხუოს,
უმისოთ რაფერ დავდგები?
საყვარელ, შენი ჭირიმე,
ამოგკოცნო-და თვალები!
შენ მარტო, მე სხვა არ მინდა,
ას ოთხ ქითაბ გეფიცები.

226

ერთი დერდები მევიგონოთ,
გამევიგონოთ და ლესკები:
ჩემ სიყვარული (sic) დას უკან
დუზად მეჩვენება თები.
ვოჲმე, რა საცოდავად დავრჩნით:
არ მიკითხვენ ჩემი ზმები.
ფენჯერედან ვიყურები:
შავათ მეჩვენება თები.
დილა-სალამ ერთ გვიკითხვენ,
კარზე დგანან ხიფთიები.
კარშიც რავაჲ გამევიხედავ?
კარზე აწყვია კდიები.
სულ არაფერიც არ მინდოდეს
აჲშა-ხანუმის თმიები.
ღმერთსაც იმას ვეხვეწები,
დამანახვონ-და შვილები.
ფატყიმე ჲეთიმათ დამჩა,
მისთვინ მომდის ცრემლიები.
არა ვისაც არ ვაწყინე,
ისე დევიარე ტყიები.

სოფელში რომ ველარ დავდეგ,
ფეხზე ადგნენ სოფლიები,
ვერსადაც რომ ვერ დავდექი,
გედევიარე მაჭეხელში.
ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა.
ჩამეუდა-და მაჭეხელში.
ჭეჭელ-ოღლებით ვიყავი,
დევიარებოდით ტყიებში.
მათაც რომენ-და მიფუშტეს,
თოფი მესროლეს კდიებში,
ყურშუმებმაც გემირბინა
იქეთ აქეთ-და ღლიებში.
ველარავის ველარ ვენდევ,
ავდექ, ჩაველ ოსმანლიში,
ჲუზბაშად რომ დამაყენეს,
ოცი შაური მქონდა დღეში.
შვილებიც რომ მომაგონდენ,
ცეცხლი შემეკიდა თავში.
აუდექ, იქიდან მუელი-და
დაუჯექი-და ჩემსა სახში.
დედეჲ სებები გემიხდა,
არ შეუდოდი იმ საქმეში.
იმ საქმებსაც ველარ გოუძელ.
ავდექ, ჩაველ მიღმა ტყეში.
ჩიტიდამაც მეშინოდა
ღმერთის გამჩენელის დღე-ღამეში.
ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა,
გვეზებნა-და ყველა სახში.
ჰაჯი-ლუნკროს კი შევეხვეწე,
ფიშტოლი მიმიცა რიშვეტში.
ღმერთმაც ბერექეთი მიცეს,
პური გვაჭამა ტყიებში.
მათან რომენ დაატყვილეს,
შიაწრეს-და ბელაში (sic).
მათაც რომენ დაატყვილეს (sic).
ჯარი შემიყენა გზაში.
სულამ-ქელამ მუახსენებ
დიდ-პატარას სურევანში.
მეჭმედა ჲეთიმათ დამრჩა:
მისთვინ მომდის ცრემლიები.
მეჯიდ-აღას სელამ ვეტყვი:
აცოცხლოს-და ღმერთის დღეში.
ბარათ-აღას სელამ ვეტყვი:
სულ ყველა საღათ ღმერთის დღეში!

## 227

თაგვი ავათ გამხდარიყო,
კატა მივდოდა სანახავათ:
— რა გჭირს, ჩემო ყურჩქმეტიავ?
— შე რა გინდა, შე ყურდიდო?
კატას სიზმარი უნახავს,
ავათ-ყოფი თაგვი უნდა.
— ამ სირაჲ დემეთხუე,
ზალიან სიცოცხლე მინდა.
უქეჲფური დემინახე,
ზალიანაც გეგიხარდა.
სამ წელიწად რომ ავათ ვიყო,
კატის ნახვა მე რათ მინდა?
წავალ, ჩემ ხელით მოგიყვან.
რაცხა მეტი თაგვი გინდა.
— ვოჲ, ვოჲ, შე თაგვო,
რას ებლაყუნები?
მე მიგიხვდი შენ დუბარას,
სიცოცხლით-და წასვლა გინდა,
გაპარვით-და წასვლა გინდა.
ერთი ლესკი გამევგონოთ,
გურჯიჯა-და სიმღერები!
კატამ თაგვი დეიჭირა,
ჩამოკაკლა-და ცრემლები:
„შვილები ჲეთიმად დამრჩნენ,
არვის არ შევებრალები,
ხეს და ქვას შევებრალები,
ახლა რაღაი უნდა ვქნა?“
დაჯდა, ერთი მეიტირა.
თაგვი კატას მიაჩემდა:
შიშმა შიადნო ბარკალი.
ამ ლესკისა გამომთქმელსა
ჭვანელს ეტყვიან ფირალსა.
ამ ლესკისა გამომთქმელი
ნახევარზე ბეჩიაო,
კატას და თაგვ ვინ უყურა?
სულთელი-და ტყვილიაო.

## 228

გოგო ჩივის: „ვერ წავყვები,
სერდალაჲა ჩემი ქმარი.
სადაც წევა, იქ მივაგნებ,
თუ გინდა, თავი მომჭარი.
კარზე ფეხი გადავადგი,
მუხლმა დემიწყო კანკალი,
ბახჩი ბოლოს რომ ჩაველი,
სახშიც შეიქნა ხრიალი.

ჩემმა ძმამა მომაძახა:
„თუ დეგეწიე, დაგკალი!“
მაშინ გულმა გემიწყალდა,
თუ შეიყარა სიძე-ყაჲნი.
დინე ჩემიდან მეშინოდა:
ღმერთო, შენ ის მომიკალი!
ყაივანი ასე მქონდა.
ერთი ქუა შამოცკარი.
ბნელ ღამეში რომ მობძანდით,
თქვენ ხომ არა ხართ ფირალი?
ფირალობას უკეთესია,
ფეხზე ჩევიცვა ზანკალი.
გამჩენელმა გადმოგვხედა,
მოგვიქროლა ერთი ქალი.
მაშინაში რომ ჩავჯექით,
შიგნით დევკლიტეთ კარი.
ფეხლი ბეგმა კარზე მოდგა,
ისაბელა მისი გვარი.
ფეხლი ბეგსაც თუ იკითხავ,
სანჯალ ბეგის შვილი არი.
გარეთ ჩხუბობა რომ შეჲქნა,
მაშინ ჩივჲან: „სუთი არი“.
მომიყვანეს ისპათები,
დემიყენეს ერთი ქალი.
მის სიტყვასაც ვინ მიიღებს:
ხუთასი კაცის ნახმარი!

229

თეჰარ მირზასი თავის მაშუყეთის ნათქვამი, ბაბაჲ რომ დოუკლეს, გოგო მისი ქალი იყო და აღარ მისცა მამამისმა. ემიას გოგო ყაუ̂და ნათხოვარი. ემიამ, ეთემ სულთანი ერქვა, მოუკლა ბაბა, ანაჲც მოუკლა. სამასი მაყარიც მოუკლა (ბიჰის ბაბას ამეთ ვეზირი ერქვა, ფაშა იყო). თეჰარ მირზა გაკოჰვილი მეიყვანეს ეჯემ სულთანთან და აღარ დააკვლევინა დელი-ყულიმ. ბიჰი კაჲ ლამაზი დელიყანი იყო და შეეცოდვა, აღარ დააკვლევინა...

გაერჩდა ეთემ სულთანი. „წეჲყვანეთ, დაკალით!“ ეს დელიყულს უთხრა. წეჲყვანეს შეკოჰილი:

— მე წევყვან ტყეში, გავაგდებ. ის მოკვტეს მშიერი. ნუ დავკლავ.

— სულ კაჲ იქნება, წეჲყვანე ტყეში გაკოჰილი. გააგდე და წამოჲთ, რამაც გინდა, იმან შეჰამოს ტყეშიო.

ათი ცხენოსანი წეჲყვანა დელიყულიმ და წეჲყვანეს ბიჰი ტყეში ხუთი საათი გზაზე. მიიყვანეს იქა, დატიეს შეკოჰვილი და წამოვიდენ. ერთი საათი გზა გამოიარეს.

— თქვენ აქ იყავით, — დელიყული ამბობს, — მე წაუ̂დე, იქ ფარი ქესა დამჩა.

მიუ̂და, რომე ბიჰი გაკოჰილი ძია და ტირის ტყეში. გუუხსნა ხელი, ფეხი.

— შენ ამ ქალაქში აღარ მოხვიდე ბირ ზამან. წაი სხვა ქალაქში ხუთ ექვს წელიწადს!

ათასი მარჩილი ფარა მისცა, ფული დელიყულმა, ხარჩლუხი, ჩამოუ̂და თავით. ბიჰიც წეუ̂და, მოვიდა ეთემ სულთანთან დელიყული.

— რა ქენი?

— შენ რავაც რო ბძანე, ის ტყეში დავტიე გაკოჰვილი.

წეუ̂და მემრე თეჰარ მირზამა, მიუ̂და ერც ქალაქში. იქ ერთი ბეზირგან იყო. ხანვერდი ბეზირგანს ეტყოდენ. მასთან სტუმარი გოუხდა. ბიჰიდან შვილი არ ყავდა იმ ბეზირგანს. თეჰარ მირზა იშვილია. გოგო

შვილი ყავდა. უთხრა, რომე შენ რა კაციშვილი ხარ? ბეზირგანმა უთხრა: „მე ვარ ამეთ ვეზირის შვილი“.

— შენ ჩემთან იყავ. გოგოს მოგცემ, სარაის, ბახჩას, რაც რომ ფული მაქ, თლათ შენ ჩაგაბარეფ.

ახლა ბიჭმა უთხრა, რომე: „მე უნდა სამი ხანე სიმღერა გითხრა. ჩემ დერდსა სიმღერით გაგაგნებიეფ“...

აღარ დადგა მასთან. წამოუ̂და. შვიდ წელიწად მასთან იყო. ის დელიყული ხომ მოუ̂და შინ, გეიარა ყონსხი., გოგომ დეინახა, დელიყული მოუ̂და. თეჰარ მირზა აღარ მეჲყვანა. ახლა გოგომ უნდა სიმღერა უთხრას დელიყულის...

შვიდი წელიწადი რომ გათავდა, ხანვერდი ბეზირგანიდან წამოვიდა თაჰარ მირზა. ფარა, საქონელი მიცა, გამოგზავნა, ჩირაღი ქნა. მოუ̂და ერთ თაზე. ეთემ სულთანის ჩობანთან მოუ̂და. ჩობანმა კითხა, რომ შენ რა კაცი ხარ?

— ეთემ სულთანის შვილი ვარ, თეჰარ მირზაჲ.

— ზორე ჲარი თუ გეეთხოვა!

— არ გათხოვილა.

— იმფრად ხელი მიმიწყევი, ზოჰროთან მიმიყვანე!

მეიყვანა თავის სახში ჩობანმა. თავის ანას უთხრა, რომე „შენ ეს კაცი იცი, ვინ არი? ეს თეჰარ მირზაჲ არის. ეს უჩუმალაჲ ზოჰრეს უნდა მიიყვანო, ანახო. მე უნდა წეუ̂დე, ცხვარი ვაძოვო. თუ მუველ და არ გინახვებია, თან მოჰკლავ“. წეუ̂და თავით ჩობახმა. ახლა მისმა დედამა ერთი ყათი ტანისამოსი. რუბა, ქალისა შეაკერვინა. იმ ბიჭ ჩააცვა, თეჰარ მირზას. წეჲყვანა, მიიყვანა გოგოს კარზე. ეს ჩემი გოგოაო, იმ დუბარით მიჰყავს თეჰარ მირზა. ბიჭმა თან გაატანა ერთი უზუგი და ერთიც სავარცხალი იმ დედაბერს, ჩობანი ანას ძიაბარა. კარზე მიუ̂დენ, ნობეთჩებმა არ შეუშვეს. ყარაყოლმა კითხა:

— თქვენ ვინ ხართ? აქ შესვლა იასაღია.

— მე ერთი დედაბერი ქალი ვარ, ჩემი გოგოა, ხიზმეთჩად მიმყავს ზოჰროთან.

— არა, მარტო შენაჲ.

ჯერ თავით ეუ̂და დედაბერი ზოჰროთან.

— რა საჩივარი ქონდა (sic), ჩემთან რომ მოხველი? — ზოჰრო ჩივის.

— იმისთვინ მოველი, რომე ჩემთან ერთი სტუმარი არი. ამანეთი აქ ჩემთან შენზე მოსაცემი. — ამეიღო ბილაზუკი და სავარცხალი, დუუ̂დვა.

— ეს შენ ვინ მოგცა?

— ამოვალ კაცმა მომცა, თეჰარ მირზამა, შენთან გამომაგზავნა.

— აჰა შენ ერთი ქაჰვის ალთუნი, ამისი მომტანელი კაცი მომიყვანე!

— თან მოყვანილი მყავს აგერ, — დუუძახა ბიჭი, მიიყვანა გოგოსთან. დედაბერმა ბახშიში ფული ეჲლო ზოჰროდან, წამოჸდა მის შინ. ეთემ სულთანს კაცი დაყენებული ყავს მის გოგოთან ჩაშუტი, თეარ მირზაჲ არ მოვიდეს. დაწვა, ადგა ერთ თვეს ბიჭმა გოგოთან. ეთემ სულთანს ხებერი ხვდა, თეჰარ მირზა მოუყვანია ყონახში. ზოჰრომაც: „შეიტყვა ჩემ ბაბამ ეს ბებერიო". ერთი სანდუღი გააკეთებია მუშამბალი, წყალი არ შეჸდოდა შით. იმ სანდუკში მალევდა ბიჭს. ყონაღის ძირში დიდი წყალი მიდიოდა. იმ სემთიდან არა კაცის გასავალი არ იყო, დიდი წყალი მიდიოდა — ჭოროღი. ხელი შიდვა საღამოზე ზენჯილზე (წყალში იყო ბიჭი სანდუღით ზეინჯილზე). ცალიერი ზენჯილი ხელში მოყვა, წოუღია, წასულა წყალს სანდუღი, აღარ არი. ახლა ზოჰრომ დეჲწყო ძალიან ტირილი. ის იქ ყონახში ტირილში იყოს.

ახლა ჩვენი საქმე მოჸდა სანდუღზე. სანდუღი ხუთი დღის ყონაღი წეჸდა, წყალმა წეჲლო, მორევში აბრუნებს, იმ მემლექეთში ერთი ფაშის გოგო იყო. სახელი ბანი ხანუმი ერქჸა. გახედა, რომ ხალაიღით ორმოცი გოგო თან ახლავს, ჩეჸდა ჭოროღის კიდურში. გახედა, მორევში ერთი სანდუღი არის, ტრიალობს წყალში. გოგუებს უთხრა ბანი ხანუმა: „ფული, საქონელი თუ არი, სუნთელი თქვენი იყოს. ჯანი თუ რამ არი, კაცი, ჩემი იყოს". გეჲხადეს ტანისამოსი გოგუებმა, გუუხარდენ, ფულია. ხელი ხელზე მოდვეს გოგუებმა. სანდუღი თან გამეჲტანეს გოლიდან გარეთ. ახადეს სანდუღი ყაფაღი. ძალიან უკეთესი, ლამაზი დელიყანი. ბანი ხანუმს გუუხარდა. ქესიდან მისცა გოგუებსა ფული. წეჲყვანა თეჰარ მირზაჲ ყონახში. უთხრა, რომ

— მე მითხუე ქალად შენ!

— მე მყავს სხვა ნათხოვინი. ყარამანს ეთემ სულთანის გოგო დანიშნული მყავს მე.

აგინი გოგომ უთხრა:

— ჩემზე უკეთესია? ჩემზე თუ უკეთესია, მიგცემ იმას, წამუვალ. ჩემზე უკეთესი თუ არ არი, თან წამოგიყვან და წამოვალ. — ოთხასი კაცი წეჲყვანა ჯარი და წეჸდა ბანი ხანუმა. მიჸდა მას მემლექეთში. დატია ჯარი ქალაქზე ახლოს. თან წეჲყვანა თეჰარ მირზაჲ, მიჸდა გოგოს ყონახზე ახლოს...

ახლა შეხედა, რომენ იმ ბანი ხანუმზე ლამაზია ზოჰქროჲ. უთხრა, რომე: „ეს გოგო შენი მუნასიბია, ჩემზე ყოფილა ლამაზი". დოუძახა ეთერ სულთანი ბანი ხანუმა. „შენ გოგო უნდა მიცე ამ კაცს, თეჰარ მირზას! აგერ ოთხასი კაცით მოსული ვარ შენი თავი მოსაკლელაჲ (sic).

— სულ კარქი იქნება.

მიცა ქალად გოგო, ახთი უყო. კაჲ დიდი ქორწილი მოამზადეს. ისინი ორნი იყვნენ სეფაში. ღმერთმა მთქმელი და დამწერავი სეფა აღირსოს., ეგ ერთი ნახვა არის და სხვა ნახვა მემრე იყოს.

სამ დღეს იქით უღალატა თეჰარ მირზას გოგოს ბაბამ. ბანი ხანუმა მის ესკერს მოაკლევინა. თეჰარ მირზაჲ მის ადგილზე შაი გახადა.

230

ჰასან ფაშა იყო სილისტრას. იმან ემრი ქნა, თელალს დააძახნია: „ვინცხას თუ შიეძლება, წეუ̂დეს ჩაძლიბელში, ქოროღლის ცხენი მომიყვანოს, მე ჩემ დას მივსცემ“. მემრე ერთმა კაცმა ქელოღლანმა: „მე წავალ და მეუ̂ყვან ცხენს, თუ მომცემს თავის დას“. დუუძახა ჰასან ფაშამა ქელოღლანი. მიიყვანა მასთან. ეს კაცები შაადი იყვნენ, ე ბეგები, ე ფაშები, მე უნდა მოგცე და შენ, თუ მეიყვანე ცხენი.

მიუ̂და ქელოღლანი შინ. არ მიცა ნება, რომ წახვიდე შენ იქა, თავის დედამა: „ქძროღლი იგიდი კაცია, დაგკლავს შენ იქა“.

— არ შეიძლება, მე უნდა წეუ̂დე იქა. ფაშას უნდა მოუყვანო ცხენი ქოროღლისა. მანაც უნდა მომცეს მისი გოგო მე.

წეუ̂და ქელოღლანმა ქოროღლისან. ჩეუ̂და ჩამლიბელში (ისტამბოლზე ახლოს). ჩასულა ჩამლიბეს (sic) სადილობიხან. მისულა ერთი ქურუნი ქვეშ (ავაზანს ვეტყვით ჩვენ წყლისას, ცხენები რომ წყალ სმენ). ქოროღლისა სეისებმა გამეჲყვანეს ცხენები წყალზე სასმელად. არ სვეს ცხენებმა ქურუნიდამ წყალი. შეფხუკდენ ცხენები თან ქურუნიდამ. ქოროღლი ყონაღიდან უყურებდა.

— რატომ არ სვეს მაგ ცხენებმა წყალი? ჩახედეთ მაგ ქურუმში, რომ რაჲა?

მეგემ ქურუმ ქვეშედამ კაცი. ტაცეს ფეხზე, გამეჲტანეს კარში. ბეუ̂რი სცემეს თან სეჲსებმა. ქოროღლის შიებრალა: „ნუ სცემთ მაგ ფუხარას. აქ მეჲყვანეთ ჩემთან!“

— რატომ იმალოდი ქურუმ ქვეშ?

— ცხენებიდან შემეშინა, ქურუმ ქვეშ ვიმალოდი.

— შენ რა ხიდმეთი გამოგივა?

— შენ რაცა ხიზმეთს ბძანობ, იმ ხიზმეთს მოვაფერებ.

— ცხენის ხიზმეთ მოაფერებ?

— უკეთესი ვიცი ცხენის მოვლა!

დოუძახა იმლახორ-აღას (სამასი სეჲსი ცხენს მსახურობდა): „ამ ფუხარასაც ერთი ცხენი დაანახვეთ, მოუაროს, ჯამაგირ მივცემ“.

იმ ცხენს ეხიზმეთა ერთ თვეს, კარქა ხმელი ცხენი დაანახვეს. ერთ თვეს იქით ქოროღლიმ ჩეუ̂და თავლახანაში. ადეთი ქონდა. კითხა, რომე სულ კართან ება ის ხმელი ცხენი. უწინ ის ხმელი ცხენი ნახა, კართან რომ იყო.

— ამ ცხენს ვინ ეხიზმეთა?

— წინადღეს რომ ერთი ქელოღლანი მევიდა, ის ხიზმეთ ურჯება ამ ცხენსა.

— ძალიან კარქათ ხიზმეთი უქნია. — ამეიღო ათი თუმანი, მიცა იმ ქელოღლანს ბახშიში. აჩუქუა.

— სულ კარქი მსახურება გცოდნია. ამას აქით შენ ჩემი ცხენი ყირატი ხიზმეთი უნდა უყო.

ერთ თვემა გამეჲარა. თავლახანაში ადგილი ჰქონდენ თან სეჲსებს. ყველა სეჲსი თქვენ არი, თავლაში (ახორსაც ვეტყვით, დიდ ადგილში თავლა არი). ზემოთ დივანხანაში საზი, სიმღერა, საჭმელი ყუ̂ალა ჯინსის საჭმელიდან, რახიდან, შერაბიდან, თლათ გაწყობილი ზეგებთან. ქოჩეგი, სამა, იქი ყიამეთი დადგა, ჯუმბუში აქვან. აქ სეჲსებმა თქვეს: „ეჲ კიდი, რა ქეჲფში არიან ისინი!“

— მეც ავალ, ჩამეუ̂ტან საჭმელებს, — ქელოღლანმა თქვა.

— არ შეიძლება, შენ იქ ახვიდე ბეგთან.

— ის ჩემი ბეგია, მე მისი სეჲსი ვარ, რატომ არ შეიძლება? — ეუ̂და ქელოღლანმა ქოროღლითახ.

— ეს ქეჲფი თელი ღმერთმან თქვენ მოგცა. ჩვენც ღმერთმა გაგვაჩინა. ჩვენც გვინდა ჯუმბუში, საჭმელი.

უბძანა ქოროღლიმა:

— რა და რაჲ გინდა საჭმელი?

— აქ რაც საჭმელია ხაზირზე, ყველა საჭმელი მინდა, ყუ̂ელიფრიდან.

მოუტანეს რახი-საჭმელი. ჩეჲტანეს თავლახანაში. ჭამეს საჭმელი, დალიეს რახი-შერაბი. ჯუმბუში სულ კაჲ ქნა.

— ნაკლები გვაქ ახლა ქოჩეგი. სამა გინდანან, აგერ მე ვისამებ. თქვენ დალიეთ რახი-შარაბი.

ქელოღლანს უთხრეს:

— შენც დალიე!

— დავლიო, ველარ ვისამებ. თქვენ ჯუმბუში მეითავეთ, ბოლო დროს მე მეუ̂თავეფ.

მეგერ რახი-შარაბი ბეუ̂რი მოუ̂დენ. ამათ თლათ გახდენ ზარხოში. აღარ იციან დუნიას ხებერი. იშუა ქელოღლანმა ხასი დრო. ცხენი წაყვანისთვინ გახაზირდა. დივანხანეშიც ხებერი აღარ არი. ქოროღლი ბეგებ დეეძინენ, არ აქვან არა ხებერი. ქელოღლანმა ცხენთან მიუ̂და. ცხენს აქ ოთხ ფეხზე ბუხავი (ოთხი ოყა იყო). ვერ წეჲყვანა ქოროღლისა ცხენი. მოზებნა ბუხავის კლიტე. ვერ ნახა იმის სალები. მემრე თავის ნამსახურ ცხენთან ეუ̂და ქოროღლის ყონახში. იქ ბეუ̂რი ეძება სალები. ვერ ნახა იქ სალები. აგერ დილა შამოათენდა. მიხვდა, რომ ვერ უნდა წეუ̂ყვანო ეს ცხენი: „ნუ არი ქოროღლის ყირათი, იყოს მეორე ტორათი“. მუადგა ზურგში უნაგირი. გამეჲყვანა კარში თავლიდან. დააჯდა და იალლა. გეჲქცა, წეუ̂და კაცმა.

დილა გათენდა. სეჲსებიდან ხებერი არაფერი არ არი. მეგემ თლათ წევან და ძინუ̂ან. მეგერ შუა დღე გახდა. ქოროღლის ბეგმა ადგა ზეზე,

ეჯემოლლი დელიაჰმედმა. ჩეუ̂და თავლახანაში. არა სეჲსი არ ამდგარა.

— ადექით მალე, მუათაველთ ცხენის ,ხიზმეთი!

სეჲსებმა ადგნენ, შეხედეს, არ არი ქელოღლანი. არ არი ცხენი. უთხრეს ე ხებერი დელიაჰმედს. მუუტანა ხებერი ქოროღლის. მეტი შეეშინდა ქოროღლის:

— ჩემი ცხენია თუ სხვა ცხენი?

— შენი ცხენი ისვენ (sic) არის, წოუყვანია სხვა ცხენი. რატომ შამეჲნახავ გლახა კაცს. მოუპარავს ცხენი, წაუყვანია, გაქცეულა. რა ქვეყანისა იყო ე კაცი? ერთიც ვერ ვკითხეთ, რომ „სად არი შენი ქალაქი?“

— წუუყვანია ერთი ცხენი. რა იქნება ერთი ცხენით? ზათიც მიჩუქვებია მისთვინ. სადაც რომ უნდა, იქ წეჲყვანოს.

ორ საათ იქით გამეჲფიშმანა: ამ კაცმა ჩვენ გამოგვარეზილა. თუ იტყოდეს მის სოფელში, მაჩუქვა ქოროღლიმ ე ცხენი, თუ თქვა, რომ ღალატობით ვქენი მე ე საქმე, ჩვენ მაშინ დავრჩით შერცხვენილი. მომიყვანეთ ჩემი ცხენი, სილაჰი. გამუეკიდო ამ კაც მე“. ქოროღლიმ შეირტყა სილაჰი. შეჯდა ცხენზე. წეუ̂და იმის ფეშინში, მუეწია ერთს ადგილ. ქელოღლანმა მოხედა უკან. დეინახა ქოროღლი. მაშინ თქვა, რომ დემელია მე დღე, სიკვდილს რომ მე შევეხვეწე, მე საწყალმა სითკე წეუ̂დე. ერთი წისქვილი დეინახა, ჩეუ̂და წისქვილის კარზე. ჩქარაჲ დოუძახა დეგირმანჩის:

— მალეჲ გამოი კარში!

— რა გაქ ჩემთან საჩივარი!

— ეგერ მუა ყირათლი. თლათ გაწყვიტა დეგირმანჩი.

— დეგირმანჩებს რა უქნიან?

— მეც არ ვიცი ჩემი სუჩი. შენი ურუბა მე მომეცი. ჩემი ურუბა შენ ჩეიცვი.

— მემრე რაფერ საქმე დევიჭირო?

— მოი, ქომოდან წისქვილქვეშ დეჲმალე!

ქელოღლანი გახდა დეგირმანჩი, მოუ̂და ქოროღლი წისქვილი კარში. დუუძახა დეგირმანჩის:

— რეჲქნა ამ ცხენის ბატონი?

— არის წისქვილქვეშ დამალული.

— ვერ იცნა ქოროღლიმა ქელოღლანი, გონია მას დეგირმანჩი.

— რა გვაქ დეგირმანჩებს სუჩი?

— რე იქნა ცხენის ბატონი? არ ვეძებ მე დეგირმანჩის.

— იგერ (sic) არი, წისქვილქვეშ.

ასწია ერთი კაჲ ზოფაჲ, ქოროღლიმა მიცა დეგირმანჩის ურუბა თავის, თლათ სილაღიც მიაბარა. ჩეუ̂და წისქვილ ქვეშ. ნახა კაცი კუჩხეში (sic). ცემა ერთი კარგა. მოთხუა წისქვილქვეშ ყიამეთი:

— ვინ ხარ, რომ შენ აქ იმალვი.

— მე ვარ ახლა დეგირმანჩი.

— რე იქნა ცხენის ბატონი?

— იგერ არი დეგირმანში.

გააგდო დეგირმანჩი იქა. მოვიდა ქოროღლიმ დეგირმანი კარში. შემჯდარა ქელოღლანი ცხენზე. გასულა და განზე დგას. ახლა ქოროღლიმ რა ქნას, ცხენი არ ყავს და სილაღი არ აქ. შეიხვეწა ქოროღლიმა: „ნუ გემიტეხ ჩემ ნამუსსა, რამტენიც გინდა, მოგცე ფული. არ წეჲყვანო ცხენი, არ წეჲღო ჩემი სილაღი. მეტი ბეუ̂რად გეხვეწები. ეიღევი ჩემგან ბეუ̂რი ფული!“ არ გეჲგონა ქელოღლანმა. ქოროღლი დარჩა ხვეწნაში.

კაცმა გააჰენა, წევიდა, ტორათი დარჩა, ისიც ხამლადი. სისხლი-მისხლი გაართვა, შინ დაბრუნდა ქოროღლი. აინაით გაუხედა ყაჲვაზმა, გახედა, რომ ფქვილით გამხდარა სულ ქოროღლი. ერთი კიდომ ქოსა კაცი იყო, ემია, მას უთხრა ყაჲვაზმა: „საზი მომეცი, სიმღერა უნდა უთხრა ქოროღლის...“

ახლა ის იქ დავტიოთ.

ქელოღლანმა მოიყვანა ცხენი შინ და მის კალოზე გამოაბა. ფაშას ხეზერი ხვდა. მეუ̂ყვანია ქელოღლანს ცხენი. „აართვით და აქ მეიყვანეთ“. ქელოღლანმაც უთხრა, რომე ჯერ გოგო მომცეს, მისი და, ცხენს ისე მივსცემ.

— არ შეიძლება, მე იმას ჩემი და მივსცე.

ბეგებმა, ვეზირებმა უთხრეს, რომ „ტყვილი არ შეიძლება დიდ კაცთან: მიცე უნდა გოგო“, უთხრეს წინაკაცებმა: „ჩააცვი, დააბურე, ურუბა გამოუცვალე. გახდება ერთი ბეგი“. დიდრვიანებს დუუჯერა ჰასან ფაშამა და მიცა და ქელოღლანს, ორმოც დღეზე დუღუნი მეითავეს. ცხენი მეუ̂ყვანა ქელოღლანმა, დუუბა. თავით ქელოღლანმა ფერუზეთ ხანუმესთან დაწვა. მემრე ცხენს ვინ მოუაროს? ერთი სხვა სეჲსი გააგზავნა ფაშამა. იმ სეჲსსა თავი მოაწყვიტა ცხენმა. არა კაცს აღარ შეეძლებოდა ცხენთან შესვლა. კიდოც რომე მის სიძემა მოუაროს, ქელოღლანმა. შეჩვეული ის იყო.

ახლა ჩვენი საქმე მოვიდეს უნდა ქოროღლითან. ჩეჲცვა დეუ̂რიშის ურუბა. წეუ̂და სილისტრა ქალაქში. მიუ̂და ქალაქზე ახლოს. შიეყარა ერთი ბებერი კაცი.

— რა საქმე გაქ, ემიავ, შენ მაგ ქალაქში?

— ჩვენ ჰასან ფაშამა ზორით აართვა ცხენი ქოროღლის. იმისთვის სასეჲ რათ მივალ, რაფერი ცხენია, დევნახო...

ბებერზე წინ გეჲარა დევრიშმა. შევიდა ერთ ყავეში. ყოჯამანმა ბებერმა მივიდა ფაშასთან. ერთი თემენნა უყო.

— შენი ერთი კარქი ცხენი აგირთმევია ქოროღლისთვინ, სანახავათ მოსრული ვარ.

— მეუ̂ყვანეთ, მარა არა კაცსაც არ იჯდუმლებს.

— ყავეში მოჸდა ერთი დევრიში, საზი ხელში აქ, თუ შეჯდა მაგ ცხენზე, ის დეჸრიში შეჯდება. ჰემ სიმღერას ეტყვის და ჰემ-და დეჸრიში შეჯდება.

— მეჲყვანეთ ჩემთანა დეჸრიში!

წეჸდა ახლა ერთი ყაფაზი ყავეში.

მეჲყვანეს დეჸრიში ფაშასთან. უთხრა ცხენისთვინ, სიმღერა. შეჯდა დეჸრიში იმ ცხენზე.

— ამ ცხენსაც ქოროღლის სილაღი ეფერება!

— შენ, დეჸრიშ, იმას ნუ ჩივი, სილაღი აგერ აქ არის.

აწია ქოროღლის სილაღი, უთხრა დეჸრიშმა სიმღერა: შეიძლება, დეჸრიშ ბაბა, შენ ეჲღე ბახშიშ ფული...

ახლა შეჯდა და წეჸდა ქოროღლი, ნეგემ ჰასან ფაშის მეორე ქალი, სოგუთ ბეგის ეტყოდენ, ერთი ჩივთლიგი იყო, იქ იჯდა ფერუზეთ ხანუმი. მიჸდა იქა ფერუზეთ ხანუმთან ქოროღლი.

— შენმა კაცმა ჩემი ცხენი მოაპარვია, სილაი მოაპარვია, ახლა ჩემი კაცისთვინ, ჩემი ბეგისთვინ უნდა წაგიყვანო. — ჰასან ფაშის ქალს უთხრა.

ამ ხანუმსა წინდაწინ ქოროღლის ბეზირგანი გაქუცული ყავდა...

ქოროღლიმა (ცხენზე ზის) ხელი წამოიღო, თერქზე შამეიჯდუმლა, ეჲყვანა, წეჸდა. ქოროღლიმა ორი ხანე სიტყვა კიდო უთხრა გოგოს ცხენზე...

წეჸდა. ჰასან ფაშამა ქალის წაყვანა შეჲტყვა. ორჯერ ათასი კაცით გამოეკიდა, გზაში მუეწია. ერთ კლდეში დაამწყვდია. ის ზე დამწყვდეული დარჩა.

ჩამლიბულს სიზმარი ნახა ქოსა ქანანმა. ქოროღლი ამუალს ადგილ დამწყვდეულია მაღარაში. მოჸდა, მოუსწრა ორმოცი ცხენოსანი...

ის ორმოცი ცხენიანი კაცი ესკერში შევიდა და თლათ გაწყვიტა, ჰასან ფაშა დეჲჰირა ქოსამ. ქოროღლიმ ქალი გააშვებია, მისცა თავის ბეგს ყარაგედას. ესკერი გაწყვიდენ, გეჲქცენ სილისტრას. ახლა ქოროღლი უნდა მოვიდეს ჩამლიბელს. წინდაწინ თექათლი მოვიდა, ქოროღლი ჩამლიბელს და გელინებს უთხრა: „ჩვენი ბეგები სულ გაწყვიტესო“. ოცდა ცხრამეტი გელინი ყავდა, მეორმოცეც ყარაგედას ქალი...

მოვიდა ესკერი ორმოცი ცხენიანი. მეიყვანეს ხანუმი...

შვიდ დღეს, შვიდ ღამეს ქორწილი გააწყვეს. ყარაგედას მიცეს ხანუმი. ჩემ ყონახზე მობძანებულ ეფენდიმა სიცოცხლეში არ დემივიწყოს. ანჯახ მახსოვდა ბეზერ კაცს ამტოლი დუნიის სიტყვა. მოთავდა ქოროღლის ჰიქაჲე. — გაგაწყინეთ, ბატონო.

# ·ლექსიკონი

ეს ლექსიკონი მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ისახავს: ისეთი სიტყვებია მოცემული რომელთა მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად გაჭირდება ტექსტში გარკვევა. რაკი ლექსიკონი დიალექტოლოგიურ ტექსტებს ერთვის, ცხადია, მასში ვერ შევიდოდა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები, რომლებშიც სათანადო ფონეტიკური პროცესები მომხდარა, და ამის გამო ისინი განსხვავებული სახით გამოიყურებიან (მაგალ , ცხორი, ხხო, თოლი, კტარი...); იგულისხმება, რომ ეს ფონეტიკური პროცესები ამ წიგნის მომხმარებლისთვის ცნობილია. მაგრამ, თუ ამგვარი ფონეტიკური სახეცვალება შორსაა წასული სიტყვაში, ისე, რომ ერთი შეხედვით ძნელია მის შინაარსში გარკვევა, მაშინ ლექსიკონი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და ახსნას ცნობილი ფონეტიკური პროცესების გზით მოდიფიცირებული სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობა (ვთქვათ, ხხო არ შევა, მაგრამ ცხო შევა, ასევე განიმარტება, მაგალითად, დუხუაჲ, ერცალე, მაჴნავ, სიფრო, უჩუმალა და მისთანანი).

ხევსურული, ფერეიდნული, გურული, იმერხეული, აჭარული სიტყვების განმარტებები ამოღებულია უმთავრესად ამ კილოების ტექსტებზე დართული ლექსიკონებიდან. ესენია ა. შანიძის „ჴევსურული მასალების ლექსიკონი“ („ჱელიწდეული“, I-II, 1423-1924)-არნ. ჩიქობავას „ზოგიერთ სიტყვათა განმარტება“ [ფერეიდნული] („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, VII, 1927), ს. ჟღენტის „ლექსიკონი“ [გურული] („გური კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი“, 1936), ნ. მარის „Глоссарий по имерхевскому говору“, აგრეთვე ტექსტების სქოლიოები („Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию“: ТР, VII, 1911), ჯ. ნოღაიდელის „აჭარულში შემჩნეული უცხო სიტყვები“ („აჭარა დიალექტოლოგიურად“, 1936).

ინგილოური სიტყვები მოგვაწოდა როგნ. ღამბაშიძემ თავისი „ინგილოური ლექსიკონის“ ხელნაწერიდან.

მესხური სიტყვების გარკვეული ნაწილი ამოღებულია ილ. მაისურაძის „მესხური ლექსიკონიდან“ (ხელნაწერი). იხ. აგრეთვე მისი „მასალები მესხური ლექსიკიდან“ („ბათუმის პედინსტიტუტის შრომები“, IV, 1954).

მოხეური და თუშური კილოების სალექსიკონო მასალის განმარტებისათვის გამოყენებულია ო. ქაჯაიას საკანდიდატო დისერტაცია: „მოხეური დიალექტი. I. ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა,“ 1953 და პ. უთურგაიძის საკანდიდატო დისერტაცია „ქართული ენის თუშური კილო,“ 1953.

## ა

**აბდალი** 329, 1 სულელი, გიჟი.
**'აბე** 84, 30 რისთვის, რატომ.
**აგუნგრუებს** 244, 39 ათამაშებს, ახტუნებს.
**ადეთი** 376, 34 ჩვეულება.
**ავაზი** 97, 14 ნაცვლად.
**ავაზანი** 355, 35 ჰერმეტულად დახურული ჰურჭელი სითხეების სადუღებლად ან გამოსახდელად.
**ავლუჲანი** 82, 36 შხამიანი.
**'ათაარაჲ** 85, 27 ნ. ჰაათარ.
**ათუ** 269, 11 „გადავხტი, თავი მოვკვეთე, ა თ უ სჯობს მკვდარი ცოცხალსა".
**აილები** 272, 8 ცხენის მოსართავები.
**აინაით** 379, 11 თამაშით.
**აინალი** 159, 11 ერთნაირი თოფია.
**აკავანი** 279, 28 აკვანი.
**ალამცარიობა** 344, 33 სიზარმაცე.
**ალატი** 51, 32 წისქვილის ნაწილი, რაშიც ფქვილი ცვივა.
**ალეჲ** 98, 3 „ოთხი ჯოხია, შეკრულ თითებჩი ჩოუყრიან და სისხლს გამოადენენ".
**ალთუნი** 374, 39 ოქროს ფული.
**ალიხავ** 82, 22 არისო.
**ამა, ამმა** 354, 2; 7ᴐ, 4 მაგრამ.
**ამაჟიპანდი** 146, 23 „რას ჟიპანებ, რას სტყიპინებო, ეტყვიან ბავშვებს" (გაბუური).
**ამარათი** „კარგი სახლ-კარი".
**ამბარი** 205, 11 ბეღელი.
**ამიბე-იმიბე** 273, 8 ამისათვის, იმისათვის.
**ამოკუჭვა** 290, 16 ამოძრობა, ამოთხრა.
**ამომავალი** 223, 32 ესა და ეს, მავანი.
**ამშარა** 218, 27 ალვირი.
**ანაბრინი**: „ა ნ ა ბ რ ი ნ ი ჩემ საქმესო" 335, 15 არაფერი ეშველოს ჩემს საქმესო.
**ანაგებათ** 358, 39 სრულიად.
**ანაჲ** 373, 17 დედა.
**ანაწყოლ** 296, 12 ოდნავ, ცოტა მაინც.
**ანგელიხები** 95, 34 ინგლისელები.
**ანნე** 348, 17 დედა.
**აჲქში** 89, 4 „ერთი შენც"... (დაახლოეით).
**ანდრეზი** 143, 24 ანდერძი.
**ანჟახ, ანჯახ** 77, 31; 380, 41 ძლივს.
**ანქით** 105, 17 აქით.
**'აჲთი** 85, 11 რით („რაჲთი").
**აჲლალი** 106, 30 იალალი.
**აჲმი** 85, 12 აი ამისი.
**აჲმიბეაც** 76, 9 ამისთვისაც.
**არგანი** 140, 2 ჯოხი (ხელში დასაჭერი).
**ართხმა**: ლ ა შ თ ა რ თ ხ მ ა პირის გაღება. ლ ა შ ნ... ა უ რ თ ხ ნ ა ს 111, 19.
**არმის** 92, 20 არავის.
**არნა** 217, 32 არონა, მესხეთში გავრცელებული ხის სახვნელია.
**არშიკი** ყუთი (რუს. ящик). მრავლ.: ა რ შ ი კ ე ბ ი 286, 9.
**ას** 110, 27 არს, არის.
**ახაბია** 296, 16 გათხოვილი ქალის თავისახლობა, სადაც მშობლები ჰყავს.
**ახტამი, ასტამა** 239, 35; 51, 21 რკინის პატარა ნიჩაბი, ცომის ასაფხეკი.
**აფერი** 321, 13 არაფერი.
**აღალბაში** 48, 6 ურმების ქარავანის მეთაური.
**აღაჲუნი** 101, 26 სასულიერო პირი, „დიდი მღრდელი".
**აღილი** 103, 26 ფარეხი.
**აშხლიანი** 92, 30 ბალახიანი.
**აყარი** 80, 10 სახლის სხვენი.
**აყე, აყვე** 100, 2; 274, 1 აქეთ.
**აყიყლაყება** 259, 28 აყირავება.
**აწიწდეს** 123, 5 დაშენდეს.
**აჭილაჭულებული** 337, 15 აჭრელებული.
**ახთი უყო** 375, 38 პირობა მისცა.
**ახირ** 77, 37 უკანასკნელი.
**ახორი** 322, 35 სამზარეულო სახლზე მოდგმული თავლა, კონახი.
**აჯაბ** 348, 17 ნეტავი, მართლა.
**აჰალეღ** 114, 10 აჰა.

## ბ

**ბაბაყული** 195, 21 თილისმა.
**ბადალი** მსუქან ადგილზე ამოსული თამამი ბალახი. ბ ა დ ლ ე ბ ი 161, 5. ბ ა დ ა ლ ი იცის ცხვრის ნადგომ ადგილზე, ბოსლებთან, კალოებთან, სადაც საქონელს უხდება ტრიალი.

**ბაზუნაცი** 161, 34 ხის პატარა ჯამი.
**ბაკანი** 82, 30 კუს ზურგის ფარი.
**ბამბაძგნი** 91, 20 ბამბისაგან.
**ბაძრამი** 361, 25 დღეობა, დღესასწაული.
**ბაძტა** 99, 24 პატარა, ცოტა.
**ბარა** 321, 3 მიდამო, ქონება.
**ბარაბრა** 85, 12 თანაბარი.
**ბარგი** 116, 25; 150, 9 „თივის კონა შეკრული, სამი-ოთხ ფუთიანი თივა" (გაბუური); ტვირთი საზოგადოდ და, კერძოდ, ჯიხვის ხორცისა.
**ბასხუნი** 370, 24 თავდასხმა.
**ბატარძალი** 153, 31 პატარძალი.
**ბაშტე** 163, 35 გომური.
**ბაშტიკარი** 160, 14 ადგილი ბაშტის (გომური) წინ (გომურისკარი).
**ბაშპენგაძ** 79, 16 მთავარი, მეთაური მაყარი.
**ბახშიში** 377, 2 ნაჩუქარი.
**ბაჯანალი** 207, 20 ქვისლი.
**ბედენა** 161, 14 სხვაობა.
**ბედითი** 253, 11 ცუდი.
**ბეზირგანი** 235, 12 ვაჭარი.
**ბეითამალი** 306, 32 ოხერ-ტიალი, ვერანი (საწყევარი სიტყვაა).
**ბელადი** 128, 18 წინამძღოლი, მეთაური ომში.
**ბელქი** 348, 29 შეიძლება, იქნება.
**ბერექეთი** 372, 9 ლოცვა-კურთხევა.
**ბეჩი** 99, 20 სულელი, გამოთაყვანებული.
**ბეჩა** 345, 16 გაკვირვების შორისდებული.
**ბიბინი** 141, 12 ფრენა (არწივისა), ჭენება (ცხენისა), მღელვარება (ყანისა) მეტაფორულად: ხალხის წასვლა გამალებით.
**ბიზა** 82, 29 ბიძა.
**ბითამდინ** 89, 2 ვითომ, ვითომდა.
**ბითევი** 358, 23 ყველა.
**ბილაზუკი** 374, 35 სამაჯური.
**ბიჟოვაძ** 85, 2 ეშმაკობა.
**ბირალი** 370, 4 ფირალი.
**ბირ ზამან** 373, 34 არასოდეს.
**ბიჯი** 51, 7 ბიჯგი, ბოძი.
**ბონა** 101, 36 „სხილ ხალღებს აყე, ოთახის საჭირო რაცღა რო არი, თან მიაყე".
**ბონძღვერი** 342, 1 ძონძებში გახვეული, ჩაძონძილი.
**ბოჟირი** აწიოკება. მ ი ბ ო ჟ ი რ ე ბ 159 20 მიწიოკებ.
**ბორი** 370, 12 მილი.
**ბორდოხი** 265, 19 „გულდამძიმებულად რომ დაიხლაზნება".
**ბოღანალი** 96, 19 კორიანტელი.
**ბოში** 280, 34 გოგო. „ჰყავდეს ცხრა შვილი: ოთხი ბ ო შ ი და ხუთი ვაჟაძ" (მთარაჭული ხლაპრიდან).
**ბოშე** სუსტი: „საბელი რო წნიკი (წნიკი და წრილი ერთია!) შაიქნა, იმას ბოშეს ვიტყით; საბელი გაწყდა, ბოშე-რი, ბოშე ყოფილა".
**ბოშყავს** 91, 15 ერთნაირი სპილენძის ჭურჭელია თეფშის მოყვანილობისა.
**ბოჯახი** 333, 28 ერთად აზრდილი რამდენიმე ტოტი ხეზე.
**ბოჰნა** 97, 34 შაირი. ბ ო ჰ ნ ა მ ო გ უ გ ო ნ ა შაირი მოგვიგონა.
**ბუბუნი** (ქარის) 140, 24 ყვირილი (ხარის).
**ბუგრა** 118, 27: 220, 3 „არხოტივნები „ქევსურებს" ბუგრას ეძახიან დაცინვით" (გაბუური); მკბენარი (დაწვრილებით იხ. ჩვენი „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან", გვ. 126—127)
**ბუმბრუქი** 297, 11 პურის ფართო ნამცხვარი.
**ბურსალი, ბურსალთბა** 247, 37 ნავარდი, ტრიალი.
**ბურული** 319, 18 ბინა.
**ბურჯი** 94, 28 კოშკი.
**ბუჭულა** 50, 41 პატარა, კოდიანი წისქვილი
**ბუხავი** 377, 32 ჯაჭვი, ბორკილი.
**ბუხარაძ** 87, 4 ბუხარი.
**ბუთუმ** 76, 5 ყველა.
**ბღანკალი** 333, 32 კანკალი, ძაგძაგი.
**ბღარი** 33, 11 ბალღი, ბავშვი.
**ბღეზი** 317, 18 ავი.

### გ

**გაბუკვილი** 371, 26 გაბუტული.
**გაგნება** გაგება. გ ა მ ი გ ნ ე თ 243, 26 გამიგეთ.
**გადაინჩებული** 153, 11 გამოთაყვანებული.
**გადაძ** 76, 4 ბიჭი, ვაჟი.
**გადენა** 109, 3 გარეკვა (საქონლისა).

**გადიხიანი** 79, 15 ბიჭის მხრიდან.
**გაე:** საჭნავად გასვლა 109, 6 სახნავად გასვლა.
**გათალარებული** 339, 12 თალარა, გაშლილი ველი.
**გათებ** 85, 24 გათბი.
**გაიდონაი** 338, 37 ბულბული.
**გაკუჭება** გაბრაზება, გულის მოყვანა რაიმეზე. აქედან: გაკუჭებული 324, 9 გაბრაზებული, გულმოსული.
**გალურთხული** 281, 17 ძალზე დასველებული, გაწუწული.
**გამობაზვა (თვალებისა)** 272, 38 გამოკარკვლა, გამობურთვა (თვალებისა).
**გამოგვარეზილა** შეგვარცხვინა (რეზილი—უსინდისო, შემარცხვენელი).
**გამტკიცული პური** 12, 2 სამტკიცში გაცრილი ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პური.
**გამუახამეთყე** 93, 12 „გავასეირნეთ", ვატარეთ (?).
**განიჟება** დაყინება. გაინიჟებდა 64, 8 დაიყინებდა.
**გაყინიანეუვართა** 84, 30 გავყინიანებულვართ.
**გარაქ** 78, 28 უნდა (ნაწილაკი).
**გარდაჲს** 97, 21 გარდა.
**გარეგნი** 263, 16 გარეთ.
**გარეზილება** 205, 35 შეურაცხყოფა, გაჯავრება.
**გართობა:** გაერთო 263, 29 გაიბნა, დაიკარგა.
**გახხორტა** 182, 20 ტოტების მოცილება.
**გატოშვა** 118, 27 ცემა, სილის გაწნევა.
**გაუქეჩებენ** 151, 11 წაასხამენ, გზას გაუყენებენ.
**გაფი** 97, 28; 99, 12 ამბავი, საქმე. შავკერეთ გაფი—გადავწყვიტეთ.
**გაჩუჩვა** 146, 5; 133, 22 ოდნავ განძრევა.
**გაძეგვა** 262, 8 გათელვა განადგურება.
**გაწკურვა** 297, 2 შიშისაგან გაჩუმება.
**გახადე** 254, 26 აქ: ახადე, შემოხსენი (იარაღი).
**გახაზირება** 377, 30 მომზადება.
**გაჭერებული** 174, 21 გაშეშებული.
**გაჭეჩაჲ** გახლეჩა. იჭეჩევ 87, 3 იხლიჩება.
**გაჰ** 77, 5 ხან.
**გერივ** 98, 12 ისევ, კვლავ.
**გზობა** 340, 8 იგივეა, რაც გზის,—ჯერ.
**გინა** 52, 3 ანუ.
**გლა:** აგალა 187, 17 რტყმევა, გარტყმევა.
**გოლი** 375, 21 მორევი.
**გოძორძლო** 360, 26 აქ: ცხენის დიდი, გამოშვერილი მუცელი.
**გოჰცოლ** 85, 33 გავცვალე.
**გრულიაზემო** 313, 36 ირგვლივ.
**გუბინადერი** 101, 26 გუბერნატორი.
**გულთმეცარი** 261, 23 გულთმისანი.
**გურგლივ** 57, 28 ირგვლივ, რგვლად.
**გურჯიჯა** 372, 26 ქართულად.

## დ

**დაბალითება** მიმხრობა, დაყოლიება. დაიბალითა 64, 7 მიიმხრო, დაიყოლია.
**დაბაშლვა** 237, 29 დაწყება.
**დაბეგჩვა** 221, 34 ყარაულობა.
**დაბურავებული** 51, 5 დაბურღილი და ხის ლურსმნით დაჭედილი (შდრ. რუს. бурав, буравить).
**დაგანგლვა** 73, 28 ამოთხუპნვა, ამოსვრა.
**დაგლუგობს** 273, 33 ლაპარაკობს (ყორანი).
**დადილიმება** 224, 22 დაჭრა თანაზომიერ ნაწილებად.
**დათანალება** 97, 33 ფულის ართმევა; დაწიოკება.
**დათარვა** 132, 32 გადათრევა.
**დაკაული** 123, 21 დაგრეხილი.
**დაკვალება** დარიგება, ჭკუის სწავლება „ამას ცხენი აკვალამს" 230, 37.
**დაკოჰვა** ნ. გვ. 121, № 73.
**დალაბანდი** 53, 1 დიდი კეტი.
**დალიხული** 305, 21 ამოხერგილი, ამოვსებული.
**დალურსკუმება** 343, 6 ძალზე დაბნელება.
**დამზღვლევა** 283, 34 დამსხვრევა.
**დამტუმარა** 95, 3 დამპატიჟა.
**დამძიმება** 279, 8 დაორსულება, დაფეხმძიმება.

**დამწყალობნება** 109, 32 წყალობის მოთხოვა: დალოცვა.

**დანაგაბრ.ებული** 133, 34 ნაფლეთებად ქცეული (ნ ა გ ა ბ ა რ ი—ნაგლეჯი, ნაფლეთ ი).

**დაჱდა** 84, 20 ძალიან, უფრო მეტად, დიდად.

**დაჟ** 85, 24 დაჯექი.

**დარალი** 239, 7 დალალი.

**დარვოზ.აჲ, დარვოზა** 85, 3; 79, 26 ჭიშკარი, ალაყაფის კარები.

**დარილ.ა** 141, 20 ღალატი, დაღალატება.

**დარნე** 333, 20 ღრმა ორმო.

**დასიც.ლი** 119, 8 დაცინვა.

**დასმა: ;ი** ცხვირსახოცი (ხელსახოცი).

**დახტა** 103, 2 წყება; ჯგუფი; ნათესავები, ნათ.საობა.

**დახტ ერელამალი** განკარგულება, ბრძანება.

**დახტურობა** 113, 15 ხატის მოსამსახურეობა.

**დასტურ-კელოსანი** 109, 24 დ ა ს ტ უ რ ი—ხატის მოსამსახურე, „რომელიც რიგით დგება ყოველ წელს, სოფლისთ .ი ხარშავს ლუდს ხატში“ (გაბუური), კ ლ ო ს ა ნ ი — „ხევისბერი, ხუცესი“ ( აბუური).

**და: უვალოება** დაბრმავება. აქედან: ( ა უ თ ვ ა ლ ო ე ბ უ ლ ი 253, 8 დაბრ.ავებული.

**დაფაბილვენ** 107, 1 დაბარავენ (სპარს. ფ ა რ უ ბ ი ლ—ბარი).

**დაფალვა** 267, 24 დახვეტა, დაგვა.

**დაფსიტვა** (წვერებისა) 73, 30 აბურძგვნა (წვერებისა).

**დაფშვნეტა** (მიწაზე) 125, 24 დანარცხება (მიწაზე).

**დაქოლგავება** 225, 24 დაჩრდილვა, ჩრდილის დაყენება.

**დაქრეჯა** 3 5, 17 დაკრეჭა (სახისა).

**დაყვინტალება** 273, 5 ჩათვლემა.

**დაყონალება** 106, 21 დ პატიჟება (სიტყვისაგან—ყ ო ნ ა ღ ი სტუმარი).

**დაშპობა, გაშპობა** 333, 32 დასხლეტა, გაქცევა.

**დაცილება** 271, 16 ცილის ჩამოგდება, წაჩხუბება.

**დაწერა:** დ ა ე წ ე რ ა 247, 26 დაებადა, შვილი ეყოლა.

**დახიბლული** 74, 7 ფერდაკარგული, გამხდარი.

**დაჭელთვა** 119, 13 გაგიჟება, გადარევა.

**დაჭერება** 152, 15 გაშტერება, გაპოლენჩება.

**დაჰავაჲ** 85, 5 დავა, ჩხუბი.

**დეგირმანი** 379, 3 წისქვილი.

**დეგირმანჩი** 378, 20 მეწისქვილე (ნ. დეგირმანი).

**დედეჲ** 372, 21 „მამის მამა“.

**დედულობა** 262, 18 დედულეთი.

**დეელნება** 139, 6 დაელვება.

**დევლათ** 76, 22 დოვლათი, სიმდიდრე.

**დეკაც** 76, 6 დედაკაცი.

**დელიყანი** 373, 20 ახალგაზრდა კაცი.

**დოლაბი** 239, 6 ხვრელი.

**დეჟრიში** 379, 30 ღ რიბი კაცი.

**დვინია გვეზალი** 222, 29 საქვეყნო ლამაზი, იზეთუნახავი.

**დია** 261, 30 ბევრი.

**დიდრვიანები** 379, 23 დიდები, დიდროთნები.

**დიესხრიკა** 354, 40 გასდია, დაედევნა.

**დილიანზედა** 157, 17 დილით.

**დილიმი** 216, 38 ნაჭერი.

**დილლიგ** 273, 38 ბოსტანი.

**დილობა** 94, 31; 1.0, 20 დილა.

**დინე** 373, 5 „ნენე“ (დედა).

**დუბარა** 374, 25 ეშმაკობა.

**დუზი** 371, 39 სწორი.

**დუნია, დუნუაჲ** 377, 28; 89, 18 მთელი ქვეყანა.

**დუნჩი** ტუჩი, ბაგე. მრავლ.: დ უ ნ ჩ ე ბ ი 333, 20.

**დუსალი, დუსალხანა** 100, 29 სატუსაღო, საპყრობილე.

**დულუნი** 379, 24 ქორწილი.

**დუშმანი** 371, 2 მტერი.

## ე

**ებე** 353, 31 ბებია.

**ებედი** 371, 17 არასდროს.

**ეგან** 370, 7 ძმისწული.

**ეემეტ** 87, 28 ამის მეტი.

ემია 3"3, 16 ბიძა (მამის ძმა).
ერდენა 84, 26 ერთი, ერთადერთი.
ერდეფა 76, 16 ერთხელ.
ერეყანი 296. 10 გაუმაძღრობა.
ერთკვადი ერთმანეთი, ერთიმეორე.
ერსიანობა 209, 2 გაბრაზება, ჯავრიანობა.
ერცალე 224, 9 პატარა, მცირე, ერთი ბეწო, ცოტაოდენი („ერთსახე").
ესკერი 370, 17 ჯარი.
ესტაქანი 80, 14 „სტაქანი", ჭიქა.
ექითა 105, 17 იქითა.
ეხი 133, 4 გამოქვაბული კლდე, ავდრის დროს თავშესაფარი" (გაბუური).
ეჯიბი 154, 8 მეფე-დედოფლის მხლებლები.

### ვ

ვარცხლი 321, 2 ვარცლი, ფიცრებისაგან შეკრული ან გულამოთლილი მრგვალი ხე, რომელსაც ხმარობენ სარეცხ ჭურჭლად.
ვახთი, ვახტი 108, 11 დრო.
ველდაში 87, 9 ამხანაგი.
ვეძა 270, 11 მჟავე წყალი.
ვოდა 336, 34 ოდა.
ვოჯო 345, 6 ვეფო, ვაჟო.

### ზ

ზათი 236, 14 მაინც.
ზანკალი 373, 12 нагоденник.
ზარჩვი 213, 11 ძალა.
ზარფუში 81, 7 საარაყე ქვაბის ხუფი.
ზარხოში 377, 28 მთვრალი.
ზაფთი პოლიციელი. მრავლ.: ზ ა ფ თ ი ე ბ ი 370, 13 პოლიციელები.
ზაჰმათი 95, 2 ჯაფა, შრომა.
ზენჯილი 375, 9 ჯაჭვი.
ზერი-ზუვაძ 87, 5 ნაწილ-ნაწილ, ნამსხვრევ-ნამსხვრევ.
ზინჯირი 96, 7 ჯაჭვი.
ზოგადი 209, 16 აქ: მთელი, სრულიად.
ზორი 379, 31 ძალა.
ზოფაძ 378, 37 კეტი.
ზრახვაძ 81, 1 დალაპარაკება.
ზროვ 90, 39 ძრება.
ზულუმი(თ) 86, 28 ტანჯვა-წვალებით.
ზურზლული 331, 34 ბევრის ერთად ტირილი.
ზღუბელი 206, 37 ზღურბლი.

### თ

თაფრა: თ ა ფ რ ა ვ ქ ე ნ ი თ 98, 37 შევეცადეთ (?).
თავალა 242, 17 აღმართი.
თავამჯარაძ გექცევ 88, 38 გეხვეწები, გემუდარები.
თავლახანა 376, 34 თავლა, საჯინიბო.
თავქელი 188, 16 თანატოლი.
თალაფა 97, 4 „მუქაფა", სამაგიერო.
თანამტანი 276, 6 თანამგზავრი.
თანუქარი 52, 19 თეთრი კრისტალური ნივთიერება, რომელსაც გახურებულ რკინას აყრიან, რომ სიცხოვლე გათანაბრდეს და რკინა შიგნით და გარეთ თანაბრად გახურდეს, ბურა (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი).
თაძფაძ 91, 9 ჯგუფი, ხალხი. ყ მ ა წ ვ ი ლ თ ა ძ ფ ა ძ ყმაწვილთაგანი.
თაჟაპური 215. 14 ახალი პური.
თარაქამა 59, 27 გადატ.: ავი სული, აშარი ქალი.
თარგი 92, 27 უნაგირის ნაწილი: კეხის უკანა ხეაშვერილი წერი.
თაქლიფი 97, 1 დანიშნულება, საქმე (?).
თალ 230, 39; 232, 33 ოღონდ.
თალარ 79, 8 ტყავის გუდა.
თაყდიმი 97. 32 ვალდებულების ქაღალდი, ვექსილი (?).
თექათლი 380, 30 ერთი ცხენით.
თელალი 375, 4 გამომცხადებელი, შემტყობინებელი.
თემენნა უყო 379, 37 მიესალმა.
თერქი 380, 19 გავა (ცხენისა).
თექნაძ 86. 29 ლაგანი, გობი.
თიკუნი 123, 24 მეტსახელი, ფსევდონიმი.
თოზ 84, 34 ოინი(?).
თოფვა 139, 37 (თოფის) სროლა.
თუ 112. 28 თურმე.
თურმენი 76, 9 თურმე.

### ი

იავარი 104, 2 „ჩიჩი" სამხედრო პირისა
იამან და იამან 214, 7 არამც და არამც.

**იასალი** 374, 28 აკრძალული.
**იალი, ჲალი** 353, 12; 353, 23 ერბო.
**იაჴსარი** 153, 18 ნ. ხატი.
**იგიდი** 376, 11 გმირი.
**იერუსალეთი** 113, 36 იერუსალიმი.
**იკილმუკულ** 58, 8 ბარბაცით, მიხვეულ-მოხვეულად.
**ილლაჰუ̄ნდა** 356, 24 აუცილებლად, უთუოდ (ილლაჰ).
**იმლახორი** 376, 31 ამილახორი (მეჯინიბეთუხუცესი, შტალმეისტერი).
**ინშალლავ (ხეჲრ)** 80, 23 ღმერთმა ხეირი მოგცეს.
**იჩსანი** 81, 28 ადამიანი.
**იოგი** 135, 15 სასხარი, ნაგალ., თითებისა.
**ისპათი** 3̇3, 10 მოწმე.
**იფო** 94, 38 უფრო.
**იშკაფი** 87, 5 შკაფი.
**იშპუნა:** „ი შ პ უ ნ ა ლეკური" 335, 33 ამოაძრო ლეკური; „ი შ პ უ ნ ა ხანჯალი" 347, 4.
**იშრიშობა** 119, 34 ალიტერაციაა „ქრისტეშობა" სიტყვისათვის (ა. შანიძე).
**იხტიარი** 76, 5 აქ: ქონება, სიმდიდრე.

### კ

**კაად** 114, 17 კარგად.
**კაზმვა (კეთილისა)** 113, 16 კეთება (კეთილი საქმისა).
**კაკლა-კაკლა** 338, 15 დაწვრილებით.
**კალტი** 160, 32 ხაპო.
**კაჲგორა** 76, 5 კარგად („კაი გვარად").
**კაპანი** ქვიანი და ციცაბო ადგილი. კ ა პ ნ ე ბ ი დ ა ნ 360, 35.
**კარჩხალი** 348, 9 წყალში წაქცეული ხე ან ხის ტოტები, რომ არა ჩანს.
**კატარი** 348, 2 ხის წვერო, კენწერო.
**კაფია** ხელდახელ ნათქვამი ლექსი. წ ა უ კ ა ფ ი ა ე ბ ა ვ 126, 38 ხელდახელ, ექსპრომტად უთქვამს.
**კახტაკანი** 218, 10 ლტოლვილი, გამოქცეული.
**კედაჲ** 187, 8 ხის ან რკინის ჯოხი კარზე გასაყრელი, ურდული.
**კედემ** 80, 34 კიდევ.
**კეჰტევის** 76, 14 ხდება (კეთდება).

**კვებო** 261, 28 სარკმელი მთარაჰულ სახლში.
**კვიწიალ-კვიწიალით** 288, 13 ტრიალ-ტრიალით.
**კიდელ-კიდელთ:** ც ი ს კ ი დ ე ლ-კ ი დ ე ლ თ 110, 18 ცის ტატნობზე. ჰორიზონტზე.
**კიკინო-კოწოლ** 161, 25 კულული (ნ. კოწოლი).
**კილავ** 349, 3 კვლავ.
**კინტუაები** 247, 14 რკინის პატარ-პატარა ნაჰრები.
**კიცვი** 110, 12 კვიცი.
**კოკალი** 50, 8 საქონლის პატივისაჲან გაკეთებული კეცი, რომელზედაც აბრეშუმის ჰიას დასვამდნენ.
**კოკროჰინა** 347, 11 ეზოს ავი სულები.
**კოლობა** 354, 25 ქოხი, კარავი.
**კოლოლო** 50, 23 დურგლის იარაღია (ღარის ამოსაღები რანდა).
**კონახი** ნ. ყონაღი ა).
**კონკა** 267, 26 კოკა.
**კოპალა** 153, 19 ნ. ხატი.
**კორთეჲ** 87, 2 თარო.
**კოტი მთა** 82, 17 ძალიან დაქანებული მთა.
**კოში** 120, 23 დიდი სალუდე თასი.
**კოწოლი** 1. 68, 20 თმის ნაწნავი; 2. ცეცხლის ენა.
**კოჰობი** 110, 31 „ვერცხლის თასი ლუდის სასმელი".
**კუდური** 243, 12 ეშმაკის ეპითეტი, კუდიანი.
**კუკულო ოფლო** 219, 12 კუკური ოფლი.
**კუობაკანაჲ** 82, 30 კუ.
**კურეტი, კურატი** 192, 1 დაუკოდავი ხარი, ხარის (ნ.) დასაკლავად განკუთვნილი.
**კურ̈უა̈** 79, 10 კვირა.
**კურცხალი** 321, 26 ცრემლი.
**კუსკუსობა** 118, 30 ალერსი, ტრფიალი (დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, ხევსურული მასალების ლექსიკონი: „წელიწდეული", I—II).
**კუტალი** 11, 33 წყლის ჰურჰელი თიხისა.
**კუჰის მოსვლა** 319, 23 გაბრაზება, გულის მოსვლა.

**კუჭურაჯ** 161, 22 თავსახური, მანდილს იმაგრებს.

## ლ

**ლაგან-ჰაფიუფა** 79, 7 ხელის დასაბანი ჭურჭელი (თასი და თუნგი).
**ლალი** 354, 25 მუნჯი.
**ლალაჲ** 218, 23 გამზრდელი.
**ლალე** 353, 17 ვეზირი.
**ლაშე** 111, 19 პირი.
**ლაშარის ჯვარი** 153, 18 ფშავლების სალოცავია.
**ლაყაბი** 102, 18 ტიტული, წოდებულება.
**ლაყობი** 185, 22 ლოყები (ლ ა ყ ო—ლ ო ყ ა).
**ლაჭნას**: „ვინც ლ ა ჭ ნ ა ს აეს ქვიშანი" 124, 31 ვინც ფეხი დაადგას, ვინც გადაიაროს ზედ (გადალახოს).
**ლესგი, ლესკი** 370, 17; 271, 37 ლექსი.
**ლეგა** 156, 16 შავ-ყვითელი.
**ლიანგი** დიდი, უზარმაზარი, ვეებერთელა.
**ლივერი** 369, 13 რევოლვერი.
**ლიშანი** 156, 17 ნიშანი.
**ლუბი** მპლე. ნ უ გ ა მ ი ლ უ ბ ე ბ 146, 26 ნუ დამიმპლევებ.
**ლუსპნები** 331, 30 ლურსმნები.

## მ

**მაატოტავებს** 159, 11 მოაპენებს, მოაგელვებს (ცხენს).
**მაგულვა** 148, 23 დამთავრება, მორჩომა, მოსტუმრება (საქმისა).
**მდადი** 154, 9 პატარძლის მაყარი.
**მავანი** 49, 35 ვინმე (некий).
**მაზლალა** 370, 14 სარკმელი.
**მათრაღი** 242, 2 მათრახი.
**მათხოჯი** გლახა, მათხოვარი. მ ა თ ხ ო ჯ უ რ ა დ 279, 10.
**მაკეთე-მაკიდული** 112, 26 მოყვარე, ნათესავი.
**მაკიდული** ნ. მაკეთე-მაკიდული.
**მალაჟაჲ დახევაჲ** 88, 22 ერთგვარი მკურნალობაა.
**მალიათი** 98, 17 გადასახადია.
**მალქაფი** 69, 20 მცველი ძაღლი.
**მამნუნი** 94, 25 მადლობელი.
**მანაპარ დროზე** 84, 20 მოპარსვის დროს.
**მანასულ-წანახულიბე** 78, 25 მომსვლელ-წამსვლელთათვის.
**მანზილი** 92, 19 სადგური, სადგომი.
**მანჯანიკი** აბრეშუმის ამოსახვევი მოწყობილობა: ტაშტი, ჩარხი და სხვ., აბრეშუმის ამოსახვევი კუსტარული ჯარა. აქედან: მ ო მ ა ნ ჯ ა ნ ი კ ე ი 50, 29.
**მარჩილი** 373, 36 ვერცხლის ფული.
**მარჯე** 114, 4 მარცხი, ცუდი საქმე.
**მარჯაკალი, მარჯიკალი** 61, 15; 107, 18 მაჰანკალი, შუამავალი.
**მასულმა** 296, 3 მას შემდეგ.
**მაშულლარი** 112, 8 მოჩხუბარი.
**მაშუყეთი** 373, 15 შეყვარებული (ქალი).
**მაწევარი** 109, 26 დამპატიჟებელი, მომწვევი.
**მაქელვა** 148, 16 მოძებნა, პოვნა.
**მაჭნავ** 109, 3 მხვნელი.
**მაჯმა** 107, 34 სინი. ლანგარი.
**მაჸმური** 101, 15 ექიმის მხლებელი(?).
**მეგემ** 360, 35 თურმე.
**მეგერ** 377, 28 აი.
**მევეჯება** 244,9 მთხოვს, მეუბნება.
**მევლანდელი** 91, 14 მერმინდელი, შემდგომი. მ ე ვ ლ ა ნ—შემდეგ, მერე.
**მეზელული** 358, 3ა საფლავი, სასაფლაო.
**მეზერი** 370, 30 საფლავი, სასაფლაო.
**მეიმცველეს** 292, 22 აიკლეს, დაარბიეს.
**მეკოპარი** 161, 29 შეიარაღებული რაზმი.
**მემლექეთი** 375, 14 სამეფო.
**მემუჭლე** 113, 19 ვინც მუხლზეა დაჩოქილი.
**მეჟმა** 90, 37 სპილენძის დიდი ჭურჭელი, ლანგარის მსგავსი.
**მერაჲი** 371, 25 დარდი.
**მეტლად** 239, 5 მეტად.
**მეშაკი** 106, 35 მცენარე, „ოსპ-გაუდანას" (ნ.) ძმაა, ისიც წარე-რი".
**მეცარი** 264, 27 გულთმისანი, მცოდნე.
**მეცუცქულეჲ** 85, 23 მეწისქვილე.
**მეჯი** 118, 12 მენჯი.
**მზირი** 137, 38 სისხლის ასაღებად ან დავლის საშოვრად წასული ხალხი. ს ა მ ზ ი რ ლ ა დ 137, 39; მ ზ ი რ თ ა ხ ე შ ა გ დ ე ბ ა 137, 16.

**მზორე** 185, 26 მზიანი ადგილი.
**მთხოველი** 249, 24 მთხოვარა, გლახა.
**მილლავს** 84, 23 ჭირეკავს, მილალავს.
**მინ, მინც** 106, 9; 80, 1 ვინ, ვინც.
**მირახო** 86, 39 ოხერ-ტიალო.
**მირგვლივ** 116, 33 ირგვლივ.
**მოკვანტილი** 74, 25 მოკუზული.
**მოლოდოვის** 85, 22 მელოდება.
**მომანჯანიკეი** ნ. მანჯანიკი.
**მონაგარი** 57, 13 მონაპოვარი, ნაშოვნი.
**მორიგე** (ხატისა) 119, 37 მსახური (ხატისა).
**მოხაბრება** 350, 13 მოთმენა.
**მოყურადე** 336, 9 ყურადღების მიმქცევი, მოთვალთვალე.
**მოში** 116, 4 „ორითავ ჭელებით, იდლიით აღებული თივა ან სხვა რამე..." (გაბუური).
**მოშუღარი** 96, 5 მოჩხუბარი (შდრ. მაშუღლარი).
**მოჭვრეთილი** 121, 6 ფიგურაგამოყვანილი.
**მოხუხვა** 254, 25 მოგროვება, შექუჩება.
**მოჰლათუნა** 98, 3 „გადააკიდევინა" (?).
**მუნასიბი** 375, 34 შესაფერისი.
**მურაზი** 225, 36 საწადელი, სანატრელი.
**მურახასობა** 106, 11 ნებართვა.
**მურგვალთა** 153, 35 ირგვლივ.
**მუშამბალი** 375, 6 გასანთლული, გაცვილული.
**მუხური** 297, 1 კუთხე.
**მუჯირა** 276, 6 რკინიანი ჯოხი მთაში სასიარულოდ.
**მშაველი** 126, 10 ფშაველი.
**მწკალი** 136, 23 ბრჭყალი (ცხოველისა), კლანჭი (ფრინველისა).
**მჭა** 216, 1 ჭა.
**მჯილი** 182, 1 მუშტი, მუჭი.

## ნ

**ნაგრილი** 238, 2 დაჩრდილული ადგილი, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში მზე არ ადგას.
**ნაებ-ელ-ჰუქუმა** 97, 38 თანამდებობის სახელია: ექიმის თანაშემწე.
**ნავრუზი** ახალი წელი.
**ნაზლობი** 123, 6 ნამზღვლევი, მონახეთქი მიწა.
**ნათირალი** 96, 28 „ნაისრალი": ნატყვიარი, დაჭრილი (თ ი რ—ისარი).
**ნათოზი** 131, 23 ნამსხვრევი, ნაფლეთი. მ ა ე ნ ა თ ო ზ ე ბ ი ა ნ (მ თ ა - წ ვ ე რ თ) 122, 24 მოედებიან ქარივით გამალებულნი (მთა-წვერთ). ნ ა თ ო ზ დ ა მ ტ ყ ვ რ ა ლ ი 133, 31 ნაფლეთებად ქცეული.
**ნათოზდამტყვრალი** ნ. ნათოზი.
**ნაკანები** 140, 7 ნაჯერები („გული აქვ ნ ა კ ა ნ ე ბ ი").
**ნაკრებულობა** 211, 24 ნაკლოვანება, დანაკლისი.
**ნამაი** 99, 36 კარგად.
**ნამუშაელი** 148, 30 ნამუშევარი.
**ნამწა-ნამწა** 310, 1 ნატეხ-ნატეხად.
**ნენა** დედა.
**ნაობახი** 264, 13 ციხე, საპყრობილე.
**ნართის ქალაქი** 252, 29 ლეგენდარული (ფოლკლორული) ხალხის—ნართების ქალაქი.
**ნაფახი** 148, 15 ნაქარი.
**ნაფილარები** 330, 35 ნატირალები, ფირალად (ყაჩაღად) ნამყოფი.
**ნაფხორი** 119, 5 ნამცეცი.
**ნაღარი** 154, 32 ხნულის შუაში დარჩენილი ღარი.
**ნაყრი** 107, 33 აქ: დანაყრება („ერთი დანაყრება").
**ნაწილიანი** 147, 20 სასწაულებრივი, ღვთისაგან ნაკურთხი. დალოცვილი (ტერმინი გავრცელებულია ნაწილიანი ხატებიდან).
**ნახშობა** 243, 17; 266, 18 ლაპარაკი.
**ნელობამდე** 152, 20 ბოლო დრომდე.
**ნიადაგ** 125, 27; 152, 29 რასაკვირველია, რა თქმა უნდა.
**ნიადე** 119, 9; 139, 17 რასაკვირველია.
**ნიგუზარი** 236, 17 მუგუზალი.
**ნიჭი** 108, 18 საბოძვარი, საჩუქარი, ჯილდო.
**ნობეთჩი** 374, 27 მორიგე.

## ჲ

**ჲა** 97, 35 ან, ანუ.
**ჲამან და ჲამან** 214, 7 ნ. იამან და იამან.

**დანი** 104, 8 ანუ, ესე იგი.
**დაძლი** საზაფხულო საძოვარი, იალაღი. მრავლ.: დ ა ძ ლ ე ბ ი 204, 4.
**დალი** 92, 32 ყაჩაღი.
**დალლული** 356, 17 ხელსახოცი.
**დეთიმი** 371, 42 ობოლი.
**დორლან-დოშაგი** 79, 7 ლოგინი.

## ო

**ოგემაშინ** 87, 15 აი მაშინ.
**'ოგო** 85, 11 როგორ.
**ოზნა** 130, 26 „იგივე საწამლე, წამლის ქისა" (გაბუური), ვაზნა.
**ოზოძ** 79, 29 ეზო.
**ოლო** 269, 38 შემაღლებული ადგილი.
**ონჩხარი** 115, 35 ოჩხარი, გაჭირვებული კაცისთვის შემწეობის აღმოჩენა.
**ოჟალი** 76, 19 ოჯახი.
**ორდუ** „დიდ ჯარსა ორდუს დაეძახიან".
**ორემი** კარტოფილის შესანახი ორმო.
**ორთ** 111, 27 ვართ.
**ორთაშუა** (კაცი) 48, 14 საშუალო ტანის (კაცი).
**ორკეცი** 243, 4 ორსული, ფეხმძიმე.
**ორლბიხიან** 85, 4 ორღობისაკენ, ორღობის მხარეს.
**ოსპ-გაუდანა** 106, 35 მცენარეა; პირუტყვის, საქონლის საჭმელია.
**ოყარო** 295, 35 გაუმაძღარი.
**ოშკაცი** 135, 4 ვაჟკაცი.
**ოჩერეზი** 327, 12 „ოჩერედი" (რიგი).
**ოჩოპინტე** 122, 20 „ეშმაკი, ნადირთ, ჯიჯვთ წყემსი" (გაბუური).
**ოხეკუეა** 326, 32 ბრტყელი და დიდფოთლებიანი ბალახია.
**ოჯახი** 217, 3 ბუხარი.

## პ

**პატა, პაძტა** 86, 30; 100, 3 მცირეოდენი, პატარა.
**პირისმელკნე** 179, 8 „თანამდებობის აღმნიშვნელია: ვინც ღვინოს უსხამდა (?). ამჟამად არ იხმარება მოხეურში" (ო. ქაჯაია).
**პიწკზე** 347, 6 „წკიპზე," ოდნავ.
**პიწწა** 83, 30 მცირეოდენი, პატარა.
**პუნტა** 275, 25 ნამცხვარი კვერი.
**პწკალე** 325, 36 კიბე.

## ჟ

**ჟადუძ ექცევ** 76, 14 ჯადოს უკეთებს, აჯადოებს.
**ჟამი** 262, 23 პირი.
**ჟეძზ** 80, 29 მზითევი.
**ჟეფაძ** 76, 30 ჯაფა, შრომა.
**ჟიჟიმი** 79, 7 ჯეჯიმი (საფენი, ნაქსოვია).
**ჟულაბი** 77, 27 სიტყვა.

## რ

**რაადამ** 120, 19 რად, რატომ.
**რავი** 50, 36 რა ვიცი.
**რაზიძ არ ქნილ** 76, 13 არ დათანხმებულა, არ დასთანხმებია.
**რაჟი** 344, 17 რაში.
**რაჟურააც** 83, 2 როგორადაც.
**რასტ კეჰტევ** 85, 20 უხვდება.
**რაქთენი** 10, 3 რამდენი.
**რაქთონსაც** 78, 34, რამდენსაც.
**რახი** 377, 8 არაყი.
**რაჰელ, რაჰელც** 142, 25; 116, 28 როგორ, როგორც.
**რაჰათი** 370, 36 მშვიდად, წყნარად.
**რეალი, რიალი** 103, 7; 94, 2 სპარსული ფულის სახელია.
**რეერთა** 70, 2 რამდენი.
**რემა** 110, 12 კარგი ცხენი.
**რესიდაგობა** 100, 39 გამოძიება. რ ე ს ი დ ა გ ო ბ ა ქ ნ ა ნ — გამოიძიონ.
**რიშვეტი** 372, 8 ქრთამი.
**რიწუ** 87, 21 ლუკმა.
**რიკ-რიკი** 117, 25 „მთვრალი კაცი რო იქი-აქათ ასქდების რამეს, ტანს ინძრევს" (გაბუური).
**როგონ** 106, 28 როგორ.
**რუბა** 374, 23 კაბა.
**რუგო** 88, 17 როგორ.
**რუზლიანი** 55, 37 მჭრელი, გამჭრიახი.

## ს

**საბატონო** 108, 17 ბატონის სადღეგრძელო.
**საბმური** 358, 10 გამოცანა.

**სადამ-მადამში** 89, 4 სადმე.
**სადანიშნული** 214, 37 დანიშნული ქალი, საცოლო.
**საზი** 377, 7 მუსიკალური საკრავი.
**სათავე** 113, 7 პირველი ადგილი (სუფრახე).
**სათითე** 111, 10 „რკინის საცერული თითზე გასაკეთები ჩხუბის დროს, რითაც ურტყმენ მოშუღლარნი ერთუცს" (გაბუური).
**საიხკედ** 123, 24 საითკენ.
**საკარგუმო** 82, 10 კაი ვაჟკაცების სადღეგრძელო; კაი ყმის სასახელოდ დასაკლავი საქონელი.
**საკარცხული** 267, 20 საპატიო სავარძელი ოჯახის უფროსისათვის.
**საკიდელი** 153, 34 კერიის (შუა ცეცხლის) ჯაჭვი ქვაბის ჩამოსაკიდებლად.
**საკლავი** 110, 1 ბატისათვის დასაკლავი ცხოველი. უმეტესად ცხვარი.
**საკომი** 193, 2 საკვამლე.
**საკროჭინა** 267, 43 „ტიკი ტიკად მოეხმარა, ს ა კ რ ო ჭ ი ნ ა საკრავათა".
**სალაგინე** 313, 21 ადგილას.
**სალაკე** 323, 4 ადგილი.
**სალამათათ** 239, 17 საღად, ჯანმრთელად (შდრ. საღლამათი).
**სამანი** 124, 23 როცა მთაში სათემო ყრილობა შერისხავდა და დაწყევლიდა თემის ადათის დამრღვევს და თემიდან დამნაშავის გაძევების განაჩენს გამოიტანდა, ნიშნად ამისა გრძელ ქვას ჩაარჭობდნენ მიწაში, ამას სამანი ეწოდებოდა (ხალხის ძახილზე: სამანი, სამანი დამნაშავესო!).
**სამდენა** 84, 39 სამი ცალი, სამი
**სამდეფა** 91, 24 სამჯერ.
**სამპოტიკი** 339, 2 სამტოტა.
**სამშობლო** 74, 27 გათხოვილი ქალისთვის მშობლების სოფელი; ოჯახი.
**სამჭიო** 272, 23 საჭირო.
**სამჭმო** 211, 35 საგზალი, საჭმელი.
**სანგალი, სანგარი** 127, 26; 93, 24 ბარიკადი. საფარი ტყვიისაგან.
**სანდული** 375, 6 ზანდუკი, სკივრი.
**სანდუხტარი** მოლარე, ხაზინადარი („მეზანდუკე").
**სანთი** 214, 10 მხარე.
**საპირიხწამლე** 138, 32 თოფის ფალიაში ჩასაყრელი წამალი.
**საპოვნევარ** 76, 12 ვიპოვნი.
**სარაი** 374, 3 სრა-სასახლე.]
**სარბაზი** 98, 17 ჯარისკაცი: სამხედრო გადასახადი.
**სარბევი** 111, 28 „რაღაც სახე უნდა იყოს გადასახადისა სისხლის ჩამოვარდნის დროს" (ა. შანიძე).
**სარდო** 42, 7 საზრდო.
**სარეკელა** 51, 33 წისქვილის ნაწილი.
**სარჯელი** 64, 1 სასჯელი.
**სასეილოდ** 96, 30 სასეიროდ.
**სასვარი** 132, 14 სალაფავი, წყალში ადუღებული სიმინდის ფქვილი ან ქერის ფქვილი ან კიდევ ქატო ძაღლებისათვის.
**საფერჯე** (ცხენი) 151, 34 საჯდომი ცხენი.
**საქნარი** 135, 31 რიგი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გაწეული ხარჯი.
**საქონი** 115, 14 საქონელი.
**საღარი** 186, 13 შუბლთეთრი ცხენი.
**საღები** 377, 34 გასაღები.
**საღინი** 77, 5 მეწველი საქონელი.
**საღლამათი** 43, 5 საღი, ჯანმრთელი.
**საღოლ** 88, 21 გმადლობთ.
**საყდარი ქვა** 155, 8 უმტკიცესი ქვა.
**საშოლტე ტყავი** ერთი საქალამნე ტყავი.
**საცდური** 211, 40 მაცდუნებელი.
**საცივი** 361, 39 წყარო.
**საძირე** 63, 1 საძირკველი.
**საძნახელი** 310, 28 საწნახელი.
**საწყაისი** 117, 18 ოთხი ნასამალი (დაახლოებით ერთი ფუთი).
**საჯხარი** 132, 33 გამოსახსნელი თანხა ან საქონელი გამოსასყიდი ტყვისა,
**სებები** 372, 21 საბაბი, მიზეზი.
**სეისი** 376, 17 მეჯინიბე.
**სემთი** 375, 8 მიმართულება, გზა.
**სერდალი** სარდალი.
**სვე** 113, 21 სვია, ფშალა (რომელიც ლუდის დუღილს იწვევს).
**სი** 161, 2 სად.

**სივაკე** 92, 33 ვაკე.

**სილალი, სილაში** 379, 8; 378, 15 იარალი.

**სილინგი** 266, 27 თოფების ან ისრების ერთად სროლა.

**სინორი** 241, 4 მიჯნა, საზღვარი.

**სიპტანდელო, სიფტანდელო** 76, 29; 78, 21 პირველი (პირვანდელი).

**სირი** 214, 15 რიგი.

**სირა, სირაჲ** 222, 3; 372, 30 რიგი, ჯერი.

**სიფრო** 2, 8 სუფრა, მაგიდა.

**სკორე** 271, 39 ყინულოვანი მთა, მყინვარი.

**სკურტუმალი** 267, 32 კურტუმო.

**სოი** 337, 15 ფერი, ხარისხი, გვარი.

**სომინი** 217, 1 დიდი მრგვალი პური.

**სოფოლი** 84, 39 სოფელი.

**სრევა** 144, 11 სროლა.

**სრუ** 121, 24 სულ.

**სტვა** რთვა, დართვა. შემისტი 320, 5 დამირთე.

**სტუმრე** 295, 34 თურმე.

**სუთი** 373, 9 სასამართლო (რუს. суд).

**სუნივ** 103, 40 სუყველა.

**სუჩი** 378, 25 ცოდვა, დანაშაული.

**სხენ** 113, 12 სხედან.

**სხვაგნებური** 262, 34 შორეული, სხვა (უცხო) მხრისა.

**სხოთაარ** 76, 15 სხვაგვარად.

**სხოჟურა** 83, 24 სხვაგვარი.

## ტ

**ტაბლა** 118, 36 გაწყობილი სუფრა.

**ტალავარი** 141, 10 ტანისამოსი.

**ტალიკი** 358, 6 თეფში, ჭიქების დასაწყობი.

**ტამსომოზი** 79, 6 ტანისამოსი.

**ტანი** 207, 28; 274, 37 ტანისამოსი.

**ტანსმუზი** 86, 6 ტანისამოსი.

**ტარაბუა** 50, 33 აბრეშუმის სახვევი ჩარხი.

**ტახტა** 331, 23 უნაგირის საჯდომი.

**ტიკანი** 215, 34 ციკანი.

**ტოლი** 160, 28 სქელი მატერია, შინ ნაქსოვი.

**ტორათი** 377, 36 ცხენის სახელი (?).

**ტოტი** 139, 12 ხელი (კაცისა).

**ტოში** 110, 10 ტაში.

**ტუმარე** 324, 6 ტომარა.

**ტყავკაბა** 160, 28 ტყავის პალტო.

**ტყივა** 94, 18 ტყვია.

**ტყრიალი** 110, 10 ხმა ტაშისა და ფანდურისა.

## უ

**უბრალო** 195, 37 ვისაც ბრალი არ ჰდება.

**უგემ** 89, 31 აი.

**უგემაშინ** 89, 23 აი მაშინ.

**უზუგი** 374, 25 სამაჯური.

**უმ** 77, 9; 355, 33 რომ.

**უმანდელი** 350, 13 წინანდელი.

**უმედი** 76, 33 იმედი.

**უმუდი** 77, 27 იმედი.

**უმძრახათ** 59, 26 დამდურებულად.

**უნჯი** 126, 12 ძვირფასი, ფასდაუდებელი.

**ურუბა** 349, 30 ტანისამოსი.

**უსტაჲ** 88, 2 ხელოსანი.

**უფერი** ა) 111, 20 ცუდი; ბ) 121, 39 ეშმაკი (გლოსაა). აქედან; უფრიანი 121, 27 ეშმაკიანი.

**უქეჲფური** 372, 32 უქეიფოდ მყოფი.

**უქუმათი** 370, 16 მართვა-გამგეობა.

**ულან** 247, 4 ეგების, შეიძლება.

**ულელ-მაშვრალი** 109, 5 მაშვრალი დაღლილი, ულელ-მაშვრალი— ულელ-ქვეშ დაღლილი.

**უშკოლ** 76, 24 სკოლა.

**უშმენ** 89, 7 უშვებენ (გაშმაჲ—გაშვება.)

**უჩუმალა** 374, 20 ჩუმად, ფარულად.

**უჩუმრა, უჩუმრათ** 87, 6; 58,6 ჩუმად. აქედან: უჩუმრობა 74, 23.

**უხვიანი ტყე** 263, 3 ხშირი, უდაბური ტყე.

**უჯეროდ** 142, 30 ურჩად.

## ფ

**ფანცფუნცები** 64, 4 დაცვეთილი ტანსაცმელი, ჩვრები.

**ფარა** 374, 12 ფული.

**ფარაგი** 131, 2 გულისპირი (გულ-მკერდზე ასაფარებელი მოქარგული საცმელი).

ფარდაგი 266, 36 გადატანით: ფაფუკი, რბილი, სპეტაკი.
ფარცაკი 313, 26 ფარსაგი, საკვირველი, მოულოდნელი, სენსაციური.
ფასუხი 104, 9 პასუხი.
ფაფანაგი ქალთა ზემოსაცმელი, ჩოხის მსგავსი.
ფაშკუნძი 49, 29 ფასკუნჯი.
ფაჰჩაჲ 83, 10 ხელმწიფე.
ფეგი 204, 4 ნანგრევი.
ფელიკი შაშხის ნაჭერი ან რაიმეს ნაწილი. „ფელიკ-ფელიკათ აქცია“ 343, 22.
ფერდალი ფერდობი.
ფერილი 292, 24 ფერფლი.
ფერიყზი 217, 17 ფერიები.
ფერცხალი 356, 33 გვერდის წიბო.
ფეყი 77, 24 ფეხი.
ფეშანგი 96, 10 ტყვია.
ფეშინი 378, 16 წინ, წინა.
ფეხონი 141, 6 „ხალხი რო ერთად შეიყრება თავიანთ სურვილით, დასხდებიან ერთს სადმე ალაგზე“ (გაბუური).
ფექ: ტილიჩანის ფექი—სატელეფონო სადგური.
ფექ-ალმ 124, 15 თავდაყირა.
ფთე-ბორბალი 159, 18 წისქვილის ბორბლის „ფრთა“, ფირფიტები, რომელთაც წყალი ეცემა და ბორბალს ატრიალებს.
ფირალი 370, 18 ყაჩაღი.
ფიშაკი 210, 37 სანაძლეო, წილი.
ფიშმანი მონანიება. გამეჲფიშმანა 378, 12 მოინანია, ინანა.
ფიშტო 331, 15 დამბაჩა.
ფიშტოლი 372, 8 ფიშტო, დამბაჩა.
ფიჩვი 226, 31 ფარდაგი.
ფულეჲ-სოფრა 98, 14 „სუფრის ფული“: ექიმი და მისი მბლებელი, მაყმური, რომ მოვა, სანამ სადილს მიირთმევდეს, ფულს ითხოვს; თუ ფული არ მისცეს, არ წავა სადილად; გაცივდება სადილი; ახალი უნდა უკეთონ. ამ ფულს ფულეჲ-სოფრას ეტყვიან.
ფურუნჯი 354, 21 მეფურნე.
ფუში 360, 22 ფაშვი.
ფუშმანი 82, 26 დაღონებული.
ფუხარა 205, 16 ღარიბი.
ფხიკი 218, 26 ფხიკიანი, მფრთხალი.

**ქ**

ქადაგ-მკითხავი 121, 38 ადამიანი, რომელიც ხატის (ჯვარის) სახელით ლაპარაკობს და მის ნება-სურვილს აუწყებს ხალხს, როგორც წინასწარმეტყველი და ხატის (ჯვარის) მესაიდუმლე.
ქავი 130, 29 ციხის ზღუდე, გალავანი.
ქალალა 241, 18 აბრეშუმის თავშალი.
ქამა 100, 8 ერთნაირი (მაღალი) ბალახის სახელია.
ქარჯინა 254, 34 ოსური პური.
ქალაზი 97, 32 ქალალდი.
ქებინი 108, 7 ურვათი, საქონლით გადასახადი საცოლოსათვის; სასიძო უხდის ქალის მშობლებს (მუსლიმანთა წესით).
ქექევი (ცხენისა) 152, 18 ჰენება (ცხენისა).
ქეთხუდაჲ 84, 33 ბობოლა, მდიდარი, შეძლებული.
ქენარი 107, 6 ნაპირი.
ქეშიყი 95, 32 ყარაულობა. ქეშიყი გაჲზიდონ—ყარაულობა გასწიონ, იყარაულონ.
ქითაბი 371, 34 წიგნი.
ქინთი 115, 6 ტიკი.
ქო: დუნუა ქო 89, 18 ქვეყანაზე.
ქოთი 114, 12 ხმაურობა, აყალმაყალი.
ქორა კარი 62, 9 მოწითალო ფერის ხარი.
ქოლგა 217, 17 ჩრდილი.
ქომაჯი 107, 39 „(დიდი) პურია; კვერცხს და ერბოს ზედ მოუსმენ“: გომიჯი.
ქომური 85, 4 ნახშირი.
ქოოდ 119, 15 მთლად, სულერთიანად.
ქოცო 72, 9 პატარა ქვევრი.
ქუბდე 131, 22 სამარილე (ხისა, თავსახურავიანი).
ქურსი 107, 37 დაბალი ტახტი, რომელზედაც სხდებიან; ქვეშ სათბობი მოწყობილობაა მოთავსებული.

**ღ**

ღამეულა 86, 30 ღამიანად, ღამით.
ღლაბუცი ყიალი, უსაქმოდ, ხეტიალი. საღლაბუცოდ 344, 31.
ღრუმ 85, 40 ღრმა.

## ყ

**ყაბალღვათი** 270, 19 ადგილი, სადაც ისროდნენ მიზანში მიცვალებულის პატივსაცემად.

**ყაბზანი** 348, 6 ჯოხი.

**ყადრა-ყუდრათ** (სიარული) 233, 14 ხეტიალი.

**ყავაზი** 353, 19 მოხელე.

**ყავე** 379, 36 კაფე.

**ყათი** 79, 6; 374, 23 „ხელი“: „ხელი ტანისამოსი.“

**ყაიბი გახდა** 238, 23 შერცხვა, დაინანა.

**ყაივანი** 373, 7 ბედი.

**ყაირი** 52, 24 ნალის ლურსმანი.

**ყალა** 97, 16 ციხე.

**ყალანი** ა) 118, 25 გადასახადი, ბეგარა, ბ) 78, 24 დანარჩენი.

**ყამა** 233, 36 ხმალი.

**ყამჩი** 233, 19 მათრახი.

**ყანდი** 107, 35 [შაქრის ყინული]: ნატეხი შაქარი; თავი შაქარი.

**ყანონი** 92, 8 კანონი.

**ყაძნი** ცოლისძმა.

**ყარაყოლი** 374, 27 ყარაული.

**ყარიშულლ**: ჯ ა მ ყ ა რ ი შ უ ლ ლ 91, 11 ჯამიანად, ჯამთან ერთად.

**ყარტი** 155, 14 ქვავის ჩალა.

**ყარფუზი** 237, 31 საზამთრო.

**ყაფაზი** 380, 5 პოლიციელი.

**ყაფალი** 375, 21 სახურავი, ხუფი.

**ყბა-პირანლ** 84, 10 პირაღმა.

**ყეძრი** 81, 4; 85, 6 გარდა.

**ყვაჟი** 160, 32 ქუმელი.

**ყველაყაი** 346, 7 ყველა.

**ყველჯივ** 152, 22 ყოველთვის („ყოველჯერ“).

**ყიამეთი** 377, 9 მეორედ მოსვლა.

**ყინული** 324, 13 აყალმაყალი, ჩხუბი, დავა.

**ყირათი, ყირატი** 358, 27; 377, 3 ნაცრისფერი ცხენი. ყ ი რ ა თ ლ ი 378, 23 ნაცრისფერცხენოსანი.

**ყისმათი** 76, 33 ბედი.

**ყოყვე** 343, 40 ყუა, ბოლო.

**ყოჭა** 107, 28 ცეძლება.

**ყონალი, ყონალა** ა) 375, 13 სადგური, სადგომი (იგივე კ ო ნ ა ხ ი 374, 8-375, 5); ბ) 88, 27 სტუმარი. დ ა ყ ო ნ ა ლ ო ნ 107, 26 დაპატიჟონ.

**ყონდი** 144, 13 დაყენებული შეშა, დამზადებული და დაწყობილი.

**ყოჯამანი** 379, 36 ღრმად მოხუცებული

**ყულანი** 222, 18 ცხენის მოსართავია, მუცელზე ამოსაკერი ღვედი.

**ყურდგელი** 297, 2 კურდღელი.

**ყურე** 296, 22 სახლის კუთხე.

**ყურუმანი** 78, 14 ქალის დანიშვნისას ვაჟის მიერ სახლიდან წაღებული ნივთები.

**ყურუს** 85, 26 ყვირის (ყ უ რ უ ლ ყვირილი).

**ყურშუმი** 371, 20 ტყვია. მრ.: ყ უ რ შ უ მ ე ბ ი ტყვიები.

**ყურჩქმეტია** 372, 26 კატის ეპითეტი.

## შ

**შაადი** 376, 8 მოწმე.

**შაბლეტება** 8, 1 ასვლა ხელ-ფეხის მოშველებით.

**შაი** 376, 2 შაჰი.

**შაკვალთვა** (კალთებისა) 72, 1 აკეცვა (კალთებისა).

**შალანი** 137, 23 შამბი.

**შამორაგული** 301, 34 შემორტყმული.

**შარაბი** 355, 34 ღვინო.

**შარავი** 230, 19 ჩირქი, ბალღამი.

**შარანდელი** 58, 36 შარშანდელი.

**შარშ** 148, 17 შარშან.

**შასთირი** 105, 7 „სამოცი ისარი“; ტყვიისმფრქვეველი.

**შაქცევა** 142, 26 პასუხის გაცემა, მიგება.

**შაწაწება** 8, 2 მიწვდომა, შეხება.

**შაწკლტება** 120, 5 შეწყდება.

**შერაბი** 377, 8 ღვინო.

**შეშაჰრა** 160, 16 შეშის ჰრა.

**შეჰერი** 354, 19 ქალაქი.

**შვიდოცი** 262, 23 ასოცი.

**შვილორობიჲ წამალი** 67, 9 უშვილობის წამალი.

**შიპი** 61, 6 ნაწნავის მსგავსი ნაკერი.
**შიქალი** ნადირობა. შიქალი ვქნათ 97, 24—ვინადიროთ.
**შიშმანი** 370, 21 მსხვილი.
**შიჭმელი** 77, 5 საჭმელი.
**შოშია გზა** 54, 25 შარაგზა.
**შოშკა** 89, 9 ხმალი.
**შუ** 141, 18 შუა.
**შუ-და-შუ** 132, 15 კაცსა და კაცს შუა.
**შუნი** 150, 22 დედალი ჯიხვი (ხევსურულად ჯიქვი მამალია მხოლოდ). შუნ-ჯიქვი 150, 19 დედალ-მამალი ჯიქვი.
**შუღლი** 111, 9 ჩხუბი. აქედან: შუღლობა 111, 9; საშუღლარად 142, 19 საჩხუბრად.

## ჩ

**ჩაბასტუნება** 34, 37 თავში ჩარტყმა.
**ჩადრი** 100, 13 კარავი.
**ჩალბადარი** 216, 23 ნ. ჩარვადარი.
**ჩალთუქი** 76, 9 დაურჩეველი ბრინჯი.
**ჩამური** 321, 26 ლომის საცეხვავი.
**ჩანი** 7, 4 ქვეწარმავალთა კანი.
**ჩარაჲ** 82, 24; 87, 14 საშველი, გამოსავალი.
**ჩარვადარი** 105, 13 ჩალვადარი. ჩარვადრები „ვირები რო ჰყაუყე და საპალნეს ეზიდებიან“.
**ჩაფანო** 332, 11 უვარგისი, ცუდი.
**ჩაფურტვნა** ჩაფურთხება. ჩამაფურტნე 353, 27.
**ჩაღი** 108, 5 მსუქანი.
**ჩაშუტი** 375, 3 ჯაშუში.
**ჩაწყულაები** 130, 26 „მასრები, რომელშიც თოფის წამალს ყრიან“ (გაბუური).
**ჩეთინი** 371, 23 ძნელი, არასასიამოვნო.
**ჩეკი** 158, 4 მოკაუქებული ჯოხი კეცის გადმოსაღები.
**ჩერიე** 319, 28 თითისტარი.
**ჩეჩმა** 36, 38 ფეხისადგილი.
**ჩივთლიგი** 380, 13 ფერმა.
**ჩივის** 372, 43 ლაპარაკობს, ამბობს.
**ჩითი** 160, 30 მოქსოვილი ფეხსაცმელი.
**ჩირაღი ქნა** გააჩირაღდნა, გაანათა.
**ჩირდილო** 46, 32 ჩრდილი.
**ჩიფთად** 353, 14 წყვილად.
**ჩობანი** 100, 13 მენახირე, მეცხვარე.
**ჩუყური** ჩავარდნილი ადგილი, ხევი (?).
**ჩქიფთე-ჩქიფთე** 340, 16 ხშირ-ხშირი, ჩქარ-ჩქარი.
**ჩხრენგი** 322, 15 მიყრილ-მოყრილი ხის ტოტები.
**ჩხუტი** 112, 25 „სალუდე. ქვაბივით გაკეთებული“ (გაბუური).

## ც

**ცა** 321, 33 გოგოს ეძახიან.
**ცდა** 140, 3 მტერთან ვაჟკაცობის გამოჩენა.
**ცისიელი** 370, 17 მეხი.
**ციცა** 338, 9 გოგო.
**ცრიატი** 2, 18 ცივი, მოღრუბლული.
**ცულაფთარი** 82, 3 კარგად გალესილი, ბჯრელი ცული.
**ცულდი** 86, 27 ცული, ნაჯახი.
**ცუცქული** 85, 20 წისქვილი.
**ცხავი** 239, 4 საცერი, რომლის ძირი მოწნულია.
**ცხვა** 167, 4 სხვა.
**ცხვირვა, გამოცხვირვა** 227, 20 ბოძის თავის ამოხვრეტა ცულით თოკის გამოსაბმელად.

## ძ

**ძალაუმანდურათ** 276, 30 ძალაუნებურად.
**ძალუმი** 71, 23 ძლიანი, ძლიერი, მავარი.
**ძარო** 322, 35 ფრინველების დასამწყვდევი. ბუდის მაგვარად დალობილი.
**ძახი** 271, 21 თითისტარი.
**ძვილათაი** 343, 3 ძლივს.
**ძოლან** 152, 5 მაშინ.
**ძრო** 313, 35 ფსკერი.
**ძღნაბი** 205, 18 ზღარბი.

## წ

**წაბურვა** 340, 9 მიცვალებულისათვის წირვის გადახდა ძველად.
**წალალვა** გაგზავნა. წალლალავს 109, 26.
**წანაშული** 72, 24 აქ: დამბრჩვალი.
**წახთა** 243, 7 ნ. ტახტა.

**წევა** 115, 28 დაპატიჟება. ა წ ე ვ ს 115, 24.

**წელ-შუა** 118, 32 წელგამოშვებით, მეორ-მეორე წელიწადს.

**წენი** წელი. მრავლ.: წ ე ნ ე ბ ი 249, 16.

**წვივხაკონი** 253, 33 საწვივეების შესაკრავი.

**წვიტი** 349, 16 წვრილი.

**წიპლანკი** 90, 39 წვრილი.

**წლიოკება, დაწლიოკება** 50, 17 გახმობა, გამოფიტვა, დაავადმყოფება (აბრეშუმის ჭიის...).

**წონ:** უ წ ო ნ ა ვ გაუბ დავს; ს წ ო ნ ე ნ 121, 29 უბედავენ.

**წული** ვაჟი. წ უ ლ ი ა ნ - პ უ რ ი ა ნ ი 119, 30.

**წუხრ** 109, 14 საღამოს.

## ჭ

**ჭაპი** 218, 15 ტაში.

**ჭიუხი, ჭიუხი** 125, 31 მაღალწვეტებიანი კლდე (ჭ ა უ ხ ი ხევსურული ფორმაა, ჭიუხი—ფშაური. ჭ ა უ ხ ი ჰქვია საკუთრივ ერთ კლდიან მთასაც, რომელიც ხევსურეთსა და გუდამაყარ-სნოს ხეობას შუა არის, ბურსაჭილის უღელტეხილთან ახლოს: ა. შანიძე).

**ჭეჭვი** 213, 36 პეშვი.

**ჭერემი** 125, 23 „თოფის სახელია ქევსურეთში" (გაბუური).

**ჭერხო** 110, 5 ზემო სართული ხევსურული სახლისა.

**ჭეჭაპ** 81, 10 ჭაჭა.

**ჭვირთი** 216, 36 ტვირთი.

**ჭიანდური** 245, 6 ჭიანური.

**ჭინჭალაი** 343, 7 ჭინჭრაქა.

**ჭიტინაი** 345, 32 ნახვრეტი, ვიწრო ხვრელი.

**ჭო** 25, 29 შემოკლებული „ბიჭო".

**ჭოპიტ-ჭოპიტით** 343, 3 აბობღებით ასვლა რაიმეზე.

**ჭოჭი** 322, 37 ფეხის თითები.

**ჭროხი** (ქვა) 247, 6 უსწორმასწორო, ხორკლიანი.

**ჭურთი** 217. 9 ნ. ჭვირთი.

## ხ

**ხაბარი** 80, 21 ამბავი.

**ხავიწი** 117, 19 ფქვილ-ერბოს ფაფა.

**ხაზირი** 377, 19 გამზადებული.

**ხალაილი** 375, 15 მონა-ქალი, მხევალი.

**ხალღი** 216, 24 ხალხი.

**ხამან** 349, 37 დასტურ, ნამდვილად.

**ხანე** 374, 5 ხანა, ტაეპი.

**ხარჩლუხი** 373, 36 სახარჯო ფული.

**ხასი** 377, 29 მოხერხებული, მარჯვე („ხასი დრო").

**ხატი** 121, 21 1. სამლოცველო ადგილი, სადაც ჩვეულებრივ პატარა ნიშია ხოლმე აშენებული. 2. თვით უაილავი არსება, რომელიც მფარველია რომელიმე გვარისა და რომლის სახელზედაც სადმე რაიმე ნიშია აშენებული. ხ ა ტ ი საზოგადო სახელია სხვადასხვა სავედრებელი არსებისათვის, რომლებიც აგრეთვე ჯ ვ ა რ ი ს სახელით არის ცნობილი (კოპალა, იაკსარი...).

**ხაფი** 212, 2 ქარქაში.

**ხებერი** 375, 5 ცნობა, ამბავი (ნ. ხაბარი).

**ხელტორიანი** 317, 35 ხელმარჯვე.

**ხენ:** გ ა უ ხ ე ნ ე ბ ა ვ 144, 8 შეუხედავს.

**ხერმულ** 209, 13; 217, 10 ხელმეორედ.

**ხვაწაი** 268, 38 ხის კოვზის სათლელი დანა.

**ხვიმირე** 51, 35 წისქვილის ნაწილი: ყუთი, რაშიც ხორბალს ყრიან დასაფქვავად.

**ხიალჩი იჯნეს** გულში ჰქონდათ, ეგონათ (ხ ი ა ლ—მოჩვენება).

**ხიდმეთი, ხიზმეთი** 376, 27; 376, 28 სამსახური. აქედან: ე ხ ი ზ მ ე თ ა 376, 33 ემსახურა.

**ხიფხოლა** 123, 16 „მიწის ვაშლივით საჭმელია" (გაბუური).

**ხმიანდი** 40, 4 უსაფუვროდ გამოცხობილი პური ლადარში.

**ხოდაჩეზი** 95, 13 „თქენ შიდობა"; ხ ო დ ა ჩ ე ზ ი ქ ნ ე ს—მადლობა გადაუხადეს.

**ხოფ-ხოფი** 102, 32 დამუქრება, მუქარა.

**ხოშიმანში ყოფნა** 26, 16 შეშმუშვნა გალვიძების წინ.

**ხუობა** 247, 25 განაწყენება, გაბრაზება, უკადრისობა.

**ხუცობა** ლოცვების წართქმა ხუცესის მიერ საკლავზე ან რისამე დაკურთხევის დროს. იხუცებს 110, 2.

## ჴ

**ჴალაია** 65, 37 ცხვირსახოცი.

**ჴამდეხავ** ვარგოდეს, ღირდეს. დაჴამინებაჲ დავარგება, გამოდგომა.

**ჴარავანი** 148, 36 ბევრი ხარ-ფური ერთად.

**ჴაჴაი** 148, 31 მეწყერი, მომსკდარი მიწა. მრავლ.: ჴაჴაები.

**ჴელ-დადგმული** 155, 20 ხელით დატკეპნილი.

**ჴელთვა** გაგიჟება. ჴელთავს 121, 30 აგიჟებს.

**ჴირიმი** 131, 34 თოფის სახელია, რომელიც „ყირიმიდან შემოდიოდა ჩვენში და სახელიც იქიდან აქვს“ (ა. შანიძე).

**ჴლა** 1:0, 23 სროლა (თოფისა).

**ჴრუალ** 82, 32 მხურვალე, ცხელი.

## ჯ

**ჯავაბი** 103, 6 პასუხი.

**ჯალაფობა** 113, 30 ოჯახობა, ოჯახის წევრები.

**ჯამი** 370, 22 მეჩეთი, მუსლიმანთა სამლოცველო.

**ჯამუში** 354, 4 კამეჩი.

**ჯანჴალაჸობა** ჭაპანწყვეტა, მძიმე შრომა.

**ჯენკი** 107, 8 ლეწვის დროს დარჩენილი თავთავი.

**ჯერილი** 48, 4; 48, 16 ჯეელი, ახალგაზრდა.

**ჯვარი** 109, 22 ხატი: 1) სამლოცველო ადგილი, 2) შესავედრებელი ძალა.

**ჯვარიონი** 109, 23 ჯვარის (ხატის) მოსამსახურე.

**ჯირა** 95, 10 ჯამაგირი.

**ჯო** 64, 9 ბიჭო.

**ჯომარდი** 243, 28 მხნე, შემმართებელი.

**ჯორმი** 99, 13 ჯარიმა. ჯორმი გავჰრათო — ჯარიმა გადავახდევინოთ, კონტრიბუცია გამოვართვათო (?).

**ჯუმბუში** 377, 9 მხიარულება, შექცევა.

**ჯურუმი** 111, 11 დაჯარიმება.

**ჯღანი** ქალამანი. ჯღნის 137, 9 ქალამნის.

## ჰ

**ჰაათარ** 76, 7 როგორ (რაგვარად).

**ჰად** 348, 17 სად.

**ჰაბაა** 86, 38 აბა (გაკვირვების, გაოცების გამომხატველი ნაწილაკი).

**ჰაზირი** 89, 9 მხადაა (შდრ. ხაზირი).

**ჰალალი** 89, 13 ალალი.

**ჰამბარი** 80, 25 ამბარი, ბეღელი.

**ჰამდადი** 103, 36 დამხმარე, მოშველებელი.

**ჰამმეშა** 76, 11 მუდამ, ყოველთვის.

**ჰაჲც** 89, 13 რაც (მიმართებითი ნაცვალსახელი).

**ჰასაბი** ანგარიში; ჰასაბიქენ 95, 11 იანგარიშე.

**ჰასილი** ჯეჯილი (!).

**ჰაფთა** 107, 10 კვირა (შვიდეული).

**ჰაფთუფა** 81, 10 ნ. ლაგან-ჰაფთუფა.

**ჰაჩარ** 86, 33 გასაღები.

**ჰე** 81, 5 ან (კავშირი).

**ჰეეგიც** ეს მაინც.

**ჰევანნული** 90, 37 შეჰამანდი.

**ჰეთიმი** 76, 4 ობოლი. აქედან: ჰეთიმოვა 76, 5 ობლობა.

**ჰეთიმოვა** ნ. ჰეთიმი.

**ჰემ** 380. ? აჲ.

**ჰენგაჲ** 79, 37 მაყარი.

**ჰენგილავ** ინგილო.

**ჰექიათი** 217, 13 ზღაპარი.

**ჰექმათი** 229, 5 ნ. ჰოქუმათი.

**ჰეჩრამ** 84, 33 არაფერი.

**ჰეჩსადამ** 85, 8 არსად.

**ჰეჩსაჲთი** 91, 5 არსაიდან.

**ჰიგინ-ჰიგინა** 90, 34 ჩქარ-ჩქარა.

**ჰიმსანი** ადამიანი. ჰიმსნის შვილი 217, 4 ადამიანის შვილი.

**ჰოქუმათი** 92, 2 მთავრობა; მთავრობის კაცი („გუბერნატორი“).

**ჰუქუმათი** 97, 13 ნ. ჰოქუმათი.

**ჰცლუთავ** 85, 15 ვცვლითო.

## ჸ

**ჸამმა** მაგრამ.

**ჸაბაბახი** 96, 3 იერიშზე მიმავალთა ყიჟინა.

**ჸაველი** 93, 8 პირველი.

**ჸასანდი** 103, 32 ადვილი.

**ჸეჯაზა** 104, 6 ნება, ნებართვა.

**ჸეჰთიათი** 95, 24 სიფრთხილე. ჸეჰთიათი გაქონდეს — ფრთხილად იყავით, თვალყური გეჭიროთ.

**ჸიფო, იფო** 102, 19 უფრო.

# ინდექსები

ქვემოთ მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ქრესტომათიაში შესული მასალების შესახებ.

გამოყენებულია, გარდა ამ წიგნის ავტორის მიერ შეკრებილი მასალებისა, დაბეჭდილი ტექსტები (დოც. მ. ალავიძის, აკად. ნ. მარის, დოც. ჯ. ნოღაიდელის, პროფ. ს. ყლენტის, დოც. რ. ღამბაშიძის, დოც. ა. ღლონტის, პროფ. ა. შანიძის, პროფ. არნ. ჩიქობავას, დოც ქ. ძოწენიძის და დოც. ა. ჯაჯანიძისა), დისერტაციები, რომლებიც ინახება თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (მეცნ. კანდ. პ. გაჩეჩილაძის, მეცნ. კანდ თ. უთურგაიძის და მეცნ. კანდ ო. ქაჯაიასი) და ხელნაწერები (თ. გრეშელაშვილის, მეცნ. კანდ. ლ. ლეჟავას, დოც. ი. მაისურაძის, დოც. ი. მეგრელიძის და დოც. მ. ჩხაიძისა).

ყველა ეს ტექსტი ჩაწერის სიზუსტის თვალსაზრისით ჩვენ ყოველმხრივ სანდოდ მიგვაჩნია, რამდენადაც ისინი ფიქსირებულია სპეციალისტების, ენათმეცნიერების მიერ საგანგებოდ დიალექტოლოგიური მიზნებით. აქედან გასაგებია, რომ ყოველი მათგანი აქ დაბეჭდილია უცვლელად.

ჩვენ შევეცადეთ, მასალის რაოდენობის მხრივ—დიალექტების მიხედვით—დაახლოებით მაინც თანაზომიერება ყოფილიყო დაცული. შედარებით მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი ამ წიგნის ავტორის მიერ ჩაწერილი მასალები, რამდენადაც ისინი პირველად იბეჭდება.

თემატიკურად თუ ჟანრობრივად ტექსტები შიგადაშიგ ნაირნაირია, შეიცავენ ზღაპრებს, ლექსებს, ისტორიულ გადმოცემებს, სასაუბრო მასალას, ეთნოგრაფიულ აღწერებს... ეს აუცილებელია, რადგან დიალექტური მეტყველების თავისებურებანი მთელი სიგრძე-სიგანით სხვადასხვა ხასიათის მასალაში უფრო იჩენს თავს. ლექსების სიმრავლეს მოვერიდეთ, იმიტომ რომ ხალხური შემოქმედების ამ ჟანრში არაიშვიათია მწიგნობრული პოეტური კულტურის შაბლონი და, ამდენად, ნაკლებ საინტერესო დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

„ინდექსებში“ მოცემულია ტექსტების სრული პასპორტიზაცია: ვის მიერაა და სად ჩაწერილი მასალა, ვინაა ინფორმატორი; თუ ტექსტი გამოცემულია, მითითებულია იმ ორგანოზე, სადაც იგი დაბეჭდილია (წიგნის გვერდებისა და მასალის ნუმერაციის ჩვენებით).

შემოკლებანი: მთქმ. — მთქმელი (ე. ი. მასალის მომწოდებელი), ჩაწ. — ჩაწერილია.

---

1 — 11: ჩაწ. ალ. ღლონტის მიერ. „ქართლური ზღაპრები და ლეგენდები. შესავალი, ტექსტები, შენიშვნები“, 1948 წ. 1—მთქმ. სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 15, № 14; 2—მთქმ. დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 20, № 15; 3—მთქმ. ფიდა კვიწინაძე, სოფ. ბერშუეთი, გვ. 35, № 17; 4—მთქმ. დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 90, № 28; 5—მთქმ. დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 165, № 44; 6—მთქმ. სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 169, № 46; 7 — მთქმ. დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 226, № 56; 8 — მთქმ. სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, გვ. 234, № 58; 9—მთქმ. მიტრო პაპუაშვილი სოფ. დუმაცხო; 10—მთქმ. დომენტი გელაშვილი, სოფ. ცხეთიჯვარი; 11—მთქმ. სანდრო სტეფანაძე, სოფ. ბრილი.

12—14: **ჩაწ. არნ. ჩიქობავას** მიერ. „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად" („არილი", 1925). 12—მთქმ. გიორგი სამუნაშვილი, სოფ. მარიამ-ჯვარი, გვ. 81, № 1; 13—მთქმ. შაქრო მექვევრიშვილი, სოფ. ანთოკი, გვ. 82, № 2; 14—მთქმ. შაქრო ნარეკლიშვილი, სოფ. ანთოკი, გვ. 83, № 3.

15—29: **ჩაწ. მიხ. ჩხაიძის** მიერ. 15—მთქმ. გიორგი ქურციკიშვილი, სოფ. ვარდის უბანი; 16—მთქმ. მიხეილ ამროსიშვილი, სოფ. ენისელი; 17—მთქმ. ქეთ. დათუკიშვილი, სოფ. გურჯაანი; 18—მთქმ. ქეთ. დათუკიშვილი, სოფ. გურჯაანი; 19—მთქმ. სანდრო პაპუნაშვილი, სოფ. რუისპირი; 20—სოფ. ველის ციხე; 21—მთქმ. მიხეილ ამროსიშვილი, სოფ. ენისელი; 22—მთქმ. სანდრო ქიბოშვილი, სოფ. ყვარელი; 23—მთქმ. გიორგი ჩუგოშვილი, სოფ. მუკუზანი; 24—მთქმ. ალექსი დათუაშვილი, სოფ. ჩუმლაყი; 25—მთქმ. ალექსი დათუაშვილი, სოფ. ჩუმლაყი; 26—მთქმ. სიმონა სისაური, სოფ. ჰერმისუბანი; 27—მთქმ. ვანო ბიაშვილი, სოფ. ვეჯინი; 28—მთქმ. ნიკო გიგოლაშვილი, სოფ. იყალთო; 29—სოფ. წინანდალი.

30—33: **ჩაწ. თამარ გრემელაშვილის** მიერ. 30—31—მთქმ. ბ. ბწკილიშვილი, სოფ. ნაფარეული; 32—მთქმ. სონა ძამუკაშვილი სოფ. შალაური; 33—მთქმ. დათა პაატაშვილი, სოფ. შალაური.

34—40: **ჩაწ. მიხ. ჩხაიძის** მიერ. 34—მთქმ. იოსებ ჩიბუხაშვილი, სოფ. ზემო მაჩხაანი; 35—მთქმ. იოსებ ჩალეხეშაშვილი, სოფ. ცლუნკაანი; 36—მთქმ. ბესო ჯიმასპანიშვილი, სოფ. ზემო მაჩხაანი; 37—მთქმ. იოსებ გოგაშვილი, სოფ. ქვემო მაჩხაანი; 38—მთქმ. იოსებ ჩალეხეშაშვილი, სოფ. ცლუნკაანი; 39—სოფ. ბოდბე; 40—მთქმ. დავით ბოსტოღანაშვილი, სიღნაღი.

41—53: **ჩაწ. როგნ. ღამბაშიძის** მიერ. „ინგილოური კილო. I. ტექსტები" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 30—31, 1947 წ.). 41—მთქმ. თამარ ოთარიშვილი, სოფ. ალათემური, გვ. 273, № 14; 42—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 273, № 15; 43—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 277, № 16; 44—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 278, № 17; 45—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 279, № 18; 46—მთქმ. დავით ოთარიშვილი, სოფ. კახი, გვ. 279, № 19; 47—მთქმ. ვანიჩკა აბულაშვილი, სოფ. კახი, გვ. 280, № 29, 48—მთქმ. ნინიკო ჯულოშვილი, სოფ. კახი, გვ. 282, № 21; 49—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 283, № 22; 50—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 284, № 23; 51—მთქმ. ნათელა ტარტარაშვილი, სოფ. კახი, გვ. 285, № 24; 52—მთქმ. ნათელა ტარტარაშვილი, სოფ. კახი, გვ. 286, № 25 53—მთქმ. არჩილ ჰირიტაშვილი, სოფ. კახი, გვ. 287, № 26.

53—60: **ჩაწ. არნ. ჩიქობავას** მიერ. „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი" („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", VII, 1927). მთქმ. სეიფოლა იოსელიანი, გვ. 226—240, №№ 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.

61—86: **ჩაწ. ბეს. გაბუურის** მიერ. ა. შანიძის რედაქციით: ბეს. გაბუურის „ქევსურული მასალები. პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ" („წელიწდეული", I—II, 1923-24). გვ. 121—134. 142—145, 152—154, 158—192, №№ I—1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. 9, 10, 11 12, 20, 29, 30, II—2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14.

87—89: **ჩაწ. კირ. ტუნტურიშვილის** მიერ (ფილოლოგი, მასწავლებელი). 87—მთქმ. იოსებ ტუნტურიშვილი, სოფ. კოდი; 88—89—მთქმ. მზექალ მაჩურიშვილი სოფ. აფშო.

90—110II: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 90-110—მთქმ. ივანე გორზამაული, ხვთისო ცქიფაშვილი, სოფ. მაღაროსკარი; 110II—მთქმ ვახტ. რაზიკაშვილი, სოფ. ჩარგალი.

111—114: ჩაწ. თ. უთურგაიძის მიერ. „ქართული ენის თუშური კილო", 1953 (საკანდიდატო დისერტაცია). გვ. გვ. 108, 111, 135.

115—124: ჩაწ. ო. ქაჯაიას მიერ: „მოხეური დიალექტი. II ტექსტები", 1953 წ. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი); 115 — მთქმ. გივარგი თამასხანოვი, სოფ. გერგეტი, №1; 116—მთქმ. გივარგი თამასხანოვი, სოფ. გერგეტი, გვ. 5, № 3; 117—მთქმ. კოტე წიკლაური, სოფ. ცდო, გვ. 25, № 10; 118—მთქმ. ვოვა წიკლაური, სოფ. გერგეტი № 52, № 21; 119—მთქმ. გივარგი თამასხანოვი სოფ. გერგეტი, გვ. 62, № 23; 120—მთქმ. ვასო ყამარაული სოფ. კარკუჩა, გვ. 81, № 32; 121—მთქმ. კოტე ჩოჩოშვილი, სოფ. კურთისი, გვ. 104, № 40; 121-122II მთქმ. ლევან ბუჩუკური, სოფ. ახალციხე, გვ. 118, № 45; 123—მთქმ. გივარგი თამასხანოვი, სოფ. გერგეტი, გვ. 121, № 46; 124—მთქმ. ზურაბ ფიცხელაური. სოფ. ყაზბეგი, გვ. 237, № 70.

125: ჩაწ. არნ. ჩიქობავას მიერ. „მთიულურის თავისებურებანი": ენიმკის მოამბე, II, 1937. მთქმ. ადამ ზუთხუზი, სოფ. ზემო-მლეთი.

126—141: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 126-132—მთქმ. გიორგი ბუჩუკური, სოფ. ბიბლიანი; 133-134—მთქმ. პეტრე ბექიშვილი, სოფ. ქავთარაანი; 135—137—მთქმ. ივანე ჩოხელი. სოფ. ჩოხი; 138-141—მთქმ. პავლე ჩოხელი, სოფ. ჩოხი.

142—150: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 142—მთქმ. სიმონ ობოლაშვილი, სოფ. უდე; 143—მთქმ. გიგო აფრიამაშვილი, სოფ. უდე; 144—მთქმ. ანტონ მათაშვილი სოფ. უდე; 145—მთქმ. ოსიკო აფრიამაშვილი, სოფ. არალი; 146-147-148-149-150—მთქმ. პ. ბათმანაშვილი, სოფ. არალი.

151—152: ჩაწ. ალ. მაისურაძის მიერ. 151—მთქმ. ყორი ბერძენიშვილი, სოფ. სვირი; 152—მთქმ. შალვა ბერძენიძე, სოფ. ბარალეთი.

153—178: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 153-154—მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი, სოფ. გლოლა; 152—მთქმ. კოხტა გრიგოლაშვილი, სოფ. გლოლა; 156-157-158-159-160-161-162—მთქმ. გიორგი ბერიშვილი, სოფ. გლოლა; 163-164-165-166-167-168-169-170—მთქმ. მიხა სულტანიშვილი, სოფ. გლოლა; 171-172—მთქმ. მარკოზ გობეჯიშვილი, სოფ. ღები; 173-174—მთქმ. ივანე ჩლაიძე, სოფ. ბარი; 175—მთქმ. ა. ჯაფარიძე, სოფ. სორი, 176-177-178—მთქმ. ე. გიორგობიანი, სოფ. სადმელი.

179—187: ჩაწ. მ. ალავიძის მიერ. „ლეჩხუმურის თავისებურებანი" (ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1941), მთქმ. ე. გ. ახვლედიანი, ს. მ. ალავიძე, ე. ი. გორდეზიანი.

188—191: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. სოფ. ორბელი.

192: ჩაწ. ლ. ლეჟავას მიერ. მთქმ. ბაგრატ კაპანაძე, სოფ. ტყემლოვანა.

193—194: ჩაწ. პ. ჯაჯანიძის მიერ. „ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი" (ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948). 193—მთქმ. ჟ. არევაძე, სოფ. ვახანი; 194 — მთქმ. ლ. არევაძე, სოფ. სერბაისი.

195—197: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 195—სოფ. თერჯოლა. 196—სოფ. სიქთავრა; 197—სოფ. ჩხარი.

198: ჩაწ. პ. გაჩეჩილაძის მიერ. „იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება. გამოკვლევა. ტექსტები, ლექსიკონი". 1951 (საკანდიდატო დისერტაცია).

199—200: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 199—სოფ. ნახახულევი. 200—სოფ. მათხოჯი.

201: ჩაწ. ქ. ძოწენიძის მიერ. „ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება" (ალ. წულუკიძის სახელ. ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948). მთქმ. კონსტ. ბაჩიძე, სოფ. უხუთი.

202—207: ჩაწ. ს. ჟღენტის მიერ. „გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი", 1936. 202—მთქმ. გოგოლა ნაკაიძე, ს. ქვედაბახვი, გვ. 101, № 2; 203—მთქმ. სოსო სიხარულიძე, სოფ. ბუკისციხე, გვ. 104, № 3; 204—მთქმ. მოსე რამიშვილი, სოფ. დიდვანი, გვ. 106, №4; 205—მთქმ. კესა ხუნდაძე, სოფ. ზემოხეთი, გვ. 109, № 5; 206 - მთქმ. თეკლე მახარაძე, სოფ. ზედაბახვი, გვ. 110, №6; 207—მთქმ. სტეფანე ბაღიშვილი, სოფ. ზედაბახვი, გვ. 111, № 7.

208—212: ჩაწ. ა. ღლონტის მიერ. „გურული ფოლკლორი", 1937. 208—სოფ. ჩიბათი: გვ. 168, № 6; 209—სოფ. ჭალა, გვ. 172 №7; 210—სოფ. ჭალა, გვ. 175, №8; 211—სოფ. დვაბზუ, გვ. 176, №9; 212 სოფ. ჩანჩეთი, გვ. 182, №10.

213—214: ჩაწ. ი. მეგრელიძის მიერ. 200—მთქმ. ვლად. თავბერიძე. სოფ. ხიდისთავი; 201—მთქმ. ნ. დუმბაძე, სოფ. ბაღდადი.

215—217: ჩაწ. ჯ. ნოღაიდელის მიერ. „აჭარა დიალექტოლოგიურად", 1936. 215 გვ 30; 216—მთქმ. იუსუფ ბაჯელიძე, სოფ. ხუცუბანი, გვ. 31; 217—მთქმ. ქიბარ კახაძე, სოფ. ქედლები, გვ. 35.

218: ჩაწ. ჯ. ნოღაიდელის მიერ. „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან", 1935. მთქმ. ბართალი აბულაძე, სოფ. აღმე, გვ. 77.

219—222: ჩაწ. შ. ძიძიგურის მიერ. 219—მთქმ. ლუთფიე აბაშიძე, ქობულეთი; 220—მთქმ. დურსუნ თხილაიშვილი, ქობულეთი; 221-222—მთქმ. მემედ წულუკიძე, ქობულეთი.

223—229: ჩაწ. ნ. მარის მიერ. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию ТР, VII, 1911. 223—სოფ. იმფხრეული, გვ. 47, № 1; 224—სოფ. იმფხრეული, გვ. 48, № I a; 225—სოფ. იმფხრეული, გვ. 49, № II; 226—გვ. 50, № III, 227—გვ. 53, № V; 228—გვ. 53, № VI; 229—გვ. 55, № IX; 230—გვ. 56.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

ქართლური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

კახური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40

ქიზიყური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . 62

ინგილოური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . 76

ფერეიდნული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . 92

ხევსურული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . 109

ფშაური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 151

თუშური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 160

მოხეური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 169

მთიულური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . 189

მესხურ-ჯავახური დიალექტი . . . . . . . . . . . . . 204

რაჭული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243

ლეჩხუმური დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . 293

იმერული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 301

გურული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 323

აჭარული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 348

იმერხეული დიალექტი . . . . . . . . . . . . . . . . . 370

ლექსიკონი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 381

ინდექსები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 398

გამომცემლობის რედაქტორი შ. ბაჩიძე

* * *

გადაეცა წარმოებას 1956 წ. 1/III. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1956 წ. 9/VIII. ქაღალდის ზომა 60×92. წიგნის ანაწყობის ზომა 6,5×10,5
ტირაჟი 2.000. გამომც. შეკვ. № 28.
სტამბის შეკვ. № 200. უე 06110.

* * *

საგამ.-სააღრ. ფორმათა რაოდენობა 25.69.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 25,25.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

---

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.